ნიკოლოზ კანდელაკი

ქართული კლასიკური შეჯიბრებითობა

ნარკვევები
ქართული
ორატორიული ხელოვნების
ისტორიიდან

«ხელოვნება»
თბილისი
1961

ზოგადი საკითხები

უძლეველი რაღაც არის მჭევრმეტყველება...

ფარტახი

1. შესავალი

ორი ათას წელზე მეტია, რაც ქართული ენა წარმოადგენს ქართველთა ეროვნული ერთიანობისა და საქართველოს სახელმწიფოებრივი მთლიანობის უმნიშვნელოვანეს კულტურულ ფაქტორს. წარსულში, ყველა სოციალური ფორმაციის დროს, და დღეს, გამარჯვებული სოციალიზმის პირობებში, ქართული ენა იყო და არის ჩვენი მშობლიური ცივილიზაციის მამოძრავებელი ძალა და გამომხატველი ფორმა. ქართველი ხალხის უმთავრესი სულიერი მონაპოვარი—სასაუბრო და სალიტერატურო დედაენა—თავისი ზეპირი და წერითი სახეებით საუკუნეთა მანძილზე ამყარებდა ჩვენში ადამიანთა საარსებო ურთიერთკავშირს და ამჟამად ჩვენი სოციალისტური ერის სასიცოცხლო ურთიერთობის საშუალებაა.

ამ შეუცვლელ და შეუდარებელ საშუალებას მუდამ გააჩნდა „სრულიად საქართველოს“ განუყოფლობის რწმენით შთაგონებული ფუნქცია — ნათლად, მკვეთრად და უნაკლულოდ გაგებინება, რაც ქართული სიტყვის ოსტატთა საქმით სრულდებოდა ყოველგვარ ისტორიულ ვითარებაში. საერთო-სახალხო ქართული ენის ეს ეროვნული დანიშნულება კარგად ესმოდათ ყოველი დროის მოწინავე ქართველებს, რომელთა სიტყვა და საქმე ნათლად გვიჩვენებს, თუ რაოდენ განუზომელია ენის წილი ჩვენი სამშობლოს ისტორიულ გადარჩენასა და შემოქმედებითს არსებობაში.

ეს რწმენა და შეგნება განსაკუთრებით განმტკიცდა X—XI საუკუნეებში, როცა უჩვეულოდ ამაღლდა ჩვენში ნაციონალური თვითცნობისა და შემეცნიერების სულისკვეთება, რასაც მოჰყვა ფეოდალური დაქსაქსულობის დაძლევა, ცენტრალური ხელისუფლების გაძლიერება და ქვეყნის გაერთიანება. სწორედ ხსენებულ პერიოდში გამოითქვა და აღიბეჭდა ბევრი საყურადღებო მოსაზრება ჩვენი მშობლიური ენის ფართო საზოგადოებრივი მნიშვნელობისა და დიდი სახელმწიფოებრივი დანიშნულების შესახებ. ეს მოსაზრებანი მოღწეულია ჩვენამდე მკვეთრად გამოთქმული სიტყვიერი ფორმულების სახით. მათი ავტორებია მემატიანეები, ისტორიკოსები, მწერლები და ორატორები. ისინი საუკუნეთა მანძილზე, სხვადასხვა

ეპოქაში, ქვეყნად არსებული სოციალური და პოლიტიკური ვითარების შესაბამისად გამოხატავდნენ სიტყვის მაღალ მოვალეობას, გაწეულს დიდი საქმისათვის. სიტყვისა და საქმის ასეთი განუყოფელი ერთიანობა ნათლად გამოკრთის თვით შეფარვითა და ალეგორიულად გამოთქმული ბევრი ნაფიქრ-ნააზრევიდან, რომელთაც უხვად ვპოულობთ ჩვენი წარსულის ამსახველ ფურცლებზე.

იგივე ითქმის დღეს პირდაპირ და ახლებურად გამოხატულ აზროვნებაზე, რომლის ჰე'მმარიტი გზით უზრუნველყოფილია თანამედროვე ქართული სოციალისტური კულტურის უმძლავრესი იარაღის — ჩვენი დედაენის — ფართო შემოქმედებითი ასპარეზი.

ისტორიულ ასპექტში მკვეთრად გამოიყურება ქართული აზროვნების ეს განუწყვეტლივ აღმავალი გზა შორეული წარსულიდან დღევანდელ სინამდვილემდე.

X საუკუნის გამოჩენილი მწერალი გიორგი მერჩულე ქართულ ენას მიიჩნევდა საქართველოს სინონიმურ შესატყვისად და მშობლიური მეტყველების გავრცელების არით საზღვრავდა სამშობლოს სახელმწიფოებრივ სივრცეს: „ქართლად ფრიადი ქუეყანაჲ აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვაჲ ყოველი აღესრულების“[1], — წერდა ის.

საერთო-სახალხო ენის მეშვეობით გაერთიანებული ქვეყნის სურათს გვიხატავს XI საუკუნის ისტორიკოსი ლეონტი მროველი, როცა ავგიწერს ფარნავაზ მეფის დამსახურებას: „ამან გაანავრცო ენა ქართული, და არღარა იზრახებოდა სხუა ენა ქართლსა შინა თჳნიერ ქართულისა“[2].

ასეთივე აზრისა და რწმენის იყვნენ ჩვენი სასაუბრო და სალიტერატურო ენის მნიშვნელობაზე შემდეგი დროის მოწინავე ქართველი მოღვაწეები, რომელთაც დედაენა მიაჩნდათ, უწინარეს ყოვლისა, ეროვნების საიმედო ბურჯად და კულტურის დაუშრეტელ წყაროდ.

თანამედროვე ქართველი მეცნიერი, — დღეს, საბჭოთა წყობილების პირობებში, როცა სოციალისტური ერები ქმნიან ფორმით ნაციონალურ, ხოლო შინაარსით სოციალისტურ კულტურას და აშენებენ კომუნისტურ საზოგადოებას, — შემდეგი სახით აყალიბებს ქართული ენის ისტორიულ დამსახურებასა და დღევანდელ მნიშვნელობას: „დედაენა — ქართული ენა — კულტურული ერთიანობისა და ეროვნული მთლიანობის შეგნებას ასახიერებდა. ქართული სალიტერატურო ენა აერთიანებდა ქართველობას მაშინაც, როცა

[1] გიორგი მერჩულე, ცხორება გრიგოლ ხანძთელისა, გვ. 97.

[2] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 26.

საქართველო დაქუცმაცებული იყო, და ეკონომიკაც ამის გამო ერთიანობას ხელს ვერ შეუწყობდა. ქართული სალიტერატურო ენა შექმნილია მთელი ქართველი ხალხის მიერ, იგი კუთვნილებაა მთელი ქართველობისა... ერთადერთი ეროვნული ენაა მთელი ქართველობისათვის. ასე იყო წარსულში და მით უფრო ასეა ახლა"[1].

საერთო-სახალხო ქართული ენა თავის მაღალ დანიშნულებას ასრულებდა ყოველთვის და განუწყვეტლად, ყოველმხრივ და მთელი შესაძლებლობით. ის თავისი პრაქტიკული არსებით ემსახურებოდა ხალხის შეგნებული გაერთიანების საქმეს და მუდამ წარმოადგენდა ურთიერთგაგებინების უმთავრეს საშუალებას, ბრძოლისა და განვითარების უმნიშვნელოვანეს იარაღს. ამ ფუნქციებს ასრულებდა და ასრულებს ქართული ენის როგორც ზეპირი, ისე წერითი ფორმა და მათი ცალკეული სახეები. აქ საგულისხმო სახეთა შორის განსაკუთრებული მნიშვნელობისაა მ ე ტ ყ ვ ე ლ ე ბ ა და ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ა, რომელთაგან პირველი ზეპირი მეტყველების უმაღლესი სახეა, ხოლო მეორე წერითი მეტყველების სრულყოფილი ფორმაა.

მათ შორის ჩვენი ყურადღების საგანს მეტყველება წარმოადგენს, კერძოდ, ქ ა რ თ უ ლ ი კ ლ ა ს ი კ უ რ ი მ ე ტ ყ ვ ე ლ ე ბ ა.

ქართული ენის ლექსიკური სიმდიდრე, გრამატიკული კანონზომიერება, სტილისტიკური მოქნილობა და მეტყველური ბუნება არა ერთხელ აღუნიშნავთ სხვადასხვა დროის ქართველ და უცხოელ სიტყვის ოსტატებს. მათ შორის უძველესი შეხედულება ეკუთვნის ი ო ა ნ ე—ზ ო ს ი მ ეს, რომელმაც X საუკუნეში აღიარა „შემკული და კურთხეული" ქართული ენის საკაცობრიო მნიშვნელობა, დააყენა ის ბერძნული ენის სიმაღლეზე და იწინასწარმეტყველა მისი კიდევ უფრო ბრწყინვალე მომავალი, ვინაიდან „ყოველი საიდუმლოჲ ამას ენასა შინა დამარხულ არს", და ამისათვის „ყოველსა ენასა ღმერთმან ამხილოს ამით ენითა", როცა, ავტორის რწმენით, ქართული აღმოჩნდება მისთვის შესაფერის პირობებსა და ვითარებაში[2].

„ასეთივე მაღალი აზრისაა ქართულ ენაზე ი ო ა ნ ე პ ე ტ რ ი წ ი, რომელიც XI საუკუნის მიწურულში ხედავდა იმის შესაძლებლობას, რომ მშობლიური ენა ბერძნული მეტყველების მსგავსად „გაეწყო", ეზრუნა „სათარგმანოთა შორის თხზვად და მორთვად ენისად",

---

[1] არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, ჩვენი დედაქალაქი და ჩვენი დედაენა („კომუნისტი", 1958, № 238).

[2] ქართული მეტყველება, გვ. 133.

მსოფლიო ფილოსოფოსთა „ხედვაჲ" განეცადა და სამშობლოს მეორე არისტოტელედ მოვლენოდა[1].

შოთა რუსთველს „ტკბილ-ქართული" სიტყვის „ძვირობა" მიაჩნია პოეტის უმძიმეს უბედურებად, რომლის მსხვერპლს, „რა ვეღარ მიჰხვდეს ქართულსა,... თავი ყოლა ნუ ჰგონია მელექსეთა კარგთა სწორი" (14; 15). დიდი რუსთველი, უწინარეს ყოვლისა, სწორედ ქართულს გულისხმობდა, როცა მშვენიერი სიტყვის ძალას ცნობილი აფორიზმით გამოხატავდა: „გველსა ხერელით ამოიყვანს ენა ტკბილად მოუბარი" (901,4).

ასეთივე აზრისა და რწმენის არიან ჩვენი სასაუბრო და სალიტერატურო ენის მშვენიერმეტყველურ ბუნებაზე ახალი დროის მოწინავე ქართველი და უცხოელი მეცნიერები, რომელთაც ქართული ენა აზრისა და გრძნობის ყოველი ნიუანსის გამოთქმის შემძლედ მიაჩნიათ და ამიტომ უმდიდრეს ენათა შორის მიუჩენენ მას სათანადო ადგილს.

ქართველი ხალხის დაუშრეტელი სულიერი ენერგიის ეს პირმშო—საერთო-სახალხო ენა—წარმოადგენს ჩვენი კლასიკური მშვენიერმეტყველების სტრუქტურულ მასალას, წარმოქმნის საშუალებასა და გამოხატვის ფორმას. ყოველივე ეს ქართული ორატორული ხელოვნების შემოქმედებითს პროცესში პოულობს თავის პრაქტიკულ გამოვლენას.

წინამდებარე ნაშრომის მთავარი ამოცანა ამ შემოქმედებითი პროცესისა და მისი პრაქტიკული ნაყოფის ისტორიული განვითარების ჩვენებაა.

[1] იოანე პეტრიწი, შრომები, II, გვ. 222.

2. მჭევრმეტყველების განსაზღვრა

ქართული კულტურის მდიდარ საგანძურს ამშვენებს თვითმყოფადი კლასიკური მჭევრმეტყველება. სულიერი შემოქმედების სხვა სფეროებთან ერთად ქართველ ხალხს შეუქმნია და შემოუნახავს საკმარო მეტყველების დიადი საუნჯე. უხსოვარი დროიდან მომდინარე კაზმული სიტყვა, მოღწეული ჩვენამდე უამრავი ზეპირი და წერილობითი ძეგლით, წარმოადგენს ჩვენი წარსულის ფასდაუდებელ მემკვიდრეობას. ამ ეროვნული მემკვიდრეობის ერთი მხარე ზეპირსიტყვიერებაა, მეორე — მწერლობა. ორივე მხარე უხვად შეიცავს მჭევრმეტყველებას: ზეპირსიტყვიერებაში დაცულია ხალხური მჭევრმეტყველება, მწერლობაში — კლასიკური მჭევრმეტყველება. ისინი წარმოადგენენ ერის უკვდავ სულიერ მონაპოვარს, რომლის წარმოშობა-განვითარებისა და გავრცელება-დამკვიდრების მეცნიერული დადგენით ნათელი ეფინება ქართული ორატორული ხელოვნების ისტორიულ გზას.

რა არის მჭევრმეტყველება?

მჭევრმეტყველება არის ზეპირი მეტყველების უმაღლესი სახე, რომელსაც განსაზღვრავს კაზმული ფორმით გამოხატული ღირსშესანიშნავი შინაარსის გამომეტყველი წარმოთქმა მსმენელთა დასარწმუნებლად.

ამ განსაზღვრის მიხედვით მჭევრმეტყველების არსებითი მხარეებია: ღირსშესანიშნავი შინაარსი, კაზმული ფორმა, დამარწმუნებელი აზრი და გამომეტყველი შესრულება. ამ მხარეების შემოქმედებითს ერთიანობას წარმოადგენს მჭევრმეტყველება, რომლის პროცესი აერთიანებს სათქმელის შინაარსსა და ფორმას, თქმის მიზანსა და ხერხებს. ისინი გვიჩვენებენ: რა არის შინაარსი მეტყველებისა? როგორი არის ფორმა მეტყველებისა? რისთვის ხდება მეტყველება? რანაირად სრულდება მეტყველება?

ამრიგად, აქ ნაგულისხმევია შემდეგი კითხვები: რა?, როგორი?, რისთვის?, რანაირად?. ასეთი კითხვა-პასუხის მწკრივით ისაზღვრება მჭევრმეტყველების არსება, რომლის ნიშანდობლივი მხარეებია: საყურადღებო შინაარსი, ლამაზი ფორმა, დამარწმუნე-

ბელი აზრი და ოსტატური შესრულება. ამ ფაქტორების შემოქმედებითი შეთავსების პროცესი, რაც სრულყოფილი ცოცხალი სიტყვის სახით ვლინდება და ემოციურ გაელენას ახდენს მსმენელის გონებაზე, გრძნობასა და ნებისყოფაზე, მჭევრმეტყველებაა.

ასეთია ამ ცნების ვიწრო მნიშვნელობა. ფართო მნიშვნელობით კი გამომეტყველი ფორმით გამოხატული ყოველგვარი სიტყვიერი შემოქმედება მჭევრმეტყველებაა.

ჩვენთვის, ცხადია, ეს ცნება თავისი ვიწრო აზრითაა მნიშვნელოვანი.

მეტყველების შინაარსისა და ფორმის, ანუ აზრისა და მისი გამოხატვის ბუნებით, შემოქმედების პროცესითა და დანიშნულების ხასიათით მ ჭ ე ვ რ მ ე ტ ყ ვ ე ლ ე ბ ა ხ ე ლ ო ვ ნ ე ბ ა ა. ის სიტყვიერი ხელოვნებაა, რომელიც თავისი არსებითი სახით მხატვრულ ლიტერატურას უახლოვდება. ორატორის შემოქმედება — მჭევრმეტყველება, და მწერლის შემოქმედება — ლიტერატურა ტონური ხელოვნების დარგებია, რომლებიც ერთმანეთს უშუალოდ ესაზღვრებიან.

მჭევრმეტყველებასა და ლიტერატურას შორის შეინიშნება როგორც მსგავსების, ისე განსხვავების ნიშნები.

მათი მსგავსების უმთავრესი ნიშანი სიტყვაკაზმული ფორმაა, განსხვავების ძირითადი მაჩვენებელი ამ ფორმის სხვადასხვაგვარი გამოხატვაა. მისი გამოხატვა ზ ე პ ი რ ი ა მჭევრმეტყველებაში, ხოლო წ ე რ ი თ ი ა ლიტერატურაში. ორატორისათვის დამახასიათებელია ზეპირი შემოქმედების პროცესი, მწერლისათვის ნიშანდობლივია წერითი შემოქმედების პროცესი. მჭევრმეტყველება ზეპირი მეტყველების უმაღლესი საფეხურია, ხოლო ლიტერატურა წერითი მეტყველების უმაღლესი სფეროა. პირველის შემოქმედებითი მასალის ფორმა ზეპირია, მეორისა — წერითი. მათი სახით საქმე გვაქვს მეტყველების ზეპირ და წერით ფორმებთან.

ეს ფორმები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან.

ზეპირი მეტყველება დროთი შეზღუდულია, ის მიმდინარეობს მსმენელის პირისპირ, მისი პროცესი უწყვეტია, შეუჩერებელი, მეტყველს არ შეუძლია შედგეს, გაასწოროს ან შეცვალოს ნათქვამი; წერითი მეტყველება კი დროთი შეუზღუდველია, ის მიმდინარეობს მკითხველისაგან დამოუკიდებლად, მისი პროცესი შეიძლება შეწყდეს, შეჩერდეს, მწერალს შეუძლია გაასწოროს, შეცვალოს დაწერილი. ზეპირ მეტყველებას საზღვრავს თავისი პროცესის კონკრეტული მომენტი, მახლობელი გარემო, ვითარება, რომელშიც იგი მიმდინარეობს, ის ანგარიშს უწევს მხოლოდ ირგვლივ არსებულს;

წერითი მეტყველება კი არ ისაზღვრება თავისი პროცესის კონკრეტული მომენტით, ის მიმდინარეობს მისგან დამოუკიდებლად, მახლობელი ვითარების მიუხედავად და ანგარიშს უწევს მხოლოდ ზოგად გარემოს. ზეპირი მეტყველება შევსებულია დამხმარე საშუალებებით, ხელის შეწყობი ელემენტებით: ჟესტით, მიმიკით, ხმის ტონალობით; წერითი მეტყველება კი მოკლებულია ამგვარ დამხმარე ფაქტორებს, ის შეზღუდული ენობრივი მოვლენაა, მხოლოდ სიტყვებით აზროვნებაა. ზეპირი მეტყველება ზედმიწევნით სრულყოფილად არ გადმოსცემს აზრს, მისი სტილი არ არის უზადოდ გამართული, მოკლებულია გარეგნულ სისწორეს, ამასთან, მისი დინამიკური ფორმის გამო შეცდომა აქ ნაკლებად შეინიშნება; წერითი მეტყველება კი უაღრესად სრულყოფილი, უკიდურესად სწორი, მკვეთრად ჩამოყალიბებულია და ზედმიწევნით ნათლად გადმოგვცემს აზრს, ამასთან, მისი სტატიკური ფორმის გამო აქ შეცდომა ადვილად შეინიშნება.

ასეთია მეტყველების ფორმების განმასხვავებელი ნიშნები, რომლებიც განსაზღვრავენ მჭევრმეტყველებისა და ლიტერატურის სხვაობას.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ზეპირი მეტყველება მჭევრმეტყველებაში და წერითი მეტყველება ლიტერატურაში წარმოდგენილია მხატვრული სახით, გამოყენებულია ზეგავლენის დანიშნულებით და განკუთვნილია გარეშე ამთვისებლისათვის, მაგრამ მჭევრმეტყველების გარეშე ამთვისებელი მ ს მ ე ნ ე ლ ი ა, ხოლო ლიტერატურისა — მ კ ი თ ხ ვ ე ლ ი. ორატორი და მსმენელი ერთმანეთს ხედებიან შემოქმედებითი პროცესის დროს, მწერალი და მკითხველი — შემოქმედებითი პროცესის შემდეგ. მჭევრმეტყველება უშუალოდ მსმენელს მიემართება, ლიტერატურა — მკითხველს. ეს მოვლენები ნიშანდობლივია მჭევრმეტყველებისა და ლიტერატურისათვის. თუმცა შესაძლებელია ორატორული ქმნილება შუალობით მკითხველს მიემართებოდეს და ლიტერატურული ნაწარმოები — მსმენელს, თუ პირველი წერილობითი სახითაა გამოხატული და მეორე — ზეპირი ფორმით; ლიტერატურული ნაწარმოები შეიძლება ზეპირად წარმოითქვას დაწერის შემდეგ და მსმენელმა მოისმინოს, ხოლო ორატორული ქმნილება შეიძლება წერილობით აღიბეჭდოს წარმოთქმისას, მანამდე ან შემდეგ, და მკითხველმა წაიკითხოს. აქ წერილობით აღბეჭდილი ზეპირი ქმნილება და ზეპირად წარმოთქმული წერილობითი ნაწარმოები არის შუამავალი ავტორსა და ამთვისებელს შორის. მაგრამ ეს მოვლენები არაა ნიშანდობლივი არც მჭევრმეტყველებისა და არც ლიტერატურისათვის.

მჭევრმეტყველება ზეპირი ფორმის ხელოვნებაა თავისი სპეციფიკური ბუნებით, მაგრამ საერთოდ ის სიტყვიერი შემოქმედებაა, რომლის სტილისტიკური სრულყოფისათვის აუცილებელია მისი წერილობითი ფიქსაცია. ყოველი საჯარო ზეპირი სიტყვა არსებითად წერილობით მზადდება. მისი შემდგომი ჩაწერაც ჩვეულებრივი მოვლენაა. ამ გზით მჭევრმეტყველება ღებულობს ფიქსირებულ სახეს, ემსგავსება ლიტერატურულ პროდუქციას და შედის სიტყვაკაზმული მწერლობის საგანძურში. ეს გარემოება განსაზღვრავს ორატორული ხელოვნების ადგილს სიტყვიერი შემოქმედების არეში.

ამრიგად, ზეპირი მეტყველების უმაღლესი სახე — მჭევრმეტყველება — ხელოვნებაა, რომელიც თავისი სპეციფიკური ბუნებით ზეპირ სიტყვაკაზმულობას წარმოადგენს და საერთო ხასიათით მხატვრული ლიტერატურის სფეროს განეკუთვნება.

ამ სფეროს შემოქმედებითი მასალა არის ენა.

„ენა აზრის უშუალო სინამდვილეა"[1], — გვასწავლის მარქსი. აზრის სინამდვილე ენით მიიღწევა პირდაპირ, უშუალოდ. ენა და აზრის რეალობა განუყოფელ ურთიერთკავშირშია. აზრის ფაქტს ადამიანი სიტყვით ეზიარება. „ენა ადამიანთა ურთიერთობის უმნიშვნელოვანესი საშუალებაა"[2], — გვაუწყებს ლენინი. ადამიანთა კავშირი ენის მეშვეობით მყარდება. მას უზრუნველყოფს ენის ძირითადი ფუნქცია — გაგებინება. „ენა არის საშუალება, იარაღი, რომლის შემწეობითაც ადამიანებს ურთიერთობა აქვთ ერთმანეთთან, უზიარებენ ერთმანეთს აზრებს და აღწევენ ურთიერთგაგებას",[3] — ამბობს სტალინი.

ენის წარმოშობა და განვითარება სოციალური მოვლენებით აიხსნება. მათ შორის გადამწყვეტი მნიშვნელობისა არის შრომა. შრომამ წარმოქმნა ენა, „შრომამ შექმნა თვით ადამიანი"[4].

აზრთა გაცვლა-გამოცვლის გარეშე არ არსებობს ადამიანთა ერთიანობა, არ არის საზოგადოებრივი ცხოვრება. „ენა კოლექტივის ქმნილება და კუთვნილებაა, ენა საზოგადოებრივი მოვლენაა"[5], — წერს არნ. ჩიქობავა.

ასეა გაშუქებული ეს საკითხები მარქსისტულ ენათმეცნიერებაში. ასეთია ის პრინციპული მაჩვენებლები, რომელთა მეშვეობით ნათე-

---

[1] К. Маркс, Силтой Макс, გვ. 434.

[2] ვ. ი. ლენინი, ერთა თვითგამორკვევის უფლების შესახებ, გვ. 463.

[3] ი. სტალინი, მარქსიზმი და ენათმეცნიერების საკითხები, გვ. 20.

[4] ფ. ენგელსი, შრომის როლი მაიმუნის ადამიანად გარდაქმნის პროცესში, გვ. 84.

[5] არნ. ჩიქობავა, ენათმეცნიერების შესავალი. გვ. 18.

ლი ეფინება არა მარტო საერთოდ ენის პრობლემებს, არამედ კერძოდ ზეპირი მეტყველებისა და მისი უმაღლესი სახის — მჭევრმეტყველების — საკითხებსაც.

ეს ნაჩვენებია ქვემოთ.

მატერიალისტური მოძღვრების შუქზე მჭევრმეტყველება იდეოლოგიური მოვლენაა. ის ასახავს სინამდვილეს და ცხოვრების შეშეცნების წყაროა. მარქსისტულ-ლენინური დებულებანი ხელოვნებისა და მისი დარგების ზედნაშენური ბუნების, იდეოლოგიური ხასიათისა და შემეცნებითი დანიშნულების შესახებ ვრცელდება ორატორულ ხელოვნებაზე, როგორც სიტყვაკაზმული შემოქმედების სფეროზე. მჭევრმეტყველება სინამდვილის ასახვის ფორმაა, ამ ფორმით ასახული სინამდვილე ცხოვრების შემეცნების საშუალებაა.

ორატორული შემოქმედება სოციალური შინაარსის ხელოვნებაა. ის საზოგადოებრივი აზრის სიტყვიერი გამოვლენის სახეა. მისი არსება ადამიანთა მატერიალური და სულიერი სამყაროს გარემოცვით განისაზღვრება. ამ ნიშნებით ირკვევა მჭევრმეტყველების იდეოლოგიური რაობა და სოციალური დანიშნულება.

ასეთია ორატორული ხელოვნების არსებითი ბუნება, რომლის შემოქმედებით პროცესს, როგორც ითქვა, ქმნის ოთხი ურთიერთდამოკიდებული განმსაზღვრელი მხარე: შ ი ნ ა ა რ ს ი, ფ ო რ მ ა, მ ი ზ ა ნ ი და შ ე ს რ უ ლ ე ბ ა.

ეს მხარეები განხილულია ქვემოთ.

მჭევრმეტყველების ერთი განმსაზღვრელი მხარე არის შ ი ნ ა ა რ ს ი. ის მოიცავს თემას, მოტივებს, იდეებს; მის წრეშია კითხვები, პრობლემები, მოსაზრებანი; აქ არის აზრის სამყარო, სათქმელის არსი, საკითხების წყება. ყოველივე ეს პასუხია კითხვისა: რა არის შინაარსი მეტყველებისა?

მჭევრი მეტყველების პროცესს უზრუნველყოფს, — მოცემულ პ ი რ ო ბ ე ბ შ ი, ა დ გ ი ლ ს ა და დ რ ო შ ი, — ცხოველი, აქტუალური, საყურადღებო, ერთი სიტყვით, ღ ი რ ს შ ე ს ა ნ ი შ ნ ა ვ ი შ ი ნ ა ა რ ს ი.

რაგინდ კაზმული, დამარწმუნებელი და ოსტატურად შესრულებულიც არ უნდა იყოს ზეპირი სიტყვა, თუ ის მოკლებულია ღირსშესანიშნავ შინაარსს, არ ჩაითვლება მჭევრმეტყველებად.

ანტიკური ხანის ბერძენი ორატორი დ ე მ ო ს თ ე ნ ე (384—322 ძვ. წელთ.), თავის სიტყვაში „გვირგვინის შესახებ", ამბობს: „ღირებულებას წარმოადგენს ორატორის სიტყვა არა თავისთავად, და არც ღერა მისი ხმისა, არამედ ის, თუ რაოდენ იზიარებს იგი ხალხის გულისნადებს და რამდენად სძულს ან უყვარს ადამიანები

ისევე, როგორც სამშობლოს"[1]. მეტყველების ფაქტორთა შორის უპირატესობა აქ შინაარსს ენიჭება.

ამავე აზრისაა რომაელი ორატორი ციცერონი (106 — 43 ძვ. წელთ.), რომელიც აღნიშნავს: „ლამაზად ლაპარაკი, როგორც ჰეშმარიტი ორატორი მეტყველებს, სხვა არაფერია თუ არ ლამაზი აზრების შერჩეული სიტყვებით გამოხატვა"[2].

ინგლისელი სახელმწიფო მოღვაწის ჯონ როსელის საჯარო გამოსვლებთან დაკავშირებით კ. მარქსი აღნიშნავდა: „ჩვეულებრივად ორატორები კარგი თხრობით ფარავენ მეტყველების უბადრუკ შინაარსს"[3]. ამ ნათქვამით ნათლად ჩანს შინაარსის განსაკუთრებული მნიშვნელობა ორატორულ ხელოვნებაში.

სიტყვის იდეური არსის გადაწყვეტი მნიშვნელობა მტკიცე დასტურს პოულობს ვ. ი. ლენინის ორატორულ შემოქმედებაში[4]. აქ ფართოდ გამოვლინდა ღრმააზროვანი სიტყვის უდიდესი დანიშნულება. ცნობილია დიდი მოაზროვნის დაუნდობელი ბრძოლა ცარიელი ფრაზის წინააღმდეგ. მისთვის მთავარია სიტყვისა და საქმის ერთიანობა და ამ ერთიანობის იდეური შინაარსი.

„ვისაც არ სურს თავი მოიტყუოს სიტყვებით, დეკლამაციით, წამოძახილებით, მას არ შეუძლია არ დაინახოს, რომ რევოლუციური ომის „ლოზუნგი" 1918 წლის თებერვალში წარმოადგენს სრულიად ცარიელ ფრაზას, რომელსაც არაფერი რეალური, ობიექტური არ ახლავს"[5],—წერს ლენინი უადგილო და უშინაარსო სიტყვის წინააღმდეგ და ასკვნის: „დიახ, დიახ, წვრილბურჟუაზიულობის კვალის ერთ-ერთი გამოხატულება სწორედ რევოლუციური ფრაზის აყოლაში მდგომარეობს"[6].

1911 წელს ასე მიმართავდა ლენინი „ლიბერალური ფრაზის" მოყვარულთ: „თქვენ ა ბ ნ ე ლ ე ბ თ მასების პოლიტიკურ შეგნებას ნაცვლად იმისა, რომ გაანათლოთ იგი, თქვენ ა ბ უ ნ დ ო ვ ა ნ ე ბ თ გონებას სიტყვების რახარუხით ნაცვლად იმისა, რომ მშვიდად, უბრალოდ, ნათლად განმარტოთ..."[7], და იქვე ერთ-ერთი მოწინააღმდეგის შესახებ წერდა: „ის, როგორც ყოველთვის, ლამაზად ლაპარაკობდა. მაგრამ ეს მუქვრმეტყველი ლიბერალი საკითხს მეტისმე-

---

[1] Демосфен, Речи, გვ. 291.

[2] Цицерон, Оратор, გვ. 256.

[3] К. Маркс, Кризис кабинета, გვ. 137.

[4] იხ. Н. Крупская, Ленин как пропагандист и агитатор, გვ. 5—18.

[5] ვ. ი. ლენინი, რევოლუციური ფრაზის შესახებ, გვ. 3.

[6] იქვე, გვ. 13 — 14.

[7] ვ. ი. ლენინი, სამი შეკითხვა, გვ. 519.

ტად უბადრუკად აყენებს. ლიბერალური ფრაზები, ფრაზები და მეტი არაფერი"[1].

ლენინი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს სიტყვას ადამიანთა აღზრდის საქმეში. „საჭიროა მასების ხელაბლა აღზრდა, ხოლო მათი ხელახლა აღზრდა შეუძლია მხოლოდ აგიტაციას და პროპაგანდას"[2],—წერს ის და, ამასთან, პროპაგანდის უმთავრეს იარაღად მიიჩნევს წერით მეტყველებას, ხოლო აგიტაციის ასეთივე საშუალებად — ზეპირ სიტყვას: „... პროპაგანდისტი უმთავრესად მოქმედებს ბეჭდვითი სიტყვით, აგიტატორი — ცოცხალი სიტყვით"[3].

ვ. ი. ლენინის ამ გამონათქვამებსა და ორატორულ ხელოვნებაში ცხადად ნაჩვენებია შინაარსის უპირატესი მნიშვნელობა მჭევრმეტყველებისათვის.

მჭევრმეტყველების მეორე განმსაზღვრელი მხარე არის ფორმა. ის მოიცავს მეტყველების სტილსა და აგებულებას. მის წრეშია ლექსიკური მასალა, კომპოზიციური წყობა და მხატვრული ხერხები. ყოველივე ეს პასუხია კითხვისა: როგორი არის ფორმა მეტყველებისა?

მჭევრი მეტყველების პროცესს უზრუნველყოფს,—მოცემულ პირობებში, ადგილსა და დროში,—მდიდარი ენა, ნათელი სტილი, მხატვრული იერი, მწყობრი აგებულება, ერთი სიტყვით, კაზმული ფორმა.

რაგინდ შინაარსიანი, დამარწმუნებელი და ოსტატურად შესრულებულიც არ უნდა იყოს ზეპირი სიტყვა, თუ ის მოკლებულია კაზმულ ფორმას, არ ჩაითვლება მჭევრმეტყველებად.

ანტიკური ხანის ბერძენი ფილოსოფოსი არისტოტელე (384—322 ძვ. წელთ.) თავის „რიტორიკაში", ორატორულ სტილთან დაკავშირებით, წერს: „არ არის საკმარისი იმის ცოდნა, რაც უნდა ითქვას, აუცილებელია აგრეთვე ისე ითქვას, როგორც საჭიროა"[4]. იგივე ფილოსოფოსი სტილის ღირსეულ მხარეებად თვლის მკაფიობას, სისადაოესა და კაზმულობას[5]. არისტოტელეს აზრით, მხოლოდ ნათელი, ბუნებრივი და მხატვრული სტილია დამარწმუნებელი. ასეთი უნდა იყოს მჭევრი სიტყვის ენობრივი ფორმა. ეს

---

[1] ვ. ი. ლენინი, სამი შეკითხვა, გვ. 519.

[2] ვ. ი. ლენინი, სიტყვა სახალხო განათლების პოლიტგანების თათბირზე, გვ. 455.

[3] ვ. ი. ლენინი, რა ვაკეთოთ?, გვ. 516.

[4] Аристотель, Риторика, გვ. 181.

[5] იქვე, გვ. 183.

მოსაზრება, გამომდინარე ანტიკური ხანის მჭევრმეტყველების დიდი გამოცდილებიდან, დადასტურებულია შემდეგი დროის ხანგრძლივი ორატორული პრაქტიკით.

კულტურული კაცობრიობის მონაპოვარი ამ სფეროში მეცნიერულად განზოგადებულია გორგიას (483—375), პლატონის (427 — 347), არისტოტელეს (384 — 322), ციცერონის (106 — 43), კვინტილიანეს (35 — 118), ლომონოსოვის (1711 — 1765), დოდაშვილისა (1805 — 1836) და სხვათა მიერ.

წარსულის ამ დიდ მემკვიდრეობას აერთიანებს მჭევრმეტყველების თეორია — რიტორიკა. რიტორიკა არის მეცნიერება ორატორული ხელოვნების შესახებ. ამ მეცნიერების საგანი, მოცულობა, მეთოდები და დანიშნულება ერთნაირი არ ყოფილა ყველა ეპოქაში, მაგრამ რიტორიკა, როგორც მეცნიერება, არსებითად ყოველთვის მჭევრმეტყველების ფორმის თეორიას წარმოადგენდა[1]. ამიტომ სწორედ ეს მხარეა აქ უკეთესად დამუშავებული.

მჭევრმეტყველების თეორიის სწავლებით ორატორული სტილის შექმნაში მონაწილეობს სამი ფაქტორი: ტროპული სახე, რიტორიკული ფიგურა და ბგერითი კეთილხმოვანება. ტროპული სახის ძირითადი ხერხებია: შედარება, მეტაფორა, ეპითეტი, მეტონიმია, პერიფრაზი; რიტორიკული ფიგურის ძირითადი ხერხებია: ანტითეზა, გრადაცია, ინვერსია, ანაფორა, შეკითხვა, განმეორება, სინონიმები; ბგერითი კეთილხმოვანების ძირითადი ხერხებია: რიტმი, ფიქსირებული ფორმის განმეორება, ფიქსირებული ფორმის დარღვევა[2].

მხატვრული აზროვნების ამ მრავალფეროვანი ხერხებით ყალიბდება ორატორული შემოქმედების სტილი.

სტილის გვერდით მჭევრი სიტყვის ფორმას ქმნის მეტყველების აგებულება. ორატორის სიტყვა მწყობრი ენობრივი პროცესია. ასეთი პროცესი არ წარმოიდგინება კანონზომიერი კომპოზიციის გარეშე. ორატორული ქმნილება აზრითა და ფორმით გამორჩეული ნაწილების ორგანიზებული ერთობაა. ამ შემოქმედებითი ერთობის გზები ნაჩვენებია მჭევრმეტყველების თეორიაში. ჯერ კიდევ არისტოტელემ გამოყო ორატორული სიტყვის შემადგენელი ნაწილები: წინასიტყვაობა, თხრობა, დარწმუნების ეპიზოდები და დასკვნა[3].

---

[1] იხ. С. Меликова-Толстая, Античные теории художественной речи, გვ. 147 — 167.

[2] იხ. გრ. კიკნაძე, მეტყველების სტილის საკითხები, გვ. 29 — 143.

[3] Аристотель, Реторика, გვ. 207.

შემდეგი დროის მითითებანი ამ სფეროში არსებითად ამაეე სქემას იმეორებენ, ანდა მის ნაირსახეობას წარმოადგენენ[1].

მჭევრმეტყველების მესამე განმსაზღვრელი მხარე არის მ ი ზ ა ნ ი. ის მოიცავს საფუძვლებს, წინამძღვრებს, საბუთებსა და დებულებებს; მის წრეშია სწავლება, დამტკიცება, დარწმუნება, ზეგავლენა. ყოველივე ეს პასუხია კითხვისა: რისთვის ხდება მეტყველება?

მჭევრი მეტყველების პროცესს უზრუნველყოფს,—მოცემულ პ ი რ ო ბ ებ ში, ა დ გ ი ლ ს ა და დ რ ო ში,— ლოგიკური აზროვნება, მართებული მსჯელობა, სწორი დასკვნები, ჭეშმარიტება, გულწრფელობა, პირუთვნელობა, ერთი სიტყვით, დ ა მ ა რ წ მ უ ნ ებ ე ლ ი ა ზ რ ი.

რაგინდ შინაარსიანი, კაზმული და ოსტატურად შესრულებულიც არ უნდა იყოს ზეპირი სიტყვა, თუ ის მოკლებულია დამარწმუნებელ აზრს, არ ჩაითვლება მჭევრმეტყველებად.

რიტორიკაში მჭევრმეტყველება ყოველთვის დარწმუნების ხელოვნებად ითვლებოდა[2]. ორატორული სიტყვის თეორია საგანგებოდ სწავლობს იმ გზებსა და ხერხებს, რომელთა მეშვეობით ზეპირი სიტყვა დამარწმუნებელ გავლენას ახდენს ადამიანზე. მსმენელთა დაჯერება-დარწმუნებისათვის საკმარისი არ არის ობიექტური ჭეშმარიტების გულგრილი ჩვენება, საჭიროა მისი თვალსაჩინო, კონკრეტული, ცხოველი გამოხატვა. სინამდვილის ერთი ასეთი აქტუალური გამომხატველი არის ცოცხალი სიტყვა. ის არა მარტო გვიჩვენებს სინამდვილეს, არამედ კიდეც გვიზიარებს მას, ხილულად, ცხადად და მგზნებარედ გადმოცემულ ჭეშმარიტებას აქცევს ჩვენი ცნობიერების კუთვნილებად.

სიტყვით დარწმუნების ხელოვნებასთან დაკავშირებით ვ. ი. ლენინი წერს: „ყოველი პროპაგანდისტისა და ყოველი აგიტატორის ოსტატობა სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ საუკეთესოდ იმოქმედოს ამა თუ იმ აუდიტორიაზე, რომლისთვისაც ცნობილი ჭეშმარიტება უნდა გახადოს რაც შეიძლება უფრო დამაჯერებელი, რაც შეიძლება ადვილად შესათვისებელი, რაც შეიძლება უფრო თვალსაჩინოდ და უფრო მტკიცედ დასახსომებელი"[3].

მჭევრმეტყველების მეოთხე განმსაზღვრელი მხარე არის შ ე ს რ უ ლ ე ბ ა. ის მოიცავს მეტყველების ტექნიკურ ფაქტორებს; მის

---

[1] იხ. Д е м о с ф е н, Речи, გვ. 470; Ц и ц е р о н, Речи, I, გვ. 5 — 124 — 300 და სხვ.

[2] А р и с т о т е л ь, Реторика, გვ. 181; Д е м о с ф е н, Р е ч и, გვ. 465; М. В. Л о м о н о с о в, Краткое руководство к красноречию, გვ. 91; В. Г о ф м а н, Слово оратора, გვ. 69.

[3] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, ლოზუნგების შესახებ, გვ. 405 — 406.

წერაშია წარმოთქმის საშუალებანი და გამოხატვის გზები. ყოველივე ეს პასუხია კითხვისა: რანაირად სრულდება მეტყველება?

მკვლევრი მეტყველების პროცესს უზრუნველყოფს, — მოცემულ პირობებში, ადგილსა და დროში, — შესაბამისი ტონალობა, გამომეტყველი თქმა, გამართული ტექნიკური მხარე, სწორი დიქცია და ორთოეპია, ჯეროვანი მიმიკა და ჟესტიკულაცია, ერთი სიტყვით, ოსტატური შესრულება.

რაგინდ შინაარსიანი, კაზმული და დამარწმუნებელიც არ უნდა იყოს ზეპირი სიტყვა, თუ ის მოკლებულია ოსტატურ შესრულებას, არ ჩაითვლება მკვირმეტყველებად.

ციცერონის მოწმობით, როცა დემოსთენეს ჰკითხეს, თუ რა არის ორატორისათვის უმნიშვნელოვანესი, მან დარწმუნებით უპასუხა: „შესრულება, შესრულება, შესრულება"[1]. აქ მთელი სიცხადით ჩანს ოსტატური შესრულების დიდი მნიშვნელობა ორატორულ ხელოვნებაში.

ოსტატური შესრულების ტექნიკა და მისი მნიშვნელობა მკვირმეტყველებისათვის ხაზგასმულია ფ. ენგელსის მიერ გერმანელი თეოლოგის მარჰაინეკეს ორატორულ პორტრეტში, რომელიც აღბეჭდილია მეცნიერის ერთ-ერთ წერილში[2].

ჯერ კიდევ ანტიკური ხანის რიტორიკაში ცნობილი იყო, რომ ორატორი თავისი ხელოვნებით მსმენელს ასწავლის, აღელვებს და ატკბობს[3]. სწავლებასთან ერთად აქ ემოციური ზეგავლენისა და ესთეტიკური სიამოვნების ელემენტებსაც ვხედავთ. ეს მხარეები შეადგენს მკვირმეტყველების დანიშნულებას, მათ ერთობაში ვლინდება ორატორის ამოცანა. ამ უკანასკნელის გადაწყვეტა შეუძლებელია მარტოოდენ აზროვნების სიღრმით, მეტყველების სისრულითა და ლოგიკური უზადოებით. აქ თავს იჩენს გამომეტყველებითი წარმოთქმის საჭიროება. ასეთ წარმოთქმას უზრუნველყოფს მეტყველების მაღალი ტექნიკური დონე, რომლის ძირითადი ფაქტორებია: ხმა, მახვილი, პაუზა და ტემპი, ამასთან, შესაფერი დამხმარე ღონისძიებანი, რომლის ძირითადი ფაქტორებია: მიმიკა და ჟესტი[4].

---

[1] Демосфен. Речи, გვ. 477 — 478; M. Weller, Das Buch der Redekunst, გვ. 130.

[2] იხ. Ф. Энгельс, Дневник вольнослушателя, გვ. 151.

[3] Цицерон, О наилучшем роде ораторов, გვ. 35; С. И. Радциг, Демосфен — оратор и политический деятель, გვ. 464.

[4] იხ. И. Я. Блинов, Выразительное чтение и культура устной речи, გვ. 81—125; 168—171.

ამ ფაქტორთა კანონზომიერი შემოქმედებითი შეთავსება ქმნის მჭევრი მეტყველების ზემოხსენებულ განმსაზღვრელ მხარეს.

საგანგებო ყურადღების ღირსია ის გარემოება, რომ მჭევრმეტყველების შემადგენელი მხარეები — შინაარსი, ფორმა, მიზანი და შესრულება — განუყოფელი ერთიანობით გვეველინება ორატორულ ხელოვნებაში, სადაც ღირსშესანიშნავი შინაარსის გარეშე უაზროა კაზმული ფორმა, დამარწმუნებელი აზრი და ოსტატური შესრულება; ლამაზი ფორმის გარეშე უფერულია საყურადღებო შინაარსი, დამაჯერებელი აზრი და ოსტატური შესრულება; დამარწმუნებელი აზრის გარეშე უმიზნოა საინტერესო შინაარსი, ხატოვანი ფორმა და ჯეროვანი შესრულება; ხოლო ოსტატური შესრულების გარეშე უძლურია ღირსეული შინაარსი, მხატვრული ფორმა და დამარწმუნებელი აზროვნება.

მჭევრმეტყველების შემადგენელი მხარეების იშვიათ ერთიანობას წარმოადგენს ვ. ი. ლენინის ორატორული ხელოვნება, რომლის რელიეფური სურათი დაგვიტოვა ი. ბ. სტალინმა: „არაჩვეულებრივი ძალა, არგუმენტაციის სიმარტივე და სიცხადე, მოკლე და ყველასათვის გასაგები ფრაზები, არავითარი პრანჭვა-გრეხა, არავითარი თავბრუდამხვევი ჟესტები და ეფექტიანი ფრაზები, რომელთა მიზანია შთაბეჭდილების მოხდენა,—ყველაფერი ეს ხელსაყრელად განასხვავებდა ლენინის სიტყვებს ჩვეულებრივი „საპარლამენტო“ ორატორების სიტყვებისაგან... ლენინის სიტყვებში მე მომხიბლა ლოგიკის იმ უძლეველმა ძალამ, რომელიც რამდენადმე მშრალად, მაგრამ სამაგიეროდ საფუძვლიანად იპყრობს აუდიტორიას, თანდათან აჯადოებს მას და შემდეგ, როგორც იტყვიან, მთლიანად ატყვევებს... ვფიქრობ, ლენინის სიტყვების ეს თავისებურება მისი ორატორული ხელოვნების ყველაზე ძლიერ მხარეს წარმოადგენს“[1].

[1] ი. სტალინი, ლენინის შესახებ, გვ. 65—66.

3. ქართული მჭევრმეტყველების საისტორიო წყაროები

ქართული მჭევრმეტყველების საისტორიო წყაროები უხვადაა შემონახული როგორც ქართულ, ისე უცხო ენებზე. ეს წყაროები ჩვენამდე მოღწეულია მრავალფეროვანი მასალის სახით: აქ დაცულია ორატორული ძეგლები, მათი პერიფრაზული შინაარსი, შემორჩენილი ნაწილები, ფრაგმენტები და მათივე შემხები ცნობები; აქვეა ზეპირი სიტყვის ოსტატთა სახელები, მათ შესახებ გამოთქმული აზრები და მათი შემოქმედების ანალიზის ცდები; აქვე გვხვდება მჭევრმეტყველების ტერმინოლოგია, დარგებისა და ჟანრების დასახელება, საორატორო ცენტრებზე მითითება, საჯარო გამოსვლების აღწერილობა და ა. შ.

ეს მდიდარი მასალა, გაფანტული უამრავ მეცნიერულ, მხატვრულ, ეპისტოლარულ, მემუარულსა და სხვა სახის ნაშრომებში, განფენილი თითქმის ოცი საუკუნის მანძილზე, წარმოადგენს ქართული მჭევრმეტყველების ისტორიის სანდო პირველწყაროს. ამ საგანძურში შემავალი საისტორიო დოკუმენტების კრიტიკული შესწავლის, ანალიზისა და მეცნიერული განზოგადების გზით უნდა შეიქმნას ჩვენი მრავალსაუკუნოვანი კულტურის ერთი თვალსაჩინო დარგის — მჭევრმეტყველების ისტორია. ეს დარგი საუკუნეთა მანძილზე ამშვენებს ქართულ კულტურას, მსგავსად იმ ხუროთმოძღვრული შედევრებისა, რომელთა შიგნით გაისმოდა ჩვენი ცოცხალი სიტყვის ღერა. ამ სიტყვას დღემდე არ დაუკარგავს თავისი დიდი ისტორიული მნიშვნელობა; მისი უკეთესი ნაწილი დღესაც ერთგვარი ნიმუშის სახით და შთაგონების წყაროდ გვევლინება. ამიტომ არის აუცილებელი ქართული მჭევრმეტყველების მეცნიერული შესწავლა, თეორიული დაუფლება და პრაქტიკული გამოყენება. ეს შესწავლა, დაუფლება და გამოყენება საისტორიო პირველწყაროებსა და მასალებს უნდა ემყარებოდეს. ამ თვალსაზრისით არის ქვემოთ წარმოდგენილი ჩვენი მჭევრმეტყველების ძირითადი საისტორიო წყაროების ზოგადი მიმოხილვა.

ამჟამად ჩვენთვის საყურადღებო უადრესი სანდო ცნობები შემონახულია ბერძნულ, ლათინურსა და არამეულ ენებზე, ბერძენი, რომაელი და ბიზანტიელი მწერლების ნაშრომებსა და ჩვენში მოპოვებულ ეპიგრაფიკულ ძეგლებში.

უადრესი საისტორიო წყარო, რომლის მითითებით ჩვენთვის საგულისხმო ფაქტების დადგენა და მათი შინაარსის გარკვევა ხერხდება, ჩვენი ერის დასაწყისის ბერძენი გეოგრაფის სტრაბონის „გეოგრაფიაა"[1]. აქ საქართველოსა და მისი მოსაზღვრე ქვეყნების იმდროინდელ ისტორიულ მოვლენებთან დაკავშირებით ავტორი გვიზიარებს ისეთ რეალიებს, რომელთა მეშვეობით ნათელი ეფინება ქართული მჭევრმეტყველების შორეული სათავეების ზოგიერთ საკითხს. ასეთი საკითხებია: მაშინდელი საჯარო სიტყვის ფუნქციები დანიშნულება, სახეები და ა. შ. ამ მნიშვნელოვან საკითხებს ეხებიან სტრაბონის ჩვენებანი სვანთა უზენაეს მმართველთან არსებული საბჭოს შესახებ, ალბანელ მოგვთა წინასწარმეტყველებაზე, იბერთა მოსახლეობის ქურუმთა გვარის თაობაზე, რომელსაც ევალებოდა მეზობლებთან ურთიერთობის მოგვარება და სხვ.

ყოველივე ეს მეტად საყურადღებო მასალას წარმოადგენს ჩვენი მჭევრმეტყველების საწყისების ნათელსაყოფად.

შემდეგი საისტორიო წყარო, რომელიც საგანგებოდ ეხება ქართულ მჭევრმეტყველებას და გადმოგვცემს ცნობას ჩვენი ერთი ადრინდელი ზეპირი სიტყვის შესახებ, I საუკუნის რომაელი ისტორიკოსის კორნელი ტაციტუსის „მატიანეა"[2]. აქ მეექვსე წიგნის ოცდამეთოთხმეტე თავში ლაპარაკია ქართველებსა და პართელებს შორის წარმოებულ ომზე და დასახელებულია იბერთა მეფე ფარსმან პირველი (30 — 60-იანი წწ. I ს. ახ. წ.), რომელსაც ბრძოლის წინ სიტყვა უთქვამს მხედრობის მიმართ. წყაროში მესამე პირით გადმოცემულია ფარსმანის სიტყვის შინაარსი, რომელიც დაპირისპირების რიტორიკული ხერხითაა აგებული. ეს არის სამხედრო დარგის მჭევრმეტყველების მეტად შორეული ნიმუში, რომელსაც წერილობითი სახით მოუღწევია ჩვენამდე და, მიუხედავად პარაფრაზული თხრობისა, დიდი მნიშვნელობა გააჩნია ჩვენი ორატორული ხელოვნების სათავეების გასათვალისწინებლად.

მომდევნო საისტორიო წყაროს წარმოადგენს II საუკუნის ბერძენი ისტორიკოსის დიონ კასიოსის „რომის ისტორიაა", რომელიც შეიცავს ცნობებს ჩვენი დიპლომატიური ურთიერთობის შესახებ,

---

[1] სტრაბონი, გეოგრაფია.

[2] Cornelius Tacitus, Annales, VI, 34.

ახალი წელთაღრიცხვის დასაწყისში და გვიხატავს იმდროინდელი ქართული საელჩო მშვიდობიანობის საყურადღებო სურათს[1]. აქ XXXVII წიგნის პირველ და მეორე თავებში მოთხრობილია იბერიის მეფის არტაგის მიერ პომპეუსის წინაშე წარგზავნილი ელჩებისა და მათი სადესპანო მისიის შესახებ, რაც ზეპირი სიტყვის ფართო გამოყენებასა და დიდ მნიშვნელობაზე მიუთითებს იმჟამინდელ პოლიტიკურ ცხოვრებაში.

იმავე პერიოდის მცხეთის რამდენიმე ეპიგრაფიკული ძეგლი გაკვრით ეხება ჩვენი ცოცხალი მეტყველების სფეროს და შემოვლილი გზით გვიჩვენებს სამხედრო მშვიდობიანობის ადრინდელ ვითარებას. ამ მხრივ დიდად საინტერესოა არმაზის ერთენოვანი წარწერა, რომლის შინაარსი ცხადად ამტკიცებს ზეპირად წარმოთქმული სიტყვის საპატიო დანიშნულებას, რაც საომარი წარმატების უკვდავყოფის ცდით დასტურდება ამ შემთხვევაში და შორეული წარსულის ზეპირი მეტყველების საგრძნობი განვითარების მაჩვენებელია[2].

შემდეგი ცნობები მოღწეულია IV საუკუნიდან.

ამ საუკუნის ბერძენი რიტორი და ფილოსოფოსი, კლასიცისტური რიტორიკული პროზის წარმომადგენელი ლიბანიოსი (314—393) თავისი ეპისტოლარული მემკვიდრეობის ძეგლებში[3], რომლებიც მიმართულია ბაკურის, არისტენეტესა და ლეონტის მიმართ, ლაპარაკობს ზეპირი სიტყვის ხელოვნებაზე და, მეცნიერებაში მიღებული აზრის თანახმად, ეხება ქართველ ფილოსოფოსსა და ორატორს ბაკურს. ეს სახელი მოხსენებულია აგრეთვე ბერძენი ისტორიკოსების გელასი კესარიელის (IV ს.), გიორგი ამარტოლისა (IX ს.) და სხვ. ნაშრომებში, რომლებშიც იგივე ქართველი ფილოსოფოსი და ორატორი უნდა იგულისხმებოდეს[4]. აღნიშნული წყაროებით ნათელი ეფინება ჩვენი მშვიდობიანობის შორეულ სათავეებს.

ქართული მშვიდობიანობის ისტორიისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა გააჩნია IV საუკუნის ბერძენი ფილოსოფოსისა და ორატორის თემისტიოსის XXVII სიტყვას[5], რომელიც თავისი

---

[1] Дион Кассий, Римская история, XXXVII, 1—2.

[2] გ. წერეთელი, არმაზის ბილინგვა, გვ. 42.

[3] ლიბანიოსი, წერილები 963, 964, 980.

[4] იხ. ს. ყაუხჩიშვილი, გელასი კესარიელი ქართლის მოქცევის შესახებ; ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, I, გვ. 205—207; გ. გოზალიშვილი, არის თუ არა ბერძნულ-ლათინური წყაროების ბაკური იბერიის მეფე?

[5] თემისტიოსი, XXVII სიტყვა, გვ. 336; ს. ყაუხჩიშვილი, ბერძნული ლიტერატურის ისტორია, II, გვ. 351; ქართული მშვიდობიანობა, გვ. 100.

შინაარსით მიმართულია ერთი პროვინციელი ახალგაზრდისადმი. ეს სიტყვა წარმოადგენს ძვირფას ისტორიულ დოკუმენტს, რომელიც შეიცავს ცნობას კოლხეთის რიტორიკული სკოლის შესახებ. ამ ცნობის მიხედვით IV საუკუნის შუა წლებში, კოლხეთში, დღევანდელი ფოთის მახლობლად, არსებობდა რიტორიკული განათლების ცენტრი, რომელშიც ფილოსოფიასა და მჭევრმეტყველებას სწავლობდნენ ჩვენში საგანგებოდ მოვლინებული ბერძენი ახალგაზრდები. ამ სკოლაში სწავლობდნენ, მაგალითად, ხსენებული დოკუმენტის ავტორი თემისტიოსი და მისი მამა ევგენიოსი[1]. ეს იძლევა საფუძველს ვივარაუდოთ, რომ სკოლის დაარსება III საუკუნეს განეკუთვნება. ბერძენი ახალგაზრდების გვერდით, ცხადია, აქ ქართველი ჰაბუკებიც სწავლობდნენ, რაც ნათლად დასტურდება მომდევნო პერიოდის ქართული ორატორული ხელოვნების დიდი წარმატებით. საფიქრებელია ავგრეთვე, რომ კოლხეთის რიტორიკულ სკოლაში სწავლება ორ ენაზე, ქართულსა და ბერძნულზე მიმდინარეობდა[2]. რიტორიკული განათლების ეს ცენტრი მეცნიერებაში დღეს კოლხეთის აკადემიის სახელით არის ცნობილი.

თემისტიოსის ხსენებული სიტყვა მეტად საყურადღებო წყაროა საერთოდ ჩვენი კულტურის ისტორიისა და კერძოდ ზეპირი მეტყველების წარსულის გასათვალისწინებლად.

ქართული მჭევრმეტყველების შემდეგი საისტორიო წყაროები მოღწეულია VI საუკუნიდან.

ეს წყაროები გამოირჩევიან თავიანთი სიუხვითა და სისრულით. აქ დამოწმებულია ქართველი ორატორები და წარმოდგენილია მათი სიტყვების ტექსტები, ნაჩვენებია ამ სიტყვების გამომწვევი მიზეზები და გარემო, წარმოთქმის პირობები და შედეგი. ამ მდიდარი მასალის საფუძველზე შესაძლებელი ხდება VI საუკუნის ქართული მჭევრმეტყველების სრული სურათის აღდგენა. ხსენებული მასალა ეკუთვნის ორ ბიზანტიელ ისტორიკოსს—პროკოპი კესარიელსა[3] და აგათია სქოლასტიკოსს[4]. ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია აგათია სქოლასტიკოსის საისტორიო მემკვიდრეობა.

პროკოპი კესარიელი VI საუკუნის პირველი ნახევრის ბიზანტიელი ისტორიკოსია, რომლის კალამს ეკუთვნის ბევრი საყურადღებო ნაშრომი, რომელთა შორის იმდროინდელ საქართველოს

---

[1] იხ. ს. ყაუხჩიშვილი, რიტორიკული განათლების ცენტრი ძველს კოლხეთში.

[2] იხ. შ. ნუცუბიძე, ქართული ფილოსოფიის ისტორია, I, გვ. 92—104.

[3] იხ. გეორგიკა, II, გვ. 11—195.

[4] იხ. გეორგიკა, III, გვ. 23—187.

პოლიტიკურ ვითარებას გვიხატავს მისი მეოთხე წიგნი. ამ წიგნში ბიზანტიის კეისრის იუსტინიანე პირველის (VI ს.) დროინდელი ომებია აღწერილი და იმავე პერიოდის საქართველოს ისტორიული ამბებია წარმოდგენილი.

აქ დაცულია კოლხეთის მეფის გუბაზის სიტყვა[1], თქმული მხედრობის მიმართ, მოხირისთან ბრძოლის წინ, 550 წელს. ეს სიტყვა ქრონოლოგიურად პირველი ორატორული ძეგლია, რომელიც მოღწეულია ჩვენამდე სრული სახით და, ჯერხნობით, ქართული მშვერმეტყველების ისტორიის ყველაზე ადრინდელ მთლიან ქმნილებად უნდა ჩაითვალოს. აქვე მოთავსებულია ჩვენი საელჩო მშვერმეტყველების ერთი მეტად საინტერესო ძეგლი — ლაზთა დესპანის სიტყვა სპარსეთის მეფის ხოსრო პირველის წინაშე[2].

აგათია სქოლასტიკოსი (535 — 582) ბიზანტიელი პოეტი და ისტორიკოსია, რომელსაც ფართო განათლება მიუღია ალექსანდრიასა და კონსტანტინეპოლში. მას პირველ ხანებში უწერია მხატვრული ნაწარმოებები, შემდეგ—საისტორიო შრომები. მისი საისტორიო თხზულება შედგება ხუთი წიგნისაგან, რომელთა შორის მესამე, მეოთხე და მეხუთე ეხება აღმოსავლეთის ომებს და გადმოგვცემს საქართველოს ისტორიულ ამბებს. VI საუკუნის მეორე ნახევრის დასაწყისის საქართველოსათვის აგათიას ნაშრომი ძირითადი საისტორიო წყაროა[3].

ამ წყაროში დასურათებულია იმჟამინდელი ჩვენი ქვეყნის, ჯერძოდ, კოლხეთის პოლიტიკური ვითარება, რომლის ფონზე წარმოდგენილია ქართველი ორატორების აიეტისა და ფარტაზის სიტყვები[4] ფარულ ყრილობაზე და კოლხთა წარმომადგენლის სიტყვა[5] გუბაზ მეფის მკვლელთა გასამართლებაზე. აქვე აღწერილია კოლხეთის მეფის გუბაზის მკვლელობასთან დაკავშირებით მოწვეული სახალხო კრება და გასამართლება, რომლებზედაც წარმოითქვა ხსენებული სიტყვები.

ყოველივე ეს ძვირფასი წყაროა ჩვენი იმდროინდელი ორატორული ხელოვნების შესასწავლად.

---

[1] იხ. ა. ჰყონია, ისტორიული ნარკვევი, გვ. 352—353; გეორგიკა, II, გვ. 117—119; ქართული მშვერმეტყველება, გვ. 104.

[2] იხ. ა. ჰყონია, დასახელებული ნაშრომი, გვ. 349—351; გეორგიკა, II გვ. 48—53.

[3] იხ. გეორგიკა, III, გვ. 23—24.

[4] იხ. ა. ჰყონია, დასახელებული ნაშრომი, გვ. 354—365; კირთონი და გრ. ყიფშიძე, სიტყვიერების თეორია, გვ. 266—278; გეორგიკა, III, გვ. 64—70, 72—81; ქართული მშვერმეტყველება, გვ. 106—109, 110—115.

[5] გეორგიკა, III, გვ. 129—140; ქართული მშვერმეტყველება, გვ. 116—121.

გადავდივართ ქართულ საისტორიო პირველწყაროებზე.

მშვერმეტყველების საისტორიო ცნობებს შეიცავს ჩვენი მდიდარი სასულიერო მწერლობა, კერძოდ მისი აგიოგრაფიული დარგი, რომელშიც ღრმად აღბეჭდილია კვალი ქართული ორატორული ხელოვნებისა. ეს კვალი აქ წარმოდგენილია ზეპირი მეტყველების თეორიული ან პრაქტიკული მაჩვენებლებით და ორსავე შემთხვევაში ძვირფასი მასალაა ზეპირი სიტყვის წარსულის აღსადგენად.

ქრონოლოგიურად პირველი აგიოგრაფიული ნაწარმოები, რომელშიც ვპოულობთ მასალას ჩვენი ადრინდელი სამქადაგებლო და სამოსამართლო მშვერმეტყველების შესასწავლად, არის „ევსტათი მცხეთელის მარტვილობა“[1]. თხზულება მიეკუთვნება VI საუკუნის მეორე ნახევარს. მისი ავტორი უცნობია, მაგრამ ჩანს, რომ თანამედროვეა აღწერილი ამბებისა, რომელთა შორის ჩვენთვის განსაკუთრებით საყურადღებოა ქრისტიანული მქადაგებლობა და სამართლის წარმოების წესი, რაც ნაჩვენებია ქართლის პოლიტიკური მდგომარეობის ფონზე.

შემდეგი დროის აგიოგრაფიული ნაწარმოები, რომელიც შეიცავს არა მარტო ცნობებს ჩვენი სამქადაგებლო და სადღესასწაულო მშვერმეტყველების შესახებ, არამედ თვით დამოუკიდებელ ორატორულ ქმნილებასაც, არის VIII საუკუნის მწერლის იოანე საბანისძის „აბო ტფილელის მარტვილობა“[2]. ამ თხზულების მეოთხე თავი „ქებაჲ წმიდისა ჰაბოჲსი“[3] ბრწყინვალე სამქადაგებლო-სადღესასწაულო ორატორული ძეგლია, რომელიც დართული აქვს ნაწარმოებს ამბიონიდან წასაკითხავად ან წარმოსათქმელად. ყველა ნიშნის მიხედვით ის უფრო მსმენელს მიემართება, ვიდრე მკითხველს.

ძველი ქართული პროზის დიდებული ქმნილება, X საუკუნის მწერლის გიორგი მერჩულის „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“[4] წარმოადგენს ქართული მშვერმეტყველების ისტორიის შესანიშნავ წყაროს, რომელიც ნათელს ჰფენს ჩვენი ზეპირი სიტყვის ბევრ საყურადღებო მხარეს. მწერალი გრიგოლ ხანძთელის სამოღვაწეო სფეროში საგანგებო ადგილს უთმობს ზეპირ მოძღვრებას, რასაც წარმატებით მიმართავდა ეს უკანასკნელი, მოწაფეთა განსწავლის მიზნით, ხანძთისა და შატბერდის მონასტრებში. ავტორი აღწერს არა მარტო წიგნიდან კითხვით დამოძღვრების წესს, არამედ ზეპირი

[1] ძველი ქართული ლიტერატურის კრესტომათია, I, გვ. 44—54.
[2] იქვე, გვ. 55—71.
[3] იქვე, გვ. 69—71; ქართული მშვერმეტყველება, გვ. 126—129.
[4] გიორგი მერჩულე, ცხორება გრიგოლ ხანძთელისა.

მეტყველების გზით წარმოებულ სწავლებასაც. ის წერს: „...მოძღურებისა მისისა სწაელითა აღავსებდა გულსა მოწაფეთა თჳსთასა. რამეთუ არა ხოლო თუ წიგნთა საღმრთოთა ოდენ სიბრძნისმეტყუელებდა ყოველით კერძო, არამედ წმიდისა კათოლიკე ეკლესიისა საქადაგებელსა გალობასა სრულიად წელიწდისა განგებითა მოძღუარი იყო განუკითხველად, და ყოველთა დღესასწაულთა განგებაჲ კეთილად იცოდა, რამეთუ რომელიცა დაესწაჲა—დაუვიწყებელად აჴსოვდა. და აქუნდა ჴმისა ნებიერობაჲ და ტკბილობისა შუენიერებაჲ, ხოლო განსაკჳრვებელ იყო ჴსოვნებაჲ მისი“[1].

ქვემოთ მერჩულე მიუთითებს ხანძთელის მიერ შექმნილ სამქადაგებლო სიტყვათა კრებულზე და გვაუწყებს ავტორის უჩვეულო მეხსიერების ნაყოფიერ შედეგს. მწერალი აღნიშნავს: „ხოლო ახლისა სჯულისა დაბეჭდულნი წიგნნი ზეპირით იცოდნა და მრავალნი წიგნნი ძუელისაცა შჯულისანი; არამედ დაუბეჭდველნი წმიდათა მოძღუართა თქმულნი აურაცხელნი წარმოითქუმოდეს უწიგნოდ ენითა მისითა“[2]. აქ ნათლად ნაჩვენებია ზეპირი სიტყვის ფართო ასპარეზი.

გიორგი მერჩულის ნაწარმოებში ერთგან მოყვანილია საკმაოდ ვრცელი ტექსტი გრიგოლ ხანძთელის სიტყვისა, რომელიც ორატორს წარმოუთქვამს ხანძთისა და შატბერდის მკვიდრთა წინაშე. ჯერ ნათქვამია: „იგი ადგილსა მაღალსა დადგა შორის ერსა... და თქუა“... შემდეგ წარმოდგენილია ტექსტი, რომელიც აგებულია ზეპირი სიტყვის წესის კვალობაზე—შესაველით, მიმართვებითა და დასკვნით. სიტყვაში რამდენიმე მჭევრად გამართული ადგილია; მაგალითად: „კეთილად აღორძნდი, შატბერდო, და შეიმკვე მადლითა და განძლიერდი ძალითა ღმრთისაჲთა, რაჲთა ნაყოფი მსხუერპლთა შენთაჲ ჟამად-ჟამად უბიწოჲ შესწირო უფლისა, რამეთუ მე აწ ესერა მშჯიდობასა დაგიტევებ შენ, და არღარა იხილო პირი ჩემი ჴორციელად ვიდრე უფლისა დიდებით მოსლვამდე. აწ დალაცათუ ჴორცითა განგეშორები, ხოლო სულითა მარადის შენ თანა ვარ შეწევნად შენდა!“[3].

ასე ლამაზად და მკვეთრად გაისმის გიორგი მერჩულის ორატორული პასაჟები; მაგრამ უფრო მნიშვნელოვანი ის არის, რომ მისი ნაწარმოები ერთი უწყვეტლად გაბმული კეთილხმოვანი თხრობაა, რომელიც გვხიბლავს თავისი მწყობრად გამართული ლაღი დინებით.

---

[1] გიორგი მერჩული, ცხორება გრიგოლ ხანძთელისა, გვ. 80.

[2] იქვე, გვ. 81.

[3] იქვე, გვ. 125.

ძველი ქართული სიტყვაკაზმულობის ეს უჭკნობი შედევრი შემკულია ნატიფი სისადავითა და მაღალი უბრალოებით.

ყოველივე ამასთან ერთად დიდი მწერალი ღრმააზროვანი რწმენით გვიჩვენებს ქართული ენის ფართო ასპარეზს და ეროვნულ დანიშნულებას. მას მშობლიური ენა მიაჩნია ქართველი ხალხის ერთიანობის ძირითად მანიშნებლად, როცა წერს: „ქართლად ფრიადი ქუეყანაჲ აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვაჲ ყოველი აღესრულების“[1]. აქ ნაჩვენებია ენის ერთობისა და საერთო კულტურის ნიადაგზე გაერთიანებული საქართველო ჯერ კიდევ მანამდე, ვიდრე მისი დანაწილებული სამეფო-სამთავროები პოლიტიკურად გაერთიანდებოდა[2].

ამრიგად, გიორგი მერჩულის თხზულება „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“ მრავალმხრივ საყურადღებო საისტორიო წყაროა ქართული მჭევრმეტყველებისა.

შემდეგი აგიოგრაფიული ნაწარმოები, რომელიც მდიდარ მასალას გვაწვდის ქართული მჭევრმეტყველების სამონასტრო კერების გასარკვევად, არის XI საუკუნის მწერლის გიორგი მთაწმიდელის თხზულება „ცხორებაჲ იოვანესი და ეფთჳმესი“[3]. ნაწარმოებში აღწერილია ათონის ლიტერატურული სკოლის მამამთავრის ექვთიმე ათონელისა და მისი მამის იოანეს ცხოვრება. აქ X—XI საუკუნეების საქართველოს სახელმწიფოებრივი ვითარების ფონზე ნაჩვენებია ბევრი საყურადღებო მოვლენა, რომელთაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდათ ჩვენი ზეპირი სიტყვის განვითარებისათვის. ნაწარმოები დაწერილია მკვეთრად ჩამოყალიბებული ძველი ქართული ენით და თავისთავად წარმოადგენს მჭევრი სიტყვის საუკეთესო ნიმუშს.

ხსენებული თხზულების ავტორი, გიორგი მთაწმიდელი, ღირსეული გამგრძელებელია ექვთიმე ათონელის მოღვაწეობისა ათონის ივერიის მონასტერში, საბერძნეთის მიწა-წყალზე, სადაც XI საუკუნის მეორე ნახევარში შეიქმნა მძლავრი ქართული სამჭევრმეტყველო ცენტრი, რომლის უდიდესი წარმომადგენელი იყო გიორგი მცირე (ხუცესმონაზონი). გიორგი მცირემ აგვიწერა მისი მასწავლებლის — გიორგი მთაწმიდელის მოღვწეობა და თავის თხზულებაში — „ცხორებაჲ გიორგი მთაწმიდელისაჲ“[4] — მოგვცა იმდროინდელი ქართული ორატორული ხელოვნების მეტად სრული სურა-

[1] გიორგი მერჩულე, ცხორება გრიგოლ ხანძთელისა, გვ. 97.

[2] პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, გვ. 220—221.

[3] გიორგი მთაწმიდელი, ცხორება იოვანესი და ეფთვიმესი.

[4] ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I, გვ. 190—214.

თი, რომელზედაც დიდი ოსტატის ხელით აღბეჭდილია ჩვენი მშვენრმეტყველების მკვეთრი საისტორიო შტრიხები. მათ შორის ჩვენთვის უმთავრესია თვით ავტორის ორატორული ქმნილება — გიორგი მთაწმიდელის მოთქმით დატირება[1] — სამგლოვიარო მშვენრმეტყველების ეს უკვდავი შედევრი, რომელშიც უჩვეულო ძალით გაისმის ძველი ქართული ენის ჟღერა. ამ სიტყვის გვერდით ბევრი რამ არის აქ საგულისხმო და საყურადღებო.

გიორგი მცირის ნაწარმოებში რამდენიმე ადგილას ხაზგასმულია მეტყველების ზეპირი და წერილობითი სახეების დიდი სოციალური დანიშნულება. ამასთან, ორივე სახე თანაბარი მნიშვნელობითაა წარმოდგენილი. ერთგან ავტორი განმარტავს, თუ რა არის „ქებაჲ ღვთისაჲ“. მისი აზრით, ეს არის წმიდათა ცხოვრებისა და მოღვაწეობის „მითხრობა“, რაც შესაძლებელია „წერით და უწერელად“, ე. ი. როგორც წერილობით, ისე ზეპირად. ქვემოთ ავტორი მოგვითხრობს იმის შესახებ, რომ საქართველოში ყოფნის დროს გიორგი ათონელმა „საუკუნო ცხოვრების“ გზები ასწავლა ბევრს, რომელთაც „მცნება და წესნი დაუსხნა წერით და უწერელად“. აქაც ნახსენებია სიტყვიერი ზემოქმედების ორი სახეობა — წერილობითი და ზეპირი. როგორც ვხედავთ, ორსავე შემთხვევაში გიორგი მცირე ერთმანეთისაგან არჩევს, მაგრამ თანაბარ მნიშვნელობას ანიჭებს მეტყველების ძირითად ფორმებს — ზეპირსა და წერილობითს.

მეტყველების ამ სახეთა შესაბამისად ავტორი ერთმანეთისაგან ასხვავებს მათი შეგრძნების ფორმებს — წაკითხვასა და მოსმენას. „მკითხველნი და მსმენელნი სულით და ხორცით განათლდებიან“, — წერს ის გიორგი მთაწმიდელის ნაწარმოებთან დაკავშირებით.

გიორგის მასწავლებელთა შორის ავტორი ასახელებს რიტორებსა და ფილოსოფოსებს, რომლებმაც აღზარდეს დიდი ო ქ რ ო პ ი რ ი, რომლის წიგნებმა დაატკბო „ენაჲ ჩუენი“. ამ ღირსების საპირისპიროდ იქვე აღიარებულია ენის „ვერკეთილობა“ და „სიტყვადუხჭირობა“.

ეს ყველაფერი საყურადღებოა, მაგრამ უფრო მნიშვნელოვანია მწერლის მიერ დახატული ორატორის სახე, რომელიც წარმოადგენს არა მარტო არსებული სინამდვილის ანარეკლს, არამედ ერთგვარ წარმოსახვით იდეალსაც. ასეთ სახედ აქ წარმოდგენილია გიორგი მთაწმიდელი, როგორც მშვენრმეტყველი. ის შესანიშნავ სიტყვას ამბობს ანტიოქიის პატრიარქის წინაშე და მსმენელთა გაოცებას იწვევს თავისი ორატორული ოსტატობით, „რამეთუ, ვი-

[1] ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I, გვ. 211—214; ქართული მშვენრმეტყველება, გვ. 145—149.

თარცა მდინარე დაუწყუედელად, ესრეთ დიოდეს სიტყუანი წმიდათა წერილთანი პირით მისით"[1].

გიორგი მცირე იძლევა ამ ოსტატობის ბრწყინვალე სურათს: „სიტყუაჲ პირისა მისისაჲ მდაბალი და შემუსრეული და მსმენელთა სასმენელსა მკჳრცხელ შემავალი, რამეთუ საცნობელთა მისთა დაწუნარებულებაჲ შინაგანთა სულისა ძალთა აღუძრველობასა წარმოაჩენდა, ხოლო სიტყუათა მდაბალთა მიერ და მახჳლჲთა გონიერებასა სულისასა წამებდა"[2].

აქ გიორგი მთაწმიდელის სახით ჩვენ წინაშეა სინამდვილედ ქცეული იდეალური არსება მჭევრმეტყველი ადამიანისა, რომელსაც ემორჩილება სიტყვა („სიტყუაჲ... მდაბალი და შემუსრეული"), აქვს უნარი ნათლად აზროვნებისა („მსმენელთა სასმენელსა მკჳრცხელ შემავალი"), ამკობს გარეგნული სიმშვიდე და შინაგანი მღელვარება („საცნობელთა მისთა დაწუნარებულებაჲ შინაგანთა სულისა ძალთა აღუძრველობასა წარმოაჩენდა"), აქვს მახვილი გონება („მახჳლთა გონიერებასა სულისასა წამებდა") და შეენის ენაწყლიანობა („ვითარცა მდინარე დაუწუყუედელად").

ამრიგად, გიორგი მცირის მიერ მთაწმიდელის სახით ორატორის სრულმხრივი განსახიერებაა წარმოდგენილი[3].

ასეთია ჩვენი აგიოგრაფიული მწერლობის ერთი დიდად მნიშვნელოვანი მხარე, რომელიც ნათელს ჰფენს მჭევრმეტყველების ბევრ საყურადღებო საკითხს და დახმარებას გვიწევს მისი შორეული წარსულის სწორად აღდგენაში.

ქვემოთ ვეხებით ქართულ საისტორიო მწერლობას.

შეიძლება გადაჭრით ითქვას, რომ ჩვენი საისტორიო მწერლობა წარმოადგენს სიმდიდრით შეუდარებელ საგანძურს, რომელსაც ჩვენამდე მოუტანია ქართული მჭევრმეტყველების უნიკალური ძეგლები და უცილობელი მასალები. საუკუნეთა მანძილზე გაშლილი სამწერლო შემოქმედება, რაც ქართველ ისტორიკოსთა შთამომავლობით საქმედ იქცა ჩვენს ქვეყანაში, დაგვირგვინდა ერის ცხოვრების ამსახველი უკვდავი წიგნით, რომელსაც ხალხმა უწოდა „ქართლის ცხოვრება"[4]. ამ წიგნში დაცულია ორატორული ძეგლები, დასურათებულია მათი წარმოთქმის პირობები, აღწერილია სახალხო თათბირები და სახელმწიფო დარბაზის სხდომები, ასახულია ბჭობა-კამათი და დისპუტები.

---

[1] ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I, გვ. 203.

[2] იქვე, გვ. 208.

[3] ნ. ბერძენიშვილი, მასალები მეთერთმეტე საუკუნეში სწავლა-აღზრდის შესახებ, გვ. 5—22.

[4] ქართლის ცხოვრება, I და II.

ამრიგად, „ქართლის ცხოვრება“ სრულიად განსაკუთრებული საისტორიო წყაროა ქართული მწერლობისა.

მის შესახებ შეიძლება ითქვას იგივე, რასაც, კვინტილიანეს დამოწმებით, ჰომეროსის პოემების თაობაზე ამბობს ა. დამაშკე:

„ისტორიული ხანის სათავეებთან დიდი პოეტური ქმნილებანი დგანან. შედარებით გვიანდელი რომაელი ოსტატები მწერლობისა, როგორიცაა კვინტილიანე, მიუთითებდნენ იმას, თუ რაოდენ საპატიოდ უნდა მიეჩნია ამოდ მოუბარის ხელოვნება ჯერ კიდევ ჰომეროსს, თუკი იგი ცალკეულ თავადთ, როგორიც არიან ნესტორი და ოდისევსი, გამორჩევის მიზნით გონიერულად მეტყველების განსაკუთრებული ნიჭით აჯილდოებს. ელინელი ხალხის დიდ საგმირო ეპოსში, თუ გნებავთ, მართლაც შეიძლება მოიძიოთ „მწერლობის ყველა სახის ნიმუში და საწყისი“: სათათბირო, სამოსამართლო და სახალხო მეტყველება“[1].

ჩვენთვის საყურადღებო ძეგლებისა და მასალების მოვლა-პატრონობითა და შექმნა გაშუქებით გამოირჩევიან „ქართლის ცხოვრების“ შემდეგი ავტორები: ლეონტი მროველი, ჯუანშერი, დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი, თამარ მეფის ისტორიკოსები და ქამთააღმწერელი.

ლეონტი მროველი XI საუკუნის ისტორიკოსია, რომელმაც დაგვიწერა საქართველოს ისტორია უძველესი დროიდან ახალი წელთაღრიცხვის VI საუკუნემდე. მისი მთავარი თხზულებანია: „ცხოვრება ქართველთა მეფეთა და პირველთაგანთა მამათა და ნათესავთა“[2] და „წინოს მიერ ქართლის მოქცევა“[3]. ამ ძეგლებში ბევრგან გვხვდება ხალხური მეტყველების ნიმუშები და ცოცხალი სიტყვის კვალი; აქ არის ქართული ენის სათავეების ძიება და მოპოვებული შედეგის განზოგადება; აქვეა ბევრი მეტყველების ვრცელი ნიმუშები და მათი ზეგავლენის მაჩვენებელი ნიშნები.

---

[1] „Am Anfang der geschichtlichen Zeit stehen die großen Dichterwerke. Noch die späteren romischen Lehrer der Beredsamkeit, wie Quintilian, haben darauf hingewesen, wie ehrenvoll die Redekunst schon einem Homer erschienen sein muß, wenn er einzelnen Fürsten, wie Nestor und Odysseus, als Auszeichnung die besondere Gabe verständiger Rede zuerkennt. In dem großen Heldenepos des hellenischen Volkes finden sich in der Tat, wenn man will, „Muster und Ursprung für alle art der Beredsamkeit: Ratsreden, Gerichtsreden, Volksreden“ (A. Damaschke. Geschichte der Redekunst, გვ. 1—2).

[2] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 3—71.

[3] იქვე, გვ. 72—138.

ქართველ მეფეთა ცხოვრების აღწერაში ლეონტი მროველი გასაკვირველ ძალას იჩენს საკუთარი დროის ეროვნულ ტენდენციებს და მათ შუქზე გვიჩვენებს საქართველოს შორეულ ეითარებას, მაგრამ არსებითად მაინც ისტორიულ სურათს ხატავს და წარსულის ამსახველად გვევლინება. ლეონტი მროველი XI საუკუნის მოწინავე ადამიანთა აზრს გამოხატავს, როცა გვანიშნებს ეროვნულ დანიშნულებას. ის წერს: „და ესე ფარნავაზ იყო პირველი მეფე ქართლსა შინა ქართლოსისა ნათესავთაგანი. ამან განავრცო ენა ქართული, და არღარა იზრახებოდა სხუა ენა ქართლსა შინა თჳნიერ ქართულისა. და ამან შექმნა მწიგნობრობა ქართული“[1].

ამავე ნაწარმოებში მროველი აგვიწერს მოთქმით დატირების უძველეს ჩვეულებას, რაც საფუძვლად დაედო ქართულ სამგლოვიარო მჭევრმეტყველებას და დღემდე გვხვდება დამოუკიდებელი სახითაც (მაგალითად, ფშავსა და ხევსურეთში). მოთქმით ტირილი ერთგვარი ორატორული ძეგლია. რომელიც შეიცავს მწყობრად აგებულ სიტყვიერ მასალას და მიმართულია მსმენელისადმი. ასეთი ძეგლის შემოქმედი თავისებური ორატორია, რომელსაც ლეონტი მროველი გლოვის მგოსანს უწოდებს. ფარსმან ქველის დატირებასთან დაკავშირებით ისტორიკოსი წერს: „...დასხდიან მგოსანნი გლოვისახი, და შეკრბიან ყოველნი და აჴსენებდიან სიმჴნესა და სიქუელესა, და სიშუენიერესა და სახიერებასა ფარსმან ქუელისასა“[2].

აქვე მოთქმით ტირილის ფრაგმენტია წარმოდგენილი, რომლის მჭევრად გამართული სიტყვიერი ფორმა ცოცხალი მეტყველების უძველესი ნიმუშია, რომელიც, მცირე მოცულობის მიუხედავად, ნათელ წარმოდგენას გვიქმნის მჭევრმეტყველების ხალხურ საწყისებზე.

ლეონტი მროველის თხზულება „ნინოს მიერ ქართლის მოქცევა“ შეიცავს ორი პერსონაჟის — აბიათარისა და სიდონიას რამდენიმე გაბმულ თხრობას, რომლებიც ორატორული ძეგლების სახითაა გადმოცემული. ისინი ძველი სამქადაგებლო მჭევრმეტყველების ნიმუშებია. ყოველი მათგანი შესაძლოა კიდევ უფრო ადრინდელ წყაროს ეყრდნობოდეს. ეს საფიქრებელია, რადგან ამ სიტყვების შინაარსი ეხება საქართველოს მოქცევის პირველ პერიოდს (IV ს.), ხოლო მათი ლიტერატურული დამუშავება XI საუკუნისაა.

აბიათარის პირველ თხრობაში ხაზგასმულია ზეპირი სიტყვის დიდი დამარწმუნებელი ძალა და ზეგავლენის უშუალობა. აქ ნათ-

[1] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 26.

[2] იქვე, გვ. 53.

ქვამია: „მაშინ აღაღო პირი თვისი წმინდამან ნინო, ვითარცა ჯურღმულმან აღმომდინარემან, და იწყო სიტყუად საუკუნითგან, და წიგნთა ჩუენთა ზეპირით აღმოიტყოდა და განმიმარტებდა, და ვითარცა მძინარესა განმაღვძებდა და ვითარცა დასულებულსა გონიერ-მყოფდა, და მამათა ჩუენთა შემაწყალებდა, და სჯულისა ცვალებასა დამაჯერებდა, ვიდრემდის მრწმენა სიტყუათა მისთა...“[1]

ჯუანშერი XI საუკუნის მეორე ნახევრის ისტორიკოსია, რომელმაც დაგვიწერა V — VII საუკუნეების საქართველოს ისტორია. მისი ნაშრომი „ცხოვრება და მოქალაქობა ვახტანგ გორგასლისა“[2] შეიცავს საყურადღებო ცნობებს, რომელთა მეშვეობით ნათელი ეფინება სადარბაზო მჭევრმეტყველების შორეულ სათავეებს. მართალია, მროველის მსგავსად, ჯუანშერიც საკუთარი დროის შუქით წვდება მისგან დიდად დაშორებულ ეპოქას, მაგრამ შეინიშნება, რომ მისი ისტორია ძველ წყაროებსაც ეყრდნობა და ამით შორეული ფაქტების გადმოცემაში საკმაო ნდობას იმსახურებს. ყოველ შემთხვევაში X — XI საუკუნეების საჯარო სიტყვა, თქმული მაღალი დანიშნულების სარბიელზე, დიდი სიმძლავრით ისმის ჯუანშერის ისტორიიდან. ასეთი დანიშნულების ერთ სარბიელს ქართული სახელმწიფო დარბაზი წარმოადგენდა.

ისტორიკოსი ერთგან გვიხატავს ვახტანგ გორგასლის სამეფო კარზე გამართულ სახალხო თათბირს, რომლის მიმდინარეობა ნაჩვენებია უაღრესად ცოცხალ და ემოციურ ფერებში. აქ ჩანს კრების წესრიგი, აზრის გამოთქმის ფორმა, ბჭობა-კამათის წესი და, რაც მთავარია, აქვეა თვითონ სიტყვები, რომელთა შემწეობით იხატება იმჟამინდელი მჭევრმეტყველების საკმაოდ მკვეთრი სურათი.

ქართული მჭევრმეტყველების საისტორიო ცნობების შემცველია დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის თხზულება „ცხოვრება მეთეთ-მეფისა დავითისი“[3], რომელიც მოგვითხრობს საქართველოს ისტორიას XI საუკუნის მეორე ნახევრისა და XII საუკუნის პირველი მეოთხედის მანძილზე. ნაწარმოების თემაა აღმაშენებლის ღვაწლმოსილება. ამ თემის ირგვლივ გაშლილია ისტორიული ამბების თხრობა, რომლის კაზმული ენობრივი ფორმა თავისთავად წარმოადგენს მჭევრი მეტყველების შესანიშნავ მაგალითს. აქ ხშირად ისტორიკოსი ორატორული სიტყვის ელფერით მოსავს და ამაღლებული განწყობილებით გადმოსცემს სათქმელს. აი, მაგალითად, როგორ აგვიწერს ის დავით აღმაშენებლის გმირულ ბრძოლას ერწუხის

[1] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 96—97.

[2] იქვე, გვ. 139—244.

[3] იქვე, გვ. 318—364.

ომში: „ხოლო თჳთ მეფე არა თუ ვითარცა სხუა ვინმე ზურგით უდგა ოდენ სპათა თჳსთა, ანუ შორით უზახებდა, ვითარცა ერთი მთავართაგანი ვინმე, არამედ უპირატეს ყოველთასა თჳთ წინა უვიდოდა, და ვითა ლომი შეუზახებდა ჴმითა მაღლითა, და ვითა გრიგალი მი-და-მო იქცეოდა: და თჳთ გოლიათებრ მიმართებდა და მკლავითა მტკიცითა დაამხობდა ახოვანთა, სრვიდა და დასცემდა წინა დამთხუეულთა ყოველთა“[1].

ჩვენთვის განსაკუთრებით საყურადღებოა ამ ქმნილების ერთი ადგილი, სადაც აღწერილია უზენაეს სასულიერო პირთა დისპუტი, რომელშიც მონაწილეობა მიუღია დავით აღმაშენებელს. ამ ფაქტით დასტურდება სხვა წყაროში, კერძოდ გოტიე კანცლერის საისტორიო ნაშრომში („ანტიოქიის ომები“)[2] დაცული ცნობა დავით აღმაშენებლის ორატორული ღვაწლის შესახებ. ხსენებულ ადგილას ისტორიკოსი აღწერს ქართველ-სომეხთა პაექრობას რელიგიის საკითხებზე: „მაშინ მოუწოდა მეფემანცა იოანეს, კათალიკოსსა ქართლისასა, და მის ქუეშეთა ეპისკოპოსთა და მეუდაბნოეთა, და არსენის იყალთოელსა, თარგმანსა და მეცნიერსა ბერძენთა და ქართველთა ენათასა, და განმანათლებელსა ყოველთა ეკლესიათასა, და სხუათა მეცნიერთა და ბრძენთა კაცთა“[3]. პაექრობაზე უკანასკნელი სიტყვა წარმოთქვა მეფემ, რომელმაც ჯერ მდაბლად განაცხადა: „მე შორს ვარ სწავლულებასა და მეცნიერებასა. ვითარცა მჴედრობათა შინა აღზრდილი. ამისთჳსცა უსწავლელთა და ლიტონთა და მარტიეთა მიერ სიტყვათა გეზრახო თქჳენ“[4], და შემდეგ „იწყო მათდა მიმართ სიტყუათა თქმად, რომელსა ღმერთი მოსცემდა უეჭუელად პირსა მისსა. ესეოდენთა იგავთა და სახეთა წინადაუდებდა, აჳსნათა საკჳრველთა მიერ წინადაუდგრომელთა და უცილობელთა, რომლითა დაანთქნა, ვითარცა მეგჳპტელნი, და დაუყო პირი მათი და უპასუხო ყუნა და ყოვლად უსიტყუოდ, ვითარცა ოდესმე დიდმან ბასილი ათინას შინა“[5].

აქ დავით აღმაშენებლის ორატორული სახეა გამოკვეთილი.

ორატორული ხელოვნების საისტორიო ცნობებით მდიდარია თამარ მეფის ისტორიკოსთა ნაშრომები: „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“[6] და „ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი“[7].

---

[1] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 329.

[2] ხ. ავალიშვილი, ჯვაროსანთა დროიდან, გვ. 66—67.

[3] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 356.

[4] იქვე, გვ. 357.

[5] იქვე, გვ. 357.

[6] ქართლის ცხოვრება, II, გვ. 1—114.

[7] იქვე, გვ. 115—150.

მათ ფურცლებზე აღბეჭდილია ორატორული ძეგლების ტექსტები, საჯარო სიტყვების ფრაგმენტები, მათი წარმოთქმის პირობები, თათბირებისა და კამათის მიმდინარეობა და ა. შ. თამარის პირველი ისტორიკოსის თხზულება „ისტორიანი და აზმანი...“ იხსნება უზენაესი არსებისადმი ძიძართვით, რომელიც აგებულია ბიბლიურ მოტივებზე და გადმოგვცემს ზეპირი სიტყვის ძალმოსილების იდეას. აქ ნათქვამია: „რომელმან წყლისა მოაბადნი რიტორთა ძძლე ჰყაე ყოველთა, ენა-უტყჳ მეტყველ ჰყავ ანგელოზთა მთავრისა მიერ, აწცა განმარტე ენა-ბრგუნილი ისტორიათა და აზმათა მეტყუელებასა შინა შარავანდედთასა“[1]. ამ ეპიგრაფულ შესავალში ყურადღებას იქცევს ენაბრგვნილთა ამეტყველებისა და რიტორთა ძძლეობის დიდი მნიშვნელობა, რაც აქ მიჩნეულია განგების ძალად და მანიშნებელია იმ მაღალი დონისა, რომელზედაც იდგა იმჟამად ჩვენი ზეპირი მეტყველება.

საჯარო სიტყვის ფართო სარბიელსა და სოციალურ დანიშნულებას ნათლად გვიჩვენებს ყოველი საკრებულო, რომლის ცუშაობა ცოტად თუ ბევრად სრული სახითაა ძეგლში წარმოდგენილი. ამ მხრივ განსაკუთრებით საყურადღებოა ორი მოვლენა: ერთი — ყუთლუ-არსლანის შეთქმულება, რომელიც მიზნად ისახავდა საგანგებო უფლებით აღჭურვილი „კარვის“ დაარსებასა და მეფის ძალა-უფლების შეზღუდვას, და მეორე — სარწმუნოების საკითხებზე ჩატარებული ფართო დისპუტი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს საერო და სასულიერო ხელისუფლების დიდმა წარმომადგენლებმა.

აქ უნდა ითქვას შემდეგი: იმ პოლიტიკურ ცვლილებაში, რომელსაც თამარის გამეფების შემდეგ ვამჩნევთ საქართველოს სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში, ქართული მშვერმეტყველებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობისაა დარბაზის ერის გაძლიერება. ამიერიდან საქართველოს მეფე ყოველ დიდმნიშვნელოვან სახელმწიფო საკითხს წყვეტდა დარბაზის ერთან შეთანხმებით — „თანადგომითა და ერთნებობითა“. ამ გარემოებამ გამოიწვია ჩვენში ადამიანთა შედარებით ფართო კრებულის შეძახილროება საერთო საქმის ირგვლივ და შექმნა შესაძლებლობა სადარბაზო მშვერმეტყველების მძლავრი განვითარებისა.

ეს ყოველივე გარკვევით ჩანს თამარ მეფის პირველი ისტორიკოსის ნაშრომის მეოთხებით.

თამარის მეორე ისტორიკოსის, ბასილი ეზოსმოძღვრის თხზულება „ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი“ შეიცავს

[1] ქართლის ცხოვრება, II, გვ. 1.

რამდენიმე ორატორულ ძეგლს, მათ შორის თამარის სადარბაზო სიტყვებს. ეს სიტყვები ჩვენი კლასიკური მჟევრმეტყველების ბრწყინვალე ნიმუშებია, მათი სახით საქმე გვაქვს საისტორიო პირველწყაროში დაცულ ტექსტებთან, რომელთა ლიტერატურული დამუშავება ძეგლის ავტორის ამაგია და მის დამსახურებად უნდა ჩაითვალოს, მაგრამ საგულვებელია საჯაროდ წარმოთქმული სიტყვების ოფიციალური ჩანაწერებიც, რომელთა მიხედვით შეეძლო ისტორიკოსს ან თვითონ აღედგინა ნათქვამის შინაარსი, ან პირდაპირ გადმოეღო ჩაწერილი ტექსტი. ორივე შემთხვევაში ისტორიკოსის მიერ შენახული სიტყვა იმის ქმნილებად უნდა მიეიჩნიოთ, ვისაც იგი საისტორიო წყაროში მიეწერება.

ერთი ამგვარი პირველწყარო, რომელმაც შეიკედლა წარჩინებულ პირთა საჯარო სიტყვები, დაიცვა მათი შემხები ცნობები და გადმოგვცა შორეული წინაპრების ნათქვამი, არის ბასილი ეზოსმოძღვრის ხსენებული ნაშრომი.

ამრიგად, თამარ მეფის პირველი და მეორე ისტორიკოსის ღვაწლი ფასდაუდებელია ქართული მჟევრმეტყველების ისტორიისათვის.

საქართველოს პოლიტიკურ დამარცხებას XIII საუკუნეში უშუალოდ არ მოსდევს და პირისპირ არ ემთხვევა ჩვენი კულტურის დაცემა. სახელმწიფო უფრო ადრე გატყდა, ვიდრე ხალხის სულიერი ძალა. ბევრი რამ გვანიშნებს, რომ კლასიკური კულტურა განაგრძობდა თავის შემოქმედებითს არსებობას. მისი დაქვეითება დაიწყო მოგვიანებით, ხოლო დაცემა მოხდა მომდევნო საუკუნეებში, როცა პოლიტიკური წარმატების ხანმოკლე პერიოდები საკმარისი არ აღმოჩნდა ქვეყნის მორალური ძალის აღსადგენად.

ასეთი მოსაზრების საფუძველს გვაძლევს საქართველოს სამხედრო კატასტროფის შემდეგ ასი წლის გასწვრივ შექმნილი ძეგლები, რომელთა მცირე ნაწილია ჩვენამდე მოღწეული. ასეთია, მაგალითად, ჭამთააღმწერლის ნაშრომი „მონღოლთა დროინდელი ისტორია“[1], რომელიც მოგვითხრობს საქართველოს თაეგადასავალს ერთი საუკუნის მანძილზე — ლაშა-გიორგის გამეფებიდან (1213) გიორგი ბრწყინვალის გამეფებამდე (1314). „ძველი ქართლის ცხოვრების“ ეს დამამთავრებელი ძეგლი გვაწვდის ცნობებს XIII საუკუნის მჟევრმეტყველების შესახებ და გვიჩვენებს ცოცხალი სიტყვის მაღალ დანიშნულებას მძიმე ისტორიულ პირობებში. ძეგლში დაცულია დეშეტრე თავდადებულისა და ქბილა ჯაყელის სიტყვების

[1] ქართლის ცხოვრება, II, გვ. 151—325.

ტექსტები და ამით დიდი ამაგია გაწეული მასალის სიმცირის გამო შედარებით ბუნდოვანი ეპოქის ნათელსაყოფად.

ამავე ნაშრომში დამოწმებულია XIII საუკუნის მეორე ნახევრის წარჩინებული ერისთავის ეგარსლან ბაკურციხელის ორატორული შემოქმედება. სამეფოდრო განაყოფების მეთაურთა შერჩევასთან დაკავშირებით ისტორიკოსი გვაუწყებს: „... გამოარჩივნეს მთავარნი, პირველად ეგარსლან ბაკურციხელი, კაცი ღრმად მოუბარი“[1].

ეგარსლან ბაკურციხელის საჯარო სიტყვის ტექსტები შემონახული არაა. უნდა ვიფიქროთ, რომ ის სადარბაზო და სამხედრო მჭევრმეტყველების ოსტატი იქნებოდა.

ქართული მჭევრმეტყველების საისტორიო ცნობებს გვაწვდიან აგრეთვე ე. წ. „ახალი ქართლის ცხოვრების“ ტექსტები[2], რომლებიც მოგვითხრობენ XIV—XVII საუკუნეების საქართველოს ისტორიას. მათ შორის თხრობის სისრულითა და მასალის სიუხვით გამოირჩევა XVIII საუკუნის ისტორიკოსის ბერი ეგნატაშვილის ხელმძღვანელობით შედგენილი თხზულება — ახალი ქართლის ცხოვრების პირველი ტექსტი[3].

ჩვენთვის საგულისხმო საისტორიო ცნობებს ვპოულობთ ამასთანავე XVIII საუკუნის ცალკეულ ისტორიულ ნაშრომებში, რომლებიც „ქართლის ცხოვრებას“ არ განეკუთვნებიან, მაგრამ მის მოსაზღვრე თხზულებებს წარმოადგენენ. მათ შორის უფრო მნიშვნელოვანია ვახუშტი ბაგრატიონის „საქართველოს ცხოვრება“ (XIV—XVIII სს.), სეხნია ჩხეიძის „მეფეთა ცხოვრება“ (1653—1739 წწ.), პაპუნა ორბელიანის „ამბავნი ქართლისანი“ (1739—1758 წწ.) და ომან ხერხეულიძის „მეფობა ირაკლი მეორისა“ (1722—1780 წწ.).

აქ უნდა დავასახელოთ აგრეთვე უძველესი ისტორიული ქრონიკა „მოქცევაჲ ქართლისაჲ“, რომელიც ჩვენთვის საყურადღებოა რამდენიმე საგულისხმო დეტალით და მათი შორეული წარმოშობის ვითარებით. ის მოიცავს საქართველოს მოქცევის წინარე და მომდევნო პერიოდებს და მისი პირვანდელი რედაქცია VII საუკუნეზე გვიანდელი არ უნდა იყოს[4].

---

[1] ქართლის ცხოვრება, II, გვ. 207.

[2] იქვე, გვ. 326—539.

[3] იქვე, გვ. 326—442.

[4] პ. ინგოროყვა, ქართული მწერლობის ისტორიის მოკლე მიმოხილვა, გვ. 105—107, 135—136.

ქრონიკაში ხსენებულია ორი სამშვერმეტყველო ტერმინი (ჰმოძღვრება, ქადაგება) და მოთავსებულია რამდენიმე საყარო გამონათქვამი, რომელთაგან უფრო საინტერესოა მირიანისა და ნინოს წარძოთქმები. ისინი თავიანთი შინაარსითა და ფორმით „ქართლის ცხოვრების“ ორატორულ ძეგლებს მოგვაგონებენ და, უნდა ვიფიქროთ, მათს ლიტერატურულ წყაროებს წარმოადგენენ. ამით უნდა აიხსნას ხსენებული ძეგლების ფართო დამუშავება და მხატვრული სისრულე „ქართლის ცხოვრებაში“, რაც, რა თქმა უნდა, რამდენადმე აძცირებს „ქართლის მოქცევაში“ მოთავსებული ორატორული სიტყვების მნიშვნელობას. მიუხედავად ამისა, ეს სიტყვები ისტორიული გახვითარების პროცესის ნიშანდობლივი მოელენებია.

ასე განუზომელია ჩვენი საისტორიო მწერლობის მნიშვნელობა კლასიკური საყარო მეტყველების კვლევა-ძიებისათვის.

ქართული ფილოსოფიური მწერლობის ძეგლებიდან მშვერმეტყველების საისტორიო ცნობების სიუხვით გამოირჩევა XII საუკუნის ფილოსოფოსის იოანე პეტრიწის ორიგინალური შრომა „განმარტებაჲ პროკლესთჳს დიადოხოსისა და პლატოხურისა ფილოსოფიისათჳს“[1], რომელიც ავტორმა დაურთო პროკლე დიადოხოსის (410—485) თხზულების („კავშირნი ღმრთის მეტყუელებითნი“) თარგმანს. აქ ლაპარაკია სქოლასტიკური განათლების ერთერთი ძირითადი სამეცნიერო დარგის რიტორიკის შესახებ და წარმოდგენილია მისი უმთავრესი სფეროები, დასახელებულია IV საუკუნის (ძვ. წელთ.) დიდი ბერძენი ორატორები ისოკრატე და დემოსთენე, დამოწმებულია ქრისტიანული სკოლის გამოჩენილი ორატორების ბასილ დიდის (330—379), გრიგოლ ნაზიანზელისა (329—390) და სხვ. ნაშრომები. ამ ნაშრომთა შორის პეტრიწის ერთი წყაროა გრიგოლ ნაზიანზელის „სიტყუაჲ ეპიტაფიად დიდისა ბასილისთჳს“, რომელზედაც დაყრდნობით ქართველი ფილოსოფოსი ვრცლად ახასიათებს ბასილის მშვერმეტყველებას[2].

ქართული კლასიკური მშვერმეტყველების ზოგიერთი საკითხის გასარკვევად წარმატებით გამოიყენება რამდენიმე ისტორიულ-ლიტერატურული ხასიათის ნაშრომი, რომელთა შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ანტონ პირველის „წყობილსიტყვაობა“[3] და იოანე ბატონიშვილის „კალმასობა“[4].

---

[1] იოანე პეტრიწი, შრომები, II, გვ. 1—227.

[2] იქვე გვ. 223.

[3] ანტონ პირველი, წყობილსიტყვაობა.

[4] იოანე ბატონიშვილი, კალმასობა, I, II.

ანტონ პირველის (1720—1788) „წყობილსიტყვაობა“ მეტად საყურადღებო თხზულებაა. ის დაწერილია იამბიკური ლექსით, შედგება შვიდი ნაწილისაგან და შეიცავს უამრავ საისტორიო ცნობას. საისტორიო წყაროს ღირსებით აქ მნიშვნელოვანია სამი უკანასკნელი ნაწილი: მეხუთე (ქართველ წმიდათათვის), მეექვსე (ქართველ მეფეთათვის) და მეშვიდე (ქართველ მწიგნობართათვის). ამ ნაწილებიდან ჩვენთვის ძვირფასია უკანასკნელი, რომლის სრული სათაური ია „თჳს ქართუჱლთა სიბრძნის-მოყუარეთა კაცთა მწიგნობართა“.

აქ დასახელებულია ბევრი ქართველი მწერალი და ორატორი, ხაზგასმულია ზოგიერთი მათგანის დიდი დამსახურება მჭევრმეტყველების სფეროში და შეფასებულია მათი შემოქმედება მრავალფეროვანი ეპითეტებისა და მაღალფარდოვანი მეტაფორების მეშვეობით. მთელი მასალა წარმოდგენილია „მაღალი სტილის“ ენობრივი ფორმით, რომელსაც მკვეთრად გადაჰკრავს რიტორიკული იერი და ამძიმებს ხელოვნური წყობა. ანტონ პირველის ამ საგანგებოდ გართულებულ წყობილსიტყვაობაში მიმოფანტულია საგულისხმო ცნობები ჩვენი სიტყვის ოსტატების შესახებ, კერძოდ მათი ორატორული შემოქმედების თაობაზე, რაც სპეციალური წყაროს სახით გვევლინება ამ შემთხვევაში. ასეთი სახე იშვიათად გააჩნია მჭევრმეტყველების საისტორიო მასალებს, რომლებიც, ჩვეულებრივად, ისტორიის ან ლიტერატურის ისტორიის სპეციალური წყაროებია, და ორატორული ხელოვნების წყაროდ გამოყენებისას საგანგებო გამოწვლილვას საჭიროებენ. აღნიშნული გარემოება ამაღლებს „წყობილსიტყვაობის“ მეშვიდე ნაწილის საისტორიო დანიშნულებას, მაგრამ მისი ღირებულება პრაქტიკულად განსაზღვრულია იმის გამო, რომ ავტორი არასრული, სქემატური სახით გვაცნობს ისტორიულ პირებსა და მათ შემოქმედებას. ის არსებითად კმაყოფილდება ამა თუ იმ მოღვაწის პათეტიკური შესხმა-დიდებით და მარტოოდენ სახოტბო ეპითეტებით გვაგებინებს სახელოვანი წინაპრების დამსახურებას. ეს ნაწილობრივ ავტორის განკარგულებაში არსებული მასალის სიმცირით აიხსნება, მაგრამ უმთავრესად მეცნიერული კვლევა-ძიების მეთოდის შედეგია.

მიუხედავად აღნიშნულისა, ანტონ პირველის ხსენებული თხზულება მდიდარ მასალას გვაწვდის ორატორული ხელოვნების ტერმინოლოგიის დასადგენად, დახმარებას გვიწევს ცოცხალი სიტყვის შესვეურთა ვინაობის გარკვევაში და საგრძნობლად გვიადვილებს მჭევრმეტყველების საზოგადოებრივი ფუნქციის გათვალისწინებას ისტორიულ ასპექტში.

„წყობილსიტყვაობის“ მეშვიდე ნაწილში ორატორული დამსახურებით გამოირჩევა ბევრი მწერალი და საეკლესიო მოღვაწე. ზოგიერთი მათგანი დასახელებულია ქვემოთ ანტონ პირველის კრიტიკული გამოთქმების დართვით: იოანე კათალიკოსი — XI საუკუნის მეორე ნახევრის მწიგნობარი და საზოგადო მოღვაწე, დავით აღმაშენებლის სამეფო კარზე გამართული დისპუტის მონაწილე, „ვინ ოქროპირი ინართაულ-სახელა“, როგორც ამბობს ანტონ პირველი; არსენ ბულმაისიმისძე — XIII საუკუნის მწერალი და საეკლესიო მოღვაწე. ანტონის თქმით, „მაღალ მჭევრ-მეთქვ, საღმრთო პიიტიკოსი, ლამაზ მუსიკი“; ბესარიონ ორბელიანი — XVIII საუკუნის პირველი ნახევრის საეკლესიო მოღვაწე და მქადაგებელი, რომელსაც ქებით მიმართავს ანტონი[1]; იოანე ბოლნელი — X საუკუნის მწერალი და მქადაგებელი, რომელსაც ანტონ პირველი უწოდებს „სიტყჳს-მოქმედსა და ჰსწავლათა განმფენსა“; ნიკოლოზ ჩერქეზიშვილი — XVIII საუკუნის პირველი ნახევრის საეკლესიო მოღვაწე და მქადაგებელი, რომლის შესახებ ანტონი ამბობს: „ნიკოლაოსის მესმნეს ქადაგებანი... განაკჳრუჱბდა მაღალ-უბნობა მსმენთა“; ნიკოლოზ ორბელიანი — XVIII საუკუნის პირველი ნახევრის საეკლესიო მოღვაწე, რომელსაც ანტონი უწოდებს „შუენიერ მოუბნარს“ და მიმართავს ასე: „შენნი, ლამაზობს, თქმულნი ყოველთა მიმართ“; იოანე ხახულელი (ოქროპირი) — XI საუკუნის მოღვაწე (პ. იოსელიანის ცნობით)[2], იგივე იოანე ბოლნელი (კ. კეკელიძის მოსაზრებით)[3], რომლის შესახებ ანტონი ამბობს: „ოქროპირ სახელ, ოქრო ხმა იოანე... ოქროსა სხივეთა ოქროვნად გამოჩტეევი, ღუთისმეტყუჱლ საღმრთო, იქების ესე მარად“; ანტონ მნათი — XI საუკუნის მოღვაწე (პ. იოსელიანის ცნობით)[4], რომლის შესახებ ანტონი ამბობს: „რიტორ უხუ-სიტყუა, შუჱნიერ მჭევრმოუბნარ“; ეფრემ მცირე — XI საუკუნის მეორე ნახევრის გამოჩენილი მწერალი და ფილოსოფოსი, რომელსაც ქებას უძღვნის ანტონი[5]; არსენ იყალთოელი — XII საუკუნის პირველი ნახევრის ცნობილი მწერალი, რომელიც, ანტონის თქმით: „ჰსტყორცს ცეცხლთ, განმეხავს, ჰსწუავს, ადნობს, განაქარუჱბს სიტყჳთ მპაექრი“; იოანე ტაიჭისძე (ტარიჭისძე) — XII საუკუნის პირველი ნახევრის მწერალი, რომლის შესახებ ანტონი ამბობს: „სიბრძნის

---

[1] ანტონ პირველი, წყობილსიტყვაობა, სტრფ. 665.

[2] იქვე, გვ. 237.

[3] იხ. კ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, I, გვ. 161.

[4] იხ. ანტონ პირველი, წყობილსიტყვაობა, გვ. 245.

[5] იქვე, სტრფ. 744.

მოუყარე, იღუთის-მეტყუელსახელა, რიტორ-იუბნა, შუენიერ-იმ-ჰევრმეთქუა"; პეტრე ჩხატარაიშვილი (ჩხატარაიშვილი) — XVIII საუკუნის პირველი ნახევრის ბწიგნობარი და საეკლესიო მოღვაწე, ანტონის სიტყვით, „კაცი რიტორი, შუენიერ-მოუბნარი"; გერმანე ხუცეს-მონაზონი — XVIII საუკუნის საეკლესიო მოღვაწე და მქადაგებელი, ანტონის თქმით, „კაცი მდიდარი სიტყუთ და სათნოებით"; თეიმურაზ პირველი (1589—1663) — ქართლ-კახეთის მეფე და ცნობილი პოეტი, ანტონის სიტყვით, „შუენიერ-მეთქუ, მაღალ-პიიტიკოსი... რიტორი უცხო, მშევრ-მოუბნარი უხუად".

ანტონ პირველის ნაშრომიდან, როგორც ვხედავთ, ბევრი საყურადღებო ცნობის ამოკრება შეიძლება.

იოანე ბატონიშვილის (1768 — 1830) ენციკლოპედიური ნაშრომი „კალმასობა" წარმოადგენს ისტორიულ-ლიტერატურული ხასიათის ვრცელ ნაწარმოებს, რომელშიც მხატვრული თხრობით გადმოცემულია მეცნიერების ყველა დარგის არსებითი შინაარსი. აქ, მეექვსე დღის დიალოგში, მეცნიერების ძირითად დარგებს შორის დასახელებულია რიტორიკა და მოცემულია მისი განსაზღვრა: „რიტორიკა არს სწავლა, რომელიცა ასწავებს გვარზედ უბნობასა და წერასა, ქებასა და დიდებასა, შეთანასწორებასა, ვითარცა წერილთა, ეგრეთვე სიტყვათაცა მიდრეკადად და სხვათა თვისდამი კერძოისა"[1]. ამ განსაზღვრის მიხედვით რიტორიკის საგანი მეტყველების ზეპირი და წერილობითი ფორმებია, რომელთა თეორიულ და პრაქტიკულ სწავლებას ისახავს მიზნად ეს „უბნობისა და წერის" მეცნიერება, რომლის ამოცანა სწორი, მდიდარი, ემოციური და დამარწმუნებელი მეტყველების გამომუშავებაა.

რიტორიკის საგნის, მიზნისა და ამოცანის ასეთი სისტემური შეთავსება გამომდინარეობს მშევრმეტყველების თეორიის კლასიკური განსაზღვრიდან, რაც სახელმძღვანელო ფორმულას წარმოადგენდა ამ დარგში საუკუნეთა მანძილზე და დღესაც არ არის ძალადაკარგული არსებითად მართებული შინაარსის გამო.

თეორიულ წინამძღვრებს გარდა „კალმასობაში" ჩართულია ორი ორატორული ძეგლი — ქადაგება ომარ-ხანის შემოპრის თაობაზე და შესხმა გიორგი მეთორმეტისა[2]. საქმე ისეა დახატული, თითქოს ეს სიტყვები თავის დროზე წარმოუთქვამს ცნობილ მქადაგებელს იონა ხელაშვილს. სინამდვილეში, უნდა ვიფიქროთ, ისინი შეთხზულია იოანე ბატონიშვილის მიერ, როგორც ერთგვარი

[1] იოანე ბატონიშვილი, კალმასობა, I, გვ. 42.

[2] იქვე, გვ. 156—163, 177—179.

ორატორული ნიმუშები, რომლებიც, ალბათ, არასოდეს არ წარმოთქმულა. „კალმასობა“ დაწერილია 1813 — 1828 წლებში და მის ფურცლებზე მოთავსებული სიტყვაც ამ პერიოდის ქმნილებად უნდა მივიჩნიოთ. თუმცა ისიც შესაძლოა, რომ სიტყვები უფრო ადრე შეიქმნა, თავის დროზე წარმოითქვა კიდეც და შემდეგ „კალმასობის“ მასალად გადაიქცა. ასეა თუ ისე ხსენებული ძეგლები ი. ბატონიშვილის კუთვნილებად უნდა ჩაითვალოს. ეს მართებულია თუნდაც იმიტომ, რომ მათი ენობრივი ფორმა განურჩეველია „კალმასობის“ სადა ფორმისაგან და არ ჩამოგავს იონა ხელაშვილის არქაულ მეტყველებას.

ი. ბატონიშვილის თხზულების საისტორიო მნიშვნელობა ნათქვამით არ ამოიწურება. კიდევ უფრო მეტი საისტორიო დანიშნულება გააჩნია „კალმასობის“ იმ ნაწილს, რომელშიც დასურათებულია „ღირსნი კაცნი და მეცნიერნი ქართველთა შორის“. აქ გვაქვს „მცირე უწყება ქართველთა მწერალთათვის“[1], სადაც ლიტერატურული პორტრეტებია წარმოდგენილი მსგავსად ანტონ პირველის „წყობილსიტყვაობაში“ დახატული სიბრინისმოყვარეებისა. უნდა აღინიშნოს, რომ „წყობილსიტყვაობა“ ერთ-ერთი ლიტერატურული წყაროა „კალმასობისა“, რომლის ხსენებული ადგილი შევსებული სახით გადმოგვცემს „წყობილსიტყვაობის“ მეშვიდე ნაწილს. ი. ბატონიშვილის დამსახურება უმთავრესად მასალის შევსებასა და მეცნიერულ სრულყოფაში გამოიხატება.

„კალმასობის“ ავტორი გარკვეული თანამიმდევრობით გვაცნობს ჩვენი მხატვრული სიტყვის ოსტატებს X საუკუნიდან XIX საუკუნემდე და გზადაგზა აღნიშნავს ზოგიერთი მათგანის ორატორულ დამსახურეობას. იგი ასახელებს ცოცხალი სიტყვის მესვეურებს, მოხდენილი ეპითეტებით ახასიათებს მათ შემოქმედებას, გვაუწყებს მჭევრმეტყველების ტერმინებს, ცნებებს და ა. შ.

ზეპირი სიტყვის ღირსეულ ოსტატებად აქ დასახელებული არიან კათალიკოზნი — იოანე, არსენი, არსენ ბულამისძე, ბესარიონ ბაგრატიონი; მღვდელთმთავარნი — იოანე ბოლნელი, ანტონ ჭყონდიდელ-გარესჯელი, ნიკოლოზ ჩერქეზიშვილი-რუსთველი; ღირსი მამანი — იოანე ხახულელი, ზაქარია მირდატისძე, გიორგი ათონელი, არსენი, ანტონ მნათი, ბასილ ბაგრატიონი, გიორგი, ეფრემ მცირე, ქრისტედულე, იოანე ტაიჩისძე, იეზეკიელი, პეტრე, დიმიტრი (მეფე დიმიტრი I), ნიკოლოზ ჩოლოყაძისძე, ოთხ ფიტარელი, გერმანე ხუცესი, იაკობ სამებელი; პოეტები, მწერლები

[1] იხ. იოანე ბატონიშვილი, კალმასობა, II, გვ. 162—214.

და მეცნიერები — სარგის თმოგველი, ჩახრუხასძე, იასე ძაგნაკორელი ხიმშიასძე, ანტონ კათალიკოზი პირველი, ანტონ კათალიკოზი მეორე, ვარლამ ეპისკოპოსი ახტალისა, ზაქარია გაბაშვილი, გლახა ნათისშვილი, ეფთვიმე წინამძღვარი, დოსითეოს ნეკრესელი, ნიკოლაოზ გაბაშვილი, ნიკოლაოზ ბიჭიაშვილი, ეგნატე მარტყოფელი, ზაქარია ლალახანაშვილი, იოანე ორბელიანი, მზეჭაბუკ ორბელიანი, სოლომონ ლივანიძე, დოსითეოს ფიცხელაური, ანტონ ჩყონდიდელ-დადიანი და სხვ.

ამრიგად, ი. ბატონიშვილის ნაშრომი, მსგავსად ანტონ პირველის „წყობილსიტყვაობისა“, ქართული მჭევრმეტყველების სპეციალური საისტორიო წყაროა.

ორატორული ხელოვნების ზოგადი თეორიისა და კერძოდ ჩვენი ზეპირი სიტყვის საკითხების გარკვევაში დახმარებას გვიწევს სოლომონ დოდაშვილის ახლახან მიკვლეული საყურადღებო ნაშრომი „რიტორიკა“[1]. ის დაწერილია 1828 წლის მახლობლად და აგებულია მანამდე არსებული ანალოგიური სახელმძღვანელოების კვალობაზე, მაგრამ პრობლემათა ახლებური გაშუქებით. ეს პირველი ორიგინალური ნაშრომია ქართული მეტყველების თეორიის დარგში და, მიუხედავად მისი სქემატური შინაარსისა, ყურადღებას იმსახურებს საკითხების დაყენებით, მათი კვლევა-ძიებითა და მეცნიერული განზოგადებით. აქ განსაზღვრულია რიტორიკის საგანი და ამოცანა, ნაჩვენებია მისი სამეცნიერო სფერო და მოსაზღვრე დისციპლინები, ლაპარაკია მჭევრმეტყველების თეორიულ წინამძღვრებსა და პრაქტიკულ მნიშვნელობაზე, დასახელებულია ზეპირი სიტყვის ოსტატები, მათი ხელოვნების გზები, საშუალებანი და სხვ. რიტორიკის საკითხებს ეს დიდი წრე ს. დოდაშვილის ნაშრომში თეორიულად გაუვრცობელია, მაგრამ ფართო განზოგადების მასალის სახითაა წარმოდგენილი.

ს. დოდაშვილის განსაზღვრით „რიტორიკა არს ჰსწავლა, რომელიცა იპყრობს თჳს შორის კანონთა პროზაიკებრთა თხზულებათასა მიწთომისათჳს შჳენიერ-სიტყუაობისა საზოგადოდ“[2].

ეს განსაზღვრა ქვემოთ გავრცობილია: „შჳენიერ-სიტყუაობა არს გამოღება ჰაზრთა ან გრძნობათა ზეპირად ანუ ქარტასა ზედა მოკლედ, ცხადად და შესაბამად სათქმელისა ანუ აღსაწერისა საგნისა. წიგნი რიტორიკა არს ჰსწავლა და არა ხელოვნება, ვინაჲდგან იგი იპყრობს თჳს შორის თეორიასა ანუ კანონთა სისტემატიკებრ დაწყობილთა, ხოლო ხელოვნებასა ქუჱშე იგულხმების

[1] ს. დოდაშვილი, რიტორიკა.

[2] იქვე, გვ. 151.

მოყუანა რიტორიკასა შინა წარწერილთა კანონთასა აღსრულებასა. ანუ მოქმედებასა შინა"[1].

აქ რიტორიკა მიჩნეულია მეცნიერებად, ხოლო მშევრმეტყველება — ხელოვნებად; რიტორიკის საგნად აღიარებულია კაზმული მეტყველება (შვენიერ-სიტყვაობა) როგორც ზეპირი, ისე წერილობითი (ქარტასა ზედა). ასეთი მეტყველება აზრს გადმოსცემს „მოკლედ, ცხადად და შესაბამად სათქმელისა" — კონკრეტული სახით, მკაფიო ფორმით და თების შესაფერისი სტილით. ამგვარი მეტყველების თეორიას შეიცავს რიტორიკა, როგორც მეცნიერება („იპყრობს თჳს შორის თეორიასა ანუ კანონთა სისტემატიკებრ დაწყობილთა"), რომლის თეორიულ მონაცემებს პრაქტიკულად იყენებს ორატორული ხელოვნება („წარწერილთა კანონთასა აღსრულებასა ანუ მოქმედებასა შინა").

ს. დოდაშვილი ერმანეთისაგან ასხვაებს რიტორსა (რიტორიკის, როგორც მეცნიერების, თეორეტიკოსსა) და ორატორს (მშევრმეტყველების, როგორც ხელოვნების, პრაქტიკოსს) და დასძენს: „პირველი... გარდამოსცემს კანონთა, თუ ვითარ სათანადოარს გამოღებად ჰაზრთა თჳსთა ბეძღებითისა ხატისა მიწთობისადმი ორატორებისა დასასრულისა, ხოლო მეორე მიემთხვევის დასასრულსა ამას ანუ გამოიღებს მშევრ-მეთქუმობითა"[2].

ს. დოდაშვილის „რიტორიკა", როგორც უკვე აღინიშნა, არ წარმოადგენს ფართოდ გაშლილ და სრული სახით შედგენილ სახელმძღვანელოს. ის უფრო კოხსპექტს ან გავრცობილ გეგმას ჩამოგავს, სადაც დასმული საკითხები გაფართოებულ თეზისებშია გადაწყვეტილი, ანდა საკვლევი მასალის წრეშია ჩაძოთელილი.

ს. დოდაშვილის „რიტორიკის" 1954 წელს მიკელეული ხელნაწერი (S — 5205) თხზულების „შავ პირს უნდა წარბოადგენდეს"[3], ამასთან, არა დასრულებულს, არამედ გეგმის სახით შედგენილი თხზულების შავ პირს.

უნდა ითქვას, რომ ს. დოდაშვილის „რიტორიკა" აღნიშნული სახითაც გვიჩვენებს იმ მაღალ მეცნიერულ დონეს, რომელზედაც დგას მისი ავტორი. ის მტკიცედ ფლობს იმდროინდელ ცოდნას მეტყველების თეორიის დარგში: იცნობს ძველსა და ახალ წიგნებს, უცხოურსა და ქართულ მასალებს, თეორიულსა და პრაქტიკულ მოხაპოვარს.

---

[1] ს. დოდაშვილი, რიტორიკა, გვ. 151.

[2] იქვე.

[3] თ. კუკავა, სოლომონ დოდაშვილი და მისი მსოფლმხედველობა, გვ. 71

რიტორიკის სახელმძღვანელო წიგნს იმ დროისათვის ჩვენში უკვე გააჩნდა თავისი ისტორია. 1755 წელს თბილისში გაიხსნა ფილოსოფიური სემინარია, რომელშიც სხვა სამეცნიერო დისციპლინებს შორის ისწავლებოდა რიტორიკაც. 1761 წელს ანტონ პირველის დავალებით ცნობილ სასულიერო პირებს დოსითეოზ ჩერქეზიშვილსა და ფილიპე ყაითმაზაშვილს ხსენებული სკოლისათვის ქართულ ენაზე გადმოეღიათ სომეხი მეცნიერის მხითარ სევასტიელის (1676—1749) „რიტორიკა", რომლის შესახებ ანტონი შენიშნავს: „იგი გრძელ არს და მოძღუართათჳს ნუუმე ფრიად საქმარ, გარნა მოწაფეთათჳს მოკლე უმჯობეს"[1]. ამიტომ ანტონს საჭიროდ დაუნახავს თარგმანის სათანადოდ გამართვა, რაც თავად უკისრია და, როგორც ჩანს, კიდეც შეუსრულებია. ამის მაჩვენებელია მის მიერ წიგნში შეტანილი ქართული მაგალითები. ამ გზით ანტონ კათალიკოსს მხითარ სევასტიელის „რიტორიკა" ქართულ სკოლაში გამოსადეგ სახელმძღვანელოდ უქცევია.

ამ სახელმძღვანელოს იცნობდა ს. დოდაშვილი, როცა თავის ორიგინალური „რიტორიკას" ქმნიდა. ის იცნობდა, ცხადია, თვით ანტონის ენათმეცნიერულ შრომებს, კერძოდ, „სამი სტილის თეორიას" და დიდი რუსი მეცნიერის მიხეილ ლომონოსოვის (1711—1765) ფილოლოგიურ კვლევა-ძიებას. აქ საჭიროა ითქვას შემდეგი: მ. ლომონოსოვის კაპიტალური ნაშრომი „Краткое руководство к красноречию"[2], რომელიც პირველად დაიბეჭდა 1748 წელს და ავტორის სიცოცხლეში რამდენჯერმე გამოიცა, უმთავრესი წყაროა ს. დოდაშვილის „რიტორიკისა".

ამ წყაროდან, და შესაძლოა დედნებიდანაც, იცნობდა ის ანტიკური ხანის ორატორების დემოსთენეს, ციცერონისა და სხვათა სიტყვებს. სხვა წყაროდან მას შეეძლო სცოდნოდა არისტოტელეს ქმნილება „პოეტური ხელოვნების შესახებ" (პოეტიკა), რომელიც ფართოდ გამოიყენა ვ. ტრედიაკოვსკიმ 1752 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში—„Мнение о начале поэзии и стихов вообще"[3]. გვაქვს საფუძველი ვიფიქროთ, რომ ს. დოდაშვილისათვის უცნობი არ იყო იმავე არისტოტელეს უფრო საყურადღებო ქმნილება „რიტორიკა", ციცერონის ნაშრომები ორატორული ხელოვნების შესახებ და კვინტილიანეს თხზულება „ორატორული განათლების თაობაზე" და სხვ.

---

[1] ხელნაწერი S—4739.

[2] იხ. М. В. Ломоносов, Краткое руководство к красноречию.

[3] Ф. А. Петровский, Комментарии, გვ. 159.

ამრიგად, ს. დოდაშვილის „რიტორიკა“ მაღალი მეცნიერული საფეხურია ქართული მეტყველების თეორიის დარგში, რომლის ისტორიულ განვითარებას ის საკმაო სისრულით წარმოგვიდგენს.

დასასრულ, უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენი კლასიკური მჭევრმეტყველების საისტორიო მასალა უხვადაა შემონახული XVIII საუკუნის ქართულ ხელნაწერებსა და XIX საუკუნის პერიოდულ გამოცემებში. მათ შორის ჩვენთვის განსაკუთრებით ძვირფასია ხელნაწერებში დაცული მასალა, რომელსაც შეიცავს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტის ოთხი ძირითადი ფონდი *A* — ყოფილი საეკლესიო მუზეუმის კოლექცია, *H* — ყოფილი საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების მუზეუმის კოლექცია, *S* — ყოფილი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წიგნთსაცავის კოლექცია და *Q* — ყოფილი საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ახალი კოლექცია.

ჩვენი მჭევრმეტყველების საისტორიო ცნობები გაფანტულია აგრეთვე სხვადასხვა დროის ნაირსახოვან წერილობით ქმნილებებში, მათ შორის მომეტებულად ეგზეგეტიკურ, პოლემიკურ, კანონიკურსა და ჰომილეტიკურ ძეგლებში, ხოლო სპორადულად — სიტყვაკაზმულ ნაწარმოებებში, მაგალითად, ჰიმნოგრაფთა შემოქმედებაში, მეხოტბეთა პოეზიაში, რუსთველის ქმნილებაში, აღორძინების ხანის მწერლობასა და ახალი დროის მხატვრულ ლიტერატურაში.

მჭევრმეტყველების საისტორიო მასალებს გვაწვდის ამასთანავე ჩვენი ხალხური სიტყვიერება, რომლის უსაზღვრო საგანძურში ბევრი ცოცხალი ენობრივი ფორმაა მჭევრი სიტყვის სახით შემონახული და მისი ძალის მაჩვენებელი. აქ ხალხური ორატორული გამოთქმებისა და მათი დანიშნულების მიხედვით ამოიცნობა ზეპირი მეტყველების სოციალური ფუნქციისა და ისტორიული განვითარების მაუწყებელი ფაქტები.

ამ ფაქტების გათვალისწინებით ნათელი ეფინება ქართული მჭევრმეტყველების აღმავალ გზას შორეული წარსულიდან დღევანდლამდე.

4. ქართული მჭევრმეტყველების ტერმინოლოგია

ქართული მჭევრმეტყველების საკითხების კვლევა-ძიება საშიროებს მისი ტერმინოლოგიის დადგენას. ეს ერთი უპირველესი საქმეა ზეპირი მეტყველების ისტორიული განვითარების პროცესის გასარკვევად. ამ საქმისათვის მდიდარსა და მრავალფეროვან მასალას გვაწვდის კლასიკური მწერლობა, სასაუბრო ენა და ხალხური სიტყვიერება. მათ შორის ამ უკანასკნელთა წიაღში უამრავი მასალით დასტურდება ის, რაც მწერლობაშია წარმოდგენილი. ჩვენთვის, ცხადია, განსაკუთრებული მნიშვნელობა წერილობით დამოწმებულ ტერმინებს გააჩნია.

ქვემოთ ქართულ მწერლობაში წარმოდგენილ ტერმინებზე შევჩერდებით.

ადრინდელ წერილობით ძეგლებში საჯარო ზეპირი მეტყველების აღმნიშვნელად გვხვდება ტერმინი ქადაგება. „მოციქულნი წარვიდეს და მიმოვლეს გარემო სოფლებისა და ქალაქებისა... ახარებდეს და ქადაგებდეს ქრისტესა“[1],—გადმოგვცემს VI საუკუნის ძეგლი „ევსტათი მცხეთელის მარტვილობა“. ამავე აზრით იხმარება ის „ქართლის მოქცევაში“, სადაც ნათქვამია: „...უქადაგა სარწმუნოებაჲ ქრისტჱსი“[2]. მომდევნო პერიოდში, VIII საუკუნის მწერლის იოანე საბანისძის ქმნილება „აბო ტფილელის წამება“ შეიცავს ამავე ტერმინს, რომლითაც აქ აღინიშნება სამქადაგებლო ნაწარმოები. მაგალითად, „მოციქულთა ქადაგებანი“[3] ძეგლში ხსენებულია, როგორც ზეპირად სათქმელი სიტყვების კრებული.

ამავე ტერმინის გვერდით ძველი წერლობის ძეგლებში ხშირად გვხვდება მისი ძირიდან მომდინარე სიტყვები: ქადაგი, მოქადაგე და მქადაგებელი, რაც საჯარო ზეპირი სიტყვის წარმომთქმელს აღნიშნავს. კერძოდ, ქადაგი დამოწმებულია „აბო ტფილელის მარტვილობით“, რომელშიც ავტორი ასე მიმართავს აბოს: „სახელისა შენისა მოთხრობად ყოველთა ქადაგ ვიქმენით“[4].

[1] ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I, გვ. 52.
[2] მოქცევაჲ ქართლისაჲ, გვ. 18.
[3] ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I, გვ. 58.
[4] იქვე, გვ. 71.

X საუკუნიდან ქართულ მხატვრულ ლიტერატურასა და საისტორიო მწერლობაში ეს ტერმინები მეტად ფართოდ ვრცელდება და სხვა ტერმინებთან შედარებით დიდი უპირატესობით სარგებლობს. ასეთი ვითარება გრძელდება XVIII საუკუნის დასასრულამდე მიუხედავად იმისა, რომ გვიანდელი ფეოდალიზმის ხანაში ბევრი ახალი ტერმინი შეემატა ქართული მჭევრმეტყველების სალაროს.

ამრიგად, ფართოდ და ხანგრძლივად გავრცელებული ტერმინი ქადაგება, კონტექსტური განმარტების მიხედვით, ქართულში გვხვედება ორი მნიშვნელობით, ხოლო ტერმინები ქადაგი, მოქადაგე და მქადაგებელი—ერთი მნიშვნელობით. ასეთი სახე და შინაარსი შეინარჩუნა ამ ტერმინებმა ძველი ქართული მწერლობის მთელ ასპარეზზე და თვით ახალი ლიტერატურის სარბიელზედაც, სადაც ისინი ამავე მნიშვნელობით, მაგრამ მოძველებული ელფერით იხმარებიან.

ზემოთ წარმოდგენილი კონტექსტური განმარტების სისწორე დასტურდება საბას ლექსიკონით. ტერმინი ქადაგება აქ განმარტებულია, როგორც „მაღლის ჴმით სწავლება“, აქვე ქადაგი ახსნილია, როგორც „მაღალ მძახებელი სწავლისა“, ხოლო მქადაგებელი—როგორც „ქადაგების მეტყუელი“. აქედან ცხადია: ტერმინი ქადაგება ორი მნიშვნელობით გამოიყენება—როგორც საჯარო ზეპირი სიტყვით სწავლება და როგორც საჯაროდ ზეპირად წარმოსათქმელი ნაწარმოები, ხოლო ქადაგი და მქადაგებელი ერთი მნიშვნელობისაა და აღნიშნავს საჯაროდ ზეპირად მეტყველს.

თავიანთი შინაარსითა და ომონიმური ბუნებით ქადაგებ-ის მსგავსი ტერმინებია: სწავლა და მოძღურება, რომლებიც აღნიშნავენ საჯარო ზეპირი სიტყვით სწავლებასა და საჯაროდ ზეპირად წარმოსათქმელ ნაწარმოებსაც. „სწავლა არს ქადაგება“,—განმარტავს საბა.

X საუკუნის ასკეტიკური ხასიათის ნაწარმოებთა ერთ კრებულში, რომელსაც ილ. აბულაძემ პირობითად „მამათა სწავლანი“ შეარქვა, სასულიერო ორატორის ნაწარმოებს სწავლად ეწოდება. მაგალითად: „სწავლად წმიდისა იოვანე ოქროპირისად სინანულისათჳს“,[1] ან—„სწავლად წმიდისა ეფრემისი მონაზონთა მიმართ და მარტოდ-მყოფთა“[2], და სხვ.

ტერმინი მოძღურება მომდინარეობს სიტყვიდან მოძღუარი, რაც ძველ ქართულში ნიშნავდა მასწავლებელს, ოსტატს.

[1] მამათა სწავლანი, გვ. 49.

[2] იქვე, გვ. 188.

აშ აზრითაა ის ნახმარი, მაგალითად, „დავით აღმაშენებლის ისტორიაში“[1]. ასევე განმარტავს მას საბა.

მოძღურება გვხვდება „აბო ტფილელის მარტვილობაში“: „მიზეზ სწავლისა ექმნებინ მას, და ესრეთ სრულ იქმნა იგი ყოვლითა მოძღურებითა“[2]. „ქართლის მოქცევაში“ ერთგან ასე იკითხება:„... ჰმოძღურიდა მთავარსა მას“[3]. ამავე ფორმითა და შინაარსით იხმარება ის X საუკუნის მწერლის გიორგი მერჩულის ნაწარმოებში—„გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“: „ნუ მრავალნი ჰმოძღურით“[4].

XII საუკუნის ფილოსოფოსის იოანე პეტრიწის თხზულება—„განმარტებაჲ პროკლესთჳს დიადოხოსისა და პლატონურისა ფილოსოფიისათჳს“—გადმოგვცემს: „ამათვე ზემოდალექსულთა ხედვათა ამრავალკეცებს, ვითარ კეთილი შორის მოძღურებათა“[5]. ამ კონტექსტების მიხედვით მოძღურება ზეპირი სიტყვით სწავლებას აღნიშნავს.

სხვაგან ის გვეელინება სასწავლო, სამქადაგებლო ნაწარმოების მნიშვნელობით. ასე, მაგალითად, სულხან-საბა ორბელიანმა თავის ქადაგებათა კრებულს უწოდა „სწავლანი და მოძღურებანი“. აქ სინონიმური პარალელიზმის სახითაა წარმოდგენილი ერთისა და იმავე მოვლენის ორი სახელწოდება—სწავლა და მოძღვრება. ანალოგიურია XVIII საუკუნის მქადაგებლის ამბროსი ნეკრესელის სიტყვების საერთო სათაური—„ქადაგებანი და მოძღვრებანი“.

ზემონახსენებ კრებულში—„მამათა სწავლანი“—დაცულია აგრეთვე ტერმინი სიტყუა, რაც აქ უფრო ვრცელ გამონათქვამს აღნიშნავს, ვიდრე ორატორულ სიტყვას. მაგალითად, ასე: „ამონაჲს სიტყუანი“[6], ან „სიტყუანი მამათანი შიშისათჳს ღმრთისა“[7]. ამ სათაურების ქვეშ წარმოდგენილია ცალკეული გამონათქვამები. უფრო მოგვიანებით ეს ტერმინი იქცა დამოუკიდებელი ორატორული ნაწარმოების აღმნიშვნელად და, როგორც ცნობილია, დღემდე იხმარება ამ მნიშვნელობით.

ასეთი მნიშვნელობითაა ის წარმოდგენილი XI საუკუნის მწერლის ეფრემ მცირის თარგმანებში, მაგალითად, გრიგოლ ღვთისმეტყველის

---

[1] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 327, 331, 357.

[2] ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I, გვ. 61.

[3] მოქცევაჲ ქართლისაჲ, გვ. 15.

[4] გიორგი მერჩული, ცხორება გიორგი ხანძთელისა, გვ. 93.

[5] იოანე პეტრიწი, შრომები, II, გვ. 183.

[6] მამათა სწავლანი, გვ. 306.

[7] იქვე, გვ. 314.

პოლემიკურ ნაწარმოებში: „სიტყუა არიანოსთა მიმართ და თავისა თჳსისა“[1]. XII საუკუნის მწერლის არსენ იყალთოელის „დოგმატიკონში“ მოთავსებულია იოანე დამასკელის პოლემიკური თხზულების თარგმანი: „სიტყუაჲ დასამკობელად ღმრთისმოძაგებულისა წვალებისა იაკობთაჲსა“[2], სადაც ტერმინი სიტყუაჲ გამოყენებულია აგრეთვე ზეპირად სათქმელი ნაწარმოების მნიშვნელობით.

ზემოგანხილული ტერმინების გვერდით, მაგრამ უფრო იშვიათად, საჯაროდ ზეპირად წარმოსათქმელი ნაწარმოების მნიშვნელობით, ქართულ მწერლობაში გამოყენებულია ქებაჲ და შესხმა. მაგალითად: „ქებაჲ წმიდისა მოწამისა ჰაბოჲსი“[3], — ვკითხულობთ იოანე საბანისძის თხზულებაში.

ხსენებული შინაარსით მეტად იშვიათად გუხვდება ტერმინი შესხმა. მაგალითისათვის შეიძლება დავასახელოთ სოლომონ დოდაშვილის საჯარო სიტყვის სათაური: „შესხმა, წარმოთქმული ტფილისის კეთილშობილთა სასწავლებლის მოწაფეთა გამოცდისას საზოგადოსა შეკრებილებასა შინა“[4].

საბას ქება განმარტებული აქვს, როგორც „შესხმა დიდებისა, გინა კეთილთა მისთა წარმოთქმა, გინა მადლობა, გინა მითხრობა ქუეყნის-მოქმედობისა მისისა“, ხოლო შესხმა — როგორც „ქება, შემკობა“.

ერთი ადრინდელი, მრავალი სახელწოდების შემადგენლობაში შესული, ფართოდ გავრცელებული და დღემდე ხმარებული სამჭევრმეტყველო ტერმინია მჭევრი, რაც მჭევრმეტყველს ან მჭევრმეტყველურს აღნიშნავს. იოანე პეტრიწის „განმარტების“ ბოლო სიტყვაში ნათქვამია: „...ესეოდენი მიიღო, რავდენ ვერ შებრკოლებადმი მათ შორის ბრძენთა მათ და მჭევრთაგან“[5].

სიტყვა მჭევრი საბას ლექსიკონში განმარტებულია როგორც რიტორი, ხოლო მჭევრობა — როგორც რიტორება. ამრიგად, მჭევრი ბერძნულ ხ ῥήτωρος-ის ქართული შესატყვისია.

ხსენებული ტერმინიდან შემდეგ წარმოიქმნა მჭევრმეტყველისა და მჭევრმეტყველების აღმნიშვნელი ბევრი სახელწოდება, რომელთა შორის საბოლოოდ დამკვიდრდა და დღემდე იხმარება: მჭევრმეტყველი და მჭევრმეტყველება.

---

[1] ხელნაწერი *A* — 292.

[2] ხელნაწერი *S* — 1463.

[3] ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I, გვ. 69.

[4] ქართული მჭევრმეტყველება, გვ. 254.

[5] იოანე პეტრიწი, შრომები, II, გვ. 224.

ერთი ამგვარი ადრეული ტერმინია სიტყვა-მჴევრი, რომელსაც ან მჴევრი მეტყველების ან მჴევრმეტყველის მნიშვნელობით ვხვდებით მწერლობაში. მას შეიცავს XII საუკუნის ძეგლები: „აბდულ-მესიანი", „ვეფხისტყაოსანი" და „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი". „აბდულ-მესიანში" ის ნახმარია მჴევრი მეტყველების აზრით:

„თქვის სიტყვა მჴევრნი, ართუ დუხჭირნი,
მოსაქცეელ ყვის წარმართთა ერნი"[1].

ამავე აზრით იხმარება ის ერთგან „ვეფხისტყაოსანში":

„ტარიელ მოთქვა ტირილით სიტყვა ნატიფი, მჴევრები" (1336,1).

სხვა ადგილას „ვეფხისტყაოსანში" ხსენებული ტერმინი გამოყენებულია მჴევრმეტყველების მნიშვნელობით:

„სიტყვა-მჴევრო და წყლიანო, ტურფაო, ლამაზ-ენაო" (1270,3).

საისტორიო თხზულება „ისტორიანი და აზმანი" მჴევრი მეტყველების აზრით შეიცავს ამავე ტერმინს: „იწყეს... თქმად სიტყუა-მჴევრად და ვრცელ-სიტყუად"[2].

მჴევრი-დან მომდინარე სახელწოდებანი ფართოდ გავრცელდა XVII—XVIII საუკუნეებში. მათი დიდი ნაწილი იხმარებოდა XIX საუკუნის პირველ ნახევარშიც. ხოლო დასასრულ, როგორც ითქვა, ქართულმა ენამ შეიკედლა და თავის წიაღში მოაქცია ზოგიერთი მათგანი.

ხსენებულ საუკუნეებში გავრცელებული ტერმინებია: მჴევრ-მეთქჳ, მჴევრ-მოუბარი — მჴევრმეტყველის მნიშვნელობით, დამოწმებული ანტონ კათალიკოსის „წყობილსიტყვაობაში", მჴევრ-თქმობა — მჴევრმეტყველების მნიშვნელობით, დამოწმებული იქვე[3], მჴევრ-მეთქვი — მჴევრმეტყველის მნიშვნელობით, დამოწმებული იოანე ბატონიშვილის „კალმასობაში"[4], მჴევრ-მეთქუობა, მჴევრ-სიტყუაობა — მჴევრმეტყველების მნიშვნელობით დამოწმებული სოლომონ დოდაშვილის „რიტორიკაში"[5].

ძველ ქართულ ლიტერატურასა და სამეცნიერო მწერლობაში ხშირად მოიპოვება სიტყვა-სთან დაკავშირებული სამჴევრმეტ-

[1] შავთელი, აბდულ-მესიანი, სტრფ. 83.
[2] ქართლის ცხოვრება, II, გვ. 83.
[3] ანტონ პირველი, წყობილსიტყვაობა, სტრფ. 657, 715, 753.
[4] იოანე ბატონიშვილი, კალმასობა, II, გვ. 172.
[5] ს. დოდაშვილი, რიტორიკა, გვ. 151, 153.

უველო ტერმინები. მათ შორის უფრო გავრცელებულია სიტყვსგება, რაც თავისი ძირითადი მნიშვნელობით კამათს, პაექრობას ნიშნავს, ხოლო ზოგჯერ სიტყვა-პასუხისა ან დიალოგის აზრით გვეველინება; მოგვიანებით ის თავის გასამართლებელ სიტყვასაც აღნიშნავდა.

IX საუკუნის მახლობელი სასულიერო რომანი „ბალავარიანი" ამ ტერმინს რამდენჯერმე იყენებს: „თავი სამართლისაჲ არს მიზეზი რაჲმე სიტყვს-გებისაჲ ურთიერთას"[1], ან: „და უთხრა ყოველი იგი სიტყვს-გებაჲ, რომელი ყოფილ იყო შორის მათსა"[2], ან კიდევ: „და განაგრძვეს სიტყვს-გებაჲ მათ შორის"[3].

XI საუკუნის ისტორიკოსის ლეონტი მროველის თხზულებაში — „ნინოს მიერ ქართლის მოქცევა"—ერთგან ასე იკითხება: „წარმგზავნე მე და მივიდე წინაშე დედოფლისა ელენესსა, ნუუკუე მივიახლო მის წინაშე სიტყვს-გებად ქრისტესთჳს"[4].

XII საუკუნის თხზულება „ისტორიანი აზმანი" ორ ადგილას სიტყვიერი ცილობისა და კამათის აზრით შეიცავს ხსენებულ ტერმინს: „მე, მელაშქრე, ვერ კეთილად მეცნიერ ვარ სიტყვს-გებად შენდა"[5]; „კათალიკოსი, ზეგარდამოთა ნიჭითა აღსავსე, გონიერებით აღუჴსნიდა და ბრძნად მიუგებდა უკურღუეველ თქმულთა მათთა, ხოლო თჳსისა დამამტკიცებელად. და გაგრძელდა სიტყვს-გება მიმწუხრამდე"[6].

სიტყვ-იდან მოშდინარე სხვა ტერმინებიდან აღსანიშნავია: სიტყუა-პოვნიერი, რაც მჳევრმეტყველის აზრით გვხვდება „ბალავარიანში"[7], სიტყუა-ჴელოვანი, რაც ამავე აზრით იხმარება „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში"[8], სიტყუა-მომხუდარი, რაც აგრეთვე ამავე მნიშვნელობით გამოყენებულია XII საუკუნის მწერლის სარგის თმოგველის „ვისრამიანში"[9].

აქვე უნდა დავასახელოთ ტერმინი სიტყვს-მოქმედი, რომელსაც ახსენებს „ისტორიანი და აზმანი"[10]. სამეცნიერო ლიტე-

---

[1] ბალავარიანი, გვ.5.
[2] იქვე, გვ. 14.
[3] იქვე. გვ. 115.
[4] ქართლის ცხოვრება, I, გვ.79.
[5] ქართლის ცხოვრება, II, გვ.82.
[6] იქვე, გვ. 83.
[7] ბალავარიანი, გვ. 125.
[8] გიორგი მერჩულე, ცხორება გრიგოლ ხანძთელისა, გვ.93.
[9] ვისრამიანი, გვ. 203.
[10] ქართლის ცხოვრება, II, გვ. 78, 92.

რატურაში ეს ტერმინი მიჩნეულია სიტყვის ოსტატის — პოეტის ან იატორიკოსის აღმნიშვნელად (კ. კეკელიძე, პ. ინგოროყვა, ს. ყაუხჩიშვილი). ამ ტერმინის შემცველი კონტექსტები იმის საფუძველსაც იძლევა, რომ სიტყვს-მოქმედი მჭევრმეტყველის მნიშვნელობით ვივარაუდოთ.

ამავე სახის სამჭევრმეტყველო ტერმინია სიტყვს-ყოფა, რაც კამათის, მსჯელობის მნიშვნელობით გვხვდება, მაგალითად, „ბალავარიანში“: „და მრავალ გზის უნებნ მის თანა სიტყვს-ყოფაჲ სჯულისათჳს“[1], ან: „და მე მეგულების კრებაჲ და სიტყვსაყოფაჲ სიმართლით და არღარა მძლავრებით“[2]. ეს ტერმინი ამავე მნიშვნელობით იხმარება IX საუკუნის მახლობლად შექმნილ „ნინოს ცხოვრებაში“: „აღვიდიან იერუსალიმს სიტყვ-ყოფად და დამტკიცებად სჯულსა მოსესსა“[3].

აქვე უნდა აღინიშნოს ტერმინები: სიტყვს-მკერავი, მიდმო-სიტყუაჲ და სიტყვს-მიმოჲ, რომელთაგან პირველი მოიპოვება „ბალავარიანში“[4], ხოლო უკანასკნელნი — იოანე პეტრიწის „განმარტებაში“[5]. სიტყვს-მკერავი ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში განმარტებულია როგორც სიტყვით მკურნალი (ილ. აბულაძე), რაც კონტექსტების მიხედვით ტკბილად მოსაუბრეს ან მარჯვედ მეტყველს უნდა ნიშნავდეს, ხოლო მიდმოსიტყუაჲ და სიტყვს-მიმოჲ სიტყვის გაცვლა-გამოცვლის, მუსაიფის აზრით უნდა ვივარაუდოთ.

ივიათად ხმარებული სამჭევრმეტყველო ტერმინებიდან უნდა აღინიშნოს სასიტყველი, რომელსაც ერთგან იყენებს XII საუკუნის მწერალი მოსე ხონელი თავის „ამირან-დარეჯანიანში“, სადაც ნათქვამია: „ნადიმსა ზედა სასიტყველი შეიქნა“[6]. კონტექსტის მიხედვით სასიტყველი სჯა-კამათს უნდა აღნიშნავდეს, თუმცა საბას ბიბლიური ტექსტის მოშველიებით ის გახმარტებული აქვს, როგორც სალაპარაკო. აქვე უნდა დავასხელოთ ტერმინი ენოვნობა, რაც მჭევრმეტყველების აზრით იხმარება „ვისრამიანში“: „მიშჭინ მეცნიერმან... მისითა ენოვნობითა შეამკო რამინის წიგნი“[7].

---

[1] ბალავარიანი, გვ. 49.

[2] იქვე, გვ. 112.

[3] ძველი ქართული ლიტერატურის კრესტომათია, I, გვ.225.

[4] ბალავარიანი, გვ. 11, 12, 14.

[5] იოანე პეტრიწი, შრომები, II, გვ. 207, 223.

[6] მოსე ხონელი, ამირან-დარეჯანიანი, გვ. 125.

[7] ვისრამიანი, გვ. 203.

შედარებით ადრინდელი, მაგრამ გვიან გავრცელებული სამეცერმეტყველო ტერმინებია პაექრობა ანუ კამათი, მისი სინონიმი მეპაექრობა და მათგან მომდინარე მპაექრი ანუ მოკამათე, ისინი დაცულია იოანე პეტრიწის „განმარტებაში“[1], დავით აღმაშენებლის ისტორიასა[2] და აღორძინების პერიოდის მასალებში[3]. ტერმინი პაექრობა საბას განმარტებული აქვს როგორც „ცილება და გამოძიება“. ამ განმარტებას მოწმობს დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის ცნობა: „რამეთუ იყო ორკერძოვე ძლევა მოყუარება ოდენ და ცუდ სიტყუათა პაექრობა“[4].

შედარებით გვიანდელი, მაგრამ ფართოდ გავრცელებული და დღემდე გამოყენებული ტერმინებია კამათობა || კამათი და მოკამათე, რომელთაგან პირველს საბა განმარტავს ასე: „ცილება, გინა დავი“, ხოლო მეორეს — „მაცილებელი“.

ქართული წერილობითი წყაროებით ცნობილია საეკლესიო და სამოსამართლო მტევრმეტყველების სპეციალური ტერმინები. მათ შორის რამდენიმე უცხო წარმომავლობისაა, მაგალითად დესპანი, რომელიც დიასპანის ფორმითა და მოციქულის მნიშვნელობით ორჯერ გვხვდება ჯუანშერთან: „ხოლო ხვალისა დღე მოვიდა რეცა დიასპანი და უქადაგა მეფესა“[5]; „და წარსცა იგი დიასპანთა“[6], — ელჩი, რომელიც იმავე მნიშვნელობით აღბეჭდილია ჟამთააღმწერლის მიერ[7], და ვარქარი ანუ ვექილი || დამცველი, რომელსაც „სამოციქულოს“ თარგმანის შენიშვნაში ახსენებს ეფრემ მცირე[8]. იქვე ხსენებულია მისი ქართული შესატყვისი თანამოსარჩლე, რომლის უძველესი სინონიმია მეოხი[9]. მოგვიანებით ქართულში ჩნდება მისი სხვა სინონიმებიც: ქომაგი, მონაცვლე და შუაკაცი[10].

უცხო წარმოშობის ზემოხსენებული ტერმინები სპარსულ-არაბული ენობრივი სამყაროდან მომდინარეობენ. ქართულ ორატორულ

---

[1] იოანე პეტრიწი, შრომები, II, გვ. 223.

[2] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 356.

[3] ანტონ პირველი, წყობილსიტყვაობა; იოანე ბატონიშვილი, კალმასობა, II.

[4] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 356.

[5] იქვე, გვ. 170.

[6] იქვე, გვ. 197.

[7] ქართლის ცხოვრება, II, გვ. 302.

[8] საქმე მოციქულთა, გვ. 012 — 013.

[9] ი. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, II, 1, გვ. 497.

[10] იხ. დ. ბაგრატიონი, საქართველოს სამართლისა და კანონთმცოდნეობის მიმოხილვა.

ხელოვნებაში გავრცელებულია აგრეთვე ბერძნულ-ლათინური ენობრივი წარმოქმნის სამჭევრმეტყველო ტერმინები. მათ შორის უძველესი და უფრო გაბატონებულია რიტორი და მისგან მომდინარე რიტორება || რიტორობა. ეს ტერმინები, რომელთა შემოღება ბიზანტიურ კულტურასთან დაახლოების დროინდელია, XIX საუკუნის ნახევრამდე შემორჩა ქართულ მეტყველებას.

ერთი ადრინდელი ძეგლი, რომელშიც გვხვდება რიტორი, „გიორგი ათონელის ცხოვრებაა“, სადაც ვკითხულობთ: „სასწავლოდ მისცეს ყრმა იგი გიორგი კაცთა ფილოსოფოსთა და რიტორთა“[1]. ტერმინი რიტორობა ორჯერ ნახსენებია დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის თხზულებაში: „ჴელოვნებითა რიტორობისათა განავრცელნეს“; „აღწერნეს ჯეროვნად მათისაებრ რიტორობისა“[2].

რიტორი და რიტორება დაცულია აგრეთვე იოანე პეტრიწის „განმარტებაში“, მეხოტბეთა ნაწარმოებებში—შაითელის „აბდულ-მესიანსა“ და ჩახრუხაძის „თამარიანში“, თამარ მეფის პირველი ისტორიკოსის თხზულებასა და აღორძინების პერიოდის ძეგლებში.

ხსენებული ტერმინები განსაკუთრებით ფართოდ გავრცელებულია XVIII—XIX საუკუნეთა ზღვარის მწერლობაში. ასე, მაგალითად, იოანე ბატონიშვილის „კალმასობაში“ მეტად ხშირად იხმარება რიტორი და ზოგჯერ მისი შემცვლელი ხელოვნური ტერმინები: რიტორ-მომთხრობელი, რიტორ-მჭევრმოუბნარი[3].

ამავე თხზულებაში „უპირველეს სწავლათა“ ანუ უმთავრეს მეცნიერებათა შორის დასახელებულია რიტორიკა და მოცემულია მისი განსაზღვრა, როგორც მჭევრმეტყველების თეორიული მეცნიერებისა.

სოლომონ დოდაშვილის „რიტორიკაში“, რომელიც დაწერილია 1828 წლის მახლობლად, ტერმინი რიტორი იხსენიება ორატორის გვერდით[4]. აქ რიტორი მჭევრმეტყველის შესატყვისია, რიტორება—მჭევრმეტყველებისა, ხოლო რიტორიკა—მჭევრმეტყველების თეორიისა.

საბას ლექსიკონში რიტორი ასეა განმარტებული: „ელლენთა ენაა. ქართულად ბასილიკონი და მჭევრი ჰქჳან“. ტერმინი

[1] ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I, გვ. 192.
[2] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 342.
[3] იოანე ბატონიშვილი, კალმასობა, II, გვ. 172, 185.
[4] ს. დოდაშვილი, რიტორიკა, გვ. 151.

ბასილი კონი, რომელსაც საბა აქ ბერძნული რიტორი-სა და ქართული მჭევრმეტყველ-ის ქართულ სინონიმად ასახელებს, ჩვენში გავრცელებული არ არის და ორატორულ ხელოვნებაში არ იხმარება.

საბას განმარტებით "რიტორება არს ძალი ჴელოვნებითი დამარწმუნებელი სიტყჳსა საქმესა შინა სამოქალაქოსა და დასასრულად მჭონებელი კეთილად მეტყუელებისა".

ზემონახსენები ტერმინები ბერძნული წარმოშობისაა. მათი ბერძნული სათაეეებია: ὁ ῥήτωρ — მჭევრმეტყველების მასწავლებელი, ორატორი და ἡ ῥητορική — ორატორული ხელოვნების თეორია.

ბერძნული წარმოშობის ტერმინია აგრეთვე ჰომილია, სიტყვიდან ἡ ὁμιλία — ქადაგება, რაც ეფრემ მცირის განმარტებით „არს ზეპირად პირისპირ თქუმა"[1]. ტერმინი აღნიშნავს საჯაროდ ზეპირად წარმოსათქმელ ნაწარმოებს ან სასულიერო შინაარსის მოძღვრება-ქადაგების ზეპირად წარმოთქმას მორწმუნეთა წინაშე. ხსენებული სიტყვიდან მომდინარეობს ჰომილეტიკა, რაც საეკლესიო მქადაგებლობის თეორიულ და პრაქტიკულ სწავლებას ნიშნავს. ეს უკანასკნელი ტერმინები ნაკლებადაა გავრცელებული ქართულ ორატორულ ხელოვნებაში.

ლათინური წარმოშობის ტერმინებიდან უნდა დავასახელოთ ახალი ქართული კულტურის პერიოდში შემოღებული და დღემდე ფართოდ გავრცელებული ტერმინი ორატორი, რომელიც მომდინარეობს სიტყვიდან orator — საჯაროდ მოლაპარაკე, და აღნიშნავს მჭევრმეტყველს, ზეპირად მოლაპარაკეს. ეს ტერმინი ჩვენში პირველად გამოყენებულია ს. დოდაშვილის „რიტორიკაში", სადაც რამდენჯერმე გვხვდება ის მჭევრმეტყველის ან ზეპირად მოლაპარაკის მნიშვნელობით[2]. აქ ორატორი რამდენადმე განსხვავებულია რიტორი-საგან. ეს უკანასკნელი, ავტორის განსაზღვრით, მჭევრმეტყველების თეორიულ საკითხებს ფლობს, ხოლო ორატორი — პრაქტიკული შესრულების ხელოვნებას.

ლათინური წარმოშობისაა აგრეთვე მეტად იშვიათად ხმარებული მწიგნობრული ტერმინი ელოკვენცია მჭევრმეტყველების მნიშვნელობით, ხშირად ირონიული ელფერით, სიტყვიდან eloquentia — მჭევრმეტყველება.

ახალ და, განსაკუთრებით, უახლეს სამჭევრმეტყველო თეორიასა და პრაქტიკაში მეტად გავრცელებულია იმავე ლათინურიდან

---

[1] ხელნაწერი A—292.

[2] ს. დოდაშვილი, რიტორიკა, გვ. 151, 152.

მომდინარე ტერმინები: ლექცია (lectio)—განსაზღვრული ცოდნის შემცველი საჯაროდ წარმოსათქმელი ნაწარმოები, ან მისი წარმოთქმის აკადემიური პროცესი, ლექტორი (lector—მკითხველი)—ლექციის წამკითხველი || წარმომთქმელი, რეფერატი (refero—გადმოვცემ)—რომელიმე სამეცნიერო პრობლემის შინაარსის შემცველი ნაწარმოები, დისკუსია (discussio)—აზრთა გაცვლა-გამოცვლა რაიმე სადავო საკითხის შესახებ, დისპუტი (disputo—ვმსჯელობ)—აზრთა გაცვლა-გამოცვლა რაიმე სამეცნიერო საკითხის თაობაზე.

სამშენებლო ტერმინების გვერდით საჭიროა აღინიშნოს ორატორულ ხელოვნებასთან დაკავშირებული ეპითეტები და გამოთქმები, რომლებსაც უხვად ვპოულობთ ქართულ წერილობით ძეგლებსა და სასაუბრო ენაში. ასეთი ეპითეტები და გამოთქმებია: პირ-მეტყველი („რაჟდენის მარტვილობა"), ოქრო სიტყუა („გ. ათონელის ცხოვრება"), ენათმაქცევი, ენადღეობა, ენამზეობა, მორთვა ენისა („განმარტება"), ენოვანი, ენა-კეთილი, საუბარ-ჰამო, მახუილი ენა („ვისრამიანი"), ენა ბევრი, ენა ტკბილად მოუბარი, ენადაუშრომელი, ტკბილ-ქართული, ტკბილ-მოუბარი, ტურფა სიტყვა, ლამაზ-ენა, სივრცელე ენისა, მოუბარი წყლიანი („ვეფხისტყაოსანი"), ღრმად მეტყველი, ენა-მეცნიერი, ენა-ტკბილი, სიტყუა-მისვეობა, სიტყუა-მჭევრად, ოქრო-ნექტარი სიტყვა („ქართლის ცხოვრება"), კეთილად მეტყველება, მრავალმეტყველი (საბას ლექსიკონი), ოქროპირი, ოქრო სიტყუა, ოქროვნად გამომტევი, უხუ-სიტყუა, წრფელ-უბნობა („წყობილსიტყვაობა"), რიტორულებ დათხზული, თაფლის გოლად უბნობა, მშვენიერ უბნობა, სიტყვა-მარჯვე, მესათნოე მსმენელთა („კალმასობა"), შვენიერ-სიტყუაობა, მჭერსიტყუაობა, მჭევრ-მეთქუმობითი („რიტორიკა") და სხვ.

აქ საჭიროა აგრეთვე ორატორულ ხელოვნებასთან დაკავშირებული დამხმარე ტერმინოლოგიის გათვალისწინებაც. მაგალითად, ასეთი ტერმინებია: თქუმა ანუ თქმა, თქუმული ანუ თქმული, წარმოთქუმა ანუ წარმოთქმა, ხარება, მოკსენება ანუ თქმა, განცხადება, შეტყობინება, მიგება ან პასუხის გაცემა, ზრახვა ანუ ლაპარაკი, ღაღად ყოფა ანუ ღაღადება, სიტყუება ანუ თქმა, სიტყვერი, მეთქვი ანუ მეტყველი, თქმობა, მეთქუობა ანუ მეტყველება, მასლაათი, მუსაიფი ანუ

საუბარი, ბჭობა ანუ თათბირი, გასამართლება, ვაზირობა ანუ რჩევა, თათბირი და სხვ.

აქვე უნდა განვიხილოთ სამეცნიერო ტერმინების ანტონიმები—მეცნიერი სიტყვისა და მეცნიერად მიტყველის საპირისპირო აზრის შემცველი სიტყვები, რომელთა შინაარსით მკვეთრი სინათლე ეფინება იმ ცნებებს, რომლებსაც ისინი უპირისპირდებიან. ასე, მაგალითად: მეცნიერტყველებას უპირისპირდება სიტყუა-დუხჭირობა და ენა-მძიმეობა, წესიერ ლაპარაკს—ენა-ჰრელობა, ხოლო მეცნიერტყველს—ენა-უტყუი და ენა-ბრგუნვილი.

სიტყუა-დუხჭირობა გვხვდება, „გიორგი ათონელის ცხოვრებაში“, სადაც ნათქვამია: „...ყოველისა ნაკლულევანებისაგან განასრულნა, და სიტყუა-დუხჭირობისა და ვერაგობისაგან განაშუენა და განაბრწყინვნა“[1]. ენა-ჰრელობა დაცულია ბექა მანდატურთუხუცესის „სამართალში“, სადაც ვკითხულობთ: „თუ რადმე დააგდოს [ცოლმა ქმარი.—ნ. კ.], ღმერთი შერისხდეს მისითა ენა-ჰრელობითა“[2]. ენა-მძიმეობა, ენა-უტყუი და ენა-ბრგუნვილი ნახმარია თამარ მეფის პირველი ისტორიკოსის თხზულებაში. უკანასკნელი ტერმინი შედარებით ხშირად გვხვდება ქართულ კლასიკურ მწერლობაში.

დასასრულ უნდა აღინიშნოს, რომ ქართული მეცნიერტყველების ტერმინოლოგია, რომელიც აქ უმთავრესად ორიგინალური მწერლობის ძეგლებით დავადასტურეთ, დამოწმებულია ნათარგმნი მწერლობითაც, რაც ამ შემთხვევაში არა ძირითადი მნიშვნელობის მქონეა და ამიტომ საგანგებოდ აღარ განიხილება.

ასეთია ჩვენი მდიდარი და მრავალფეროვანი სამეცნიერტყველო ტერმინოლოგია. ის ყურადღებას იქცევს თავისი ორიგინალური შემადგენლობით, თვითმყოფადი ტერმინების დიდი სიუხვითა და მათი გამოყენების ფართო ასპარეზით. შეიძლება გადაჭრით ითქვას, რომ ჩვენი სიტყვიერი შემოქმედების არც ერთ სფეროს არ გააჩნია ასეთი უხვი და ორიგინალური ტერმინოლოგია. მისი სიუხვე ქართული მეცნიერტყველების სიმდიდრის შედეგია, ხოლო ორიგინალობა ჩვენი ენის დაუშრეტელი პოტენციიდან მომდინარეობს: მდიდარი მეცნიერტყველება საჭიროებდა მრავალფეროვან ტერმინოლოგიას, დიდი ენობრივი პოტენცია უზრუნველყოფდა ამ საჭიროებას.

---

[1] ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I, გვ. 200.

[2] იხ. ი. დოლიძე, ძველი ქართული სამართალი, გვ. 299.

5. ქართული მხევრმეტყველების კერები

ორატორული ხელოვნების წარმოქმნისა და განვითარების დამხმარე პირობებს შორის მეტად დიდი მნიშვნელობა გააჩნია მჭევრმეტყველების კერებს. ასეთი კერა ერთგვარი ცენტრია, სადაც თავს იყრის მთქმელთა და მსმენელთა მჭიდრო კოლექტივი, რომელსაც შეუძლია საჯარო მეტყველების დანერგვა და აღორძინება. ამ გზით მაღლდება ცოცხალი სიტყვის ხელოვნება, იზრდება მისი გავლენის ძალა და ფართოვდება მისივე მოქმედების სივრცე. ზეპირი სიტყვის ადგილობრივი კერები და მათი შემოქმედებითი ურთიერთკავშირი ქმნის იმ სარბიელს, რომელზედაც წარმატებით ვითარდება ამა თუ იმ ხალხის ეროვნული მჭევრმეტყველება. ასე შეიქმნა და დამკვიდრდა ისტორიულად ქართული ორატორული ხელოვნება, რომლის წინსვლას ხელს უწყობდა ჩვენში და ჩვენი ქვეყნის გარეთ არსებული კერები, სადაც დროისა და პირობების შესაბამისად მეტ-ნაკლები ინტენსივობით იყო გაჩაღებული საორატორო მუშაობა. ამ მუშაობის მთავარი ცენტრები ქვემოთ თანამიმდევრობით განიხილება.

უწინარეს ყოვლისა ყურადღებას იქცევს ხალხური მჭევრმეტყველების ზოგიერთი კერა, რომელთაც დღემდე არ დაუკარგავთ თავიანთი მნიშვნელობა და ამჟამადაც საჯარო მეტყველების ტრადიციულ ცენტრებად გვევლინებიან. ასეთი ცენტრებია: ქართული სუფრა და ქართული სამგლოვიარო რიტუალი. ისინი უძველესი ეთნიკური წესჩვეულებანია, რომლებსაც საუკუნეთა მანძილზე მტკიცედ ინარჩუნებს ხალხის ყოფა-ცხოვრება. ქართული სუფრის წესი და ჩვენებური გლოვის ტრადიცია უხსოვარი დროიდან ხელს უწყობდა საჯარო სიტყვის დანერგვასა და განვითარებას. ამ გზით აღმოცენდა ჩვენში ხალხური მჭევრმეტყველების ორი ძირითადი დარგი: სასუფრო და სამგლოვიარო, რომელთაგან პირველის შინაარსი ზეიმითა და მხიარულებით ისაზღვრება, ხოლო მეორისა—გლოვითა და მწუხარებით.

სასუფრო მჭევრმეტყველების უძველესი ნიმუშები შემორჩენილია ხალხური სადღეგრძელოების სახით. ამ სახის ზეპირი სიტყვიერება უხვადაა წარმოდგენილი საქართველოს მთისა და ბარის პოეზიაში. ჩვენი მდიდარი ფოლკლორი ინახავს უამრავ სუფრულ სიმღერას, მოსწრებულ თქმას, გაშაირებას, ზეას, დიდებას, დალოცვასა და დამწყალობებას, რომელთა სიტყვიერი მასალა დაკავშირებულია ქართულ სუფრასთან და მაჩვენებელია მჭევრი მეტყველებისა. სუფრის ირგვლივ შემოკრების ძველთაძველი ჩვეულება, რაც საგანგებო წესრიგით დაკანონდა ჩვენში, საუკუნეთა მანძილზე წარმოადგენდა არა მარტო შექცევისა და მხიარულების საბაბს, არამედ საქმიანი საუბრისა და გონივრული გართობის სათავესაც. გვაქვს საფუძველი აღვნიშნოთ, რომ ისტორიულ წარსულში ბევრი დიდი მნიშვნელობის საკითხის გადაწყვეტა და საქმის მოგვარება სუფრის მახლობლად ხდებოდა. ყოველ შემთხვევაში, ჩვენი სუფრის მსვლელობა დიდად მიემსგავსება ფეოდალური საქართველოს დარბაზის სხდომის მართვა-წარმოებას, რაც შორეულ წარსულში მათი დიდი სიახლოვის მაჩვენებელი უნდა იყოს.

ქართული სუფრა დღემდე წარმოადგენს მოწესრიგებული ზეიმის ნიმუშს, რომელიც თავისი მწყობრი აგებულებით ხელს უწყობს ოპტიმიზაციული მჭევრმეტყველების განვითარებას და ხალხური ორატორული ხელოვნების ერთ-ერთ კერად გვევლინება.

დაახლოებით ასეთივე მნიშვნელობა გააჩნია ჩვენებურ სამგლოვიარო რიტუალს. აქ უძველესი წეს-ჩვეულების თანახმად მიღებულია მიცვალებულის სიტყვით დატირება. ასეთი დატირების რამდენიმე სახეობას იცნობს ჩვენი ხალხური შემოქმედება. მათი საერთო ნიშანი სიტყვით გამოთქმული აზრია და არა ტირილით გამოწვეული გრძნობა. გლოვის განწყობილებას აქ ქმნის დამტირებლის ზეპირი მეტყველება, რომლის ენობრივი მასალა ჩვეულებრივად წინასწარ გათვალისწინებულია. ეს გარემოება სიტყვით გლოვას ამაღლებს ორატორულ ხელოვნებამდე.

ასეთი დატირების უძველესი წერილობითი ტექსტი დაცულია „ქართლის ცხოვრების“ ფურცლებზე, ლეონტი მროველის საისტორიო ნაშრომში, სადაც მოთხრობილია ვერაგულად მოკლული ფარსმან მეფის (30—50-იანი წწ. II ს.) სახალხო გლოვის ამბავი. დიდად საგულისხმოა, რომ აქ სიტყვით დამტირებელი გლოვის მგოსნად იხსენიება[1].

ასეთივე გლოვის სიტყვიერი მასალის ნიმუშები მოიპოვება აგრეთვე ქართულ ხალხურ სიტყვიერებაში. ისინი დაცულია როგორც დამო-

[1] იხ. ქართლის ცხოვრება, I, გვ. 53.

უკიდებელი, ისე სხვა მასალასთან შეთავსებული ტექსტების სახით: სიტყვით დატირების თაობაზე გვაქვს საისტორიო ხასიათის წერილობითი ცნობებიც. მათ შორის მეტად საყურადღებოა თეიმურაზ ბატონიშვილის (1782—1846) „ისტორიაში“ აღბეჭდილი ფაქტი ერეკლე მეორის დატირებისა. ისტორიკოსი მოგვითხრობს, „მოვიდა დედა-კაცი ვინმე მაშინ ჭიზიყისა მცხოვრებთაგანი, ქერივი, მოხუცებულებისა ასაკსა მიწევნული. თუმცაღა იყო იგი მდაბიოთა ერისაგანი, მაგრამ ცნობილი მეფეთა მიერ და შეწყნარებული კარსა ზედა მეფისასა. იწყო ამან ჴმითა მაღლითა ტირილად. ესრეთისა შესაბამითა სიტყვებითა ტირილსა მას შინა მოიღებდა თვითეულთა ღირს-სახსოვართა საქმეთა მეფისა მიერ ქმნულთა, რომელ ყოველნი მსმენელნი სიტყვათა მით უმეტეს ლმობიერ იქმნებოდეს და სტიროდეს გოდებითა დიდითა, და ყოველთა მიეპყრათ ყური მისა მიმართ, და განუკვრდებოდათ თუ-ვითარ ერთმან მსოფლიომან დედა-კაცმან ესრეთ შესაბამისა სიტყვებითა დაიტირა გვამი დიდებულისა მეფისა“[1].

აქ დახატულია ქართული გლოვის სურათი. ამ სურათის მთავარ შტრიხს სიტყვით დატირება წარმოადგენს: ამონაწერში ორჯერ ნახსენებია შესაბამი სიტყვით დატირება. ქვემოთ ავტორი საგანგებოდ ჩერდება ზარით ტირილზე და გვაუწყებს: „ძველ არს ჩვეულება, რომელ რომელნიცა გვამნი მამრთა ანუ მდედრთაგანნი ჩინებულთაგან კარისათა არიან, და ანუ სხვანი შემეცნებულნი კარსა მეფისასა, აღარჩევენ მათ, და იგინი, შესაბამად მეფისა გვამისა, ჰყოფენ ტირილსა ესეგვარითა ჴმითა, რომელიცა დიდსა შინა ლმობიერებასა მოიყვანს მსმენელთა, და წარმოუთხრობენ თჳთეულად ყოველთა მათ ღირს-სახსოვართა, და საქმეთა მოწყალებისა, და კაცთ-მოყვარებისა მეფისათა“[2]. აქ ზარით დატირება მართებულად მიჩნეულია ძველ ჩვეულებად და, ამასთან, მისი გაერცელების საყურადღებო ფაქტია აღნიშნული. დასასრულ, თ. ბატონიშვილი ხსენებულ ქიზიყელ დედაკაცს ასახელებს გამოჩენილი ორატორის ს. ლიონიძის გვერდით და ამით გვიჩვენებს ზარით ტირილის დიდ მნიშვნელობას და საპატიო ადგილს ხალხის ყოფა-ცხოვრებაში.

ამრიგად, სამგლოვიარო რიტუალი ხალხური მჭევრმეტყველების ერთ-ერთ კერად უნდა ჩაითვალოს.

აქ ვერ დავტოვებთ უყურადღებოდ ერთ საგულისხმო ძველ მოვლენას. შორეულ წარსულში, განსაკუთრებით ქრისტიანობის

[1] თეიმურაზ ბატონიშვილი, საქართველოს ისტორია, II, გვ. 107

[2] იქვე; ხელნაწერი S — 191, გვ. 70.

გავრცელებამდე, ხალხური მჭევრმეტყველების დანერგვისა და გამოყენების ერთი კერა წარმართული ხატი უნდა ყოფილიყო. ეს უძველესი სამლოცველო, რომლის ირგვლივ თავს იყრიდა ადრინდელი მრეველი, ქრისტიანულ ეპოქაშიც დიდხანს შემორჩა ხალხის ზნე ჩვეულებას. საქართველოს მთის კუთხეებში წარმართულ ხატებს უკანასკნელ ხანებამდე დიდი პატივით ეპყრობოდნენ და რელიგიურ საწეს ჩვეულებრ დღესასწაულებს უფრო მას უკავშირებდნენ, ვიდრე ტაძარს.

წარმართული ხატის თაყვანისცემას ხშირად თან ახლდა ერთი მეტად თავისებური და იშვიათი ჩვეულება ქადაგად დაცემა, რაც იმაში გამოიხატებოდა, რომ ვინმე, თითქოს წინასწარმხედველი, სინამდვილეში კი ეკზალტაციით შეპყრობილი პიროვნება, საჯაროდ მოჰყვებოდა მისნურ წინასწარმეტყველებას; ქადაგად დაცემული უთავბოლო ლაპარაკით გადმოსცემდა ბუნდოვან აზრებს და ამით ქმნიდა მათი ნებისმიერი გაგების შესაძლებლობას. მიუხედავად ამისა მისი მეტყველება არ იყო მოკლებული გარკვეულ ტენდენციას: ის ითვალისწინებდა მსმენელთა ინტერესებს და მათი სურვილის გამომხატველი ფრაზებით „ქადაგებდა“. ასეთი მოქადაგე არსებითად წინასწარ ამზადებდა თავის სათქმელს, რომელსაც მეტყველების პროცესში იმპროვიზირებულ ნაწილებს უმატებდა და ასე ქმნიდა საბოლოოდ ერთგვარ ორატორულ გამონათქვამს.

ამრიგად, წარმართულ ხატთან დაკავშირებით გავრცელებული ჩვეულება — ქადაგად დაცემა, უნდა ვიფიქროთ, თავის დროზე განსაზღვრულ წელილს შეიტანდა ხალხური მჭევრმეტყველების განვითარების საქმეში.

როცა მჭევრმეტყველების კერებზე ვლაპარაკობთ უნდა გავიხსენოთ ის გარემოება, რომ ჩვენი არქაული ცნება უბნობა (მეტყველება), საიდანაც წარმოიქმნა თანამედროვე საუბარი, მომდინარეობს სიტყვა უბნის-გან, რაც ძველ ქართულში ზოგჯერ მოედანს აღნიშნავდა. ამ აზრით გვხვდება უბანი „აბო ტფილელის მარტვილობაში“[1]. ამავე აზრით იხმარება ის ქართულ ოთხთავშიც, სადაც სიტყვა უბანი თითქმის ყოველთვის მოედანს ნიშნავს, მაგალითად: „პოეს კიცხ დაბმული კართა თანა უბანსა ზედა“ (მარკოზ, 11, 4, ადიშისა), „განვედ ადრე უბანთა და ყურეთა ქალაქისათა“ (ლუკა, 14, 21, ჯრუჭ-პარხლისა)[2]. იქვე რამდენჯერმე ხსენებული სიტყვა ურაკპარაკ ‖ ჰურაკპარაკ (მათე, 6, 5, ადიშისა;

[1] იხ. Г. А. Меликишвили, К истории древней Грузии, გვ. 450.

[2] ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია, აკაკი შანიძის გამ., თბილისი, 1945, გვ. 153, 249.

იქვე, 10, 17; იქვე, 27, 27; იოვანე, 11, 47, ადიშისა)[1], რაც იმავე მოედნის აღმნიშვნელია, თანამედროვე ლაპარაკის ენობრივ წყაროს უნდა წარმოადგენდეს.

. ამრიგად, მოგვიანებით წარმოქმნილი სინონიმები უბნობა || საუბარი || ლაპარაკი ეტიმოლოგიურად უბანს || მოედანს უკავშირდებიან, ხოლო ეს უკანასკნელი ამ მიმართებით სამქვერმეტყველო კერის გააზრებას იღებს. ეს იმას ნიშნავს, რომ მოედანი —ხალხის საკრებულო— თავის დროზე ზეპირი მეტყველების ერთგვარ კერას წარმოადგენდა, სადაც არა მარტო ჩვეულებრივი საუბარი იმართებოდა, არამედ საჯარო გამოსვლებიც ხდებოდა. ცნობილია, რომ საბერძნეთში, რომსა და მცირე აზიის ქვეყნებში ორატორები თავიანთ სიტყვებს ღია ცის ქვეშ. ფართო მოედნებზე წარმოთქვამდნენ. საგულისხმოა, რომ კოლხთა კრება ქვეყნის პოლიტიკური ორიენტაციის საკითხზე (554 წ.) „კავკასიის ერთ ხეობაში“ ჩატარდა.

ერთი სიტყვით, მჭიდროდ დასახლებული ადგილის მოედანი ძველად მჭევრმეტყველების თავისებური ცენტრი უნდა ყოფილიყო, სადაც ერთმანეთს ხვდებოდნენ საჯაროდ მოლაპარაკე და მსმენელთა კოლექტივი, რომელთა ურთიერთობას ორატორული ხელოვნება უზრუნველყოფდა.

ჭართული კლასიკური მჭევრმეტყველების ერთი ადრინდელი ცენტრი, დამოწმებული უცილობელი წერილობითი დოკუმენტითა და შემდგომი ისტორიული მოვლენებით, არის კოლხეთის რიტორიკული სკოლა. ამ სკოლის არსებობას ადასტურებს IV საუკუნის ბერძენი ორატორისა და ფილოსოფოსის თემისტიოსის XXVII სიტყვა, მიმართული ერთი პროვინციელი ახალგაზრდისადმი, რომელსაც ორატორი უმაღლესი განათლების სასურველ მომნიჭებლად უსახელებს კოლხეთის რიტორიკულ სკოლას, რომელშიც ფილოსოფიური განათლება ჩიუღიათ როგორც თემისტიოსს, ისე მამამისს ევგენიოსსაც.

ხსენებულ სიტყვაში ნათქვამი არის: „მეც, ჩემო კარგო, რიტორიკის ნაყოფნი მოვწყვიტე გაცილებით უფრო უჩინარ ადგილას, ვიდრე ეს ჩვენი ადგილია, არა წყნარსა და ელინურ ადგილას, არამედ პონტოს ბოლოში, ფასიდის მახლობლად... იქ, სადაც ცნობილია თერმოდონტი ამაზონთ (სამარი) საქმეები და თემისკვირი. და, აი, ასეთი ბარბაროსული და პირქუში ადგილი ერთი კაცის სიბრძნემ და სათნოებამ გახადეს ელინური და აქციეს მუზე-

[1] იქვე, გვ. 15, 31, 104; ი. იმნაიშვილი, ჭართული ოთხთავის სიმფონია-ლექსიკონი, თბილისი, 1948—1949, გვ. 584.

ბის ტაძრად, იმ ერთი კაცის, რომელიც დამკვიდრდა კოლხებისა და არმენიელების ქვეყანაში და ასწავლიდა არა ისართ ტყორცნას და ოროლთ სროლას, ან ჯირითს, მეზობელ ბარბაროსთა წესებისდა მიხედვით, არაᲔედ იმას, თუ როგორ გაიწვრთნა რიტორიკულ ხელოვნებაში და როგორ ბრწყინავდე ელინთა დღეობებზე“[1].

ჩვენი ანტიკური კულტურის ეს უაღრესად მნიშვნელოვანი სამეცნიერო-პედაგოგიური კერა გაჩაღებულია დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე (პირველწყაროთი: კ ო ლ ხ ე ბ ი ს ქვეყანაში), სადაც მდინარე რიონი (პირველწყაროთი: ფ ა ს ი დ ი) ერთვის შავ ზღვას (პირველწყაროთი: პ ო ნ ტ ო ს ნაპირებს). ამ მიდამოებს თემისტიოსი უწოდებს ძუზების ტაძარს. აქ არსებობდა კოლხეთის აკადემია[2].

კოლხეთის აკადემიის აყვავების ხანა IV საუკუნეა, ხოლო არსებობის პერიოდი —III — VI საუკუნეები. მისი შექმნა ქართული და ელინისტური კულტურული სამყაროების დაახლოებას მოჰყვა, ხოლო გაუქმება — დასავლეთ საქართველოში ქრისტიანობის გაერცელების შედეგი უნდა იყოს. კოლხეთის რიტორიკული სკოლა ჩვენი წარმართული კულტურის უმაღლესი გამოვლენაა, რასაც, უნდა ვიფიქროთ, ვერ შეეგუებოდა აღმოსავლეთით ქართლისა და დასავლეთით ბიზანტიის მძლავრი ქრისტიანობა. წარმართულ და ქრისტიანულ მსოფლმხედველობათა მტრული ურთიერთობის ერთი ასპარეზი უთუოდ Ექნებოდა კოლხეთის აკადემია, რომელიც, ცხადია, ზედმეტი გახდებოდა გამარჯვებული ქრისტიანობისათვის.

ამ ისტორიული ფაქტებითაა შეპირობებული ხსენებული სკოლის დაარსება, მუშაობა და გაუქმება. ეს ფაქტები ჩვენთვის ამჟამად სხვა მხრივ არის უფრო საყურადღებო: ისინი წარმოადგენენ ორატორული ხელოვნების განვითარების უშუალო ფაქტორებს, რომლებსაც შეეძლოთ ჩვენი მწერმეტყველების უჩვეულო აღორძინება. ეს შესაძლებლობა თავის დროზე სინამდვილედ ქცეულა. ამის მაჩვენებელია ქართული სადარბაზო, სამხედრო და სამოსამართლო მწერმეტყველების აყვავება მეექვსე საუკუნეში.

კოლხეთის რიტორიკული სკოლა, უწინარეს ყოვლისა, მწერმეტყველების კერაა, სადაც ასწავლიან „არა ისართ ტყორცნას... არამედ იმას, თუ როგორ გაიწვრთნა რ ი ტ ო რ ი კ ულ ხ ე ლ ო ვ ნ ე ბ ა შ ი.“ აქ ნაჩვენებია კოლხეთის სკოლის ძირითადი დანიშნულება. ეს დანიშნულება, რა თქმა უნდა, არ გამორიცხავს ფილოსოფიური ცოდნის დანერგვას, პირიქით, იგი გულისხმობს ამ უკანასკნელს.

---

[1] თ ე მ ი ს ტ ი ო ს ი, XXVII სიტყვა.

[2] ს. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი, ბერძნული ლიტერატურის ისტორია, II, გვ. 351—352; შ. ნ უ ც უ ბ ი ძ ე, ქართული ფილოსოფიის ისტორია, I, გვ. 92 — 104.

ფილოსოფია და მშვერმეტყველება აქ განუყოფელია მსგავსად შინაარსისა და ფორმისა. ფილოსოფიური განათლების უმძლავრეს საშუალებად მიჩნეულია მშვერმეტყველება. ასეთი მიმართება მას განსაკუთრებულ ადგილს ანიჭებს კოლხეთის აკადემიის სამეცნიერო დარგებში. ეს გარემოება ხაზგასმულია თემისტიოსის სიტყვაში.

ამგვარად ისახება დღეს ჩვენ წინაშე ანტიკური განათლების ეს დიდი კერა, რომელმაც წარუშლელი კვალი გაავლო ჩვენი ორატორული ხელოვნების განვითარებას.

უფრო მოგვიანებით ქართული მშვერმეტყველების მნიშვნელოვან კერას წარმოადგენდა კოლხეთის დედაქალაქი ა რ ქ ე ო პ ო ლ ი ს ი (ძველი ქალაქი), დღევანდელი ნოქალაქევი. ამ ქალაქის მახლობლად, „კავკასიის ერთ ხეობაში," 554 წელს, კოლხთა მრავალრიცხოვან კრებაზე სიტყვებით გამოვიდნენ ქართველი ორატორები ა ი ე ტ ი და ფ ა რ ტ ა ზ ი. კოლხთა სახალხო კრების ვრცელი აღწერილობა დაგვიტოვა აგათია სქოლასტიკოსმა. მისი ი ს ტ ო რ ი ი ს ფურცლებზე ასახულია კოლხთა დიდი ყრილობა, რაც იშვიათ მოვლენას არ წარმოადგენდა ძველი კოლხეთის დედაქალაქში. იმავე ისტორიის მასალები გვაფიქრებინებს, რომ აღწერილი ყრილობის მსგავს კრება-თათბირებს ხშირად უნდა ჰქონოდა ადგილი დასავლეთ საქართველოს მიწა-წყალზე, მეტადრე მჭიდროდ დასახლებულ ცენტრებში, მაგალითად, პეტრაში, ვარდციხეში, მოხირისში, ონოგურისში, სკანდესა და შორაპანში.

განსაკუთრებული ყურადღების ღირსია ის გარემოება, რომ არქეოპოლისში, 554 წელს, მოეწყო საჩვენებელი სასაჯართლო პროცესი — გუბაზ მეფის მკვლელთა გასამართლება, რომელზედაც ვრცელი საბრალმდებლო სიტყვა წარმოთქვა კოლხთა წარმომადგენელმა. ეს ბიზანტიური სამსჯავრო დაგვისურათა იმავე აგათია სქოლასტიკოსმა. მისი მოწმობით გასამართლება ბიზანტიელთა ძალაუფლების გამოსაჩენად მოეწყო. ამით აიხსნება სასამართლო პროცესში კოლხთა ფართო მონაწილეობა. ეს გარემოება იმას გვიჩვენებს, რომ ძველი კოლხეთის დედაქალაქი მშვერმეტყველების დიდ არენას წარმოადგენდა როგორც ბერძენი, ისე ქართველი ორატორებისათვის. ისინი მშვერი სიტყვით გამოთქვამდნენ თავიანთ აზრებს და მრავალრიცხოვან მსმენელთა კეთილ განწყობილებას იმსახურებდნენ.

დიდად საგულისხმოა, რომ ამ ორატორების გვერდით „იყვნენ კაცნი, რომელთაც იცოდნენ სწრაფი წერა და დაწერილის წაკითხვა სხაპა-სხუპით"[1]. ამით დასტურდება ორატორული ძეგლების

[1] გეორგიკა, III, გვ. 125; კ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, I, გვ. 524.

ჩაწერის წესი, რაც იმ ხანებში გავრცელებული ყოფილა ბიზანტიასა და საქართველოში. სიტყვის ტექსტის ჩაწერა მისი წარმოთქმის პროცესში იმას მიუთითებს, რომ ჩვენამდე მოღწეული ორატორული ძეგლები დედნებიდან უშუალოდ მომდინარე პირებია. ამ გარემოებას დიდი მნიშვნელობა აქვს საჯარო მეტყველების პირვანდელი ფორმების გასათვალისწინებლად.

IV — V საუკუნეების საქართველო რელიგიური უთანხმოების ასპარეზს წარმოადგენდა. წარმართული მსოფლმხედველობა თანდათანობით ტოვებდა თავის სარბიელს და გზას უთმობდა ქრისტიანულ სარწმუნოებას. ახალი რელიგია ეუფლებოდა ძველი რწმენის ადგილს და მისი შეივიწროების გზით აფართოებდა საკუთარი გავლენის ფარგლებს.

ქრისტიანული მსოფლმხედველობის გამარჯვებას მოჰყვა საეკლესიო მშენებლობა და მწიგნობრობის გავრცელება. ერთიცა და მეორეც ხელს უწყობდა მჭევრმეტყველების განვითარებას. ამ მხრივ განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ქრისტიანულ სამლოცველო კერებს. ასეთი კერა იყო ტაძარი. ყოველი ტაძარი სამქადაგებლო ცენტრს წარმოადგენდა. გვაქვს საფუძველი ვიფიქროთ, რომ ტაძრები შენდებოდა სწორედ სამქადაგებლოდ შერჩეულ ადგილებში, სადაც შექმნილი სამლოცველო შემდეგ თვით იქცეოდა მის ირგვლივ შემოკრებილი მრევლის დამოძღვრების კერად. ასეთი კერების უჩვეულო სიმრავლით ხასიათდება ჩვენი ქვეყანა. აქ თითქმის ყოველ ბორცვზე აგებულია ქრისტიანული სამლოცველო, რომელიც თავის დროზე დადებით როლს თამაშობდა ქართული სიტყვის დაცვისა და მოვლის საქმეში. მათ შორის, ცხადია, ყველას ერთნაირი ღვაწლი არ მიუძღვის საერთოდ ძველი კულტურისა და კერძოდ კლასიკური მჭევრმეტყველების წინაშე. ისინი სხვადასხვა დროს, განსხვავებულ პირობებში და მეტ-ნაკლები შედეგით ეწეოდნენ თავიანთ შემოქმედებითს მუშაობას, რომლის ერთ მხარეს ზეპირი სიტყვის დანერგვა შეადგენდა.

ამ კერებიდან ჩვენ რამდენიმეს გამოვყოფთ მათი დიდი ისტორიული მნიშვნელობის გამო.

ქართული მჭევრმეტყველების ერთი უძველესი კერა, დამოწმებული ადრინდელი წერილობითი წყაროებით, არის ბოლნისის ტაძარი. ის მოხსენებულია ლეონტი მროველისა და ჯუანშერის საისტორიო შრომებში და დადასტურებულია დიდი ქართველი მქადაგებლის ი ო ა ნ ე ბ ო ლ ნ ე ლ ი ს შემოქმედებით. ბოლნისის ტაძარს იხსენიებს აგრეთვე „მოქცევაჲ ქართლისაჲ,“ სადაც მისი აშენება IV საუკუნის პირველ ნახევარს მიეკუთვნება. „... და

მისა შემდგომად მეფობდა ბაკურ, ძე თრდატისი, და მთავარ-ებისკოპოსი იყო ელია, და ამან აღაშენა ეკლესიაჲ ბოლნის[ს]-[1], — ნათქვამია ქრონიკაში. აქ ხსენებული ბაკურის მეფობის ხანად სამეცნიერო ლიტერატურაში მიჩნეულია IV საუკუნის დასაწყისი.[2]

ლეონტი მროველის ცნობით ბოლნისის ტაძარი აგებულია V საუკუნის დასაწყისში ფარსმან მეოთხის მიერ. ისტორიკოსის სიტყვით ქართლის მეფემ ფარსმანმა „აღაშენა ეკლესია ბოლნისისა"[3]. ჯუანშერის ცნობით ვახტანგ გორგასალს V საუკუნის მეორე ნახევარში ბოლნისის ტაძარი საეპისკოპოსოდ განუწესებია[4]. საქართველოს იერარქიაში ცნობილია ბოლნისის ეპისკოპოსის საპატიო ადგილი და საძოღვაწეო სფერო. როგორც ირკვევა ბოლნისის კათედრა საუკუნეთა მაჲძილზე ასრულებდა თავის მაღალ დანიშნულებას სასულიერო კულტურის სარჲელზე. აქ დროდადრო გაძლიერი იყო დიდი შემოქმედებითი მუშაობა, რომელიც ორატორულ ხელოვნებასაც ითავსებდა.

ერთი ასეთი პერიოდი ბოლნისის ტაძრის ისტორიაში X — XI საუკუნეთა მიჯნაა. ამ დროს გამდიდრდა და აყვავდა ჩვენი ორიგინალური ჰოძილეტიკა, როძლის უდიდესი წარძომადგენელი იოანე ბოლელია. ამ დიდი მჭადაგებლის შემოქმედება დაკავშირებულია ბოლხისის კათედრასთან. ეს უკანასკნელი წარმოადგენს იმ ბაზას, რომელზედაც გაისაკუთრებულ წარმატებას აღწევს ქართული სამქადაგებლო მჭევრმეტყველება. იოანე ბოლნელის ქადაგებათა სათაურებში საგანგებოდ დაცულია ორატორის წოდება — მომდიხარე, მისი სამოღვაწეო ადგილის სახელიდან, რაც იმას გვიჩვენებს, თუ რაოდენ დიდი ინიშვნელობა ეხიჭებოდა ბოლნისის ტაძარს, როგორც ქრისტიანული კულტურის ცენტრს, კერძოდ, სამქადაგებლო საქმის კერას.

ქართული მჭევრმეტყველების ერთი ადრინდელი კერა, დამოწმებული ბევრი წეოილობითი წყაროთი და მატერიალური გადმონაშთებით, ჩვენი ძველი ქალაქი ნეკრესია. მისი სამღოცველო ცენტრი—ნეკრესის ტაძარი—დიდიანს წარძოადგენდა მწერლობისა და მჭადაგებლობის სავანეს აღმოსავლეთ საქართველოში (კახეთში). დროდადრო, უმთავრესად მშვიდობიან ვითარებაში, ნეკრესის მნიშვნელობა გაისაკუთრებით იზრდებოდა. ასეთ პერიოდებში ის უაღრესად ფართო შემოქძედებითს მუშაობას აწარმოებდა — ქმხიდა,

---

[1] ძოქცევაჲ ქართლისაჲ, ხქ. 25-26.

[2] Г. А. Меликишвили, К истории древней Грузии, хх. 62.

[3] ქართლის ცხოვრება, I, хქ. 138.

[4] იქვე, хქ. 198.

ოცავდა და ავრცელებდა სულიერი კულტურის საუნჯეებს, მათ შორის, რა თქმა უნდა, ორატორული ხელოვნების ძეგლებსაც.

საისტორიო წყაროების მიხედვით ნეკრესის ტაძრის აშენება საქართველოს გაქრისტიანების ხანას მიეკუთვნება[1]. ლეონტი მროველი და ჯუანშერი ნეკრესში ანუ ნელქარისში ქალაქის წარმოქმნასა და ტაძრის აშენებას IV — V საუკუნეების ისტორიულ პირებს უკავშირებენ[2]. ვახტანგ გორგასალის მეფობაში, V საუკუნის მიწურულსა და VI საუკუნის დამდეგს, ნეკრესი კარგად გაშენებული ქალაქი უნდა ყოფილიყო. ჯუანშერის ცნობით ამ ხანებში ვახტანგს ნეკრესი შვილისათვის უძღვნია[3]. ეს იმას ნიშნავს, რომ ქალაქი უკვე ღირსშესანიშნავ ადგილს წარმოადგენდა. სარწმუნო ცნობებით ნეკრესის ტაძარი ადრე გამხდარა კათედრის მფლობელი. ყოველ შემთხვევაში, VI საუკუნეში ის ქრისტიანული სარწმუნოების მძლავრი საყრდენია, საიდანაც წარმოებს ახალი რელიგიური მსოფლმხედველობის ფართო პროპაგანდა.

ამას გვიჩვენებს ერთ-ერთ სირიელი მამის აბიბოს ნ ე კ რ ე ს ე ლ ი ს მოღვაწეობა, დაკავშირებული ნეკრესის საეპისკოპოსო კათედრასთან და აღწერილი მეათე საუკუნის მწერლის არსენ კ ა თ ა ლ ი კ ო ს ი ს მიერ. ამ უკანასკნელს გამოუყენებია ადრინდელი წყაროები და შეუქმნია ხსენებული მამის მარტვილობის ვრცელი აღწერილობა, რომელშიც ნათქვამია: „შუამდგომელი ღმრთისა და კაცთაჲ ნეტარი აბიბოს ნეკრესელ ქალაქისა ეპისკოპოსი, რომელი ორთა განწყობილთა კრებულსა წმიდათასა წარმოდგა მღდელობისა საყდრისა მოდგამთა მათ თანა უბიწოთა საყდარი დაიპყრა“[4].

არსენ კათალიკოსის ქმნილება ჩვენთვის სხვამხრივაც არის საყურადღებო. ერთგან აქ აღბეჭდილია პოლემიკური დიალოგი აბიბოს ნეკრესელსა და ცეცხლთაყვანისმცემლობის დამცველთა შორის. ეს ცოცხლად გადმოცემული პაექრობა, უწინარეს ყოვლისა, ავტორის მჭევრსიტყვაობას გვიჩვენებს, მაგრამ, შესაძლოა, პერსონაჟის ორატორულ ღირსებაზეც მიუთითებდეს. ეს საფიქრებელია თუნდაც იმიტომ, რომ სირიელ მამათა ერთი დამსახურება ქერპთაყვანისმცემლობის წინააღმდეგ დაუნდობელი ბრძოლაა[5]. ამ ბრძოლაში ცოცხალ სიტყვას, რა თქმა უნდა, დიდი სარბიელი დაეთმობოდა. ჩანს, ასეთი სიტყვის წარმომადგენელი იყო აბიბოს ნეკრესელი.

---

[1] მოქცევაჲ ქართლისაჲ, გვ. 23.

[2] ქართლის ცხოვრება, I, გვ 137.

[3] იქვე, გვ. 199.

[4] ასურელ მოღვაწეთა ცხოვრების წიგნთა ძველი რედაქციები, გვ. 188.

[5] შ. ნ უ ც უ ბ ი ძ ე, ქართული ფილოსოფიის ისტორია, I, გვ. 263—279.

ასეა თუ ისე ნეკრესის კათედრა თავიდანვე სიტყვისა და აზრისა კერად ქცეულა და ეს დანიშნულება დიდხანს შეუნარჩუნებია. მისი უკანასკნელი აყვავების ხანა XVIII საუკუნის მეორე ნახევარია. ამ ხანაში ცხობილია ორი დიდი ნეკრესელი: დოსითეოზ ჩერქეზიშვილი და ამბროსი მიქაძე. მათი მოღვაწეობის პერიოდში ნეკრესის ტაძართან პირველდაწყებითი სკოლაც არსებობდა. ამ სკოლის მესვეური, ცნობილი სასულიერო მოღვაწე, მწერალი და პედაგოგი დ. ჩერქეზიშვილი მჭევრმეტყველების სფეროშიც ღვაწლმოსილია: მისი მონაწილეობით შეიქმნა ქართულ ენაზე რიტორიკის პირველი სახელმძღვანელო.

გაცილებით მეტი დამსახურება მიუძღვის ორატორული ხელოვნების დარგში ამბროსი ნეკრესელს. ის ქართული სასულიერო მქადაგებლობის გამოჩენილი ოსტატია. მისი შთამაგონებელი ხმა თითქმის 30 წლის მანძილზე გაისმოდა ნეკრესის ტაძრის ამბიონიდან.

XVII—XVIII საუკუნეთა მიჯნაზე, და ერთხანს მომდევნო პერიოდშიც, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც დავით-გარეჯის უდაბნოს წინამძღვრად ონოფრე მაჭუტაძე დაიხიშნა (1690), ბერ-მონაზონთა დიდი საკრებულოები შეიქმნა და ძლავრი კულტურული საქმიანობა გაჩაღდა იქაურ მონასტრებში. ხსენებულ პერიოდში დავით-გარეჯის, დოდორქისა და იოანე ნათლისმცემლის სამლოცველოებში თავს იყრიან და ლიტერატურულ მუშაობას ეწევიან ღრმად განსწავლული სასულიერო პირები.

ამ მუშაობის ერთ ნაყოფიერ მხარეს სამქადაგებლო შემოქმედება წარმოადგენდა. ეს საქმე მომეტებულად დაწინაურდა იოანე ნათლისმცემლის ძონასტერში, სადაც 1698—1710 წლებში მოღვაწეობდა დროებით ბერად აღკვეცილი და ნაწილობრივ პოლიტიკურ ცხოვრებას განრიდებული სულხან-საბა ორბელიანი. მან იქ შექმნა ძლიერი საგანძანათლებლო კერა, ირგვლივ შემოიკრიბა ნიჭიერი მოღვაწეები, გააფართოვა მსმენელთა წრე და გააჩაღა ფართო მქადაგებლობა. იმავე წლებში საბამ შეთხზა თავისი ცნობილი „სწავლანი“—პოლიტიკური ტენდენციებით გაჟღენთილი სამოძღვრო, სააღმზრდელო და სადღესასწაულო ჰომილიების კრებული.

საბას გვერდით დავით-გარეჯის მონასტერში მოღვაწეობდნენ სახელოვანი მქადაგებლები: ბესარიონ ორბელიანი, ნიკოლოზ ჩერქეზიშვილი და სხვ[1].

---

[1] იხ. ი. ლოლაშვილი, სულხან-საბა ორბელიანის ლიტერატურული მოღვაწეობიდან, გვ. 22—68.

დიდად საგულისხმოა სულხან ორბელიანის „სწავლანის“ *B* ნუსხის გადამწერის ახდერძი, რომელიც გვაცნობს „სასმენელად“ წაკითხული თუ წარმოთქმული ქადაგების შესრულების წესს: „უკეთუ გენებოსთ ამის ქადაგებისა ეკლესიასა შინა სწავლად ერისა მიმართ წარკითხვა, პირველად ჰბრძანეთ: „სახელითა მაცხისათა, და ძისათა, და სულისა წმიდისათა, ამინ!“ — და ზედა საფუძველი, რომელიცა გენებოსთ, და ესრეთ დაწყნარებით და ქადაგების გვარზედ ბრძანეთ, რათა სათნო უჩნდეს მსმენელთა და შეუდგენ აღსრულებას... და რაჟამს მკითხველმან ჰსთქვას: „გვაკურთხენ, მამაო“, მუნ მყოფმან მღვდელმან, ანუ თჳთვე მკითხველმან ჰსთქვას: „ღოცჳთა წმიდათა მამათა ჩუენთათა, უფალო იესო ქრისტე, შეგვიწყალენ ჩუენ“, და მკითხველმან ჰსთქვას: „ამინ“. და ესრეთ იწყოს კითხვად ლმობიერად და კეთილწესიერად ვიდრე აღსრულებამდე რომელისამე ქადაგებისა. ხოლო მუნ მყოფთაგან ჯერ არს ფრიადი დუმილი, რათა მადლი მისცეს მსმენელთა მათ, გონება ამათ სწავლათა მიმართ ქონებად და პირითა ჰამად სადიდებლად ღმრთისა, რომლისა ჰშვენის დიდება აწ და უკუნისამდე, ამინ!“[1]

საქართველოს მიწა-წყალზე არსებულ სამონასტრო ცენტრებსა და უმაღლეს სკოლებს შორის ქართული მჳევრმეტყველების განვითარებისათვის უდიდესი მნიშვნელობა გააჩნდა გელათის აკადემიას. როგორც ცნობილია, ის შექმნა დავით აღმაშენებელმა „სასწავლოდ ყოვლისა კეთილისად, მოძღურად სწაელულებისად“[2], სადაც მანვე „შემოკრიბნა კაცნი პატიოსანნი ცხოვრებითა და შემკულნი ყოველითა სათნოებითა, არა თჳსთა ოდენ სამეფოთა შინა პოვნილნი, არამედ ქუეყანისა კიდეთათ სადათცა ესმა ვიეთმე სიწმიდე, სიკეთე, სისრულე სულიერითა და ჴორციელითა სათნოებითა აღსავსეობა, იძინა და კეთილად გამოიძიხა, მოიყვანნა და დაამკჳდრნა მას შინა“[3]. აქ ხსენებული „სათნოებითა აღსავსეობა“ ერთ-ერთ ღირსებად უდავოდ გულისხმობდა რიტორულ გაწაფულობას, რომლის გარეშე მაშინ წარმოუდგენელი იყო ადამიანის ს ი ს რ უ ლ ე.

გელათის აკადემია იყო დიდი სამეცნიერო და სასკოლო ცენტრი, უკეთ უმაღლესი სასწავლებელი, რომელშიც ისწავლებოდა ე. წ. trivium-quadrivium-ი ანუ გეომეტრია, არითმეტიკა, მუსიკა, რიტორიკა, გრამატიკა, ფილოსოფია და ასტრონომია[4]. ამ სამეცნიერო დისციპლინებს შორის რ ი ტ ო რ ი კ ა ერთი აუცილებელი სასწავლო

---

[1] ხელნაწერი № 20068—*ბ* (ლიტ. მუზ.).

[2] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 331.

[3] იქვე, გვ. 330.

[4] იხ. ს. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი, გელათის აკადემია, გვ. 15.

საგანია. ამას გვიჩვენებს დიდი გელათელის — იოანე პეტრიწის — „განმარტების“ ბოლოსიტყვაობა, სადაც ავტორი საგანგებოდ ჩერდება ხსენებულ სამეცნიერო სფეროებზე და მათ შორის ვრცლად გახმარტავს რიტორიკის შინაარსს[1].

ამრიგად, XII საუკუნის დასაწყისიდან გელათი გვევლინება ქართული რიტორიკული განათლების უმთავრეს კერად, სადაც დანერგილი სწავლულება ვრცელდებოდა მთელ საქართველოში როგორც ზეპირად, ისე წერილობით. კულტურისა და სწავლულების მოძღვრად ქცეული გელათის აკადემია დიდხანს წარმოადგენდა ჩვენი ეროვნული შემოქმედების გაცხოველებულ ცენტრს, რომლის ირგვლივ გაერთიანებული მეცნიერები და მწერლები ქმნიდნენ მსოფლიო მნიშვნელობის სიტყვიერ შედევრებს. მათ ფურცლებზე შემონახული ქართული სიტყვა დღესაც გვაჯადოებს თავისი დიდი სრულყოფილებით.

XII საუკუნის დამდეგიდან XIX საუკუნის მიწურულამდე, ამა თუ იმ სახითა და ინტენსივობით, გელათი ხელს უწყობდა ჩვენი მშვერმეტყველების განვითარებას. ის, როგორც უმაღლესი სასწავლებელი, სამეცნიერო დაწესებულება, საძონასტრო კერა თუ სამღოცველო ტაძარი, ყოველთვის იდგა ქართული ენის დაცვის სადარაჯოზე და ისტორიული ვითარების შესაბამისად ემსახურებოდა საქვეყნო საქმეს. ამ საქმეს, ცხადია, ყოველთვის არ ჰქონია ერთნაირი მნიშვნელობა და ზოგჯერ წარმატების ნიადაგიც არ გააჩნდა, მაგრამ მუდამ თან სდევდა განსაზღვრული დადებითი შედეგი.

გელათის ტაძრის მიდამოების მთელი ხუროთმოძღვრება და განსაკუთრებით ერთი შენობის დიდი დარბაზი, ქვის სკამებითა და კათედრის მაგვარი მომაღლო საწიგნეებით, დღეს მეცნიერებაში მართებულად აღიარებულია გელათში არსებული აკადემიის მატერიალურ ნაშთებად[2]. აქ ყოველი დეტალი ცხადად ადასტურებს დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის ცნობას გელათის შესახებ.

გელათის ხუროთმოძღვრული კომპლექსის მთავარი ძეგლი — დიდი ტაძარი საუკუნეთა მანძილზე წარმოადგენდა სამქადაგებლო მშვერმეტყველების სავანეს, სადაც უმძიმეს ისტორიულ პირობებშიც არ წყდებოდა ღაღადება ქართულ ენაზე და, შესაძლოა, სწორედ ასეთ ვითარებაში გაისმოდა ის მომეტებული ძლიერებით.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში, გაბრიელ ქიქოძის ღვაწლის შედეგად, კვლავ გაჩაღდა გელათში სამქადაგებლო კერა. ეს იყო

[1] იხ. იოანე პეტრიწი, შრომები, II. გვ. 223.

[2] იხ. გ. ჩუბინაშვილი, საქართველოს საერო ხუროთმოძღვრების რამდენიმე ნიმუში, გვ. 107—126; ს. ყაუხჩიშვილი, გელათის აკადემია, გვ. 19—32.

ქართული სასულიერო მწერლობის უკანასკნელი აყვავება.

დასასრულ, 1896 წელს, გაბრიელ ქიქოძის დაკრძალვაზე, გელათის ტაძარში რამდენიმე შესანიშნავი სიტყვა წარმოითქვა, მათ შორის უველაზე უმჯობესი ილია ჭავჭავაძის მიერ, და ამით დასრულდა ჩვენი კლასიკური მწერლობის ამ დიდი კერის ხანგრძლივი ისტორია.

XII საუკუნეში ქართული კულტურისა და განათლების ცენტრს წარმოადგენდა აგრეთვე იყალთოს აკადემია. ის გელათთან შემოქმედებით კავშირში აღვივებდა მეცნიერების, ფილოსოფიისა და ხელოვნების სიყვარულს და ფართოდ აერცელებდა ჩვენში მწერლობის სიტყვით გამოთქმულ აზრებსა და ცოდნას. ცნობილი ქართველი მეცნიერის არსენ იყალთოელის ღვაწლით შექმნილი ეს უმაღლესი სასწავლებელი მთელი საუკუნის მანძილზე მეთაურობდა აღმოსავლეთ საქართველოში სწავლა-განათლებისა და აღზრდა-განვითარების ეროვნულ საქმეს. ამ საქმის ერთი ღირსეული მხარე იყო მწერლობა. იყალთოს დარბაზებში ნათქვამი სიტყვა ინახავდა ჩვენი ორატორული ხელოვნების ისტორიულ მონაპოვარს და ახალი წარმატების იერით შემოსილი ქმნიდა შემდგომი აღმავლობის მტკიცე ნიადაგს.

ბევრი საინტერესო ჩვენება ადასტურებს იყალთოს შემოქმედებითი კერის არსებობას, მაგრამ მათ შორის უმთავრესი და უცილობელია ორსართულიანი შენობის ნანგრევი, რომლის ვრცელი დარბაზები და კათედრების ფრაგმენტები პირდაპირ მიუთითებენ აქ ოდესღაც ფართოდ გაშლილ აკადემიურ მუშაობაზე. ამ მხრივ განსაკუთრებით საყურადღებოა „იყალთოს უზარმაზარი ზედა დარბაზი, სიგრძით 20 მეტრზე მეტი“, რომელიც, გ. ჩუბინაშვილის თქმით, „სწორედ შეეფერება... საზეიმო კრებებისა და სხდომების დარბაზის დანიშნულებას“[1].

იყალთოს ხუროთმოძღვრების ეს მატერიალური ნაშთი გვიჩვენებს, რომ მის თაღებს ქვეშ სულიერი შემოქმედების ძეგლები უნდა შექმნილიყო. მათ შორის, ცხადია, ორატორული ხელოვნების ძეგლებიც იქნებოდა.

ჩვენი საისტორიო წყაროებით ირკვევა, რომ საქართველოს სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში თითქმის ყოველთვის მნიშვნელოვან როლს ასრულებდა მეფის კართან არსებული კრება, რომელიც წარჩინებულ საერო და სასულიერო პირებს აერთიანებდა. ასეთი კრება წარმოადგენდა რჩეულთა სათათბიროს, რომელიც სხვადასხვა

[1] გ. ჩუბინაშვილი, დასახელებული წერილი, გვ. 120.

პირობებში მეტ-ნაკლები გავლენით მონაწილეობდა ქვეყნის მართვა-სა და გაძგეოაში. ძეფის კარზე „ჩინებული" ადაძიახები შეადგენ-დნენ „დარიაზის ერს" და ქძნიდნენ „საეაზიროს", რომელიც უზე-ნაესი ხელისუფლის — ხელძწიფის ძეთაურობით არჩევდა სახელძწი-ფო მნიეველობის საკითხეებს. ასეთ ორგანოს წარძოადგენდა დარბაზი. ეს სახელი შედარებით სრულად გამოხატავს იმ ისტო-რიულ დახიშნულებას, რაც ძეფის კარზე არსებულ დიდებულთა სათათბიროს გააჩნდა. სახელმწიფო დარბაზი ფეოდალური საქარ-თველოს ერთგვარი საბჭოა, რომელიც თვალსაჩინო პოლიტიკური ძისიის მატაეობელი და საკმაოდ დიდი ძალის ძქონეა. ფეოდალურ საქართველოს სახელძწიფოებრივ სისტემაში მონაწილის ძალაუფლება რამდენადძე შეზღუდულია. მეფე გახუკითხველად არ გახაგებს ქვეყნის ცხოვრეებას — ხებით თუ უნებურად ის განსაზღვრული აზოით გარკვეულ ძალას ემორჩილება. ასეთი ძალა მხოლოდ სახელ-მწიფო დარბაზს გააჩიდა, ის ზღუდავდა რამდენადმე ძეფეს და მისივე ძრჩეელის ძოვალეობას ასრულებდა. ამგვარ ურთიერთობას კარგად გაეოხატავს თაძარ მეფის ა ი რ ე ე ლ ი ისტორიკოსი. მისი სიტყვით მეფე სახელმწიფო საქძეებს გახაგებს „თ ა ნ ა დ გ რ მ ი თ ა და ე რ თ ნ ე ბ რ ბ ი თ ა". აქ მოცეძულია ფეოდალური საქაოთველოს ძონარქიული წესწყობილების ერთგვარი ფორიულა, რომლის ძიხედ-ვით მეფე სახელმწიფოს ძართავს თ ა ნ ა დ გ რ მ ი თ ანუ თახხმოიით და ე რ თ ნ ე ბ რ ბ ი თ ანუ ერთობით, ე. ი. დარბაზის ერთან შეთახ-ხმებით და მასთან ერთად. ამრიგად, მეფესა და დარბაზს შორის მიღ-წეული თანხმობა და განმტკიცებული ერთობა მიჩნეულია აქ ქვეყნის პოლიტიკური მართვის საფუეველად. ასეთი შეთანხმება-ერთიახობის უმთავრეს საშუალებას წარმოადგეედა დარბაზის ბჭობა-თათბირი. ამგვარად, სახელმწიფო დარბაზის შინაარსს მაღალი პოლიტიკური ფუნქცია საზღვრავდა, ხოლო ფორმას — ფართო ორატორული ბჭობა-თათბირი.

ამ სახითაა ნაჩვენები სახელმწიფო დარბაზი საისტორიო პირ-ველწყაროებში. მათ შორის ჩვენების სისრულით უფრო საყურა-დღებოა ჯუანშერის, დავით აღძაშენებლის ისტორიკოსის, თაძარ მეფის პირველი და მეორე ისტორიკოსებისა და ჟამთააღწერლის თხზულებანი. ამ ხაშრომებში იძდენად დიდი ადგილი აქვს დათძო-ბილი დარბაზის სხდომებს, რომ მკვეთრად გამოყოფილია ჩვენი ორატორული ხელოვნების ერთი დიდი დარგი ს ა დ ა რ ბ ა ზ ო მ ჭ ე ვ რ მ ე ტ ყ ვ ე ლ ე ბ ა. ეს დარგი პოლიტიკური დახიშნულების ორატორული ხელოვნებაა.

ხსენებულ სახელმწიფო დარბაზს, როგორც ირკვევა, ჩვენში დიდი ხნის ისტორია აქვს. ჯერ კიდევ I საუკუნის ბერიენი გეოგრაფი სტრაბონი მიუთითებს დასავლეთ საქართველოში, კერძოდ სვანეთში, 300 კაცისაგან შემდგარ საბჭოზე, რომელიც აქ ბასილევსის („მეფის“) გვერდით იხსენიება და, უნდა ვიფიქროთ, მასთან ერთად განაგებს ქვეყნის საქმეებს. სტრაბონი წერს: „[სვანები] თითქმის საუკეთესონი არიან სიმამაცისა და ძალის მხრივ: ფლობენ ისინი ირგვლივ [ყველაფერს] და უპყრიათ კავკასიონის მწვერვალები, რომლებიც დიოსკურიის ზემოთ არის: ჰყავთ მათ ბასილევსი და საბჭო 300 მამაკაცისაგან შემდგარი...“[1].

ჩვენთვის, ცხადია, უცნობია ამ შემთხვევაში ქვეყნის უზენაეს მმართველთან არსებული საბჭოს კონკრეტული ფუნქციები და მათი შესრულების ფორმები, მაგრამ დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ მის მუშაობაში ზეპირ მეტყველებას საპატიო ადგილი ეკნებოდა დათმობილი. ეს მტკიცდება არა მარტო შემდეგი პერიოდის ანალოგიური საბჭოების საქმით, რასაც ჩვენ გაცილებით უკეთესად ვიცნობთ, არამედ იმ სახელწოდებითაც, რაც ავტორს „მეფის“ გვერდით არსებული კრებულისათვის მიუცია[2].

ერთი ადრინდელი ცნობა, რომელიც ერცლად გვისურათებს სახელმწიფო დარბაზის სხდომა-თათბირს ვახტანგ გორგასლის სამეფო კარზე, ეკუთვნის ჯუანშერს. ის მოგვითხრობს: „მაშინ ვითარ იქმნა ვახტანგ წლისა თხუთმეტისა, მოუწოდა ყოველთა წარჩინებულთა ქართლისათა, და შემოიკრიბნა ყოველნი ქალაქად და განმზადა მეფემან სახლი ერთი და დაჯდა საყდართა ზედა მაღალთა, ხოლო ჯუანშერ სპასპეტი და ორნივე ეპისკოპოსნი დასხდეს საყდართავე, და სხუანი ყოველნი ერისთავნი დასხდეს სელებითა, და ათასისთავნი და ასის-თავნი და ყოველი ერი წარმოდგეს ზე“[3]. დარბაზის სხდომის ამ სრულ სურათს მოსდევს თათბირის ვრცელი აღწერილობა.

დარბაზის ერის კრება-თათბირებს ხატავს დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი. ის აგვიწერს, მაგალითად, რუის-ურბნისის კრებას, რომელზედაც „დიდთა წყლულებათა კურნებად შემოკრბა ერი მრავალი... კათალიკოსი, მღდელთ-მთავარნი, მეუდაბნოენი, მოძღუარნი და მეცნიერნი“, რომლებმაც „ფრიადითა გამოწულილვითა კეთილად გამოიძიეს და ყოველი ცთომა განმართეს“[4].

---

[1] სტრაბონი, გეოგრაფია, XI, 2, 19, გვ. 126.

[2] იხ. ს. ჯანაშია, შრომები, II, გვ. 117 — 118; Г. А. Меликишвили К истории древней Грузии, გვ. 92—93, 309.

[3] ქართლის ცხოვრება, I, გვ.147.

[4] იქვე, გვ. 327.

დარბაზის სხდომებს ფართოდ ასახავენ თამარ მეფის ისტორიკოსები. „ისტორიანი და აზმანი“ ხშირად გადმოგვცემს ერთად „შეყრილთა შუდთაევ ამის სამეფოჲსათა მთქუმელ-მეტყუელთა“ სხდომებს, სამხედრო თათბირებსა და ბჭობა-დისკუსიებს. აქ საგანგებოდ აღწერილია „უცხო-მოსაგონებელი“ შემთხვევა—დიდებულთა განდგომა ყუთლუ-არსლანის მეთაურობით, რომელმაც „ითხოვა კარავი დადგმად ველსა ისანისასა და სანახებსა საღოდებლისასა და თქუა: „დასხდომილნი მუნ შიგა, განმგებელნი მიცემისა და მოღებისა, წყალობისა და შერისხვისანი, ვჰკადრებდეთ და ვაცნობებდეთ თამარს, მეფესა და დედოფალსა; მაშინღა სრულ იქმნებოდეს განგებული ჩუენი“[1]. აქ ხსენებული კარავი იგივე დარბაზია, რომელიც უმაღლეს სახელმწიფო ორგანოდ უნდა წარმოვიდგინოთ. განდგომილთა მოთხოვნილება სამეფო კარისაგან დარბაზის გამოყოფას გულისხმობდა. ეს კი მეფის თვითმპყრობელობის სრულ შეზღუდვას ნიშნავდა და ფეოდალური პარლამენტის დაარსებას მოასწავებდა.[2] ასეთ ცდას წილად დამარცხება ხვდა, მაგრამ უკვალოდ არ ჩაუვლია; მას მოჰყვა სახელმწიფო დარბაზის ძალაუფლების გაძლიერება. ამ ცვლილებამ შეაპირობა სადარბაზო მჭევრმეტყველების დიდი განვითარება XII—XIII საუკუნეთა ზღვარზე.

თამარ მეფის ისტორიკოსის ბასილი ეზოსმოძღვრის თხზულებაში დარბაზის ბევრი თავყრილობაა დასურათებული. ერთი მათგანი თამარის მეფედ კურთხევის დარბაზობაა, როცა დედოფალმა „შეკრიბნა ყოველნი ერთსა სადგურსა და დასხნა საყდრებითა, ხოლო თჳთ დაჯდა შორის მათსა მარტოდ და არა მეფობით“[3]. ისტორიკოსი აგვიწერს აგრეთვე თამარის გათხოვებასთან დაკავშირებულ სხდომებს, რომლებზედაც ხშირად საკითხი წყდებოდა „შემდგომად მრავლისა ცილობისა“. აქვე აღბეჭდილია შამქორის ომის წინ გამართული სამხედრო თათბირი, როცა თამარმა „მოუწოდა ყოველთა ვაზირთა თჳსთა და შეიქმნა გამორჩევა“[4].

სახელმწიფო დარბაზის შესახებ ცნობებს შეიცავს ჴამთა აღმწერლის საისტორიო ნაწარმოები. აქ აღწერილია ის კრება, რომელზედაც სიტყვა წარმოთქვა დემეტრე თავდადებულმა. ისტორიკოსი წერს: „მოუწოდა მეფემან კათალიკოსსა აბრაჰამს და ეპისკოპოსთა, მონასტერთა და უდაბნოთა გარესჯისა მღდელ-

---

[1] ქართლის ცხოვრება, II, გვ. 31.

[2] იხ. ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, I—II, გვ. 581.

[3] ქართლის ცხოვრება, II, გვ. 118.

[4] იქვე, გვ. 125.

მონაზონთა, და ყოველთა მთავართა სამეფოსა მისისათა. შემოკრბეს მის წინაშე, დაჯდა და ტახტსა ზედა დასხდეს ყოველნი დიდებულნი თჳს-თჳსად„[1]... ამის შემდეგ უთქვამს მეფეს თავისი სიტყვა.

ცნობები ჩვენი სახელმწიფო დარბაზის შესახებ მოიპოვება არა მარტო ძველი „ქართლის ცხოვრების“ ფურცლებზე, არამედ XIV—XVII საუკუნეების შემცველ ახალ „ქართლის ცხოვრებასა“ და XVIII საუკუნეში დაწერილ ცალკეულ საისტორიო ძეგლებშიც, რომლებიც პირობითად შეიძლება „ქართლის ცხოვრების“ ახალ ციკლს მივაკუთვნოთ.

ამრიგად, ყველა ციკლის „ქართლის ცხოვრებით“ დამოწმებული დარბაზი ქართული მჭევრმეტყველების უხანგრძლივეს კერად უნდა ჩაითვალოს.

XVIII საუკუნის მეორე ნახევარში მჭევრმეტყველების განვითარების საქმეს დიდად შეუწყვეს ხელი თბილისისა და თელავის სემინარიებმა. ამ მხრივ განსაკუთრებული მნიშვნელობა თელავის საღვთისმეტყველო სემინარიას გააჩნდა. აქ შემოღებულ სასკოლო ლექციურ მეთოდსა და საჯარო პაექრობის წესს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ზეპირი სიტყვის დანერგვისა და განვითარებისათვის. ეს სკოლა არ იფარგლებოდა თავისი პირდაპირი დანიშნულებით და მოსწავლეთა მეცნიერული მომზადების გვერდით მოსახლეობის საერთო განათლებასაც მესვეურობდა. ამას გვიჩვენებს სკოლაში წესად მიღებული საჯარო გამოცდები, რასაც უმთავრესად ცოდნის ფართოდ გავრცელება ევალებოდა და დიდი საყურადღებო მნიშვნელობა გააჩნდა. ეს ტრადიცია გადმოვიდა XIX საუკუნის პირველი ნახევრის თბილისის სკოლებშიც, სადაც გამოცდები საჯარო პაექრობის სახით მიმდინარეობდა და სამეცნიერო დისპუსტს უფრო ჩამოგავდა, ვიდრე ცოდნის შემოწმებას[2].

თბილისისა და თელავის სემინარიებს მსმენელებს უმზადებდნენ ჩვენში იმჟამად საკმაოდ მომრავლებული პირველდაწყებითი სკოლები. მათ შორის უფრო ცნობილია სიონის, კალოუბნის, ქაშვეთის, მეტეხის, ანჩისხატისა და ნეკრესის სკოლები. ამ პირველდაწყებითი, ელემენტარული სკოლების ბაზას ეყრდნობოდა ჩვენში საშუალო ტიპის სასწავლებლები—საფილოსოფოსო-საღვთისმეტყველო სემინარიები.

ასეთი სასწავლებელი გაიხსნა თბილისში ანტონ კათალიკოსის თაოსნობით 1755 წელს. მისი პირველი რექტორი იყო ფილიპე,

[1] ქართლის ცხოვრება, II, გვ. 287.

[2] იხ. ა. ბარამიძე, საჯარო პაექრობა თელავის სემინარიაში, გვ. 51—65.

ყაითმაზაშვილი. სხვა სამეცნიერო დისციპლინებს შორის აქ ისწავლებოდა „რეტორიკაჲ“[1].

თბილისის სემინარიას ჩქარა მოჰყვა სასურველი შედეგი. 1758 წელს ასეთივე სემინარია დაარსდა თელავში, სადაც იმჟამად მეფობდა „სწავლის მოყვარე“ ერეკლე მეორე, რომლის ბრძანებით თბილისიდან გადაუყვანიათ ფილიპე ყაითმაზაშვილი და მისთვის დაუვალებიათ მეორე ქართული სემინარიის დაარსება. ამასთან დაკავშირებით დოსითეოზ ჩერქეზიშვილი წერს: [ირაკლიმ] „შემზადა სხოლა თვისსა პალატსა შინა... და შეკრიბნა ყრმანი საბრძანებლისა თვისისანი — ხოლო ყრმად ვიტყვი უმეცრების ძლით და არა ჰასაკით — რომელნიმე ეფისკოპოზნი, რომელნიმე მღვდელნი და რომელნიმე ახალ მოსწავლენი ეკლესიის მსახურნი, და ინება განმარტებად კეთილმეცნობისა. იწყო სწავებად ძეთა თვისთა და სხვათა ზემოთქმულთა მოსწავლეთა, რომელთა ინებეს და ეტრფიალნეს სიბრძნის მოყვარებასა“[2].

როგორც ჩანს ამ სემინარიებს დიდხანს არ უცოცხლიათ. მათი გამოცდილების საფუძველზე 1782 წლის 28 მაისს თელავში გაიხსნა ფილოსოფიური სემინარია, რომლის სასწავლო გეგმა აგებული იყო სლავურ — ბერძნულ — ლათინური აკადემიის სისტემის მიხედვით. ამ სკოლის სასწავლო პროცესს საზღვრავდა ორი ძირითადი საგანი: ფილოსოფია და ღვთისმეტყველება. ამრიგად, თელავის სემინარია საფილოსოფოსო — საღვთისმეტყველო განათლების ცენტრია. აქ ისწავლებოდა: ფილოსოფია, ღვთისმეტყველება, გრამატიკა, რიტორიკა და მათემატიკა. სკოლაში დიდი ყურადღება ეჩქეოდა მეტყველების ფორმების განვითარებას. მათ შორის განსაკუთრებული პატივით სარგებლობდა ცოცხალი სიტყვის ხელოვნება.

თელავის ფილოსოფიური სემინარია არსებობდა 1801 წლამდე. მისი პირველი რექტორი იყო გაიოზი, მეორე — დავით ალექსიძე-მესხიშვილი. მათ შეუქმნეს სკოლას საპირო სახელმძღვანელოები და წარმატებით უწინამძღვრეს მას თითქმის 20 წლის მანძილზე.

თელავის სემინარია ქართული მჭევრმეტყველების თვალსაჩინო კერაა. აქ 1782 წლის 28 მაისს, სემინარიის გახსნის დღეს, საზეიმო სხდომაზე, და მისი დაარსების წლისთავზე, 1783 წლის 28 მაისს, საჯარო პაექრობისას გაიოზ რექტორს წარმოუთქვამს რამდენიმე სიტყვა. ეს სიტყვები ჩვენი სადღესასწაულო ორატორული ხელო-

---

[1] იხ. კ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, I, გვ. 74.

[2] ხელნაწერი S — 2564, ფ. 103 — 104.

ენების საყურადღებო ძეგლებია. ისინი გვიჩვენებენ, რომ თელავის სემინარიას თავისი წვლილი შეუტანია ჩვენი მშვერმეტყველების განვითარების საქმეში.

საქართველოს გარეთ არსებული ცენტრებიდან, რომელთა წიაღში ჰყვაოდა ჩვენი ეროვნული კულტურა, განსაკუთრებული მნიშვნელობით გამოირჩევა ათონის ივერიის მონასტერი. ის საუკუნეთა მანძილზე წარმოადგენდა ქართული მწერლობისა და მშვერმეტყველების გაჩირაღდნებულ კერას, სადაც ღვიოდა პატრიოტული სულისკვეთებით გამსჭვალული შემოქმედებითი მუშაობა. X საუკუნის გასულიდან XIX საუკუნის დამდეგამდე ქართველ მოღვაწეთა მრავალ თაობას უკეთებია ამ სავანეში დიდი ეროვნული საქმე და უცხოეთის გარემოთი შეკვიწროებულ პირობებში დაუცავს ჩვენთვის მდიდარი კულტურული მემკვიდრეობა. ჩვენი წინაპრების ამ მონაპოვარს ამშვენებს ორატორული ხელოვნების ძეგლებიც.

ათონის ივერიის მონასტერმა განსაკუთრებით ნაყოფიერი შემოქმედება გააჩაღა XI საუკუნეში, როცა დიდმა ათონელებმა შექმნეს უაღრესად საყურადღებო ლიტერატურული ძეგლები, რომელთა ღრმა შინაარსი და მაღალი ფორმა დღესაც გვხიბლავს და სიამაყით გვავსებს. ამავე საუკუნეში ქართული მწერლობის, შეცნიერებისა და მხატვრობის გვერდით ათონში აყვავებულა ჩვენი მშვერმეტყველება, რომლის უდიდესი წარმომადგენლებია გიორგი მთაწმიდელი (ათონელი) და გიორგი მცირე (ხუცესმონაზონი).

ჩვენამდე მოღწეულია მათი ზეპირი მეტყველების ნიმუშები — სიტყვები, ფრაგმენტები და პაექრული დიალოგები. მათ შორის არის დიდი ორატორის გიორგი მცირის სამგლოვიარო სიტყვა, წარმოთქმული გიორგი მთაწმიდელის გარდაცვალების გამო. ეს ძეგლი ჩვენი ორატორული ხელოვნების სიამაყეა. ის თავისი ღირსებითა და მნიშვნელობით ს. ლიონიძის „მოთქმით ტირილს“ უტოლდება და მასთან ერთად მსოფლიო სამგლოვიარო მშვერმეტყველების დამამშვენებელია.

ყოველივე ამის გამო ათონის ივერიის მონასტერი ჩვენი საჯარო მეტყველების ცხოველმყოფელ ისტორიულ კერად უნდა მივიჩნიოთ.

საქართველოს საზღვრებს მიღმა არსებული ცენტრებიდან, რომლებიც ხელს უწყობდნენ ჩვენი ორატორული შემოქმედების აყვავებას, უნდა დავასახელოთ აგრეთვე იერუსალიმის ქართული მონასტერი, სადაც IV—V საუკუნეებში მოღვაწეობდნენ ევაგრე პონტოელი, იოანე ლაზი და პეტრე იბერი,—ულუმბოსა და კონსტანტინეპოლის ქართველთა კოლონიები, სადაც IX საუკუ-

ნეში ილარიონ ქართველის თაოსნობით გაჩაღდა დიდი კულტურული საქმიანობა, — სინას მთის მონასტერი, სადაც X საუკუნეში ფაოთო საგახმანათლებლო მუშაობას ეწეოდა იოანე-ზოსიმე, — შავი მთის, პალესტინისა და პეტრიწონის სამოხასტრო კერები, სადაც XI საუკუნეში მუშაობდნენ ეფრემ მცირე, ანტონ ტბელი, გრიგოლ ბაკურიანისძე, იოანე პეტრიწი და სხვ.

ასეთია არასრული სურათი წერილობითი მასალით დამოწმებული სამჭევრმეტყველო კერებისა ჩვენში და ჩვენი საზღვრების გარეთ. რა თქმა უნდა, მათ გვერდით ბევრი სხვა ცენტრიც იქნებოდა, განსაკუთრებით დიდი ქალაქები და საერთოდ მჭიდროდ დასახლებული ადგილები, სადაც თავის დროზე ქართული საჯარო სიტყვა გაისმოდა, მაგრამ კონკრეტული ცნობების უქონლობის გამო ზემოთ წარმოდგენილი ნაკლული აღნუსხვითა და ზოგადი აღწერილობით უნდა დავკმაყოფილდეთ.

6. ქართული მჭევრმეტყველების ისტორიის პერიოდები

ქართული მჭევრმეტყველების ისტორიული განვითარების პროცესი კანონზომიერ ფაქტს წარმოადგენს. ის გარკვეული სახის თვითმყოფადი სინამდვილეა, რომლის დანახვა შეუძლია ყველას, ვინც ქართული სიტყვიერი კულტურის განვითარებას თვალს მიადევნებს და მისი წინსვლის გზებს დაუკვირდება. ჩვენი ზეპირი მეტყველების განვითარების პროცესი, ცხადია, არ ყოფილა უწყვეტი, დაუბრკოლებელი და ყოველთვის თანმიმდევრული. ხშირად იგი ფერხდებოდა და დროდადრო ჩერდებოდა კიდეც გარეშე ან შინაგან მოპირდაპირე ძალებთან ჰიდილისას, ამ მხრივ ის სავსებით იზიარებდა ქართული ენისა და ლიტერატურის ისტორიულ ხვედრს, მაგრამ მისი საერთო აღმავლობა და წინსვლით გამოწვეული ცვლილებანი ყოველგვარ ეჭვს გარეშეა.

აღნიშნული ფაქტობრივი გარემოება გვაძლევს საფუძველს ხსენებულ პროცესს ვუწოდოთ ი ს ტ ო რ ი ა. აქ ჩვენ საქმე გვაქვს განსაზღვრული მოვლენების ისტორიასთან, რომლის ხანგრძლივი მდინარება შეიცავს დროში განლაგებულ საფეხურებს, რომელთა შინაარსი შეადგენს ერთ მთლიან იდეოლოგიურ სფეროს. ეს სფერო ასახავს ხალხის სულიერი ცხოვრების საყურადღებო მხარეებს და გვიჩვენებს ქართული ზეპირი მეტყველების თანმიმდევრულ განვითარებას შორეული წარსულიდან დღემდე. დროის ეს დიდი მანძილი, რა თქმა უნდა, შედგება ცალკეული მონაკვეთებისაგან, რომლებიც გამოირჩევიან თავიანთი სოციალურ-ეკონომიური ნიშნებითა და კულტურული მონაცემებით.

ასეთი მონაკვეთების გამოყოფა ანუ პერიოდიზაცია, რასაც საჭირო გარკვეულობა შეაქვს დროთი დიდად დაშორებულ საზღვრებში, აადვილებს ყოველგვარი იდეოლოგიური მემკვიდრეობის სისტემატურ დანაწილებას და ხელს უწყობს ცალკეული ნაწილების ორგანულ მთლიანობაში შესწავლას. ეს პრინციპული ხასიათის პირობა იწვევს ქართული მჭევრმეტყველების ისტორიის პერიოდებად დანაწილებას.

უწინარეს ყოვლისა აქ უნდა აღინიშნოს შემდეგი: ვინაიდან მწერლობა მხატვრული ლიტერატურის სფეროს განეკუთვნება და მისი ისტორია დაკავშირებულია ორატორული ძეგლების წერილობით ფიქსირებასთან, ამიტომ ქართული მწერლობის ისტორიის პერიოდები საერთოდ ემთხვევა ქართული ლიტერატურის ისტორიის პერიოდებს და დროში განაწილებული სტადიური განვითარების აზრით მათგან არსებითად განურჩეველია. ამას ერთვის ის გარემოება, რომ ლიტერატურისა და მწერლობის ენობრივი ფორმა ჩვეულებრივად საერთოა, ერთიცა და მეორეც სალიტერატურო ენით იქმნება, რაც მათი ისტორიის პერიოდების ერთობას მოასწავებს საერთო-სახალხო ენის მიხედვითაც. აქვე უნდა აღინიშნოს: ყოველი პერიოდის მსაზღვრელი სოციალურ-ეკონომიური ვითარება სიტყვაკაზმული შემოქმედების ზეპირი და წერილობითი ფორმებისათვის ქმნიდა ერთნაირ ნიადაგს, რომელზედაც აღმოცენებული იდეოლოგიური სფეროები განვითარების მიხედვით ერთმანეთისაგან დიდად არ განსხვავდებიან. ერთნაირ პირობებში შექმნილი შემოქმედებითი პროდუქციები ერთმანეთს იმდენად უახლოვდებიან, რამდენადაც ამის შესაძლებლობას მათი გამარჩეველი სპეციფიკური მხარეები იძლევიან.

ამ სიახლოვის გვერდით აქ შეინიშნება სიტყვაკაზმულობის ზეპირი და წერილობითი ფორმების თავისებური ბუნებიდან გამომდინარე სხვაობა, რაც დამოუკიდებელია იმ საერთო პირობებისაგან, რომელთა ერთიანობა ქმნის ისტორიული პროცესის ცალკეულ ეტაპს. მიუხედავად ამისა ასეთი ეტაპების თანმიმდევრული წყება წარმოადგენს იმ პერიოდულ საფეხურებს, რომლებსაც საუკუნეთა მანძილზე ერთი მიმართულებით მიჰყავდათ ჩვენი ლიტერატურული და ორატორული შემოქმედება. ყოველივე ეს გვაძლევს საფუძველს ქართული ლიტერატურის ისტორიაში გამოყოფილი პერიოდები ჩაეთვალოთ ქართული მწერლობის ისტორიის პერიოდებად[1].

ნათქვამიდან ჩანს, რომ საქმე არ შეიძლება ამით დამთავრდეს. აქ თავს იჩენს ის საგულისხმო გარემოება, რომ ლიტერატურისა და მწერლობის განმასხვავებელი ნიშნები იწვევენ თვით განვითარების განსხვავებასაც. ეს განსხვავება ხანდახან საგრძნობლად აშორებს ერთმანეთისაგან წერილობით და ზეპირ სიტყვაკაზმულობას. ასეთი დაშორება კი ფაქტორია ლიტერატურის ისტორიისა და მწერლობის ისტორიის პერიოდების რამდენადმე დაშორებისა.

---

[1] იხ. კ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, I, გვ. 35—68.

ამნაირად, საკმარისად არ მოჩანს ლიტერატურის ისტორიის პერიოდების პირდაპირი გადმოღება მშვერმეტყველების ისტორიაში. ამასვე გვიჩვენებს ის გარემოება, რომ მშვერმეტყველების საწყისები, მსგავსად ხალხური სიტყვიერების სათავეებისა, დიდად წინ უსწრებენ ლიტერატურის წარმოშობას. კაცობრიობას უნდა გაევლო ათასეული წლების მანძილი, რომ ზეპირი მეტყველების გვერდით შეექმნა წერილობითი მეტყველება. მათი სათავეების ასეთი დაშორება კი ფაქტორია ზეპირი მეტყველების ისტორიისა და წერილობითი მეტყველების ისტორიის პერიოდების დაშორებისა. მხედველობაში მისაღებია ის გარემოებაც, რომ ქართული მშვერმეტყველების პირვანდელი საისტორიო მასალა დაცულია უცხო ენებზე და წარმოშობით წინ უსწრებს ჩვენი მწერლობის სათავეს, რაც, შემონახული ძეგლების მიხედვით, უფრო გვიანდელია, ვიდრე ქართული ორატორული ხელოვნების დასაწყისი.

ასეთი პრინციპული ხასიათის ფაქტორები უნდა მივიღოთ მხედველობაში ქართული მშვერმეტყველების ისტორიის პერიოდებად დანაწილების დროს.

ქართული მშვერმეტყველების ისტორია ქრონოლოგიურ ასპექტში ეყრდნობა ანტიკურ ხანას. ეს ხანა მისი წინაისტორიული პერიოდია, რომლის ზეპირი სიტყვაკაზმული შემოქმედება ფრაგმენტების სახით შეჭრილია შემდეგი დროის ძეგლებში და მათთან ერთად ქმნის ერთგვარ სიტყვიერ მოზაიკას, რომელშიც გამოსაცნობია ძველი და ახალი ნაწილები. მათი გამოცნობა ადვილი არ არის და ხშირად ვარაუდს ეყრდნობა, მაგრამ ხანდახან მაინც ხერხდება ამა თუ იმ ხალხურ ქმნილებაში სხვადასხვა დროის სიტყვიერი პლასტების გამორჩევა და მათ შორის უძველესის დადგენა. ნაწარმოების ამ უძველეს სიტყვიერ ფენაში არის საძიებელი ანტიკური მშვერმეტყველების ნაშთები, რომლებსაც შეუძლიათ გარკვეული წარმოდგენა მოგვცენ შორეული დროის ზეპირ მეტყველებაზე. აქ შეიძლება დაიძებნოს ორატორული გამოთქმები, სიტყვიერი ჩუქურთმები და წარმოთქმის ხერხები, რომელთა ერთობლივი გამოყენებით იქმნებოდა ერთ დროს აზრის ზეპირად გადმომცემი მეტყველება. ამ გზით შეიძლება წარმოვიდგინოთ მშვერმეტყველების უძველესი სახე, რომელიც ადრინდელი მთლიანი ფორმით, ცხადია, არსად არ შეიძლება დაცული იყოს. ამიტომ აქვს ჩვენთვის მნიშვნელობა ცალკეული ნაწილების მიგნებას: ნაწილს შეუძლია წარმოდგენა შეგვიქმნას მთელზე. ამ თვალსაზრისით უნდა ძიეუდგეთ უძველესი ეპოქის ზეპირ სიტყვიერებას — ლიტერატურისა და მშვერმეტყველების ამ შორეულ წინაპარს. ასე შეიძლება წარმოვიდ-

გინოთ ხალხური მწევრმეტყველება, რომელიც ჯერ წინ უსწრებდა კლასიკურ ორატორულ ხელოვნებას და შემდეგ მის გვერდით განაგრძობს თავის ბუნებრივ განვითარებას.

ეს არის ერთადერთი გზა ორატორული ხელოვნების ისტორიის წინახანის გათვალისწინებისა. ამ ხანას, რომელსაც არ შეიცავს, მაგრამ ეყრდნობა მწევრმეტყველების ისტორია, ვუწოდებთ ანტიკურს. მას მოსდევს თვით ისტორიის ქრონოლოგიური პერიოდები: ძველი, ახალი და უახლესი.

ქართული მწევრმეტყველების ისტორიის ძველი პერიოდი მოიცავს I—XVIII საუკუნეებს, ახალი—XIX საუკუნეს და უახლესი—XX საუკუნის განვლილ წლებს.

მათ შორის ძველი პერიოდი წარმოადგენს ხანგრძლივ ეპოქას, რომელიც სოციალურ-ეკონომიურ ფორმაციათა ცვალებადობისა და მისგან გამომდინარე მიზეზების გამო არ ყოფილა ერთსახოვანი და თავის მხრივ რამდენიმე ვრცელ პერიოდულ მონაკვეთს შეიცავს. მისი პირველი, უვრცელესი მონაკვეთი ადრინდელი ფეოდალიზმის ხანაა, რომელიც დასაწყისში ითავსებს მანამდელი ფორმაციების, პირველყოფილ-თემური და მონათმფლობელური წყობილების გადმონაშთებს, შემდეგ მკვიდრდება თავისი დამოუკიდებელი სახით და, დასასრულ, ნიადაგს უმზადებს თავისივე არსების უფრო განვითარებულ სახეობას. ეს პერიოდი შეიცავს ათ საუკუნეს. ამ ხანგრძლივი დროის მანძილზე ბევრი დიდი ცვლილება ხდება და საყოველთაო მნიშვნელობის მოვლენები იჩენს თავს. ზოგიერთ მათგანს მწევრმეტყველების განვითარებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა გააჩნდა. ასეთი მოვლენებია: სახელმწიფოს შექმნა და გაძლიერება, ქრისტიანობის გავრცელება და განმტკიცება, მწერლობის ჩასახვა და განვითარება, სამწერლო ენის დანერგვა და დამკვიდრება. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს შემდეგი: ამ პერიოდის დასასრულისათვის არსებითად დამთავრდა ძველი ქართული ენის განვითარების ხანგრძლივი პროცესი, რასაც შედეგად მოჰყვა მკვეთრად ჩამოყალიბებული ენობრივი სისტემა, რომლის ახალ საფეხურზე გარდამავალ ხანას XI საუკუნე წარმოადგენს. XII საუკუნეში უკვე ისახება ახალი ქართული სალიტერატურო ენა[1].

ეს დიდი ისტორიული ძვრები ხდებოდა უმძიმეს სოციალურ-ეკონომიურ პირობებსა და ურთულეს პოლიტიკურ ურთიერთობათა ვითარებაში, როცა იწრთობოდა ქართველთა ნაციონალური სულისკვეთება და ყალიბდებოდა საქართველოს სახელმწიფოებრი-

[1] იხ. არნ. ჩიქობავა, ქართული ენის ზოგადი დახასიათება, გვ. 018.

ვი ერთიანობა. ამ ხანებში საქართველომ განიცადა რომისა და სპარსეთის მტრული ზეგავლენა, არაბთა ბატონობა, ბიზანტიის ექსპანსია, და გამოავლინა ძათ წინააღმდეგ მიმართული მძლავრი ეროვნული მეუპოვრობა.

ამ პერიოდის ქართული მჭევრმეტყველება ჩვენამდე მოღწეულია უცხო და მშობლიური საისტორიო წყაროებით. ჩვენი ზეპირი მეტყველების ისტორიის სათაეებისა და ადრინდელი განვითარების მასალები უმთავრესად დაცულია ბერძნულ-ლათინურ წყაროებში. მათი ავტორებია: სტრაბონი, კორნელი ტაციტუსი, დიონ კასიოსი, ლიბანიოსი, თემისტიოსი, აგათია სქოლასტიკოსი, პროკოპი კესარიელი. მათ შემოგვინახეს ძვირფასი ცნობები ჩვენი მჭევრმეტყველების ისტორიული სათაეებისა და ადრინდელი ქართველი ორატორების—ფარსმან პირველის, ბაკურის, გუბაზ მეფის, აიეტის, ფარტაზისა და სხვების შესახებ.

მშობლიურ მწერლობაში VI საუკუნიდან ჩნდება კვალი ქართული მჭევრმეტყველებისა, რომლის საისტორიო მასალები ამიერიდან უმთავრესად ჩვენშია დაცული და შემონახული. ეს მასალები ადასტურებენ ჩვენი ზეპირი მეტყველების ფართო გასაქანს და აყვავებულ სამქადაგებლო მჭევრმეტყველებას, რომლის უდიდესი წარმომადგენელი იოანე ბოლნელია.

ამრიგად, ქართული მჭევრმეტყველების ისტორიის პირველ პერიოდში, საისტორიო მასალების მიხედვით, ორი განაყოფია: პირველი, რომელიც მოიცავს I—VI საუკუნეებს და უცხო წყაროებითაა დადასტურებული, და მეორე, რომელიც მოიცავს VI—X საუკუნეებს და მშობლიური წყაროებითაა დამოწმებული.

ქართული მჭევრმეტყველების ისტორიის ძველი პერიოდის მეორე მონაკვეთი პატრონყმური ფეოდალიზმის ხანაა. ეს მონაკვეთი შეიცავს სამ საუკუნეს—მეთერთმეტეს, მეთორმეტესა და მეცამეტეს. ამ პერიოდში განმტკიცდა საქართველოს ფეოდალური მონარქია, ახალ სტადიაში შევიდა არსებული სოციალური ფორმაცია, გაძლიერდა საერო და სასულიერო არისტოკრატია, აყვავდა ეროვნული კულტურა და გაიზარდა ქვეყნის საერთაშორისო ძალმოსილება. ამავე პერიოდში გაჩნდა და გაძლიერდა რელიგიური მსოფლმხედველობის საპირისპირო ტენდენციები, შეირყა ქრისტიანული სქოლასტიკის საფუძველი, გაირღვა ადამიანის შემზღუდველი რწმენის გარემოცვა და წარმოიქმნა ჰუმანისტური იდეების მძლავრი ნაკადი.

გარეშე კულტურულ სამყაროსთან ურთიერთობა, ქვეყნის შიგნით შექმნილი პირობები, მსოფლიო პოლიტიკის ძალთა გადაჯ-

გუფება — ყველაფერი, რაც ხელს უწყობდა იმ დროს ჩვენში სულიერი შემოქმედების აყვავებას, ქართველი ხალხის მიერ უჩვეულო ძალით იქნა გამოყენებული და მაღალი ფეოდალური კულტურის სახით დაგვირგვინებული XII—XIII საუკუნეთა მიჯნაზე. ამავე საუკუნეთა ზღვარზე შეიქმნა „ტკბილ-ქართული“ ენამშვენრობის უკვდავი პოეტური ძეგლი შოთა რუსთველის ვეფხისტყაოსანი, რომლის წიაღში ჩაისახა ახალი ქართული სალიტერატურო ენა და გაიშალა ფართო ასპარეზი ბრძოლისა და განვითარების უმძლავრესი იარაღის—საერთო-სახალხო მეტყველების შესაქმნელად და დასამკვიდრებლად.

ამ პერიოდში ფართოვდება ზეპირი სიტყვის სარბიელი, მაღლდება ორატორული ხელოვნების დანიშნულება და იზრდება ცოცხალი სიტყვის იდეური ძალა. ყოველივე ამის შედეგად დიდ წარმატებას აღწევს ჩვენი სადარბაზო, სამხედრო, სამოსამართლო, სადღესასწაულო და სამგლოვიარო ორატორული შემოქმედება, რომლის წარმომადგენლები არიან: გიორგი მთაწმიდელი, გიორგი მცირე, დავით აღმაშენებელი, არსენ ბერი, გიორგი მესამე, თამარ მეფე, დემეტრე თავდადებული, ბექა ჯაყელი და სხვ.

ქართული მშენრმეტყველების ისტორიის ძველი პერიოდის მესამე მონაკვეთი, იმავე პატრონყმური ფეოდალიზმის სოციალურ ბაზაზე არსებული, დაცემის ხანაა, რომელიც მოიცავს მეთოთხმეტე და მეთხუთმეტე საუკუნეებს. დაცემის მიზეზი ამ პერიოდში დამპყრობელთა განუწყვეტელი თავდასხმებია, ჯერ მონღოლთა და შემდეგ ოსმალთა ექსპანსია, რასაც მოჰყვა საქართველოს ეკონომიური გაღატაკება, სახელმწიფოებრივი რღვევა და კულტურული დაუძლურება.

ასეთ ვითარებაში ქართულ მწერლობასთან ერთად დაეცა ჩვენი მშენრმეტყველება. იგივე ხვედრი გაიზიარა კლასიკური კულტურის სხვა სფეროებმაც, რომელთა მიმჭრალ წიაღში სამშობლოს მესვეურები ძველ მონაპოვარს იცავდნენ დაღუპვისაგან და უნახავდნენ შთამომავლობას. ამ გზით აღწევენ ჩვენამდე ეროვნული მემკვიდრეობის საგანძურები როგორც მშენრმეტყველების, ისე სულიერი შემოქმედების სხვა სფეროებიდან.

ქართული მშენრმეტყველების ძველი პერიოდის მეოთხე მონაკვეთი ბატონყმური ფეოდალიზმის ხანაა. ეს პერიოდი შეიცავს სამ საუკუნეს — მეთექვსმეტეს, მეჩვიდმეტესა და მეთვრამეტეს. ამ დროს ჩვენში ისევ დაშლილობა სუფევს; საქართველო შედგება ცალკეულ სამეფო სამთავროებისაგან; მათ შორის არ არის კავში-

რი და ერთიანობა; ქვეყნად ბატონობს ნატურალური კარჩაკეტილობა და ფეოდალური დაქსაქსულობა; ოსმალეთის აგრესიის შედეგად სამხრეთ საქართველო ეროვნული გადაგვარების საფრთხის წინაშეა; აღმოსავლეთ საქართველოში დათარეშობს ირანი; ქართლი და კახეთი ხან ერთად, ხან ცალ-ცალკე იცავენ თავიანთ გაწამებულ არსებობას ირანელთა და ლეკთა განუწყვეტელი თავდასხმებისაგან.

მდგომარეობა გაუმჯობესდა XVIII საუკუნეში, ქართლში—ვახტანგ მეექვსის (1703—1724), იმერეთში — სოლომონ პირველისა (1752 — 1784) და ქართლ-კახეთში — ერეკლე მეორის (1762 — 1798) მეფობის პერიოდებში, განსაკუთრებით ერეკლეს დროს, როცა მეფის გონივრული და ენერგიული მოქმედების წყალობით განმტკიცდა ქვეყნის ეკონომიური ბაზა, გაძლიერდა ცენტრალური ხელისუფლება, ამაღლდა ეროვნული თვითშეგნება და წარმოიქმნა სამეფო-სამთავროების გაერთიანების მძლავრი ტენდენცია. ყოველივე ამის შედეგად XVIII საუკუნეში აღორძინდა ჩვენი კულტურა, რომლის გამოცოცხლება მანამდისაც შეინიშნება, რაც იმის მაჩვენებელია, რომ უმძიმეს ისტორიულ პირობებშიც არ დაცემულა ხალხის მორალური ძალმოსილება და არ შეწყვეტილა ქვეყნის სულიერი ცხოვრების მაჯისცემა. ამით აიხსნება XVII—XVIII საუკუნეთა მიჯნაზე წარმოქმნილი სულხან-საბა ორბელიანის მძლავრი ორატორული შემოქმედება.

კულტურული აღორძინების უდიდესი ფაქტორი XVIII საუკუნეში საქართველოს რუსეთთან დაახლოება იყო, რაც შორეულ წარსულში დანერგილი ურთიერთობის დაგვირგვინებით — ქართლ-კახეთის რუსეთის მფარველობაში შესვლით დამთავრდა, და ამით მეგობრულად განწყობილ ხალხთა სრულ გაერთიანებას ჩაეყარა მტკიცე საფუძველი. ხსენებულ საუკუნეში დაარსდა ქართული სტამბა (1709 წ.), ბეჯდურად გამოიცა „ვეფხისტყაოსანი“ (1712 წ.), შეიქმნა და მოიხატა ახალი ნუსხები, გასწორდა და გაიმართა ძველი ხელნაწერები, გაჩაღდა დიპლომატიური ურთიერთობანი, გაიხსნა თბილისისა და თელავის სემინარიები (1755, 1758, 1782 წ წ.) და დაიწერა ბევრი შესანიშნავი მეცნიერული ნაშრომი. ამ პერიოდში აყვავდა ჩვენი მწერლობა, რომლის წიაღში წარმოიშვა ახალი დარგი (მოგზაურობა) და ახალი ჟანრები (ანბანთქება, გაბაასება) და აღორძინდა ზეპირი მეტყველება, რომლის სარბიელზე გამოჩნდნენ საჯარო სიტყვის დიდი ოსტატები. ამ დროსათვის არსებითად უკვე დამთავრებულია ახალი ქართული სალი-

ტერატურო ენის ჩამოყალიბება[1] და შექმნილია შესაძლებლობა ცოცხალი სიტყვის კულტურის შემდგომი ამაღლებისა.

XVIII საუკუნის მეორე ნახევარი აღინიშნა ქართული მჭევრმეტყველების უჩვეულო წარმატებით. განსაკუთრებით განვითარდა სამქადაგებლო, სადღესასწაულო და სამგლოვიარო დარგების მჭევრმეტყველება. ამ პერიოდს ეკუთვნის ქართული ორატორული ხელოვნების უბრწყინვალესი შედევრი სოლომონ ლიონიძის სიტყვა, თქმული ერეკლე მეორის დაკრძალვაზე. ამავე პერიოდში მოღვაწეობდნენ მჭევრი მეტყველების ცნობილი ოსტატები: ზაქარია გაბაშვილი, ანტონ კათალიკოსი, საბა ნინოწმიდელი, გაიოზ რექტორი, ზეჰაბუკ ორბელიანი, ამბროსი ნეკრესელი, ანტონ ჭყონდიდელი და სხვ.

უნდა აღინიშნოს, რომ მათი უმრავლესობის შემოქმედებას არ შეხებია ანტონ პირველის სამი სტილის თეორიის გაელენა, რასაც შეეძლო გაეწყვიტა ჩვენი ზეპირი მეტყველების ბუნებრივი განვითარების ხაზი. დიდმა ქართველმა ორატორებმა თავიანთი შემოქმედების ფორმა დაუახლოვეს ხალხურ სასაუბრო ენას, და არა ანტონ კათალიკოსის, არამედ სულხან ორბელიანისა და დავით გურამიშვილის ენით აუწყეს მსმენელს საკუთარი სათქმელი.

ქართული მჭევრმეტყველების ისტორიის ახალი პერიოდი შეიცავს ერთ საუკუნეს — მეცხრამეტეს. საქართველოს რუსეთთან შეერთებიდან (1801 წ.) ცხრაასიან წლებამდე ჩვენმა ორატორულმა ხელოვნებამ განელო მეტად საყურადღებო საფეხური, რომელზედაც ის ამაღლდა ახალი ხარისხობრივი მაჩვენებლებით — შინაგანი ღრმაიდეურობითა და გარეგნული სადასიტყვაობით. ამ პერიოდის უმნიშვნელოვანესი მოელენებია: საქართველოს რუსეთთან შეერთება, თვითმპყრობელობისა და ბატონყმობის წინააღმდეგ მიმართული შეთქმულება-აჯანყებანი (1804, 1812, 1819, 1832, 1841, 1857 წწ.), ბატონყმური ურთიერთობის გაუქმება (1864 წ), მესამე დასის დაარსება (1892 წ.), 1905 წლის რევოლუციის სამზადისი და სხვ. ეს მოელენები აპირობებდა XIX საუკუნის მანძილზე ქართული მწერლობისა და მჭევრმეტყველების ახლებურ განვითარებას, რასაც აღმავალი გზით წარმართავდა სხვა ფაქტორებიც, რომელთა შორის განსაკუთრებული მნიშვნელობისაა: ახალი ქართული საერთო სახალხო სალიტერატურო ენის დამკვიდრება, მართლწერის რეფორმა, ეროვნული თეატრის განახლება (1850 წ.), ჟურნალ „ცისკრის“ დაარსება (1852 წ.) და სხვ.

ყურადღების ღირსია ის გარემოება, რომ ამ პერიოდის პირვე-

[1] არნ. ჩიქობავა, ქართული ენის ზოგადი დახასიათება, გვ. 019.

ლი მესამედის მწევრმეტყველება თავისი თემატური წრითა და სიტყვიერი ფორმით უშუალო გაგრძელებაა ძველი პერიოდის ქართული ორატორული ხელოვნებისა, რომლის უკანასკნელი საზღვარი ზუსტად არ ემთხვევა XVIII საუკუნის დასასრულს. მიუხედავად ამისა ახალი მწევრმეტყველების სათავედ XIX საუკუნის დასაწყისი უნდა მივიჩნიოთ, ვინაიდან სწორედ ამ დროს მოხდა ის ისტორიული გარდატეხა, რაც ახალი ქართული კულტურის უმთავრესი წამმართველია. რაც შეეხება მის დასასრულს, ის პირველი რევოლუციის წინარე წლებს ემთხვევა, როცა მარქსიზმის გავრცელების დასაწყისმა, მესამე დასის დაარსებამ და რევოლუციისათვის სამზადისმა გამოიწვიეს მწევრმეტყველების ხელახალი აღმავლობა, რამაც ზღვარი დაუდო ახალ მწევრმეტყველებას და სათავე მისცა უახლეს ქართულ ორატორულ ხელოვნებას.

XIX საუკუნის ორატორულ ხელოვნებაში ჩაისახა ახალი შინაარსობლივი დარგი — აკადემიური მწევრმეტყველება, და ახალი ჟანრობლივი სახეები — ლექცია, მოხსენება, რეფერატი, დისკუსია და დისპუტი.

ამ პერიოდის ქართული მწევრმეტყველება საერთოდ, ცხადია, საერო შინაარსისაა, მაგრამ მისგან დამოუკიდებლად, ძველი ჰომილეტიკის ტრადიციების საფუძველზე, XIX საუკუნის მეორე ნახევარში საგრძნობლად განვითარდა სასულიერო მწევრმეტყველებაც, რომლის უკანასკნელი დიდი წარმომადგენელი გაბრიელ ქიქოძეა. აღსანიშნავია, რომ ქართული სასულიერო მწერლობა XVIII საუკუნეს არ გადმოშორებია, სასულიერო მწევრმეტყველება კი XIX საუკუნეშიც ხმამაღლა გაისმოდა და დაქვეითებული სახით XX საუკუნის პირველ მეხუთედშიც სულდგმულობდა.

ახალი ქართული მწევრმეტყველების წარმომადგენლებია: იოანე ბატონიშვილი, იონა ხელაშვილი, სოლომონ დოდაშვილი, მიხეილ თუმანიშვილი, ნიკო დადიანი, ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი და სხვ. მათ შორის უდიდესი ორატორი ილია ჭავჭავაძეა.

ქართული მწევრმეტყველების ისტორიის უახლესი პერიოდი შეიცავს რამდენიმე ათეულ წელს — XX საუკუნის დასაწყისიდან დღემდე. ამ პერიოდში გამოიყოფა ორი მონაკვეთი: 1. ცხრაასიანი წლებიდან 1921 წლამდე, და 2. საბჭოთა პერიოდი — 1921 წლიდან დღემდე. პირველი მონაკვეთის უმნიშვნელოვანესი მოვლენებია: 1905 წლის რევოლუცია, რეაქციის წლები, პირველი მსოფლიო ომი და 1917 წლის რევოლუციები.

1917 წლის ოქტომბრის დიდი სოციალისტური რევოლუცია ახალი ერის დასაწყისია როგორც რუსული, ისე ქართული მწევრ-

მეტყველების ისტორიაში. მენშევიკური ხელისუფლების ხანმოკლე ბატონობა ჩვენში 1921 წელს საბჭოთა ხელისუფლების დამყარებით დამთავრდა. ამ წლიდან ფართო სარბიელი გადაიშალა ჩვენს ქვეყანაში შინაარსით სოციალისტური და ფორმით ეროვნული კულტურის ასაყვავებლად. დღემდე იზრდება და ფართოვდება ამ კულტურის უშრეტი ნაკადი — უახლესი ქართული ორატორული ხელოვნება, რომელიც მარად იქნება ჩვენი ერის სულიერი შემოქმედების ერთი მგზნებარე გამომხატველი.

უახლესი მჭევრმეტყველების წიაღში წარმოიქმნა და განვითარდა ჩვენში ორატორული ხელოვნების ახალი შინაარსობლივი დარგები და ჟანრობლივი სახეები; ზოგიერთი ძველი ჟანრი შეიცვალა და ახალი შინაარსის ფორმად გადაიქცა. ასე, მაგალითად, ჩაისახა და დიდი სისწრაფით განვითარდა საპროპაგანდო და საagიტაციო შინაარსის მჭევრმეტყველება; წარმოიქმნა საუბრის, კონსულტაციის, კითხვა-პასუხის, ზეპირი ჟურნალის, თემატური საღამოსა და სხვა ჟანრობლივი სახეები; ხოლო განახლდა ლექციის, მოხსენების, რეფერატის, დისკუსიისა და დისპუტის ჟანრები.

რევოლუციური ბრძოლის სახელოვანი წარსულით, გამარჯვებული სოციალიზმის ნათელი აწმყოთი და ძალმოსილი კომუნიზმის ბრწყინვალე მომავლით შეპირობებულია ქართული მჭევრმეტყველების ისტორიული განვითარების დღევანდელი სინამდვილე და ხვალინდელი შესაძლებლობა.

7. ქართული მჭევრმეტყველების დარგებისათვის

ქართული კლასიკური მჭევრმეტყველების მაღალი განვითარების უდავო მაჩვენებელია მისი დარგობლივი სიმდიდრე და ჟანრობლივი მრავალფეროვნება. არ მოიპოვება ორატორული ხელოვნების ისეთი დარგი, რომელიც თავისებური და მკვეთრი სახით არ ჩანდეს ჩვენი ზეპირი მეტყველების ისტორიულ სარბიელზე. აქ ამა თუ იმ იერით, ღირსებითა და სიუხვით წარმოდგენილია ყველა სფერო, რომელთა არსებობა შენიშნულია მსოფლიო მჭევრმეტყველების ისტორიაში. ეს სფეროები ერთმანეთისაგან განირჩევიან თავიანთი დანიშნულებით, წარმატებითა და მნიშვნელობით, ისინი მეტ-ნაკლები საუნჯითა და სისრულითაა ჩვენამდე მიღწეული, მაგრამ მათი არსებობა თავისთავად მეტყველებს ჩვენი ორატორული ხელოვნების სასიქადულო ისტორიულ მონაპოვარზე.

აღნიშნული დარგობლივი სიმდიდრე ჟანრობლივი მრავალფეროვნების უმთავრესი წინაპირობაა: დარგების სიმრავლე თხოულობდა ჟანრების სიმრავლესაც. ყოველ დარგს სჭირდებოდა თავისი-ძირითადი თუ არაძირითადი ჟანრობლივი სახეები, რომელთა მეშვეობით საკმარისი ძალით გამოითქმოდა მოცემული დარგის იდეური არსი. ყოველი დარგის სიტყვის ოსტატი ცდილობდა მეტი სისრულით გამომხატველი ჟანრის შექმნასა და გამოყენებას, ან უკვე შექმნილი ჟანრის დაუფლებასა და გაუმჯობესებას. ამ გზით მდიდრდებოდა საუკუნეთა მანძილზე ქართული მჭევრმეტყველების დარგების საგანძური, რაც თავის მხრივ ხელს უწყობდა და აპირობებდა აზრის ზეპირად გამომხატველი ჟანრობლივი ფორმების შექმნასა და განვითარებას.

ქართული კლასიკური მჭევრმეტყველების ისტორიაში გამოკვეთილად ჩანს ექვსი თავისთავადი შინაარსობლივი დარგი: სამქადაგებლო, სადარბაზო, სამხედრო, სამოსამართლო, სადღესასწაულო და სამგლოვიარო. მათ შორის არსებული განსხვავების მიხედვით ისინი ერთმანეთისაგან განირჩევიან, მაგრამ, ამასთან, მათი შემხვედრი ნიშნების მეოხებით ერთმანეთს უშუალოდ ესაზღვრებიან. ეს მოსაზღვრეობა და სიახლოვე არც ერთ მათგანს

არ უკარგავს თავისთავად სახეს, რაც შინაარსის, ფორმისა და დანიშნულების თავისებურებით ყალიბდება. ამ თავისებურების შუქზე შესაძლებელი ხდება ყოველი დარგის განსაზღვრა საკმაო მიახლოებით.

სამქადაგებლო მჭევრმეტყველება დამრიგებლობითი ხასიათის ზეპირი მეტყველებაა, რომლის მიზანია რელიგიური რწმენისა და მისტიკური იდეების გავრცელება ხალხში; სადარბაზო მჭევრმეტყველება რჩევა-თათბირობითი ხასიათის ზეპირი მეტყველებაა, რომლის მიზანია პოლიტიკური, სახელმწიფოებრივი საკითხების მოგვარება-გადაწყვეტა; სამხედრო მჭევრმეტყველება წაქეზებითი ხასიათის ზეპირი მეტყველებაა, რომლის მიზანია მეომრების გამხნევებით ომის მოგება; სამოსამართლო მჭევრმეტყველება პაექრობითი ხასიათის ზეპირი მეტყველებაა, რომლის მიზანია მოპირდაპირე მხარეთა შორის აღძრული დავის გადაწყვეტა; სადღესასწაულო მჭევრმეტყველება, საზეიმო ხასიათის ზეპირი მეტყველებაა, რომლის მიზანია მსმენელთა შემოქმედებითი შთაგონება; სამგლოვიარო მჭევრმეტყველება სახოტბო ხასიათის ზეპირი მეტყველებაა, რომლის მიზანია მსმენელთა ზნეობრივი ამაღლება.

ამ განსაზღვრების მიხედვით შეინიშნება, რომ ხსენებულ დარგებს მკვეთრი ფარგლები არ გააჩნიათ. ამიტომ ხშირად ერთი და იგივე ორატორული ქმნილება რამდენიმე შინაარსობლივ დარგს მიეკუთვნება. ეს უფრო ითქმის ვრცელი, მდიდარი და მრავალფეროვანი ძეგლების შესახებ, რომელთა შინაარსს ჩვეულებრივად განსხვავებული მოტივების ერთიანობა შეადგენს. ტექსტუალურ-იდეური მოტივების სხვაობა იწვევს დარგობლივი მაჩვენებლების სიმრავლეს, რაც თავის მხრივ მოცემული ძეგლის ფართო ლოკალიზების საფუძველს წარმოადგენს. ამით არის შეპირობებული ზოგიერთი ორატორული ქმნილების მიჩნევა რამდენიმე დარგის კუთვნილებად.

ამასთან, ეს დარგები თავიანთი შინაარსობლივი სახით ერთგვაროვან მონაცემს არ წარმოადგენენ, ისინი არსებითად მსგავსი მოტივებით გამოყოფილი სფეროებია, რომლებშიც მეტ-ნაკლები ერთობა შეინიშნება. ამ ერთობის ერთი მაჩვენებელი საერო და სასულიერო მოტივების ფენებია; სადაც ორივე — საერო და სასულიერო — შინაარსობლივი ფენა გვაქვს, იქ ნაკლებია ერთობა, და პირიქით, სადაც ერთი რომელიმე მათგანია, იქ მეტი ერთობა ჩანს. ამ მხრივ ასეთი ფაქტობრივი ვითარებაა: სამქადაგებლო, სადარბაზო, სამხედრო და სამოსამართლო მჭევრმეტყველება თითო ფენითაა წარმოდგენილი, პირველი — სასულიერო, და სხვები — საერო

მოტივების ფენებით, ხოლო სადღესასწაულო და სამგლოვიარო მშევრმეტყველება ორივე შინაარსობლივი ფენის შემცველია.

გარდა ამისა მშევრმეტყველების დარგებს, მათი რთული შინაგანი შემადგენლობის გამო, თავიანთი შინაარსობლივი ქვედარგები და ფორმობლივი განშტოებანი გააჩნიათ. ამ მხრივ განსაკუთრებით მდიდარია სამქადაგებლო მშევრმეტყველება. ის ხუთ ქვედარგსა და ერთ განშტოებას აერთიანებს. ეს ქვედარგებია: სამოძღვრო, სააღმზრდელო, სახოტბო, საზეიმო და საგოდებელი მშევრმეტყველება, ხოლო განშტოებაა საპაექრო ორატორული ხელოვნება. სადარბაზო მშევრმეტყველების განშტოება საელჩო ზეპირი მეტყველებაა, ხოლო სადღესასწაულო და სამგლოვიარო მშევრმეტყველების განშტოებაა ეპისტოლარული ორატორული შემოქმედება.

ქართული კლასიკური მშევრმეტყველების ზემოთ განსაზღვრული დარგების შესაბამისი ჟანრობლივი სახეებია: ქადაგება, სწავლა, მოძღვრება, სიტყვა, მოხსენება, ქება, შესხმა, დაუჯდომელი, სამილოცვო წერილი, სამძიმრის წერილი და სხვ.

ამ ჟანრობლივი სახეების მეშვეობით არის წარმოდგენილი ჩვენი კლასიკური ორატორული შემოქმედება, რომლის თითოეული დარგი ძირითად ჟანრად ერთ რომელიმე მათგანს იყენებს, მაგრამ არაიშვიათად სხვა ჟანრსაც იშველიებს. ასე, მაგალითად, სამქადაგებლო დარგის მშევრმეტყველების ძირითადი ჟანრი ქადაგებაა, ხოლო დამხმარე ჟანრებია: სწავლა, მოძღვრება, ქება, შესხმა, დაუჯდომელი და სხვ.; სადარბაზო, სამხედრო, სამოსამართლო, სადღესასწაულო და სამგლოვიარო დარგების ძირითადი ჟანრი სიტყვაა, ხოლო მათ შორის სადარბაზო, სამხედრო და სამოსამართლო მშევრმეტყველების დამხმარე ჟანრია მოხსენება, ხოლო სადღესასწაულო და სამგლოვიარო დარგების დამხმარე ჟანრებია: ქება, შესხმა, სამილოცვო წერილი, სამძიმრის წერილი და სხვ.

აქ საჭიროა ზემონახსენები ჟანრების განსაზღვრა.

ქადაგება მტკიცე რწმენისა და შეხედულების გამომხატველი ორატორული ნაწარმოებია, რომლის ამაღელვებელი სიტყვიერი ფორმა და მგზნებარე გამოთქმის ელფერი შინაარსის ფართო გავრცელებასა და მსმენელთა მიმხრობას ემსახურება; სწავლა და მოძღვრება იგივეა, რაც ქადაგება; სიტყვა რომელიმე კონკრეტული თემის იდეური არსის გამომხატველი ორატორული ქმნილებაა, რომლის კაზმული გარეგნული ფორმა და გამომეტყველი

გამოთქმის ელფერი შინაარსის გაცნობასა და გაზიარებას ემსახურება; მოხსენება ერთგვარი ზეპირი განცხადებაა, რომელიც განსაზღვრულ საკითხს შეეხება და თავისი მკვეთრი სიტყვიერი ფორმითა და მტკიცე გამოთქმის ტონით მსმენელთა გაცნობიერებას ემსახურება; ქება ვინმე სახელოვანი პიროვნებისა, ან რაიმე სამაგალითო მოელენის შემამკობელი ორატორული ძეგლია, რომლის ამაღელვებელი ხატოვანი ფორმა და გრძნობიერი გამოთქმის იერი მსმენელთა შთაგონებას ემსახურება; შესხმა იგივეა, რაც ქება; დაუჯდომელი საზეიმო განწყობილების გამომხატველი სავედრებელი შესხმაა, რომლის სადღესასწაულო ტონი მსმენელთა აღფრთოვანებას ემსახურება; სამილოცვო წერილი რაიმე სასიხარულო მოელენის გამომხატველი წერილობითი მიმართვაა, რომლის საამო შინაარსი ადრესატის ხარებას ემსახურება; სამძიმრის წერილი რაიმე სამწუხარო მოელენის გამომხატველი წერილობითი მიმართვაა, რომლის თანაგრძნობითი შინაარსი ადრესატის გამხნევებას ემსახურება.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ ქართველი ფილოსოფოსი იოანე პეტრიწი თავისი შრომის — „განმარტებაჲ პროკლესთჳს დიადოხოსისა და პლატონურისა ფილოსოფოსისათჳს“ — ბოლოსიტყვაობაში მეცნიერების ძირითად დარგებს შორის ასახელებს და განმარტავს რიტორიკას. აქ ავტორის მსჯელობა აგებულია ცნობილი თეოლოგის გრიგოლ ნაზიანზელის დებულებებზე, რომლებსაც შეიცავს მისი „სიტყუაჲ ეპიტაფიად დიდისა ბასილისათჳს“,[1] მაგრამ ორიგინალური განმარტების შუქით ნაჩვენებია არა მარტო ბერძნული რიტორიკისა, არამედ ქართული მშვერმეტყველების სურათიც. ეს სურათი გვიჩვენებს იმ საერთო დარგებს, რომლებსაც მაშინ ადგილი ჰქონდათ როგორც ბერძნულ, ისე ქართულ ზეპირ მეტყველებაში. ეს დარგებია: „თანამზრახვალობისა, მეპაექრობისა და დღესასწაულობისა“—ჩვენი ტერმინოლოგიით: სადარბაზო, სამოსამართლო და სადღესასწაულო.

იოანე პეტრიწი წერს: „ომიროს ვიდრემე მბერველობაჲ ცეცხლებრივი თქუა პატრიკულისა თხისა სამად ზღაპრებულისა მჴეცისათჳს: რამეთუ წინაჲთ იყო ლომ, ხოლო ბოლოთ ვეშაპ, და საშუალ ვაც. ხოლო ღმრთისმეტყუელი რიტორობისა ზედა დააწესებს ამას,

---

[1] იხ. ს. ყაუხჩიშვილი, იოანე პეტრიწის ცხოვრება და მოღვაწეობა, გვ. XXXV.

ვინაჲთგან იგიცა სამად განიყოფების: თანაზრახვალობისა, მეპაექრობისა და დღესასწაულობისა“.[1]

აქ შედარების ვრცელი სურათის მეშვეობით ნათლად წარმოდგენილია მჭევრმეტყველების სამი ძირითადი დარგი, რომელთა საჩვენებლად მოხმობილია ჰომეროსის „ილიადაში“ დახატული ქიმერა, რომელიც თავით ლომს წარმოადგენდა, ბოლოთი — ვეშაპს, ხოლო შუა ნაწილით — ვაცს. ამ ლეგენდარული არსების მსგავსად, იოანე პეტრიწის განმარტებით, მჭევრმეტყველებას სამი არსებითი ნაწილი გააჩნია: რჩევა-თათბირობითი, სამოსამართლო და სადღესასწაულო, რომელთაგან პირველი შედარებულია ლომთან, მეორე — ვაცთან, ხოლო მესამე — ვეშაპთან. შესაძლოა ამ შედარებებში ნაგულისხმევი იყოს მჭევრმეტყველების თითოეული დარგის თავისებური ხასიათი. ყოველ შემთხვევაში აქ ნათლად გამოხატულია თვით მჭევრმეტყველების ცალკეული დარგები და მათი უშუალო მოსაზღვრეობა.

ყოველივე ეს ჩვენში ცნობილი იყო უფრო ადრეც. იოანე პეტრიწის უფროსი თანამედროვე ეფრემ მცირე, რომელმაც ქართულად თარგმნა გრიგოლ ნაზიანზელის ჰომილეტიკური ძეგლები, ერთგან აღნიშნავს რიტორიკის ხსენებულ სამსახეობას. ის წერს: „სამნი სახენი არიან რიტორებრისა სწაელულებისა: გამომეტყუელებისანი, თანაგამზრახობითი და სადღესასწაულობითი“[2].

ეფრემ მცირისა და იოანე პეტრიწის აზრების შეხვედრა შედეგია მათი საერთო წყაროსი — გრიგოლ ნაზიანზელის კომენტატორის ნონნეს (VI ს. დასაწყ.) განმარტებისა, რომელიც ეხება ხსენებულ ზღაპრულ ქიმერას და წარმოადგენს ორატორულ ძეგლში გამოყენებული მითოლოგიური თქმულების ახსნას[3].

ქართული კლასიკური მჭევრმეტყველების შინაარსობლივი დარგებისა და ჟანრობლივი სახეების სიმდიდრის თავდაპირველ სათავეს ჩვენი ხალხური ზეპირი მეტყველება წარმოადგენს, რომლის თვითმყოფადი ტრადიციები საუკუნეთა მანძილზე ასაზრდოებს მშობლიურ ნიადაგზე აღმოცენებულ ორატორულ ხელოვნებას იმავე სიმდიდრის შემდეგი წყარო ქართველთა საზოგადოებრივი ყოფა-ცხოვრება, სახელმწიფოებრივი წყობა და გარე სამყაროსთან ურთიერთობაა, ყველაფერი ის, რაც ქმნიდა და აყალიბებდა

---

[1] იოანე პეტრიწი, შრომები, II, გვ. 223.

[2] ხელნაწერი *A*—16, გვ. 280.

[3] იხ. ს. ყაუხჩიშვილი, დასახელებული შრომა, გვ. *XL*.

ჩვენი ეროვნული კულტურის საყრდენს, რომლის დამამშვენებელი ზედნაშენია ქართული მჟევრმეტყველება.

აღმავალი გზით წინმსვლელი ყოველი ხალხისათვის ნიშანდობლივი სოციალური ფორმაციების გავლით, მძიმე ისტორიულ დაბრკოლებათა დაძლევითა და დიდი შემოქმედებითი ძალის გამოვლენით ქართველმა ხალხმა შექმნა ჩვენამდე მოღწეული მძლავრი ნაციონალური კულტურა, რომელიც თავის დაუშრეტელ დინებაში ორგანულად ითავსებს ზეპირი მეტყველების ნაკადს, და თავისი უკვდავი ნაწილით შედის სოციალისტური კულტურის საგანძურში.

ნაწილი მეორე

ქართული მხვევრმეტყველების დარგები

ენით მრავალმა აჯობა ხელით მრავალსო.

ხალხური

1. სამქადაგებლო მხევრმეტყველება

მსოფლიო მჭევრმეტყველების ისტორიაში ბერძნულ-რომაული ანტიკური რიტორიკა შეიცვალა გვიანბერძნული ბიზანტიური ქრისტიანული მქადაგებლობით. ქრისტიანული ორატორული ხელოვნება სასულიერო ზეპირი მეტყველებაა. სასულიერო ცოცხალი სიტყვის უმთავრეს სახეობას მქადაგებლობა წარმოადგენს. სამქადაგებლო მჭევრმეტყველება საკაცობრიო ორატორული შემოქმედების ერთი ადრინდელი, ხანმოთეული და მდიდარი დარგია. ის არსებითად ქრისტიანული სარწმუნეობის თანმხლები იდეოლოგიური სფეროა, რომელიც მანამდელი რელიგიების წიაღში წარმოიშვა, მაგრამ ქრისტიანობის ჩასახვის პერიოდში განვითარდა და მომდევნო ხანებში აყვავდა. სამქადაგებლო მჭევრმეტყველება ქრისტიანული რელიგიის ორატორული ხელოვნებაა.

ქრისტიანული რელიგია წარმოიშვა ახალი წელთაღრიცხვის II — III საუკუნეებში, რომის მონათმფლობელური იმპერიის ნგრევის პროცესში, როცა დრომოჭმული სოციალური ფორმაცია გზას უთმობდა ადრინდელ ფეოდალიზმს და გარდამავალი ისტორიული ვითარება ქმნიდა ყოველგვარი „სიახლის“ გავრცელების პირობებს. ფრიდრიხ ენგელსის სიტყვით „ეს ის დრო იყო, როდესაც თვით რომსა და საბერძნეთში, და გაცილებით უფრო მეტად მცირე აზიასა, სირიასა და ეგვიპტეში სხვადასხვა ხალხის უაღრესად უხეშ ცრურწმენათა აბსოლუტურად არაკრიტიკულ შერევას ყოველგვარი შენიშვნის გარეშე იღებდნენ და მას კეთილმსახურ სიცრუესა და აშკარა თაღლითობას უმატებდნენ; ეს ის დრო იყო, როდესაც უთვალსაჩინოეს როლს თამაშობდნენ სასწაულები, ექსტაზები, ხილვანი, მოჩვენებანი, მკითხაობა მომავალზე, ოქროს დამზადება, კაბალა და სხვა მისტიკური სისულელე. ასეთი იყო ატმოსფერო, რომელშიც წარმოიშვა ადრინდელი ქრისტიანობა“[1].

ქრისტიანობის გავრცელების ერთადერთი საშუალება პირველ ხანებში იყო მქადაგებლობა—ცოცხალი სიტყვით განმარტება რელი-

[1] ფ. ენგელსი, ადრინდელი ქრისტიანობის ისტორიისათვის, გვ. 17.

გიური დოგმატებისა, რომელთა უსისტემო და ხელოვნურ ნაერთს წარმოადგენდა ახალი რელიგია, რომელიც სიტყვიერ შევსებასა და შელამაზებას საჭიროებდა. ასეთი სახით გამოხატულ მოძღვრებას უკრიტიკოდ ღებულობდნენ რომის ბატონობით გაწამებული და ხსნას მოწყურებული მასები, რომლებიც ზეციერი მესიის მოვლინებას ელოდნენ და მისი იმედით სულდგმულობდნენ.

ასეთ პირობებში ფართო გასაქანს პოულობდა ყოველგვარი ზეპირი პროზელიტიზმი. ახალი რწმენის მქადაგებელი ჩაგრულთა თვალში ზეგარდმო მადლით შემოსილ მოციქულად, ანუ ყოვლისშემძლე წინასწარმეტყველად ითვლებოდა. ასეთ მადლმოსილებს — ხარიზმატებს (ბერძნული სიტყვიდან χάρισμα — მადლი) გულდასმით ყურს უგდებდნენ მძიმე მონობისაგან დახსნის მომლოდინენი, რომლებიც ხალასი ჰეშმარიტების სახით ღებულობდნენ ყოველგვარ მისტიკურ წინასწარმეტყველებას.

ამასთან დაკავშირებით ი. ლენცმანი წერს:

„В условиях отсутствия церкви и стоящего над верующими клира важную роль в общинах играли различные пророки, которые впадали во время собраний в религиозный транс. Чем сумбурнее и непонятнее была речь таких пророков, тем большую уверенность питали слушатели в том, что с их уст сходит „благодать божья“[1].

ქვემოთ ნათქვამია:

„В период существования харизматических общин проповедь новой религии велась устно“[2].

ამრიგად, ხსენებულ პერიოდში და, უნდა ითქვას, შემდეგაც, სქოლასტიკური მსოფლმხედველობის ჩამოყალიბების ხანგრძლივ პროცესში, ზეპირი სიტყვა წარმოადგენდა ქრისტიანული პროპაგანდის უმთავრეს ფორმას, რომლის მეშვეობით ვრცელდებოდა საღმრთო წერილისა და სასულიერო მოძღვრების შინაარსი.

ქრისტიანობა მწიგნობრული რელიგია იყო და თავიდანვე ლიტერატურულ წყაროებს ეყრდნობოდა, მაგრამ ისინი არსებითად მათიენ შემოქმედთა წრისათვის იყვნენ განკუთვნილი და არა მკითხველთა ფართო მასებისათვის, რომლებიც ვერ წვდებოდნენ წერილობით მასალას და მისი ზეპირი გადმოცემით უხდა დაკმაყოფილებულიყვნენ. გარდა ამისა ხსენებული წყაროებიდან ქრისტიანობამ მხოლოდ ძველი აღთქმის წიგნები მიიღო, მემკვიდრეო-

---

[1] Л. Ленцман, Происхождение христианства, გვ. 147.

[2] იქვე, გვ. 230.

ბით, ხოლო ახალი აღთქმის წიგნების შექმნა თვითონ იკისრა, რაც საუკუნეთა მანძილზე გაწეული შრომითა და ბრძოლით შეასრულა.

ქრისტიანიზმის წყაროდ ჩაცეული და დადგენილი ლიტერატურა, ძველი და ახალი აღთქმის წიგნები, რა თქმა უნდა, სათანადო ახსნა-განმარტებასა და ინტერპრეტაციას საჭიროებდა, რაც, ცხადია, არსებითად მათი შინაარსის პოპულარიზაციასა და გავრცელებას ისახავდა მიზნად. საღმრთო წერილის ტექსტების ახსნა-განმარტებასა და ინტერპრეტაციას ძველი მწერლობის ერთ-ერთი დარგი ე გ ზ ე გ ე ტ ი კ ა აწარმოებდა, ხოლო მათი შინაარსის პოპულარიზაციასა და გავრცელებას ძველი მშვერმეტყველების ერთ-ერთი დარგი ჰ ო მ ი ლ ე ტ ი კ ა ასრულებდა. პირველის უმთავრესი იარაღი წერითი სიტყვა იყო, მეორისა — ზეპირი.

ჰომილეტიკა — საჯარო ზეპირი სიტყვით დამოძღვრების ხელოვნება — ანუ სამქადაგებლო მშვერმეტყველება თავით ბოლომდე გასდევს ქრისტიანულ სარწმუნოებას, როგორც მისი ღვთისმსახურების მიუცილებელი ატრიბუტი. თავდაპირველად კი ის მისი გავრცელებისა და დამკვიდრების უმთავრესი საშუალება იყო.

თანამედროვე გერმანელი მეცნიერი, ორატორული ხელოვნების პროფესორი მ. ვ ე ლ ე რ ი წერს:

„ქრისტიანობას მისი მამამთავარი, ისევე როგორც მოციქულები, ზეპირად ქადაგებდა. წარმართული მსოფლიოს ძლიერების წინააღმდეგ მას (ქრისტიანობას. — ნ. კ.) არ გააჩნდა სხვა იარაღი, გარდა ნათქვამი სიტყვისა“[1].

აქ ზეპირი სიტყვა სამართლიანადაა მიჩნეული ადრინდელი ქრისტიანობის ბრძოლისა და გამარჯვების ერთადერთ იარაღად.

ამით აიხსნება ის გარემოება, რომ თითქმის ყოველი ქრისტიანი ერის მშვერმეტყველების ისტორიაში ერთი უძველესი და უმდიდრესი დარგი სამქადაგებლო მშვერმეტყველებაა. ის მეტნაკლები ძალითა და ოდენობით ახასიათებს კაცობრიობის ისტორიულ ეპოქებს და ნიშანდობლივია ყველა განათლებული ხალხის ორატორული ხელოვნებისათვის.

ზემოთ გაკვრით აღინიშნა, რომ სამქადაგებლო მშვერმეტყველება წინ უსწრებდა ქრისტიანობას და ადრინდელი ორატორული ხელოვნების უძველესი სახეობაა. ის მანამდელი რელიგიების წიაღში აღმოცენდა და მათი ნიშანდობლივი რიტუალური ელემენტია. სამქადაგებლო მშვერმეტყველების არსებობა წინაქრისტიანულ დრო-

[1] „Das Christentum ist von seinem Stifter wie von den Aposteln **mündlich** verkündet worden; gegen die Macht der heidnischen Welt hatte es keine andere Waffe als das gesprochene Wort“ (M. **Weller**, Das Buch der Redekunst, გვ. 140—141.).

ში დამოწმებულია როგორც წერილობითი, ისე ზეპირი ცნობებითა, ამასთან, არა მარტო ქართული, არამედ უცხო საისტორიო წყაროებითაც. ამ მასალის შესწავლის საფუძველზე მკვლევარი თ. ო ჩ ი ა უ რ ი მიდის შემდეგ დაკვირვებამდე: „როგორც ხალხში დამოწმებულ, ისე ლიტერატურულ წყაროებში დაცულ ტერმინ ქადაგებისხვის მაგივრად ძოლაპარაკე, ხალხისთვის რაიმე ამბის მაუწყებელი პირი იგულისხმება“[1].

ამგვარად ჩვენ წინაშეა მეცნიერულად შესწავლილი უამრავი წერილობითი და ზეპირი მასალა, რომლის მიხედვით დასტურდება, რომ ძველ საქართველოში ადგილი ჰქონდა გაელენიან წარმართულ მქადაგებლობას, რაც მემკვიდრეობით მიუღია ქრისტიანობას და ძველი ორატორული ფორმა ახალი რელიგიური იდეების გასავრცელებლად გამოუყენებია. კიდევ მეტი: წარმართული ქადაგების წესი გადმონაშთის სახით შემოკრილა ხალხის ყოფა-ცხოვრებაში და საუკუნეთა მანძილზე დამკვიდრებულა, როგორც ორატორული გამოთქმის თავისებური ფორმა. ასეთ ფორმას წარმოადგენს საქართველოს თითქმის ყველა მხარეში და განსაკუთრებით მთის კუთხეებში გავრცელებული „ქადაგად დაცემა“, რაც არსებითად, ისტორიული ცვალებადობის გზით, ხალხურ მშეერმეტყველებად ქცეული წარმართული მქადაგებლობაა.

ხალხური მშეერმეტყველების ეს თავისებური ფორმა დამოწმებულია ვახუშტი ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი ს მიერ. ფშაველთა ეთნიკური ხასიათის შესახებ მეცნიერი წერს: „და არიან ესენი სარწმუნოებითა და ენითა ქართულითა, გარნა აქუსთ სჩუეება ქადაგსა ზედა, რომელი წარმოდგების კაცი უცები და ვითარცა ხელქმნილი, და ღაღადებს მრავალსა მაგიერად წმიდის გიორგისა, და რასა იგი იტყუის, სთნავთ და ჯერ-იჩენენ უმეტეს ჰეშმარიტებისასა[2]“.

იმავე კუთხის ქადაგის სურათს გვიხატავს ვაჟა-ფშაველა „ბახტრიონში“[3].

ვაჟა თავის ეთნოგრაფიულ წერილებშიც აგვიწერს ქადაგად დაცემის ჩვეულებას და ერთგან განმარტებების დართვით გადმოგვცემს წარმართული ხატის მკითხავის ნათქვამს[4].

ამ ხალხური საჯარო მეტყველების სათავე და ადრინდელი სახე შორეულ წარსულშია საძიებელი. როგორც ითქვა, საამისო საისტორიო წყაროებიც მოგვეპოვება.

---

[1] თ. ო ჩ ი ა უ რ ი, ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან, გვ. 4.

[2] გ ა ხ უ შ ტ ი, საქართველოს გეოგრაფია, გვ. 92.

[3] გ ა ჟ ა - ფ შ ა ვ ე ლ ა, თხზულებანი, III, ტფილისი, 1930, გვ. 178—179.

[4] მისივე, ფშაველები, გვ. 54.

უადრესი ცნობა, რომელიც სამქადაგებლო ზეპირი მეტყველების ფაქტს ადასტურებს. ქართველი მოდგმის ხალხით დასახლებულ იბერიის მოსაზღვრე ალბანეთში, ეკუთვნის I საუკუნის ბერძენ გეოგრაფს სტრაბონს. თავისი „გეოგრაფიის“ XI წიგნში ალბანელთა წარმართული რწმენის თაობაზე სტრაბონი წერს: „ღმერთებად აღიარებენ მზეს, ზევსსა და მთვარეს, გამორჩევით — მთვარეს, მისი სალოცავი არის იბერიის მახლობლად. ქურუმობს კაცი უწარჩინებულესი მეფის შემდეგ, ის განაგებს ტაძრის მიწას, რომელიც დიდია და კარგად დასახლებული, და [ეს პირი განაგებს] მიწასაც და ტაძრის მონებსაც, რომელთაგან მრავალნი, შთაგონებულნი, წინასწარმეტყველებენ ხოლმე“[1].

ეს „შთაგონებულნი“, რომლებიც „წინასწარმეტყველებენ“ „ტაძრის მონების“ წინაშე, რელიგიური მსოფლმხედველობის მქადაგებლებია. ისინი წარმართული ხატის ირგვლივ გაერთიანებული სასულიერო დასის წევრებია, რომელთა გავლენიანი ცოცხალი სიტყვა თავის დროზე უზენაესი განგების გამოცხადებად ითვლებოდა.

შემდეგი დროის უცხო მასალა, რომელიც საჯარო სიტყვის საისტორიო ცნობებს შეიცავს, ეხება უკვე ქრისტიანულ მქადაგებლობას. ასეთი ცნობები დაცულია, მაგალითად, ბიზანტიელი მწერლების თეოდოსი განგრელისა (VII საუკუნე) და ეპიფანე კონსტანტინეპოლელის (VIII საუკუნე) შრომებში. პირველი მოგვითხრობს ვინმე სტეფანეზე, რომელიც „უშიშრად ქადაგებდა როგორც ჭეშმარიტების, ისე შემოტანილი ახალი მიმართულების შესახებ“[2] ლაზიკაში, ხოლო მეორე გვიხატავს ფართოდ გაშლილ სამქადაგებლო მუშაობას იბერიასა და მის მოსაზღვრე მხარეებში. აქ ნათქვამია: „პენტეკოსტის (ე. ი. სულიწმიდის მოფენის) შემდეგ ანდრია, სიმონ კანანელი, მათე და თადეოზი დარჩნენ იქ ავგაროსთან; დანარჩენებმა კი მოიარეს ქალაქები, იქადაგეს და სასწაულები მოახდინეს და ჩავიდნენ იბერიაში და ფაზისში, ხოლო რამდენიმე დღის შემდეგ სუსანიაში... მათე მოწაფეებითურთ დარჩა იმ ქვეყანაში, ქადაგებდა და სასწაულებს ახდენდა, ხოლო სიმონი და ანდრია წავიდნენ ალანიაში და ქალაქ ფუსტაში, იმათ მრავალი სასწაული მოახდინეს იქ, მრავალნი დამოძღვრეს და წავიდნენ აბაზგიაში“[3].

---

[1] სტრაბონი, გეოგრაფია, გვ. 134.

[2] გეორგიკა, IV, I, გვ. 46.

[3] იქვე, გვ. 58.

მსოფლიო ქრისტიანული მქადაგებლობის სფეროში შეინიშნება ხუთი ძირითადი ქვედარგი: 1. სამოძღვრო—კვირა-უქმე დღეებში წარმოსათქმელი, ეგზეგეტიკური ხასიათის ჰომილიები, რომლებშიც განმარტებულია საღმრთო წერილის ტექსტები; 2. საღმზრდელო—ღვთისმსახურების დამთავრებისას წარმოსათქმელი, მორალისტური ხასიათის ჰომილიები, რომლებშიც რელიგიური ზნეობის ნორმებია წარმოდგენილი; 3. სახოტბო—მოწამეთა და წმიდანთა სახელობის დღეებში წარმოსათქმელი, აგიოგრაფიული ხასიათის ჰომილიები, რომლებშიც პანეგირიკული შესხმაა გამოხატული; 4. საზეიმო—საუფლო-საღვთისმშობლო და წმიდანთა უქმეებზე წარმოსათქმელი, დოგმატიკური ხასიათის ჰომილიები, რომლებშიც სარწმუნოების არსებითი მხარეები და დოგმებია გადმოცემული; 5. საგოდებელი—დაკრძალვის წინ წარმოსათქმელი, ბიოგრაფიული ხასიათის ჰომილიები, რომლებშიც მიცვალებულის ცხოვრება და ღვაწლმოსილებაა მოთხრობილი[1].

უნდა აღინიშნოს, რომ, თავის მხრივ, სამოძღვრო მქადაგებლობის დარგში გვხვდება სამი ეგზეგეტიკური სახე: 1. ტექსტის გადმოცემა—საღმრთო წერილის შინაარსის მოთხრობა; 2. ტექსტის განმარტება—საღმრთო წერილის შინაარსის კომენტირება; 3. ტექსტის გადმოთარგმნა—საღმრთო წერილის შინაარსის გადმოღება უცხო ენიდან დედაენაზე[2].

მსოფლიო მეცნიერმეტყველების ისტორიაში ამ ორატორულ დარგებს მესვეურობდა ბევრი სახელოვანი მქადაგებელი. მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია: IV საუკუნის ბერძენი საეკლესიო მოღვაწეები—ბასილ კესარიელი (330—379), გრიგოლ ნაზიანზელი (329—390), გრიგოლ ნოსელი (331—394) და იოანე ოქროპირი (344—407); V საუკუნის ბერძენი ფილოსოფოსი ავრელიუს ავგუსტინე (354—430); VIII საუკუნის ბიზანტიელი ფილოსოფოსი იოანე დამასკელი (დაახ. 673—777); XV საუკუნის იტალიელი მოაზროვნე იერონიმ სავონაროლა (1452—1498); XVII საუკუნის გერმანელი თეოლოგი მარტინ ლუთერი (1483—1546); იმავე საუკუნის ფრანგი მეცნიერი ჟაკ-ბენინ ბოსუე (1627—1704); XVIII საუკუნის რუსი მწერალი თეოფანე პროკოპოვიჩი (1681—1736); XIX საუკუნის ქართველი სასულიერო მოღვაწე გაბრიელ ჭიქოძე (1835—1896).

ეს მქადაგებლები ბრწყინვალე ორატორული ძეგლებით ამშვენებენ მსოფლიო ჰომილეტიკის მრავალსაუკუნოვან ისტორიას.

---

[1] იხ. კ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, I, გვ. 524.

[2] იქვე, გვ. 429.

ქართული ორატორული ხელოვნების უძველესი და უმდიდრესი დარგი სამქადაგებლო მშეერმეტყველებაა. ის ჩვენი კლასიკური ზეპირი მეტყველების ორგანული შემადგენელი და განუყრელი სფეროა; იგი გამოირჩევა თავისი სილრმით, სისრულითა და სინატიფით.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ქართული სამქადაგებლო მშეერმეტყველების დაუშრეტელი სიმდიდრე – ის ჩვენი ეროვნული ცოცხალი მეტყველების ამოუწურავ ზღვას წარმოადგენს. მისი უამრავი ორიგინალური და ნათარგმნი ორატორული მასალა განფენილია ქართული კლასიკური მშეერმეტყველების ისტორიის მთელ სიგრძეზე და უტყუარი მოწმეა ჩვენი ენის ლექსიკური სიუხვისა, გრამატიკული სისრულისა და სახვითი ძლიერებისა.

ხსენებული მასალიდან ჩვენთვის, ცხადია, ორიგინალური მქადაგებლობაა უპირატესი მნიშვნელობისა, მაგრამ, უნდა აღინიშნოს, რომ ქართული მშეერმეტყველების ისტორია გვერდს ვერ აუქცევს დიდი ხელოვნებით ნათარგმნ უმდიდრეს ჰომილეტიკურ შემოქმედებას, რომელიც სამართლიანად მიჩნეულია ჩვენი ეროვნული მხატვრული სიტყვის კუთვნილებად.

ქვემოთ ლაპარაკია ნათარგმნი ჰომილეტიკური საუნჯის შესახებ.

ორიგინალური ჰომილეტიკის შექმნამდე, და მის შემდეგაც დროდადრო, ქართული ეკლესია იყენებდა უცხო ენებიდან, უმთავრესად ბერძნულიდან, გადმოთარგმნილ ჰომილიებს. ისინი ქრისტიანობის გავრცელების პირველ ხანებშივე შეუთავსდნენ ქართულ ლიტურგიკას და დიდხანს წარმოადგენდნენ ჩვენში ღვთისმსახურების განუშორებელ ელემენტებს.

კორნელი კეკელიძე წერს: „იმ ნაშრომთა მიხედვით, რომელნიც ჩვენამდე შენახულა და ჩვენთვის ხელმისაწვდომია ამჟამად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ თითქმის ყველა ცნობილი მქადაგებელი, მთლიანად თუ არა, შერჩევით მაინც, ითარგმნა ქართულად პირველ პერიოდში“[1].

განსაკუთრებული სისრულითა და ხელოვნებით ქართულ ენაზე თარგმნილია ეფრემ ასურის, ბასილ კესარიელის, გრიგოლ ნაზიანზელის, გრიგოლ ნოსელის, იოანე ოქროპირის, იოანე დამასკელისა და სხვათა სამქადაგებლო მემკვიდრეობა.

ჩვენი მწერლობის ისტორიის პირველ პერიოდში, დაახლოებით მეათე საუკუნემდე, როცა ჰომილეტიკური ძეგლები უბრალო ენით და შეუფერავად ითარგმნებოდა, უამრავ მთარგმნელს უმუშაენია ამ სფეროში, მაგრამ მათი სახელები ჩვენთვის უცნობია. მეორე პერიოდში, დაახლოებით მეთერთმეტე საუკუნიდან, როცა საჭიროდ

[1] იხ. კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, I, გვ. 525.

დაუნახავთ კაზმულად გადმოღება და შექმნილა მეტაფრასული ჰომილეტიკა, ამ სფეროში უმუშავნიათ დავით ტბელს, ექვთიმე ათონელს, გიორგი მთაწმიდელს, თეოფილე ხუცესმონაზონს, ეფრემ მცირესა და სხვ. მათ მიერ თარგმნილი ჰომილეტიკური მემკვიდრეობა ჩვენი სასულიერო კულტურის დიდი მონაპოვარი და სასიქადულო საუნჯეა; ის ორგანული კუთვნილებაა ქართული სიტყვაკაზმული მწერლობისა და ორატორული ხელოვნებისა.

ამ მოსაზრების დასამოწმებლად საკმარისია დავასახელოთ ქართულ ენაზე დიდი ოსტატობით გადმოღებული შემდეგი ორატორული ძეგლები: გრიგოლ ნაზიანზელის „შესხმანი“, რომელთა თარგმანი ეკუთვნის დავით ტბელს[1]. იმავე ავტორის სადღესასწაულო ჰომილიები, გრიგოლ ნოსელის სახოტბო ძეგლები და იოანე დამასკელის სადღესასწაულო სიტყვა, რომელთა თარგმანი ეკუთვნის ექვთიმე ათონელს[2]; თეოდორე სტოდიელის სამოძღვრო ქადაგებანი, რომელთა თარგმანი ეკუთვნის გიორგი მთაწმიდელს[3]; ეპიფანე კვიპრელის სადღესასწაულო სიტყვა, ანასტასი სინელის სამოღვრო ჰომილია და იოანე ოქროპირის სამოძღვრო ქადაგებანი, რომელთა თარგმანი ეკუთვნის თეოფილე ხუცესმონაზონს[4]; გრიგოლ ნაზიანზელის „შესხმანი“, იოანე ოქროპირის სახოტბო სიტყვები და იოანე დამასკელის სამოძღვრო ჰომილიები, რომელთა თარგმანი ეკუთვნის ეფრემ მცირეს[5].

ეს მსოფლიო მნიშვნელობის ორატორული შემოქმედება ღირსეული სახით შედის ქართული კლასიკური მჟევრმეტყველების დიად სალაროში.

ქართულ ენაზე გადმოღებული ჰომილიების ღირსების საჩვენებლად ორიოდე სანიმუშო ადგილს ამოვკრებთ მოგვიახო პერიოდის ანონიმური თარგმანებიდან.

აი, ერთი ასეთი ადგილი იოანე ოქროპირის სადღესასწაულო ქადაგებიდან „მოთმინებისათჳს“:

„აწ უკუე შეირტყ ნაცვალად მახჳლისა შიში უფლისაჲ, რამეთუ შიში ღმრთისაჲ ვითარცა მახჳლი ორპირი განმკუეთელ არს ყოველსა გულის-თქუმასა ბოროტსა. მოიგე უკუე მარადის შიში უფლისაჲ და მოიკსენე შიში სიკუდილისაჲ და დღე იგი საშინელი, ოდეს-იგი აღეგზნენ ცანი და დაიწუნენ სამყარონი, დადნენ და

[1] ხელნაწერი *A*—1, 16, 87; *S*—383, 1696; *H*—351.

[2] ხელნაწეოი *A*—1, 16, 50, 55, 108; *S*—383, 1696, 3648.

[3] გელათის ხელნაწერი № 8.

[4] ხელნაწერი *A*—5; გელათის ხელნაწერი № 5, 8.

[5] ხელნაწერი *A*—129, 162, 292; *S*—384; გელათის ხელნაწერი № 5, 8.

დაიკსნენ, და ქუეყანაჲ და საქმენი მისნი დაიწუნენ. რატომს დამოცკვენ ვარსკულავნი, ვითარცა ფურცელნი, მზე და მთოვარე დაბნელდენ... ,და იყუნენ გარემოჲს მისა სასტიკებაჲ ქართაჲ და ძრვანი საშინელნი, და ქუხილნი საზარელნი, და მეხის-ტეხანი შესაძრწუნებელნი, რომელ ეგევითარი არაოდეს ყოფილ არს და არცა ყოფად არს ვიდრე მუნ ჟამამდე, რამეთუ ძალნი ცათანი შიშითა ძრწოდიან ზარისა მისგან საშინელისა, რომელი იყოს მას დღესა შინა"[1].

აი, ერთი სანიმუშო ადგილი ბასილ კესარიელის სააღმზრდელო ქადაგებიდან „სინანულისათჳს და სიკუდილისა":

„გუეშინოდენ გულის-სიტყუათაგან ბოროტთა, რამეთუ მათ მიერ იქმნებიან საქმენი უკეთურებისანი. ღმერთსა მოუცემია ჩუენდა საბძოლად, განსარომელ:დ ყოელისაგან ბოროტისა, თითოეულად წინა-აღსადგომელი: წინა-აღსადგომელად ბნელისა — ნათელი, და სიმწარისა — სიტკბოებაჲ, და ძილისა წინა-აღსადგომელად — მღჳძარებაჲ, და შიბშილისა — განძღომაჲ; და ყოველსა მოსცა წინააღსადგომელი. და კაცსა მოსცა აღრჩევაჲ უშჯობესისა სარგებელისაჲ საენებელთა ნაცვალად, და განსუენებაჲ — ნაცვალად შრომათა, და ყოველსა ჟამსა საჭმარი თჳსი, და ყოველსა ტკივილსა — წამალი"[2].

როგორც ზემოთ აღინიშნა, ქართული ორიგინალური ჰომილეტიკა წარმოიშვა მოგვიანებით, როცა ნათარგმნი მქადაგებლობის საფუძველზე შესაძლებელი გახდა ეროვნული საეკლესიო მჭევრმეტყველება წარმოქმნილიყო. პირველ ხანებში არა მარტო არ იყო საამისოდ მომზადებული ნიადაგი, არამედ, ალბათ, საჭიროებაც არ იგრძნობოდა უცხო ავტორიტეტული წყაროები საკუთარი „საეკვო" მასალით შეცვლილიყო. გარდა ამისა მხედველობაში მისაღებია მეექვსე მსოფლიო კრების მე-19 კანონი, რომლის მიხედვით მრევლის წინამძღვრებს ევალებოდათ არა თავიანთი, არამედ ეკლესიის მნათობთა ჰომილიების წარმოთქმა კვირა-უქმე დღეებსა და რელიგიურ დღესასწაულებზე[3].

მიუხედავად ამისა ქართული ჰომილეტიკა შედარებით ადრე ჩაისახა და მოკლე დროში მძლავრად განვითარდა.

თავისი პირდაპირი, ისტორიული დანიშნულებით ჩვენი მქადაგებლობა, მსგავსად მსოფლიო სასულიერო მჭევრმეტყველებისა,

---

[1] მამათა სწავლანი, გვ. 13—14.

[2] იქვე, გვ. 144.

[3] იხ. ქ. ქ ე ქ ე ლ ი ძ ე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, I, გვ. 529; Н. К а т а е в, Очерк истории русской церковной проповеди, გვ. 3—6.

ქრისტიანული რელიგიის მსახურს წარმოადგენდა და სქოლასტიკური მსოფლმხედველობის გამავრცელებელი იყო. ცხადია, ისიც მისტიკურ-ასკეტიკური მოძღვრების იდეურ სიყალბეს ეყრდნობოდა და იდეალისტური აზროვნების ანტიმეცნიერული წყაროთი საზრდოობდა. თავისი შემოქმედებითი არსებით ის მეტაფიზიკური ცრურწმენისა და დოგმატიკური გაგების საფუძველზე იდგა, მცდარი მორალისტური წანამძღვრებიდან გამოდიოდა და ბიბლიურ-ზღაპრული გადმოცემების სამყაროში ტრიალებდა.

ამრიგად, საერთოდ მთელი საეკლესიო მქადაგებლობა და, კერძოდ, ქართული ჰომილეტიკა საკუთარი არსებითი შინაარსის იდეური მოტივებითა და დედააზრით ყალბი მსოფლგაგება და მიუღებელი იდეოლოგიური სფეროა.

მიუხედავად ასეთი უმართებულო ამოსავალი საყრდენისა, ზოგჯერ, მოცემული პირობების, ადგილისა და დროის კონკრეტული გათვალისწინებით, ქრისტიანული მქადაგებლობა ახერხებდა სოციალური საჭიროების დონემდე ამაღლებას და ყოველდღიური პრაქტიკული მოვლენებისათვის ზრუნვას. ქრისტიანული მქადაგებლობა, ცხადია, ასეთ ვითარებაშიც ძალზე შებოჭილი სამოქალაქო პროგრამით მოქმედებდა, მაგრამ მაინც მნიშვნელოვნად სასარგებლო საზოგადოებრივ საქმეს აკეთებდა. ეს ითქმის, კერძოდ, ქართული სასულიერო მწევრმეტყველების თავისებური ბუნების შესახებ, რომლის იდეურ მსაზღვრელს ხშირად ქვეყნის ისტორიული სვე-ბედი წარმოადგენდა. ამის უდავო მაჩვენებელია სულხან ორბელიანის, ამბროსი ნეკრესელის, ანტონ ჭყონდიდელის, იონა ხელაშვილისა და გაბრიელ ქიქოძის მქადაგებლობა. მათ შემოქმედებაში პირდაპირ თუ ნართაულად, აშკარად თუ შეფარვით ბევრგან დახატულია არსებული უკუღმართობისა და შესაძლებელი კეთილდღეობის სურათები, ისინი ილაშქრებენ უამრავი სოციალური მანკიერების წინააღმდეგ და თავგამოდებით იბრძვიან ქვეყნის უკეთესი მომავლისათვის.

ამაში გამოიხატება ქართველ მქადაგებელთა დიდი უმრავლესობის პროგრესული როლი და ისტორიული დამსახურება.

ჩვენი ორიგინალური მქადაგებლობის ჩანასახს ვპოულობთ VI საუკუნის უცნობი მწერლის აგიოგრაფიულ ნაწარმოებში „მარტჳლობაჲ და მოთმინებაჲ წმიდისა ევსტათი მცხეთელისაჲ“.

ამ თხზულებაში მოთავსებულია სამოძღვრო დარგის ერთი ეგზეგეტიკური ქმნილება, რომლის შინაარსი ბიბლიური მასალის თავისებურ თხრობასა და ინტერპრეტაციას წარმოადგენს. აქ ერთ-ერთი

პერსონაჟი არქიდიაკონი სამოელი მოუთხრობს და უხსნის ევსტათის ძველი და ახალი აღთქმის შინაარსს.

თხრობა იწყება შემდეგნაირად:

„კაცი ერთი იყო უბიწოჲ და ღმთის-მოყუარე სოფელსა სპარსთასა და ქალაქსა ბაბილონელთასა, და სახელი ერქუა მას აბრაჰამ. და ეჩუენა მას ღმერთი ჩუენებასა ღამისასა და ჰრქუა აბრაჰამს:— „გამოვედ შენ მაგიერ ქუეყანით და წარგიყვანო შენ სხუად ქუეყნად და განგამრაველო შენ და აღგაორძინო შენ დიდად ფრიად და გყო შენ მამად ნათესავთა მრავალთა და ერთა ურიცხუთაჲ. ხოლო აბრაჰამს ჰრწმენა სიტყუაჲ იგი ღმრთისაჲ და თქუა აბრაჰამ: „იყავნ, უფალო, ჩემ ზედა სიტყუაჲ იგე შენი!“ და გამოვიდა აბრაჰამ ქუეყანისა მისგან ქალდეველთაჲსა და მოვიდა ქუეყანად შუამდინარედ ქალაქად ქარანად მახლობელად ევფრატსა. მოვიდა იგი წინამძღურებითა ანგელოზისაჲთა და დაეწჱნა იგი ქარანს შინა, და მერმე ცვალა იგი მუნით და მოიყვანა იგი ქუეყანად ქანანისად და დაეშჱნა იგი ქებრონს შინა“[1].

შემდეგ ლაპარაკია აბრამჰამის შთაზომაელობის გამრაველებასა და ისრაელთა გაძლიერებაზე. მთხრობელი გადმოსცემს მოსეს რჯულის შინაარსს, ჩამოთვლის და განმარტავს რელიგიურ მცნებებს, ასურათებს რწმენის ძლევაწოსილებას და გვიჩვენებს ბრძოლებში გამარჯვებულ ებრაელთა ხალხს.

სამოელი გადადის დავითის მეფობაზე, ეხება მისი ძის სოლომონის ღმრთისაგან განდგომას, გმობს ისრაელთა ცდუნებას, კერპად, კერპთმსახურებას და ადიდებს წინასწარმეტყველებს, რომლებიც წინ აღუდგნენ მეფის ურჯულოებას.

იგი განაგრძობს:

„ხოლო ღმერთი ტკბილ არს და კაცთ-მოყუარე, არა უნდა წარწყმედაჲ ისრაჱლისაჲ და უნდა მოქცევაჲ მათი. მოავლინა ღმერთმან ძჱ თჳსი ქრისტე სოფლად და შეეიდა მუცელსა წმიდისა ქალწულისასა და ჴორცნი შეისხნა და განკაცნა წმიდისა მარიამისაგან, და საშოჲსაგან წმიდისა გამოვიდა და ღმრთეებაჲ ჴორცითა გადაიფარა... და განკაცებასა მისსა ნათელ-იღო იორდანესა მდინარესა ჴელითა იოვანჱსითა. და ვითარ აღმოვიდოდა მიერ წყლით, აჰა ცანი განეხუნეს და სული წმიდაჲ, ვითარცა ტრედი, გარდამოჴდა სპეტაკი და დაადგრა მას ზედა და ჴმაჲ იყო ზეცით-გარდამო და თქუა: „ესე არს ძჱ ჩემი საყუარელი, რომელი მე სათნო ვიყავ, მაგისი ისმინეთ და სცხოვნდეთ“[2].

[1] ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია I, გვ. 49.

[2] იქვე, გვ. 50.

ამის შემდეგ სამოელი შემოკლებით მოუთხრობს ევსტათის ახალი აღთქმის შინაარსს — ქრისტეს ცხოვრებასა და მოღვაწეობას. აქ ლაპარაკია მაცხოვრის ბიოგრაფიულ ცნობებზე, მიმდევრებსა და მოწაფეებზე; დიდი ადგილი ეთმობა სასწაულების აღწერას. ბევრი მათგანი სადად კაზმული და მშვენრად გამართული ფორმითაა გადმოცემული.

დასასრულ, მოთხრობილია ქრისტეს შეპყრობის, წამებისა და ჯვარცმის ამბები, აღწერილია მისი დატირება, დაკრძალვა და მკვდრეთით აღდგომა. აქვე ლაპარაკია მოწაფეთა მქადაგებლობასა და ქრისტიანული მოძღვრების ძლევამოსილ გავრცელებაზე.

მეტყველება მთავრდება გამარჯვებული სარწმუნოების ზეიმის სურათით: „და ესრეთ განმრავლდა და განეფინა ქრისტეანობაჲ და განივრცნა კიდით კუეყანისაჲთ ვიდრე კიდემდე კუეყანისა. და ებისკოპოსნი და მღვდელნი განაჩინნეს და ეკლესიანი აღაშჱნეს, და მას შინა ჯუარი აღემართა, და ყოველსა სოფელსა ჰრწმენა ქრისტჱ და აღივსო ყოველი სოფელი ქრისტეანებითა და ყოველსა სოფელსა ოქადაგა ქრისტჱ... ხოლო აწ ქრისტეანეთა უწოდა ისრაჱლ, რამეთუ ისრაჱლი ითარგმანების „ერ ღმრთისა და მონა ქრისტჱსა“, რომლისაჲ არს დიდებაჲ უკუნითი უკუნისამდე, ამჱნ“[1].

ასეთია VI საუკუნის აგიოგრაფიული თხზულების ტექსტში მოთავსებული ეს ჰომილეტიკური ქმნილება.

ეჭვს გარეშეა, რომ ევსტათი მცხეთელის მარტვილობის ავტორი კარგად იცნობს ეკლესიის მამების მქადაგებლობას. მათი სამოძღვრო ჰომილიების კვალობაზე აგებული სიტყვა ჩვენი სასულიერო მშვენრმეტყველების უადრეს ორიგინალურ ქმნილებად უნდა მივიჩნიოთ დღემდე აღმოჩენილ საეკლესიო ორატორულ ძეგლთა შორის.

ქრონოლოგიურად შემდეგი ორიგინალური ჰომილეტიკური ნაწარმოები დაცულია VIII საუკუნის მწერლის იოანე საბანისძის აგიოგრაფიულ ძეგლში „წამებაჲ წმიდისა და ნეტარისა მოწამისა ქრისტჱსისა ჰაბოჲსი“, რომლის მეოთხე თავი „ქებაჲ წმიდისა მოწამისა ჰაბოჲსი“ სახოტბო მქადაგებლობის ბრწყინვალე ნიმუშია.

წინამდებარე ნაშრომში ის თავის ადგილას ცალკეა განხილული.

VIII—X საუკუნეები, არაბთა ბატონობის ხანა, ჩვენში ცნობილია ეროვნული თვითშეგნების მძლავრი აღმავლობით, რაც უმთავრესად კლასიკური სამწერლო ენის დანერგვა-დამკვიდრებასა და მდიდარი სასულიერო მწერლობის წარმოქმნა-გავრცელებაში გამოი-

[1] ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I, გვ. 52.

ხატა. ამავე პერიოდში განთავისუფლდა ქართული ეკლესია აღმოსავლური და დასავლური ტრადიციების უშუალო გავლენისაგან და შემუშავდა ეროვნული ღვთისმსახურება, რასაც დიდი მნიშვნელობა გააჩნდა ჩვენი კულტურის შემდგომი აყვავებისათვის; „შემკული და კურთხეული“ ქართული ენა გამოცხადდა „ყოველი საიდუმლოს“ შემცველად, ბერძნულის თანატოლ საქრისტიანო ენად და აღიარებული იქნა საქართველოს ნაციონალური ერთიანობის ბურჯად.

ასეთ ვითარებაში ჩვენი ლიტურგიკის შემადგენელი მჭადაგებლობა. ცხადია, ორიგინალური შემოქმედების გზას უნდა გაჰყოლოდა და საკუთარი სახით განვითარებულიყო, რაც მომხდარა კიდეც ხსენებულ ეპოქაში, როგორც ამას ჩვენამდე მოღწეული ფაქტები ადასტურებენ.

ერთი მეტად საყურადღებო მოვლენა, რასაც ამ დროს ჰქონდა ადგილი, ქართველთა საკუთარი განმანათლებლის ნინოს პიროვნების წამოყენება და მის ირგვლივ ღვთიური შარავანდედის შექმნა იყო. ამ მოვლენას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ჩვენი ეროვნული სამჭადაგებლო ხელოვნების ნათელსაყოფად. საქმე ის არის, რომ ნინოს სახელს უკავშირდება ბევრი ქართული ჰომილეტიკური ძეგლი, რომელთა საერთო ნიშანი დამოუკიდებელი წარმოშობაა. ეს ჰომილიები ან ნინოს მიეკუთვნება, ან მისი სამოღვაწეო წრიდან მომდინარეობს. ასე, მაგალითად, ჩვენამდე მოღწეულია შობისა და ნათლისღების ორი ქადაგება, რომლებიც ნინოს მიეწერება. კორნელი კეკელიძის ვარაუდით ისინი VIII საუკუნეზე ადრინდელი არ უნდა იყვნენ, მაგრამ მათი ორიგინალური წარმოშობა შეცნიერს დასაშვებად მიაჩნია[1].

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ ლეონტი მროველის საისტორიო თხზულება — ნინოს მიერ ქართლის მოქცევა — შეიცავს მრავალ ორატორულ სიტყვასა თუ სიტყვის ფრაგმენტს, რომლებსაც თვითონ განმანათლებელი, ან მასთან დაახლოებული პირები წარმოთქვამენ. აქ გარდა ნინოს მჭადაგებლობისა გვხვდება ოთხი სიტყვა, მათ შორის ორი, „თქმული აბიათარ მღდელისა, რომელი დაემოწაფა წმიდასა და ნეტარსა ნინოს“, და ორიც, „თქმული სიდონია დედაკაცისა, რომელი იყო მოწაფე ნინოსი“,

ეს სიტყვები ქართული ჰომილეტიკური ხელოვნების საყურადღებო ძეგლებია.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია აბიათარის მეორე სიტყვა „კუართისათჳს უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესისა“[2], რომელიც

[1] კ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, I, გვ. 529.

[2] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 97—108.

თავისი სახით სამოძღვრო დარგის მქადაგებლობას უახლოვდება. აქ ერთმანეთთან შეთავსებულია ახალი აღთქმის ლეგენდები, ისტორიული მოვლენები და ხალხური გადმოცემანი. ძეგლში შეტანილია ქართული ისტორიული და გეოგრაფიული რეალიები, ის გადმოგვცემს ბიბლიურ მოტივებს, ქრისტეს მოვლინებისა და ჯვარცმის ამბებს, მისი კვართის თავგადასავალს და წინასწარმეტყველთა აზრებს. აბიათარი გვიხატავს ნინოს მიერ ქრისტეს კვართის ძიებას, მცხეთის მიდამოებში გაჩაღებულ მქადაგებლობას, ვაზის ჯვრის სასწაულებსა და მირიანის მეფობას. ორატორის თქმით, ნიხომ „გამოაჩინა ჯუარი იგი ნასხლევისა, და მით იქმოდა საკჳრველებათა დიდთა. რამეთუ განრღუეულნი განკურნის თჳნიერ წამლისა, შეხებითა ჯუარისათა. და მის თახა ქადაგებდეს მოწაფენი მისნი, როძელნი პირველ ფარულად დაემოწაფნეს, ბჳდხი დედანი, ნათესავნი ჰურიათანი: სიდონია, ასული აბიათარისი, და ექუსნი სხუანი; და სამოთხისა მცველნი იგი ცოლ-ქმარნი, და აბიათარ მღდელი, ახალი იგი პავლე, რომელი უშიშად და დაუცხრომელად ქადაგებდა სჯულსა ქრისტჱსა, რომელი ფრიად ძეცნიერ იყო ძუელისა სჯულისა, და ახალი ესე სჯული ესწავა წმიდისა ნინოსაგან და უმეტეს ხინოსსა ამხილებდა ყოველსა კაცსა სჯულსა ჳ̈შმარიტსა“[1].

შემდეგ ვრცლად არის ლაპარაკი ნინოს მიერ შესრულებულ სასწაულებზე, ნანა დედოფლის განკურნებასა და მირიან ბეფის წარმართული სულისკვეთების შეცვლაზე. აქ ერთმანეთის პირისპირ დგანან წარმართობა და ქრისტიანობა. პიოველის ბერყევ დამცველად გვევლინება მირიახი, მეორის ბტკიცე ძაადაგებლად—ნინოს მიმართავს მეფეს:

„შენ, მეფე, სახელითა ქრისტესითა და ვედრებითა დედისა მისისათა და მისთანა ყოველთა წმიდათათა, მოავლინენ შენ ზედა ღმერთმან, ცისა და ქუეყანისა შემოქმედმან, დამბადებელმან ყოველისა დაბადებულისამან, დიდისა და დიდებულისა მისისა და აურაცხელისა მრავალმოწყალებისაგან მოავლინეე შენ ზედა, ვითარცა საჭმილისაგან ნაბერწყალი ერთი მაღლისა მისისა, რათა სცნა და გულ.სხა-ჰყო სიმაღლე ცისა და ნათელი ბზისა, სიღრმე ზღვისა და სივრცე ქუეყანისა და საფუძველი მისი, და უწყეულ იყო შენ, მეფე, ვინ შემოსჴის ცანი ღრუბლითა და ქუხი ჴიითა ჰაერისათა, და იძრვინ ქუეყანა სიმძლაფრითა მისითა, და რბიან ბეხის-ტეხანი, და კუალსა მისსა ეგზების ცეცხლი გულისწურომითა მისითა[2].

---

[1] ქართლის ცხოვრება, I, გვ 102.

[2] იქვე, გვ. 107.

დასასრულ, აბიათარი მოგვითხრობს ნინოს მიერ მეფის წინაშე სნეული სპარსი მოგვის ხუარას განკურნებაზე, — „მსწრაფლ განვიდა მისგან სული იგი ბოროტი", — ამბობს ის და ქრისტეს საყოველთაო აღიარებით ამთავრებს მეტყველებას, — „და დაემოწაფნეს ნინოს სახლით და ერითურთ მისით, და ადიდებდეს ღმერთსა"[1].

განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს, აგრეთვე, სიდონიას მეორე სიტყვა, „თქმული აღშენებისათჳს ეკლესიისა", რომელშიც ვრცლად მოთხრობილია ნინოს სასწაულთმოქმედებასა და ქრისტიანობის გამარჯვებაზე. აქ ნაწარმოების ენა მაღლდება ცოცხლად გამართულ რიტორიკამდე, რომლის ძალით შექმნილი საზეიმო განწყობილება განფენილია მთელ სიტყვაში.

აი, მაგალითად, მჭევრი შემაღლების ფორმით გამოხატული სურათი: „ვითარცა შუა ღამე ოდენ იქმნა, [წარმოიქცეს ორნივე ესე მთანი, არმაზ და ზადენ, რეცა თუ ჩამოირღუეს და დააყენნეს წყალნი ორთაენი: და მტკუარმან გარდამოხეთქა და წარჰქონდა ქალაქი, და შეიქმნეს ჴმანი საზარელნი ტყეებისა და გოდებისანი; და ეგრეთვე არაგჳ გარდამოჴდა ციხესა ზედა, და იქმნებოდეს საზარელნი გრგჳნვანი"[2].

სიტყვის მეორე ნაწილში პათეტიკური ტონის ელფერით გამოთქმულია ქრისტიანობის გამარჯვება და საყოველთაო ზეიმი ქართლის სამეფოში. აქ ნათქვამია უზენაეს პირთა და ერის ნათლისღებაზე, სასწაულებსა და საეკლესიო მშენებლობაზე.

სიტყვა მთავრდება წმიდა ნინოს საჯარო წარმონათქვამით საკათედრო ტაძრის მშენებელთა წინაშე.

ის ამბობს:

„კურთხეულ არს უფალი ღმერთი იესო ქრისტე და მაცა უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესი, რომელმან მოავლინა სიტყუა მისი წმიდა ზეცითგან მაღალთათ, თჳთ ძლიერისაგან საყდრისა გარდამოსრული ქუეყანად მდაბლად, შობილი უეჯუელად თესლისაგან დავითისა, დედაკაცისაგან მარტოდ შობილისა, წმიდისა და უბიწოსა; რომელი სათნო ეყო მას მიზეზითა, ჴიზეხი ცხოვრებისა ჩუენისა, რომელმან ცასა ქუეშე ყოველივე განანათლა და მორწმუნენი აცხოვნა; რომელი იშვა ვითარცა კაცი, ნათელი ყოველთა, ხატი ღმრთისა მამისა, და ვითარცა მსახურმან ვინმე სჯულისამან ნათელ იღო წყლისაგან და სულისა, ჯუარს ეცვა, დაეფლა და აღდგა მესამესა დღესა, და აღჴდა სიმაღლესა მამისა თანა, და კუალად მოვალს დიდებით;

---

[1] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 108.

[2] იქვე, გვ. 112—113.

რომელსა შუენის ყოველივე დიდება, პატივი და თაყუანისცემა თანა მამით და სულით წმიდით"[1].

X საუკუნის ბოლოსა და XI საუკუნის დამდეგს, პატრონყმური ფეოდალიზმის ხანაში, ქართული ორიგინალური მქადაგებლობა აღწევს თავისი ისტორიული განვითარების მაღალ დონეს, რომლის უდიდესი წარმომადგენელია ჩვენი საეკლესიო მჭევრმეტყველების მნათობი იოანე ბოლნელი. წინამდებარე ნაშრომში მისი შემოქმედება თავის ადგილას ცალკეა განხილული.

ქართული ფეოდალური კულტურის კლასიკურ პერიოდში, იმავე პატრონყმური ფეოდალიზმის ხანაში, უეჭველია, დიდ წარმატებას მიაღწევდა ჩვენი ეროვნული ჰომილეტიკა, მაგრამ, სამწუხაროდ, იმდროინდელ ორიგინალურ სამქადაგებლო ძეგლებს ჩვენამდე არ მოუღწევია. ამ მხრივ ბედნიერ გამონაკლისს წარმოადგენს „ქართლის ცხოვრების" ფურცლებზე დაცული ჰომილეტიკური მემკვიდრეობა, რომლის ორიოდე ნიმუში ჩვენ ზემოთ განვიხილეთ.

სარწმუნო წყაროებით ცნობილია, რომ XI—XII საუკუნეებში სასულიერო მჭევრმეტყველების სფეროში მუშაობდნენ ჩვენი მწერლობისა და მეცნიერების ისეთი კორიფეები, როგორიც იყვნენ: ექვთიმე ათონელი, გიორგი მთაწმინდელი, ლეონტი მროველი, თეოფილე ხუცესმონაზონი, გიორგი მცირე, ეფრემ მცირე, არსენ იყალთოელი, არსენ ბერი, იოანე ჭიმჭიმელი და სხვ. წინამდებარე ნაშრომში ზოგიერთი მათგანის ორატორული დამსახურება თავის ადგილას ცალკეა ნაჩვენები.

აქ უნდა შევჩერდეთ XIII საუკუნის დასაწყისის ერთ მეტად მნიშვნელოვან ეპიგრაფიკულ ძეგლზე, რომელიც ნ. მარმა აღმოაჩინა ქ. ანისის გათხრების დროს 1910 წელს[2]. ის წარმოადგენს ქვაზე აღბეჭდილ მიმართვას, რომელიც ბიბლიური შეთანხმებისა და მორალური ზეგავლენის ტონით წარმოუთქვამს ეპიფანე კათალიკოსს ანისის მართლმადიდებელთა მრევლში ჩამოვარდნილი უთანხმოების მოსაგვარებლად. ხსენებული საუკუნის კათალიკოსთა სიიდან ჩვენთვის ცნობილ ეპიფანეს[3] თავისი მიმართვისათვის ორატორული ფორმა მიუცია და მქადაგებლური მიზანი დაუსახავს. ამის საფუძველს მას აძლევდა მიმართვის თემა — ანისელ ქართველთა სასულიერო და საერო წრეების შუღლი, რომლის მიზეზს საეკლესიო გადასახადი წარმოადგენდა, რაც, ჩანს, მძიმე ტვირთად

[1] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 118—119.

[2] Н. Я. Марр, Надпись Епифания, католикоса Грузии, გვ. 1437—1439.

[3] თ. ჟორდანია, ქრონიკები, I, გვ. 80.

აწვა საერო კოლონიას და მის უკმაყოფილებას იწვევდა სასულიერო ხელისუფლების მიმართ. ასეთ პირობებში შექმნილა ორიეე წრისადმი მიმართული ორატორული ძეგლი, რომლის შემარიგებელი შინაარსი მძლავრი და დახვეწილი რიტორიკული სტილითაა გადმოცემული.

სასულიერო პირებს ასე არიგებს ეპიფანე:

„იტყუს ჭმაჲ სალმრთოჲ: „უსასყიდლოდ მიგიღიეს, უსასყიდლოდ მისცემდით“, ესე იგი არს, გეტყუს ღმერთი უკვდავი: ჩემდა რაჲ მე გიცემიეს მადლისა მისთუს, რომელი ჩემგან მიიღეთ? თქუენცა ჰყიდდით დიდსა მადლსა ჩემგან უსყიდულსა. უკუეთუ მე უსასყიდლოდ მომიცემიეს, არცა თქუენგან ჯერ არს სყიდაჲ ლოცვათა ერისა მიმართ. აწ, სასონო ჩემო ანელნო ხუცესნო, ნუ იქნებით დასაბრკოლებელ სიტყუათ და ნუცა გარდაჴდებით მოციქულთ მცნებასა ცუდისა და წარმავალისათუს“[1].

საერო პირებს ასე ურჩევს ორატორი:

„მკუდრნო ამის ქალაქისანო ქართველნო... მღდელთაგან გიკმს ლოცვაჲ და წირვაჲ. ნუ გეწყინების მათთუს ძალისაებრი მისაცემელი. უფროსად მხიარულებით მისცემდით თუნიერ დაჭირებისა. რამეთუ მხიარულებით მისაცემელი უყუარს ოჯფალსა. და თქუენ გიყუარდენ ვითარცა მამანი სულიერნი და მათ უყუარდით ვითარცა შვილნი სულიერნი. ლოცვასა ნუცა თქუენ დააკლდებით და ნუცა თქუენ. ყოველსა ზედა უფროსად საღმრთოჲ იგი სიყუარული ერთმანერთისაჲ მოიგეთ და ამით მიეცით სასურეო საღმრთოთა მცნებათაჲ“[2].

XIV — XVI საუკუნეები ქართული ჰომილეტიკის დაცემის პერიოდია. ხანგრძლივი დროის მანძილზე, მძიმე პოლიტიკურ ვითარებაში, ჯერ შენელდა და შემდეგ სრულიად შეწყდა მჭევრმეტყველების თითქმის ყველა დარგის, მათ შორის სასულიერო მქადაგებლობის, ისტორიული განვითარება. გამონაკლისს წარმოადგენდა მხოლოდ სადარბაზო და სამხედრო ორატორული შემოქმედების სფეროები, რომლებიც წმინდა პრაქტიკული აუცილებლობის ნიადაგზე კვლავ განაგრძნობდნენ შესამჩნევ განვითარებას.

ქართული ორიგინალური ჰომილეტიკის აყვავების ხანა XVII—XVIII საუკუნეებია.

ბატონყმური ფეოდალიზმის აღმავლობის პერიოდში, — როცა ხანგრძლივი რღვევისა და უწესრიგობის შემდეგ კვლავ მკვეთრად

---

[1] Н. Л. Марр, დასახელებული შრომა, გვ. 1437.

[2] იქვე, გვ. 1438.

გამოიყო სოციალური კლასები და გამწვავდა მათი ურთიერთობა,— საგრძნობლად გამახვილდა ეროვნული გრძნობა, ამაღლდა პატრიოტული სულისკვეთება და გაძლიერდა გაერთიანების ტენდენცია. ურთულეს ისტორიულ ვითარებაში ქვეყნის გადარჩენის მოსაზრებულ ცდებს: მოკავშირეთა ძიებას, თავგანწირულ ბრძოლებს, დიპლომატიურ მიმოსვლებსა და აღებ-მიცემის მოწესრიგებას მოჰყვა გადამწყვეტი მნიშვნელობის დადებითი ფაქტი—საქართველოს რუსეთთან დაახლოება — და ამით გამოწვეული დიდი პოლიტიკური ძვრები და ცვლილებანი.

ამ ეროვნული დანიშნულების ფართო მოძრაობას მეთაურობდნენ ჩვენი მეფეები: ვახტანგ VI (1703 — 1724), სოლომონ I (1752 — 1784) და ერეკლე II (1744—1798). მათ შორის ერეკლემ შეძლო ხალხის ფიზიკური და სულიერი სასიცოცხლო ძალების აღმოჩენა, მათი დარაზმვა და დიდხანს გამარჯვების გზით ტარება, მაგრამ დასასრულ, შეუძლებლად მიიჩნია მუსლიმანური სამყაროთი გარემოცული სამშობლოს დამოუკიდებელი არსებობა და სამუდამო მეგობრობის ხელი გაუწოდა ერთმორწმუნე რუსეთს.

ასეთ სოციალურ-პოლიტიკურ ვითარებაში გაძლიერდა ჩვენი ეკლესია და აღორძინდა ქართული სასულიერო მჭევრმეტყველება.

ამ პერიოდის ორატორულ სიტყვას მესვეურობდნენ ჩვენი გამოჩენილი მქადაგებლები: ნიკოლოზ ჩერქეზიშვილი, იობ პიტარეთელი, გერმანე ხუცესმონაზონი, ბესარიონ ორბელიანი, სულხან-საბა ორბელიანი, ანტონ კათალიკოსი, საბა ნინოწმიდელი, ამბროსი ნეკრესელი, ანტონ ცაგარელ-ჭყონდიდელი, ვარლამ ეპისკოპოსი და სხვ.

მათ შორის შედარებით სრული შემოქმედებითი მემკვიდრეობით ჩვენთვის ცნობილია სულხან ორბელიანი, ამბროსი ნეკრესელი და ანტონ ჭყონდიდელი. წინამდებარე ნაშრომში მათი ორატორული მემკვიდრეობა თავის ადგილას ცალკეა განხილული.

რაც შეეხება სხვა მქადაგებლებს, ისინი ცნობილია მათი ამსახველი საისტორიო წყაროებით, რომელთაგან ძირითადია ანტონ კათალიკოსის „წყობილსიტყვაობა“ და იოანე ბატონიშვილის „კალმასობა“.

ნიკოლოზ ჩერქეზიშვილის შესახებ „წყობილსიტყვაობაში“ ვკითხულობთ:

> „ნიკოლაოსის მესმნეს ქადაგებანი...
> აქებდეს, ჰრაცხდეს მის დროჲსა შინათა,
> ყოველთა თქმულთა უმაღლეს უმჯობესად“[1].

[1] ანტონ კათალიკოსი, წყობილსიტყვაობა, სტრფ. 679.

იოანე ბატონიშვილი წერს: „მამა ნიკოლოზ ჩერქეზიშვილი, რუსთაველ ეპისკოპოსი, კაცი სწავლული საფილოსოფოსთა ხელოვნებასა შინა და საღმრთოთა წერილითა, მქადაგებელი ყოველს გვარზედა და მაღალ მოუბარი"[1].

იობ პიტარეთელს ასე გვიხატავს ანტონი:

„შუშნიერ იყო იობ სიტყუათა შინა,
და სამღდელოთა წერილთა ზედ-მიწევნილ"[2].

იმავე მქადაგებლის შესახებ იოანე ბატონიშვილი წერს: „მამა იობ ფიტარელი იყო საღმრთოთა წერილთა შინა გამოცდილი, რომელ სხვანი მწიგნობართაგანნი ძიელ ესწორებოდნენ. იყო უცხო მქადაგებელი და მესათნოე მსმენელთა"[3].

გერმანე ხუცესმონაზონის შესახებ ანტონ კათალიკოსი ამბობს:

„გერმანე სიტყჳთ იჭების მსიტყუშლთაგან...
კაცი მდიდარი სიტყჳთ და სათნოებით"[4].

იმავე მქადაგებელს ასე ახასიათებს იოანე ბატონიშვილი: „მამა გერმანე ძირით საქართველოსით, მღვდელობასა შინა ჩინებული კეთილისა ყოფაქცევითა, მეცნიერებით სრული და მოქადაგე მაღალი"[5].

ბესარიონ ორბელიანს ასე მიმართავს ანტონ კათალიკოსი:

„ქადაგებანი შენნი, ნეტარ მამაო,
წრფელნი ნაუბნი, გარნა მსგავსებნი პავლეს"[6].

ვარლამ ეპისკოპოსის შესახებ „კალმასობაში" ნათქვამია: „ვარლამ ახტალის ეპისკოპოსი არს აღზრდილი კათალიკოზის ანტონისაგანვე, საფილოსოფოსა სწავლასა და ღვთისმეტყველებასა შინა მეცნიერი, უცხო რიტორი და მშვენიერი მოქადაგე"[7].

ამ მქადაგებელთა ორატორულ ძეგლებს ჩვენამდე არ მოუღწევია.

XIX საუკუნეში, ახალი ქართული კულტურის სარბიელზე, პირველ ხანებში, როცა ძველი ენობრივი ფორმის დიდი გაელენა იგრძნობოდა, ჯერ არქაული სახის მქადაგებლობამ განაგრძო არსებობა, ხოლო შემდეგ ახლებური ხასიათის საეკლესიო მჭევრმეტყველება განვითარდა. პირველის თვალსაჩინო წარმომადგენელი იონა

---

[1] იოანე ბატონიშვილი, კალმასობა, II, გვ. 168.
[2] ანტონ პირველი, წყობილსიტყვაობა, სტრფ. 791.
[3] იოანე ბატონიშვილი, კალმასობა, II, გვ. 182.
[4] ანტონ პირველი, წყობილსიტყვაობა, სტრფ. 793 - 794.
[5] იოანე ბატონიშვილი, კალმასობა, II, გვ. 182.
[6] ანტონ პირველი, წყობილსიტყვაობა, სტრფ. 665.
[7] იოანე ბატონიშვილი, კალმასობა, II, გვ. 191.

ხელაშვილია, მეორის გამოჩენილი მესვეური გაბრიელ ქიქოძეა. წინამდებარე ნაშრომში მათი ორატორული შემოქმედება თავის ადგილას ცალკეა განხილული.

რაც შეეხება ამ პერიოდის მქადაგებლობის შინაარსს, ის არსებითად ქართული კლასიკური ჰომილეტიკის მდიდარი თემატიკით სარგებლობს და მისივე იდეური ტენდენციებით საზრდოობს, მაგრამ ახალი ყოფა-ცხოვრების მიხედვით ფართოვდება და მისგან მომდინარე მოტივებით ღრმავდება. ამ გზით ამაღლდა ჩვენი ახალი მქადაგებლობა მსოფლიო სასულიერო მჭევრმეტყველების დონემდე და შეიძლო მისი ტრადიციების გაგრძელება; საღი ეროვნული სულისკვეთებით გაჟღენთილი შემოქმედება როგორც წინათ, ისე ამჯერადაც ორგანულ კავშირში იმყოფებოდა საკაცობრიო ორატორულ ხელოვნებასთან და მისი დიდი გამოცდილების საფუძველს ეყრდნობოდა.

კერძოეროვნული და ზოგადსაკაცობრიო მოტივების იშვიათ გონივრულ შეთავსებას წარმოადგენს გაბრიელ ეპისკოპოსის სამქადაგებლო მემკვიდრეობა, რომლის ბადალი ჰომილეტიკური განძი არავის შეუქმნია უკანასკნელი ორნახევარი საუკუნის განმავლობაში. ამ მწვერვალს გასული საუკუნის მეორე ნახევარში მიაღწია ჩვენმა მქადაგებლობამ.

ამ უკანასკნელი დიდი წარმატებით ამოიწურა ქართული სამქადაგებლო მჭევრმეტყველების ისტორიული დანიშნულება. ამიერიდან დაქვეითების გზას დაადგა ჩვენი საეკლესიო ზეპირი სიტყვა, რომლის იდეურმა წყარომ — სასულიერო მწერლობამ — კიდევ უფრო ადრე შეწყვიტა თავისი არსებობა.

ქართველ მქადაგებელთა ერთ ისტორიულ დამსახურებად უცხო ენებზე შექმნილი ორატორული მემკვიდრეობა უნდა ჩაითვალოს. ჩვენი საეკლესიო მოღვაწეები ხშირად არამშობლიური ენით გამოთქვამდნენ თავიანთ სათქმელს როგორც წერილობით, ისე ზეპირად. ცნობილია ქართველ მწერალთა ბევრი არაქართული თხზულება, რომლებიც ამშვენებენ მსოფლიო მწერლობას. ეს ითქმის როგორც ორიგინალურ, ისე თარგმნილ ძეგლებზე, რომელთა დიდი ნაწილი საკაცობრიო მნიშვნელობისაა. დაახლოებით შეიძლება იგივე ითქვას ორატორული შემოქმედების ძეგლებზეც, თუმცა მათი უმრავლესობა ჩვენამდე მოღწეული არაა და, უმთავრესად, ჰიპოთეზური მსჯელობის საგანს წარმოადგენს.

ასე, მაგალითად, გვაქვს საფუძველი ვივარაუდოთ, რომ ქართული კულტურის ანტიკურ პერიოდში, IV—V საუკუნეებში, სამშობ-

ლოს გარეთ მომუშავე ცნობილი სასულიერო მოღვაწეები: ევაგრე პონტოელი, იოანე ლაზი და პეტრე იბერი სამწერლო შემოქმედების გვერდით სამქადაგებლო ხელოვნების მესვეურებიც იქნებოდნენ. მათ შორის პეტრე იბერი თანადამხვდურთა წყაროებში „მეორე პავლედ“ და „მეორე მოსედ“ იხსენიება, რაც, რა თქმა უნდა, არაა შემთხვევითი და საგულისხმო ფაქტს წარმოადგენს. ეს წოდებანი დიდი ქართველის სამქადაგებლო ღვაწლსაც მიუთითებენ, ვინაიდან ბიბლიური ცნობების მიხედვით მოსე წინასწარმეტყველი და პავლე მოციქული თავიანთ რელიგიურ მსოფლმხედველობას მხოლოდ ზეპირი ქადაგების გზით ავრცელებდნენ. გარდა ამისა, ხსენებულ ბიოგრაფიულ წყაროებში ზოგიერთი გამონათქვამიც გვიჩვენებს პეტრე იბერის ორატორულ დამსახურებას. მაგალითად, იოანე რუფინუსის სიტყვით მან სახელი გაითქვა „სწავლისა და ქადაგების სიკეთით“. იგივე ჩანს აქ შემონახულ სამქადაგებლო ხასიათის გამოთქმებსა და ეპიზოდებში.

პეტრე იბერის ცხოვრების აღწერიდან ცნობილია აგრეთვე, რომ მან იერუსალიმში შექმნა ქართული მონასტერი და „აღაშენა სახლი სასტუმროჲ“, სადაც „განუსუენებდეს მომავალთა ძმათა ქართველთა და ბერძენთა“[1]. აქ ჩვენ საქმე გვაქვს ქართული კულტურის უძველეს ცენტრთან პალესტინაში, სადაც პეტრე იბერის თაოსნობით გაჩაღებულ სამონასტრო ცხოვრებაში, რა თქმა უნდა, სამქადაგებლო შემოქმედებაც უნდა გაშლილიყო და თავისი მაღალი დანიშნულება შეესრულებინა. ეჭვი არ არის, რომ ასეთ პირობებში სამშობლოს გარეთ მომუშავე ქართველები ბერძნულ ენაზეც შექმნიდნენ სამქადაგებლო ძეგლებს.

უფრო მოგვიანებით, IX საუკუნეში ქართველებმა ბიზანტიის მიწა-წყალზე შექმნეს რამდენიმე სამონასტრო კერა და გაშალეს დიდი კულტურული საქმიანობა. ამ პერიოდს ეკუთვნის ილარიონ ქართველის (822 — 875) თავდადებული შრომა ჩვენი მწერლობისა და მწიგნობრობის ასაყვავებლად იერუსალიმში, ულუმბოში, კონსტანტინეპოლსა და რომში. იქაურ სამლოცველო და სამეცნიერო ცენტრებში ჩვენი წინაპრები უთუოდ ბერძნულ ენაზეც აწარმოებდნენ თავიანთ მქადაგებლობას.

X საუკუნეში, ქრისტიანული აღმოსავლეთის ტერიტორიაზე, ქართველებმა შექმნეს სინას მთის სამონასტრო კოლონია, სადაც ფართოდ გაშლილი საგანმანათლებლო მუშაობა, უეჭველია, ორატორულ საქმესაც მოიცავდა. საკმარისია აღინიშნოს, რომ აქ მოღვა-

[1] ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I, გვ. 260.

წეობდა კაზმული სიტყვის დიდი ოსტატი, ქართული ენის მოყვარული და მეხოტბე იოანე-ზოსიმე, რომელიც შესანიშნავად ფლობდა ბერძნულ ენას და, უდავოა, რომ ამ ენაზეც წარმოთქვამდა საჯაროდ სათქმელს, კერძოდ, საეკლესიო ჰომილიებს.

ადვილად დასაშვებია, რომ IX — X საუკუნეებში ტაო-კლარჯეთის ტაძრების ამბიონებზე—ოპიზის, ხანძთის, შატბერდის, იშხნის, წყაროსთავის, ტბეთის, ოშკის, ხახულის, ბერთისა და პარხლის სავანეებში — ქართული მქადაგებლობის გვერდით უცხო ენებზე წარმოთქული სიტყვებიც გაისმოდა. ამას გვაფიქრებინებს ამ მონასტრებში არსებული ორატორული ტრადიცია, რომლის შედეგად, მაგალითად, X საუკუნის ცნობილ ხახულელ მოღვაწეს იოანეს მქევრმეტყველებისათვის უწოდეს ო ქ რ ო პ ი რ ი. მხედველობაში მისაღებია ის გარემოებაც, რომ ტაო-კლარჯეთი სანაპირო მხარეს წარმოადგენდა და მჭიდრო კულტურულ ურთიერთობაში იმყოფებოდა დასავლეთისა და აღმოსავლეთის ქრისტიანულ სამყაროსთან.

XI — XII საუკუნეებში აყვავებული ჩვენი კლასიკური კულტურის ერთი ღირსეული შემადგენელია საქართველოს საზღვრებს გარეთ არსებული ცენტრების მონაპოვარიც. ათონის, შაიი მთის, პალესტინისა და პეტრიწონის ქართული მონასტრები ორასი წლის მანძილზე აწარმოებდნენ ინტენსიურ მუშაობას და მსოფლიო მნიშვნელობის ძეგლებით ამდიდრებდნენ მშობლიურ მწერლობასა და მეცნიერებას. მათ შორის განსაკუთრებული მნიშვნელობით გამოირჩეოდა ათონის ივერიის მონასტერი, რომლის წიაღში აღზრდილი რამდენიმე თაობა მრავალმხრივი შემოქმედებითი საქმით ემსახურებოდა ეროვნულ ცივილიზაციას. აქ მოღვაწეობდნენ ქართველი ხალხის სასიქადულო შვილები: იოანე და ექვთიმე ათონელები, თორნიკე ერისთავი, გიორგი მთაწმიდელი, გიორგი მცირე და სხვები, რომლებმაც მიზნად დაისახეს დასავლური (resp. ბიზანტიური) და აღმოსავლური (resp. ქართული) კულტურული სამყაროების ურთიერთგაცნობა, და ეს პატრიოტული საწადელი სასახელოდ შეასრულეს.

ყოველივე ეს ცხადი მაჩვენებელია იმისა, რომ ხსენებულ მონასტრებში ქართველი ორატორები ბერძნულ ენაზეც ქმნიდნენ სასულიერო ჰომილიებს და მშობლიური მშვერმეტყველების გვერდით უცხო მქადაგებლობასაც ანვითარებდნენ.

ამიერიდან დიდი ხნით შეწყდა ქართველი ორატორების ღაღადება უცხო ენაზე.

ჩვენამდე მოღწეული წყაროების მიხედვით ქართველი მქადაგებლის ორატორული სიტყვა კვლავ გაისმა უცხოეთში XVII—XVIII

საუკუნეთა ზღვარზე. ჩვენ მხედველობაში გვაქვს რუმინეთში მოღვაწე მწერლისა და საზოგადო მოღვაწის ანთიმოზ ივერიელის მქადაგებლობა.

დღეს საკმარისად გარკვეულია ანთიმოზ ივერიელის დამსახურება რუმინული კულტურის ისტორიაში. თანამედროვე რუმინელი პოეტი ვიქტორ კერნბახი თავის წერილში — „რუმინელ და ქართველ ხალხთა კავშირი ძველთაგან“ — ფართოდ გვაცნობს ამ სახელოვანი ივერიელის ცხოვრებასა და მოღვაწეობას. ის არჩევს ანთიმოზის სამქადაგებლო შემოქმედებას და მაღალ შეფასებას აძლევს მის „ხატოვან და შთამაგონებელ“ ხელოვნებას.

ვ. კერნბახი წერს: „ანთიმოზის ქადაგებანი ძვირფასი ლიტერატურული საგანძურია რუმინული ლიტერატურის განვითარების პირველ საფეხურზე... მისი მწყობრი ფრაზა, ნათელი და დამაჯერებელი რიტმი... მოხდენილი და დახვეწილი სტილი, საუცხოო კომპოზიციური წყობა, სიმდიდრე და პლასტიკურობა ყოველდღიური ცხოვრებიდან აღებული შედარებებისა, ბუნებრივად მონაცვლე გრძნობათა ფართო გამა, მახვილი თვალით შემჩნეული და გადმოცემული დამახასიათებელი ადამიანური პორტრეტები — ყოველივე ეს ცხადყოფს, რომ მისი სახით რუმინელ ხალხს ჰყავდა მაღალნიჭიერი და ნატიფი გემოვნების, მე ვიტყვი, რაფინირებული სტილის ორატორი“[1].

ეს ორატორული სახე კერნბახის მიერ ნაჩენებია ანთიმოზ ივერიელის მქადაგებლობის ღრმა ანალიზის საფუძველზე. ის იშველიებს პირველწყაროებს და მათი დამოწმებით ხატავს მქადაგებლის შემოქმედებითს პორტრეტს.

ანთიმოზ ივერიელის რუმინული საეკლესიო ქადაგებანი, შეკრებილი გიორგი რადოვიჩის მიერ, გამოიცა ქ. ბუქარესტში, 1915 წელს[2].

სამქადაგებლო მჭევრმეტყველების ერთგვარ განშტოებას წარმოადგენს საპოლემიკო ჰომილეტიკა. ის პაექრული ხასიათის ორატორული ხელოვნებაა და თავისი დანიშნულებით ორთოდოქსალურ ეკლესიას ემსახურება. ქრისტიანულ სარწმუნეობას თავიდანვე უამრავი მტრული შემოტევის მოგერიება უხდებოდა, რაც მისი გაბატონების შემდეგ კიდევ უფრო აუცილებელი გახდა საკუთარ წიაღში წარმოქმნილი მრავალნაირი მწვალებლობის გამო. მართლმა-

[1] ვ. კერნბახი, რუმინელ და ქართველ ხალხთა კავშირი ძველთაგან გვ. 141.

[2] იხ. გ. ლეონიძე, ანთიმ ივერიელი, გვ. 16—18.

დიდებლურ ქრისტიანობას უმთავრესად ორი მიმართულებით უხდებოდა ბრძოლის წარმოება: გარეთ, უცხო რელიგიური რწმენისა და, შიგნით, თავისივე ერეტიკული გადახრების წინააღმდეგ. ერთიცა და მეორეც მრავალი სახის მოპირდაპირეს აერთიანებდა და მეტად მოქნილი ტაქტიკით ბრძოლას საჭიროებდა. ასეთ პირობებში საუკუნეთა მანძილზე გამოიკვეთა ქრისტიანული სარწმუნოების ბასრი იარაღი — საპოლემიკო ჰომილეტიკა, რომელიც წერილობითი და ზეპირი პაექრობით იცავდა აღიარებულ მართლმორწმუნეობას და თავს ესხმოდა ყოველგვარ გადახვევას ოფიციალური დოგმატიკიდან. ამგვარი ხასიათის მრავალი პაექრობა აღბეჭდილია ქართულ საისტორიო წყაროებში.

უფრო საყურადღებოა ის გარემოება, რომ ჩვენამდე მოღწეულია პოლემიკურ ნაწარმოებთა სპეციალური კრებული დოგმატიკონი, რომლის თავდაპირველი რედაქცია ეკუთვნის კლასიკური პერიოდის ცნობილ მწერალსა და მეცნიერს არსენ იყალთოელს, რომელსაც უთარგმნია და ერთად შეუკრებია რამდენიმე ჰომილეტიკური ქმნილება, მიმართული სხვადასხვა ერესული მიმდინარეობის წინააღმდეგ. შემდეგ ეს წიგნი ასეთივე ხასიათის მასალით შეუვსიათ და ქრისტიანობის აპოლოგიურ საუნჯედ უქცევიათ. დოგმატიკონის საბოლოო რედაქციაში შეტანილი პოლემიკური წერილები, სიტყვები, სიტყვისგებანი თუ კითხვა-პასუხები მიმართულია როგორც არაქრისტიანული მსოფლმხედველობის, ისე ქრისტიანული ერესის წინააღმდეგ. პირველი წრის მოპირდაპირედ აქ მიჩნეულია იუდაიზმი და მუსლიმანობა, ხოლო მეორისა — ნესტორიანობა და მონოფიზიტობა[1].

დოგმატიკონის ზოგიერთ ხელნაწერში მოთავსებულია ერთი ანტიმუსლიმანური თხზულება „ჴსენებაჲ სიტყჳსგებისაჲ და სასჯელისაჲ სჯულისათჳს ქრისტიანეთაჲსა და სარკინოზთა“[2], რომელშიც აღწერილია ვინმე ქრისტიანი ბერისა და მუსლიმანების კამათი რელიგიის საკითხებზე. ავტორის გადმოცემით ეს პაექრობა შემდგარა ქალაქ თბილისში სარკინოზთა მეფის იამამეს თაოსნობით, რომელსაც თავად მიუღია მონაწილეობა კამათში, მაგრამ დამარცხებულა და შემწეებად ვარსკვლავთმრიცხველი მოგვი და სიტყვის მეცნიერი მოძღვარი მოუწვევია. ქრისტიან ბერს თავისი მჭევრი და მახვილი სიტყვით ეს უკანასკნელნიც სასტიკად დაუმარცხებია.

---

[1] ა. ყ ე კ ე ლ ი ძ ე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, I, გვ. 447—448.

[2] ხელნაწერი S—1463.

აკად. კ. კეკელიძის თქმით „ეს თხზულება ორიგინალური ქართული ნაწარმოები უნდა იყოს“[1], თუმცა გაურკვეველია მისი პერსონაჟების ვინაობა და უცნობია მათი მოქმედების დრო.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ პოლემიკური თხზულების სიუჟეტური მოტივები თითქმის შეუცვლელი სახით მეორდება გვიანდელ სამეცნიერო ნაშრომებში — ანტონ პირველის „წყობილსიტყვაობასა“[2] და იოანე ბატონიშვილის „კალმასობაში“[3]. ეს გარემოება დოგმატიკონში აღწერილი პაექრობის პოპულარობას გვიჩვენებს და შესაძლოა მის ისტორიულ ნამდვილობაზეც მიუთითებდეს.

არსენ იყალთოელის დოგმატიკონმა ხელი შეუწყო ჩვენი ორიგინალური საპოლემიკო მწერლობის განვითარებას, რომლის ჩანასახს და გარკვეულ წარმატებასაც, ცხადია, მანამდისაც ჰქონდა ადგილი. ამის დასამოწმებლად საკმარისია დავასახელოთ V საუკუნის ანტინესტორიანელი იერემია იბერიელი[4] და VI საუკუნის დიოფიზიტი კირიონ კათალიკოსი[5], რომლებიც იდგნენ ქალკედონის კრების (451 წ.) პოზიციებზე და ენერგიულად ებრძოდნენ ნესტორიანობა-მონოფიზიტობას. ისინი ადრინდელი ქართველი საეკლესიო მოღვაწეებია, რომელთა კონფესიონალური ქრისტოლოგიის დაცვისა და გავრცელების იარაღს პოლემიკური სიტყვა წარმოადგენდა. საისტორიო წყაროების მიხედვით ეს სიტყვა ზოგჯერ ზეპირიც უნდა ყოფილიყო.

შემდეგ ხანებში, ცხადია, არ შენელებულა ქართული პოლემიკური შემოქმედება, პირიქით, უცხო რელიგიურ მოძალებასა და შინაური გადახრების მომრავლებასთან დაკავშირებით ის აღმავლობის გზით წარიმართა, — რასაც მდიდარი აგიოგრაფიისა და თვით დოგმატიკონის შექმნის ფაქტიც ადასტურებს, — და თავის მაღალ ორატორულ განვითარებას მან მიაღწია XII საუკუნეში, როცა განსაკუთრებული წარმატებით აღინიშნა ჩვენი საპოლემიკო ჰომილეტიკა. რაც შეეხება საპოლემიკო მწერლობას, ის უფრო გვიან, XVI — XVIII საუკუნეებში აღწევს უჩვეულო სიმაღლეს, როცა დაიწერა ბაგრატ ბატონიშვილის „მოთხრობაჲ სჯულთა უღმრთოთა ისმაილიტთაჲ“, ბესარიონ კათალიკოსის „გრდემლი“ და ანტონ პირველის „მზამეტყველება“, და დოგმატიკონის მსგავსად გაერთიანდა დიდი პოლემიკური მემკვიდრეობა: „სიტყჳსგებაჲ

---

[1] კ. კეკელიძე, დასახელებული წიგნი, გვ. 449.

[2] ანტონ პირველი, წყობილსიტყვაობა, სტრფ. 759—761.

[3] იოანე ბატონიშვილი, კალმასობა, II, გვ. 176—177.

[4] იხ. კ. კეკელიძე, იერემია იბერიელი, გვ. 187—198.

[5] მისივე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, I, გვ. 109—110.

მართლმადიდებელთა აღსარებისაჲ", მიმართული მუსლიმანობის, კათოლიციზმის, მონოფიზიტობის და სხვა უცხო რელიგიური მსოფლმხედველობისა თუ ქრისტიანული მწვალებლობის წინააღმდეგ.

ჩვენთვის უფრო საყურადღებოა ზემონახსენები პოლემიკური ზეპირი სიტყვა, რომელიც, საისტორიო წყაროების ჩვენებით, განსაკუთრებული ძალით ისმოდა ჩვენში ბაგრატ მეოთხის, დავით აღმაშენებლისა და თამარის ეპოქებში.

ეს სიტყვა გამიზნული იყო პაექრული წარმატებისათვის რელიგიური უთანხმოების სარბიელზე. ბრძოლა წარმოებდა ქართველ დიოფიზიტთა (resp. ქალკედონიტთა) და სომეხ მონოფიზიტთა (resp. ანტიქალკედონიტთა) შორის. სიტყვით ბრძოლის ასპარეზზე ერთმანეთს ხვდებოდნენ როგორც სასულიერო, ისე საერო პირები, რომელთა შორის ბევრნი პაექრული ოსტატობით გამოირჩეოდნენ.

ერთი ასეთი პაექრობა მომხდარა 1046 წელს, ბაგრატ მეოთხის დროს, ღრტილას კრებაზე, სადაც ქართველთა წარმომადგენელს ექვთიმე გრძელს მკაცრად დაუმარცხებია მონოფიზიტი სოსთენი[1]. ამ პაექრობის აღწერილობა შენახულია ერთ საისტორიო ქრონიკაში — „სიტყჳს-გება ბერისა ეფთჳმე გრძელისა, სოსთენის მიმართ, სომეხთ მოძღურისა", რომელიც პირველად მ. საბინინმა გამოაქვეყნა თავის „საქართველოს სამოთხეში"[2].

აქ დაწვრილებით მოთხრობილია ხსენებული დისპუტის შინაარსი, რასაც, დასასრულ, ქართველთა ზეიმის გადმოცემით აგვირგვინებს ავტორი. ორატორული ხელოვნების თვალსაზრისით ნაწარმოებში განსაკუთრებით საყურადღებოა ექვთიმეს სიტყვისგების შესავალი და დასკვნითი ნაწილი. ორივე მძლავრი რიტორიკული ხერხებითაა გამართული და ორატორის მაღალი პაექრული ხელოვნების მაჩვენებელია.

სიმპტომატურია, რომ ღრტილას კრების მონაწილეთა შორის ქრონიკაში დასახელებულია ზეპირი სიტყვის სხვა ოსტატებიც: მელქაძე წურწყაბელი, სანანო ყველელი, გრიგოლ აბვისერიძე და გაბრიელ უკისძე[3], რომლებიც, ავტორის სიტყვით, „ვერ წინააღუდგეს" „ენაჲ-მანჭანა" სოსთენს, რომლის დამარცხება მხოლოდ ექვთიმე გრძელმა შეძლო, რადგან ეს უკანასკნელი იყო „სიტყჳსმგებელი ძლიერი" და ამიტომ მან ცხარე კამათში „უსიტყუოჲ ყო" თავისი ღირსეული მოწინააღმდეგე.

---

[1] კ. კეკელიძე, ორი ექვთიმე ძველ ქართულ მწერლობაში, გვ. 99.

[2] საქართველოს სამოთხე, გვ. 615—621.

[3] იქვე, გვ. 615.

დავით აღმაშენებლის დროინდელ საღვთისმეტყველო ხასიათის პაექრობაში ერთმანეთს შეხვდნენ, ერთი მხრით, სომხეთის უმაღლესი სასულიერო პირები: ეპისკოპოსები და მოძღვრები, ხოლო, მეორე მხრით, საქართველოს წარმომადგენლები: მეფე დავით აღმაშენებელი, კათალიკოსი იოანე, მეცნიერი არსენ იყალთოელი და სხვები. მათ შორის გაჩაღებულ მწვავე პაექრობაში გადამწყვეტი როლი უთამაშნია დავით აღმაშენებელს, რომელსაც თავისი მდიდარი, ხატოვანი და მკაფიო სიტყვით დაუმარცხებია განსწავლული მოწინააღმდეგენი და მათგანვე შერქმეული მოძღვართ-მოძღვრის სახელი დაუმსახურებია[1].

თამარ მეფის დროს გამართულ ასეთივე პაექრობაში, — რომელსაც ბევრი უზენაესი საერო და სასულიერო პირი ესწრებოდა, მათ შორის სომეხთა მხრიდან — „კათალიკოზი ვანისაჲ და ყოველნი ვარდაპეტნი“, ხოლო ქართველთა მხრიდან — „დედოფალი, დედოფლისა მოსავი, დავით მეფე და წარჩინებულნი საქართველოჲსნი“,— თავი ისახელა იოანე კათალიკოსმა, რომელმაც „აღაღო პირი, ბრძნად მეტყუელი შეუვალთა სიტყუათაჲ“ და გამარჯვებით დააგვირგვინა „სიტყუა-მჭევრად და ვრცელ-სიტყუად“ გამართული კამათი. ორატორი „გონიერებით აღუჴსნიდა და ბრძნად მიუგებდა უკურღუეველად სიტყჳსა მათისა, ხოლო თჳსისა დასამტკიცებელად“, რის შედეგად მან მიიმხრო მოპირდაპირე მხარე და „ცილობისა სწორი ძლეაჲ“ მოიპოვა[2].

ეს ცხარე სიტყვისგება მთავრდება გამარჯვებული ორატორისა და გადმობირებული მსმენელის დიალოგური შესიტყვებით, რომელსაც ასეთი შესანიშნავი მიმართვით იწყებს იოანე კათალიკოსი: „სახლო თარგამოსისო, რომელნი შეკრებილ ხართ ძჳნად და მტრობად მართლისა სარწმუნოებისა! უწყითა, რომელ ნათესავსა კაცთასა ეუფლა ეშმაკი? დამყოფელმან თუალთა გონებისათამან შეასაკუთრა იგი ხრიზმოსთა, და არამეცნიერნი და დამტეეებელ-ნი ღმრთისანი უზორვიდეს კერპთა, ხახუსა და ნიორსა და ჯინჯარსა... რაჟამს შესაძრწუნებელი იგი ნებსით ჯუარცმაჲ ეგულვებოდა, ათორმეტთა მოწაფეთა თანა ისერა და სრულ ყო პასექი. ვითარცა სრულ ქმნა იგი, იწყო ახალსა ამას ღმერთ-მყოფელსა საიდუმლოსა: მოიღო პური, განტეხა და მისცა მოწაფეთა და ჰრქუა: „მიიღეთ და ჭამეთ, ესე ჴორცი ჩემი არს მისატევებელად ცოდვათა“; ეგრეთვე სასუმელიცა: „სუთ ამისგან, ესე სისხლი ჩემი არს“. და პირველ იტყოდა:

---

[1] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 356—357.

[2] ისტორიანი და აზმანი..., გვ. 116—117.

„უკუეთუ არა სჭამოთ ჴორცი ძისა კაცისაჲ, არა გაქუნდეს ნაწილი ჩემ თანა“, და კუალად იტყოდაე: „ჴორცი ჩემი ჭეშმარიტი საჭმელი არს და სისხლი ჩემი ჭეშმარიტი სასუმელი“. და მრავალ სამე არიან ესევითარნი სიტყუანი“[1].

ყოველივე ამას მოგვითხრობს თამარ მეფის ისტორიკოსი.

ამრიგად ჩვენ ვხედავთ: საშუალო საუკუნეების მსოფლიო ფეოდალური რეაქციისა და რელიგიური ფანატიზმის ზეიმის ეპოქაში, როცა სარწმუნეობრივი უთანხმოების საბაბით სისხლისმღვრელი ომები მძვინვარებდა ევროპისა და აზიის ქვეყნებს შორის, ჩვენი წინაპრები სიტყვის ძალით ცდილობდნენ იმავე ხასიათის სადავო საკითხების გადაჭრას მოსაზღვრე მეზობლებთან, რადგან, როგორც ჩანს, კარგად იცოდნენ ძველისძველი, მაგრამ მუდამ ახალი სიბრძნე: ჭეშმარიტება ის ყვავილია, რომელიც ხარობს აზრთა სხვადასხვაობის მინდვრად.

---

[1] ისტორიანი და აზმანი..., გვ. 117—118.

2. სადარბაზო მჭევრმეტყველება

მსოფლიო მჭევრმეტყველების ერთი უძველესი, მეტად განვითარებული და უხვად შემონახული დარგი პოლიტიკური შინაარსის ორატორული ხელოვნებაა. საპოლიტიკო დანიშნულების ზეპირი მეტყველება დამოწმებულია შორეული წარსულის წერილობითი დოკუმენტებით. მათი დიდი ნაწილი უზენაეს სახელმწიფო პირთა საჯარო გამონათქვამსა და ოფიციალურ სიტყვას შეიცავს. ეს ძვირფასი მასალა უადრესი წყაროა, რომელსაც საგანგებოდ დაუცავს ბევრი მარჯვედ ნათქვამი და მჭევრად გამოხატული საგულისხმო აზრი. ამ აზრების ზეპირი ფორმის კვალი ცხადად შეინიშნება ძველი აღმოსავლეთისა და ანტიკური ქვეყნების უძველეს წერილობით ძეგლებში, რომლებიც დღეს საერთაშორისო პოლიტიკური მჭევრმეტყველების პირველწყაროებად გვევლინებიან. ისინი ნათელს ჰფენენ მსოფლიო ორატორული ხელოვნების სათავეებს და მათი პირვანდელი ჩანასახისა და შემდგომი განვითარების მაჩვენებლები არიან.

პოლიტიკური შინაარსის მჭევრმეტყველება თავისი არსებითი დანიშნულებით ღრმად სოციალური ხელოვნებაა. ამ მხრივ ის მაღალი საზოგადოებრივი მნიშვნელობის იდეოლოგიური სფეროა, რომლის შემოქმედებითი ბუნება ცხოვლად ასახავს სახელმწიფოებრივი არსებისა თუ მოვლენის ყოველ წვრილმანს და საჩინო სახით გვაგებინებს ქვეყნის სასიცოცხლო ძალთა ურთიერთობასა და განწყობილებას. საპოლიტიკო საჯარო მეტყველება ყოველთვის განსაზღვრული მასის სულისკვეთებას გამოხატავს და შედარებით სრულად გვიჩვენებს ადამიანთა საერთო მისწრაფებას. ის არსებითად კოლექტიურ ნაფიქრ-ნააზრევს წარმოადგენს და ინდივიდუალური გამოვლენის ფორმით მოიცავს ზოგადი შინაარსის მასალას.

ამით აიხსნება ის გარემოება, რომ მსოფლიო მჭევრმეტყველების ისტორიაში პოლიტიკური შინაარსის ორატორული ხელოვნების აყვავება ყველგან დემოკრატიული ხასიათის წყობილებას უკავშირდება და მისი დამახასიათებელია. ამის უდავო მაჩვენებელია ანტიკური მჭევრმეტყველების აღორძინება დემოკრატიულ საბერძნეთსა და რესპუბლიკურ რომში.

ძველი წელთაღრიცხვის V—IV საუკუნეებში, მონათმფლობელური დემოკრატიის წარმატების დროს, როცა უჩვეულო ეკონომიურ სიმძლავრესა და კულტურულ აყვავებას მიაღწია ათენის სახელმწიფომ, სწრაფი განვითარების გზით წარიმართა და უმაგალითოდ აღორძინდა ბერძნული პოლიტიკური მშვენიერმეტყველება, რომლის უდიდესი წარმომადგენლებია: პერიკლე (469—429), ისოკრატე (436—338), დემოსთენე (384—322), ესქინე (დაახ. 389—314), ჰიპერიდე (389—322) და სხვ.

მათ შორის თავისი პოლიტიკური სიმტკიცით, პატრიოტული თავდადებითა და ოსტატური დახელოვნებით გამოირჩევა დემოსთენე.

იმავე წელთაღრიცხვის უკანასკნელ საუკუნეებში, ოპტიმატთა რესპუბლიკის გამარჯვების ხანაში, როცა განმტკიცდა რომის ვრცელი სახელმწიფო, ბერძნული ორატორული ხელოვნების ნაყოფიერი გავლენით აღმოცენდა და განვითარდა რომაული პოლიტიკური მშვენიერმეტყველება, რომლის განთქმული წარმომადგენლებია: მარკუს პორციუს კატონი (234—149), გაიუს სემპრონიუს გრაკხუსი (153—121), კვინტუს ჰორტენზიუს ჰორტალუსი (114—50), მარკუს ტულიუს ციცერონი (106—43), გაიუს იულიუს ცეზარი (100—44) და სხვ.

მათ შორის თავისი პოლიტიკური გამჭრიახობით, ნათელი აზროვნებითა ლა მგზნებარე ენამშვენიერობით გამოირჩეოდა ციცერონი.

მოგვიანო ანტიკურ პერიოდში,—ბერძნულ-რომაული კლასიკური კულტურის დაცემის ხანაში, როცა მოიშალა მონათმფლობელური სოციალური ფორმაცია და ჩაისახა ფეოდალიზმი, — დაკნინდა პოლიტიკური მშვენიერმეტყველება, როგორც შედარებით ფართო წრეების სულისკვეთების გამომხატველი იდეოლოგიური სფერო.

მომდევნო ხანა, საშუალო საუკუნეების სათავე, როცა რელიგიის მსახურად იქცა ფილოსოფიური აზროვნება, აღინიშნა ქრისტიანული მქადაგებლობის მძლავრი განვითარებით, რასაც მოჰყვა მსოფლიო საპოლიტიკო მშვენიერმეტყველების განდევნა საზოგადოებრივი ცხოვრების ასპარეზიდან და მისი გადასვლა ერთგვარ უუფლებო მდგომარეობაში. ასეთი ვითარება გაგრძელდა დიდხანს, ახალი საუკუნეების დასაწყისამდე, ვიდრე მსოფლიო ჰუმანიზმის იდეალებმა ძირს არ დასცეს ქრისტიანული სქოლასტიკისა და ფეოდალური დესპოტიზმის იდეური საყრდენი.

ამ ხანგრძლივი დროის მანძილზე აღმოსავლეთის რენესანსის მეთაურმა — საქართველომ არა ერთხელ აღიმაღლა ხმა ორთოდოქსალურ-რელიგიური და მონარქიულ-პოლიტიკური რეაქციის

წინააღმდეგ. ერთი ასეთი ხმის შემაღლება ქართული სახელმწიფო დარბაზის შექმნა და არსებობაა.

საშუალო საუკუნეების უკანასკნელ ხანებში, — როცა დასავლეთის რენესანსს სათავეში ჩაუდგა იტალია, რომელიც თავისი მაღალი ცივილიზაციით შეებრძოლა ქრისტიანულ სქოლასტიკასა და ინკვიზიციას, — მოწინავე საეკლესიო მქადაგებლობამ შეითავსა სამოქალაქო მოტივები და პოლიტიკური ბეჭევრმეტყველების სახით მოევლინა საზოგადოებრივი ცხოვრების ასპარეზს.

ამ ახლებური ორატორული შემოქმედების დიდი წარმომადგენელია იერონიმ ს ა ვ ო ნ ა რ ო ლ ა (1452—1498).

XVI საუკუნის პირველ ნახევარში, როცა მსოფლიო ფეოდალიზმის საყრდენს — რომის კათოლიკურ ეკლესიას წინ აღუდგა პროტესტანტიზმი და რეფორმაციის სახელით ცნობილ მოძრაობას სათავეში მოექცა გერმანული ბურჟუაზია, ქრისტიანული მქადაგებლობის წიაღში წარმოიშვა პოლიტიკური შინაარსით გამდიდრებული ორატორული ხელოვნება, რომლის უდიდესი წარმომადგენელია მარტინ ლ უ თ ე რ ი (1483 — 1546).

XVIII საუკუნეში, როცა საფრანგეთის უუფლებო ბურჟუაზია სამკვდრო-სასიცოცხლო რევოლუციურ ბრძოლაში ჩაება ფეოდალიზმისა და აბსოლუტიზმის წინააღმდეგ, წარმოიქმნა და განვითარდა მძლავრი ფრანგული პოლიტიკური მჭევრმეტყველება, რომლის სახელოვანი წარმომადგენლებია: ჰონორე მ ი რ ა ბ ო (1749—1791), პიერ ვ ე რ ნ ი ო (1753 — 1793), მაქსიმილიან რ ო ბ ე ს პ ი ე რ ი (1758 — 1794), ჟორჟ-ჟაკ დ ა ნ ტ ო ნ ი (1759 — 1794) და სხვ[1].

მათ შორის თავისი მგზნებარე სიტყვის ძლევამოსილებით გამოირჩევა მირაბო.

XIX საუკუნეში, როცა ევროპის ქვეყნებში შეუცილებლად გაიმარჯვა კაპიტალისტურმა წყობილებამ, ჩამოყალიბდა მსოფლიო მუშათა კლასი — პროლეტარიატი, და შეიქმნა მისი იდეოლოგიური მოძღვრება — მეცნიერული კომუნიზმი კ. მარქსისა და ფრ. ენგელსის მიერ, მათივე თაოსნობით წარმოიშვა და განვითარდა გერმანული პოლიტიკური მჭევრმეტყველება, რომლის უდიდესი წარმომადგენლები თვითვე არიან. ახალი მსოფლიო მჭევრმეტყველების ასპარეზზე ისინი გამოირჩევიან თავიანთი ზეპირი სიტყვის იდეური სიღრმით, ცოცხალი ლოგიკური აზროვნებითა და შთამაგონებელი მკაფიო სადამეტყველებით. ამის უდავო მაჩვენებელია მათი მრავალრიცხოვანი ბრწყინვალე საჯარო გამოსვლები: ამასვე

[1] იხ. А. О л а р, Ораторы революции, I, II.

ადასტურებს ფ. ენგელსის გენიალური სამგლოვიარო სიტყვა, წარმოთქმული კ. მარქსის დაკრძალვაზე 1883 წლის 17 მარტს, ლონდონში.

იმავე საუკუნის მიწურულში ჩაისახა და დღემდე წარმატებით ეითარდება რუსეთის მუშათა მოძრაობის პირმშო — 1917 წლის ოქტომბრის დიდი რევოლუციის მძლავრი ფაქტორი — რუსული პოლიტიკური მჭევრმეტყველება, რომლის უდიდესი წარმომადგენელია ვლადიმერ ლენინი. უახლესი მსოფლიო მჭევრმეტყველების ასპარეზზე ის გამოირჩევა თავისი ცოცხალი სიტყვის უჩვეულო დამარწმუნებლობით, ნათელი სიმარტივითა და ლოგიკური უძლეველობით. ამას გვიჩვენებს დიდი ლენინის ორატორული პრაქტიკა და მთელი შემოქმედებითი მემკვიდრეობა.

ქართული ორატორული ხელოვნების ერთი ადრინდელი, ხანგრძლივად აქტუალური და მეტად მდიდარი დარგი სადარბაზო მჭევრმეტყველებაა. ამ ტერმინით ჩვენ პოლიტიკური შინაარსის ზეპირ მეტყველებას ვგულისხმობთ და ეროვნულ ნიადაგზე წარმოქმნილ საორატორო სფეროს გამოვხატავთ. ეს უკანასკნელი, ჩვენი აზრით, სავსებით შეიფერებს ჩვენში ადრიდანვე დამკვიდრებულ სახელმწიფო წყობიდან მომდინარე სახელწოდებას, რომელიც ქართული ფორმით გამოხატავს საქართველოს წიაღში აღმოცენებული პოლიტიკური მოვლენის შინაარსს.

ამ პოლიტიკურ მოვლენას ჩვენი ფეოდალური სახელმწიფოს უმაღლესი ორგანო დარბაზი წარმოადგენს. ი. ჯავახიშვილი წერს: „საქართველოს სახელმწიფოს უზენაეს ორგანოდ სახელმწიფო „დარბაზი“ იყო. სხვადასხვა დიდმნიშვნელოვანი სახელმწიფო შემთხვევების დროს, — სახელმწიფო საქმეებზე ბჭობისათვის ან რთული იურიდიული საკითხების გადასაწყვეტად, თუ დიდებული მოხელეების დასანიშნავად, ან და მეზობელი მეფე-მბრძანებლების მისაღებად საქართველოს მეფე „დარბაზობა“-სა მართავდა ხოლმე“[1].

ტერმინი დარბაზობა მოიცავს საჯარო ბჭობა-თათბირობისა და მსჯელობა-პაექრობის შინაარსს, რაც ვაზირობის სახელითაც არის ჩვენში ცნობილი. ამით აიხსნება ვეფხისტყაოსანში ვაზირობის დაკავშირება დარბაზთან:

„მე მეფეთა დარბაზს მიხმეს, შექმნეს დიდი ვაზირობა“ (533,1),— ამბობს ტარიელი, და ამით გვიჩვენებს დარბაზობისა და ვაზირობის არსებით განურჩეველობას.

უადრესი საისტორიო ცნობა დარბაზისა და მისი შემადგენლობის შესახებ დაცულია ბაგრატ მეოთხის სიგელში, რომელიც XI

[1] ი. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, II, 2, გვ. 237.

საუკუნის შუა წლებში უბოძებია ხსენებულ მეფეს ოპიზის მონასტრისათვის. აქ ნათქვამია: „...შეეკრიბენ კარსა დარბაზისა ჩუენისასა მღდელთმოძღუარნი, ერისთავთ-ერისთავნი, ერისთავნი და ყოველთა ჴევთა ზემოთა და ქუემოთა აზნაურნი, მეცნიერნი საბჟოთა საქმეთანი, და დავსხენით წინაშე ჩუენსა და წაიკითხენით მათნიცა და მათნიცა დაწერილნი და, რომელი სიტყუის-გებაჲ იყო მათ შორის, მოვისმინეთ...“[1]

ერთი შედარებით გვიანდელი ცნობა დაცულია XIV საუკუნის ძეგლში — „ხელმწიფის კარის განრიგება“, სადაც აღწერილია ვაზირობის ცერემონიალი: „და თუ ვეზირობა იყოს, მათ მოახსენონ ჰყონდიდელსა და ათაბაგსა, ამირ-სპასალარსა, მანდატურთ-უხუცესსა, მეჭურჭლეთ-უხუცესსა, მსახურთ-უხუცესსა და ამილახორსა. დაფინოს ორხოვა ფარეშთ-უხუცესმა მომცრო და ზედ სასთაული დადვას. დაჯდეს მეფე მას ზედა. მოიღონ სუფრის ნოხი და მომრგვალებით დაფინონ პირისპირ. თავსა სუფრის ნოხისასა სელნი დადგან. მსახურთ-უხუცესმან „ბრძანეთ“ თქვას. ჯალაბი გაიყაროს. ჰყონდიდელი ნოხთავე პირს მიბრუნდეს, ათაბაგსა, ამირსპასალარსა მოახსენონ, მობრუნდენ, ეგრეთვე მეჭურჭლეთ-უხუცესი“[2].

ეს არის ჯერხნობით უძველესი სპეციალური ცნობები ქართული დარბაზის თაობაზე, მაგრამ, ეჭვს გარეშეა, რომ მისი არსებობა, როგორც უზენაესი ფუნქციით აღჭურვილი ორგანოსი, გაცილებით უფრო ადრინდელია და შორეულ წარსულშია საძიებელი. ამას გვაფიქრებინებს ბევრი საისტორიო პირველწყარო, რომლებშიც ნაჩევნებია სამეფო კართან არსებული სათათბიროები, რომელთა დანიშნულება შედარებით გვიან ხსენებული დარბაზის კრების უფლება-მოვალეობის ანალოგიურია. ერთი ასეთი წყაროა სტრაბონის „გეოგრაფია“, სადაც ხსენებულია სვანთა „ბასილევსის“ კარზე არსებული 300 კაცისაგან შემდგარი საბჟო[3], რომლის შესახებ ჩვენ უკვე ვილაპარაკეთ. ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესოა „ქართლის ცხოვრება“, რომლის წიაღში თავმოყრილია ჩვენი სადარბაზო მჭევრმეტყველების უამრავი ნიმუში. შექმნილი დაახლოებით ათასი წლის მანძილზე. ამ მხრივ, უწინარეს ყოვლისა, ჩვენს ინტერესს იწვევს ჯუანშერის „ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა“, რომლის ფურცლებზე ფაროდ აღბეჭდილია მეფის მეთაურობით გამართული საჯარო სხდომები. ამ სხდომებზე წარმოთქმული სიტყვები ქართული სადარბაზო მჭევრმეტყველების ადრინდელი ნიმუშებია. ეს ნიმუშები

---

[1] საქართველოს სიძველენი, II, გვ. 3.

[2] განრიგება კელმწიფის კარისა, გვ. 222.

[3] სტრაბონი, გეოგრაფია, XI, 2, 19, გვ. 126.

თავიანთი ისტორიული ადგილით V საუკუნის მეორე ნახევარს. განეკუთვნებიან. მათი გვიანდელი ლიტერატურული დამუშავება არ გამორიცხავს ძველი წყაროების გამოყენებას, რაც თავის დროზე შეეძლო ისტორიკოსს, რომელსაც, უხდა ვიფიქროთ, ხელთ ექნებოდა ჩვენამდე მოუღწეველი საისტორიო მასალები. ეს ვარაუდი ადიდებს ჯუანშერის ნაწარმოებში დაცული ორატორული ძეგლების მნიშვნელობას, რაც, თავის მხრივ, საპატიო ადგილს ანიჭებს მათ ჩვენი ზეპირი სიტყვის ისტორიაში. ამ მოსაზრებით მოგვყავს ქვემოთ ჩვენთვის საყურადღებო ადგილები ჯუანშერის „ისტორიიდან“, რომლის ამაღლებული ლიტერატურული სტილი ორგანულად ითავსებს ზეპირი მეტყველების რიტორიკულ ფორმას.

ჯუანშერის მიერ აღწერილი დარბაზის კრებას ვახტანგის სახელმწიფო კარზე მეფესთან ერთად დაესწრნენ სპასპეტი, ეპისკოპოსნი, ერისთავნი, ათასისთავნი, ასისთავნი, ქართლის წარჩინებულნი და „ყოველი ერი“. დარბაზის ერის ეს შემადგენლობა თითქმის ემთხვევა ბაგრატ მეოთხის ზემოხსენებულ სიგელში აღნიშნულ დარბაისელთა შემადგენლობას, რომელიც ოპიზართა და მიჯნაძორელთა დავის გასარჩევად შეიკრიბა ქუთაისს მეფის „სახლსა სამკუიდრებელსა“. ეს დამთხვევა იმითაც აიხსნება, რომ ჯუანშერი თავისი დროის თვალით ხედავდა შორეული წარსულის მოვლენებს, მაგრამ მისი უმთავრესი საყრდენი, ვფიქრობთ, მაინც გარკვეული წყარო უნდა ყოფილიყო, რომლის მიხედვით სახავდა ის ისტორიულ სინამდვილეს.

ხსენებულ კრებაზე, ჯუანშერის თქმით, იდგა საკითხი „ოვსეთზედ ლაშქრობისა“, რაც „დაამტკიცეს“ ხანგრძლივი თათბირის შემდეგ, რომელშიც მონაწილეობა მიუღიათ მეფეს, სპასპეტს, წარჩინებულებსა და ერისთავებს.

თათბირის აღწერაში ისტორიკოსს ჩაურთავს სამი სადარბაზო სიტყვა, რომელთაგან ორი წარმოუთქვამს ვახტანგ მეფეს, ხოლო ერთი ჯუანშერ სპასპეტს.

უწინარეს ყოვლისა, ისტორიკოსის თქმით, ვახტანგ გორგასალმა „იწყო ზრახვად ჭმითა მაღლითა“. მას უთქვამს: „ისმინეთ ჭმისა ჩემისა; დაღაცათუ ყრმა ვარ და არა გინახავს ჩემგან კეთილი, მამთა კულა ჩემთაგან გინახვან დიდნი კეთილნი და დიდებანი თქუენ, რომელნი დადგინებულ ხართ მთავრობასა ზედა. აწ უკეთუ გუაცოცხლებს ღმერთი, მოგხუდენ კეთილნი და დიდებანი, რომელნი არა გეხილნენ მამათა ჩემთაგან. აწ რომელსა გეტყჳ თქუენ, დაღაცათუ ჩემ ზედა და თქუენ ზედა სწორად მოწევნულ არს განსაცდელი ესე, არამედ ესრეთ იპყართ, ვითარმცა არა მოწევნულ არს

თქუენ ზედა, არამედ ჩემ ზედა ოდენ. და არა იყოს გულსა ჩემსა სიტყუა, თუ რომელ მოიწიენეს მათ ზედა განსაცდელნი, თჳსისა შურისგებისათჳს ჰყოფენ ამას. არამედ ყოველნი ჩემდა საბასახურებელად დავითუალო, ყოვლისათჳს კეთილი მოგაგო. და არა დავითმინო კიცხევა ოვსთა, არამედ სასოებითა და მინდობითა ღმრთისათა, სამებისა ერთარსებისა დაუსაბამოსათა, და წარძღუანებითა ჯუარისა მის პატიოსნისათა, რომელი მოცემულ არს წინამძღურად და საჭურველად გულითა მოსავთა მისთა, და ვიძიოთ შური ოვსთა ზედა. უკეთუმცა წარგუკიდებოდა ესე სპარსთა მეფეთაგან, ანუ ბერძენთა მეფისაგან, მო-მცა-ვითმინეთ. არამედ რა მოწევნულ არს ჩუენ ზედა ოვსთა კიცხთაგან, არა ჯამს დათმენა: სიკუდილი სჯობს თავთა ჩუენთათჳს"[1].

ამის შემდეგ „აღდგა ჯუანშერ სპასპეტი და თქუა":

„ცხოვნდი, მეფეო, უკუნისამდე დიდებით და მტერთა შენთა ზედა ნება-აღსრულებით. ჰეშმარიტი ბრძანე, ცოდვათა ჩუენთა მიერ მოიწია განსაცდელი ესე ჩუენ ზედა, და სამართლად დაგუსაჯნა ღმერთმან: რამეთუ განვამრავლეთ ცოდვა წინაშე მისსა. და გჳღირს მადლობა ღმრთისა მიმართ: რამეთუ ღიდსა პატიჟსა ღირს ვიყვენით და არა ეზომსა, რომელ მოიწია ჩუენ ზედა; არამედ მრავალმოწყალემან არა შეცოდებათა ჩუენთა ოდენი პატიჟი მოგუაგო, და ამით კნინითა პატიჟითა გუწუართნა. და ჩუენ, მკჳდრთა ქართლისათა, ამისთჳს დიდი მადლობა გჳღირს ღმრთისა მიმართ. რამეთუ შენ, უმჯობესი ყოველთა მეფეთა ქართლისათა და მამათა შენთა უფროსი, ყოვლითაჳე სრული, მსგავსი ნებროთ გმირისა, გამოგაჩინა წინამძღურად ჩუენდა და მოცემულ ხარ ღმრთისა მიერ განმაქარვებელად ჴირთა ჩუენთა, ძუელთა და ახალთა... ესე არს განზრახვა ჩემი, რათა სიბრძნითა შენითა და კითხვითა დედისა შენისათა გამოარჩიე ერთი ვინ ჩუენგანი წინამძღურად სპისა ჩუენისა, და მიგუცენ ჩუენ ყოველნი მას, და ვიყვნეთ მორჩილ ვითარცა მამისა შენისა, და ძალითა სამებისა, ღმრთისა ერთარსებისათა, წარვიდეთ და ვიძიოთ შური, ხოლო შენ იყავ შინა და განაგებდი მეფობასა. უკეთუ ცოდვათა ჩუენთაგან ვიძლივნეთ ოვსთაგან, მეფობა შენი უვნებელად დარჩეს; ხოლო უკეთუ კუალად თავითა შენითა ცოდვათა ჩუენთაგან იძლიო, სრულიად წარწყმდეს ქუეყანა ჩუენი, რამეთუ ნაცვალი შენი არა არს ქუეყანასა ზედა"[2].

დასასრულ, მეფემ ასე უპასუხა სპასპეტს:

---

[1] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 147—148.

[2] იქვე, გვ. 148—149.

„ვითარ ხუდების სრულსა სიბრძნესა და ერთგულობასა შენსა, ეგრეთ წარმოსთქუ ყოველი, ჯუანშერ, ხოლო მე არა ვარ მორჩილ ზრახვისა მაგის შენისა, რამეთუ, რათგან მოწევნულ არს განსაცდელი იგი ჩუენ ზედა, ყოველნი დღენი ცხოვრებისა ჩემისანი მწუხარებასა შინა დამიყოფიან, ვითარცა მყოფსა ბნელსა შინა. და სიბრალული დისა ჩემისა განლევს გულსა ჩემსა ვითარცა მახჳლი ცეცხლისა, და სიკუდილი მირჩევნია თავისა ჩემისა, ვიდრეღა სიცოცხლესა, არამედ მინდობითა ღმრთისათა და წინამძღურობითა ჯუარისა მის პატიოსნისათა თავითა ჩემითა წარვალ, და ვესავ მრავალძოწყალებათა მისთა, — არა გამწიროს და მომცეს ძლევა“[1].

ეს სადარბაზო სიტყვები გვხიბლავენ თავიანთი მწყობრი დინებითა და ლოგიკური აგებულებით. მათი მაღალი, მედიდური სტილი არ არის მოკლებული ბუნებრივ სისადავეს და არ ატარებს ხელოვნური ძალდატანების კვალს; ის უფრო შინაგანი გზნებით დამშვენებული ფორმაა, ვიდრე გარეგნული სახით გამოყოფილი საშუალება. აძით ახდენენ ეს სიტყვები ზვიადი სისადავის შთაბეჭდილებას და დღემდე ფერუცვლელი ორატორული ზემოქმედების წყაროდ გვევლინებიან.

ჩვენი პოლიტიკური მჭევრმეტყველების შემდეგი შორეული ძეგლები, რომლებიც დიდი იდეური სიღრმითა და სრული ასახვის ხელოვნებით გვაცნობენ VI საუკუნის საქართველოს სახელმწიფოებრივ ვითარებას, როგორც ვიცით, დაცულია ამავე პერიოდის ბიზანტიურ მწერლობაში და ჩვენამდე მოღწეულია სანდო საისტორიო წყაროების სახით. ეს ძეგლებია დიდი ქართველი ორატორების აიეტისა და ფარტაზის მიერ სახალხო კრებაზე წარმოთქმული სიტყვები კოლხეთის პოლიტიკური ორიენტაციის შესახებ.

წინამდებარე ნაშრომში ეს სიტყვები თავის ადგილას ცალკეა განხილული.

სადარბაზო მჭევრმეტყველების შემდგომი დიდი წარმატება დამოწმებულია XII საუკუნის წერილობითი დოკუმენტებით. კლასიკური პერიოდის აღორძინებულ საპოლიტიკო ზეპირ მეტყველებას, ეჭვი არ არის, წინ უსწრებდა ამავე დარგის მაღალი ორატორული ხელოვნება, რომლის შესახებ გარკვეული ცნობებია ჩვენამდე მოღწეული. მათ შორის განსაკუთრებით საყურადღებოა ბაგრატ მეოთხის (1027 — 1072) დროინდელი ზემოხსენებული სიგელი, რომელიც გვაცნობს დარბაზის წევრთა შემადგენლობას XI საუკუნეში და შემოველილი გზით მიუთითებს სამეფო კართან არსებულ სავა-

[1] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 149—150.

ზიროს უზენაეს სახელმწიფოებრივ დანიშნულებაზე. როგორც ჩანს, ვახტანგ გორგასლის დროიდან მოკიდებული XIII საუკუნის დასაწყისამდე ვაზირთა საბჭოს ფუნქციები ჩვენში თანდათანობით მაღლდებოდა და ხშირად მეფის ერთპიროვნული ხელისუფლების გაზრდასთან ერთად ფართოვდებოდა, რადგან შინაური და გარეშე მტრების წინააღმდეგ ბრძოლის დროს მეფე ერთგულთა წრეს ეყრდნობოდა და მასთან კავშირში მოქმედებდა. ასეთ საიმედო საყრდენს მეფისათვის ვაზირთა კრება წარმოადგენდა. ამით აიხსნება მეფისა და დარბაზის ერის შეთანხმებული ურთიერთობა ფეოდალური მონარქიის აღმავლობის დროს. ამის უცილო მაჩვენებლებს დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის დაუწერელ, მაგრამ მოქმედ კოხსტიტუციაში ვპოულობთ.

ერთი ასეთი მაჩვენებელი რუის-ურბნისის კრებაა, რომელიც მოწვეული იქნა დავით აღმაშენებლის მიერ 1103 წელს. საისტორიო წყაროს ჩვენებით მეფეს შეუკრებია როგორც ღირსეულ ერთგულთა, ისე უღირს განდგომილთა ფართო წრე, „რამეთუ წმიდანი ეკლესიანი, სახლნი ღმრთისანი, ქუაბ ავაზაკთა ქმნილ იყვნეს, და უღირსთა და უწესოთა მამულობით უფროს ვიდრე ღირსებით დაეპურნეს უფროსნი საეპისკოპოსონი, ვითარცა ავაზაკთა, და მათნივე მსგავსნი ხუცესნი და ქორეპისკოპოსნი დაედგინნეს, რომელნი ნაცვლად სჯულთა საღმრთოთა უსჯულოებასა აწურთიდეს მათ ქუეშეთა ყოველთა“[1].

ისტორიკოსი განაგრძნობს:

„ამათ უკუე ესევითართა და დიდთა წყლულებათა კურნებად შეჰკრბა ერი მრავალი: რამეთუ სამეფოსა თჳსისა კათალიკოსი, მღდელთ-მთავარნი, მეუდაბნოენი, მოძღუარნი და მეცნიერნი შემოკრიბნა წინაშე მისსა ჟამსა და ადგილსა ჯეროვანსა, და დღეთა მრავალთა ფრიადითა გაჲწულილებითა კეთილად გამოიძიეს და ყოველი ცთომა განმართეს, კეთილი და სათნო ღმრთისა წესი ყოველი დაამტკიცეს, უღირსად გამოჩინებულნი განკუეთნეს, და შეაჩუენნეს, გარდამოსთხინეს საყდართაგან, დაღათუ ძნელღა იყო ესე, რამეთუ იყვნეს კაცნი მთავართა და წარჩინებულთა შვილნი, რომელთა უწესოდ დაეპურნეს საყდრები; და მათ წილ ჰეშმარიტნი მწყემსნი და სათნონი ღმრთისანი დაადგინნეს, და ძეგლი შუენიერი ჰეშმარიტისა სარწმუნოებისა აღწერეს, მიმდგომი და მოწამე წმიდათა ათორმეტთა კრებათა. და ესრეთ ყოველნი ნიჭითა სამეფოთა წარგზავნნეს თჳთოეული სახიდ თჳსად“[2].

[1] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 327.

[2] იქვე, გვ. 327—328.

აქ გარკვევითაა აღნიშნული, რომ მრავალრიცხოვანი კრების მონაწილეებმა „დღეთა მრავალთა ფრიადითა გამოწულილეითა კეთილად გამოიძიეს და ყოველი ცთომა განმართეს“. ეს გ ა მ ო ძ ი ე ბ ა ანუ ბჭობა-თათბირი, ცხადია, ცოცხალი სიტყვის მეშვეობით ხდებოდა და, ალბათ, ცხარე კამათის სახით მიმდინარეობდა. ამას გვაფიქრებინებს იქვე ხაზგასმული სიძნელე უღირსად აღზეებულთა დამხობა-გადაყენებისა. ყოველივე ეს ზეპირი სიტყვის ფართო პრაქტიკული გამოყენებისა და მაღალი სოციალური დანიშნულების მაუწყებელია.

თამარ მეფის დროს ჩვენი კლასიკური ზეპირი და წერითი სიტყვა ამაღლდა განვითარების ისეთ დონემდე, რომელზედაც შესაძლებელი გახდა წარმოქმნილიყო მსოფლიო პოეტური მეტყველების დამამშვენებელი ვეფხისტყაოსანი. რუსთველის უკვდავი პოემა ჯერ თავად წარმოადგენს მშვენიერი სიტყვის დაუშრეტელ საგანძურს და შემდეგ ბევრი საგულისხმო მოსაზრების შემცველია მშვენიერმეტყველების ზოგად საკითხებზე. შეიძლება ითქვას, რომ უჭკნობი პოემა საუკუნეთა მანძილზე ასრულებდა ქართული ორატორული ხელოვნების თეორიული საუნჯისა და პრაქტიკული სავარჯიშოს მოვალეობას და ჩვენი რ ი ტ ო რ ი კ ი ს ერთგვარ ეროვნულ სახელმძღვანელოს წარმოადგენდა.

ვეფხისტყაოსანში ბევრგან ხაზგასმულია მშვენიერი სიტყვის არსებითი ნიშნები: აზრიანობა, მკაფიობა, კეთილხმოვანება, სიტურფე და ლაკონიურობა[1].

რუსთველის ესთეტიკური კონცეფციით „შაირობა პირველადვე ჰიბრძნისაა ერთი დარგი“ (12,1), ხოლო სიბრძნე და სიტყვიერება ხშირად სინონიმურ კავშირშია პოეტის ლექსიკაში. ამ გაგებით ემთხვევიან ისინი ერთმანეთს შემდეგ კაზმულ მიმართვაში:

„სამხრე გაბია ოქროსა, ოქროშჯედლისა დნობილი,
უასაკო და უსულო, არ სიტყვიერი, ცნობილი“ (898,1—2).

ამავე გაგების ელფერითაა შემოსილი პოეტური კომპოზიტები ს ი ტ ყ ვ ა - მ ც ი რ ო ბ ა (14,3) და ს ი ტ ყ ვ ა - ბ რ ძ ე ნ ი (668,2; 1407,2).

ღრმააზროვანი მეტყველების დიდი ღირსება უამრავი მხატვრული ვარიაციითაა ნაჩვენები ვეფხისტყაოსანში. მაგალითად:

„მისსა ვერ იტყვის ქებასა ყოველი ბრძენთა ენები“ (658,1);
„კვლა საწოლს დაჰხვდა მის მხისა მონა სიტყვითა ბრძენითა“ (692,3);

[1] იხ. გ. ნ ა დ ი რ ა ძ ე, რუსთაველის ესთეტიკა, გვ. 136—158; 336—345.

„ცნობიერი სიტყვა უთხრა უცნობოსა რასმე მზრახმან“ (894,4);
„იარნეს დღენი მრავალნი ლაღთა, ბრძნად მოუბარეთა“ (1495,2);
„დაუწყო თხრობა მეფესა სიტყვისა, ბრძნად ნაკახმისა“ (1519,4).

აზრიანობასთან ერთად მჭევრ მეტყველებას ამშვენებს მკაფიობა: „ჩვენ მათიცა გვეამების, რაცა ოდენ თქვან ნათელად“ (17,3), — ამბობს პოეტი. ნაკლოვან ენას არ შეუძლია შინაარსის სრულად გამოთქმა: „ენა მის დღისა შვებასა ყოლა ვერ იტყვის კლებული“ (676,4). აზრიანი, წრფელი და ნათელია მუდამ „გულისა სიტყვანი საგულისონი“ (719,1), რომელთა დიდი ძალა ბევრგან გენიალური ოსტატობითაა ნაჩვენები ვეფხისტყაოსანში.

აზრიანობასა და მკაფიობასთან ერთად მჭევრ მეტყველებას ალამაზებს კეთილხმოვანება.

პოეტს თავის მაღალ დანიშნულებად მიუჩნევია „თქმა ლექსებისა ტკბილისა“ (5,1) რომლებიც „კვლა აქაცა ეამების, ვინცა ისმენს კაცი ვარგი“ (12,3). ტკბილი სიტყვით მეტყველებენ რუსთველის გმირები: „ტარიელ მადლი უბრძანა, ლაღმან სიტყვითა ტკბილითა“ (1467,4). იგივე ტარიელი ფრიდონის პირით შეუთელის ავთანდილს: „ტკბილის სიტყვითა გაემართოთ და ხრმლითა საომარები“ (1472,3). აქ კეთილხმოვანი სიტყვა და საომარი ხმალი ნათესაურ მიმართებაშია წარმოდგენილი.

აზრიანობასა, მკაფიობასა და კეთილხმოვანებასთან ერთად მჭევრმეტყველებას შვენის სიტურფე.

პოეტის აზრით ყოველ ღირსეულს „ტურფადცა უნდა ხსენება“ (6,3). ფატმანი სწერს ნესტანს: „სიტყვა-მჭევრო და წყლიანო, ტურფაო, ლამაზ-ენაო“ (1270,3). რუსთველი ამბობს: „ტარიელ მოთქვა ტირილით სიტყვა ნატიფი, ჩქევრები“ (1336,1). შემდეგ: „ტარიელ მადლსა გარდიხდის ტურფა სიტყვითა, ენითა“ (1441,1). თინათინისა და ავთანდილის შეხვედრისას „ქალმან უთხრა საუბარი კეკლუც-სიტყვად, არ დუხჭირად“ (127,1), ხოლო ტარიელისა და ავთანდილის შეყრისას „ავთანდილ გასცა პასუხი, სიტყვები ლამაზებია“ (285,1).

ვეფხისტყაოსნის გმირები მეტყველებენ „სიტყვითა მრავალფერითა“ (887,1). ძმადნაფიცების შესიტყვებას ასე გადმოგვცემს რუსთველი:

„მათ მდაბლად მადლი უბრძანა სიტყვითა მით ნარნარითა,
ორნივე ერთგან უბნობდეს ამოთა საუბარითა“ (1423,3—4).

აზრიანობის, მკაფიობის, კეთილხმოვანებისა და სიტურფის გვერდით მჭევრი სიტყვა უნდა იყოს ლაკონიური.

რუსთველის ესთეტიკურ კოდექსში ნათქვამია:

„გრძელი სიტყვა მოკლედ ითქმის, შაირია ამად კარგი“ (12,4). ასმათი ეუბნება ავთანდილს: „გრძელი სიტყვა საწყინოა, ასრე მოკლედ მოგვახსენო“ (237,3). ვაზირთან საუბარში ავთანდილი საგანგებოდ აღნიშნავს: „მე სიტყვა შევამცირეო“ (741,1). ერთგან ავთანდილს „ტარიელ ეტყვის: „რად უნდა სიტყვისა თქმა მრავალისა?“ (926,1). პოემაში ორ ადგილას ნათქვამია: „რას ვაგრძელებდე“ (1170,1; 1560,1) — და ორივე შემთხვევაში საოცრად კომპაქტური სტილით ნაკვეთი ტექსტია მიყოლებული

დიდაზროვანი, მკაფიო, კეთილხმოვანი, ლამაზი და ლაკონიურია რუსთველის პოეტური ენა, რომელიც წერითი მჭევრმეტყველების უბადლო ნიმუშია მსოფლიო პოეზიის ისტორიაში. ამის უდავო საბუთია მთელი პოემა, რომლის თანმიმდევრული „ტკბილ-ქართული“ ერთნაირი ძალით ჟღერს ყოველი სტრიქონიდან. ამასვე ადასტურებს ვეფხისტყაოსანში საქმედ ქცეული მოსაზრებანი მეტყველების უძლეველი ღონისა და ყოვლისშემძლე ბუნების თაობაზე. სიტყვისა და საქმის იგივეობის განცდას იწვევს მკითხველში ვეფხისტყაოსნის ტექსტუალურ ფონზე გააზრებული აფორიზმი:

„გველსა ხვრელით ამოიყვანს ენა ტკბილად მოუბარი“ (901,1). ამის გამო გაკვირვებას არ იწვევს პოემაში სიტყვით გადაწყვეტილი საქმეების სიმრავლე, რაც ავტორის სუბიექტურ განწყობილებასთან ერთად ეპოქის ობიექტური სურათის მაჩვენებელიცაა. ამით აიხსნება ვეფხისტყაოსანში ბჭობა-თათბირების ხშირი დასურათება და მათი მეშვეობით მოგვარებული საკითხებისადმი ნდობა. „მეკეთა ესე თათბირი, ვაზირთა ნავაზირები“ (426,1), — ამბობს ტარიელი შძიმე განსაცდელის წინ და ამით გამოხატავს გონიერი რჩევის უპირატესობას უხეში ძალმომრეობის წინაშე.

ვეფხისტყაოსანში ასახული ვაზირობის პარალელებს უხვად ვპოულობთ თამარ მეფის ისტორიკოსთა ნაწარმოებებში. ი. ჯავახიშვილის თქმით „ვაზირობას საქართველოს სახელმწიფო ცხოვრებაში, განსაკუთრებით სახელმწიფო საქმეებზე ვაზირთა ბჭობასა და თათბირს ეძახდნენ“[1]. ასეთი ბჭობა-თათბირობის ორატორული ხელოვნება, როგორც ვიცით, დამოწმებულია იოანე პეტრიწის „განმარტების“ ბოლოსიტყვაობაში, სადაც ის თანამზრახველობის მჭევრმეტყველებად იხსენიება[2].

ასეთივე ვაზირობის აღწერილობას ხშირად ვხვდებით ქართულ საისტორიო მწერლობაში, კერძოდ, როგორც ითქვა, თამარის

[1] ი. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, II, 1, გვ. 198.
[2] იოანე პეტრიწი, შრომები, II, გვ. 223.

ისტორიებში. ჩვენთვის განსაკუთრებით საყურადღებოა ამ ძეგლებში წარმოდგენილი სადარბაზო სიტყვების ტექსტები. საქმე ისაა, რომ მათი უმრავლესობა აგებულია მწყობრი ლოგიკური თანამიმდევრობითა და მაღალი ორატორული ხელოვნებით. ასეთია, მაგალითად, თამარ მეფის სიტყვა, თქმული ეკლესიის უზენაეს მსახურთა მიმართ, რომელიც დაცულია ბასილი ეზოსმოძღვრის თხზულებაში „ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი".

თამარის შესახებ აქ ნათქვამია: „შეკრიბნა ყოველნი ერთსა სადგურსა და დასხნა საყდრებითა, ხოლო თჳთ დაჯდა შორის მათსა მარტოდ და არა მეფობით და ესრეთ ეუბნებოდა",—და მოყვანილია საჯარო სიტყვის ტექსტი:

„ჱ წმიდანო მამანო, თქუენ ღმრთისა მიერ განჩინებულ ხართ მოძღურად ჩუენდა და მმართებლად წმიდასა ეკლესიასა და თანაგაც სიტყჳს მიცემა სულთათჳს ჩუენთა. გამოიძიეთ ყოველი კეთილად და დაამტკიცეთ მართალი, ხოლო განჴადეთ გულარძნილი. იწყეთ ჩემ ზედა, რამეთუ შარავანდი ესე მეფობისა არს და არა ღმრთის მბრძოლობისა. ნუ თუალ-ახუამთ მთავართა სიმდიდრისათჳს, ნუცა გლახაკთა უდებ-ჰყოფთ სიმცირისათჳს. თქუენ სიტყჳთა, ხოლო ჱე საქმით, თქუენ სწავლით, ხოლო მე განსწავლით, თქუენ წურთით, ხოლო მე განწურთით ზოგად ჴელი მიჱსცეთ დაცვად სჯულთა საღმრთოთა შეუგინებელად, რათა არა ზოგად ვიზღჳნეთ: თქუენ ვითარცა მღდელნი, ხოლო მე ვითარცა მეფე; თქუენ ვითარცა მნენი, ხოლო მე ვითარცა ებგური"[1].

მკვრივი, მკვეთრი და ფილიგრანულია ამ შესანიშნავი ორატორული ძეგლის სიტყვიერი გარსი: რამდენიმე ფრაზის მანძილზე შექმნილია დიდი სისრულის განცდა. ლაპიდარული თხრობის მანერით გადმოსცემს ორატორი თავის მღელვარე განწყობილებას. სიტყვა აგებულია დაპირისპირების მხატვრული ხერხით, რომელსაც დიდი ზომიერებით ტვირთავს მეტყველი საგულისხმო აზრების გამომხატველი ლამაზი ენობრივი ფორმით.

ამ ნიშნების მიხედვით ეს ორატორული ძეგლი ჩვენი სადარბაზო მჱევრმეტყველების სამაგალითო ქმნილებაა.

ყურადღებას იმსახურებს ამავე საისტორიო წყაროთი შემონახული თამარის მეორე სადარბაზო სიტყვა, თქმული პირველი მეუღლის მიმართ, მასთან განშორების თაობაზე.

აი, ეს სიტყვა:

„დაღათუ საღმრთოსა სჯულისა მიერ სწავლულ ვარ მე „არა განშორებად პირველსა საწოლსა", არამედ რომელმან არა დაიცვას

[1] ქართლის ცხოვრება, II, გვ. 118.

საწოლი თჳსი წმიდად, არა ჯერ-არს მის თანა დათმენა, რამეთუ შემაგინებელ არს ტაძრისა ღმრთისა. და მე არა მიძლავს აჩრდილისა მრუდისა ხისასა განმართვად და უბრალოდ განვიყრი მტუერსაცა, რომელი აღმეკრა შენ მიერ"[1].

ქართული სადარბაზო მჭევრმეტყველების საინტერესო ძეგლებია მხარგრძელთა ორი მოხსენება, რომლებიც მიმართულია თამარისადმი და დაცულია მისსავე პირველ ისტორიაში. მათ შორის ერთი ეხება არდაველის სულთნის წინააღმდეგ ლაშქრობას და აღბეჭდილია შემდეგნაირად:

„მოიწია ბოროტი ჩუენ ზედა გარდასლვითა მცნებათა ღმრთისათა; უბოროტესად ესოდენი სული ქრისტიანე მოიკლა ცუდრჯულთა სარკინოზთა მიერ ცოდვათა ჩუენთათჳს. არამედ ვესავ წყალობასა ღმრთისასა და პატიოსანსა ჯუარსა, რათა არა მისცნეს მოსავნი ჯუარისანი სრულიადსა წარწყმედასა სარკინოზთა მიერ, არამედ შურ-ვაგოთ, ნაცელის ქმნად განვემზადნეთ, და სიცრუვე მათი მათვე მიექცეს. შენ, მეფეო, ამცენ სპათა შენთა — მზა იყვნენ არდაველის სულტანსა ზედა; წარვიდეთ ანისს და ვინ სადა ვპოოთ სპარსთაგან, მოვინადიროთ. ნუ დიდნი წავალთ, გარნა მცირენი. რამეთუ, უკეთუ დიდნი წავალთ, სცნობენ და სიმაგრეთა შეელენ; მცირითა ლაშქრითა შემეწიე. რაჟამს შეგინებული მარხვა მოვიდეს, მზამცა არიან, რომელ ჩუენ მოგაჴსენოთ"[2].

მეორე მოხსენება ეხება სპარსეთში გალაშქრების საკითხს და წარმოდგენილია შემდეგი სახით:

„ძლიერო ჴელმწიფეო, შარავანდედთა შორის უმეტეს აღმობრწყინვებულო! იხილე და განიცადე სამეფო თქუენი და ცან სიმჴნე და სიქველე სპათა შენთა; გულისჴმაყავ, რამეთუ მრავალნი ახოვანნი, მჴნენი და რჩეულნი იპოებიან სპათა შენთა შორის, რამეთუ არა არს წინააღმდგომი მათი, აწ ბრძანოს მეფობამან თქუენმან, რათა არა ცუდად დავიწყებასა მიეცნეს სადამე სპათა შენთა საქმენი, არამედ აღვამჴედროთ ერაყს, რომ-გურსა ზედა, რომელ არს ხუარასანი, და ცნან ყოველთა სპათა აღმოსავლეთისათა ძალი და სიმჴნე ჩუენი. და უბრძანე სპათა საქართველოსათა — მზა იყვნენ ლაშქრობად ხუარასანს. დაღათუ არავინ ქართველთაგანი მიწევნულ არს ხუარასანს და ერაყს, არამედ ბრძანე, რათა ნიკოფსით დარუბანდამდე აღიჭურნენ და მზა იყვნენ!"[3].

---

[1] ქართლის ცხოვრება, II, გვ. 121.

[2] იქვე, გვ. 101.

[3] იქვე, გვ. 103.

ორივე მოხსენების ცხოველი თემა გამოხატულია მგზნებარე ფორმით. განსაკუთრებით უკანასკნელი შეიცავს ზეგავლენის საგანგებო ფაქტორებს. ისინი მყარად შერწყმული ერთიანობით ქმნიან მსმენელის მღელვარე განწყობილებას, რომლის მორალურ საყრდენს ეროვნული სიამაყის გრძნობა წარმოადგენს. მხარგრძელთა სიტყვა გამსჭვალულია პატრიოტული სულისკვეთებით, რაც შთამაგონებელი მოწოდების ძალით მოქმედებს მსმენელთა ცნობიერებაზე.

ეს მოხსენებანი რამდენადმე თავისებური სახის სადარბაზო სიტყვებია, რომელთა ორატორულ ბუნებას საზღვრავს ემოციური განცდით გამოთქმული ღირსსაცნობი აზრი.

შემდეგი დროის სადარბაზო მჭევრმეტყველების შემონახული ძეგლებიდან თავისი წრფელი შინაგანი არსითა და კეთილშობილი გარეგნული უბრალოებით გამოირჩევა დემეტრე თავდადებულის სიტყვა, თქმული სამეფო კარის წარჩინებულთა წინაშე. ის დაცულია ჟამთააღმწერლის „მონღოლთადროინდელ ისტორიაში“, რომლის ფურცლებზე რამდენიმე შესანიშნავი ორატორული ძეგლია აღბეჭდილი. ისინი არიან კლასიკური ეპოქის გამონაშუქით შთაგონებული ხელოვნების პროდუქტები, რომლებიც თავიანთი დროის პოლიტიკურ ვითარებასა და კულტურულ დონეს გვიჩვენებენ. ჩვენთვის მნიშვნელოვანია მათი ორატორული მხარე, რაც იმჟამინდელი ზეპირი სიტყვის ჯეროვან წარმატებაზე მიუთითებს და მისი მაღალი სოციალური დანიშნულების მაუწყებელია. ამ მხრივ იქცევს ყურადღებას ხსენებული სადარბაზო სიტყვა, რომლის ტექსტი წარმოდგენილია ქვემოთ:

„ისმინეთ ჩემი, ყოველთა კათალიკოსთა და ეპისკოპოსთა, და წარჩინებულთა სამეფოსა ჩემისათა, ვითარმედ შეისუენა მამამან ჩემმან, დავშთი ყრმა მცირე მძლავრებასა შინა თათართასა, და ღმერთმან ყოვლისა მპყრობელმან, და უფალმან ჩუენმან იესო ქრისტემან, და ყოვლად წმიდამან ღმრთისმშობელმან, რომლისა ნაწილადცა ვართ, და ჯუარმან პატიოსანმან, რომელი მოგუენიჭა ჩუენ მეფეთა, დამიცვა და მიმაწია ასაკად სისრულისა, და მომმადლა მეფობა, სკიპტრა და პორფირი მეფობისა, და თანადგომითა თქუენითა წარვემართე მეფობა, და აქამომდე მშჯდობით ჰგიეს სამეფო ჩემი. აწ განრისხებულ არს უაენი, და ყოველი მთავარი მისი მოუწყუედიან, და აწ მე მიწოდს წინაშე მისსა. ვგონებ ბოროტის ყოფასა ჩემთჳს, თუ არა წარვიდე ურდოსა. და წარვიდე მთიულეთს, სიმაგრეთა შინა, და დავიცვა თავი ჩემი, და აჰა ყოველი სამეფო ჩემი წინაშე მათსა ძეს, იხილეთ რავდენი სული ქრისტიანე სიკუდილსა მიეცემის და ტყუე იქმნების, და ეკლესიანი შეიგინებიან და

მოოკრდებიან, ხატნი და ჯუარნი დაიმუსრვიან. და უკეთუ წარვიდე ყაენს წინაშე, დასტურობით უწყი მომკლავს. და აწ სიბრძნითა თქუენითა განაგეთ საქმე ესე, რამეთუ მე ესრეთ ვგონებ: მრავალმღელვარე არს საწუთო ესე, დაუდგრომელ და წარმავალ, დღენი ჩუენნი სიზმრებრ და აჩრდილებრ წარვლენ, და უნებელ და მსწრაფლ თანა-გუაც წარსლვა სოფლისა ამისგან. რა სარგებელ არს ცხოვრება ჩემი, უკეთუ ჩემთჳს მრავალი სული მოკუდეს და მე ტჳრთ-მძიმე ცოდვითა განვიდე სოფლისა ამისგან. აწ მნებავს, რათა წარვიდე ყაენს წინაშე, და იყოს ნება ღმრთისა: უკეთუ მე მომკლან, ვგონებ რომე ქუეყანა უვნებელად დარჩეს"[1].

დემეტრე თავდადებულის სიტყვა მძიმე ხვედრით განწირული მეფის გულახდილი განდობა და წრფელი ანდერძია. ის წარმოთქმულია დიდი სიყვარულისა და მტკიცე ერთგულების მორალური ძალით. სამშობლოსადმი უანგარო მიმართებით გამოწვეული მაღალი ეთიკური განცდა აქ ნაჩვენებია რეალური სიკეთის სახით, რომლის შუქზე გამართლებას პოულობს ერთი შეხედვით უაზრო თავგანწირვა. ზნეობრივი ხასიათის დასკვნებს ორატორი აყალიბებს გონივრული წინამძღვრების გზით. მისთვის ცნობილია, რომ „მრავალმღელვარე არს საწუთრო ესე, დაუდგრომელ და წარმავალ, დღენი ჩუენნი სიზმრებრ და აჩრდილებრ წარვლენ, და უნებელ და მსწრაფლ თანა გუაც წარსლვა სოფლისა ამისგან"; ამიტომ — „რა სარგებელ არს ცხოვრება ჩემი, უკეთუ ჩემთჳს მრავალი სული მოკუდეს და მე ტჳრთ-მძიმე ცოდვითა განვიდე სოფლისა ამისგან", — ამბობს ის, — და მზად არის გმირული საქმით დაამტკიცოს ფაქიზი სიტყვით გამოთქმული აზრი.

დაცემის პერიოდის მიწურულისა და აღორძინების ხანის ნახევრის საისტორიო ძეგლებს სადარბაზო მჭევრმეტყველების ნიმუშები არ შემოუნახავს. ჩვენში ამ დროს შექმნილი სოციალურ-პოლიტიკური ვითარება ხელს უშლიდა დამოუკიდებელ არსებობასა და ორიგინალური შემოქმედების საქმეს. დიდი წარსულის ძალით მოძრავი ეროვნული ენერგია საკმარისი არ აღმოჩნდა ახალი ამოცანების წინანდელი წარმატებით გადასაწყვეტად. ქვეყნის თვითმყოფად კულტურულ მონაპოვარს, რაც ჩვენი ფეოდალური ცივილიზაციის სიამაყეს წარმოადგენდა, გარედან მომდინარე აგრესიული ძალები მიუახლოვდა და განადგურებით დაემუქრა. ქართველი ხალხის ეროვნული დაქვეითების პროცესი შეაჩერა საქართველოს რუსეთთან დაახლოებამ, რამაც გამოიწვია ჩვენი სასიცოცხლო უნარის გაძლიერება და შემოქმედებითი ცხოვრების გაჩაღება.

[1] ქართლის ცხოვრება, II გვ. 287—288.

ასეთ პირობებში, ქართული კულტურის აღორძინების გზაზე, ჯერ საელჩო ორატორული ხელოვნება იჩენს თავს, ხოლო შემდეგ სადარბაზო მჭევრმეტყველება ვითარდება.

ვიდრე ამ უკანასკნელს შევეხებოდეთ საჭიროდ მიგვაჩნია შევჩერდეთ საელჩო მჭევრმეტყველებაზე, რომელიც თავისი ჟანრობლივი სახით სადარბაზო ზეპირი სიტყვის ერთგვარ განშტოებას წარმოადგენს. ასეთი სახის ორატორული ხელოვნება, რაც სადესპანო-საზოციქულო ზეპირი თხრობით ხასიათდება, ჩვენში დადასტურებულია ძველი წელთაღრიცხვის I საუკუნისათვის. ბერძენი ისტორიკოსი დიონ კასიოსი (დაახ. 150—235 წწ. ახ. წ.) თავის „Historia Romana“-ში მოგვითხრობს, რომ იბერიის მეფემ არტოკემ (არტაგმა) რამდენჯერმე მიუგზავნა დესპანები და მშვიდობიანი ურთიერთობა შესთავაზა რომაელ სარდალს პომპეუსს, რომელიც 65 წელს (ძვ. წელთ.) შემოიჭრა იბერიაში[1]. ეს არის ერთი ადრინდელი წერილობითი წყარო, რომელიც მიუთითებს ჩვენში საელჩო მჭევრმეტყველების არსებობაზე, მაგრამ, სამწუხაროდ, არ შეიცავს წარმოთქმული სიტყვების ტექსტებს.

საინტერესოა, რომ იმავე საუკუნის დასასრულის რომის იმპერატორი ოქტავიანე ავგუსტე თავის მემუარულ წიგნში (Res Gestae Divi Augusti, 31,1) იმ ხალხთა შორის, რომლებიც „რომაელებთან მეგობრობას თხოულობდნენ ელჩების მეშვეობით“, ასახელებს იბერებს[2].

კიდევ უფრო საყურადღებოა, რომ ახალი წელთაღრიცხვის დასაწყისის ბერძენი გეოგრაფი სტრაბონი იბერიის საზოგადოების დანაწილების აღწერისას გამოყოფს ქურუმთა „გვარს“, რომელიც განაგებს მეზობლებთან ურთიერთობას[3]. ეს ურთიერთობა, უნდა ვიფიქროთ, დიპლომატიური ხასიათის იქნებოდა და მისი დამყარება, ალბათ, საელჩო მჭევრმეტყველების საშუალებით ხერხდებოდა.

ანტიკური პერიოდის იბერიაში ამავე ხასიათის ზეპირი მეტყველების განვითარებას გვიჩვენებენ მცხეთის მრავალრიცხოვანი ეპიგრაფიული ძეგლები, რომლებიც უცხო სახელმწიფოებთან გაცხოველებულ ურთიერთობასა და ზეპირად მოსაუბრე ელჩთა გაცვლა-გამოცვლას ადასტურებენ[4]. ამასვე მიუთითებს „ქართლის ცხოვრების“

---

[1] Дион Кассий, Римская история, XXXVII, 1—2, გვ. 270—271.

[2] იხ. Г. А. Меликишвили, К истории древней Грузии, გვ. 337 — 338.

[3] სტრაბონი, გეოგრაფია, XI, 3, 6, გვ. 130; ს. ჯანაშია, შრომები, II, გვ. 417; Г. А. Меликишвили, დასახელებული წიგნი, გვ. 311, 318.

[4] ა. აფაქიძე, მცხეთა, გვ. 45.

ცნობა იბერიაში ექვს ენაზე მოლაპარაკე მოსახლეობის შესახებ, რაც გარე სამყაროსთან მჭიდრო პოლიტიკური კავშირებისა და ფართო ენობრივი კომუნიკაციების მაჩვენებელია[1].

შემდეგი წერილობითი ცნობა ჩვენი საელჩო მჭევრმეტყველების თაობაზე, რომელიც დესპანთა დამოწმებასთან ერთად მათს ზეპირ წარმონათქვამსაც შეიცავს, ეკუთვნის VI საუკუნის ბიზანტიელ მწერალს პროკოპი კესარიელს. ის აგვიწერს ბიზანტიის ეკონომიური პოლიტიკითა და მისი პრაქტიკული გამტარებლის — „მეწვრილმანე" იოანე ციბეს მტაცებლობით შეწუხებულ ლაზებს, რომლებმაც ელჩები მიუგზავნეს სპარსეთის მეფეს ხოსრო პირველს და მფარველობა სთხოვეს მას. „როგორც კი ელჩები მივიდნენ სპარსთა ქვეყანაში და ფარულად წარუდგნენ ხოსროს, მიმართეს მას შემდეგი სიტყვით", — ამბობს პროკოპი კესარიელი, — და იქვე ათავსებს სიტყვის ტექსტს. ქვემოთ წარმოდგენილია მისი უმთავრესი ნაწილი:

„თუ მთელი ამ ხნის განმავლობაში შეგხვედრია ისეთები, რომელნიც რაღაც-ნაირად თავისიანთაგან გადამდგარან და სრულიად უცხო ხალხს მიჰკედლებიან — რასაც ადგილი არ უნდა ჰქონოდა — და კეთილად შეტრიალებულ ბედს ისინი კვლავ თავისიანებისთვის დაუბრუნებია უფრო მეტად დაკმაყოფილებულნი, — ირწმუნე დიდებულო მეფე, რომ ასეთები ლაზებიც არიან. კოლხები ხომ ძველთაგანვე სპარსელების მოკავშირეები იყვნენ და ბევრი სიკეთე უყვეს მათ და თვითონაც განიცადეს მათგან: ამის წერილობითი საბუთები მრავალი გვაქვს ჩვენ და შენს სამეფო საგანძურებში ეხლაც არის დაცული, ხოლო შემდეგ ხანებში ჩვენს წინაპრებს მოუხდათ რომაელებთან კავშირის შეკვრა — მოხდა კი ეს ან თქვენი უზრუნველობით იმათზე, ან სხვა მიზეზის გამო (ჩვენ ამის შესაებ დანამდვილებით არაფერი ვიცით)... საჭიროა ითქვას ზოგიერთი რამ, რაც ჩაიდინეს ჩვენ წინააღმდეგ წყეულმა რომაელებმა. ჩვენს მეფეს ხომ მეფობის მხოლოდ გარეგნული ნიშნები დაუტოვეს, ხოლო ძალაუფლება საქმეებში თვითონ მიითვისეს; მეფეც მოსამსახურის ბედში იმყოფება და განმკარგულებელი სტრატეგოსის ეშინიან. უამრავი ჯარიც ჩაგვიყენეს, მაგრამ არა იმიტომ რომ დაიცვან ქვეყანა შემწუხებელთაგან (მოსაზღვრეებიდან სხვა ხომ არავინ გვაწუხებდა ჩვენ გარდა რომაელებისა), არამედ რათა დავემწყვდიეთ ჩვენ როგორც სადილეგოში და ჩვენს ქონებას დაჰპატრონებოდნენ იმ აზრით, რომ უფრო სწრაფად მოეხდინათ ჩვენი ქონების მითვისება... აი, ასეთია მიზეზი ჩვენი განდგომისა და მისი გამართლება

[1] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 16.

მასშივეა. იმ სარჯებლობის შესახებ, რომელიც გექნებათ თქვენ ლაზთაგან, თუ მათ თხოვნას შეიწყნარებთ, ეხლავე მოგახსენებთ. სპარსელთა ძალას თქვენ შეჰმატებთ უძველეს სამეფოს და მისი საშუალებით თქვენი ჰეგემონიის ღირსება გადიდებული იქნება; ხოლო ჩვენი ქვეყნის გზით რომაელთა ზღვას დაუკავშირდებით. აქ თუ ხომალდებს ააგებ, მეფეო, არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენს, რომ ბიზანტიონის პალატს მიაღწიო. გზაზე ხომ არავითარი წინააღმდეგობა არ შეგხვდება. უნდა დაუმატოთ ისიც, რომ თქვენზე იქნება დამოკიდებული, რომ მოსაზღვრე ბარბაროსებმა ყოველ წელიწადს არბიონ რომაელთა მიწა-წყალი. ყოველ შემთხვევაში თქვენ ალბათ იცით, რომ ლაზთა ქვეყანა დღემდე კავკასიის მთების წინააღმდეგ საფარს წარმოადგენდა. მაშ, როდესაც სამართლიანობა გიკარნახებს, ხოლო სარგებლობა თვალსაჩინოა, ვფიქრობთ, მოკლებული იქნება ყოველგვარ გონიერებას, თუ ეს სიტყვები არ იქნება მიღებული"[1].

ლაზთა დესპანების სიტყვა საელჩო მჭევრმეტყველების შესანიშნავი ნიმუშია. ის აგებულია მწყობრი ლოგიკური თანმიმდევრობით; მაგრამ შენიღბულია მოჩვენებითი გულახდილობითა და ოსტატურად მოგონილი უშუალობის გრძნობით. ცხოვლად გამოთქმული აზრი აქ გაღრმავებულია შორსმავალი პოლიტიკური იდეებით და შემაგრებულია ხელსაყრელი ისტორიული არგუმენტებით. ერთი სიტყვით, ლაზთა დესპანების პოლიტიკური მოციქულობა გამოხატულია მოქნილი დიპლომატიური შეფარვითა და მტკიცე გარეგნული დამაჯერებლობით.

შემდეგი დროის საელჩო მჭევრმეტყველების მასალა სპორადულად გვხვდება ქართული საისტორიო წყაროების ფურცლებზე და რაც მთავარია, მოკლებულია ჯეროვან სისრულეს — არ შეიცავს სიტყვების ტექსტებს[2]. ეს გარემოება აძნელებს ჩვენი საელჩო ზეპირი მეტყველების თვალის მიდევნებასა და მისი ისტორიული განვითარების პროცესის წარმოდგენას.

XVII საუკუნის მეორე ნახევარში, — როცა კარგა ხანს არსებული მშვიდობიანი ცხოვრების შედეგად შესამჩნევად მოშენდა ჩვენი ქვეყანა და შესაძლებელი გახდა ეროვნული კულტურის გამოცოცხლება, — ერან-ოსმალეთის წინააღმდეგ მიმართულ პოლიტიკასთან დაკავშირებით გაცხოველდა საქართველოს დიპლომატიური ურთი-

---

[1] გეორგიკა, II, გვ. 48—53.

[2] იხ. ქართლის ცხოვრება, I, გვ. 271, 273, 274, 278—280, 285; ქართლის ცხოვრება, II, გვ. 225, 302, 465.

ურთობა დასაელეთის ქვეყნებთან და შეიქმნა საელჩო მჭევრმეტყველების განვითარების ხელის შემწყობი პირობები. ამ ვითარების შედეგი კარგად იგრძნობა XVIII საუკუნის დასაწყისში, როცა პოლიტიკური ცხოვრების სარბიელს მოევლინენ დიპლომატიური ნიჭით დაჯილდოებული მოღვაწეები: გასპარ ქართველი[1], იოსებ ქართველი[2] და სულხან-საბა ორბელიანი. მათ შორის ეს უკანასკნელი, სხვა ღირსეულ დამსახურებასთან ერთად, ცნობილი ქართველი დიპლომატია, რომლის „მოღვაწეობას წითელი ზოლივით გასდევს ქართველობისათვის ბრძოლის იდეა; ქვეყნის პოლიტიკური მომავლისათვის დაუცხრომელი ზრუნვა“[3].

სახელოვანი ქართველი მწერალი, მეცნიერი და მჭადაგებელი თავისი დროის მსოფლიო საელჩო მჭევრმეტყველების თვალსაჩინო წარმომადგენელია, რასაც ნათლად გვიჩვენებს მისი დიპლომატიური ხასიათის ეპისტოლარული და ორატორული მემკვიდრეობა. ამ მხრივ მეტად მნიშვნელოვანია სულხან ორბელიანის სიტყვა, თქმული ლუი მეთოთხმეტის მიმართ, რომელიც წარმოთქვა პარიზში 1714 წელს, საფრანგეთის მეფესთან მეორედ შეხვედრის დროს. ამ სიტყვის დედანი არ შენახულა. მისი ფრანგული პირი, რომელიც ლუი მეთოთხმეტისათვის წერილობით გადაუცია თ, 1902 წელს გამოაქვეყნა მიქელ თამარაშვილმა წიგნში „ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის“. იქვე დაბეჭდილია სიტყვის ქართული თარგმანი:

აი, ეს სიტყვა:

„პატივი გვაქვს მოვართვათ თქვენს ხელმწიფებას წერილი, რომელიც ჩვენმა წმიდა პაპმა კეთილ ინება და გამოგზავნა საქართველოს მეფის ვახტანგის სასარგებლოდ. მათი უწმიდესობა ამითი ჩვენ ძვირფას შემთხვევას გვაძლევს, რათა მეორეგზის წარვსდგეთ თქვენის მეფობის ტახტის წინაშე, რაის ნებაც კეთილ ინებეთ და გვიბოძეთ. ამ თქვენის მოწყალების განმეორება საკმაოა ჩვენს დასაქალებლად, რათა მარადის გამოუთქმელის სიამოვნებით მოვიგონოთ ეს ჩვენი მგზავრობა, კიდეც რომ ღვთის ნებით სხვა აღარც ერთი სასარგებლო ნაყოფი მოჰყვეს.

რა დიდი ბედნიერებაა აწ ჩვენთვის განვაცხადოთ, რომ ღირსი გავხდით დავსწრებოდით და გვეხილა ყოველივე ის, რაც სხვებს შორიდან აკვირვებს და აოცებს, ვინაიდგან ჩვენის თვალით ვიხილეთ

---

[1] ვ. გაბაშვილი, სულხან-საბა ორბელიანი როგორც დიპლომატი, გვ. 64—66.

[2] მისივე, იოსებ ქართველი, გვ. 111—121.

[3] მისივე, სულხან-საბა ორბელიანი როგორც დიპლომატი, გვ. 73.

თქვენს უაღგუსტოეს ხელმწიფებაში არა მარტო სოლომონის სიბრძნე და დიდება, არამედ დავითის სარწმუნოება და სასოებაც.

დიდებულო მეფეო, სწორედ ამ სასოებით არის, რომ თქვენი ხელმწიფება შეიქმნა მეფეთა შემწე და სარწმუნოების მფარველი თვით იმ დაშორებულ ადგილებშიაც, როგორიც არის ჩვენი ქვეყანა"[1].

თარგმანშიც შეინიშნება ამ საელჩო სიტყვის მშვიდი სიდიადე და დინჯი მედიდურობა, რასაც სისადავით შემკულ ზეპირ მეტყველებაში აქსოვდა მქადაგებლობის ეს დიდოსტატი.

აღორძინების პერიოდის უკანასკნელ ხანებში,—როცა გახშირდა დიპლომატიური ურთიერთობა როგორც საქართველოს სამეფო-სამთავროებში, ისე გარეშე სამეფოებთან, განსაკუთრებით ქართლ-კახეთსა და რუსეთს შორის,—დიდ წარმატებას მიაღწია ჩვენმა საელჩო მშევრმეტყველებამ, მაგრამ ეს ცნობილია არა ორატორული ძეგლების მეშვეობით, არამედ სავარაუდო საბუთების გზით. ასევე ცნობილია გარდამავალი პერიოდის გამოჩენილი დიპლომატი ორატორები: ათანასე ამილახვარი, არტემონ ანდრონიკაშვილი, იოანე მუხრან-ბატონი, სულხან თუმანიშვილი, გარსევან ჭავჭავაძე, სოლომონ ლიონიძე და სხვ.

ასეთია ქართული საელჩო მშევრმეტყველების ისტორიული განვითარების არასრული სურათი. რაც შეეხება აღორძინების პერიოდის სადარბაზო მშევრმეტყველებას, ის საკმარისი სისრულითაა შემონახული და შედარებით უხვი მასალით დასტურდება. ეს მასალა შეიცავს ორატორულ ძეგლებსაც. ერთი ასეთი ძეგლია, მაგალითად, მზეჭაბუკ ორბელიანის სიტყვა, თქმული სახელმწიფო დარბაზში საქართველოს გაერთიანების თაობაზე.

ეს სიტყვა ითქვა ასეთ პირობებში: სოლომონ პირველის გარდაცვალების შემდეგ ტახტის მაძიებელთა შორის იმერეთში ხანგრძლივი ბრძოლა გაიმართა. ერთმანეთს ებრძოდნენ მეფის ძმისწული დავით არჩილის ძე და მეფის ბიძაშვილი დავით გიორგის ძე. ამ ვითარებაში იმერეთის მოწინავე თავადების ჯგუფმა 1792 წელს ერეკლე მეორეს ამერ-იმერეთის გაერთიანების წინადადებით მიმართა.

მეფემ ბჭობა გამართა. ბჭობას ესწრებოდნენ იმერეთის უფლებამოსილი დესპანები: ქაიხოსრო წერეთელი, ევთიმი გენათელი, დოსითეს ქუთათელი, ზურაბ წერეთელი, იოანე აბაშიძე და სხვ.—

---

[1] მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, ჯვ. 324—325.

და ქართლ-კახეთის წარჩინებული ადამიანები: მეფე ერეკლე, გიორგი მეთორმეტე, სოლომონ ლიონიძე, მზეჭაბუკ (ჭაბუა) ორბელიანი და სხვ.

ბეჭობაზე საქართველოს გაერთიანების სასარგებლოდ მგზნებარე სიტყვა წარმოუთქვამს მზეჭაბუკ ორბელიანს. ეს სიტყვა (ვფიქრობთ, ფრაგმენტის ან შემოკლებული ტექსტის სახით) მოთავსებულია პლატონ იოსელიანის ნაშრომში: „ცხოვრება გიორგი მეცამეტისა". ამ ნათქვამია: „პირველი და ძლიერი ხმა ერთობისათვის იყო ჭაბუა ორბელიანისა... მეფე სდუმებდა და ბრძენი ჭაბუა ასმენდა ქუხილისა სიტყვებითა დიდსა საქვეყნოსა სარგებლობასა"[1]. მზეჭაბუკ ორბელიანს უთქვამს შემდეგი:

„ნუ ჰყოვნი, მეფეო! მეფე ერისათვის და არა ერი მეფისათვის! ერი იმერთა ითხოვდა ერთობასა და კავშირსა. ვითარ ეტყვის მეფე უარსა? რისთვის არ მიიღებს თხოვასა? ვიცი და მესმის ჰაზრი თქვენი, მეფეო: ვითარ მოუღო მეფობა შვილიშვილსა ჩვენსა? ესრეთი ჰაზრი უეჭველად არის უბედურებითი იმერთათვის, უსარგებლო ქვეყნისათვის, დამღუპავი ქვეყანისა. — ვითარ მოეღო მეფობა ქართლისა ქართლისა მეფეთა და რაჲ დაჰკარგა საქართველომან დაკავშირებითა ქართლისა და კახეთისა? ვითარ მოეღო მეამბოხეთა არაგვისა ერისთავთა საერისთავო არაგვი? ვითარ მოეღო საუკუნოდ ქსანი ქსნისა ერისთავთა? ბედნიერება ერისა ითხოვს ერთობასა, ძლიერება მეფობისა არის ერთა დაკავშირება!"[2].

მზეჭაბუკ ორბელიანის სიტყვა ანთებულია მხურვალე პატრიოტული პათოსით. ორატორი პირდაპირ, მტკიცედ და გულახდილად მიმართავს მეფეს და მოურიდებლად ამხელს მის მოჭარბებულ სიფრთხილეს. ეროვნული ღირსების ამაღლებით გატაცებული მამულიშვილი, რომლის დევიზია „მეფე ერისათვის და არა ერი მეფისათვის", ერეკლეს მოუწოდებს ხალხის სამსახურისაკენ და ამის მაჩვენებლად ქვეყნის გაერთიანებას მიიჩნევს. ეს საღი და ნათელი მოსაზრება ორატორს გამოუთქვამს პათეტიკური ტონით, მღელვარედ და შთამაგონებლად.

იმავე ბეჭობაზე სიტყვები წარმოუთქვამთ იმერეთის დესპანს ქაიხოსრო წერეთელს და ქართლ-კახეთის წარმომადგენლებს იოანე მუხრან-ბატონსა და დავით ორბელიანს.

ხსენებული საკითხის გადასაწყვეტად მეფეს მესამე დღეს მეორედ მოუწვევია დარბაზის კრება, რომელზედაც სიტყვები წარმოუთქვამთ მზეჭაბუკ ორბელიანს, ანტონ მეორეს, გიორგი მეთორ-

---

[1] პ. იოსელიანი, „ცხოვრება გიორგი მეცამეტისა", გვ. 15—16.

[2] იქვე, გვ. 16; „ქართული მწერლობა", გვ. 206—207.

შეტესა და მეფე ერეკლეს. მათი სიტყვების ტექსტები დაცულია პ. იოსელიანის დასახელებულ წიგნში.

ყოველივე ეს ჩვენი სადარბაზო ორატორული ხელოვნების მაღალი დანიშნულებისა და შესამჩნევი განვითარების მაუწყებელია ძველი ქართული მჭევრმეტყველების უკანასკნელ ეტაპზე.

XIX საუკუნის ზეპირი მეტყველების ისტორია დამოუკიდებელი სახით არ იცნობს სადარბაზო მჭევრმეტყველებას. ახალი კულტურის სარბიელზე ის უთავსდება სადღესასწაულო და სამგლოვიარო ორატორულ ხელოვნებას, რომელთა მეშვეობით გამოხატავდნენ ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის მონაწილენი თავიანთ პოლიტიკურ იდეალებს. ამით აიხსნება ხსენებული დარგების შინაარსობლივი სიღრმე და სიმდიდრე გასულ საუკუნეში.

ამასთან, უნდა აღინიშნოს ერთი ფრიად საყურადღებო მოვლენა: სოციალურ-პოლიტიკური ჩაგვრის წინააღმდეგ ხალხში გაჩაღებული მოძრაობის შედეგად, რაც ჯერ გლეხთა გამუდმებული აჯანყებებით და შემდეგ რევოლუციური ბრძოლით აღინიშნა, XIX საუკუნეში წარმოიშვა და განვითარდა ხალხური საპოლიტიკო მჭევრმეტყველება.

ამ უკანასკნელის ცნობილი წარმომადგენელია სამეგრელოს გლეხთა 1857 წლის აჯანყების მეთაური მჭედელი ჯტუ მიქავა, რომლის რამდენიმე ორატორული გამონათქვამი მოღწეულია ჩვენამდე მეშვეობით. რაც შეეხება ხსენებული მჭევრმეტყველების სხვა მესვეურებს, რომელთა ნაყოფიერი შემოქმედება ბევრი სარწმუნო მასალით ივარაუდება, ისინი, სამწუხაროდ, უცნობი არიან ჩვენთვის მათი სიტყვების დაუცველობის გამო. ასეთ პირობებში მომეტებული მნიშვნელობა ენიჭება უტუ მიქავას გადარჩენილ ორატორულ მემკვიდრეობას, რაც იმდროინდელი ხალხური მეტყველების ერთგვარ ტიპობრივ მაჩვენებლად უნდა ჩაითვალოს.

„ცალმხრივი იქნებოდა უტუს პიროვნების გაშუქება, — წერს მ. კოლხიდელი, — თუ აქვე მოკლედ მაინც არ გავიხსენებდით მის მჭევრმეტყველურ ნიჭს. ამ მხრივ მას ბადალი არ ჰყავდა თავის ამხანაგებში. ის ამით ბუნებით იყო დაჯილდოებული და სხვას რომ თავი ვანებოთ, რუსის ისეთი მოხელენი, რომელნიც უშუალოდ ისმენდნენ მის სიტყვას, მისი ლაპარაკის სიძლიერე-სითამამეს, როგორიცაა ბოროზდინი, ერისთავი, მიქელაძე — გაკვირვებაში ვარდებოდნენ“[1].

---

[1] მ. კოლხიდელი, გლეხების აჯანყება სამეგრელოში და სახალხო ტრიბუნი უტუ მიქავა, გვ 72—73.

აქ ხსენებულ კ. ბოროზდინს უნდა ვუმადლოდეთ უტუ მიქავას სიტყვების გადარჩენას. მან თავისი მოგონების ფურცლებზე მოათავსა სახალხო ორატორის ორი სიტყვა: ერთი — მიმართული რუსი მოხელის ნ. კოლუბიაკინის მიმართ[1], და მეორე — თქმული სამეგრელოს დედოფლის ეკატერინე ჭავჭავაძის წინაშე[2]. ორივე სიტყვის თემას გლეხთა აუტანელი სოციალური ტანჯვა წარმოადგენს. მათ შორის უფრო სრული და მჭევრმეტყველურია პირველი სიტყვა, რომელიც ორატორს უთქვამს სამეგრელოს აჯანყების ჩასაქრობად მოწვეული კოლუბიაკინის დავალებით.

ეს სიტყვა, რომელიც ქვემოთ წარმოდგენილია თითქმის in extenso, ყურადღებას იქცევს დიდი უშუალობითა და პირდაპირი აღიარებით: მსმენელს ხიბლავს მეტყველების ბუნებრივი დინება და ხალასი, ალალი, საღი უბრალოება. ორატორი გულწრფელად გამოხატავს აჯანყებულ გლეხთა საერთო გულისტკივილს და მახვილი ცოცხალი მეტყველებით ასურათებს ხალხის უნწეო მდგომარეობას. მუსაიფის ტონით გამოთქმული გონიერული აზრებით იპყრობს ორატორი მსმენელთა ყურადღებას და იწვევს შეთანხმებულ საერთო თანაგრძნობას.

აი, რა უთქვამს მას:

„ამ ერთი წლის წინათ, ბატონო, ჩვენს ქვეყანას ოსმალთა ჯარი შემოესია, მტერმა გაანიორწყლა ყველაფერი, რაც ხელში მოხვდა. შველა არსაიდანა გვქონია; რუსის ჯარმა თავი დაგვანება, ხოლო ჩვენი ბატონები, იმის მაგიერ რომ დავეფარნეთ, ბიჭებსა და გოგოებსა გვტაცებდნენ და ოსმალებზე ჰყიდდნენ. აუარებელი წაასხეს ოსმალებმა ოსმალეთში. ოსმალები წავიდნენ და ჩვენი ბატონები წინანდელზე უარესად, ოსმალებზე უარესად, მოგვდგნენ. ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ მთელი ჩვენის შრომის ნაყოფი იმათა რჩებათ; მათ რომ კაცმა ჰკითხოს, გლეხს არაფერი უნდა ჰქონდეს, და რაც რამ აბადია, ყველაფერს ართმევენ თუ მოხერხებით არა, ძალით მაინც. ჩვენ ამას შევეჩვიეთ. ამას კიდევ თქვენი ჭირი წაუღია, საქმე ის გახლავსთ, რომ ამბობენ, ვითომ ჩვენ ადამიანის სულიც კი არ უნდა გვედგასო. მათის აზრით, რა პირუტყვი გნებავსთ, ჩვენ არა გვჯობდეს! ვსთქვათ, ბატონს მეზობლის მიმინო მოეწონა, ადგება და ერთ კომლ გლეხს აძლევს მეზობელს, ოღონდ კი იმან ეს მიმინო დაუთმოს; მწევრის ან მეძებრისათვის რამდენსამე კომლს აძლევს. პირუტყვები უფრო მეტად ფასობენ, ვიდრე ადამიანები... გვეჩივლნა? აბა ვისთან გვეჩივლნა? დედოფალი აქედან შორს იყო,

[1] კ. ბოროზდინი, სამეგრელო, გვ. 114—116.

[2] იქვე, გვ. 150—151.

ხოლო მის მდივანბეგებს მებატონეების მხარე უპირავსთ, მათგან ძალდატანების ბეტი არაფერი გვახსოვს, თვითონ დედოფლის მოურავები ისე გაგულქვავდნენ და ისე უდიერად იქცევიან, რომ მისმა საკუთარმა გლეხებმაც-კი გადასწყვიტეს არ დამორჩილდნენ და ხატზე დაიფიცეს — დედოფლის ჩამოსვლამდე ერთმანეთს მხარი დაუჭირონ და ერთიმეორეს არ უღალატონ. ჩვენც მათს მაგალითს მივბაძეთ. გვეგონა, ჩქარა დაბრუნდებოდა; მაგრამ გაიარა თვეებმა, ჩვენ იქით-აქეთ დავეხეტებოდით, ჩვენს ბატონებს ვემალებოდით, და როცა დევნა დაგვიწყეს და ძაღლებით ნადირობდნენ ჩვენზე. ერთად შევერთდით და ძალას ძალა დავუპირდაპირეთ. ამასობაში დადგა გაზაფხული, ყანები არ დათესილა, მებატონენი არ გვითმობდნენ და აღარც ჩვენ ვუთმობდით. ბოლოს, ზაფხულში დედოფალი ჩამოვიდა. მაგრამ რა გამოვიდა? არამც თუ მფარველობა არ გაგვიწია, ყურშიაც არ უნდა შეუშვას ჩვენი გაჭირვება. „როგორ გაჰბედეთ,— გვიბრძანა დედოფალმა, — და ბატონებს ხელი ახლეთო!“ ჩვენი ხელისხლება კი ის გახლდათ, რომ ჩამოვართვით ხაჯალურები და დადიანურები, რომლებითაც ისინი ზოგჯერ მთელის წლობითა გვტანჯავდნენ, და მათს სახლებიდან გამოვიყვანეთ ჩვენი დები და ქალიშვილები, რომლებსაც მოახლეები ერქვათ და ნამდვილად კი მათი ხასები იყვნენ, და ქრისტიანულის წესით გავათხოვეთ... რაც უნდათ, ის გვიყოს, თუნდაც დაგვხვრიტოს ყველანი, მაგრამ ერთმანეთ შეეფიცეთ: არაფრის გულისათვის დავბრუნდეთ აქეთ. აი, ოხრად კი დარჩეს ისეთი სამშობლო, საცა თავიც კი ვერ შეგიფარებია სადმე, საცა შენზე ნადირობენ, გარეულ ნადირსავით დაგდევენ! დედოფალს ყოველივე ეს ესმოდა ჩვენგან და არ მოინდომა ჩვენთვის ეშველნა. იმას თავის დღეში არაფრით დავმუქრებივართ. ჩვენი არაფერი შიში უნდა ჰქონებოდა, არც ავაზაკები ვართ და აღარც მეამბოხენი, უბედურები ვართ, სამართალსა ვთხოულობთ, მეტს არაფერს...“[1].

ასეთია ჩვენი სადარბაზო მქევრმეტყველების ისტორიული განვითარების გზა ჩვენამდე მოღწეული ორატორული ძეგლებისა და მათი შემხები ცნობების მიხედვით. ეს საკმაოდ მდიდარი და საგანგებოდ შენახული მასალა, რომელსაც ორგანული შემადგენლის სახით შეიცავს ბრწყინვალე და უცხოური საისტორიო მწერლობა, ჯეროვანი სისრულით გვისურათებს პოლიტიკური შინაარსის ქართულ მწევრმეტყველებას, რომლის მესვეურებმა, ჩანს, კარგად იცოდნენ, რომ დიდია ძალა თავის დროზე, შესაფერის ადგილას და საჭიროების მიხედვით ნათქვამი სიტყვისა.

[1] კ. ბოროზდინი, სამეგრელო, გვ. 114 — 116.

3. სამხედრო მხედრობა

მსოფლიო მხედრობას ერთი ძველისძველი, წმინდა პრაქტიკული, ზუსტად მიზანძიმართული და წარმოთქმის ვითარებით განსაზღვრული დარგი სამხედრო მხედრობაა. ის კონკრეტული შინაარსის, სხარტული ფორმისა და ექსპრესიული ბუნების გამოყენებითი ორატორული ხელოვნებაა. მისთვის ნიშანდობლივია ეფექტური დამარწმუნებლობა და რიტორული მგზნებარება.

სამხედრო მხედრობა საომარი ოპერაციების რთული პროცესის განუყრელი ელემენტია, რომელიც განსაკუთრებული უშუალობით ხასიათდება და მრავალფეროვანი შემოქმედებითი სახით ვლინდება. მისთვის არსებით სახეთა შორის უმთავრესი ზეპირი მიმართვაა, რასაც დიდი წარმატებით იყენებდნენ ყველა დროისა და ქვეყნის გამოჩენილი მხედართმთავრები. ხშირად რამდენიმე მოხდენილი სიტყვა წყვეტდა ომის ბედს და გამარჯვებით აგვირგვინებდა საბრძოლო მოქმედებას. მსოფლიო ისტორიიდან კარგად ცნობილია მგზნებარე სიტყვით მოპოვებული გამარჯვებანი უთანასწორო ბრძოლის ველებზე, სადაც ადამიანთა ნაკლებობას ცოცხალი სიტყვა ავსებდა და წარმატების სასწორს მეტყველისაკენ ხრიდა. ამით გასაგები ხდება ორატორული სიტყვის ის საპატიო ადგილი და განსაკუთრებული მნიშვნელობა, რაც მინიჭებული აქვს მას საიხედრო ხელოვნებაში, როგორც ძლევისა და გამარჯვების ერთ-ერთ საწინდარს.

სამხედრო მხედრობის ადრინდელი ნიმუშები ჩვენთვის ცნობილია ანტიკური პერიოდის ბერძნულ-რომაული სიტყვაკაზმული და საისტორიო მწერლობის მეშვეობით. ამ მხრივ ფასდაუდებელ სამსახურს გვიწევს საისტორიო ბწერლობა, რომლის ფურცლებზე აღბეჭდილია უამრავი სამხედრო სიტყვა, თქმული ჯარის წინაშე სხვადასხვა დროისა და ქვეყნის სარდლების მიერ იქვე აღწერილია სამხედრო თათბირები, ბჭობა ელჩობანი, აღლუმები და ნაჩვენებია მათი თანმხლები ზეპირი სიტყვის ხელოვნება. ამ გზით დაცული მასალა უმთავრესი პირველწყაროა სამხედრო დარგის მხედრობის სურათის აღსადგენად, რაც საკმარისი სისრულით ხერხდება

ჰეროდოტეს (484—425), თუკიდიდეს (V-IV სს. ზღვარი), ქსენოფონტეს (444—354), პლუტარქეს (I—II სს. ზღვარი), ლივიუსის (59—17 ძვ. და ახ. წ.), ტაციტუსისა (I—II სს. ზღვარი) და სხვათა ნაშრომებით, რომლებშიც ეპოულობთ ალექსანდრე მაკედონელის (356—323), ჰანიბალის (დაახ. 247—183), სციპიონ აფრიკელის (დაახ. 185—129), გნეიუს პომპეუსის (106—48), იულიუს კეისრისა (100—44) და სხვების ორატორულ მემკვიდრეობას. ეს უკანასკნელნი ანტიკური ბერძნულ-რომაული სამხედრო მჭევრმეტყველების უდიდესი წარმომადგენლები არიან.

სამხედრო ორატორული ხელოვნების უმთავრესი პირველწყაროს გვერდით უნდა დავასახელოთ სხვადასხვა სახის ოფიციალური მიმოწერა, ეპისტოლარული მემკვიდრეობა, მემუარული მწერლობა, ეპიგრაფიკული ძეგლები და სხვ., რომლებიც ნათელს ჰფენენ ხსენებული მჭევრმეტყველების ისტორიულ წარსულს.

აქვე უნდა ვახსენოთ სიტყვაკაზმული მწერლობა, რომლის მდიდარ წიაღში უჭკნობი ფორმით შენახულა ბევრი შესანიშნავი ბატალური შინაარსის სიტყვა, რომლებიც სამხედრო მჭევრმეტყველების ერთგვარ ნიმუშებად უნდა მივიჩნიოთ. ამ ხრივ შეუდარებელია ჰომეროსის უკვდავი პოემები, განსაკუთრებით „ილიადა“, რომლის ლექსებში უზადო მხატვრული ფორმით ჩართულია ბევრი ლაშქრული სიტყვა, რომლებიც პოეტურად დამუშავებულ უძველეს ბერძნულ მჭევრმეტყველებას წარმოადგენენ. ბერძნულ-რომაული კლასიკური სამხედრო ზეპირი მეტყველება მეტ-ნაკლები სისრულითა და სიმკვეთრით ასახულია აგრეთვე სხვა ომდროინდელ მხატვრულ ქმნილებებში, მაგრამ მათ ფაქტობრივი ვითარება ნაკლებად დაუცავთ და საისტორიო მნიშვნელობა არ გააჩნიათ.

მომდევნო პერიოდის სამხედრო მჭევრმეტყველება, რომის იმპერიის დაცემის შემდეგ, დაქვეითების გზაზე დგება და დაკნინების პროცესს განიცდის. ასეთი ვითარება გრძელდება გვიანანტიკურ პერიოდსა და საშუალო საუკუნეების პირველ ხანებში, ვიდრე მომძლავრებული ბიზანტიის ბრძოლის ველებზე კვლავ არ გაისმა ახალ-ბერძნულად წარმოთქმული საბრძოლო მოწოდებანი..

ქრისტიანული ეპოქის სამხედრო მჭევრმეტყველების პირველი მძლავრი აღმავლობა შეინიშნება VI საუკუნეში, იუსტინიანეს დროს, როცა დიდი იმპერიის შექმნით გატაცებულმა კეისარმა ძლევამოსილი ომები აწარმოვა დასავლეთისა და აღმოსავლეთის მიმართულებით და საკმარისად მყარი პირობები შეუქმნა ქვეყნის კულტურულ განვითარებას.

ბიზანტიური სამხედრო მჭევრმეტყველების შემდეგ წარმატებას ადგილი ჰქონდა X—XII საუკუნეებში, განსაკუთრებით კომნენების დროს, როცა საომარ და დიპლომატიურ ოპერაციებში გამარჯვებული იმპერატორები — ალექსი, იოანე და მანუელი — სიტყვისა და საჭურველის ძალით ფლობდნენ ევროპისა და აზიის პროვინციებისაგან შექმნილ მრავალხალხოვან სახელმწიფოს.

დაახლოებით იმავე დროს მძლავრი ქრისტიანული სამხედრო მჭევრმეტყველება გაისმის ჯვაროსანთა ბანაკში, საიდანაც დაძრული კათოლიკური ექსპანსია ხანგრძლივი გავლენის ქვეშ აქცევს ევროპის ქრისტიანულ და აზიის მუსულმანურ ქვეყნებს და ძალმომრეობის გზით წარმართავს მათს სახელმწიფოებრივ ცხოვრებას.

ჯვაროსანთა სამხედრო მჭევრმეტყველების ცნობილი წარმომადგენელია პაპი ურბან II (1042—1099).

საშუალო საუკუნეების უკანასკნელ ხანებში მონარქიულ თვითნებობას, ფეოდალურ დახშულობასა და რაინდულ კიდეგანობას მოჰყვა სამხედრო მჭევრმეტყველების ხელახალი დაქვეითება, რასაც ზღვარი დაუდო ახალ ეპოქამ მოწინავე ხალხთა ეროვნული შეგნების ამაღლებამ და პატრიოტული სულისკვეთების გაძლიერებამ. ხსენებულ ეპოქაში ბურჟუაზიული წყობილების ჩასახვასა და განვითარებასთან დაკავშირებით სწრაფი ნაბიჯით წინ წავიდა სამხედრო ხელოვნება, ჩამოყალიბდა მუდმივი ჯარები და აღორძინდა საბრძოლო ტექნიკა. ამ ფაქტორებმა შეაპირობეს ახალი დროის სამხედრო მჭევრმეტყველების მძლავრი განვითარება, რაც განსაკუთრებით რუსეთსა და საფრანგეთში შეინიშნება. დიდი რუსი სამხედრო ორატორებია: პეტრე I (1672—1725), ალექსანდრე სუვოროვი (1729—1800) და მიხეილ კუტუზოვი (1745—1813); დიდი ფრანგი სამხედრო ორატორია ნაპოლეონ ბონაპარტე (1769—1821)[1].

ქართული კლასიკური მჭევრმეტყველების ერთი უძველესი დარგი, რომლის სათავეები დამოწმებულია უცხო წერილობითი წყაროებით, სამხედრო მჭევრმეტყველებაა. უადრესი საისტორიო ცნობები, რომლებიც ჩვენი სამხედრო ორატორული ხელოვნების საწყისებს გვისურათებენ, შეინახულია ლათინურ, ბერძნულ და არამეულ ენებზე. მათ შორის ყველაზე ადრინდელია კორნელი ტაციტუსის ცნობა ქართლის მეფის ფარსმან პირველის სიტყვის ზესახებ, რომელიც მეფეს წარმოუთქვამს ჯარის წინაშე, პართელთა წინააღმდეგ ბრძოლის წინ, ახალი წელთაღრიცხვის 35 წელს. ეს სიტყვა ფრაგმენტის

[1] იხ. Я. Толмачев, Военное красноречие, II, III.

სახით მოთავსებულია ხსენებული ისტორიკოსის „ანალებში“. ფარსმან პირველის სიტყვის ფრაგმენტი განხილულია ქვემოთ (გვ. 219 — 221).

შემდეგი საისტორიო წყარო, რომელიც ქართულ სამხედრო მშენერმეტყველებას უნდა ეხებოდეს, ეპიგრაფიკული ხასიათისაა და მცხეთის არქეოლოგიურ მონაპოვარს წარმოადგენს. ჩვენ მხედველობაში გვაქვს არმაზის ერთენოვანი წარწერა, რომელიც ახალი წელთაღრიცხვის I საუკუნეს მიეკუთვნება და „იერიის საზოგადოების სოციალური განფენების საკითხს“[1] გვისურათებს. ამ წარწერაში ნათქვამია: „მეფე მიჰრდატ, მეფე დიდი, ძე ფარსმან მეფისა დიდისა. მე შ-რ-გ-ს ძემ ზევახ უფლისა, მე შ-რ-გ-ს პიტიახშმა მიჰრდატ მეფისა, სიტყვა, და ასეთი სიტყვა ვთქვი: „თუ იქნებიან...“[2].

ეს ტექსტი ჩვენ იმ მხრივ გვაინტერესებს, რომ აქ ნახსენები სიტყვა, რომელიც შარაგას პიტიახშს უთქვამს, სამხედრო შინაარსისა უნდა ყოფილიყო და, შესაძლოა, ერთგვარ ორატორულ ძეგლს წარმოადგენდა. გამორიცხული არ არის, რომ ის, მსგავსად „ძლევამოსილისა და მრავალი გამარჯვების მომპოვებელი“ იოდმანგანის ხსენებისა არმაზის ბილინგვაში, შარაგას პიტიახშის საომარ წარმატებაზე მოგვითხრობდა და მის წერილობითს უკვდაეყოფას წარმოადგენდა[3].

ამ უკანასკნელ შემთხვევაშიც პიტიახშის სიტყვა, უნდა ვიფიქროთ, მოკლებული არ იქნებოდა თავისებურ მშენერმეტყველებას, რაც საფუძველს გვაძლევს ის ქართული სამხედრო ორატორული ხელოვნების შორეულ ძეგლად ვიეგარაუდოთ.

ჩვენი სამხედრო ორატორული ხელოვნების ქრონოლოგიურად პირველი სრული და მთლიანი ნაწარმოებია კოლხეთის მეფის გუბაზის სიტყვა, თქმული მხედრობის მიმართ მოხირისთან ბრძოლის წინ, 550 წელს. ტექსტი შენახულია ბერძნულ ენაზე VI საუკუნის ბიზანტიელი ისტორიკოსის პროკოპი კესარიელის თხზულებაში. გუბაზ მეფის სიტყვა განხილულია ქვემოთ (გვ. 225 — 227).

მომდევნო ხანისა და შემდეგი პერიოდების ჩვენი სამხედრო მშენერმეტყველება დაცულია ქართულ საისტორიო წერლობაში. მხოლოდ რამდენიმე მოგვიანო ძეგლი გვხვდება უცხო წყაროებში. ასეთია, მაგალითად, დავით აღმაშენებლის სიტყვა, თქმული ხედრობის მიმართ დიდგორის ომის წინ, შენახული ფრანგულ ენაზე XII საუკუნის ისტორიკოსის გოტიე-კანცლერის „ანტიოქიის ომებში“.

[1] გ. წ ე რ ე თ ე ლ ი, არმაზის ბილინგვა, გვ. 42.

[2] იქვე.

[3] იქვე. გვ. 16.

ახალი წელთაღრიცხვის პირველი ათასწლეულის ქართული სამხედრო მჭევრმეტყველების ამსახველი მასალა დაცულია ჩვენი ისტორიის უძველეს წყაროებში. უნდა აღინიშნოს, რომ ეს მასალა შემოვლილი გზით და გაკვრით ეხება საკუთრივ სამხედრო მჭევრმეტყველებას და უფრო სადარბაზო ორატორული ხელოვნების ამსახველ წყაროს წარმოადგენს, მაგრამ მისი მეშვეობით ნათელი ეფინება კერძოდ სამხედრო ზეპირი სიტყვის ისტორიულ სინამდვილესაც. ამ სინამდვილის მიხედვით სავსებით უეჭველია, რომ მჭევრმეტყველურ სიტყვას საპატიო ადგილი ჰქონდა დათმობილი იმდროინდელ სამხედრო ხელოვნებაში. ამას ამტკიცებს, მაგალითად, მეფის კარზე გამართული სამხედრო თათბირები, რომელთა შესახებ ჩვენ, ზემოთ, სადარბაზო მჭევრმეტყველებასთან დაკავშირებით გვქონდა ლაპარაკი.

ხსენებულ წყაროებში დაცულია წმინდა სამხედრო დანიშნულების ზეპირი მიმართეებიც, რომელთა შორის თავისი სიძველითა და სისრულით გამოირჩევა ვახტანგ გორგასლის სიტყვა მხედრობის მიმართ. ეს სიტყვა მოთავსებულია ჯუანშერის მატიანეში — „ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა," სადაც დიდი ადგილი აქვს საერთოდ დათმობილი მეფის ორატორულ დამსახურებას და ბევრგან ხაზგასმულია მისი დიპლომატიური დახელოვნება.

სიტყვა შედგება ისტორიული შინაარსისა და ბიბლიური მოტივების ფენებისაგან, რომლებიც გაერთიანებულია საკმაოდ მძლავრი და მეტყველი გარეგნული ფორმით. ჯერ ნათქვამია ისტორიული სინამდვილის თაობაზე და წარსულისაკენ მცირე ექსკურსით ნაჩვენებია შექმნილი ვითარება — მიზეზი ლაშქრობისა, ხოლო შემდეგ ლაპარაკია ქართველთა ბიბლიურ წინაპრებზე და ლეგენდარული მოტივების მოშველიებით დახატულია წარმოსახული პირობა — საფუძველი გამარჯვებისა.

პირველი ფენის უმძლავრესი ადგილია:

„ანუ არა გასმიანა სასწაულნი, რომელნი ქმნნეს კოსტანტინეზე მეფისა წარძღუანებითა ჯუარისათა, ანუ რომელნი ქუეყანასა ბერძეთსასა იქმნნეს სასწაულნი იულიანეზე მეკერპისა მეფისა? — ვითარ იგი ისარ-მან ზეცისამან მოკლა, და შეკრბეს სპანი ბერძენთანი და ივბიმიანოს აჩინეს მეფედ, ხოლო მან არა თავს-იდვა ვიდრემდის არა დამუსრნეს კერპნი და აღმართნეს ჯუარნი, და მას ზედა დაარქუეს გჳრგჳნი მეფისა"[1].

მეორე ფენის უმძლავრესი ეპიზოდია:

---

[1] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 160—161.

„ხოლო თქუენ, მკჳდრნო ქართლისანო, ნათესავნო მეფეთა ქართლისათანო, რომელნი დღეს მთავრობასა ზედა დადგინებულ ხართ, ჩუენ, მეფეთაგან, რომელნი ვართ ნათესავნი ნებროთ გმირისანი, რომელი უწინარეს ყოველთა მეფეთა გამოჩნდა ქუეყანასა ზედა, რომელი ლომსა ძალითა ვითარცა თიკანსა მოიყვანებდა, კანჯართა და ქურციკთა ქუეითი იპყრობდა. რამეთუ ეზომ განდიდნა ძალი მისი, რომელ დაემორჩილნეს ყოველნი ნათესავნი ნოესნი, ვიდრემდის შეუძლო ქმნად ქალაქი, რომლისა ქვად შექმნა ქვა ოქროდ, და ხარისხად ვეცხლი, და გარემოს მისსა მოიქმოდა აგურითა და კირითა, ხოლო ქუდნი კართა და სარკმელთანი იაკინთისა და ზურმუხტისანი შექმნა; რამეთუ მათისა ნათლისაგან ვერ შეუძლებდა დაბნელებად ღამე“[1].

ერთი მთლიანი ტექსტი — დავით აღმაშენებლის სიტყვის თარგმანი, რომელიც მეორე ათასწლეულის დასაწყისის ისტორიულ ვითარებას გვიჩვენებს, როგორც ითქვა, ფრანგი ისტორიკოსის გოტიეს მიერ მოთავსებულია 1122 წლის მახლობლად დაწერილ წიგნში „ანტიოქიის ომები“, საიდანაც ის ქართულად გადმოიღო და გამოაქვეყნა ზ. ავალიშვილმა თავის ნაშრომში „ჯვაროსანთა დროიდან“, რომელიც გამოიცა 1929 წელს პარიზში.

ზ. ავალიშვილის ნაშრომში დავით აღმაშენებლის სიტყვა მოთავსებულია დამატების სახით. ის ერთვის ავტორის წერილს „გარშემო ერთის ომისა“. ამ წერილში ლაპარაკია დიდგორის ომის ფრანგულ საისტორიო წყაროზე, რომელიც ეკუთვნის გოტიე-კანცლერს. წერილის ავტორის ჩვენებით „ანტიოქიის ომებში“ XVI მუხლის ქვეშ გოტიე გვაცნობს ჯერ სიტყვის წარმოთქმის პირობებს და შემდეგ თვით სიტყვასაც, სიტყვის ტექსტს წინ უძღვის შენდეგი: „... მეფე დავითი, წმინდა ჯვარის ნიშნით აღჭურვილი, ოთხმოცი ათასი მიდიელ და ქრისტიანე მეომრით, მოაწყო რა რაზმები, ერთ ხეობაში დადგა, ორ მთათა შუა დაბურულ ტყეში, საიდანაც, ხმები ყო, რომ მტერნი შეტევას უპირებდენ, დადგა და წარმოსთქვა ესრეთ...“. ამას მოსდევს თვით სიტყვა, სიტყვის ტექსტის შემდეგ ნათქვამია: „ამისთანა მეფის, ამ ჭეშმარიტის და სრულის ქრისტიანის, აზრი მოწონებული, მიღებული და შესრულებულიც ყოფილა“[2].

დავით აღმაშენებელს უთქვამს შემდეგი:

„ეჰა, მეომარნო ქრისტესნო! თუ ღვთის სჯულის დასაცავად წესიერად ვიბრძვით, ჩრამც თუ ეშმაკის ურიცხვ მიმდევართა.

---

[1] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 161.

[2] ზ. ავალიშვილი, ჯვაროსანთა დროიდან, გვ. 66—67.

არამედ თვით ეშმაკებსაც ადვილად დავამარცხებთ, და ერთს რამეს გირჩევთ, რაც ჩვენი პატიოსნებისათვის და სარგებლობისათვის კარგი იქნება: ესაა რომ ჩვენ ყველამ, ხელთა ცისადმი აღპყრობით, ძლიერ ღმერთს აღთქმა მივცეთ, რომ მისი სიყვარულისათვის ამ ბრძოლის ველზე უფრო მოვკვდებით, ვიდრე გავიქცეთ; და რომ არ შეგვეძლოს გაქცევა, რომც მოვინდომოთ, ამ ხეობის შესავალი, რომლით შევსულვართ, ხეთა ხშირ ხორგებით შევკრათ, და მტკიცე გულით მტრებს, როცა მოგვიახლოვდებიან ჩვენზე იერიშის მოსატანად, სასტიკად შევუტიოთ"[1].

მიუხედავად იმისა, რომ დავით აღმაშენებლის სიტყვა წარმოადგენს თარგმანის თარგმანს, შეიძლება ითქვას, ის ქართული სამხედრო მშვერმეტყველების დამახასიათებელი ქმნილებაა. ორატორი შეკავებული მრისხანების მძაფრი სულისკვეთებით აესებს მეომრებს და დინჯი სიტყვის ნელი ცეცხლით აწრთობს მათ მძინვარე გულისწყრომას. ის დიდი იმედით ნათელმოსილი გულიდან ავლენს შინაგან ღელვას და უკიდურესი გარეგნული სიმშვიდით ქმნის რაინდული შემართების განწყობილებას.

ასეთივე მაღალ ორატორულ ნათქვამს წარმოადგენს გიორგი მესამის სიტყვა, თქმული მხედრობის მიმართ ქალაქ ანისისათვის ბრძოლის წინ, რომელიც დაცულია თამარ მეფის პირველი ისტორიკოსის თხზულებაში.

ანისისათვის ბრძოლა საკმაო დაწვრილებითა და დიდი სისწორითაა აღბეჭდილი ხსენებულ პირველწყაროში, სადაც ნათქვამია: „ხოლო მეფემან მტკიცედ აზეებულმან ჰუნესა ზედა ჯმითა მით ხოსროვანითა გასცა ღაღადი და სწავლა გულსა მჴედართასა..."[2], და იქვე წარმოდგენილია სიტყვის შემდეგი ტექსტი:

„კაცნო ძმანო, ერთსულნო და ერთრჯულნო! თუ რაზომ დიდად კეთილ არს საღმრთოთა სჯულთა და ქრისტეს სახარებისათჳს სიკუდილი, რომელნი სამარადისოდ ვნატრით ქრისტეს კუალთა შემდგომთა და მომკუდართა მათ თჳს ბუნებითა მკუდართა სხეულთაგან. და ხედავთა, თუ რაოდენ უფრო სასახელო არს მჴნებრივ სიკუდილი, ვიდრეღა სენითა განდნობითა განლეულებასა შინა, რამეთუ სახე და სახელი კეთილისა საუკუნოდ გზად გუყუების. რამეთუ გუასმიეს ძუელთა მომთხრობელთაგან, თუ რაოდენნი კუეთებანი თავს ისხნეს საღმრთოთა სჯულთათჳს ტომმან ებრაელთამან არტარქსერქსის ზე, ელენთა — ოდეს-ოგი იძღუანებოდეს თემისტოკლეოს

[1] ხ. ა ვ ა ლ ი შ ვ ი ლ ი, ჯვაროსანთა დროიდან, გვ. 66—67; ქართული მშვერმეტყველება, გვ. 154.

[2] ქართლის ცხოვრება, II, გვ 8.

მიერ უცთომელისა სპასპეტისაგან სოფლისა მჭონებელსა მძლესა არტარქსერქსის ზედა, რომელმან ზღუაცა მტკიცე ყო უომრად სპაებთათჳს, ხოლო ათინელთა ერთისა ოდენ ქალაქისაგან უკუნრღუეულ იქმნა. აწ ფრთოვანნო ლომნო ჩემნო, ჩემთჳს განლახურილისა აღვიხუნეთ ლახუარნი და ოროლნი, და უგმირნეთ ურწმუნოთა ღვთაებისა მისისათა"[1].

გიორგი მესამის სიტყვა დედნის საბით მოღწეული ორატორული ქმნილებაა, რომელიც უშუალო და გულწრფელი ლაშქრული მეტყველების კლასიკურ ოსტატობას გვაცნობს. ის დიდი ექსპრესიით გამოხატული პატრიოტული ღაღადია, მოქცეული უმჭიდროეს სიტყვიერ ქსოვილში და გაშლილია აზროვნების ფართო დიაპაზონით. ორატორი ზეპირი შესიტყვების ძალით გამაგრებული იდეური საჭურველით აიარაღებს მსმენელს და ამზადებს მას თავგანწირული ლაშქრობისათვის.

ამავე წრის ორატორული ძეგლებია მხარგრძელთა ორი მოხსენება, მიმართული თამარისადმი და თამარის ორი სიტყვა, წარმოთქმული შამქორის ომის თაობაზე, პირველი — ვაზირების მიმართ, ხოლო მეორე — მხედრობის წინაშე. მხარგრძელთა მოხსენებანი, ჩვენ, ზემოთ, სადარბაზო მჭევრმეტყველებასთან დაკავშირებით განვიხილეთ, თამარის სიტყვებს აქ შევეხებით.

ისინი მოთავსებულია ბასილი ეზოსმოძღვრის საისტორიო თხზულებაში. აქ პირველი სიტყვის წინ ნათქვამია: „ესმა ესე ყოველი თამარს და მოუწოდა ყოველთა ვაზირთა თჳსთა და შეიქმნა გამორჩევა. უბრძანა ჭყონდიდელსა ანტონის არა ავითა გულითა, არცა დედაკაცურითა სიტყჳთა, არამედ ესრეთ..."[2], და იქვე წარმოდგენილია სიტყვის შემდეგი ტექსტი:

„ისწრაფეთ დაწერად და მიმოდადევით ბრძანება, რათა მსწრაფლ შემოკრბეს მჭედრობა. და კუალად მიუმცენით ყოველთა ეკლესიათა და მონასტერთა, რათა დაუცადებელნი ღამისთევანი და ლიტანიაობანი აღესრულებოდიან ყოველსა ადგილსა, და წარგზავნეთ ფრიადი საფასე და საჴმარი გლახაკთათჳს, რათა მოიცალონ ლოცვად და მოწყალე ყონ ღმერთი, ნუ სადა თქუან წარმართთა: სადა არს ღმერთი იგი მათი"[3].

მეორე სიტყვის წინ ნათქვამია: „და ათსა შინა დღესა, ვითარცა გროი შავარდენთა, მოფრინდა ყოველი მჭედარი, ყოვლით-კერძო,

---

[1] ქართლის ცხოვრება, II, გვ. 8; ქართული მჭევრმეტყველება, გვ. 157—158.
[2] ქართლის ცხოვრება, II, გვ. 125.
[3] იქვე.

სავსენი სიხარულითა, რომელნი ძალით იპყრობოდეს თავთა შინა თჳსთა. შეკრბეს სომხითს შინა. და მივიდა თამარ და იხილნა; დაყვნეს მცირედნი დღენი მათცა ლოცვისათჳს. მერმე რჩუა მათ...“[1]; და. იქვე წარმოდგენილია სიტყვის შემდეგი ტექსტი:

„ძჳანო ჩემნო, ყოველად ნუ შეძრწუნდებიან გულნი თქუენნი სიმრავლისა მათისათჳს და სიმცირისა თქუენისა, რამეთუ ღმერთი ჩუენ თანა არს. გასმია გედეონისთჳს სამასნი და სიმრავლე ურიცხჳ მადიამელთა მათ მიერ მოწყუედილი; კუალად ასურასტანელთა ბაჳნაკი ლოცვითა ეზეკიელისითა წამსა შინა ანგელოზისა მიერ დაცემულნი? მხოლოდ ღმერთსა ოდენ მიენდვენით და გულნი თქუენნი სიმართლით იპყრენით წინაშე მისსა და სასოება ყოველი ჯუარისა მიმართ ქრისტესისა იყავნ: შეისწრაფეთ ქუეყანად მათდა შეწევნითა ყოველად წჳდისა ღმრთისმშობელისათა და ძალითა უძლეველისა ჯუარისათა წარემართენით“[2].

თამარ მეფის სიტყვები ქართული სამხედრო მწერლობის შესანიშნავი ნიმუშებია. ისინი გაჯერებულია მშობლიური სიყვარულისა და გულწრფელი უშუალობის ნათელი გრძნობით და გამსჭვალულია სიმართლისა და გამარჯვების ჯანსაღი რწმენით. განსაკუთრებით საყურადღებოა მეფის მეორე სიტყვა. მტკიცე და დაჯერებული გულით ბრძოლისაკენ მოუწოდებს დედოფალი თავის მცირერიცხოვან ლაშქარს და ამხნევებს მას სამართლიანი ომების ბიბლიური მაგალითებით. მთელი სიტყვა მგზნებარე შთაგონებით აღსავსე მიმართულია, რომლის წერში მოქცეული მსმენელი მოზღვავებით განიცდის წარუშლელ ზეგავლენას და გულმინდობით ემორჩილება მთქმელის ნება-სურვილს.

აღსანიშნავია, რომ თამარის გარეგნობის აღწერისას ისტორიკოსს არ გამორჩენია მისი „ულიზღო სიტყჳს სინარნარე“[3], რაც აქ დიდი „შემკულობის“ ერთ ღირსეულ მხარედაა მიჩნეული და, ამასთან, როგორც ვნახეთ, ბევრი ფაქტობრივი მასალითაა დამოწმებული.

ქართული მწერლობის ისტორიის ერთ საგულისხმო მოვლენას ის წარმოადგენს, რომ კლასიკური პერიოდის აყვავებულ სამხედრო მწერლობას დაქვეითება არ განუცდია ჩვენი სახელგწიფოებრივი ცხოვრებისა და კულტურის დაცემის ხანაში. პირიქით, შეიძლება ითქვას, რომ XIII-XV საუკუნეებში, აგრესიულ

---

[1] ქართლის ცხოვრება, II, გვ. 125—126.

[2] იქვე, გვ. 126; ქართული მწერლობა, ტ. 10ბ.

[3] ქართლის ცხოვრება, II, გვ. 116.

ძალთა განუწყვეტელი შემოტევის პირობებში, კიდევ უფრო ამაღლდა ჩვენი მეომრების მორალური სულისკვეთება და განსაკუთრებული ძალით გაისმა ქართველ მხედართმთავართა პატრიოტული სიტყვა. ამის დამამტკიცებელ საბუთებს უხვად ვპოულობთ დაცემის პერიოდის საისტორიო მწერლობაში, განსაკუთრებით ჟამთააღმწერლის „მონღოლთადროინდელ ისტორიაში“, რომლის ფურცლებზე ორატორულ სიტყვებთან ერთად აღბეჭდილია მათი წარმოთქმის პირობები და პრაქტიკული გამოყენების მაჩვენებლები.

ერთი ასეთი ორატორული სიტყვა ეკუთვნის მესხეთის განდიდებულ მთავარს ბექა ჯაყელს, რომელიც ცხოვრობდა XIII საუკუნის მეორე ნახევარში, მონღოლთა ბატონობის დროს. ბექა ჯაყელი ემორჩილებოდა საქართველოს მეფეს დემეტრე თავდადებულს და თანაც მონღოლთა ყაენს აბაღას ემსახურებოდა. ასეთი ვითარების პირობებში ის მეტად მოქნილ პოლიტიკას აწარმოებდა და თავის ვრცელ სამფლობელოს თითქმის დამოუკიდებლად მართავდა.

ბექა ჯაყელი იყო მანდატურთუხუცესი. მან ეს წოდება შთამომავლობით მიიღო, მაგრამ გონიერი დიპლომატური მიმოხრით შეინარჩუნა. ეს მეტად გამრჯე და ენერგიული მთავარი მარჯვედ განაგებდა დიდ სამთავროს, რომელიც გადაჭიმული იყო ტაშისკარიდან კლარჯეთის უკიდურეს საზღვრებამდე. ცნობილია მისი ღვაწლი მესხეთის კეთილდღეობისათვის გაწეული და ამავე მიზნით შედგენილი საკანონმდებლო ძეგლი „წიგნი სამართლისა კაცთა შეცოდებისა ყოველისაჲ“[1], რომელიც ძველი მართლმსაჯულების საყურადღებო განძს წარმოადგენს.

ბექა ჯაყელის მმართველობის დროს სამხრეთ საქართველოს მოუღოდნელად თავს დაესხნენ რუმის თურქები. მათ სათარეშოდ აქციეს სამცხის დიდი ნაწილი ტაო და ძარცვა-გლეჯით ააწიოკეს მშვიდობიანი მოსახლეობა.

ბექა ჯაყელმა დაუყოვნებლივ შეკრიბა ჯარი, მოუხმო მახლობელი სამთავროების მეთაურებს, გააერთიანა სამხედრო ძალები და მოხერხებული გეგმით დაამარცხა და განდევნა შემოსეული მტერი.

თურქთა წინააღმდეგ ლაშქრობის წინ ბექა ჯაყელს მგზნებარე სიტყვა წარმოუთქვამს ერისმთავრებისა და ჯარის მიმართ.

ამ სიტყვის ტექსტი შენახულია ჟამთააღმწერლის ისტორიაში, სადაც ნათქვამია, რომ ბექა ჯაყელმა „მოუწოდა ყოველთა წარჩინებულთა სამცხისათა, შავშ-კლარჯთა, შემოკრიბნა ყოველნი

---

[1] ი. დოლიძე, ძველი ქართული სამართალი, გვ. 295—316.

და რქუა..."[1] ამას მოსდევს სიტყვის ტექსტი. დასასრულ, აღნიშნულია: „და ვითარ ესმა მთავართა და სპათა ბექასთა, სიხარულით მიემოწმნეს, და დააპირეს ლაშქრობა თურქთა ზედა"[2].

აი, თვით სიტყვა:

„ისმინეთ, მთავარნო საქართველოსანო, ძმანო და თანამონათესავნო ჩემნო, სიტყუა ჩემი. დიდმან და სახელოვანმან, სკიპტრისა და პორფირისა მქონებელთა შორის უმეტეს განთქმულმან მეფემან დავით დასცა და დაამჴო ძლიერება თურქთა ნათესავისა და აოტნა სამეფოსაგან მისისა. მიერ ჟამითგან აქამომდე არღარა ჩენილ არიან თურქნი, და აწ ცოდვათა ჩუენთათჳს კუალად აღიძრნეს მძჭნვარედ და მოაოჴრეს ტაო, და ურიცხჳ სული ტყუე ყვეს და მოსწყჳდეს პირითა მახჳლისათა, ეკლესიანი დასცეს, და სიწმიდენი შეაგინეს, და კუალად განმზადებულ არიან ბოროტის ყოფად ქრისტეანეთა და მოოჴრებად, ვინათგან მეფე შემცირებულ არს მძლავრებისაგან თათართასა, და კუალად პირნი და თავნი საქართველოსანი განდგომილან, და არავინ არს წინააღმდგომ თურქთა. აწ ისმინეთ ჩემი, ტომნო და ერთ-ნებანო! შევკრბეთ ყოვლითა ძალითა ჩუენითა და მივმართოთ თურქთა, და არა მივსცნეთ თავნი და შვილნი ჩუენნი, და არა განგუწჳრნეს ღმერთმან მოსავნი მისნი და აღმსარებელნი მისნი, და მოგუცეს ძლევა მათ ზედა, ვითარ მისცა მამათა ჩუენთა ძლევა მათ ზედა. დავდვათ თავი ჩუენი სჯულისა შეუგინებლობისათჳს და ძმათა ჩუენთათჳს, უეჭველად ღმერთი მოგუანიჭებს ცხოვრებასა"[3].

ბექა ჯაყელის სიტყვა ჩვენი სამხედრო მჭევრმეტყველების ბრწყინვალე ქმრიელებაა. ის მხურვალე გულით წარმოთქმული ლაღი და მედიდური მოწოდებაა, რომელიც მოსალოდნელი უბედურების წინააღმდეგ ამხედრებს ლაშქარს და ამაღლებს მის საბრძოლო განწყობილებასა და მორალურ სულისკვეთებას. სიტყვის იდეურ წყაროს ნათლად ცნობიერი პატრიოტული გრძნობა წარმოადგენს, რომლის ძალით შთაგონებული ორატორი ერთსულოვანი თავდაცვისა და გმირული ბრძოლისაკენ მოუწოდებს თანამემამულეებს და მტრისადმი წმიდა სიძულვილით აფხიზლებს მათ ეროვნულ თვითშეგნებას. ბექა ჯაყელის სიტყვა გამართულია მტკიცე ენობრივი ფორმით, რომლის ძარღვიანი სტილი მკვეთრად გადმოსცემს სათქმელის აზრს და ენერგიულ გაელენას ახდენს მსმენელის გრძნობასა და ნებისყოფაზე.

---

[1] ქართლის ცხოვრება, II, გვ. 311.

[2] იქვე, გვ. 312.

[3] იქვე, გვ. 311—312; ქართული მჭევრმეტყველება, გვ. 167.

XV საუკუნის საისტორიო წყაროში, ე. წ. მცხეთის სიგელში, დაცულია ერთი სამხედრო შინაარსის ორატორული ძეგლი, რომელიც ახალს არაფერს შეიცავს სამეტყველო ხელოვნების მხრივ, მაგრამ საყურადღებოა იმით, რომ ინარჩუნებს ძველი წარმატების დონეს და გამოხატავს თავისი დროის ვითარებას. ეს არის თ ე ო დ ო რ ე კ ა თ ა ლ ი კ ო ს ი ს სიტყვა, თქმული მხედრობის მიმართ ლორის ციხისათვის ბრძოლის წინ.

თეოდორე კათალიკოსი XV საუკუნის პირველი ნახევრის საეკლესიო მოღვაწეა. ის თანამედროვეა საქართველოს მეფის ალექსანდრე პირველისა, რომელიც მეფობდა 1412—1443 წლებში. 1427 წლის ერთი გუჯარი (მცხეთის ნუსხა № 38) თეოდორეს იხსენიებს კათალიკოსად[1]. ის მოხსენებულია აგრეთვე 1433 წლის საისტორიო საბუთში (მცხეთის სიგელი № 333, ნუსხა № 203), რომელსაც ხელს აწერს მეფე ალექსანდრე I. აქ აღწერილია ლორის ციხის აღებისა და მისი საქართველოსთან შემოერთების ფაქტი, რასაც ადგილი ჰქონდა 1431 წელს.

ამ საბუთში ნათქვამია: „სულისა მოძღუარმან და მეოხმან პატრონმან კათოლიკოზმან თეოდორე... უსაზომოდ მოიჯირვეს: პირველად ვედრებითა ღმერთისასა, და კუალად და კუალად ლაშქართა მიმცნებითა“[2]. როგორც ვხედავთ კათალიკოს თეოდორეს „ლაშქართა მიმცნებით“ მხურვალე მონაწილეობა მიუღია ლორის ციხის აღებაში. მას წარმოუთქვამს მოკლე სიტყვა მხედრობის წინაშე და პატრიოტული სულისკვეთებით აღუფრთოვანებია საომრად გამზადებული ლაშქარი.

თეოდორე კათოლიკოსს უთქვამს შემდეგი:

„ამა უსჯულოთა, აგარის ნათესავთა, ანდრონიკეს შვილი ალასტნელი გიორგი მოუკლავს, და მრავალნი ქრისტიანენი წამებითა აღუსრულებიან და დაუტყუე[ვე]ბიან, და ტახტი მეფეთა განურყუნია, და საპატიონი და ცამდის მაღალნი საყდარნი შეურაცხ უქმნიან, სახლსალოცველი ქუაბ-ავაზაკთა უქმნია და უნეთა მათთათუის საყოფად განუჩენია.

აწ ბრძოლეთ ძლიერად, და დაღათუ ვინმე ომსა შიგან აღსასრული მიიღოთ ქრისტესთუის წამებულთა გუერდის მითუალვით, და დაღათუ ვინმე დაკოდითა ანუ დაშავებითა, და რათაცა ტკივილითა იტანჯებით — ყოველსავე ქრისტე მისად ნების მყოფელად და სამსახურად მიითუალავს!“[3]

---

[1] თ. ჯ ო რ ბ ე ნ ი ა, ქრონიკები, II, გვ. 230.

[2] იქვე, გვ. 242; ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე, წვრილი შტუდიები..., გვ. 13.

[3] ქართული მწერლობა, გვ. 171—172.

მიუხედავად იმისა, რომ XV—XVIII საუკუნეების საისტორიო მწერლობას არ შემოუნახავს სამხედრო მჭევრმეტყველების მთლიანი ძეგლები და არც დამოუკიდებელი სახით გვხვდებიან ისინი იმდროინდელ ნუსხებში, გვაქვს საფუძველი ვიფიქროთ, რომ სამხედრო ორატორული სიტყვა განვითარების გზაზე იდგა ხსენებულ ეპოქაში და ღირსეულად ასრულებდა თავის მაღალ დანიშნულებას. ამ მოსაზრების საფუძველს გვაძლევს იმავე საისტორიო მწერლობის ფურცლებზე გაკვრით აღნიშნული ბევრი ფაქტი, რომლებიც იმის მაუწყებელია, რომ ქართული ლაშქრული მეტყველება ამჯერადაც აქტიურად მონაწილეობდა ქვეყნის თავდაცვის საქმეში.

ერთ ასეთ ფაქტს გვიზიარებს XVIII საუკუნის ისტორიკოსი სეხნია ჩხეიძე, რომელიც თავის „მეფეთა ცხოვრებაში" მოგვითხრობს ლევან ბატონიშვილის მიერ ქართველთა მცირერიცხოვანი რაზმით ბელუჯთა დიდი მხედრობის დამარცხებას ბანდარის მახლობლად, 1699 წელს. ბრძოლის მონაწილე ისტორიკოსის ჩვენებით მხედართმთავარს რაზმი ჯერ რუსთველის სიტყვით გაუმხნევებია და შემდეგ ძლევამოსილ შეტევაზე გადაუყვანია. ს. ჩხეიძე წერს: „მოვიდა ამბავი ჩამოხდომისა მათისა ადგილსა კლდოვანსა, გვიანებეს ლაშქრისა სიმცროო, ორი ათასითა კაცითა ორნი სარდალნი არიანო. ჰკრეს ქანარასა, ვახსენეთ სახელი ღუთისა, დარჩომილ იყო დღისა ორი საათი; შეჯდა ბატონიშვილი ლევან, მზემან ღუთისამან, ასე სიხარულით მივსდიოდით, ვითარცა ქორწილსა შინა წვეული ვყოფილვიყავით, მაგრამ ჩვენის ჯარის სიმცროო გეიმძიმდა, ახლდა თათარი ავ-კარგათ ექვსასი ოდენ, ქართველნი — ორმოცნი. ბრძანა პატრონმა ჩვენმა ლექსი:

„უგანგებოდ ვერას მიზმენ, შე-ცა-მებან ხმელთა სპანი"[1].

ამგვარ ფაქტებსა და მსგავს მოვლენებს ხშირად ვხვდებით ვახუშტი ბატონიშვილის, პაპუნა ორბელიანის, ომან ხერხეულიძის, ფარსადან გორგიჯანიძისა და სხვათა საისტორიო ნაშრომებში. იგივე ითქმის იმავე პერიოდის სიტყვაკაზმულ მწერლობაზე.

რაც შეეხება კერძოდ ვეფხისტყაოსანს, ის საუკუნეთა მანძილზე წარმოადგენდა ხალხის მბნეობის დაუშრეტელ სულიერ წყაროს, რომლის ცხოველმყოფელი ნაკადი ჩქეფდა ქართულ ეროვნულ ენერგიაში და უკვდავების ნექტარით ასაზრდოებდა მთელ საქართველოს. ამიტომ ათქმევინა არჩილ მეფემ შოთა რუსთველს:

„საქართველო სავსე არის, ჩემი წიგნი ყველგან გაჰქუხს,
ვის ლბინი აქვს, მას უბნობენ, ანუ გული ვისცა უწუხს"[2].

[1] საქართველოს ცხოვრება, გვ. 11.

[2] არჩილი, გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა, სტრფ. 78, 1—2.

ჩვენთვის ამჟამად საყურადღებოა ქვეყნის ჰირისა და ლხინის ამ დიდი მონაწილის — ვეფხისტყაოსნის ფურცლებზე აღბეჭდილი გრანდიოზული საომარი სამყარო, რომლის გამომხატველი პოეტური ენამზეობა სამხედრო მშვერმეტყველებას ენათესავება, უკეთ, მის უმაღლეს სახეობას წარმოადგენს.

ვეფხისტყაოსნის ლაშქრული სურათები წერილობითი სამხედრო მშვერმეტყველების გენიალური ნიმუშებია, რომელთა მსგავსი პლასტიკური სიტყვაკაზმულობა და რელიეფური ამსახველობა ძნელი საპოვნელია ქრისტიანული ეპოქის მხატვრულ ლიტერატურაში. მდიდარი კაზმულობით, მღელვარე დრამატიზმითა და ლაკონიური სიმჭიდროვით დამშვენებული საომარი სცენები, თათბირები, მიმართვები და შესიტყვებანი ვეფხისტყაოსანში თვალწარმტაცი ელვარების შუქით გვიჩვენებენ გმირთა მოქმედებას და წარუშლელ შთაბეჭდილებას ახდენენ მსმენელის გრძნობასა და ცნობიერებაზე. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია „ტარიელისაგან ხატაეთს წასვლა და დიდი ომი“, ავთანდილის ბრძოლა მეკობრეების წინააღმდეგ, და გმირთა თათბირი. აქ მძლავრი საომარი შემართებისა და გმირული ბრძოლის კოლორიტული ჩვენებით გამოირჩევა ტარიელის ბევრი ორატორული ნათქვამი — სამხედრო მშვერმეტყველების ეს უბადლო პოეტური შედევრები.

მეტად მძლავრად გაისმის ჩვენი საისტორიო მწერლობით შემონახული საომარი სიტყვების გვერდით რუსთველის პოეტური გენიით გამართული საბრძოლო ენამჭევრობა, რაც არსებითად საქართველოს ბრძოლის ველებზე წარმოთქმული სიტყვების „ლექსად გარდათქმას“ წარმოადგენს და მათი ორატორული ელფერისა და პატრიოტული პათოსის უკვდავმყოფელია.

ასეთ სურათს ქმნის ჩვენი ძველი სამხედრო ორატორული ხელოვნების ზოგადი გათვალისწინება.

ქართველი ხალხის სამხედრო მშვერმეტყველების ხმა გაისმოდა XIX საუკუნეშიც, როცა „ქართული დროშა რუსეთის დროშასთან ერთად არა-ერთხელ გამოსულა საომარს ველზედ და მის წინამძღვარობით და სახელით ქართველობას არა-ერთხელ დაუღვრია თავისი სისხლი რუსებთან ერთად“[1].

ახალი ქართული კულტურის სარბიელზე ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის წარმომადგენლებს არა ერთხელ გამოუთქვამთ თავიანთი საბრძოლო განწყობილება ორატორული სიტყვის

---

[1] ი. ჭავჭავაძე, კატკოვის პასუხად, გვ. 9.

სახით. ასეთი სახის მეტყველება ხშირად მოისმის XIX საუკუნის პერიოდული პრესის ფურცლებიდან. იმდროინდელი ქართული ჟურნალ-გაზეთები არა მარტო ჩვენი ხალხის შინაურ ცხოვრებას აშუქებდა, არამედ ხშირად შორეული ქვეყნების საჭირბოროტო მოვლენებს ეხებოდა და უცხო ერების გამათავისუფლებელ ბრძოლებს ეხმაურებოდა.

გასული საუკუნის საარქივო, ეპისტოლარულ და მემუარულ მასალებშიც მოიპოვება სამხედრო მჭევრმეტყველების საყურადღებო ძეგლები. ზოგიერთი მათგანი დამოუკიდებელი სახითაა შემონახული და განსაკუთრებული ინტერესის გამომწვევია. ასეთია, მაგალითად, ნინო ორბელიანის სიტყვა, თქმული ქართველ თავად-აზნაურთა მხედრობის მიმართ 1877 წლის 9 მაისს, შენახული ხელნაწერის სახით და დაცული საარქივო მასალებში. ამ სიტყვისადმი ინტერესს აძლიერებს ისიც, რომ მისი მთქმელი ქართველი მანდილოსანია, რომელიც და-ძმური სიყვარულითა და მშობლიური გრძნობით აღსავსე მჭევრი სიტყვით აცილებს ჯარს რუსეთ-თურქეთის ომის ფრონტზე და ქართველი დედის ტრადიციული სულისკვეთებით დგას სამშობლოს დაცვის სადარაჯოზე.

აი, ეს სიტყვა:

„ნება ჭიბოძეთ მეც ორიოდ სიტყვით გამოვხატო ჩემი გრძნობა თქვენდამი, ძვირფასნო ძმანო.

ჩვენ თქვენი დანი და ერთმიწაშვილნი თანაგრძნობელნი ვართ თქვენი ჭირში და ლხინში. თუმცა ბუნებას ისე დაუჩაგრავართ, რომ არა გვაქვს ნება, არცა ძალა, რომელ ჩვენც აღვიჭურვნეთ საომრად და საშველად მამულისათვის, მაგრამ წმინდის გრძნობით და სასოებით მარადის თქვენთან მყოფნი გილოცავთ გზასა და ვეედრებით ზეგარდმო მამასა, რომელმან განაგრძოს სიცოცხლე თქვენი მრავალჟამიერ და მოგცესთ მხნე გული და ძლევა მტერზედა, და სიხარულით მოგაბრუნოსთ ჩვენად დიდებად და იმედად, ამინ.

გილოცავთ ცრემლით დროშას. გიძღოდესთ ჯვარი მფარველად და მხსნელად გყავდესთ იესო"[1].

ყოველივე ის, რაც ითქვა ზემოთ, იმას მოწმობს, რომ ჩვენში მუდამ მძლავრად გაისმოდა სამშობლოსათვის თავდადებულ ადამიანთა ხმა. ასეთი ვითარება ადვილი ასახსნელია: ქართველი ხალხის განუწყვეტელი ბრძოლა უთვალავი მტრის წინააღმდეგ საუკუნეთა მანძილზე ასაკლდევებდა ჩვენს ეროვნულ ნებისყოფას და ხელს უწყობდა არა მარტო სამხედრო ხელოვნების განვითარებას, არამედ

[1] ხელნაწერი H — 2742 გ.

მისი თანმხლები მჭევრმეტყველების აყვავებასაც. ამ ისტორიული პირობით აიხსნება უმთავრესად ჩვენი სამხედრო ზეპირი სიტყვის ნაადრევი წარმოქმნა და ხანგრძლივი არსებობა.

ამრიგად, ქართული კლასიკური მჭევრმეტყველება ორგანული შემადგენლის სახით შეიცავს სამხედრო ზეპირ ძეტყველებას, რომლის ოსტატები ხშირად გამამხნევებელი სიტყვით ავსებდნენ საკუთარ ძალთა ნაკლებობას და გამარჯვებით აგვირგვინებდნენ უთანასწორო ბრძოლებს, რადგანაც სწამდათ ქართული სიბრძნე: ენით მრავალმა აჯობა ხელით მრავალსო.

4. სამოსამართლო მჭევრმეტყველება

მსოფლიო მჭევრმეტყველების ისტორიაში სამოსამართლო ორატორული ხელოვნება საპოლიტიკო ზეპირი მეტყველების პარალელურად ვითარდებოდა თითქმის ყოველთვის და მისსავე წარმატებას იზიარებდა ხანგრძლივი დროის განმავლობაში. მათი ანალოგიური წინსვლის პროცესი გრძელდება მთელი ადრეანტიკური, გვიანანტიკური და საშუალო საუკუნეების მანძილზე. მხოლოდ ახალი ეპოქის სამოსამართლო მჭევრმეტყველება ჩამორჩა საპოლიტიკო ზეპირ მეტყველებას და შედარებით ვიწრო პროფესიული გზით წარიმართა ბურჟუაზიული წესწყობილების პირობებში. ამ ვითარებას სათავე მისცა საფრანგეთის რევოლუციამ, რომლის განთქმულმა ორატორებმა თავიანთი მგზნებარე პოლიტიკური მჭევრმეტყველებით დაჩრდილეს ყველა სხვა დარგის ორატორული ხელოვნება, მათ შორის სამოსამართლო ზეპირი სიტყვაც. მიუხედავად ამისა XVIII საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში წინსვლის გზაზე დგას ფრანგული სამოსამართლო მჭევრმეტყველება, ხოლო XIX საუკუნის მეორე ნახევარში ის რუსულ სამოსამართლო მეტყველებასთან ერთად აღწევს განვითარების უაღრესად მაღალ დონეს. ამ პერიოდის რუსეთისა და საფრანგეთის საზოგადო მოღვაწეებმა, მწერლებმა და ვექილებმა თავიანთ ორატორულ შემოქმედებაში ერთმანეთს შეუთავსეს საპოლიტიკო და სამოსამართლო საკითხები და არსებული სოციალურ-პოლიტიკური წყობილების წინააღმდეგ მიმართეს სამოქალაქო მოტივებით გაჟღენთილი ბასრი მეტყველება.

ადრეანტიკურ პერიოდში მკვეთრი საზღვარი არ არსებობდა სამოსამართლო და საპოლიტიკო ორატორულ სფეროებს შორის. მართალია, თავდაპირველად ბერძნულმა მჭევრმეტყველებამ ფეხი აიდგა სამოსამართლო ლოგოგრაფიის სახით, მაგრამ ამ უკანასკნელს ჩქარა ცვლის დამოუკიდებელი ზეპირი სიტყვა, რომელიც მოკლე დროში იქცევა მძლავრ პოლიტიკურ ენამჭევრობად. საგულისხმოა, რომ ბერძნული ორატორული ხელოვნების ამ წარმატების უდიდესი გამომხატველი დემოსთენე თავის შემოქმედებითს

არსებაში აერთიანებდა დიდ სახელმწიფო მოღვაწესა და დახელოვნებულ იურისტს. მისი უბრწყინვალესი ორატორული ძეგლები „გვირგვინის შესახებ“ და „მანკიერი ელჩობის თაობაზე“ საპოლიტიკო და სამოსამართლო მჭევრმეტყველების ერთიანობის კლასიკური ნიმუშია. ხსენებული ერთიანობის მაგალითს წარმოადგენს რომაული მჭევრმეტყველების უდიდესი წარმომადგენლის ციცერონის ორატორული შემოქმედებაც, რომლის ძირითად სფეროებს უშუალოდ დაკავშირებული სახელმწიფო და სამოსამართლო საქმეები შეადგენს.

მიუხედავად ყოველივე ამისა ადრეანტიკურ პერიოდში ცხადად შეინიშნებიან წმინდა სამოსამართლო დარგის ორატორებიც, რომელთა პროფესიულ შემოქმედებას არსებითად იურიდიული საქმიანობა განსაზღვრავს. მათ შორის განსაკუთრებით გამოჩენილი ორატორია ლისია (დაახ. 459—380); მასთან ერთად შეიძლება დავასახელოთ ლიკურგე (დაახ. 390—327), ესქინე (დაახ. 389—314) და ჰიპერიდე (დაახ. 389—322). ისინი ბერძნული სამოსამართლო რიტორიკის წარმომადგენლები არიან.

უფრო მოგვიანებით, ძველი წელთაღრიცხვის უკანასკნელ ხანებში, რომაული საპოლიტიკო მჭევრმეტყველების გეერდით აყვავდა მისი უახლოესი განშტოება სამოსამართლო ორატორული ხელოვნება, რომლის გამოჩენილი წარმომადგენლებია მარკუს კატონი (234 — 149), კვინტუს ჰორტენზიუსი (114—50) და მარკუს ციცერონი (106—43). მათ შორის, როგორც ზემოთ ითქვა, უდიდესია ციცერონი.

ამის შემდეგ, მთელი გვიანანტიკური და საშუალო საუკუნეების ხანგრძლივ მანძილზე, შესამჩნევი არაფერი მომხდარა სამოსამართლო მჭევრმეტყველების ისტორიული განვითარების აზრით. მსოფლიო ქრისტიანულმა კანონიკამ, განსაკუთრებით კათოლიკური ინკვიზიციის გაბატონების შემდეგ რომაულ ქვეყნებში, არარაობად აქცია ბერძნულ-ლათინური სამართლისა და მჭევრმეტყველების კლასიკური ტრადიციები და მიწასთან გაასწორა თავისუფალი აზრის ყოველგვარი ნასახი. ამ მხრივ მსოფლიო ისტორიის უმძიმესი პერიოდია XIII—XVII საუკუნეები.

უფრო ადრე, ბიზანტიური კულტურის აყვავების ხანაში, ჯერ კიდევ ცოცხლობდა ხსენებული ტრადიციები, რაც უმთავრესად თავს იჩენს იუსტინიანე პირველის კოდიფიკაციის სახით, მაგრამ ბევრი არაფერი გაკეთებულა მათი შემდგომი განვითარებისათვის.

მდგომარეობა შეიცვალა მხოლოდ XVIII საუკუნეში. თავდაპირველად ეს აღინიშნა ფრანგული სამართლის თეორიასა და

პრაქტიკაში[1]. საფრანგეთის პოლიტიკური ცხოვრების ასპარეზზე გამოჩნდნენ ახალი წრთობის სახელმწიფო მოღვაწეები, რომელთა ინტელექტუალურ პროფილს უმთავრესად იურიდიული განათლება განსაზღვრავდა. ისინი ხალხის სახელით იბრძოდნენ ფეოდალური ადათ-წესების წინააღმდეგ ცხოვრებასა და სასამართლოში, და ბურჟუაზიული წყობით შეპირობებულ სამართალს იცავდნენ ყოფიერებასა და მართლმსაჯულებაში. ამ მოძრაობამ ფართო გასაქანი პოვა საფრანგეთის რევოლუციის დროს, როცა ძველი და ახალი სოციალური ფორმაციების ბრძოლა ბურჟუაზიის სასარგებლოდ წარიმართა და მისი გამარჯვებით დაგვირგვინდა. ეს დიდი მნიშვნელობის კლასობრივი ჰიდილი ხელს უწყობდა საპოლიტიკო და სამოსამართლო მჭევრმეტყველების განვითარებას, რასაც მსოფლიო დანიშნულების აზრი აღმოაჩნდა XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან. ამ დროს შემოღებული ნაფიც მსაჯულთა სასამართლო და მანამდე დაარსებული პარლამენტი აჩქარებდნენ აგრეთვე ხსენებული დარგების ისტორიულ წინსვლას. ამრიგად, სამი უმთავრესი მოვლენა — ფეოდალური პარლამენტი, ბურჟუაზიული რევოლუცია და ნაფიც მსაჯულთა სასამართლო — წარმოადგენდა ფრანგული მჭევრმეტყველების, კერძოდ, სამოსამართლო ორატორული ხელოვნების განვითარების მიზეზს XVIII საუკუნეში. ამ ხელოვნების ცნობილი წარმომადგენლებია: ფრანსუა-დენი ტრონშე (1726—1806), გიჟან-ბატისტ ტარჟე (1733—1807), ისაკ-რენე-გი ლე-შაპელიე (1754 — 1794) და სხვ.

XIX საუკუნეში წარმატებით გრძელდება ფრანგული სამოსამართლო მჭევრმეტყველების ისტორიული წინსვლა, რასაც ამ დროს დაარსებულმა საადვოკატო კავშირმაც შეუწყო ხელი, და უმაღლესი განვითარების დონეს აღწევს ეს მსოფლიო მნიშვნელობის ორატორული შემოქმედება. ამ შემოქმედების გამოჩენილი ოსტატებია: გიონ-ფრანსუა-ანტუან ტურე (1782—1832), პიერ-ანტუან ბერიე (1790—1868), ფილიპ დიუპენი (1795—1846) და სხვ.[2]

ასეთივე მაღალი წარმატების დონეს აღწევს XIX საუკუნეში რუსული სამოსამართლო მჭევრმეტყველება. ამ წარმატებას უმთავრესად ხელი შეუწყო 1864 წელს რუსეთში ჩატარებულმა სამოსამართლო რეფორმამ, რაც ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს დაარსებასა და ნაფიც ვექილთა ინსტიტუტის შემოღებაში გამოიხატა.

---

[1] იხ. А. Тимофеев, Очерки по истории красноречия, გვ. 64—167.

[2] იხ. Е. М. Ворожейкин, Суд присяжных и судебное красноречие Франции XIX века, გვ. 5—16.

ამიერიდან მეფის რუსეთის სასამართლო ეყრდნობოდა შედარებით ღრმა ძიებისა და ფართო საჯაროობის პრინციპებს და თუმცა წმინდა კლასობრივ აპარატს წარმოადგენდა, რომელიც მხოლოდ მემამულეთა და ბურჟუაზიის ინტერესებს იცავდა, მაგრამ თავისი მართლმსაჯულების პროგრესული მხარეებით ხელს უწყობდა სამოსამართლო მეცნიერების განვითარებას[1]. ამ ვითარების შედეგი თავს იჩენს XIX საუკუნის მეორე ნახევარში. ამ დროს მაღალი ორატორული ხელოვნების ფორმით იმოსება რუსული სამოსამართლო ზეპირი სიტყვა, რომლის იდეური შინაარსი ღრმად წვდება საზოგადოებრივი ცხოვრების ბევრ უარყოფით და მახინჯ მხარეს. ეს ძლიერი მეცნიერება ითავსებს ქვეყნის სოციალური და პოლიტიკური უკუღმართობის წინააღმდეგ ბრძოლის მოტივებს და მეტად ფართო დანიშნულების ფუნქციით გეევლინება დიდი რევოლუციური ძვრების წინაშე მდგომ სახელმწიფოში. აზრათ, ფორმითა და მიზნით ამ მოწინავე მეცნიერების სახელოვანი წარმომადგენლებია: ვლადიმერ სპასოვიჩი (1829—1908), პეტრე ალექსანდროვი (1838—1893), თედორე პლევაკო (1842—1908), ანატოლ კონი (1844—1927), ნიკოლოზ კარაბჩევსკი (1851—1925) და სხვ.

ქართული სამოსამართლო მეცნიერების ისტორიული წარსულის ერთ მაჩვენებელს წარმოადგენს იოანე პეტრიწის „განმარტების“ ბოლოსიტყვაობაში დაცული ცნობა „მეპაექრობის“ შესახებ[2]. ამ ტერმინით პეტრიწი სამოსამართლო მეტყველებას გულისხმობს და ორატორული ხელოვნების ძირითად სახეთა შორის იხსენიებს მას. ეს საგულისხმო ცნობა სარწმუნოდ ხდის ხსენებული დარგის არსებობას ჩვენში, მაგრამ მისი სათანადო სისრულით შესასწავლად საჭიროა ზოგიერთი სხვა საკითხის გარკვევაც. ასეთია, მაგალითად, დამცველთა ინსტიტუტის არსებობისა და მასთან მოსაზღვრე საკითხების წრე.

სიამოვნებით უნდა აღინიშნოს, რომ ქართული სამართლის ისტორიის ეს საკითხები დღეს საკმაოდ შესწავლილია ჩვენი მეცნიერების მიერ. მათ შორის უმთავრესი დამსახურება მიუძღვის ივანე ჯავახიშვილს, რომელმაც განუზომელი ამაგი დასდო ძველი ქართული იურისპრუდენციის შესწავლის საქმეს. მან შექმნა ჩვენი სამართლის ისტორია და ნათელი მოჰფინა ეროვნული კულტურის ამ-

[1] Е. Ворожейкин, М. Выдра, Предисловие, გვ. 10.
[2] იოანე პეტრიწი, შრომები, II, გვ. 223.

მეტად მნიშვნელოვან სფეროს. ასეთ მყარ და სარწმუნო ნიადაგზე დაყრდნობით წინათ ბევრი უცნობი და ბუნდოვანი მოვლენა იქნა გარკვეული ხსენებული მიმართულებით თანამედროვე მეცნიერებაში. ამ მოვლენათა რიგს ეკუთვნის ბრალდებულის დამცველთა არსებობის საკითხი ძველ საქართველოში.

ვიდრე მას შევეხებოდეთ, უნდა ავღნიშნოთ, რომ ჩვენი სამართლის პირველწყაროებსა და მასალებში მოიპოვება ბევრი საყურადღებო დოკუმენტი, რომელთა შინაარსი ან ადასტურებს რაიმე არსებულ მოვლენას, ან მიუთითებს რომელიმე სავარაუდო ფაქტზე. ასეთი პირდაპირი და არაპირდაპირი ჩვენების გზებით უცილობლად დასტურდება დამცველთა ინსტიტუტის არსებობა ჩვენში უძველესი დროიდანვე.

ერთ ასეთ გზას წარმოადგენს სიგელ-გუჯრების ჩვენებანი, რომელთა შესწავლამ ასეთ დასკვნამდე მიიყვანა აკად. ი. ჯავახიშვილი: „საფიქრებელი ხდება, რომ ბრალდებულთ სასამართლოში დამცველებიც შეიძლება ჰყოლოდათ, რომელნიც ბრალდებულის პასუხისმგებლობისაგან განსათავისუფლებლად, თუ მოსალოდნელი მსჯავრის სიმკაცრის შესამსუბუქებლად მოსამართლეს სხვადასხვა საბუთსა და მოსაზრებას უდგენდნენ. ასეთ დამცველს „მეოხი“ რქმევია“[1].

ქვემოთ მეცნიერი განაგრძობს:

„ბრალდებულისა და მეოხის „წარმოდგომა და წინაშე საყდრისა წარდგომა“, როგორც ჩანს, სასამართლოს წარმოების სავალდებულო წესი უნდა ყოფილიყო“[2].

აქ დამცველის ფაქტობრივ დამოწმებასა და უფლებრივ ფუნქციებთან ერთად ნახსენებია მისი უძველესი ქართული სახელწოდება მეოხი, რაც დღეს გავრცელებული უცხო წარმომავლობის — არაბული ვექილისა და ლათინური ადვოკატის შესატყვისია. მათ შორის პირველს იცნობს ძველი ქართული წყაროებიც. ასე, მაგალითად, პროფ. ილ. აბულაძის მოწმობით სამოციქულოს თარგმანის ერთი ძველი ხელნაწერის კაბადონის კიდეზე ეფრემ მცირე აღნიშნავს: „შეისწავე, რამეთუ ამას სჯნოლოროსსა, რომელ არს თანა-მოსარჩლე, მესხთა მიერ ვარჭირი ჰქჳან, მიზდებით მოყვანებულსა მოსარჩლესა“[3].

იმავე ტერმინს საბა ასე განმარტავს: „თანამოსარჩლე, ვაჭირი მიზდური მოსარჩლე, რომელ არს სვინოლროსი“. ორივე განმარ-

---

[1] ი. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, II, 1, გვ. 497.

[2] იქვე, გვ. 498.

[3] საქმე მოციქულთა, გვ. 012 — 013.

ტების მიხედვით არაბული ვარქარი || ვაქილი || ვაქარი იგივე ბერძნული სჯნოღოროსი || სვინოღროსი || სვინაღროსი დღევანდელ ქართულში გავრცელებული ვექილის შესატყვისია, რომლის გვერდით ძველ ქართულში თვითმყოფადი წარმოშობის მეოხიც არსებულა.

ეს არის ამ ჩვენებათა ერთი მხარე.

აქ არის მეორე, კიდევ უფრო მნიშვნელოვანი მხარე, რომელიც გვაცნობს ხსენებული ცნების სხვა ქართულ ფორმებსაც. ეს ფორმებია: თანა-მოსარჩლე და მოსარჩლე. როგორც ჩანს, ეს ტერმინებიც ყოფილა გავრცელებული ძველად ჩვენი სამართლის წარმოებაში. ამასვე ძიუთითებენ დამცველის გვიან დამოწმებული სახელები: ქომაგი და მონაცვლე-კაცი, რომლებიც არსებული წყაროების მიხედვით XVIII საუკუნის კუთვნილებად უნდა მივიჩნიოთ. ამ უკანასკნელი წოდების აზრი ნათლად განსაზღვრულია დავით ბაგრატიონის მიერ „საქართველოს სამართლისა და კანონთმცოდნეობის მიმოხილვაში“, რომლის 750—753 მუხლებში ნათქვამია:

„Поверенные должны быть люди испытанной честности, деятельности, безпристрастия и исправно знающие своё дело.

Когда поверенный возьмет на свои руки какое-нибудь дело, то обязан иметь попечение о скорейшем окончании процесса и о сохранении интересов“[1].

ამ საყურადღებო ცნობით, შეიძლება ითქვას, გადამწყვეტი ძალა ენიჭება იმ მოსაზრებას, რომლის მიხედვით საქართველოში ადრიდანვე უნდა არსებულიყო საგანგებო უფლებით აღჭურვილი დამცველთა ინსტიტუტი. ამრიგად, მართებულად უნდა მივიჩნიოთ თანამედროვე მკვლევართა დადებითი დასკვნები ბრალდებულის დამცველთა არსებობის შესახებ ძველ საქართველოში.

ერთი ასეთი დასკვნა ეკუთვნის პავლე ინგოროყვას, რომელიც „მერჩულეთა“ ინსტიტუტის რაობასთან დაკავშირებით შემდეგს აღნიშნავს: „მე-10—11 საუკუნეებში საქართველოში ყოფილან მეცნიერი იურისტები, რომელთაც ეწოდებათ „მეცნიერნი საბჭოთა საქმეთანი“. ბაგრატ IV-ის ცნობილი სიგელიდან ირკვევა, რომ „მეცნიერნი საბჭოთა საქმეთანი“ საგანგებოდ მოიწვეოდნენ ხოლმე სახელმწიფოს უზენაესი ორგანოს — სახელმწიფო დარბაზის — სხდომაზე რთული იურიდიული საკითხების განხილვის დროს“[2].

---

[1] დ. ბაგრატიონი, საქართველოს სამართლისა და კანონთმცოდნეობის მიმოხილვა, გვ. 346.

[2] პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, გვ. 23.

სპეციალურ ნარკვევში — „ადვოკატთა ინსტიტუტის შესახებ ძველ საქართველოში“ — მკვლევარი აპ. როგავა საისტორიო ხასიათის არგუმენტების გათვალისწინებამ ასეთ დასკვნამდე მიიყვანა: „საქართველოში უძველეს დროიდანვე, არაუგვიანეს IV საუკუნისა (ფოთის აკადემიის არსებობის დროიდან), არსებობდა ადვოკატთა, პროფესიონალ „მეოხთა“ ინსტიტუტი, რომლის მრავალსაუკუნოვან პროფესიულ-კულტურულ ნიადაგზე XI—XIII საუკუნეებში, ცხადია, უნდა წარმოშობილიყო ადვოკატურის უფრო განვითარებული ფორმა“[1].

ბაგრატ მეოთხის ცნობილ სიგელში ხსენებული „მეცნიერნი საბჭოთა საქმეთანი“ პ. ინგოროყვას მართებული აზრით საერო სამართლის დარგის საგანგებო წარმომადგენლებია, რომლებიც თავიანთი სპეციალური განათლებისა და მაღალი თანამდებობის კვალობაზე აწარმოებდნენ საბჭოთა საქმეების კვლევა-ძიებას[2]. სამართლებრივი საქმეების ასეთი წარმოება, უნდა ვიფიქროთ, მწყობრად გამოთქმული აზრების დაპირისპირებით ანუ პაექრობით მიმდინარეობდა და მხარეთა კამათის სახით ტარდებოდა. ამის დასტურს წარმოადგენს იმავე დოკუმენტის ცნობა: „რომელი სიტყჳს გებაჲ იყო მათ შორის, მოვისმინეთ“[3].

საგულისხმოა, რომ აქ და სხვა იმდროინდელ ძეგლებში, პაექრობის აზრით ხსენებული სიტყვისგება შემდეგ ხანებში ბრალდებულის თავისგასამართლებელ სიტყვას შეერქვა[4]. ეს ერთი საბუთია იმისა, რომ ქართული სამართლის უძველესი ტრადიციები მუდამ აქტიურ ძალას იჩენდნენ ეროვნული მართლმსაჯულების წარმოებაში. ამავე წარმოების სიმტკიცის მაჩვენებელია ჩვენი მდიდარი, ტევადი და პროგრესული კლასიკური კანონმდებლობა, რომლის წერილობით ძეგლებს უხვად მოუღწევია ჩვენამდე თითქმის ყოველი მნიშვნელოვანი ეპოქიდან და ფრაგმენტული თუ სრული სახით შემოუნახავს ძველი სამართლის მშობლიური მონაპოვარი.

ეს საუნჯე თავისთავად მეტყველებს იმის თაობაზე, რომ ქართველებს მისი შესაფერისი სამოსამართლო მჭევრმეტყველება უნდა ჰქონოდათ თავის დროზე, მაგრამ, სამწუხაროდ, ამ უკანასკნელს მოსალოდნელი სიუხვით არ მოუღწევია ჩვენამდე. პირიქით, ერთი შეხედვით სრულიად მოულოდნელი სიცარიელე იქცევს ჩვენს ყურა-

---

[1] აპ. როგავა, ადვოკატთა ინსტიტუტის შესახებ ძველ საქართველოში, გვ. 38.

[2] იხ. პ. ინგოროყვა, დასახელებული წიგნი, გვ. 23.

[3] საქართველოს სიძველენი, II, გვ. 3.

[4] ი. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, II, 2, გვ. 497.

დღებას სამოსამართლო ორატორული ხელოვნების სფეროში, სადაც მხოლოდ საგანგებო დაკვირვებით შეიძლება მივაგნოთ ჩვენთვის მნიშვნელოვან ისტორიულ ფაქტებს.

ამ ფაქტების მიხედვით ქართული სამოსამართლო მჭევრმეტყველება შეიძლება გაიყოს ორ ნაწილად, რომელთაგან პირველი ბერძნულ-რომაულ გავლენას ატარებს, და უფრო ადრინდელია, ხოლო მეორე ორიგინალური შემოქმედებით ხასიათდება, და შედარებით გვიანდელია. ეს უკანასკნელი თავისი წარმოქმნის დროთი ემთხვევა ხსენებული გავლენის დასასრულს და შემდეგ საკუთარი გზით განაგრძობს განვითარებას თვითმყოფადი ეროვნული კულტურის საფუძველზე.

პირველი სახის მჭევრმეტყველების სრული და ტიპობრივი ნიმუშია კოლხთა წარმომადგენლის საბრალმდებლო სიტყვა გუბაზ მეფის მკვლელთა გასამართლებაზე[1]. ეს სიტყვა და მისი შემხები ცნობები დაცულია აგათია სქოლასტიკოსის საისტორიო თხზულებაში. ამ ცნობების მიხედვით, ბიზანტიის კეისარმა იუსტინიანემ, რომელსაც კარგად ჰქონდა შეგნებული კოლხეთთან კავშირის დიდი მნიშვნელობა, 554 წელს, არქეოპოლისში მოაწყო გუბაზ მეფის მკვლელთა გასამართლება. სასამართლოში საბრალმდებლო სიტყვა უთქვამს კოლხთა წარმომადგენელს. ამ ორატორის სახელს ისტორიკოსი არ ასახელებს. მას ნათქვამი აქვს: „კოლხთა კაცები, რომელნიც ბრალმდებლებად იყვნენ დანიშნულნი, წამოდგნენ მაშინვე, როდესაც მსაჯულმა გამოუცხადა — თქვენი ბრალდებები წამოაყენეთ თუ გსურთო — და, რადგან საბრალდებო ბევრი ჰქონდათ სათქმელი, თქვეს შემდეგი“[2]... ამას მოსდევს საბრალმდებლო სიტყვის ტექსტი.

კოლხთა წარმომადგენლის საბრალმდებლო სიტყვა მწყობრი მეტყველებისა და თანმიმდევრული მსჯელობის იშვიათი მაგალითია. ის გამართულია მყარი და პირდაპირი ლოგიკური შენებით და განმტკიცებულია ზუსტად მიზანმიმართული ეფექტური არგუმენტებით. მთელი ქმნილება მჭიდროდ შეკრული და უხარვეზოდ შეერთებული ნააზრევია, რომლის იდეურ საყრდენს საზღვრავს ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე სამართლიანი შურისგება. ამ შინაარსობლივ მხარეს სიტყვაში ძალას აძლევს გულგრილობის საფარველით შენილბული შინაგანი გზნება, რომლის სინათლით შეფერილია ნაწარმოების გარეგნული სახე. აზრის, ფორმისა და დამაჯერებლობის

---

[1] ქართული ნაკვერმეტყველება, გვ. 116 — 121.

[2] გეორგიკა, III, გვ. 129.

ჰარმონიული შეთავსებითა და განუყოფელი ერთიანობით ხასიათდება ეს შორეული წარმოშობის ორატორული ძეგლი, რომელსაც თავისი ღრმა ბუნებრივი არსებისა და მაღალი ხელოვნური ოსტატობის წყალობით დღემდე არ დაუკარგავს დიდი მნიშვნელობა.

ორატორი იწყებს ფაქტის კონსტატაციით:

„ჩვენ რომ კიდევაც არაფერი ვთქვათ, მსაჯულო, თვით ჩადენილი ბოროტმოქმედება საკმარისია იმისათვის, რომ მის ჩამდენთ უდიდესი სასჯელი მიეზღოს. მაგრამ თქვენი კანონების მიხედვით თვით აშკარა და უდიდეს უკანონო მოქმედებათა შესახებაც კი მიღებულია, რომ განაჩენი არ იქნეს გამოტანილი, სანამ საქმე არ იქნება გარჩეული სიტყვიერი პაექრობის საშუალებით... რა გამართლება შეიძლება ვუპოვოთ იმათ, რომელთაც ისე შეუპოვრად მოკლეს ასეთი დიდებული კაცი, თქვენი მეგობარი და მოკეთე, მოკავშირე ომიანობის დროს და მშვიდობიანი ცხოვრებისა და ზავის დროს, უზენაესის შესახებაც თქვენნაირად მოაზროვნე და თქვენი წესების მიმდევარი, და რომელთაც უდიდესი მტრობა გამოიჩინეს თქვენ მიმართ, თქვენს მტრებს კი სამსახური გაუწიეს. მოკლული ხომ მეფე იყო, მსაჯულო, არა დაბალი გვარისა, და ვაკაცობით განთქმული, და რომაელთა საქმეებისათვის მუდამ იყო მკვლელებზე უფრო ერთგული“[1].

სიტყვის შემდეგ ნაწილში ორატორი ჩერდება კოლხთა მძიმე მდგომარეობაზე და ლოგიკური გზით ასკვნის რომის პოლიტიკური ვითარების გაუარესებასაც, რადგან „თუ სახელმწიფო ყოველმხრივ არ არის გამაგრებული და ერთს რომელსამე ნაწილში მოდუნებულია, ვეღარ იარსებებს წესიერად; პირიქით, ის თავის სახელწოდებასაც ტყუილა ატარებს, ვინაიდან ის მოკლებულია თავისუფალი არსებობის საშუალებას“[2].

ყოველივე ამის მიზეზად ბრალმდებელი დამნაშავეთა საქციელს ასახელებს და მკაცრად ამხელს მათ ცბიერ, მოღალატურ და მანკიერ ბუნებას. ორატორი უთითებს მკვლელთა შეუწყნარებელ მახინჯ მხარეებზე—ამეღავნებს მათ მაცდურობას, ორპირობასა და ვერაგობას. მას უმძიმეს ბოროტმოქმედებად მიაჩნია დამნაშავეთა მზაკვრული მონაგონი, თითქოს ქვეყნის სასარგებლო საქმე ჩაიდინეს. ის აქ ხედავს ალმაშფოთებელ პირფერობასა და შეურიგებელ წინააღმდეგობას, რასაც ნიღაბს ხდის შემდეგი ბრძნული გამონათქვამით:

„იმთავითვე ხომ სარგებლობა და უკანონობა ერთმანეთის საწინააღმდეგო ცნებებს წარმოადგენენ, სიმხეცე და სამართლიანობა

[1] ქართული მჭევრმეტყველება, გვ. 116 — 117.

[2] იქვე, გვ. 117.

ერთიმეორეს დაშორებული იყვნენ და შეურევნელი, მათი ერთად არსებობა არასდროს არ ყოფილა შესაძლებელი"[1].

ბრალმდებელი თანდათან ავიწროებს მეტყველების თემატიკურ არეს და კონკრეტული ფაქტების გამოყვლენით ამახვილებს მსმენელთა ყურადღებას; ის ამჟღავნებს უსამართლო მოქმედების შედეგს, ღრმა აზროვნების სინათლით წვდება ჩადენილი ბოროტების მიზეზს და ულმობელი ლოგიკის ცეცხლით ანადგურებს მოპირდაპირის უკანასკნელ საფარს.

ორატორი ამბობს:

„მოწინააღმდეგესა და მტერს ხომ საქმის მიხედვით გამოიცნობ ადამიანი და არა სიშორის მიხედვით. ცხადია, მტრად უნდა ჩათვალო ის, ვინც იმას აკეთებს ხალისით, რაც მოწინააღმდეგეებს ესიამოვნებათ, თუნდაც ის შენთან იყოს და შენთან ერთად ლაშქრობდეს და ახლო ნათესაური კავშირში იყოს შენთან. ეხლა: ისინი ამბობენ, რომ მოკლეს არა მეგობარი, არა მეფე, არამედ მტერი, ტირანი და სპარსელების მომხრე. კიდევ მეტი: ისინი ისეთ უსამართლობამდე მივიდნენ, რომ განსვენებულს აბრალებენ მედიზმსაც: საბრალო! სიკვდილის შემდეგაც ვერ განთავისუფლდა უბედურებისაგან, და ეხლაც, როდესაც მას აღარ შეუძლია თავი იმართლოს, მოღალატეობაში ედება ბრალი. რომელი კანონი—თქვენი ან ბარბაროსებისა — მოიწონებს ასეთ მდგომარეობას, რომ ჯერ განაჩენი გამოუტანო ადამიანს და მერე წაუყენო ბრალდება? ისინი თვითონ არიან მსაჯულებიც, მტრებიც და ბრალმდებლებიც, ყველაფერი ერთად შეასრულეს და საქმის გაურჩევლად სრულიად უდანაშაულო კაცს ისეთი სასჯელი არგუნეს, როგორიც შეეფერებოდა მართლაც ტირანობაში გამტყუნებულს. ეხლა კი, როდესაც თავის გამართლება სჭირდებათ, მოდიან და ბრალსა სდებენ უსამართლოდ დასჯილ კაცს"[2].

ორატორი ისევ უბრუნდება ბოროტმოქმედების აქტს, ირგვლივ, უტრიალებს მომხდარ უბედურებას, ასწერს მკვლელთა მოტივებსმიუთითებს მათს უსაფუძვლობაზე და რომაელთა პირუთვნელი სამართლის მოხსენებით ამზადებს ნიადაგს სასურველი განაჩენისათვის.

გადამწყვეტი რწმენის შესაქმნელად ბრალმდებელი იმაღლებს პათეტიკურ ხმას და რიტორიკული განმეორების გზით ასურათებს გუბაზის ადამიანურ და მეფურ სიდიადეს.

ორატორი ასე მიმართავს რომაელ მსაჯულებს:

---

[1] ქართული მწევრმეტყველება, გვ. 117 — 118.

[2] იქვე, გვ. 118.

„ვინ იყო რომ სპარსელთაგან დანაპირებ სიმდიდრესა და ყოველნაირ სიკეთეს ამჯობინა თქვენდამი კეთილი განწყობილება? ვინ იყო რომ ხოსროს მეგობრობა უკუაგდო და იმ დროს, როდესაც ეს მეგობრობა უდიდეს სიმდიდრეს უმზადებდა მას, თქვენგან მცირედსაც დასჯერდა? ვინ იყო რომ წინათ, როდესაც ეს ქვეყანა დიდი ხნის განმავლობაში მიდიელების სათარეშოდ იყო გამხდარი და თქვენი დამხმარე ჯარები იგვიანებდნენ, მაშინვე გამოიცვალა საცხოვრებელი ადგილი და თვით კავკასიონის მწვერვალებზე გადასახლდა, სადაც თითქმის ველურ ცხოვრებას ეწეოდა, და მან ეს უფრო ამჯობინა, ვიდრე მტრის მეგობრობა გამოეყენებინა, შინ ჩასულიყო და განცხრომით ეცხოვრა? ვინ იყო ეს? ეს იყო გუბაზი, რომელიც არ უშინდებოდა არავითარ გაჭირვებას, თუ კი თქვენი გულისთვის იყო ეს აუცილებელი. სად ხართ კანონებო, სად არის სამართალი“![1]

ასეთი მძლავრი და ზვიადი გამონათქვამით ამთავრებს კოლხი ორატორი სიტყვის ძირითად ნაწილს, რომლის შემდეგ კიდევ რამდენიმე მახვილი მოსაზრებით აშუქებს საქმის ვითარებას, მოაგონებს მსაჯულს მაღალ დანიშნულებას და მეტად მკაცრი, მაგრამ დიდად სამართლიანი განაჩენისაკენ მოუწოდებს სასამართლოს.

ქართული ორიგინალური სამოსამართლო მჭევრმეტყველების სათავეები დამოწმებულია ადრინდელ აგიოგრაფიულ მწერლობაში. აქ ძუნწად და გაკვრით წარმოდგენილი მასალით შეიძლება ვივარაუდოთ ჩვენში სამართლის წარმოების ზოგიერთი მხარე, კერძოდ, ზეპირი სიტყვის ადგილი მართლმსაჯულების საქმეში. ეს ადგილი თავისი მნიშვნელობით მეტად საპატიო ჩანს და საკმარისად ძველიც უნდა იყოს შემონახული ცნობების მიხედვით, მაგრამ, სამწუხაროდ, გაუშუქებელია თვით სიტყვების უქონლობის გამო: როგორც აღინიშნა, სამოსამართლო მჭევრმეტყველების სფერო უღარიბესი დარგია ჩვენი ორატორული ხელოვნებისა.

ეს იმით უნდა აიხსნებოდეს, რომ კერძო ხასიათის იურიდიული ძიებანი, რაც სამართლის წარმოების მთავარ შინაარსს წარმოადგენდა თითქმის ყოველთვის, მათი განსაზღვრული მნიშვნელობის გამო ჩვენს წინაპრებს წერილობითი აღბეჭდვის ღირსად არ უცნიათ და შთამომავლობისათვის არ შეუნახავთ. მიუხედავად ამისა, როგორც ითქვა, გვაქვს საფუძველი ვივარაუდოთ, რომ ცოცხალი მეტყველება ჯეროვან სიმაღლეზე მდგარა ქართულ მართლმსაჯულებაში.

[1] ქართული მჭევრმეტყველება, გვ. 120—121.

ამ ვარაუდის საფუძველს გვაძლევს, მაგალითად, ჩვენი მჭევრმეტყველების უძველესი საისტორიო წყაროს სტრაბონის „გეოგრაფიის“ ცნობა იმის შესახებ, რომ იბერიის მოსახლეობის ოთხი „გვარიდან“ პირველის ნაწილი „...მოსამართლეობს და მხედართმთავრობს. მეორე [გვარი] არის ქურუმთა, რომლებიც ზრუნავენ აგრეთვე მეზობლებთან სამართალზე“[1].

აქ, როგორც ვხედავთ, მკვეთრად გამოყოფილია რამდენიმე სოციალური ფენა, რომელთაგან ჩვენთვის საყურადღებოა ორი მათგანის წარმომადგენლები: 1. ვინც „მოსამართლეობენ“, და 2. „რომლებიც ზრუნავენ მეზობლებთან სამართალზე“.

ეს უკანასკნელნი, როგორც ზემოთ აღინიშნა, ქვეყნის დიპლომატიური მართვის მესვეურებია.

რაც შეეხება იმათ, ვინც „მოსამართლეობენ“, ვფიქრობთ, მართლმსაჯულების წარმოება ევალებათ და ქვეყნის შინაგან საქმეებს განაგებენ.

ამ ფუნქციების შესრულების ერთი პირობა უთუოდ სამოსამართლო მჭევრმეტყველება იქნებოდა.

უფრო გარკვეულ სურათს ვხედავთ ქართულ წყაროებში. იაკობ ცურტაველის „შუშანიკის მარტვილობაში“ სიტყვის წარმოთქმის თანაბარი უფლების საჭიროება სამსჯავროში გამოხატულია შემდეგნაირად: „განვისაჯნეთ მე და ვარსქენ პიტიახში მუნ, სადა იგი არა არს თუალღებაჲ, წინაშე მსაჯულისა მის მსაჯულთაჲსა და მეუფისა მის მეუფეთაჲსა. სადა არა ჯრს რჩევაჲ მამაკაცისა და დედაკაცისაჲ, სადა მე და მან სწორი სიტყუაჲ ვთქუათ წინაშე უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტჱსა“[2].

ცოცხალი სიტყვის ძალა და მისი მეშვეობით წარმოებული განსჯის სიმართლე ბევრგან ხაზგასმულია შემდეგი დროის იურიდიულ ძეგლებსა და დოკუმენტებში. ასე, მაგალითად: „...ჭკუიანი იქნების, და კარგად ეცოდინების ბჭობაჲ და უსამართლოს არას იტყვს“[3], — ნათქვამია ღირსეული მოსამართლის შესახებ ბაგრატ კუროპალატის საკანონმდებლო კრებულის მითითებაში.

თვით სპეციალური სამოსამართლო ტერმინები — ბჭე, ბჭობა, საბჭო, სჯა, განსჯა, მსაჯული და სხვ. — თავიანთი სემანტიკური მნიშვნელობით უახლოეს კავშირშია მეტყველებასთან, რაც ზეპირი სიტყვის განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე მიუთითებს სამართლის პრაქტიკაში.

---

[1] სტრაბონი, გეოგრაფია, XI, 3, 6, გვ. 130.

[2] იაკობ ცურტაველი, მარტჳლობაჲ შუშანიკისი, §§, 41.

[3] ი. დოლიძე, ძველი ქართული სამართალი, გვ. 335.

ქვემოთ ამ პრაქტიკის ზოგიერთი ისტორიული მონაცემებია წარმოდგენილი.

ძველი ქართული სამოსამართლო მწევრმეტყველების ადრინდელ ორიგინალურ საისტორიო წყაროს VI საუკუნის აგიოგრაფიული ქმნილება „ევსტათი მცხეთელის მარტვილობა“ წარმოადგენს. ამ ძეგლის დიდ ნაწილს მთავარი მოქმედი პირის დაცვითი სიტყვა შეადგენს. ეს სიტყვა ძვირფასია ჩვენთვის ჯერ როგორც ეროვნული მქადაგებლობის უადრესი ნაწარმოების შემცველი და შემდეგ როგორც ზეპირი მეტყველების როლის მაჩვენებელი სამართლის წარმოებაში. ამჟამად ჩვენ ეს უკანასკნელი მხარე გვაინტერესებს.

ევსტათი მცხეთელის დაცვითი სიტყვა, თქმული ქართლის მარზპანის ვეჟან ბუზმირის წინაშე არა მარტო გვიჩვენებს ცოცხალი მეტყველების ფართო ადგილს მართლმსაჯულების საქმეში, არამედ თვითონ წარმოადგენს ასეთი მეტყველების შესანიშნავ ნიმუშს, რომლის მეოხებით ნათელი ეფინება ჩვენი სამოსამართლო მწევრმეტყველების შორეულ წარსულს.

სამსჯაროში, სადაც „სიტყვს-მიმგებელ იყო... მსაჯულისა მიმართ ნეტარი ევსტათი“[1], ამ უკანასკნელს წარმოუთქვამს სამი ნაწილისაგან შემდგარი სიტყვა. ეს ნაწილებია: შესავალი, სამოელის ქადაგების შინაარსი და დასკვნა. მათ შორის მეორე ნაწილი — სამოელ არქიდიაკონის თხრობა — რომელსაც გადმოსცემს ევსტათი, ჩვენ განვიხილეთ სამქადაგებლო მწევრმეტყველებასთან დაკავშირებით.

მეორე და მესამე ნაწილებს, როგორც სამოსამართლო მეტყველების უძველეს ორიგინალურ ნიმუშებს, ვათავსებთ აქვე — პირველს თითქმის მთლიანად, მეორეს უფრო შემოკლებით.

შესავლის სახით ევსტათის უთქვამს:

„უკუეთუ მკითხავ, ისმინე გულსმოდგინედ და გითხრა შენ ყოველი: მე ვიყავ ქუეყანისა სპარსეთისაჲ, ჴევისა არშაკეთისაჲ, ქალაქისა განძაკისაჲ. და მამაჲ ჩემი მოგჳ იყო და ძმანი ჩემნი მოგუნი იყვნეს, და მეცა მამაჲ მოგუებასა მასწავებდა. ხოლო მე მამული რჩული არა მიყუარდა და ვთქუ გონებასა: ესე რჩული არა მიყუარს, აწ ჰურიათაჲცა ვისმინო და ქრისტეანეთაჲცა, და რომელი უკეთჱს იყოს, იგი რჩული შევიყუარო. და დღისი მამაჲ ჩემი მოგუებასა მასწავებენ და ღამე-ღა ქრისტეანეთა დაჰრეკიან, ეკლესიად მივიდი და ვისმენდი ჟამობასა მას მათსა... ხოლო ქრისტეანეთა ლოცვასა ჴმაჲ მათი, ვითარცა ჴმაჲ ანგელოზისაჲ, მესმინ და ფრიად სურნელ არს და ჰამო ჟამობაჲ მათი. ხოლო ბაგინად ღამე შევიდი ჰურიათასა, ვერაჲ ვცნი, რასა იტყჳედ. და მერმე კუალად შევედ ეკლესიად

[1] ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I, გვ. 46

და მომეახლა მე სამოელ არქედიაკონი და რჩულის მეცნიერი და მრქუა მე: „რაჲსა შემოხუედი შენ ეკლესიად ესრე გულსმოდგინედ?“ — ხოლო მე ვარქუ მას: „უფალო, შენცა მიცი, ვინ ვარ მე, არაშედ არა მიყუარს მე რჩული ესე მამული ჩემი და მინებს, ვინმცა მამცნო რჩული ჰურიათაჲცა და ქრისტეანეთაჲცა, და რომელიმცა რჩული უწმიდე იყო, იგიმცა შევიყუარე“[1].

დასკვნის სახით ევსტათის უთქვამს:

„მაშინ, ვითარცა გულისხმა ვყავ და ვცან ყოველი სამოელ არქედიაკონისაგან, დასაბამითგან ყოველი ვიდრე აქამომდე, და მივიწიე ყოველსა ზედა რჩულსა ჰურიათასა და ქრისტეანეთასა, მრწმენა მე ღმერთი დაუსაბამოჲ და ძჲ მისი, იესუ ქრისტჲ, და სული წმიდაჲ მისი. და ამით ნათელ მიღებიეს და ვერვინ განმაშოროს მე ქრისტჲსგან ვიდრე სულისა ჩემისა აღმოსლვადმდე, ხოლო მამულისა ჩემისა რჩულისათჳს სიტყუადვე ზარ მაც და მრცხუენისცა, რამეთუ ღმერთმან, რომელმან ქმნა ცაჲ და ქუეყანაჲ, მზჱ და მთოვარჱ და ვარსკულავნი, ზღუაჲ და ჴმელი, მდინარენი და შესაკრებელნი წყალთანი, მთანი და ბორცუნი, ველნი და ტყენი, შეშაჲ და ცეცხლი, ოთხფერჴნი პირუტყუნი და მჴეცნი, ქუეწარმავალნი და მფრინველნი ცისანი და მერმე კაცნი შექმნა ღმერთმან. და მას ყოველსა ზედა უფალ ყო იგი, და ყოველი ესე დაამორჩილა კაცსა მას, და ჩუენ ამის ყოვლისა შემოქმედი ღმერთი დაუტეოთ და და ამას ღმრთისა დაბადებულსა ღმერთად ვხადოდითა? ნუ იყოფინ ესე!“[2].

სამოსამართლო მჭევრმეტყველების ამსახველი და ნათელმყოფელი თითო-ოროლა საისტორიო ცნობა გვხვდება შემდეგი დროის აგიოგრაფიულ მწერლობაშიც, მაგრამ სიტყვების ტექსტები არსად არაა დაცული და მათი ისტორიული სახის წარმოდგენა მხოლოდ შემოვლილი გზით ხერხდება. ასეთ გზად შეიძლება გამოვიყენოთ წამებულთა სიტყვისგებანი მოპირდაპირე მხრის საბსჯავროში, რომლის წინაშე იდგნენ ხშირად ქრისტიანობის დამცველები. თავდადებულ მარტვილთა ცხოვრებაში ყველაზე მეტად სიტყვისა და საქმის ერთიანობა ხიბლავდა თანამედროვეებს, რომელთაც სწორედ ეს მიუჩნევიათ უმთავრეს სააღმზრდელო მოვლენად და მისი მხატვრული ასახვით ბევრი შესანიშნავი ნაწარმოები შეუქმნიათ. ასეთ ვითარებაში შესრულებული საქმის თანაბრად უნდა დაცულიყო ნათქვამი სიტყვა, როგორც ადამიანის ზნეობრივი სახის ერთი უცდომელი მაჩვენებელი. ასეც მომხდარა, ოღონდ ამ სიტყვას, ცხადია,

[1] ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I, გვ. 48.

[2] იქვე, გვ. 52 — 53.

ყველგან არ გააჩნია ორატორული მონოლოგის სახე, ვინაიდან ის ყოველთვის ზეპირი გავლენის ფუნქციით არ ისაზღვრებოდა და ამიტომ თავისი არსებითი ბუნებით მჭევრმეტყველების გარეთ რჩებოდა.

სამოსამართლო ზეპირი სიტყვის ისტორიული სურათის აღსადგენად შეიძლება გამოვიყენოთ აგრეთვე ქართული კანონიკური სამართალი, რომლის ერთი ადრინდელი ძეგლის ფრაგმენტი[1] მოღწეულია ჩვენამდე თამარის უწინარესი დროიდან. უნდა აღინიშნოს, რომ X საუკუნის მიწურულიდან ჩვენში ფეხს იკიდებს და ვითარდება ორიგინალური საეკლესიო-იურიდიული მწერლობა. კიდევ უფრო ადრე აღწევს თავის კლასიკურ მწვერვალს ჩვენი ბიოგრაფიულ — დოკუმენტალური ლიტერატურა, რომელიც მომდევნო პერიოდშიც ინარჩუნებს მოპოვებულ დონეს და ყალიბდება სასულიერო კულტურის უძდიდრესი დარგის სახით. ამ დარგის სახელოვანი მესვეურები — გიორგი მერჩულე, ექვთიმე მთაწმიდელი და გიორგი მთაწმიდელი — ქრისტიანული სამართლის მეცნიერების დიდი წარმომადგენლებია, რომლებიც სამწერლო და საზოგადო მოღვაწეობასთან ერთად გამოირჩეოდნენ „რჩულის“ (resp. კანონების) ცოდნითა და იურიდიული დამსახურებით.

პავლე ინგოროყვას დამაჯერებელი მოსაზრებით ხსენებულ ეპოქაში ერთმანეთისაგან ასხვავებდნენ საერო და სასულიერო სამართალს, რომელთაგან პირველის მცოდნეს საბჭოთა საქმის მეცნიერს უწოდებდნენ, ხოლო მეორისა — მერჩულეს[2]. ის გარემოება, რომ სახელოვან მწერალს მერჩულე ეწოდება, არა მარტო მისი ღრმა ცოდნის მაუწყებელია სასულიერო სამართლის დარგში, არამედ მისივე მაღალი ოსტატობის მაჩვენებელია სამოსამართლო მჭევრმეტყველების სარბიელზე. ამრიგად, აქ შემოვლილი გზით დასტურდება გიორგი მერჩულის ორატორული დამსახურება, რაც მისი ნაწარმოების ენობრივი ფორმითაც ივარაუდება.

ექვთიმე მთაწმიდელის საგულისხმო ღვაწლს სამოსამართლო მჭევრმეტყველების დარგში გვიჩვენებს მისი თავისუფალი და ქართულ სიხაძდვილესთან შეფარდებული თარგმანები კანონიკური ძეგლებისა, რომელთა უმრავლესობა სასულიერო ცხოვრების მოწესრიგებას ისახავდა მიზნად და მისივე ნორმების იურისდიქციით ისაზღვრებოდა. ამასვე ადასტურებს გიორგი მთაწმიდელის თხზულება „ცხორებაჲ იოვანესი და ეფთჳმესი“, საიდანაც ჩანს ექვთიმე მთაწმიდელის უდიდესი ავტორიტეტი სასულიერო აზროვნებისა და

[1] იხ. ი. დოლიძე ძველი ქართული სამართალი, გვ. 343 — 345.

[2] პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, გვ. 23.

საეკლესიო პრაქტიკის სფეროებში, რომელთა შეუდარებელ მესვეურად ითვლებოდა ის დიდხანს ბიზანტიასა და საქართველოში.

გიორგი მთაწმიდელის თვალსაჩინო წვლილს სამოსამართლო მშვევრმეტყველების ასპარეზზე გვაუწყებს მისი შემოქმედებითი ბიოგრაფიის სამი უდავო ფაქტი: ცდა საძონასტრო ცხოვრების დემოკრატიზაციისა[1], თარგმანები საეკლესიო სამართლის დარგში[2] და პაექრობა ანტიოქიის საეკლესიო კრებაზე 1057 წელს. ეს უკანასკნელი ფაქტი დაწვრილებით განხილულია ქვემოთ გიორგი მთაწმიდელის ორატორულ შემოქმედებასთან დაკავშირებით (გვ. 256—259).

კლასიკური პერიოდის ქართული სამოსამართლო მშვევრმეტყველება არსებითად ისევე კანონიკური სამართლის ფარგლებში რჩება და ძისი მძლავრი გაელენით ვითარდება. ამის უტყუარი მაჩვენებელია XII საუკუნის მანძილზე მოწვეული საეკლესიო კრებები ჩვენმი და მათი საქმიანობის გამომხატველი დოკუმენტები. მათ შორის ზეპირი ხასიათის მასალაზე, რაც უმთავრესად პაექრობის ფაქტებით შემონახულა, ჩვენ უკვე გვქონდა ლაპარაკი სამქადაგებლო ხელოვნებასთან დაკავშირებით. რაც შეეხება წერილობითი ხასიათის დოკუმენტებს, მათი უსრულესი შემცველი რუის-ურბნისის „ძეგლის-წერაა“[3]. საერთოდ ყოველი საეკლესიო ყრილობისა და, კერძოდ, რუის-ურბნისის კრების ძ ე გ ლ ი ს - წ ე რ ა შეიცავს ისეთ იურიდიულ ნორმებს, კანონებსა და დადგენილებებს, რომლებიც უეჭველს ხდიან სამოსამართლო მშევრმეტყველების ისტორიულ არსებობასა და სოციალურ დანიშნულებას.

რუის-ურბნისის „ძეგლის-წერა“ შედგება სამი ძირითადი ნაწილისაგან, რომელთაგან პირველი — ზოგადი ხასიათის შესავალია, და ჩვენთვის ნაკლები მნიშვნელობისაა, ხოლო მეორე — კრების კ ა ნ ო ნ მ დ ე ბ ლ ო ბ ა და მესამე — ეკლესიის ს ი ნ ე დ ი კ ო ნ ი უაღრესად საყურადღებო ნაწილებია საერთოდ და, განსაკუთრებით, მშევრმეტყველების საკითხის გასარკვევად. ისინი ჯერ თავისთავად წარმოადგენენ მშევრად გამართულ წერით მეტყველებას და შემდეგ ორატორული ხერხებით მომარჯვებულ შესრულებასაც გულისხმობენ: ერთი — დადგენილი საეკლესიო კანონების დაცვის თვალსაზრისით, ხოლო მეორე — აღიარებული უზენაესი პირების შესხმის აზრით; და აი, სწორედ ეს კანონების დაცვის საჭიროება მიუთითებს სამოსამართლო მშევრმეტყველების არსებობაზე. ამ მხრივ,

---

[1] ი. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული სამართლის ისტორია, II, 2, გვ. 63—80.

[2] ქ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, I, გვ. 208—209.

[3] საქართველოს სამოთხე, გვ. 518 — 530.

არის ჩვენთვის ამჟამად მნიშვნელოვანი რუის-ურბნისის კრების „ძეგლის წერა“.

შედარებით ნაკლები მნიშვნელობისაა მერმინდელი კანონიკური ძეგლები, რომლებზედაც აღარ ვჩერდებით არა მარტო იმიტომ, რომ ისინი მკრთალად ასახავენ სამოსამართლო მშვერმეტყველებას, არამედ იმიტომაც, რომ XIII საუკუნის დასასრულიდან მძლავრად ვითარდება ქართული სამოქალაქო კოდიფიკაცია, რომელმაც შეითავსა საეკლესიო სამართალი და ერთობლივი გავლენის ქვეშ მოაქცია საერო და სასულიერო მართლმსაჯულება. ამიერიდან სამოქალაქო იურიდიული ძეგლები მიუთითებენ ჩვენში სამოსამართლო მშვერმეტყველების ისტორიულ არსებობაზე.

ამ ძეგლებიდან დროის მიხედვით უწინარესია „ხელმწიფის კარის გარიგება“, რომლის საბოლოო ჩამოყალიბება XIII საუკუნის დასასრულს მიეკუთვნება. დაახლოებით იმავე დროისაა ბექა მანდატურთუხუცესის სამართლის წიგნი. შედარებით მერმინდელია გიორგი ბრწყინვალის „ძეგლის-დება“, რომელიც XIV საუკუნის შუა წლების კუთვნილებაა. უფრო გვიანდელია აღბუღა ათაბაგ-ამირსპასალარის სამართალი, რომელიც იმავე საუკუნის მეორე ნახევრის ქმნილებაა.

ჩვენი საერო სამართლის შემდგომი დიდი მოწესრიგება ხდება XVIII საუკუნეში — ჯერ ვახტანგ მეექვსის კანონთა კრებულის შედგენისა და შემდეგ ერეკლე მეორისა და გიორგი მეთორმეტის კანონმდებლობის სახით.

ძველი ქართული სამართლის ეს ხანგრძლივი აღმავლობის პროცესი, რა თქმა უნდა, ხელს შეუწყობდა სამოსამართლო მშვერმეტყველების ჯეროვან განვითარებას, რაც საკუთრივ ორატორული ხელოვნებით არ დასტურდება, მაგრამ მას უეჭველად გულისხმობს. ამ მოსაზრებას მხარს უჭერს XVIII საუკუნის ქართული მშვერმეტყველების საერთო აყვავება, რასაც, უთუოდ, სამოსამართლო ორატორული ხელოვნებაც იზიარებდა. საგულისხმოა ერთი ფაქტიც: ჩვენი მშვერმეტყველების უდიდესი წარმომადგენლის ს. ლიონიძის ზედწოდება, რაც საგანგებოდ აღბეჭდილია ორატორის პირად ბეჭედზე[1], მსაჯულია. ეს სიტყვა თანამედროვე მნიშვნელობით იხმარებოდა ჩვენში ძველთაგანვე და მისი გადაქცევა უდიდესი ორატორის საკუთარ სახელად იმას მოასწავებს, რომ ჩვენი წინაპრების შეგნებაში განუყოფელია მოსამართლისა და მშვერმეტყველის არსებითი მხარეები. იგივე ფაქტი იმასაც მოწმობს, რომ ს. ლიონიძე

[1] იხ. ხელნაწერი *Hd*—4416.

სამოსამართლო მჭევრმეტყველების ისეთივე ხელოვანია, როგორი ოსტატიცაა სხვა დარგების ზეპირი მეტყველებისა.

ამით ვამთავრებთ ძველი ქართული სამოსამართლო მჭევრმეტყველების ზოგად მიმოხილვას.

XIX საუკუნის პირველ ხანებში ახალი სამოსამართლო ორატორული ხელოვნება, როგორც დავით ბაგრატიონის ვრცელი სპეციალური „მიმოხილვიდან"[1] ჩანს, ძველი წარმატებით კმაყოფილდებოდა და მისი ტრადიციული საუნჯით სარგებლობდა. უფრო მოგვიანებით რუსეთის უმაღლეს სკოლებში მიღებული განათლებისა და პრაქტიკულ მუშაობაში შეძენილი ოსტატობის წყალობით, რასაც დაერთო მოწინავე რუსული და ფრანგული სამოსამართლო მჭევრმეტყველების გავლენა, ჩვენში მყარ მეცნიერულ ნიადაგზე დგება ხსენებული დარგის ორატორული ხელოვნება.

გასული საუკუნის მეორე ნახევარში ამ ხელოვნების დიდი წარმომადგენლებია: ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ივანე მაჩაბელი და ნიკო ნიკოლაძე. აქვე უნდა დავასახელოთ იმავე პერიოდის გამოჩენილი ვექილები: ლუარსაბ ლოლუა, დავით ლორთქიფანიძე და მოსე ქიქოძე.

შემდეგ ხანებში, XX საუკუნის დასაწყისიდან სამოღვაწეო ასპარეზზე გამოვიდნენ უახლესი პერიოდის ცნობილი იურისტები: ლუარსაბ ანდრონიკაშვილი, იოსებ ბარათაშვილი, შალვა მესხიშვილი და სხვ[2].

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ი. ჭავჭავაძისა და ა. წერეთლის ღვაწლი სამოსამართლო მჭევრმეტყველების დარგში.

1864—68 წლებში მომრიგებელ-შუამავლად და 1868—73 წლებში მომრიგებელ-მოსამართლედ მუშაობის დროს გარე კახეთის კუთხეებსა და დუშეთის მაზრაში ილია ხელმძღვანელობდა რთულ პროცესუალურ ოპერაციებს, გამოდიოდა მრავალი სახის სამოსამართლო სიტყვებით და აწარმოებდა ღრმადგონივრულ, პრინციპულ და ობიექტურ მართლმსაჯულებას. ამ პერიოდში დიდი მწერალი, რა თქმა უნდა, ბევრ შესანიშნავ სიტყვას იტყოდა, მაგრამ, სამწუხაროდ, მათი ტექსტები დაკარგულია.

ასევე არ შენახულა ილიას მიერ 1907 წლის აპრილის უკანასკნელ რიცხვებში, პეტერბურგში, სახელმწიფო საბჭოს სხდომაზე წარმოთქმული ვრცელი სიტყვა სიკვდილით დასჯის მოსპობის

---

[1] იხ. დ. ბაგრატიონი, საქართველოს სამართლისა და კანონთმცოდნეობის მიმოხილვა.

[2] იხ. გ. ფუტკარაძე, ქართველი იურისტები.

თაობაზე, რომელსაც ჩვენ ვიცნობთ ავტორისეული კონსპექტური ჩანაწერების მეშვეობით.

ი. ჭავჭავაძის ორატორული მემკვიდრეობის ეს ჩვენამდე მოუღწეველი სფერო, უეჭველია, სამოსამართლო ზეპირი მეტყველების ძვირფასი განძის შემცველი იქნებოდა.

ა. წერეთლის სამოსამართლო ორატორულ შემოქმედებას გვაცნობს მისი უშუალო მონაწილეობა ე. წ. „სვანთა პროცესში“, რომელიც შედგა 1876 წლის ნოემბერში. ეს პროცესი წარმოადგენდა კოლონიური პოლიტიკისა და სოციალური ჩაგვრის წინააღმდეგ 1875—76 წლებში აჯანყებულ სვანთა გასამართლების ინსცენირებას, რომლის ანტიხალხური, უსამართლო და ყალბი ტენდენციები მკაცრად ამხილა აკაკიმ თავისი ვრცელი, დასაბუთებული და მშვენიერი დაცვითი სიტყვით.

ამ პროცესის მასალები და აკაკის სიტყვის ტექსტი შენახულია ნიკო ნიკოლაძის ჩანაწერებით, რომლის მნიშვნელოვანი ნაწილი გამოქვეყნებულია. ის სტენოგრაფიული სიზუსტით გვაცნობს ხსენებული პროცესის მსვლელობას და გვიჩვენებს პოეტის ამაგს სამოსამართლო მშვერმეტყველების დარგში[1].

ცნობილია აგრეთვე აკაკის ხშირი მონაწილეობა ისტორიული პირებისა და მხატვრული პერსონაჟების ლიტერატურულ გასამართლებაში, სადაც პოეტს ბევრჯერ შესანიშნავი სიტყვა წარმოუთქვამს და ამით საგრძნობი წვლილი შეუტანია სამოსამართლო მშვერმეტყველების განვითარებაში[2].

დასასრულ, უნდა აღინიშნოს, რომ ქართული სამოსამართლო მშვერმეტყველების ისტორიული განვითარების საქმეში გარკვეული როლი უნდა ეთამაშა ხალხურ სამართალს და მისი წარმოების ტრადიციულ წესებს. ჩვენი ადათობრივი, საწესჩვეულებო, სამედიატორო და სხვა სახის სამართალი, რომელთა საერთო სახელწოდებად ძველ ქართულში „ჩვეულებითნი სჯულნი“ უნდა იხმარებოდეს, უეჭველია, სათანადო გავლენას მოახდენდა სამოსამართლო ორატორულ ხელოვნებაზე. ეს გავლენა, რა თქმა უნდა, ჯერ ხალხურ სამოსამართლო ზეპირ სიტყვას შეეხებოდა და შემდეგ იმავე დარგის კლასიკურ მეტყველებაზე გავრცელდებოდა. ასეთი ურთიერთობის საფუძველს წარმოადგენს ის გარემოება, რომ ხალხური

---

[1] იხ. Судебная хроника (ნ. ნიკოლაძის პირადი არქივი, თბილისის საჯარო ბიბლიოთეკა, ხელნაწერი № 3—53); ა. კ-ლი, გლეხთა შეიარაღებული აჯანყება სვანეთში 1875—1876 წ. წ. (საისტორიო მოამბე, I, თბილისი, 1945).

[2] იხ. „თემი“, 1915, № 206; ხელნაწერი № 106 (*H*—1493).

სამართალი ერთ-ერთი ძირითადი წყაროა ჩვენი კლასიკური კანონმდებლობის, რომლის შემადგენლობაში სხვა წყაროებთან ერთად ადათობრივი სამართლის კვალიც მოიპოვება. ბექასა და აღბუღას სამართლის წიგნის წყაროების ძიებამ ასეთ დასკვნამდე მიიყვანა პროფ. ი. დოლიძე: „ბექა-აღბუღას სამართლის წიგნში სასამართლო პრაქტიკის გამოყენების საქმეში დიდი როლი შეასრულა შუაკაცთა და ბეჭდთა სასამართლომ, რაც ნათლად ჩანს აღნიშნული კანონმდებლობის სათანადო მუხლებიდან. შუაკაცთა შემრიგებელი სასამართლო ადათობრივი სამართლის ნორმებით ხელმძღვანელობდა. მოდავე მხარეები შუაკაცებად ანუ მედიატორებად, მხცოვან ადამიანებს ირჩევდნენ, რომლებიც კარგად იცნობდნენ ძველ წესებსა და ჩვეულებებს. შუაკაცთა მოვალეობას მოდავე მხარეთა შერიგება წარმოადგენდა, რითაც ზღვარი ედებოდა ქიშპობასა და შურისძიებას“[1].

ასეთ პირობებში შეუძლებელია ხალხურ მართლმსაჯულებას არ წარმოეშვა თავისის შესაბამისი მჭევრმეტყველება, რომელიც ეფიქრობთ, კლასიკური სამოსამართლო ორატორული ხელოვნების ანალოგიურ როლს შეასრულებდა ხალხური სამართალის წარმოებაში, მაგრამ, სამწუხაროდ, ამის მაჩვენებელ პირდაპირ წყაროს — სიტყვების განძს — არ მოუღწევია ჩვენამდე. მიუხედავად ამისა მაინც შეიძლება დავასახელოთ რამდენიმე საგულისხმო ფაქტი, სახელდობრ, ქართულ ხელნაწერებში შემონახული „სიტყვისგებანი“ და სამედიატორო სასამართლოს განაჩენები[2], რომლებიც ხალხური სამოსამართლო მჭევრმეტყველების არსებობასა და ფუნქციებზე მიუთითებენ იმავე დარგის კლასიკური ორატორული შემოქმედების გვერდით.

ასეთია ძველი ქართული სამართლის ძეგლებისა და საისტორიო დოკუმენტების შემწეობით გათვალისწინებული ჩვენი სამოსამართლო მჭევრმეტყველება, რომლის მოამაგეებს, უნდა ვიფიქროთ, რუსთველთან ერთად სწამდათ: „ქმნა მართლისა სამართლისა ხესა შეიქმს ხმელსა ნედლად“, და სჯეროდათ, რომ ამ დიდი მნიშვნელობის საქმეში გადამწყვეტი ძალა პირუთვნელ და გონივრულ სიტყვას ეკუთვნოდა.

---

[1] ი. დოლიძე, ძველი ქართული სამართალი, გვ. 122.

[2] იხ. ხელნაწერები *Hd*—S605, 8096, 8105, 8119, 8130, 8132, 8133, *Qd*—687, 1759 და სხვ.

5. სადღესასწაულო მჭევრმეტყველება

მსოფლიო მჭევრმეტყველების ერთი ადრინდელი, შედარებით ვიწრო დანიშნულების, მაგრამ სწრაფად განვითარებული და საკმაოდ შემონახული დარგი სადღესასწაულო მჭევრმეტყველებაა. ის უაღრესად კოლორიტული, სურათოვანი და მდიდრულად შემკული ორატორული ხელოვნებაა. ანტიკური ზეპირი სიტყვის სარბიელზე მას დამოუკიდებელი დარგის ნიშნები არ გააჩნდა. ბერძნულ-რომაული მჭევრმეტყველების კლასიკურ პერიოდში სადღესასწაულო შინაარსის სიტყვებს შემთხვევითი ხასიათი ჰქონდა და უმთავრესად განსაკუთრებული ზეიმის აღსანიშნავად მიმართავდნენ.

დამოუკიდებელი დარგის მხარეები სადღესასწაულო მჭევრმეტყველებამ შეიძინა მოგვიანებით, საშუალო საუკუნეების დასაწყისში, როცა წესად შემოღებული იქნა ქრისტიანული საუფლო დღესასწაულების გადახდა და ბიზანტიელი იმპერატორის გამარჯვებათა საზეიმო აღნიშვნა. ასეთი სახის ზეიმები, ცხადია, საჯაროდ ტარდებოდა და მათი ერთი შემადგენელი სადღესასწაულო ზეპირი სიტყვა იყო. ამგვარ სიტყვებს ხშირად ეხვდებით გვიანბერძნულ ორატორულ მემკვიდრეობაში.

საშუალო საუკუნეების ხანგრძლივ მანძილზე ფეოდალურ-მონარქიული წყობილებისა და ქრისტიანულ-დოგმატიკური მსოფლმხედველობის ბატონობის დროს, როცა ძლევამოსილი ქვეყნების ტირანებმა ზღაპრული პატივით შემოსეს თავიანთი პერსონები და საკუთარი წარმატების უკვდავსაყოფად გამოიყენეს სულიერი შემოქმედების ყოველი სფერო, ექსტენსიური განვითარების გზით მავალი მჭევრმეტყველება იძენს სახოტბო დანიშნულებას და ვიწრო პრაქტიკული ფუნქციით იფარგლება. ამ მოვალეობის პირდაპირ შემსრულებლად სადღესასწაულო შინაარსის მჭევრმეტყველება გვევლინება.

ჰუმანიზმის ეპოქაში სახოტბო-საზეიმო დანიშნულების ორატორული ხელოვნება ითავსებს ხალხური ტრადიციით შემონახულ საწესჩვეულებო ზეპირ მეტყველებას, იმოსება კლასიკური რიტორი-

კის ელფერით და შედარებით ფართო მასების საზოგადო დღესასწაულთა გაფორმებას ემსახურება. ამ მოვალეობას ასრულებს ის ახალი საუკუნეების მთელ მანძილზე, ხოლო უახლეს ხანაში წმინდა საზეიმო ხასიათს იღებს და ეროვნული სადღესასწაულო მოვლენების სიტყვიერ გამომხატველად იქცევა.

ქართული ორატორული ხელოვნების ერთი მდიდარი და მრავალფეროვანი დარგი სადღესასწაულო მქევრმეტყველებაა.

იოანე პეტრიწის „განმარტების" ბოლოსიტყვაობაში, ანტიკური ბერძნულ-რომაული და ადრინდელი ქრისტიანული მქევრმეტყველების მდიდარი მონაპოვრის საფუძველზე, საპოლიტიკო და საბოსამართლო ზეპირი მეტყველების გვერდით დასახელებულია სადღესასწაულო მქევრმეტყველებაც[1]. უდავოა, ამით მეცნიერი ნშობლიური ცოცხალი სიტყვის სურათსაც წარმოგვიდგენს. ამის საფუძველს მას აძლევდა იმდროინდელი ქართული ორატორული ხელოვნება. უნდა ვიფიქროთ, პეტრიწისათვის კარგად ცნობილი იქნებოდა გიორგი მთაწმიდელის, გიორგი მცირის, არსენ ბერისა და სხვათა ორატორული შემოქმედება. მარტო მათი მქევრმეტყველების საფუძველზე პეტრიწს შეეძლო გამოეყო ხსენებული დარგები და ელაპარაკა მათ ნიშანდობლივ მხარეებზე. სწორედ ასე იქცევა ის დასახელებულ ნაშრომში, სადაც საკაცობრიო ენობრივ მონაპოვართან ერთად გაშუქებულია ჩვენი ზეპირი მეტყველების კულტურა და ნაჩვენებია მისი შემოქმედებითი სფეროები. ამ სფეროთა შორის ვხედავთ სადღესასწაულო მქევრმეტყველებას.

ქართული სადღესასწაულო მქევრმეტყველება შეიცავს სასულიერო და საერო ხასიათის ორატორულ ძეგლებს. მათ შორის პირველი ადრინდელი ზეპირი მეტყველების ნაკადია, რომელიც თავიდან ბოლომდე გასდევს ძველ მქევრმეტყველებას და მოიცავს ორატორული ჰიმნების, ქებისა და გიხაროდენის ჟანრებს, ხოლო მეორე შედარებით გვიანდელი ცოცხალი მეტყველების სფეროა, რომელიც ვითარდება დღემდე და მოიცავს ქებისა და სიტყვის ჟანრებს.

ქვემოთ ჯერ სასულიერო ხასიათის სადღესასწაულო მქევრმეტყველება განიხილება, შემდეგ — საერო.

სასულიერო შინაარსის სადღესასწაულო ძეგლები, რომლებიც მისაბაძი მაგალითის სახით უკვდავყოფდნენ სამშობლოსათვის თავდადებულ ადამიანთა ქცევას, ფართო გასაქანს პოულობდა რელიგიური და პოლიტიკური ბრძოლების პირობებში. ქრისტიანული

---

[1] იოანე პეტრიწი, შრომები, II, გვ. 223.

მქადაგებლობის პირველ ხანებსა და მართლმადიდებლობის აღსარების დროს იქმნებოდა ბევრი სიტყვიერი ძეგლი, რომელთა დიდი ნაწილი საუფლო დღესასწაულებზე წარმოსათქმელად იყო განკუთვნილი და მსმენელთა მორალური განწყობილების ამაღლებასა და განმტკიცებას ემსახურებოდა.

შემდეგ ხანებში უკვე საკმაოდ მომძლავრებული ქრისტიანობა ხშირად საფრთხის წინაშე იხდიდა ზეიმს, რათა მორწმუნეთა ძალები დაერაზმა და მტრისათვის საკუთარი სიმტკიცე ეჩვენებინა.

დასასრულ, საბოლოოდ გამარჯვებული ეკლესია ქვეყნის საერთო პოლიტიკური ვითარების შესაბამისად გამოხატავდა საკუთარ წარმატებას და საქმიანი ზეიმებით აღნიშნავდა თავის მიღწევებს.

ყოველივე ეს შესაფერის სიტყვიერ გამოსახვას საჭიროებდა და ოსტატურ პრაქტიკულ გამოვლენას მოითხოვდა. ამ ნიადაგზე წარმოიქმნა სასულიერო სადღესასწაულო მჭევრმეტყველება, რომლის შინაარსს თავდადებულ მორწმუნეთა ღვაწლი შეადგენდა, ფორმას — სახოტბო საზეიმო სტილი, ხოლო იდეას — მიბაძვის საჭიროება.

აქ უნდა აღინიშნოს, რომ პირველ ხანებში სადღესასწაულო მჭევრმეტყველების ქება-დიდება უმთავრესად მარტვილებსა და მორწმუნეებს მიემართება, შემდეგ — მეფეებსა და მხედართმთავრებს, ხოლო დასასრულ — საზოგადო მოღვაწეებსა და ეროვნულ გმირებს; არაიშვიათად ხოტბის საგანს ადამიანთა ნამოქმედარი წარმოადგენდა. ასეთია, მაგალითად, იოანე-ზოსიმეს „ქებაჲ და დიდებაჲ ქართულისა ენისაჲ“, რომელიც თავისი ორატორული სტილის გვერდით იმითაც იქცევს ჩვენს ყურადღებას, რომ ქართული მჭევრმეტყველების ძირითადი მასალის — ენობრივი ფორმის — მადიდებელი და შემამკობელია.

აქ ნათქვამია:

„დამარხულ არს ენაჲ ქართული დღედმდე მეორედ მოსლვისა მისისა საწამებელად, რაჲთა ყოველსა ენასა ღმერთმან ამხილოს ამით ენითა...

და ესე ენაჲ მძინარე არს დღესამომდე, და სახარებასა შინა ამას ენასა ლაზარე ჰრქუან...

და ესე ენაჲ, შემკული და კურთხეული სახელითა უფლისაჲთა, მდაბალი და დაწუნებული, მოელის დღესა მას მეორედ მოსლვისა უფლისასა...“[1]

ჩვენი სასულიერო სადღესასწაულო მჭევრმეტყველების ძირები ეროვნული ჰიმნოგრაფიის წიაღშია საძიებელი. VII—VIII საუკუნეთა

[1] ქართული მჭევრმეტყველება, გვ, 133.

მანძილზე ქართული ჰიმნოგრაფიული მწერლობის სათავეებში ჩაისახა და განვითარების გზას დაადგა ორიგინალური საღვთისმსახურო მეტყველება, რომლის ტექსტები ხან ზეპირად სათქმელ. ხან წერილობით წასაკითხავ და ხანაც გალობით სამღერალ მასალას წარმოადგენდა. მათ შორის ჩვენთვის საინტერესოა ზეპირად სათქმელი მასალა.

საქმე ის არის, რომ წერილობით წასაკითხავ ტექსტებსაც, მათი ხშირი წაკითხვის შედეგად, წამკითხველი ბოლოს და ბოლოს ზეპირად სწავლობდა, უტექსტოდ წარმოთქვამდა და, ამრიგად, ერთგვარ ორატორად გვეელინებოდა. ამნაირად, ჩვენი უურადღების წრეში ექცევა როგორც ზეპირად სათქმელი, ისე წერილობით წასაკითხაი მასალა.

სწორედ ასეთი მასალა აქვს მხედველობაში გიორგი მერჩულეს, როცა გრიგოლ ხანძთელის შესახებ ამბობს: „არს ხანძთას ქელითა მისითა დაწერილი სულისა მიერ წმიდისა საწელიწდო იადგარი, რომლისა სიტყუანი ფრიად კეთილ არიან“[1]. აქ ხსენებული იადგარი, კ. კეკელიძის განმარტებით, „გულისხმობს სამახსოვრო დოკუმენტს, ისეთ აქტს, რომელიც შედგენილია რაიმეს დასახსომებლად. ასეთი სახელი ადვილად მიეცემოდა იმ წიგნს, რომელშიაც წმინდანთა „ხსენებაა“ აღნუსხული“[2].

ერთი ასეთი, ქრონოლოგიურად პირველი სადღესასწაულო შინაარსის ორატორული ძეგლი „ქებაჲ წმიდისა მოწამისა ჰაბოჲსი“, რომელიც მოღწეულია ჩვენამდე X საუკუნის ხელნაწერით, ეკუთვნის VIII საუკუნის მწერალს იოანე საბანისძეს. წინამდებარე ნაშრომში ის თავის ადგილას განცალკევებითაა განხილული.

როგორც ჩანს, აბო ტფილელის თემა მეტად გავრცელებული ყოფილა ძველ ქართულ მწერლობაში. ამას გვიჩვენებს მისი ხელახალი დამუშავება უცნობი ავტორის მიერ VIII—IX საუკუნეთა მიჯნაზე. ჩვენ მხედველობაში გვაქვს კ. კეკელიძის მიერ მიკვლეული „აბოს საგალობელი“, რომელიც ქართული სადღესასწაულო მშვენრმეტყველების სამაგალითო ქმნილებაა.

საგალობელი იწყება სადიდებელი მოწამის ხსენებით:

„ეჰა დიდებული საკუირველი წმიდისა და ახოანისა ქრისტეჲსისა აბოჲსი. რომელი იგი ისმაიტელ იყო რჩულითა. შური აღიღო წმიდისა მოციქულისა პავლეჲსი. რაჲთა ზე აქუნდეს სახელი მისი ყოველთა კიდეთა სოფლისათა“[3].

---

[1] გიორგი მერჩულე, ცხორება გრიგოლ ხანძთელისა, გვ. 80.

[2] კ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, I, გვ. 564.

[3] პ. ინგოროყვა, ძველ-ქართული სასულიერო პოეზია, გვ. 7.

ძეგლში რეფრენის სახით რამდენჯერმე განმეორებულია შემდეგი რიტორული მიმართვა: „მოვედით, მორწმუნენო, ვადიდებდეთ საკვირველებელსა მისსა და უგალობდეთ, რომელმან ღირსად გუირგუინოსან ყო იგი“[1].

რეფრენთა შორის მკვეთრად გამართული თხრობის ეპიზოდებია ჩართული. მაგალითად:

„გულის წყრომისა მძლავრი იგი და ფერი პირისა მისისაჲ ექცეოდა ზედა წმიდისა მოწამისა ქრისტეჱსისა აბოჲსა. ხოლო იგი უფროჲს ღაღადებდა და იტყოდა: დაღაცათუ ცეცხლითა და ტანჯვითა აღმასრულოთ მე, არაჲ უარ ვყო სამებაჲ წმიდაჲ“[2].

საგალობელი მთავრდება მსმენელისადმი მიმართვით:

„მოვედით, მორწმუნენო ქრისტეჱსნო, ვჰყოფდეთ ჴსენებასა წმიდისა აბოჲსსა. რომელმან შეურაცხ ყო განწყობილებაჲ იგი აგარეანთაჲ და შეურაცხ ყო ცეცხლი და მახუილი სახელისა-თუის ქრისტეჱსა და მოიგო გუირგუინი დიდებისაჲ წმიდათა. მისთა თანა“[3].

მკვლევარმა პ. ინგოროყვამ დაადასტურა, რომ გარდა მერჩულის თხზულებაში დასახელებული საწელიწდო იადგარისა „გრიგოლ ხანძთელს ჰკუთვნებია შესხმაჲ ქებისაჲ ბაგრატ ქართველთა ხელმწიფისა“[4], რომლის ტექსტი ჯერხნობით მიუგნებელია. ეს უკანასკნელი სადღესასწაულო შინაარსის ორატორული ძეგლი უნდა ყოფილიყო. ამას გვაფიქრებინებს ის გარემოება, რომ მსგავსი სათაურის მქონე ნაწარმოებები, რომლებიც ხანძთელის ლიტერატურული მემკვიდრეობიდან მოღწეულია ჩვენამდე, უხვად შეიცავენ ორატორულ გამონათქვამებს. ასეთია, მაგალითად, „ქებაჲ კლარჯეთისა უდაბნოთაჲ“.

დიდად საყურადღებოა, რომ გრიგოლ ხანძთელის საგალობლებში აღმოჩნდა სადღესასწაულო შინაარსის ძლისპირი, რომელიც პ. ინგოროყვას აზრით ავტორს „დაუწერია ქართველი ჯარის გამარჯვების გამო, და რომელსაც, როგორც ირკვევა, მღეროდნენ გამარჯვების აღსანიშნავად გამართულს საეკლესიო დღესასწაულზე“[5].

გრიგოლ ხანძთელის ორატორულ ნიჭს, როგორც ვიცით, უხვი მასალით გვიდასტურებს მისი დიდი ბიოგრაფი, რომლის თხზულება ვრცელი ჩანართების სახით შეიცავს იმ ორატორულ ქმნილებებს,

---

[1] პ. ინგოროყვა, ძველ-ქართული სასულიერო პოეზია, გვ. 7.

[2] იქვე.

[3] იქვე, გვ. 10.

[4] პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, გვ. 549.

[5] იქვე, გვ. 812.

რომლებიც გრიგოლს წარმოუთქვამს სხვადასხვა შემთხვევასთან დაკავშირებით.

აი, მაგალითად, მისი ზეპირი ანდერძნამაგი, რომელიც საზეიმო იერით გადმოსცემს ორატორის ამაღლებულ განწყობილებას:

„შვილნო, სულისა სიბრძნითა გულისა ტკივილითა სძლეთ და ნუ შეძრწუნდების გონებაჲ თქუენი, რამეთუ მე ესრეთ აღგითქუამ: არაჲ დაგაკლოს თქუენ ქრისტემან აჭა და საუკუნესა მას, უკუეთუ ეგნეთ მას ზედა, რომელიცა გისწავიეს ჩემგან პირველთა წმიდათა მამათა შეწირული მონაზონებისა წესი...

ხოლო მე, რაჟამს ღირს ვიქმნე მისლვად უფლისა, ვეეედრო თქუენთჳს, რამეთუ ფრიად განმისუენეთ მე, და რამეთუ აწ ჴორცთა შინა ყოფასა ჩემსა თავისა ჩემისა და თქუენთჳს ვილოცავე, ხოლო ოდეს განვთავისუფლდე საწუთროჲსა ამისგან, ვესავ ქრისტესა, ვითარმედ მოუკლებელად იყოს ვეედრებაჲ ჩემი თქუენთჳს მისსა მიმართ, და ყოველთა სარწმუნოებით მეედრებელთათჳს და შვილთა ჩემთათჳს, რათა პოონ ღმრთისა მიერ წყალობაჲ და შეწევნაჲ სრულიად სიხარულად საუკუნოდ“[1].

ამრიგად, გრიგოლ ხანძთელი როგორც საკუთარი, ისე სხვისი წერილობითი მასალით დამოწმებული ორატორია, რომლის მეეერმეტყველება მკვეთრად გამოხატულ სადღესასწაულო ხასიათს ატარებს.

შემდეგი ხანის ერთი ბრწყინვალე ჰიმნოგრაფიული ძეგლი, რომელიც სადღესასწაულო შინაარსის ორატორულ ნაკეთებს შეიცავს, არის დავით აღმაშენებლის ავტობიოგრაფიული ნაწარმოები „გალობანი სინანულისანი“. ამ ქმნილების მერვე გალობა მაღალი ორატორული ხელოვნებით გამართული საზეიმო აღსარებაა, რომელსაც მეფე მგზნებარე ლოცვის სახით აღავლენს ქრისტესა და ღვთისმშობლის მიმართ. ხატოვანი სახე და მიმართვის ფორმა მწერლის სიტყვას ანიჭებს ორატორულ ელფერს და ამსგავსებს საჯარო მეტყველებას. ასეთია, მაგალითად, VIII გალობის დასაწყისი:

„ჳამი რაჲ წულილთა და კმელთა აღმოფშჳნვათაჲ წარმოდგეს,
ზარი მეფობისაჲ წარკდეს და დიდებაჲ დაშრტეს.
შუებანი უქმ იქმნენ,
ყუავილოვნებაჲ დაჴნეს,
სხუამან მიიღოს სკიპტრაჲ,
სხუასა შეუდგენ სპანი,
მაშინ შემიწყალე, მსაჯულო ჩემო!

---

[1] გიორგი მერჩულე, ცხორება გრიგოლ ხანძთელისა, გვ. 125—126.

განრაჲ-ეღოს წიგნი დღესა მას შინა სასჯელისასა
და მე ქედდადრეკილი წარმოგიდგე განკითხვად,
მსაჯული მართლ სჯიდე,
მსახურთა რისხვაჲ კროდის,
მართალნი ნეტარებდენ,
ცოდვილთა ჰგუემდეს ცეცხლი,
მაშინ შემიწყალე, იესუ ჩემო![1]

სადღესასწაულო მჭევრმეტყველების ეპიზოდური ნიმუშები მოგვეპოვება აგრეთვე გიორგი მერჩულის, იოანე მტბევარის, მიქელ მოდრეკილისა და სხვების ჰიმნოგრაფიულ მემკვიდრეობაში.

ყოველივე ეს იმას გვიჩვენებს, რომ თავდაპირველად ქართული ჰიმნოგრაფიის წიაღში ჩასახულა ჩვენი სასულიერო სადღესასწაულო მჭევრმეტყველება, რომლის პირველი ნიმუშები VIII — X საუკუნეთა ლიტერატურულ ძეგლებშია ჩართული, მაგრამ არსებითად ორატორულ მონაპოვარს წარმოადგენენ და ზეპირი მეტყველების საგანძურს განეკუთვნებიან.

ასეთია ჩვენი უძველესი სადღესასწაულო მჭევრმეტყველების ზოგადი ვითარება. ამ ხასიათის ორატორული სიტყვის ნაკადი საუკუნეთა მანძილზე გაჰყვა ქართულ მწერლობას და აღორძინების პერიოდში უჩვეულო განვითარების დონემდე ამაღლდა. XVII—XVIII საუკუნეთა მანძილზე მსოფლიო მნიშვნელობის წარმატებით აღინიშნა ჩვენი სასულიერო საზეიმო მჭევრმეტყველება, რომლის გამოჩენილი წარმომადგენლებია სულხან-საბა ორბელიანი, ანტონ კათალიკოსი, საბა ნინოწმიდელი, ამბროსი ნეკრესელი, ანტონ ჴუონდიდელი და სხვ. მათ შორის წმინდა სადღესასწაულო მჭევრმეტყველების უდიდესი ოსტატია საბა ნინოწმიდელი. მისი შემოქმედებით მთავრდება არსებითად ქართული სასულიერო მჭევრმეტყველების ისტორიული განვითარება.

ხსენებულ ორატორთა შემოქმედება განხილულია ქვემოთ (გვ. 270—333).

ჩვენი საერო სადღესასწაულო მჭევრმეტყველების სათავეები ადრინდელ ხალხურ სიტყვიერებახა და უძველეს საისტორიო მწერლობაშია საძიებელი. ხალხური ორატორული ხელოვნების ერთი ძირითადი დარგი სასუფრო მჭევრმეტყველება სადღესასწაულო ხასიათისაა. ქართულ სუფრასთან, სადაც რუსთველის თქმით „ხამს სტუმარი სასურველი, მასპინძელი—მხიარული“ (729,4), წესად მიღებულია საზეიმო სიტყვის, სადღეგრძელოს წარმოთქმა. ეს ძველისძველი ეთნიკური წესი უხსოვარი დროიდან ამშვენებს

[1] პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, გვ. 605.

ქართულ პურ-მარილს და უმტკიცესი ტრადიციის სახით შემორჩა თანამედროვე სუფრას. ჩვენი ეროვნული სუფრის ნიშანდობლივ მხარეს რუსთველის მიერ ხაზგასმული მხიარულება წარმოადგენს. მხიარულებას ქართულ სუფრაზე ქმნის ორი რამ: სიტყვა და სიმღერა, რომლებსაც აწესრიგებს ნადიმის მეთაური — თამადა. ის ქმნის მოწესრიგებულ მხიარულებას. ასეთ მხიარულებაში დიდი წვლილი შეაქვს სიტყვას. ეს სიტყვა საჯარო სახისაა და მშვერი ფორმისაკენ მიდრეკილებით ხასიათდება. მისივე ნიშანია მახვილი და მოსწრებული გამომსახველობა. ასეთი სიტყვა განუშორებელი ატრიბუტია ქართული ხალხური სუფრისა. ამგვარი სუფრის აღწერილობა ხშირად გვხვდება მხატვრულ, საისტორიო და მემუარულ მწერლობაში; მისი სურათი აღბეჭდილია ეთნოგრაფიულ და ფოლკლორულ მასალებშიც. ამ წყაროებით ვეცნობით ჩვენში გავრცელებული ლხინისა და გართობის, შექცევისა და დროს ტარების მამაპაპურ წესს, რაც არსებითად შეუცვლელი სახითაა ჩვენამდე მოღწეული და დაცულია დღევანდელ განახლებულ ყოფა-ცხოვრებაში. ყოველ შემთხვევაში მას იმდენი ცვლილება არ განუცდია, რამდენიც გლოვის წესმა განიცადა და არც მის მსგავსად გამარტივებულა.

აქვე უნდა ითქვას, რომ ლხინისა და გლოვის ჩვეულებანი თანაბარი პატივითა და მოკრძალებით სარგებლობდნენ ჩვენში, ამასთან, როგორც მაღალ, ისე დაბალ სოციალურ ფენებში. მაღალი წრის ლხინისა და გლოვის ისტორიულ სურათებს უფრო მხატვრულ და საისტორიო მწერლობაში ვპოულობთ, ხოლო დაბალი წრის ნადიმისა და მწუხარების ტრადიციულ წესებს უმეტესად ეთნოგრაფიული და ფოლკლორული მასალები გვაცნობენ. ასე, მაგალითად, იოანე ბატონიშვილის „ქალმასობის“ იმ ნაწილში, რომელშიც მოთხრობილია ქართლის ისტორია, ვკითხულობთ: „აქუნდა მეფესა ორი დიდი პალატი: ერთი სალხინოდ და მეორე საგლოველოდ. სალხინო პალატი იყო წითლისა ფარჩითა ანუ ხავედითა მოკრული სრულიად ჰერ-გეერდებითა და შუაზედ ჰერშია ეკერა შავი ჯუარი ფარჩისავე, და ესე იყო ნიშანი, რომელ ლხინში მყოფთა შეხედვითა მისითა მოეგონებინათ სიკუდილი და უჯეროდ არ განცხრომილიყვნენ. გარნა მას სალხინო სახლში იყო სამი ქუევრი თითოსაპალნიანი შთადგმული, და რომ ესეოდენი დარბაზის ერნი დასხდებოდენ მას შინა, რომელ მათგან დალეულის ღვინის თასში დაშთომილი ღვინოჲ რა დანაჲურიან ქუევრებთა მათ შინა, სამივე ქუევრი აღივსებოდის, რომელ ესოდენ ღვინოჲ დაილეოდის და მერე იმას განი-

ყოფდენ მოსამსახუენი მეფისანი. ხოლო საგლოველი პალატი იყო ესრეთვე შაეით მოკრული, ხაედით თუ სადა ფარჩითა, და ჰერის საშუალ ეკერა ჯუარი წითელი ფარჩისა, მომასწავებელ შემხედველთათვის, რომელ მწუხარებასა შეუდგების მხიარულება მოწყალებითა ღვთისაჲთა, და მით ინუგეშებდენ მგლოვარენი"[1].

ვაჟა-ფშაველას ეთნოგრაფიულ წერილებში მდიდარი მასალაა წარმოდგენილი ქართული ხალხური სუფრის მართვა-მსვლელობისა და წყობა-წესრიგის შესახებ. იქვე სხვადასხვა პირისადმი მიმართული სადღეგრძელოების ტექსტებია მოთავსებული და მათი წარმოთქმის გარემოა ნაჩვენები. გაისაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ფშაველი ხევისბერის დიდება, რაც ხალხური მჭევრმეტყველების სამაგალითო ნიმუშია და თავისი ღირსებით კლასიკური ზეპირსიტყვის მონაპოვარს უახლოვდება.

აი, ეს დიდება:

„დიდება შენთვის, ღმერთო, დიდება შენთვის, კვირას კარავიანს, დიდება შენთვის, გიორგი მუხის ანგელოზს, დიდება შენთვის, თამარს დედოფალს, ხმელეთის დამრიგებელს! თქვენ გადიდოსთ ღმერთმა, გაგიმარჯოსთ, თქვენი ხმალი, თქვენი სამართალი, თქვენ თქვენი გამჩენი. ღმერთი არ მოგიწყენსთ, არ მოგიძულებსთ; თქვენ თქვენს საყმოს ნუ მაიწყენთ, ნუ მაიძულებთ. საყმოობით ვინმე გეხვეწებოდესთ, რასაც გულზე და მხარეზე გადიდებდენ, გეხვეწებოდენთ, იმ გულზე, იმ მხარეზე, შეიხვეწეთ, შეინახეთ; რასაც წყალობას გეთხოვებოდენთ, ის წყალობა ღმერთსაც გამოუთხოვეთ, კვირასაც, და თვითონაც თქვენი წყალობა უყავით. პირველად წულს მოუმატეთ ამ სახლშია, ღონექონესა, კაცსა კაცრიელობისა, მტრის ხელი აჰხადეთ, სიკვდილის ხმა მოაშორეთ, დაცევ-დაფარეთ ლაღის მტრისაგან, მწარე სიკვდილისაგან...

დიდება თქვენს ძალასა, თქვენს სამართალსა, თქვენის გამჩენის სამართალსა, თქვენის გამჩენის ღვთისაგან... მოგცესთ წყალობა, რაც იდიდა, იხსენა, იმათმა დავლათმა, თემო, სოფელო, ქუდოსანო, მანდილოსანო"[2].

ასევე საგულისხმოა სიტყვაკაზმული ფოლკლორით შემონახული დალოცვები, რომელთა უმრავლესობა სუფრასთან წარმოთქმული სადღეგრძელოების სტილიზებულ სახეს წარმოადგენს[3].

ვაჟა-ფშაველას ეთნოგრაფიულ მასალებშიც ჩართულია ხალხური დალოცვის ნიმუშები. აქ დაცულია გაუთხოვარი ქალის, მოხუცი

[1] ხელნაწერი *H*—2134, ფ. 706.

[2] ვაჟა-ფშაველა, ფშაველები, გვ. 30.

[3] იხ. საუნჯე, I, აკაკი ჭყონიას რედ., თბილისი, 1935, გვ. 207—209

შამაკაცის, პატარძლის, მღვდლისა და ბავშვის სადღეგრძელოების ტექსტები. მაგალითად:

„ღმერთმა გაცოცხლოს და გადღეგძელოს, ვისაც შენი სიცოცხლე არ უნდოდეს, ღმერთმა ის ნუ აცოცხლოს. შეგეწიოს ფშავხევსურეთის სალოცავები, კეთილ საქმეზე ხელი მოგიმართოს, გაგახაროს, ძმები გიცოცხლოს, შენს ბედნიერებას შაგვასწროს, შენს მაყრად მოვდიოდე, ქორწილში ღვინოსა ვსომდე“[1].

საერო სადღესასწაულო მჭევრმეტყველების ადრინდელი ტექსტები, როგორც ითქვა, მოიპოვება აგრეთვე საისტორიო მწერლობაში. ეს ტექსტები თავიანთი ლიტერატურული დამუშავების დროთი დიდად დაშორებულია წარმოშობის დროიდან, მაგრამ, უნდა ვიფიქროთ, პირველწყაროების განსაზღვრულ კვალს ატარებენ და უძველესი ორატორული ხელოვნების ნიმუშებად გვევლინებიან. ასეთი ნიმუშები ცხადად შეინიშნება ლეონტი მროველის ლიტერატურულ მემკვიდრეობაში, რომლის ზოგიერთი ჩანართი თუ ორგანული ნაწილი საზეიმო ცოცხალი მეტყველების შორეული ფრაგმენტებია. ერთი ასეთი ადგილი, რომელიც მკვლევარ პ. ინგოროყვას „წყობილი სიტყვის ლექსთწყობის ერთ-ერთ უშესანიშნავეს“[2] ნიმუშად მიაჩნია, ჩვენი აზრით, სადღესასწაულო დარგის ორატორული ხელოვნების ნაწარმოებია და მისი შემცველი ტექსტიდან რიტმული ფორმით გამოიყოფა როგორც მჭევრმეტყველება. (რიტმული, და ზოგჯერ გარითმული, ორატორული ხელოვნება ჩვეულებრივი მოვლენა იყო ბერძნული მჭევრმეტყველების ადრეულ პერიოდებში). ეს არის „ბრძოლა ქართველთა მეფისა მირვანისა და დურძუკთა“, რომელსაც შეიცავს ლეონტი მროველის „ცხოვრება ქართველთა მეფეთა“.

აი, ეს ადგილი პ. ინგოროყვას გამოცემით:

„მაშინ მირვან გარდაკდა ცხენისაგან,
და მივიდა ჭუეითთა თანა თჳსთა,
და წარუძღუა წინა ჭუეითთა,
და ზურგით შემოადგინნა მკედარნი;
და მივიდა კართა მათ შინა
ვითარცა ჯიქი სიფიცხლითა,
ვითარცა ვეფხჳ სიმკნითა,
ვითარცა ლომი ხახილითა.
იქმნა მათ შორის
ბრძოლა სასტიკი;

[1] ვაჟა-ფშაველა, ფშაველები, გვ. 133.
[2] პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, გვ. 727.

ხოლო მირვანს ვერ ჰკუეთდა მახჯლი დურძუკთა
ვითარცა კლდესა სიპსა,
და დგა იგი უძრავად
ვითარცა კოშკი მტკიცე"[1].

იგივე ადგილი ს. ყაუხჩიშვილს ჩვეულებრივი პროზის სახით აქვს გამოქვეყნებული[2]. ასეთივე რიტმული პროზის ორატორული ნაწყვეტებია იმავე ავტორის „სიზმარი ფარნავაზისა", „ნადირობა ფარნავაზისა"[3], „ბრძოლა გმირთა და სასტიკება ჰაერისა" და სხვ. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ეს უკანასკნელი, რომელშიც ადამიანთა შეუპოვარი ბრძოლის მომენტები შედარებულია ბუნების მკაცრ სურათებთან და სათქმელის მთელი შინაარსი გადმოცემულია რთული რიტორული პარალელიზმის გზით: „ხოლო ვითარცა მოიწივნეს სპანი იგი ნებროთისნი, მაშინ მიეგებნეს შჯდნი იგი გმირნი ძმანი ჰაოსისნი სპითა ძლიერითა. ხოლო ჰაოს სპითა უძლიერესითა დაუდგა უკანით, ზურგით. იქმნა მათ შორის ბრძოლა სასტიკი, რომელი ემსგავსა სასტიკებასა ჰაერისასა. რამეთუ მტუერი ფერჴისა მათისა ვითარცა ღრუბელი სქელი; ელვა აბჯრისა მათისა ვითარცა ელვა ცისა; ჴმა პირისა მათისა ვითარცა ჴმა ქუხილისა; სიმრავლე ისართა და ტყორცა ქვისა მათისა ვითარცა სეტყუა ჴშირი, და დათხევა სისხლისა მათისა ვითარცა ღუარი სეტყუათა"[4].

ერთი ადრინდელი საერო სადღესასწაულო შინაარსის სიტყვა „მეფესა დავითს — მონაზონი არსენი", რომელიც ეკუთვნის XII საუკუნის მწერალს არსენ ბერს და წარმოადგენს დავით აღმაშენებლის რიტორიკულ შესხმას, ჩვენამდე მოღწეულია ავტორის დროინდელი ხელნაწერით, არსებითად დამოუკიდებელი ორატორული ძეგლის სახით. ის განხილულია ქვემოთ (გვ. 266—269). აქ კი უნდა აღინიშნოს, რომ მას ბევრი ტექსტუალური პარალელი მოეპოვება იმდროინდელ ქართულ მწერლობაში. ეს გვიჩვენებს, თუ რაოდენ ფართოდ გავრცელებულა ძლევამოსილ ფეოდალურ საქართველოში უზენაეს ხელისუფალთა უკვდავყოფის ცდები მშვენიერი სიტყვის მეშვეობით. ასეთ ცდასთან გვაქვს საქმე ამ ორატორული სიტყვის სახით.

ყოველივე ეს იმის მაუწყებელია, რომ ფეოდალური კულტურის კლასიკურ ეპოქაში ბევრი სადღესასწაულო შინაარსის რიტორიკული ძეგლი უნდა შექმნილიყო, მაგრამ საისტორიო მწერლობას არ

[1] პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, გვ. 726—727.
[2] იხ. ქართლის ცხოვრება, I, გვ. 28.
[3] იქვე, გვ. 21—22.
[4] იქვე, გვ. 6—7.

დაუცავს ისინი, ალბათ, როგორც ნაკლები შემეცნებითი აზრისა და მეტი სუბიექტური შეხედულების შემცველნი.

ქართული სადღესასწაულო მშვერმეტყველების დიდ წარმატებას ადგილი აქვს აღორძინების პერიოდის უკანასკნელ საუკუნეში; მისი წინსვლა გრძელდება ახალი და უახლესი ზეპირი მეტყველების ისტორიულ სარბიელზედაც.

XVIII საუკუნის სადღესასწაულო ორატორული ხელოვნების გამოჩენილი ოსტატებია ზაქარია გაბაშვილი, გაიოზ რექტორი და სოლომონ ლიონიძე. მათი შემოქმედება განხილულია ქვემოთ გვ. (280—286, 294—318).

იმავე საუკუნის მეორე ნახევარში ჩვენში განვითარდა და ფართოდ გავრცელდა ეპისტოლარული მშვერმეტყველება, რომელსაც ორი ძირითადი სახეობა გააჩნდა: სამილოცვო და სამძიმრისა. ორივე სახის ორატორულ წერილებს უხვად ვპოულობთ იმდროინდელ და მომდევნო ხანის ხელნაწერებში. ჩვენამდე მოღწეული ვრცელი „სამდიენო წიგნი"[1], რომელიც ამჟამად დაცულია ქართულ ხელნაწერთა საგანძურში, შეიცავს სამილოცვო და სამძიმრის წერილების მრავალფეროვან ჩარჩოებს, რომლებიც საჭიროების მიხედვით უნდა შევსებულიყო ნაკლებად განსწავლული მომხმარებლის მიერ, ვისაც თავად არ შეეძლო მსგავსი წერილების შეთხზვა. ამ ჩარჩოების ავტორები ორატორული ნიჭით დაჯილდოებული და მწერლობაში გაწაფული პირებია, რომლებიც, ანტიკური დროის ლოგოგრაფოსების მსგავსად, სხვებს უმზადებდნენ მისაწერ ტექსტებს და თავიანთ სახელებს ჩვეულებრივ არ ამჟღავნებდნენ. აღნიშნული გარემოება ჩვენი ეპისტოლარული მშვერმეტყველების მაღალ მხატვრულ წარმატებასა და ფართო პრაქტიკულ გამოყენებაზე მიუთითებს გარდამავალი პერიოდის კაზმული სიტყვის ისტორიაში.

ქართული სამილოცვო და სამძიმრის ეპისტოლარული მშვერმეტყველების ცნობილი წარმომადგენელი ს. ლიონიძეა.

ჩვენამდე მოღწეულია მისი ერთი სამილოცვო წერილი[2]—მიმართული პავლე პირველისადმი — დაწერილი ერეკლე მეორის შეკვეთით რუსეთის იმპერატორთან გასაგზავნად 1796 წელს. საზეიმო მოტივებთან ერთად ეს წერილი შეიცავს სამძიმრის მოტივებსაც, ვინაიდან პავლე პირველის გამეფებით გამოწვეულ სიხარულს აქ წინ უძღვის ეკატერინე მეორის გარდაცვალებით გამოწვეული მწუხა-

[1] ხელნაწერი *H*—1334.

[2] ხელნაწერი *H*—2528.

რება. ერთმანეთის მოპირისპირე გრძნობები წერილში გამოთქმულია დიდი ტაქტითა და იშვიათი ზომიერებით.

ამ ჟანრის რიტორული უსტარები, როგორც ზემოთ აღინიშნა, შრავლადაა ჩვენამდე მოღწეული[1].

XIX საუკუნეში, ახალი ქართული კულტურის სარბიელზე, ფართო გასაქანი პოვა სადღესასწაულო მჭევრმეტყველებამ. სამგლოვიარო ზეპირ სიტყვასთან ერთად ის წარმოადგენდა განსაკუთრებით აყვავებულ სამეტყველო სფეროს, რომლის დიდი წარმატება აპირობებდა ცოცხალი სიტყვის სხვა დარგების საერთო წინსვლასა და განვითარებას. ასეთი გამორჩეული გავლენის წყაროდ ის აქცია ეპოქის ვითარებამ, რაც ზოგიერთი მაჩვენებლით საზეიმო განწყობილების საფუძველს ქმნიდა. ასეთ მაჩვენებლად შეიძლება მივიჩნიოთ საქართველოს რუსეთთან შეერთებით გამოწვეული ფიზიკური დახსნა, რასაც მოჰყვა ერის სულიერი გადარჩენაც და მისგან გამომდინარე კულტურული წარმატებანი. აჰ საფუძველზე განახლებული ჩვენი სადღესასწაულო ზეპირი სიტყვის ცნობილი წარმომადგენლებია: იოანე ბატონიშვილი, სოლომონ დოდაშვილი, მიხეილ თუმანიშვილი, მამია გურიელი, რაფიელ ერისთავი, ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი და ივანე მაჩაბელი.

მათ შორის განსაკუთრებული ღვაწლით მოსილი ორატორების — იოანე ბატონიშვილის, სოლომონ დოდაშვილის, ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის შემოქმედება განხილულია ქვემოთ (გვ. 334 — 338, 346 — 349, 369 — 383). ზოგიერთი მათგანის — მამია გურიელის (1836 — 1891), რაფიელ ერისთავისა (1824 — 1901) და ივანე მაჩაბლის (1854 — 1898) ორატორული მემკვიდრეობა არ შენახულა; ხოლო მიხეილ თუმანიშვილის მჭევრმეტყველება ცნობილია ერთი სადღესასწაულო სიტყვით, რომელიც გარჩეულია ქვემოთ.

მ. თუმანიშვილის „სიტყვა, წარკითხული ჟამსა განახლებისა ქალაქსა შინა თელავს საქართველოს მეფის ირაკლის სასახლისა, მარტის 3 რიცხვსა 1851 წელსა“[2], გამოხატავს იმ საზეიმო განწყობილებას, რაც გამოუწვევია მიხეილ ვორონცოვის მიერ ერეკლესეული სასახლის აღდგენას. ის წარმოადგენს არქაული ზეპირი მეტყველების გვიანდელ ნიმუშს XIX საუკუნეში, რომლის მეორე ნახევრიდან ნაკლებად შეინიშნება ძველი ენობრივი ნორმების დოშინანტური სიჭარბე.

---

[1] იხ. ხელნაწერები *Sd*—1390, 1448, 1453, 1454, 1653, 1824, 1872, 2064, 2068, 2074, 2084 და სხვ.; *Hd*—4573, 4505, 4831, 14806 და სხვ.

[2] ხელნაწერი № 19, მ. თ უ მ ა ნ ი შ ვ ი ლ ი ს პირადი არქივი (ხელნაწერთა ინსტიტუტი).

სიტყვა იწყება მსმენელისადმი მიმართვით, რომლითაც ცხადყოფს ორატორი საზეიმო შეკრების მიზეზს: „ნება მომეცით მოწყალენო ჴელმწიფენო განგიცხადოთ შემოკლებით ჰაზრი, რომელიც უნდა ჰქონდეს ჩვენთვის დღევანდელსა დღესა. ჩვენ შევკრებილვართ აქა, რათა ვიდღესასწაულოთ აღდგინება იმა სასახლისა, რომელიცა შეადგენს უმჯობესსა საუნჯესა თვითეულისა ქართველისათვის...“

შემდეგ მწუხარებით იგონებს ორატორი „ახოვანი მოწამის“ სიკვდილს და რწმენით აღსავსე იმედით დასძენს: „არა არს საიქვეო, რომელ აქა, ამა კედელთა შინა, ოდესცა მხცოვანი ერთმთავარი ჩამოიხსნიდა ჴრებთაგან თვისთა დამძიმებულთა წელიწდოვნებათა, ოდესცა სასტიკი, ულმობელი სიკვდილი დააპყრობდა ციესა ჴელსა თვისსა სამეუფოსა შუბლსა მისსა, იგივე ჰაზრი აღუმსუბუქებდა მას სიკვდილისა მორბედთა ტანჯვათა, და იგი განვიდოდა ამ სოფლით უშფოთრად, განსვენებით, დაუტევებდა რა აღთქმად შეერთებასა სამეფოჲსა თვისისა დიდისა სამპყრობელოჲსა თანა“.

ამას მოსდევს ერთმორწმუნე მფარველის ზრუნვით შესრულებული მისწრაფების ხსენება, რასაც უკავშირებს მეტყველი თავის ძირითად სათქმელს. აქ ლაპარაკია ერეკლეს გაჩანაგებულ სასახლეზე, ნაჩვენებია მისი ნგრევა, ძირს ცენა და უპატრონობა.

„გარნა, აჰა, აწ მოიწია დასასრული უმადლოჲსა დაეიწყებისა“, — ამბობს ორატორი, რომელიც იქვე დიდი მადლიერებით ასურათებს მ. ვორონცოვის ღვაწლს საამაყო სიძველის გადარჩენის საქმეში და ცრემლნარევი სიხარულით ამთავრებს მეტყველებას: „სრულისა სიმხილითა, თუ რაოდენ საჩინო არს შემთხეევა ესე. ესოდენ ძვირფასი ჩვენთვის აქა თანა-მეინახეთა, პირველად აღუვლინოთ გულითადი ცრემლი ნეტარ-სახსენებელსა, ღვთისადმი განსვენებულსა გვირგვინოსანსა, ცრემლი მადლობისა მისისადმი დიდისა, გარნაღა კეთილშობილურისა და მაცხოვარებითისა მსხვერპლისა; შემდგომად ცრემლი ესე შეცვალებულ იქმნას ცრემლითა სიხარულისათა და იმ ტკბილისა გულის მხილებითა, რომელ დღევანდელის დღითგან სახელი მისი დაჰშთების სახსოვრად ჩვენ შორის და შემდგომთა შთამოძავლობათა შორის“.

ასეთია ისტორიული განვითარების ასპექტში წარმოდგენილი ჩვენი სადღესასწაულო მჭევრმეტყველება, რომლის მდიდარი და მრავალფეროვანი საუნჯე იმის მაჩვენებელია, რომ ქართველი ხალხი უმძიმესი მწუხარების დროსაც განიცდიდა შთამაგონებელ სიხარულს, მისი ძალით ქმნიდა საზეიმო განწყობილებას და რწმენით აღსავსე სიტყვით სახავდა თავის ნამოქმედარს, რადგან იცოდა, რომ ლამაზი და გულწრფელი მეტყველება უკვდავებით აგვირგვინებს კეთილსა და სასარგებლო საქმეს.

6. სამგლოვიარო მჭევრმეტყველება

მსოფლიო მჭევრმეტყველების ისტორიაში სამგლოვიარო დარგის მჭევრმეტყველებამ განვლო სადღესასწაულო ორატორული ხელოვნების ისტორიული განვითარების ანალოგიური გზა და მისიცე წარმატების მსგავს შედეგებს მიაღწია. მათი საგრინობი სიახლოვე და პარალელური წინსვლა შეინიშნება როგორც გენეზისის, ისე შემდგომი სრულყოფისა და თანამედროვე მდგომარეობის მიხედვით. ასეთი ვითარება დამოწმებულია თითქმის ყოველი კულტურული ერის ზეპირი სიტყვის ისტორიაში. ამ მხრივ, ცხადია, გამონაკლისს არ წარმოადგენს არც ქართული მჭევრმეტყველება. ყოველივე ეს აიხსნება სადღესასწაულო და სამგლოვიარო ცოცხალი სიტყვის დარგობლივი მოსაზღვრეობით, კერძოდ, მათთვის ნიშანდობლივი სახოტბო ხასიათით, რაც ძირითადი განმსაზღვრელია ხსენებული დარგების ყველა ჟანრისათვის.

აღნიშნული ვითარების გამო საკაცობრიო სამგლოვიარო მჭევრმეტყველების ისტორიული განვითარების პროცესს აქ საგანგებოდ აღარ ვეხებით. ის სადღესასწაულო ორატორულ ხელოვნებასთან დაკავშირებით თქმულმა უნდა წარმოგვიდგინოს.

აქ შეიძლება სიზუსტისათვის ითქვას, რომ სამგლოვიარო მჭევრმეტყველების წარმომადგენლები კლასიკურ მსოფლიოში თავდაპირველად ანტიკური კულტურის ასპარეზზე გამოჩნდნენ. ჩვენამდე მოღწეულია მათი რამდენიმე სამგლოვიარო სიტყვა, რომელთა ავტორები მეცნიერებაში დანამდვილებით დადგენილი არ არიან. ასეთია, მაგალითად, საფლავზე წარმოთქმული ერთი სიტყვა, რომელიც დემოსთენეს მიეწერება, მაგრამ უცილობელი საბუთების მიხედვით ნატყუარად უნდა ჩაითვალოს, ხოლო ნამდვილად მისი სიტყვა, „ქერონეას ბრძოლაში (338 წ.) დაცემულთა სახსოვრად", რომელსაც სიამაყით იგონებს ორატორი თავის სიტყვაში „გვირგვინის შესახებ", არ შემონახულა და მხოლოდ ამ მითითებითაა ცნობილი[1].

---

[1] С. И. Радциг, Демосфен — оратор и политический деятель, გვ. 451—452.

სამგლოვიარო მშვერმეტყველების გამოცოცხლება შეინიშნება ბიზანტიური კულტურის ადრინდელ პერიოდში, როცა ეკლესიის ცნობილი მამები სათავეში ჩაუდგნენ ქრისტიანულ მქადაგებლობას და თვალსაჩინო წარმატება ძოიპოვეს ორატორულ ხელოვნებაში. ამას გვიჩვენებს, მაგალითად, გრიგოლ ნაზიანზელის „სიტყუაჲ ეპიტაფიად დიდისა ბასილისათჳს“, რომელიც ავტორს წარმოუთქვამს ბასილი კესარიელის დაკრძალვაზე და ფართოდ გავრცელებულა ძველ ქრისტიანულ მსოფლიოში. ამ სიტყვას კარგად იცნობდნენ ჩვენში ეფრემ მცირის თარგმანისა და იოანე პეტრიწის კომენტარების წყალობით. თავის მხრივ ამ უკანასკნელისათვის ცნობილი იყო VI საუკუნის დასაწყისის ბიზანტიელი კომენტატორის ნონნეს განმარტებანი გრიგოლ ნაზიანზელის სიტყვის თაობაზე, რაც შემოქმედებითი მასალის სახით გამოიყენა ქართველმა ფილოსოფოსმა და მოგვცა ორატორის ასეთი ბრწყინვალე დახასიათება: „იტყჳს (გრიგოლი.—ნ. კ.) დიდისა ბ ა ს ი ლ ი ს თ ჳ ს, ვითარმედ ვინ იყო ეგე ოდენ რიტორებრივ. რამეთუ ცეცხლებრითა ძალითა მბერეელობდა თჳნიერ რომელ არა ვისგან მორცხუეობაჲ რიტორებრი არა აქუნდა მას, არამედ არცა ჴმობაჲ უშუერი, არცა ბოროტებაჲ, არცა მევაჭრეობაჲ მტყუვარობაჲ, არამედ რიტორი იყო ყოველთაე რიტორებრივითა უპირატესად სრულმყოფელი თჳნიერ ჩუეულებისა მათისა, ესრეთ უკუე პატიოსან იყო და არა მორცხუ, არცა მოკიცხარ და არცა სხუაჲ რაჲმე აქუნდა მათგანი, რომელსა ჴოიმარჯუებენ რიტორნი, თჳნიერ სიტყუათა-შინაჲ მადლიერობაჲ და ძლიერებაჲ“[1].

აქ გრიგოლ ნაზიანზელის ორატორული შემოქმედების კლასიკური ანალიზია წარმოდგენილი.

უნდა აღინიშნოს, რომ ბიზანტიური სამგლოვიარო მშვერმეტყველება უხვად სარგებლობს ბიბლიური „გოდების“ სიუჟეტური მოტივებით, რაც დიდი ხელოვნებითაა დამუშავებული ებრაულ მწერლობაში და შეტანილია წინასწარმეტყველთა წიგნებში. ამ მხრივ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია „გოდება ბაბილონისა“ და „გოდებანი იერემია წინასწარმეტყველისანი“. ისინი არიან მსოფლიო სამგლოვიარო სიტყვაკაზმულობის სამაგალითო ძეგლები, რომელთა ჰარბი გავლენა ადვილად შეიმჩნევა ყველა დროისა და ქვეყნის ქრისტიანულ მწერლობასა და მშვერმეტყველებაზე. ამ გავლენას, ცხადია, ვერ ასცდა ქართული მშვერმეტყველებაც.

ბიზანტიურ ქრისტიანულ მწერლობაში ბიბლიური „გოდების“ შემოქმედებითი კვალის საუკეთესო მაჩვენებელია იოანე დამასკელის

---

[1] ი ო ა ნ ე პ ე ტ რ ი წ ი, შრომები, II, გვ. 223.

„დასდებელნი მიცვალებულსა ზედა“, რომელმაც თავის მხრივ ფართო გამოხმაურება პოვა ქართული გოდების ჟანრის სიტყვიერ ხელოვნებაში[1]. იმავე კვალის მატარებელია ჩვენი სამგლოვიარო ორატორული მეტყველების ბევრი შესანიშნავი ძეგლი, მეტადრე სასულიერო შინაარსისა, რაც, უნდა აღინიშნოს, ჩვენში მკვეთრად არაა გამოყოფილი საერო ხასიათის სამგლოვიარო მშვერმეტყველებისაგან.

VIII — IX საუკუნეებში, ბიზანტიური და ქართული ჰიმნოგრაფიის აყვავების დროს, სადღესასწაულო ენამშვერობასთან ერთად ჩვენში ფართო გასაქანი ეძლევა გოდების ჟანრის პოეტურ მეტყველებას, რამაც შეაპირობა შემდეგი დროის ქართული სამგლოვიარო მშვერმეტყველების დიდი წარმატება. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ აკად. კ. კეკელიძე ერთმანეთს უკავშირებს გლოვის შინაარსის ლიტერატურულ და ორატორულ ძეგლებს და, ამასთან, სამგლოვიარო სიტყვას მიიჩნევს გოდების ჟანრის უახლოეს მონათესავედ. ის წერს: „გოდების ჟანრის ნაწარმოებთა შინაარსია: პოეტურ ფორმებში მოცემული დახასიათება სამგლოვიარო ობიექტისა, მხატვრული წარმოდგენა თავსდატეხილი უბედურებისა და უნუგეშო სევდისა. ამ მხრივ ეს ჟანრი რამდენადმე ენათესავება ეპიტაფიის და ქება-ოდის ჟანრს, განსაკუთრებით კი მიცვალებულის ცხედართან ან სასაფლაოზე წარმოთქმულ სიტყვას“[2].

მომდევნო ეპოქებში მეტი სიმკვეთრით შეინიშნება სადღესასწაულო და სამგლოვიარო ზეპირი მეტყველების ერთობლივი განვითარების პროცესი, რაც საჭიროდ არ ხდის, როგორც აღინიშნა. ამ უკანასკნელი დარგის ცალკე გამოყოფას საერთო წინსვლის გზაზე.

ქართულ სამგლოვიარო მშვერმეტყველებას გააჩნია კიდევ ერთი, ამჯერად წმინდა ეროვნული და თვითმყოფადი, შემოქმედებითი წყარო — ხალხური სიტყვიერება, რომლის მდიდარ წიაღში პოულობს ის უამრავ ძვირფას მასალას ახალ-ახალი მშვერი ფორმების შესაქმნელად. ჩვენი სამგლოვიარო მშვერმეტყველება ამ მხრივაც იზიარებს სადღესასწაულო ორატორული ხელოვნების ხვედრს და მოსაზღვრე სფეროებთან ერთად ხარბად საზრდოობს უძველესი ქართული ფოლკლორული წყაროებით. ეს განსაკუთრებით ითქმის

---

[1] კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, „გოდების“ ჟანრი და „გლოვის წესი“ ძველს ქართულს ლიტერატურაში, გვ. 76.

[2] იქვე, გვ. 74.

სამგლოვიარო ცოცხალ სიტყვაზე, რომლის ადრინდელ ხალხურ ნიმუშებსა უხვად ვპოულობთ ზეპირ სიტყვიერებაში.

ამ მდიდარი და მრავალფეროვანი მასალის გათვალისწინებას მივყავართ იმ დასკვნამდე, რომ ჩვენში მიცვალებულის დატირების მრავალი წესი ყოფილა გავრცელებული. მათ შორის შეიძლება გამოიყოს ოთხი უმთავრესი: მოთქმით ტირილი, ზარით ტირილი, ხმით ტირილი და ძახილით ტირილი.

დატირების ამ წესებს შორის დიდი მსგავსება და მხოლოდ ნიუანსური განსხვავებაა. მსგავსების მთავარ ნიშანს აქ სიტყვით გოდება წარმოადგენს — დატირების ოთხივე წესი გაბმული, მონოლოგური მეტყველებით სრულდება. ეს მეტყველება საჯარო სახისაა და ორატორული ფორმით ხასიათდება. მათი ნსგავსების მეორე მაჩვენებელს შესრულების მანერა წარმოადგენს. ამ ნანერის საერთო სახელწოდება არის გ ვ რ ი ნ ი. საბას განმარტებით გვრინი „საგლოელი ჴმაა“, გ ვ რ ი ნ ვ ა — „საგლოელი ჴმიანობა“. ეს უკანასკნელი ერთგვარ დამღერებაში, უკეთ, მუსიკალურ რეჩიტატივში გამოიხატება. ამასთან, ეს რეჩიტატივი უფრო მეტყველებას უახლოვდება, ვიდრე სიმღერას. ამგვარი მეტყველებით სრულდება ყველა სახის დატირება. მათი საერთო ჟანრობლივი სახე გვრინია, ხოლო ამ უკანასკნელის შესრულების განსაზღვრელი მხარე გვრინვაა.

ყოველივე აძის დამადასტურებელ მასალას საკმარისად ვპოულობთ ხალხურ სიტყვიერებაში, კერძოდ, ე. წ. მთიბლურ პოეზიაში, რომლის შესწავლამ — აკაკი შანიძის მითითებით[1] — ჩვენი ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის მკვლევრები მიიყვანა შემდეგ დასკვნამდე: „ხმით მოტირალი ტირილის დროს თხზაედა ლექსებს და მათ ტირილის მსგავსად მღეროდა. მოტირალი მგრძნობიარე ლექსით აღწერდა მიცვალებულის წარსულ ცხოვრებას და ნამოქმედარს, ძველ მიცვალებულებსაც „შაატირებდა“. ხმით მოტირალის ყოველ წინადადებას ყველა დანსწრე მოტირალი ქალების საერთო დაქვითინება მოყვებოდა. კარგ ნატირალებს ხალხი ზეპირად სწავლობდა; ის თაობიდან თაობაში გადადიოდა. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ მამაკაცები ქალების მიერ შეთხზულ ხმით ნატირალებს თიბვის დროს მღეროდნენ — „გვრინში“. „გვრინი“ მიცვალებულთ მოგონების ერთ-ერთ სახე იყო“[2].

„მიცვალებულთა გახსენება თიბვის დროს, მათი ვაჟკაცობისათვის ხოტბის შესხმა, წუხილი და სინანული მათი დაკარგვის გამო,

---

[1] ა. შ ა ნ ი ძ ე, ქართული ხალხური პოეზია, გვ. 021—022.

[2] გ. ჩ ი ტ ა ი ა, წინასიტყვაობა, გვ. XII—XIII.

მათ მიერ სიცოცხლეში ჩადენილი საქებარი საქმის მოგონება და სხვ., ხალხის რწმენით, სულებს ასიამოვნებდა, გულს მოულბობდა, რის შედეგადაც ისინი მთიბლებს საქმიანობაში ხელს შეუწყობდნენ და ნამუშევარს „ბარაქას დაუტანებდნენ“... ხმით ნატირლების თიბვის დროს შესრულების წესი ანიმისტური მსოფლმხედველობის ნიადაგზე წარმოშობილი ჩანს, ხმით ნატირლების „ცელის ტარზე“ დამღერების მიზანს უნდა წარმოადგენდეს სულთა კეთილგანწყობილების მოპოვება...“[1]

ზემოთქმულთა საილუსტრაციოდ ქვემოთ მოგვყავს ერთი მთიბლური ლექსი, რომლის შინაარსს მიცვალებულის დატირება წარმოადგენს:

შარვანაულო შავარდენო,
მუშანი გიხარიან-ღაეო?
უბან მამკალნი ქერ-იფქლზედაო
წყაროს კარგ გიხვეიან-ღაეო?
სტუმარს უძღვები ქორულადა,
რძეში დუმასა ხარშავ-ღაე?
აკო ჩემია აკოვლისი,
ლიფოდა — გორზამაულისი,
შუაში ერთის დღისაია
ძაღლისა თლოშიაურისი.
ფხიეუს მაღალო, გადამიშვი,
ნისლის კოტორო, გადამრიდე!
ერთხანა-ღ კიდევ გადავხენებ,
ციხენ სად უდგან თანდილასაო.
შარვანაული მიდგას წინაო,
თავ უძე ცხენის ტახდახედაო.
„შენ დრონ წავიდეს, თანგულაო“,
ციხე ატირდა, ციხის კარიო,

ჩარდახნ ზეთა-თვლით ბუთუნებენო:
„ერთხელ გვიშველა ხთის ძალამაო,—
ლაშქარი ტბაში ჩაიღუპაო.
შენი პირიმე, ტბათანაო,
ლაშქარი ჩაგიბრუნებიაო“[2].

ქვემოთ ლაპარაკია დატირების ხსენებულ წესებზე და წარმოდგენილია ყოველი მათგანის თითო ფოლკლორული ნიმუში.

მ ო თ ქ მ ი თ ტ ი რ ი ლ ი დამოწმებულია ძველი წერილობითი—საისტორიო და ხშატვრული—წყაროებით და, რაც მთავარია, იქვე ბევრგან მისი ადრინდელი ტექსტები გვაქვს შემონახული. ერთი ასეთი წყარო ლეონტი მროველის „მეფეთა ცხოვრებაა“, რომელშიც მოთხრობილია ფარსმან ქველის (30—50-იანი წწ. II ს.) „გლოვა და ტირილი, და ტყება ყოველთა ზედა ქართველთა წარჩინებულითგან ვიდრე გლახადმდე“[3] და დაცულია „გლოვის მგოსნის“ მიერ ნათქვამი სიტყვის ტექსტი. ამავე ხასიათის ტექსტი შენახულია „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“, რომელშიც აღწერილია აშოტ კურაპა-

[1] თ. ო ჩ ი ა უ რ ი, ხევსურული მთიბლური სიმღერა—გვრინი, გვ. 427—428.
[2] ა. შ ა ნ ი ძ ე, ქართული ხალხური პოეზია, გვ. 291—292.
[3] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 53.

ლატის დატირება და მხატვრული ფორმით აღბეჭდილია გრიგოლის სამგლოვიარო სიტყვა.

მოთქმით ტირილი იხსენიება ვეფხისტყაოსანში, სადაც ის ყოველთვის სიტყვით გამოთქმულ მწუხარებას აღნიშნავს, მაგალითად:

„მოთქვამს: „ჰაი, საყვარელო, ჩემო, ჩემთვის დაკარგულო“ (309, 1).
„მოთქვამს, იტყვის: ვა, გაზრდილო, ვეღარ გნახვენ თვალნი რეტნი“ (821, 2).
„ფრიდონ მოთქვამს: „რა შეგასხა, ვერ-საქებო, ვერ-სათქმელო“ (1007, 1).
„ტარიელ მოთქვა ტირილით სიტყვა ნატიფი, მჭევრები“ (1336, 1).

მოთქმით ტირილი საგანგებო ნარკვევით დაგვისურათა აკაკი წერეთელმა. ის წერს: „მოთქმით ტირილს შესხმითი ხასიათი ჰქონდა: თვითო-თვითოთ მოვიდოდნენ მიცვალებულის ნათესავებ-მცნობები და რაც კარგი იცოდნენ მისგან სიცოცხლეში ჩადენილი, ქებათ ეტყოდნენ. ვისაც რა ახსოვდა, ვინც რა იცოდა და რაც ენახა, სახალხოდ აღიარებდა მკვდრის წინ მიცვალებულის სადიდებლად“.[1]

ნიმუში:

„ჩემო კარგო ბიჭო! რად მოგვიძულე, რომ ასე უდროოდ მოგვცილდი. ბრალი არ არის შენი სიკვდილი?! ასე უნუგეშოდ დატოვე შენი საყვარელი მშობლები თუ მონათესავე. ვაი ჩვენს უბედურობას! რა გაუტანელია წუთისოფელი! მაგრამ გული ნუ დაგწყდება, რადგან ეგ ბედი ყველას თავს გადაუვალია, ეგ დღე ყველას მოელის... შენ ადრე მაინც მოიხადე შენი ვალი და მით, თითქოს, ბედნიერი ხარ. ჩვენ რაღა ვქნათ? შენ რა გიპირს, გათავისუფლდი, მორჩი ერთ უბედურებას... მაგრამ სატირალი შენი პირისუფლებია, ვისაც შენი ნუგეში მოაკლდება“[2].

ზარით ტირილი დამოწმებულია როგორც წერილობითი, ისე ზეპირი წყაროებით. წერილობითი წყაროებიდან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ვახუშტი და თეიმურაზ ბატონიშვილების ცნობები. დაკრძალვის რიტუალთან დაკავშირებით ვახუშტი გვაუწყებს, რომ გლოვის დღეებში „იმღერდიან მწუხარისა ჴმითა ტყეებისა ჟამსა არა პირისუფალნი, არამედ სხვანი, მუნ მყოფნი“[3]. ერეკლეს გლოვასთან დაკავშირებით თეიმურაზი ამბობს: „კათედრასა ზედა დაასვენეს გვამი იგი, და იტირეს მუნ ჴმითა მოთქმით და ზარითა თქმის თქმითა“[4].

---

[1] აკაკი, მოთქმით ტირილი („დროება“, 1875, № 85).
[2] ა. მერკვილაძე, სატირალი ანუ გასვენება („მოგზაური“, 1902, № 2). ვახუშტი, საქართველოს გეოგრაფია, გვ. 18.
[4] თეიმურაზ ბატონიშვილი, საქართველოს ისტორია, II, გვ. 107.

ზარით ტირილის სურათს გვიხატავს აგრეთვე ალ. ყაზბეგი. ის კაზმული სახით გადმოგვცემს „ელგუჯაში“ სვიმონ ჩოფიკაშვილის დატირებას: „ხანდისხან, როდესაც მოსულნი მთლად მოიკრიბებოდნენ... რომელიმე მოხუცი მანდილოსანი ცხედარის მკერდიდგან თოფს აიღებდა, ზედ დაეყრდნობოდა და მიცვალებულს ლექსად შესხმას ეტყოდა, მის ცხოვრებას ხალხს მოუთხრობდა. მომთქმელს დანარჩენები, დრო გამოშვებით, მისცემდნენ ბანსა და მოჰყვებოდნენ შემაწუხებლის ხმით, ზარით ტირილსა.

ყოველი მოქმედება, ყოველი სამსახური, ყოველი სახსენებელი საქმე, რომელიც მიცვალებულს ცხოვრებაში ჩაედინა, ეხლა საქვეყნოდ მოიხსენებოდა და მსმენელთა შორის თანაგრძნობას და მადლობას გამოიწვევდა“[1].

ასევე მრავლად ვხვდებით ზეპირ ცნობებს ზარით ტირილის შესახებ ფოლკლორულ მასალებში.

ნიმუშში:

დალა თქვით, დალაი, მხედრებო!
დალაი, დალაი,
ძნელი არს დალაობაი,
დალაი, დალაი...
ბრალი ხარ (სახელი)
შენი ულაშქროდ სიკვდილსა, დალაი...
ჩვენ ნუ ვის შევატყობინებთ
ლომის ერეკლეს სიკვდილსა, დალაი...
იარ არ წამოხვიდოდე
მაგ შენის წითლის ცხენითა, დალაი...
ლაშქარს გიკითხვენ სწორები
წინ აღარ გაუძღვებია, დალაი...
მტერთან ხმალ ამოღებულო,
სწორში თავ გამოდებულო, დალაი...[2].

ხმით ტირილი დამოწმებულია ფოლკლორული და ეთნოგრაფიული მასალით, რომლის განზოგადოებით სამეცნიერო ლიტერატურაში დადგენილია ხმით მოტირალის სახე[3]. ის არსებითად საჯაროდ მეტყველია. მისი მეტყველება ორატორული ხასიათისაა — მოკლებული არ არის შემოქმედებით საწყისს და მსმენელთა უშუალო რეაქციის გავლენას. ხმით ტირილი საერთო დუმილის პირობებში მიმდინარეობს. ზოგჯერ მოტირალის დასრულებულ აზრს მოსდევს მსმენელთა დაქვითინება — „შატირება“. მოტირალი იგონებს მიცვალებულის წარსულს, ასურათებს მის ღირსეულ საქმეებს, ხოლო მსმენელნი გმინვით ადასტურებენ ნათქვამს და დუმილით გზას უხსნიან სათქმელს.

---

[1] ა. ყაზბეგი, რჩეული ნაწერები, თბილისი, 1937, გვ. 143—144.

[2] ვ. კოტეტიშვილი, ხალხური პოეზია, ქუთაისი, 1934, გვ. 265—266.

[3] იხ. მ. ბალიაური და ნ. მაკალათია, მიცვალებულის კულტი არხოტის თემში, გვ. 39—40.

ნიმუში:

ზეით ე წახოლ, ქორი გინდა,
ქოითკე წახოლ — შავარდენი,
თეთრისა ქორისა ნაშობოო,
შავარდნისაგა ნაქნაროო...
ეხლა მიბრძანდი ყანობსა
კურდღელს აქებენ ჭიალაშვილსა,
შენცო სადარო იმისაო!
ეხლა მიბრძანდი გორისციხესა,
ბასა და ლილის აქებენ
იმ ჩვენის ხევის მკურნალებსაო,
შენცო სადარო იმისაო!
ეხლა მიბრძანდი სივანჩი,
სურხანს აქებენ ყარაჯისშვილისაო,
ზითლის ქარავის დამდგმელიაო,
შენცო სადარო იმისაო!
ეხლა მიბრძანდი აჩხოტსა,
ჩეჩის და გახას აქებენ,
შენცო სადარო იმათაო!
ეხლა მიბრძანდი სნოსაო,
შიოლას აქებენ ღუდუშაურსაო;
გზაჩი ლეკების მკოცალიაო,
შენცო სადარო იმისაო!
ეხლა მიბრძანდი სტეფანწმინდასა,
ყაზბეგიანთ მიხეილს აქებენ
იმ ჩვენის ხევის ქერიე-ობოლთ გამკითხავსაო,
შენცო სადარო იმასაო!
ეხლა მიბრძანდი ახალციხესა,
ფადიურს აქებენ, მთაჩი ლეკების მკოცალიაო,
შენცო სადარო იმასაო!..“[1]

ძახილით ტირილი დამოწმებულია აგრეთვე ხალხურ სიტყვიერებასა და ეთნოგრაფიულ მასალებში. მათი შემწეობით ნათელი ეფინება ძახილით მოტირალის თავისებურ შემოქმედებას. ეს უკანასკნელი არსებითად შეცხადების ფუნქციით ისაზღვრება — დამტირებლად აქ მიცვალებულის ჭირისუფალი გვეელინება. ის ძახილით მოთქვამს თავის მწუხარებას და სიტყვით გამოთქმული გლოვით იწვევს მსმენელთა თანაგრძნობას. ამ გზით მიღებული თანაგრძნობით შთაგონებული ჭირისუფალი ახალი ენერგიით განაგრძობს მოთქმას და საერთო გოდებაში პოულობს მწუხარების შემსუბუქებას. ასეთი შემოქმედებითი ექსტაზით შეპყრობილი მოტირალი თანდათან აფართოებს ზეგავლენის სფეროს და სეედიანი განწყობილების წრეში აქცევს ყველას. ასე ქმნის ის საერთო ვაებას, რომლის გამომწვევ მიზეზსა და წამმართველ მოტივს ძახილით ტირილი წარმოადგენს.

ნიმუში:

რაკელ თიბის შამშაბათი გოქვ ძმაო,
სხვან სათიბად ემხადებიან ძმაო,
შენ ცოლ უპატრონოი ას ძმაო,
მიწა შენს დასა ძმაო.
შენ სწორებ თიბაჩი მიაღალებინ ძმაო,
ქვე დაგშლიანა მიწანი ძმაო.
შენ თვალთ მიწის ჰიან ქვე იჩქერებენა ძმაო,
დასააზრებლად საჭირე არ იყავ ძმაო.
აეხლა მიწაში გიგონებთო ძმაო.
ნეტარ რაი ვქნათ, რა გვეშველების ძმაო.

---

[1] ქართული ხალხური სიტყვიერება, კრესტომათია, I, შედგ. კს. ს ი ხ ა რ უ ლ ი ძ ი ს მიერ, თბილისი, 1956, გვ. 79—80.

უწყემსო ცხვარივით მაგვიწირენი ძმაო.
სყვავ-ყორნებ მაერჩითა ძმაო.

შენთ უკჩერებელ მკართ ვენაცვალე ძმაო.
მეც მამკლა, შენამც აგაყენა ძმაო...“[1]

დატირების განხილული წესების ერთგვარი კონტამინაციის გზით ჩაისახა და განვითარების განსაზღვრულ საფეხურზე დამოუკიდებელი სახით ჩამოყალიბდა სამგლოვიარო სიტყვა, რომელიც თავდაპირველად ხალხური მეტყველების ერთ სახეობას წარმოადგენდა, ხოლო შემდეგ კლასიკური მჭევრმეტყველების გარკვეულ ჟანრად გადაიქცა. სამგლოვიარო სიტყვის ასეთი გარდამავლობა ხანგრძლივი წინსვლის პროცესს გულისხმობს და თანდათანობითი სახეცვლის ფაქტად ივარაუდება. ასე ცვალებადი ორატორული ჟანრი, რა თქმა უნდა, ბევრი განშტოების გზით მოაღწევდა თანამედროვე სამგლოვიარო სიტყვამდე. ამ განშტოებათა შორის უმთავრესი ხალხურიდან კლასიკურზე გარდამავალი სახეობა უნდა ყოფილიყო.

ერთი ასეთი სახის ორატორული სიტყვა, თქმული აჩარელი გლეხის გულო კაიკაციშვილის მიერ აკაკი წერეთლის დაკრძალვაზე, საუკეთესო ნიმუშია ხალხური და კლასიკური მეტყველების შემოქმედებითი შეთავსებისა. ამ შემოქმედებით პროცესს ასეთი ღრმა შინაარსითა და ოსტატური ფორმით გადმოსცემს სახალხო ორატორი:

„ნამდვილო ქართველო, თავადო აკაკი!

ეს რაღაც სხვანაირი აქბავია დღეს. მოყრილა მთელი საქართველოს ერი, სხვა ერებიც ბევრია მათ შორის, და გარს ახვევიან შენს კუბოს, თითქოს რაღაცას გეხვეწებიან, დარჩიო, ანუ გაბარებენ რამეს საქართველოს შესახებ წარსულ დიდ წინაპრებთან...

მეც ამათ რიცხვში ურევიარ, მოხუცებული, უძლური ქართველი მაჰმადიანი, გამოგზავნილი სამესხეთოს მხრიდან, იმ მხრიდან, რომელიც სამას წელზე მეტია მოიტაცა მტერმან, და მოაშორა საქართველოს.

გამომგზავნეს და დამავალეს, რომ მათ მაგიერათაც თაყვანი ვსცე შენს დიდებულ ცხედარს და, თუ მოვახერხე, ორიოდე სიტყვაც გითხრა.

საქართველომ მუდამ მტრის ბრძოლაში ატარა თავისი საცოცხლე, სპარსნი თუ ოსმალნი და სხვა ერებიც ღვრიდნენ მათ სისხლს და აოხრებდნენ ქართველთა ერის სადიდებელ ნაშთებს და, ამ გვარად, საქართველოს ისტორია ქართველთა ერის წამების ისტორია არის. მაგრამ წამებულთა შორის განსხვავება არის. სამ ძმაში,

[1] მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, III, თბილისი, 1940, გვ. 89.

მტერთან ბრძოლის დროს, მომხდარა, რომ ორი მტრის ტყვეით განგმირული უკან მობრუნებულა, წყლული მოურჩენია და დარჩენილა თავის ოჯახში. მესამე-კი სულ მტერს წაუყვანია ტყვედ და ჩაუგდია განუწყვეტელ სატანჯველში. აი სწორედ ქართველმა ერმა. ოსმალეთთან მრავალ საუკუნის განმავლობაში ბრძოლის დროს, დაჰკარგა ერთი მისი ძმა-მხარე სამცხე-საათაბაგო, უპირველესი მისი მხარე, ის მხარე, სადაც იშვა უკვდავი შოთა და მრავალნი მებრძოლნი გმირნი და სამას წელზე მეტი იყო, რომ ეს დაკარგული ძმები ქართველებს თვალითაც აღარ უნახავს.

ბოლოს-კი წარსულ რუს-ოსმალეთის [ომის] დროს, მოხდა განგება და დალოცვილი რუსეთის მეომრების წყალობით კვლავ შემოგიერთდით ჩვენ უფროს მოძმე ქართველებს და ვსუნთქავთ ქართველ ერთან ერთად. და ამ დროს, სამასი წლის შემდეგ, სადაც შეეინახეთ ქართული დედა-ენა, ჩვენც ვეღირსეთ დაგვენახა, დიდებულო აკაკი, სინათლე, რომელიც, ვითარცა უკვდავმა, შენ აღუნთე ქართველ ერს"[1].

როგორც ზემოთ აღინიშნა სამგლოვიარო მჭევრმეტყველების ერთი ადრინდელი ძეგლი — ფარსმან ქველის დატირება — დაცულია ლეონტი მროველის „მეფეთა ცხოვრებაში" და ჩვენამდე მოღწეულია გამართული ლიტერატურული სახით. ის მოთქმით ტირილის ჟანრის ნაწარმოებია და ხალხური შემოქმედების ერთგვარ ანარეკლს უნდა წარმოადგენდეს. როგორც ჩანს, ისტორიკოსი სარგებლობს ხალხური სიბრძნით შექმნილი მოტივებით, შესაძლოა მთელი ტექსტითაც, და განსაზღვრული დამუშავების შემდეგ შეაქვს ისინი თავის თხზულებაში. ამ უკანასკნელის ენობრივი ფორმიდან აქა-იქ ნათლად გამოირჩევა ოდნავ განსხვავებული ჩანართები, რომლებიც ფოლკლორული წყაროებიდან მიმდინარეობენ და ლიტერატურულ ნააზრევს ამდიდრებენ. ერთი ასეთი ჩანართია ფარსმანის მოთქმით დატირების ქვემომოყვანილი ტექსტი:

„ვაჲ ჩუენდა, რამეთუ მოგვკძინა სუემან ბოროტმან, და მეფე ჩუენი, რომლისაგან ჴსნილ ვიყვენით მონებისაგან მტერთასა, მოიკლა იგი კაცთა მგრძნებელთაგან, და აწ მივეცენით ჩუენ წარტყუენვად ნათესავთა უცხოთა"[2].

სამგლოვიარო სიტყვის ერთი საინტერესო ნიმუში მოთავსებულია გიორგი მერჩულის ნაწარმოებში, სადაც გრიგოლ ხანძთე-

[1] „თემი", 1915, № 207.

[2] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 53.

ლის მიერ აშოტ კუროპალატის დატირება წარმოდგენილია ორატორული მოთქმის ფორმით:

„ჴ მეფეო ჩემო, ძლიერო და დიდებულო, სიმტკიცეო ეკლესიათაო და ზღუდეო ქრისტეანეთაო, სადაჲთძე მოგელოდი. აღმოსავალით-მე ანუ დასავალით, ჩრდილოჲთ-მე ანუ სამხრით, რამეთუ ყოველთა ზედა ნათესავთა მფლობელი იყავ, რომელიცა წყობით ჴელმწიფეთა დაიმორჩილებდ, საკჳრველი ეგე დიდებული ღმრთის-მსახური ჴელმწიფეჲ! აწ ვითარმე მიეცი ჴელსა შეურაცხთა უშჯულოთა და უნდოთა კაცთასა, რომელნი იგი იუდაჲს მსგავსად შენ, უფლისა თჳსისა, მკლველ იქმნნეს, მოსაკუდინებელად ჩუენ, გლახაკთა მლოცველთა შენთა, უკუნისამდე!“[1]

ქართული კლასიკური მჭევრმეტყველების მშვენებას წარმოადგენს გიორგი მცირის სამგლოვიარო სიტყვა, თქმული გიორგი მთაწმიდელის გარდაცვალების გამო 1065 წელს. ეს განსაკუთრებული მნიშვნელობის ორატორული ძეგლი განხილულია ქვემოთ (გვ. 260—2o5).

ჩვენი კლასიკური პერიოდისა და მომდევნო საუკუნეების მჭევრმეტყველება შედარებით ღარიბია სამგლოვიარო დარგის ორატოროული ძეგლებით. ყოველ შემთხვევაში ხსენებული ხანგრძლივი ეპოქიდან გაისაკუთრებით საყურადღებო შინაარსისა და ფორმის სამგლოვიარო სიტყვებს ჩვენამდე არ მოუღწევია, რაც დაცემის პერიოდის საერთო ვითარებით უნდა აიხსნას: როგორც ჩანს, მძიმე ისტორიულ პირობებში ძველი ადვილად იკარგებოდა და ახალი ძნელად იქმნებოდა.

ქართული სამგლოვიარო მჭევრმეტყველების დიდ განვითარებასა და ფართოდ გავრცელებას ვხედავთ აღორძინების პერიოდის უკანასკნელ ხანებსა და XIX საუკუნეში. საქართველოს ძველი და ახალი ისტორიის გარდამავალ ხახაში, რთული პოლიტიკური ვითარებისა და გადამწყვეტი დიპლომატიური მცდელობის დროს, ჩვენი სამგლოვიარო მჭევრმეტყველება აღწევს უმაღლეს ოსტატურ სრულქმნილებას, რომლის შეუდარებელი გამომხატველია ს. ლიონიძის ორატორული ხელოვნება. ეს საგანგებო მნიშვნელობის შემოქმედება განხილულია ქვემოთ (გვ. 305—318).

ს. ლიონიძის სრულყოფილ ხელოვნებას წინ უსწრებდა და ნიადაგს უმზადებდა არა მარტო უძველესი ქართული ორატორული ტრადიციები, კერძოდ, სადღესასწაულო და სამგლოვიარო ენაძეზობა, არამედ აღორძინების პერიოდის ჩვენი აყვავებული მწერლობაც, რომლის წიაღში მძლავრად გაისმის სოფლისადმი სამდურავისა

[1] გიორგი მერჩული, ცხორება გრიგოლ ხანძთელისა, გვ. 45.

და სიცოცხლით უკმარობის სევდიანი ხმა. იქვე დიდი ოსტატობით ასახულია არსებულის სწრაფი წარმავლობითა და მახლობელთა სამუდამო განშორებით გამოწვეული გლოვა გოდება, რასაც პოეტური შედევრებით გამოხატავდნენ XVIII საუკუნის გამოჩენილი მგოსნები. ამის საუკეთესო მაჩვენებლებია არჩილ მეფის „თეიმურაზიანის“ ეპიზოდი „მეფის თეიმურაზისაგან დედოფლის მგლოვიარობა და მწუხარება“[1], იოსებ ტფილელის „დიდმოურავიანში“ ასახული გოდება გიორგი სააკაძისა[2], დავით გურამიშვილის „დავითიანის“ ავტორისეული მოთქმა[3] და ბესარიონ გაბაშვილის „სამძიმარი“[4], სადაც ავტორი დასტირის ლევან ბატონიშვილს.

ყოველივე ეს ხელს უწყობდა და შთააგონებდა ქართული ცოცხალი სიტყვის სახელოვან ოსტატებს, რომლებიც წერილობითი კულტურის გვერდით ქმნიდნენ ზეპირი შემოქმედების ეროვნულ საუნჯეებს.

XIX საუკუნეში სადღესასწაულო მჭევრმეტყველებასთან ერთად წარმატების გზაზე დგას სამგლოვიარო ორატორული ხელოვნება. მისი წარმომადგენლებია: იონა ხელაშვილი, სოლომონ ხახანაშვილი, ნიკო დადიანი, ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი და სხვ. მათი უმრავლესობის შემოქმედება განხილულია ქვემოთ (გვ. 339—345, 361—388).

აქ უნდა დავძინოთ, რომ ი. ხელაშვილი გარდამავალი პერიოდის სამგლოვიარო მჭევრმეტყველების მეტად ნაყოფიერი შემოქმედია. 1831 წელს მან შექმნა სამგლოვიარო სიტყვების საინტერესო კრებული „გოდებანი“[5], რომელშიც მოთავსებულია შვიდი ორატორული ძეგლი. ამ ძეგლებში ორატორი მჭევრი სიტყვით გოდებს „ტფილისსა ზედა, რომელსაც ეწვია სასიკუდინე სენი ხოლერა“, „ირაკლისა და გიორგის შთამომავალთა ზედა“, „სისხლთა ურთიერთას დათხევისათვის“, „ამბოხებით აღბორგებისათვის“, „ფიცხლისა ხორშაკისა გაგრძელებისათვის„, „ზღვისა ბალთისა აღმოხეთქისათვის“ და „დამაბერწებელი წვიმისათვის“.

იონა ხელაშვილის „გოდებანი“ არქაული ზეპირი მეტყველების გვიანდელი გამოვლენაა, რომლის შემდეგ კანტი-კუნტად კვლავ გაისმა ჩვენში ძველი ქართულით გამართული მჭევრმეტყველება, ხოლო სამოციანი წლების დასასრულისათვის საბოლოოდ შეიცვალა ის ახალი ენობრივი ფორმით, რომელიც განუყოფლად გაბატონდა

[1] არჩილი, არჩილიანი, II, გვ. 45—46.
[2] იოსებ ტფილელი, დიდმოურავიანი, გვ. 43—63.
[3] დ. გურამიშვილი, დავითიანი, გვ. 183—186.
[4] ბ. გაბაშვილი, თხზულებათა სრული კრებული, გვ. 37—47.
[5] ხელნაწერი H—313, ფ. 28—190.

მწერლობასა და ორატორულ ხელოვნებაში. ამ ეპოქალური გარდატეხის რეალურ შედეგს ვამჩნევთ არა მარტო გიორგი ერისთავის, დანიელ ჭონქაძისა და ლავრენტი არდაზიანის ლიტერატურულ შემოქმედებაში, არამედ ი. ხელაშვილის, ს. დოდაშვილის, მ. თუმანიშვილისა და ს. ხახანაშვილის ორატორულ მემკვიდრეობაშიც. მათ შორის განსაკუთრებით ნაყოფიერი და კოლორიტული მჭევრსიტყვაობით გამოირჩევა იონა ხელაშვილი.

როგორც სადღესასწაულო ზეპირ მეტყველებასთან დაკავშირებით აღინიშნა, ჩვენს სამგლოვიარო ორატორულ ხელოვნებას გააჩნია ეპისტოლარული განშტოება, რომელიც სამძიმრის ჟანრის სახითაა წარმოდგენილი ქართულ მწერლობაში. სამძიმრის წერილები უხვადაა შემონახული აღორძინების პერიოდისა და გარდამავალი ხანის ხელნაწერებში[1]. ზოგიერთი მათგანი დაცულია ბეჭდურ გამოცემებში.

ბეჭდურად გამოქვეყნებული ეპისტოლარული ძეგლებიდან საყურადღებოა მდივანბეგ გიორგის წერილი სულხან და ერასტი ორბელიანებისადმი მათი ძმის ვახუშტის გარდაცვალების გამო[2], გიორგი მეთერთმეტის წერილი სულხან ორბელიანისადმი მისი ძმის ვახუშტის გარდაცვალების გამო[3], ანტონ პირველის წერილი დედოფალ ანახანუმისადმი თეიმურაზ მეორის გარდაცვალების გამო[4], თეკლე ბატონიშვილის წერილი მაია ჭავჭავაძისადმი ერეკლე მეორის გარდაცვალების გამო მოწერილი სამძიმრის საპასუხოდ[5] და სხვ.

მათ შორის თავისი მძლავრი ორატორული შემაღლებით მომეტებულ ყურადღებას იქცევს ანტონ პირველის ეპისტოლე. ის გარჩეულია ქვემოთ ავტორის ორატორულ შეხედულებასთან დაკავშირებით (გვ. 287—290).

ინტერესმოკლებული არ არის გიორგი მეთერთმეტის წერილი, რომელიც ქვემოთ წარმოდგენილია ამონაკრების სახით:

„მოიწია ჴმა ზარისა, მომიკუდა კეთილი ყოფადობისა მჭნელი, ჩემი დამტირებელი, დამმარხველად გამოსალოდნელი, აღმომეფხვრა ხე იგი კეთილი, ნერგად აღორძინებული, წარმეტყევენა ვაზი ტევანოქროვანი, სიტკბოება და ვითარი სიტკბოება ჩემი! თაფლისა

---

[1] იხ. ხელნაწერები *Sd*—591, 592, 1529, 1678, 1814, 1829 და სხვ. *Hd*—4846, 4973, 4976—4980, 4982, 4984, 4986—4990, 4993 და სხვ.

[2] საქართველოს სიძველენი, II, გვ. 217—218.

[3] იქვე, გვ. 219—221.

[4] „ივერია", 1879, № 7—8, გვ. 112—115.

[5] „ცისკარი", 1860, № 11, გვ. 441—443.

გოლეულისა უტკბოსი, ოჭრო-ბრძმედსა შინა გამოჭანდაკებული, მშვიდი და მდაბალი, ყოვლის ქველის საქმისა მოქმედი, პატრონთა მოსურნე, კაცთა მოყვარე, ჯართა და დარბაისელთა განმაგულოვანებელი, ლხინთა და მეჯლისთა ჩემთა განმანათლებელი, ყოვლის ხვაშიადისა ჩემისა დამძარხველი, ბრძანებისა ჩემისა მორჩილი, ყოველთა მბრძოლთა და მტერთა მომსრველი, ვაამე!...

ვაშე! მან ყოველივე აღასრულა პირველი მეფეთა საქმე. ვართ და ვსტირით შეცთომილნი ბაგითა ჩვენითა, სხვისა ვერასი მარგენი ვიქმენით. ღმრთის ბრძანებას რა გაეწყობის! აქაცა და მანდაცა ბრძანება მისი უნდა აღსრულდეს.

მრავალი თავს ცემით მწუხარება მამიხსენებია. დასტურ ძმა თქვენი იყო, მაგრამ ღმერთმან იცის, ჩემიც შვილსა და ამასავით საყვარელი იყო. ჩემთვის ეს დღე იყო, რომ თავი მამკდომოდა, ჩემი თვალის სინათლე ძმანი და შვილნი დღეს დამეკოდეს. მოვლა და ჭელის შეწყობა არ დაგვიკლია, მაგრამ ეს ბეგარა ყოველის კაცის თავს გარდაუალია“[1].

მახლობელი ადამიანის სიკვდილით გამოწვეული ღრმა მწუხარება და მისი გაზიარების სურვილით შექმნილი გლოვა აქ გამოხატულია მაღალფარდოვანი სტილით, მაგრამ გულწრფელი ტონით, და თანაგრძნობით მიმართულია მიცვალებულის ჰირისუფლისადმი.

ასეთია საერთოდ ზოგადი წარმოდგენის შუქით მიმოხილული ქართული სამგლოვიარო მჭევრმეტყველება. ასე გაისმის ჩვენი კლასიკური საუკარო სიტყვის ხელოვნებაში მძიმე სევდით გაჟღენთილი, მაგრამ მტკიცე რწმენით აღსავსე გამამხნევებელი მოთქმა, რომლის ოსტატებს კარგად სცოდნიათ რუსთველის სიბრძნით მიგნებული და ენამზეობით გამოთქმული ჭეშმარიტება: „დიდი ლხინია ჭირთა თქმა“.

---

[1] საქართველოს სიძველენი, II, გვ. 219—221.

ნაწილი მესამე

ქართველი ორატორები

როცა ადამიანს სურს შეიტყოს ღირსება და დიდება ერისა, ყოველთ უწინარეს ამას იკითხავს, — რამდენი მოქმელი და მწერალი ჰყავსო.

ილია ჭავჭავაძე

1. ფარსმან პირველი

ფარსმან პირველი ქართლის (იბერიის) მეფეა პირველი საუკუნის 30—60-იან წლებში (ახალი წელთაღრიცხვით). მას ტახტი ედგა ქალაქ არმაზში და ამიტომ საისტორიო პირველწყარო ზოგჯერ არმაზელს უწოდებს[1].

ფარსმან პირველი არმაზელი მოხერხებულად იყენებდა რომის მოძალებულ პოლიტიკურ გავლენას და წარმატებულ ბრძოლებს აწარმოებდა ქვეყნის მტრების წინააღმდეგ ქართლის (იბერიის) სამეფოს გასაძლიერებლად. მოკავშირეთა იალების დახმარებით მეფემ შექმნა საკმაოდ მძლავრი სახელმწიფო, რომელსაც ანგარიშს უწევდნენ და „მეგობრობდნენ“ რომაელები. ამ ვითარებით სარგებლობდა ქართლის განმგებელი, რომელიც თანდათანობით ზრდიდა თავისი ქვეყნის გავლენასა და ძალაუფლებას. ასეთ პოლიტიკას მოჰყვა I საუკუნეში აღმოსავლეთ საქართველოს ძლიერება, რაც კიდევ უფრო განმტკიცდა II საუკუნეში ფარსმან ქველის მეფობის დროს.

35 წელს ფარსმან პირველმა სარმატებისა და ალბანელების დახმარებით დიდი ომი გადაიხადა პართელთა წინააღმდეგ და ბრწყინვალედ გაიმარჯვა უთანასწორო ბრძოლის ველზე[2].

ამ ომის წინ, კორნელი ტაციტუსის მოწმობით, ფარსმან პირველს სიტყვა წარმოუთქვამს მხედრობის წინაშე. სიტყვის ტექსტი პერიფრაზული თხრობის სახით აღბეჭდილია ამავე ისტორიკოსის „ანალების“ მეექვსე წიგნში. აქ ნათქვამია: „ფარსმანმა კი უთხრა თავისიანებს: პართელთა ბატონობა არასოდეს გაგვკარებია და რაც უფრო ვეცდებით, მით მეტ სახელს მოვიხვეჭთ გამარჯვებით, ხოლო თუ მტერს ზურგი ვუჩვენეთ, სირცხვილსა და ხიფათში ჩავცვივდებითო. ამასთანავე მიუთითა თავიანთ მრისხანე საომარ წყობასა და მიდიელების ოქროთი მოკაზმულ რაზმებზე: აქ ვაჟკაცები არიან, იქ კი საშოვარიაო[3]“.

---

[1] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 44.

[2] ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, I, გვ. 155—156.

[3] ქართული მწერლობის ისტორია, გვ. 91 (თარგმანი ალ. გამყრელიძისა).

ამ ტექსტის სახით ჩვენ საქმე გვაქვს ფარსმან პირველის სიტყვის ფრაგმენტთან. ორატორის სიტყვა აქ წარმოდგენილია არასრული შინაარსითა და შეცელილი ფორმით — ფარსმანის ზეპირი მეტყველება აღბეჭდილია ტაციტუსის წერილობითი სიტყვით. ამჟამად ჩვენთვის გაურკვეველია, თუ რამდენად სწორად გადმოსცემს ტაციტუსი ფარსმანის სიტყვის შინაარსს, ან რა სახის პირველწყაროს ეყრდნობოდა ისტორიკოსი, მაგრამ უცილობელია თვით ფაქტი სამხედრო დარგის მჭევრმეტყველებისა, რასაც, ჩანს, ფართო გასაქანი ჰქონდა იმდროინდელ საქართველოში. საერთოდ ცნობილია, რომ ტაციტუსი თავის „ანალებში“, რომელიც დაწერილია 117 წლის მახლობლად, სხვა მასალებთან ერთად უხვად იყენებდა ორატორული სიტყვების ორიგინალებს[1].

როგორც ირკვევა ცოცხალი სიტყვის შთამაგონებელ ძალას კარგად იცნობდნენ და ხშირად მიმართავდნენ ჩვენს ქვეყანაში. მხედრობის მიმართ წარმოთქმული ზეპირი სიტყვა, ცხადია, მსმენელთა პატრიოტულ აღფრთოვანებას ისახავდა მიზნად და სამშობლოს სამხედრო წარმატებისათვის იყო გამოყენებული. მჭევრმეტყველების სოციალური დანიშნულება, რაც ფართოდ ცნობილი უნდა ყოფილიყო იმ დროს საბერძნეთისა და რომის მახლობელი წარსულიდან, როგორც ჩანს, ჩვენში ადრე პოულობს დიდ გასაქანსა და პრაქტიკულ გამოვლენას.

ორიოდე სიტყვა შეიძლება ითქვას ფარსმან პირველის ორატორულ ხელოვნებაზე. თუ ტაციტუსის მიერ შემონახული ტექსტი ოდნავ მაინც იცავს დედნის გარეგნულ ფორმას, მაშინ ორატორის მეტყველება აგებული ყოფილა ანტითეზის საფუძველზე. ამ რიტორიკული ფიგურის მეშვეობით ფარსმანი, ერთი მხრივ, ამაღლებს მსმენელთა ღირსების შეგნებას და, მეორე მხრივ, ასაბუთებს ომის საჭიროებას. ასეთ შედეგს აღწევს ორატორი რიტორიკული დაპირისპირების ხერხით.

სიტყვაში რამდენიმე ანტითეზური წყვილია: მონობა და თავისუფლება, სახელი და სირცხვილი, გამარჯვება და დამარცხება, მრისხანე წყობა და ოქროთი მოკაზმული რაზმები. ამასთან, საპირისპირო მოვლენები ხან სრულადაა დასახელებული, ხან-კი ნაწილობრივ. მაგალითად, მონობა და თავისუფლება ნაწილობრივაა ხსენებული და უფრო ნაგულისხმევია, ვიდრე ნათქვამი. აქ გამოყენებულია ე. წ. რიტორიკული მდუმარება. ასე, მაგალითად, როცა ორატორი ამბობს: „აქ ვაჟკაცები არიან, იქ კი საშოვარიაო“,

[1] Г. А. Меликишвили, К истории древней Грузии, გვ. 21.

მაშინ ის ქართველთა ვაჟკაცობის საპირისპიროდ პართელთა ლაჩრობასაც გულისხმობს.

ფარსმანის სიტყვაში გამოყენებულია აგრეთვე პერიფრაზული თხრობის გზა. ამ ტროპულ ხერხს ორ ადგილას მიმართავს ორატორი. პირველ შემთხვევაში ქართველთა თავისუფლების გადმოსცემს შემდეგი გამოთქმით: „პართელთა ბატონობა არასოდეს გაგვკარებია“; მეორე შემთხვევაში დამარცხება დახატულია შეძდეგნაირად: „თუ მტერს ზურგი ვუჩვენეთ“.

უნდა ვიფიქროთ, რომ ფარსმანის სიტყვის ორიგინალი შემკული იქნებოდა სხვა მხატვრული ხერხებითაც, მაგრამ ისტორიკოსს საჭიროდ არ დაუნახავს მათი დაცვა და შემონახვა.

ამრიგად, ფარსმან პირველი ქართული სამხედრო დარგის მჭევრმეტყველების უადრესი წარმომადგენელია, რომლის ორატორული ხელოვნება არასრული და ფრაგმენტული სახითაა ჩვენამდე მოღწეული, მაგრამ უცილობელი წერილობითი ცნობითაა დადასტურებული.

2. ბაკური

IV—IX საუკუნეების ბერძნულ და ლათინურ საისტორიო წყაროებში მოხსენებულია წარჩინებული იბერიელი ბ ა კ უ რ ი. ის დასახელებულია ამიანე მარცელინის (IV ს.), გელასი კესარიელის (IV ს.), იოანე რუფინუსის (V ს.), გელასი კვიზიკელის (V ს.), გიორგი ამარტოლისა (IX ს.) და სხვ. ნაშრომებში. ამ წყაროებში ბაკური სხვადასხვა წოდებით იხსენიება, მაგრამ თითქმის ყველგან აღნიშნულია მისი მეფური შთამომავლობა და მაღალი ადამიანობა. მას უწოდებენ მეფეს, მეფის შთამომავალს, მხნე სარდალს, იბერთა შორის სახელოვანს, დიდ ბაკურს და ა. შ. ბიზანტიელი ისტორიკოსი გიორგი ამარტოლი თავის „ქრონოგრაფში“ ასე ახასიათებს ბაკურს: „კაცი ყოვლად ღირსეული როგორც რწმენითა და სათნოებით, ისე თავისი სულიერი და ხორციელი სილამაზით“[1].

მეცნიერებაში გამოთქმული მოსაზრებით ხსენებულ საისტორიო წყაროებში „ერთსა და იმავე პიროვნებაზეა ლაპარაკი“[2].

ეს პიროვნება IV საუკუნის მეორე ნახევრის წარჩინებული ქართველი, იბერიის სამეფო გვარეულობის შთამომავალი ბ ა კ უ რ ი ა. ის უცნობი მიზეზის გამო გადახვეწილია სამშობლოდან, ცხოვრობს ბიზანტიაში, სადაც უჭირავს სარდლის თანამდებობა, მონაწილეობს ბრძოლებში და უფროსია ერთ-ერთი პროვინციისა.

ბაკური თავისი დროის ცნობილი მოაზროვნე[3] და სახელოვანი ორატორია. მისი მოღვაწეობის ამ მხარეებს ნათელს ჰფენს გამოჩენილი ბერძენი ორატორის ლ ი ბ ა ნ ი ო ს ი ს სამი კერძო წერილი, რომელთაგან ერთი (№ 980) მიემართება თვით ბაკურს, მეორე (№ 963)—ეპისტოლოგრაფ არისტენეტეს, ხოლო მესამე (№ 964)—ლოგოგრაფ ლეონტის. ეს წერილები დაწერილია 392 წელს.

ბაკურისადმი მიწერილ წერილში შემდეგს ვკითხულობთ: „შენი წერილი შეიცავდა ისეთ აზრებს შენ შესახებ, როგორსაც, ჩვეუ-

[1] ს. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი, ლიბანიოსი და ბაკური, გვ. 13.

[2] იქვე გვ. 14; გ. გ ო ზ ა ლ ი შ ვ ი ლ ი, არის თუ არა ბერძნულ-ლათინური წყაროების ბაკური იბერიის მეფე?, გვ. 19—20.

[3] შ. ნ უ ც უ ბ ი ძ ე, ქართული ფილოსოფიის ისტორია, I, გვ. 106—115.

ლებრივ, მეგობრების წრეში გამოვთქვამთ ხოლმე, რადგან დიდს სიამოვნებას განვიცდით იმ ქებათაგან, რომელთაც გძენს შენი ბუნებრივი ნიჭი.

„ზოგი აქებს შენს სამართლიანობას და იმას, რომ შენ დაჯერებული ხარ იმაში, რომ ყველაფერი, რაც ქვეყანაზე ხდება, ღმერთებმა იციან და ხედავენ. ზოგი კიდევ ადიდებს შენს ზომიერებას, და იმას, რომ უფრო მეტად მბრძანებლობ ვნება-სურვილებს, ვიდრე ჯარისკაცებს. სხვა კიდევ აქებს შენს სიბრძნეს, რომლის წყალობითაც იმარჯვებ ხოლმე ბრძოლაში. იყო ისეთიც, რომელიც ამბობდა, რომ შენს სულს არ მიჰკარებია არავითარი შიში რაიმე საფრთხის წინაშე.

„მე კი შენ ღირსებათაგან ყველაზე უფრო მნიშვნელოვნად მეჩვენება ის, რომ შენ გიყვარს ლოგოსები და ისინიც, ვინც ლოგოსებს მისდევენ, რისთვისაც შენ საყვარელი ხარ ღმერთებისათვის, რომელნიც ზრუნავენ ლოგოსებზე. ხომ ზრუნავენ ლოგოსებზე ისინი, რომლებმაც ეს (ლოგოსები) მოგვცეს.

„ჩვენ რომ ასეთ ყვავილებში ვტრიალებდით, შენ, რასაკვირველია, იყავი მდელო; ამ დროს ხელში ჩამიდო მისმა მომტანმა შენი წერილი, რომელიც არის საბუთი შენი სიყვარულისა ლოგოსებისადმი“[1].

არისტენეტესადმი მიწერილი წერილი შემდეგნაირად იწყება: „მოგვივიდა კარგი წერილი კარგი (კაცისაგან) და კარგი (კაცის) ხელით; შენგან, რომელიც კარგი ხარ, და ბაკურის ხელით, რომელიც სხეულითაც ბრწყინავს და სულიც მას ასეთივე აქვს.

„ჩვენდამი ძლიერი სიყვარულით აღტყინებული შენ ფიქრობ, რომ ეს არ კმარა, და შენს თავს მიუმატე ნიჭიერი ბაკური და. აღავსე რა თანაბარი სიყვარულით, გამოგზავნე აქეთ, რათა ჩვენთან ამოსულიყო არა ვიწრო კარით, არამედ პირდაპირ, სალამოთიც და რბენით“[2].

ლეონტისადმი მიწერილ წერილში ნათქვამია: „მის შემდეგ, რაც არისტენეტეს წერილი გადმომცა და ის მე წავიკითხე, დიდის სიამოვნებითაც, ბაკურმა მითხრა: „აი ესეც ლეონტისაგან არის შენთან“.—„რომელი ლეონტისაგან“,—ვჰკითხე მე. იმან კი მიპასუხა: „ლოგოგრაფოსისაგანო“[3].

მეცნიერებაში მიღებული აზრით ამ წერილებში მოხსენებული ბაკური იგივე ბერძნულ-ლათინური წყაროებით დადასტურებული

[1] ს. ყაუხჩიშვილი, ლიბანიოსი და ბაკური, გვ. 15.

[2] იქვე, გვ. 15.

[3] იქვე, გვ. 16.

ბაკურია, რომლის ორატორულ დამსახურებას გვიჩვენებს აქ ლიბანიოსი. როგორც ცნობილია ეს უკანასკნელი კლასიცისტური მჭევრმეტყველების დიდი წარმომადგენელი იყო ბიზანტიაში, სადაც მას საკუთარი რიტორიკული სკოლა ჰქონდა და მრავალი მოწაფე ჰყავდა. ლიბანიოსის მოწაფეთა შორის იყვნენ გამოჩენილი ორატორები იოანე ოქროპირი, ბასილი კესარიელი, გრიგოლ ნაზიანზელი და სხვები, რომლებმაც IV საუკუნის მეორე ნახევარში ააყვავეს ბერძნული სამქადაგებლო მჭევრმეტყველება.

ლიბანიოსის ეპისტოლარული მასალით ირკვევა ქართველი ორატორის ბაკურის თვალსაჩინო დამსახურება ზეპირი სიტყვის ასპარეზზე. პროფ. ს. ყაუხჩიშვილის საფუძვლიანი გაბოკვლევით ლიბანიოსის წერილებში ნახსენები ლოგოსი ნიშნავს რიტორიკულ ხელოვნებას. მკვლევარი ასაბუთებს, რომ იქვე აღნიშნული მდელო რიტორიკული ხელოვნების საგანძურია: ამ საგანძურში, ე. ი. ორატორული შემოქმედების წიაღში მოქცეული ლიბანიოსი ბაკურთან ერთად ტრიალებს ყვავილებში ახუ იმყოფება მჭევრი სიტყვების სამყაროში.

ასეთი მიგნების საფუძველზე ს. ყაუხჩიშვილი ასკვნის: „ლიბანიოსი აფასებს ბაკურს პირველ რიგში როგორც სიტყვის ოსტატს, აფასებს მის სიყვარულს რიტორიკული ხელოვნებისადმი“[1].

ამნაირად შესაძლებელი გახდა ბაკურის პიროვნების საკმაოდ სრული სურათის აღდგენა: ბერძნულ-ლათინურ საისტორიო წყაროებსა და ლიბანიოსის ეპისტოლარულ მემკვიდრეობაში მოხსენიებული ბაკური IV საუკუნის მეორე ნახევრის ქართველი მოღვაწე, მოაზროვნე და ორატორია. ის უახლოეს მეგობრულ კავშირშია თავისი დროის გამოჩენილ ადამიანებთან, ტრიალებს განთქმულ ფილოსოფოსთა წრეში[2], იზიარებს მათს მსოფლმხედველობას და გამოირჩევა მაღალი ადამიანური ღირსებებით.

უნდა ვიფიქროთ, რომ ბაკური თავისი მჭევრმეტყველებით პოლიტიკურ იდეებს გამოხატავდა და ცოცხალი სიტყვის ძალით ებრძოდა ქრისტოლოგიურ მსოფლმხედველობას. ამით უნდა აიხსნებოდეს მისი სამშობლოდან წასვლა და ბიზანტიაში მოღვაწეობა[3].

ბაკურის ორატორულ ქმნილებებს ჩვენამდე არ მოუღწევია.

---

[1] ს. ყაუხჩიშვილი, ბერძნული ლიტერატურის ისტორია, II, გვ. 356.
[2] შ. ნუცუბიძე, ქართული ფილოსოფიის ისტორია, I, გვ. 107.
[3] ს. ყაუხჩიშვილი, დასახელებული წიგნი, გვ. 357.

3. გუბაზ მეფე

გ უ ბ ა ზ ი კოლხეთის მეფეა VI საუკუნის შუა წლებში. ის თანამედროვეა ბიზანტიის კეისრის იუსტინიანესი (527—565) და სპარსეთის მეფის ხოსროსი (531—579). მათ შორის არსებულ ხანგრძლივ მტრობასა და ომიანობაში გუბაზ მეფეს იუსტინიანეს მხარე ეჭირა. ბიზანტიელები და სპარსელები დიდხანს ეცილებოდნენ ერთმანეთს დასავლეთ საქართველოში გავლენისა და ძალაუფლების მოსაპოვებლად. დიდი ომებით აღნიშნული ცილობა ჩვენში სპარსეთის გავლენის დასუსტებით დამთავრდა VI საუკუნის დასასრულისათვის. ვიდრე ეს მოხდებოდა, ქართველებმა ბევრი სისხლისმღერელი ბრძოლა გადაიხადეს როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოში. ამ ბრძოლების უმრავლესობა მოკავშირე ბიზანტიელთა დახმარებითა და თანადგომით წარმოებდა.

მოკავშირე კოლხ-ბიზანტიელთა და სპარსელთა სამარი მოქმედება VI საუკუნის შუა ხანებში ცვალებადი წარმატებით ხასიათდება. 551 წელს ტელეფისის ციხესთან, ბიზანტიელი სარდლების უგუნური ქცევის შედეგად, სპარსთა სარდალმა მერმეროემ დაამარცხა მოკავშირეთა მხედრობა და ხელთ იგდო მათი ბანაკი.

ეს დამარცხება გუბაზ მეფემ, საკუთარი სამართლიანად, იუსტინიანეს უნიჭო სარდლებს — მარტინეს, რუსტიკეს და ბესას დააბრალა და მათი ქცევა კეისარს აცნობა. ამით გუბაზმა ბიზანტიელი სარდლების მტრობა დაიმსახურა. ამ ნიადაგზე 554 წელს თავგასულმა სარდლებმა მუხანათურად მოკლეს კოლხეთის მეფე გუბაზი[1].

550 წელს დასავლეთ საქართველოს მიწა-წყალზე მოხირისის ხეობაში მოხდა ერთ-ერთი ბრძოლა მოკავშირე კოლხ-ბიზანტიელთა და სპარსელებს შორის. მოკავშირეთა მხედრობას მეთაურობდნენ კოლხეთის მეფე გუბაზი და ბიზანტიელთა სარდალი დაგისთე. ამ ბრძოლის შედეგს ასე აგვიწერს პროკოპი კესარიელი: „...რომაელებმა

[1] გეორგიკა, III, გვ. 30—62: ი. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, I, გვ. 234—237.

და ლაზებმა ხელთ იგდეს ბანაკი. ძალიან ბევრი ბარბაროსი იქვე იქმნა მოკლული, ხოლო დანარჩენებმა თავს უშველეს სამშობლო ქვეყანაში, რამდენადაც ეს თითოეულისათვის შესაძლებელი იყო. ასე დამთავრდა სპარსელების ეს შემოსევა კოლხეთის ქვეყანაში"[1].

ხსენებული ბრძოლის წინ კოლხთა მეფეს სიტყვა წარმოუთქვამს მხედრობის მიმართ. ამ სიტყვის ტექსტი შენახულია ბიზანტიელი ისტორიკოსის პროკოპი კესარიელის თხზულებაში — De bello gothico — რომელშიც აღწერილია იუსტინიანეს დროინდელი ომები და მათ შორის მოხირისის ბრძოლა.

გუბაზ მეფის სიტყვა, თქმული მხედრობის მიმართ მოხირისთან ბრძოლის წინ[2], ქართული სამხედრო მჭევრმეტყველების ყველაზე ადრინდელი ძეგლია, რომელსაც სრული სახით მოუღწევია ჩვენამდე. ის დაცულია უცხო წყაროში, შემონახულია ბერძნულ ენაზე. სიტყვის დედნის უქონლობას რამდენადმე აესებს პირველწყარო, შექმნილი აღწერილ მოვლენათა თანადამხვდური ისტორიკოსის მიერ.

გუბაზ მეფის სიტყვის მთელი აზრი და გამოთქმის ფორმა მიმართულია მხედრობის პატრიოტული აგზნებისაკენ. ორატორი ითვალისწინებს ლაშქრის საომარ განწყობილებას და ცნობიერი გზით წარმართავს მას თავისი შთამაგონებელი სიტყვით; ის გადამწყვეტი წამქეზებლის როლში გამოდის და ბრძოლის დაწყებამდე მორალური აღფრთოვანებით მოსავს მეომრებს, რათა უზრუნველყოს ომის წარმატებით მსვლელობა და გამარჯვებით დაგვირგვინება.

ორატორი სიტყვას იწყებს მებრძოლთა გულისმომგები უშუალო მიმართვით, რომელიც შეფარვით გამოხატავს ნდობას, რწმენასა და თავდაჯერებას; „მე არ ვიცი, ვაქაცებო, საჭიროა თუ არა კიდევ რჩევა-დარიგებით მომართვა თქვენდამი თქვენ აღსაფრთოვანებლად. ვინაიდან მე ვფიქრობ, რომ არავითარი მოწოდება აღარ ესაჭიროება იმათ, ვინც გარემოებათა საჭიროებითაა უკვე აღფრთოვანებული..."[3]

ერთი შეხედვით ეს უზრუნველი ემოციური ელფერით გამოთქმული აზრი არსებითად შორსაა ყოველგვარი გულგრილობისაგან და გამსჭვალულია ცხოველი ინტერესით. ამას გვიჩვენებს შესავლის მომდევნო გბონათქვამი:

„საფრთხე არსებობს ხომ ცოლებისთვის, შვილებისთვის, სამშობლო ქვეყნისთვის და, ერთი სიტყვით, ყველაფრისთვის, რის გამოც სპარსელებმა ჩვენზე იერიში მოიტანეს"[4].

---

[1] გეორგიკა, II, გვ. 123.

[2] ქართული მჭევრმეტყველება, გვ. 104.

[3] იქვე.

[4] იქვე.

სიტყვის შემდეგი ნაწილი იწვევს მტრისადმი სიძულვილს: ორატორი მოაგონებს მხედრებს სპარსელთა ვერაგობას, ამახვილებს ყურადღებას მათი ანგარებისადმი, აღნიშნავს სიტყვის უკმარობასა და მოუწოდებს მსმენელთ საქმეზე გადასვლას.

აქ მაღლდება ორატორის შთამაგონებლობა, სიტყვა აღწევს ზეგავლენის მწვერვალს: „ძნელი არ არის, ვაჟკაცებო, მიდთა წინააღმდეგ ბრძოლა ჩვენთვის, რომელთაც ხშირად გაგვიმარჯვნია მათზე ხელჩართულ ბრძოლაში. მიჩვეულისათვის არ არსებობს არავითარი სიძნელე, ვინაიდან საქმის სიდუხჭირე წინდაწინვე ქრება მეცადინეობისა და გამოცდილების წყალობით“[1]. ამ ნათქვამით მეფე უადვილებს მხედრებს გამარჯვების მოპოვებას და უქმნის მათ უცილობელი წარმატების მტკიცე რწმენას.

დასასრულ, ორატორი სახავს დამარცხებულ მტერს და მისდამი მიმართული სიძულვილის გრძნობას, შთააგონებს მსმენელთ: „ერთხელ დამორჩილებული სიამაყე, ჩვეულებრივ, ველარ აღორძინდება“, და მომწოდებელი დასკვნით ამთავრებს ლაპარაკს: „მაშ, იქონიეთ ეს მხედველობაში და შეებრძოლეთ მოწინააღმდეგეს აღვსილნი კეთილი იმედებით“[2].

ამრიგად, გუბაზ მეფის სიტყვა, თქმული მხედრობის მიმართ მოხსირისთან ბრძოლის წინ, ქართული სამხედრო მჭევრმეტყველების საყურადღებო ძეგლია, რომელიც საკმაო სიცხადით წარმოგვიდგენს შორეული წარსულის ცოცხალ ენამჭევრობას.

---

[1] ქართული მჭევრმეტყველება, გვ. 104.

[2] იქვე.

4. აიეტი

უცხო წყაროებით დამოწმებულ ქართველ ორატორთა შორის თავიანთი ღრმა აზროვნებითა და მაღალი ოსტატობით გამოირჩევიან აიეტი და ფარტაზი. ისინი VI საუკუნის მოწინავე კოლხიდელებია, რომელთა ხელოვნება ბერძნულ ენაზეა ჩვენამდე მოღწეული, მაგრამ საქართველოს ისტორიული ვითარების ამსახველია და ეროვნული სულისკვეთების სინათლითაა გაჯსჭვალული. ლაზიკის სახელოვანი შვილები აიეტი და ფარტაზი ცხოვრობდნენ და მოღვაწეობდნენ რთულ და მძიმე პოლიტიკურ ვითარებაში — რომაელთა და სპარსელთა აგრესიული შემოტევის დროს. მათი ორატორული შემოქმედება ნათლად ასახავს ჩვენი ისტორიის ერთ საყურადღებო პერიოდს, როცა ორმხრივი შემოსევით გარემოცული საქართველოს სამეფოები ენერგიული ბრძოლითა და მოქნილი დიპლომატიით ცდილობდნენ არსებული პირობების შეცვლას უკეთესი მდგომარეობით.

ასეთი ვითარების ერთი მხარე — სახელმწიფო ძალთა ჭიდილში წარმოქმნილი აზრთა სხვადასხვაობა — ჩვენში ხელს უწყობდა ორატორული ხელოვნების განვითარებას, რაც გარკვევით შეინიშნება იმდროინდელი პოლიტიკური მჭევრმეტყველების მიხედვით. ამით უნდა აიხსნას ხსენებულ პერიოდში ჩვენი ზეპირი მეტყველების მაღალი დონე, რაც იმავე დროს მისი ღრმა ფესვებისა და წინანდელი წარმატების შედეგიცაა. აიეტისა და ფარტაზის ორატორული ხელოვნება კოლხეთის რიტორიკული სკოლის შორეული გამონაშუქია, რომელიც ამშვენებს ჩვენი ზეპირი სიტყვის საგანძურს და ღირსია ადგილი დაეთმოს მსოფლიო მჭევრმეტყველების ისტორიაში. ქაცობრიობის სულიერი შემოქმედების სარბიელზე იშვიათად მოიპოვება მსმენელისადმი მიმართული ისეთი შედევრები, როგორიცაა აიეტისა და ფარტაზის სიტყვები — ბრძნული გამოცდილების, ლოგიკური უზადოებისა და მწყობრი თანმიმდევრობის ეს ღირსეული ძეგლები.

აიეტისა და ფარტაზის ორატორული მემკვიდრეობის შესასწავლად, უწინარეს ყოვლისა, საჭიროა VI საუკუნის ლაზიკის (კოლხეთის) პოლიტიკური მდგომარეობის გათვალისწინება.

მონათმფლობელური ურთიერთობის ღრღვევისა და ფეოდალური წყობილების წარმოქმნის ხანგრძლივი პროცესი VI საუკუნისათვის ფეოდალიზმის გამარჯვებით დამთავრდა როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოში — ლაზიკასა (კოლხეთსა) და ქართლში (იბერიაში). ამავე საუკუნეში ორივე სამეფო თავგამოდებით იბრძოდა პოლიტიკური დამოუკიდებლობისათვის. დიდი ეროვნული ინტერესებით შეპირობებული ფარული და აშკარა ბრძოლები წარმოებდა ერთი მხრით ქართლსა და სპარსეთს შორის, ხოლო მეორე მხრით ლაზიკასა და ბიზანტიას შორის.

ბიზანტიის კეისარი იუსტინიანე I (527—565) და სპარსეთის მეფე ხოსრო I (531—579) ებრძოდნენ არა მარტო ლაზიკასა და ქართლს, არამედ ერთმანეთსაც ლაზიკასა და ქართლში თავიანთი ძალაუფლების გასავრცელებლად. ჩვენი სამეფოების ირგელივ გამართული ცილობა დიდხანს გარდამავალი წარმატებით მიმდინარეობდა, ხოლო დასასრულ, ქართლში სპარსთა მოძულე გურგენ მეფის დამარცხების (523), ლაზიკაში ბიზანტიელთა მომხრე წათეს გამეფებისა (523) და სპარსეთ-ბიზანტიის დაზავების (532) შემდეგ, აღმოსავლეთ საქართველოს სპარსეთი დაეპატრონა, ხოლო დასავლეთ საქართველოს — ბიზანტია. ამის შემდეგაც არ შეწყვეტილა ჩვენი სამფლობელოსთვის გამართული მეტოქეობა, რაც ბევრი სისხლისმღვრელი ომით აღინიშნა როგორც ლაზიკაში, ისე ქართლში, მაგრამ დასავლეთში უფრო ბიზანტიელები მძლავრობდნენ, ხოლო აღმოსავლეთში — სპარსელები.

ამ ომებში საქართველოს წინამძღოლებს შორსმავალი მიზნები და მოქნილი პოლიტიკა გააჩნდათ: მათ მიზანს დამოუკიდებლობა წარმოადგენდა, ხოლო პოლიტიკას მისი მოპოვების გზები განსაზღვრავდა.

ერთი ასეთი წინამძღოლი იყო ლაზიკის მეფე გუბაზი. ის მეფობდა VI საუკუნის შუა წლებში. გუბაზ მეფე გონივრული გზებით ცდილობდა ქვეყნისთვის მძიმე განსაცდელი აეშორებინა და უმჯობესი მფარველი მოენახა. ამ მცდელობის გზებზე მეფემ ერთხანს არჩევანი აწარმოვა, ხოლო საბოლოოდ ერთმორწმუნე ბიზანტია მიიჩნია უკეთეს მოკავშირედ და იუსტინიანეს მხარე დაიჭირა. ამით უკმაყოფილო ხოსრო I რამდენჯერმე შეესია დასავლეთ საქართველოს და 551 წელს ტელეფისის ციხესთან, ბიზანტიელი სარდლების უქნარობისა და გამცემლობის წყალობით, დიდად გამარჯვებული აღმოჩნდა. მოკავშირეთა დამარცხების მიზეზი გუბაზ მეფემ იუსტინიანეს აცნობა და ამით ბიზანტიელი სარდლების მტრობა დაიმსახურა. ამ ნიადაგზე შურისძიებით შეპყრობილმა სარდლებმა 554 წელს ეერაგულად მოკლეს გუბაზი.

გუბაზ მეფის მუხანათურმა მკვლელობამ დიდი მითქმა-მოთქმა და აღელვება გამოიწვია ლაზიკაში. ხალხი მტკივნეულად განიცდიდა შექმნილ მდგომარეობას. დღის წესრიგში იდგა ქვეყნის ბედი-ღბალი. უმთავრეს საზრუნავს პოლიტიკური ორიენტაციის საკითხი წარმოადგენდა. ამ საკითხის გადაწყვეტაში, როგორც მოსალოდნელი იყო, თავი იჩინა ორმა მიმართულებამ — პროსპარსულმა და არობიზანტიურმა. პირველის მეთაური იყო აიეტი, მეორისა — ფარტაზი. მათი მოპირდაპირე პოზიციები გამოვლინდა ლაზთა (კოლხთა) კრებაზე, სადაც წარმოითქვა ბევრი სიტყვა და მათ შორის უკეთესნი — აიეტისა და ფარტაზის ძიერ. მათ ჩაძოაყალიბეს ერთმანეთის საწინააღმდეგო მოსაზრებანი ბრწყინვალე ორატორულ ფორმებში. ამ ფორძეებში მოქცეულ და, როგორც ჩანს, სათანადოგარეგხული ხერხებით გადმოცემულ აზრებს შესაფერი შედეგი მოჰყოლია.

მეტად საგულისხმო ისტორიულ ფაქტს წარმოადგენს ის გარემოება, რომ ქრისტიანული რელიგიის ზეიმის პერიოდში, — როცა ძლევამოსილი ეკლესიის მქადაგებლები საიქიო ცხოვრებისა და საძარადისო სასუფევლის ზღაპრებს ჰყვებოდნენ, ქართველი ორატორები ამქვეყნიური ცხოვრების „ხამდვილ ვითარებაზე“ ღაღადებდნენ და ყოველდღიური არსებობის საჭირბოროტო საკითხებს „მიზანშეწონილად და სასარგებლოდ“ აგვარებდნენ[1].

ყოველივე ამას გვაცნობს სახდო საისტორიო პირველწყარო, რომელიც ეკუთვნის VI საუკუნის ბიზანტიელ ისტორიკოსს აგათია სქოლასტიკოსს. ის თანადამხვდურია ამ ისტორიული მოვლენებისა და, თავის თხზულებაში იუსტინიანეს შესახებ, შეუფერავად მოგვითხრობს ლაზიკის ამბებს. ეს თხრობა უხვად შეიცავს იმდროინდელი კოლხეთის საისტორიო ძასალებს. აქ ძასალებში არის დაცული აიეტისა და ფარტაზის სიტყვების ტექსტები. აქვეა ცნობები მათი შემოქმედებითი პროცესის წარმოსადგენად.

ეს ცნობები გათვალისწინებულია ქვემოთ.

აგათია სქოლასტიკოსი აგვიწერს ლაზიკის უნუგეშო მდგომარეობას გუბაზის მკვლელობის შემდეგ, მიუთითებს ქვეყნის ძმართველთა გასაპირზე შექმნილ ვითარებაში და გვიხატავს კოლხთა სახალხო კრებას, როელზედაც წარმოითქვა აიეტისა და ფარტაზის სიტყვები. ის წერს: „ქვეყნის მმართველები ყველანი დამაფიქრებელ მდგომარეობაში იყვნენ, არ იცოდნენ რა ექნათ, რისთვის ძიემარ-

[1] იხ. Ш. В. Хидашели, А. С. Барамидзе, Общественно-политическая и философская мысль в Грузии, გვ. 46.

თათ. და, აი, კაეკასიის ერთ ხეობაში შეყარეს დიდძალი ხალხი ჩუმად, რომ რომაელებს არ შეეტყოთ, რასაც აქ მოაგვარებდნენ, და დასვეს საკითხი — სპარსელების მხარეზე გადავიდეთ, თუ ისევ რომაელებთან დავრჩეთო. მაშინვე მრავალმა წარმოთქვა სიტყვა... იყო წარჩინებულთა შორის ერთი, სახელად აიეტი; ის ყველაზე უფრო მძიმედ გრძნობდა მომხდარ ამბებს და სწუხდა... მაშინ მან ისარგებლა ამ ხელსაყრელი მიზეზით, შეეცადა გამოეყენებინა მომხდარი ამბავი და გადააპარბა კიდეც. აწინდელი მდგომარეობა საკამათო არ არისო — თქვა მან, ეხლავე საბოლოოდ უნდა გადავიდეთ სპარსელების მხარეზეო. როდესაც სხვებმა უპასუხეს, არ გვმართებს ეგრე უცბად ცხოვრების გეზი შევცვალოთ, სანამ ზედმიწევნით არ მოვითათბირებთ, თუ რა იქნება უფრო უმჯობესიო, აიეტი აღელვებული წამოდგა, შუაში გავიდა და ილაპარაკა ისე, როგორც სახალხო საბჭოში ლაპარაკობენ. ის მშვენივრად ლაპარაკობდა, უფრო უკეთ ვიდრე ბარბაროსებს სჩვევიათ; მის აზრებს შეელოდა მისი ბუნებრივი მოქხილობაც"[1].

ამას მოსდევს აიეტის სიტყვის ტექსტი.

ქვემოთ, ხსენებულ საისტორიო პირველწყაროში, ნაჩვენებია აიეტის სიტყვით გამოწვეული აღფრთოვანება და „სიხარულის ყვირილი", რითაც შეეგება ხალხი ორატორის მოწოდებას. ისინი „იმ დღესვე აპირებდნენ სპარსელების მხარეზე გადასვლას", თუმცა ამისათვის პირობები არ იყო მომზადებული და არც ამის შედეგი იყო გათვალისწინებული. ასეთი უეცარი გადაწყვეტილება გამოიწვია აიეტის სიტყვამ, რომელმაც „დიდს განცვიფრებაში მოიყვანა ისინი".

შემდეგ ისტორიკოსი ხატავს აღელვებული, შეშფოთებული და ახმაურებული ხალხის კრებულს, რომლის წინაშე „წამოდგა ერთი ვინმე, სახელად ფარტაზი, კაცი კოლხთა შორის გავლენიანი, გონიერი და თავისი ქცევით მეტად მდაბიური, სცადა შეეკავებინა ისინი და შეენელებინა მათი აღელვება და სთხოვა მათ არ შესდგომოდნენ განზრახვის შესრულებას, სანამ მას არ მოუსმენდნენ. როდესაც ძლივს დაარწმუნა ისინი ამაში — გაუგონეს, რადგან ამ კაცის რიდი ჰქონდათ — და ისინი თავთავიანთ ადგილას გაჩერდნენ, ფარტაზი წამოდგა შუაში"[2]... და დაიწყო ლაპარაკი.

აქ აღბეჭდილია ფარტაზის სიტყვის ტექსტი.

ქვემოთ ხსენებულ საისტორიო პირველწყაროში, ფარტაზის სიტყვით გამოწვეული შედეგი ნაჩვენებია მოკლედ, მაგრამ დამაჯე-

---

[1] გეორგიკა, III, გვ. 63—64.

[2] იქვე, გვ. 71.

რებლად: „ეს რომ თქვა ფარტაზმა, კოლხებმა, როგორც იტყვიან, სხვანაირად დაიწყეს მღერა, და აზრი გამოიცვალეს“.

როგორც ზემოთ დავინახეთ, აიეტისა და ფარტაზის სიტყვები წარმოითქვა ლაზიკაში, კერძოდ, „კავკასიის ერთ ხეობაში“, სადაც „შეყარეს დიდძალი ხალხი“, ცხადია, კოლხები და, მაშასადამე, ორატორების ენა მშობლიური უნდა ყოფილიყო კოლხებისათვის.

ამრიგად, სურათი ასეთია: აიეტისა და ფარტაზის სიტყვები თავდაპირველად ითქვა ქართულ ენაზე, მაშინვე აღიბეჭდა სწრაფმწერთა მიერ და შემდეგ ითარგმნა ბერძნულად. ასეთია მათი დაცვა-შენახვისა და ჩვენამდე მოღწევის გზა. ამის უცილობელ საბუთს თვით სიტყვების შემცველი წყარო წარმოადგენს. აქ ნაჩვენებია ხსენებული გზის ყველა საფეხური, მათ შორის ორატორული ქმნილების ჩაწერის პრაქტიკა. გუბაზ მეფის მკვლელთა გასამართლების აღწერისას აგათია შენიშნავს: „...იყვნენ კაცნი, რომელთაც იცოდნენ სწრაფი წერა და დაწერილის წაკითხვა სხაპა-სხუპით“[1].

ქვემოთ წარმოდგენილია აიეტის ორატორული შემოქმედების ანალიზი.

აიეტი წარჩინებული კოლხი ორატორია. ის ლაზიკის სახელმწიფო კართან დაახლოებული პოლიტიკური მოღვაწეა და მტკივნეულად განიცდის სამშობლოს მძიმე მდგომარეობას, რაც მისი გარდაუვალი ხვედრი აღმოჩნდა გუბაზის მოკვლის შემდეგ. თავისი პოლიტიკური რწმენით აიეტი სპარსეთთან დაახლოების მომხრე იყო და იმ პაექრობაში, რომელიც ქვეყნის ორიენტაციის საკითხზე გაიმართა, მას რომაელების საწინააღმდეგო პოზიცია ეჭირა.

როგორც საისტორიო პირველწყაროს მიხედვით დავინახეთ, აიეტი ოსტატურად ფლობდა და იყენებდა მეტყველების მაღალ ხელოვნებას. „ის მშვენივრად ლაპარაკობდა“, — ამბობს აგათია და დასძენს: „მის აზრებს შველოდა მისი ბუნებრივი მოქნილობაც“.

აიეტის სიტყვა, თქმული სახალხო კრებაზე კოლხეთის პოლიტიკური მდგომარეობის გამო, ქართული მჭევრმეტყველების უჭკნობი მშვენებაა. ის მტკიცედ შეკრული, მწყობრად აგებული და ლოგიკურად გამართული ორატორული ძეგლია. აიეტის ქმნილება ბერძნულ-რომაული მჭევრმეტყველების თეორიულ საფუძვლებს ემყარება და ანტიკური ხანის რიტორიკული წესით გადმოსცემს სათქმელს. ორატორის ნააზრევი აქ დიდი სიღრმით, სისრულითა და ნათელი სიმარტივით არის წარმოდგენილი; უნაკლო აზროვნების პროცესი

[1] გეორგიკა III, გვ. 125.

თანმიმდევრულ შინაარსსა და ლაკონიურ სტილშია გამოხატული; სიტყვის აზრისა და ფორმის ბუნებრივი ერთობის ოსტატური გამოსახვით იქმნება ის ეფექტი, რომლის გავლენის წრეში ექცევა თვით დაუმორჩილებელი მოწინააღმდეგეც.

ასე მოჩანს აიეტის მეტყველების ძალა, მიუხედავად იმისა, რომ მისი ზეგავლენის არე უფრო გრძნობის სფეროა, ვიდრე ინტელექტისა, ის მსმენელთა ემოციებს ეუფლება და არა ნებისყოფას. ორატორი ძლიერია მხოლოდ სიტყვის პროცესში. როცა წინა პლანზე ცივი განსჯის ძალა წამოიწევს და თანდათან მკრთალდება ზემოქმედების ცეცხლი, მაშინ ორატორის მიმართ ჩნდება გულგრილობა და ქმედით უნარს კარგავს მისი სიტყვის აზრი. აიეტის შემოქმედების სახით მსმენელის წინაშეა დიდი ორატორული გზნებით ანთებული, მაგრამ ვითარების მკაცრი ლოგიკით მიუღებელი აზროვნება, რომელიც უმთავრესად მიემართება გრძნობებს და არსებითად მათი საზომით განისაზღვრება.

აიეტის სიტყვა იწყება არსებული ფაქტების პირდაპირი აღიარებით, შემოვლილი გზის გარეშე, უშუალოდ, შექმნილი პოლიტიკური ვითარების ექსპოზიციით: „რომაელები რომ სიტყვებითა და გეგმებით გვეპყრობოდნენ უსამართლოდ, ჩვენც კარგს ვიზამდით, რომ მუდამ ამგვარივე საშუალებებით დაგვეცვა თავი; მაგრამ ეხლა ნუთუ მისაღებია, რომ, იმ დროს როდესაც ისინი ყველაფერში საშინლად გვექცევიან, სამაგიეროს გადახდის შემთხვევას ვკარგავთ იმაზე, რომ ვყოყმანობთ და ვთათბირობთ? ხომ არავის შეუძლია იმის მტკიცება, თითქოს მტერი ბოროტ ქცევაში ჯერ არ იყოს შემჩნეული, და თითქოს მხოლოდ ეჭვები არსებობდეს, რომ ის ამგვარ აზრებსა და ზრახვებს ატარებს; არც საბუთების მოგონებაა საჭირო მისი, ვითომც დაფარული, ვერაგობის დასამტკიცებლად: საკმარისია გაიხსენოთ სახელოვანი გუბაზი, რომელიც ასე საცოდავად იქმნა მოსპობილი, თითქოს ის ჩვეულებრივი ადამიანი ყოფილიყოს“[1].

აქ საქვეყნო მნიშვნელობის ცნობილი მოვლენებია შეხსენებული და ამით ნიადაგია მომზადებული უმთავრესის სათქმელად. მიუხედავად ამისა ორატორი არ ჩქარობს. ის უეჭველი წარმატების საყრდენს აწესრიგებს. ამისათვის აიეტი მიმართავს პატრიოტულ აგზნებას და ერთმანეთს უპირისპირებს უპირატესობის დაცვასა და თავმოყვარეობის შელახვას.

ქვემოთ ორატორი ასაბუთებს ნათქვამს: „იმათ, ვინც ემორჩილება, ისინი, რა თქმა უნდა, უფრო თავხედურად ეპყრობიან და,

[1] ქართული მეცნიერმეტყველება, გვ. 106.

ჩვეულებრივ, ქედმაღლურად უყურებენ მოსამსახურეებს. მეფეც გაიძვერა ჰყავთ, რომელსაც ყოველთვის უხარია ცხოვრების პირობების არეულობა: და ეს ბოროტქმედება რომ ასე ერთბაშად იქნა სისრულეში მოყვანილი, ცხადია, იმის წყალობით, რომ მეფე მხურვალედ მოუწოდებდა ამას, ხოლო სხვებმა ეს გულმოდგინედ შეასრულეს"[1]. აქ კვლავ ახსენებს ორატორი რომაელთა მუხანათობის ფაქტებს: „ძარტო ის კი არ არის, რომ მათ გაგვანადგურეს თუმცა ჩვენ არც უსამართლობა ჩაგვიდენია და არც რაიმე ბრალობა ყოფილა ჩვენს შორის, არამედ, რა ჩვეულებაც წინათ ჰქონდათ, იმასვე მისდევენ, თითქოს ერთბაშად შეეპყრას ისინი სიმხეცეს, სიგიჟეს, სიძულვილს და ყველა სხვა ამგვარ მოვლენას"[2] — და დამარწმუნებელი სიზუსტით გადმოგვცემს უმთავრეს სათქმელს: „სპარსელები კი ასეთი ხასიათისანი არ არიან; ისინი შორს არიან ამისგან. თუ ვინძე გაიხადეს თავში მეგობრად, ისინი ცდილობენ უთუოდ დაიცვან სიყვარული; ხოლო ბრის მიმართ რისივას განაგრძნობენ მანამ, სანამ ის მტრად რჩება. მე ვინატრიდი კოლხეთის სახელმწიფოს ჰქონდეს მისი ძველი ძლიერება, რომ მას არ დასჭირებოდეს უცხო და გარეშე დახმარება და რომ ყოველგვარ საქმიანობაში, როგორც ომიანობის, ისე მშვიდობიანობის დროს, მხოლოდ საკუთარ თავს ეყრდნობოდეს. მაგრამ, როდესაც ჩვენ ჟამთა ტრიალის, ან ბედის უკუღმართობის, ან ორივეს წყალობით ისეთს უძლურებაში ჩავვარდით, რომ სხვათა ხელქვეითნი გავხდით, მე ვფიქრობ უმჯობესია იმათ ხელში ვიყოთ, ვინც უფრო კეთილის მსურველია, ვინც ურყევად იცავს კეთილგანწყობილებას თავისიანებისა და მოკავშირეთა მიმართ"[3].

ასეთი კეთილგანწყობილების უზრუნველყოფას აიეტი სპარსეთთან კავშირში ხედავს. მისი მოსაზრება უკვე ხათელია; მან თითქმის ყველაფერი თქვა. მიუხედავად ამისა ამით ოდნავადაც არ კმაყოფილდება აიეტი. ის კარგად იცნობს ადამიანის ძღელვარე გრძნობის ძალმოსილებას და იჩქარის დაეუფლოს მსმენელთა ემოციებს, მაგრამ ამასთან ერთად უყურადღებოდ არ ტოვებს აზრის სფეროს და ჯერ მისკენ მიმართავს დასკვნითს მსჯელობას: „ამრიგად, ჩვენ გავიმარჯვებთ ჩვენს ნამდვილ მტერზე, თუ არავითარ შემთხვევაში არ დავტოვებთ დაუსჯელად იმ ჩადენილ ბოროტმოქმედებას და მივიღეთ საჭირო ზომებს, რომ უზრუნველი გავხადოთ ჩვენი მომავალი ცხოვრება. ზედმეტი და უშედეგო იქნება ის გაი-

[1] ქართული მწერლობა, გვ. 106.

[2] იქვე.

[3] იქვე, გვ. 106—107.

ძვერობა და ფლიდობა, რომელთაც ისინი მზაკვრული პირფერობითა და ხელოვნური მოპყრობით იყენებენ იმათ მიმართ, ვინც მათ დაენდო, და რომელთა საშუალებით ისინი უსამართლო საქციელს სჩადიან, და ისინი ვეღარ გაიოიყენებენ იმათ ჩვენ წინააღმდეგ, თუ მტერთან საერთო აღარაფერი გვექნება და აშკარად გამოვეთიშებით მას. თუ ისინი სცდიან ჩვენთან შეომებას, მათ მოუხდებათ ბრძოლა ერთსა და იმავე დროს ლაზებთან და სპარსელებთან, ისიც მტრის მიწა-წყალზე, ესე იგი აქ, და ცხადია, მათ შემოტევას ვერ გაუძლებენ. აი ეხლახან არ იყო, რომ ძიდიელთა მცირეოდენ ჯარს შეებნენ მთელი თავისი ჯარით და მაშინვე სასირცხოდ გაიქცნენ ისე, რომ დღემდისაც კი არ ვოუთქვამთ სული იმ რბენისაგან? ისინი, ასე ვთქვათ, ყველაფერში დამარცხდნენ; მხოლოდ სისწრაფით აჯობეს დამდევნებლებს"[1].

მსუბუქი ირონიით ამთავრებს ორატორი ამ მსჯელობას და გადადის მკაცრი განაჩენის წინამძღვრებზე, რომელთა შესანიშნავ ორატორულ ჩამოთვლას ისევ დასკვნითი დებულებით აბოლოებს: „ამის ცხად და აშკარა მიზეზად შეგვეძლო ჩაგვეთვალა მათი სილაჩრე და ის, რომ შეუფერებელ გეგმებს ადგენენ. ეს ცუდი თვისებები ხომ ახასიათებს მათ, როგორც ჰეშმარიტად მათი კუთვნილი და თითქოს თანდაყოლილი. გარდა აქისა ამ, ბუნებით თანდაყოლილ, ცუდ თვისებებს ემატება თავისი ნებით ჩადენილი ბოროტმოქმედება და უსამართლოდ სისხლის დაღვრის გამო უზენაეს მფარველობას მოკლებულებს ფორკეცდებათ უბედურება. გამარჯვებას იარაღი კი არ განამტკიცებს ხოლმე, არამედ სათნოიანობა; მაგრამ არა მგონია ბოროტმოქმედი და სისხლში გასვრილი ადამიანები ოდესმე ეზიარონ ამ კეთილ საწყისს"[2].

ამის შემდეგ ფართო გასაქანს აძლევს მეტყველი მსმენელთა ემოციებს და უბრწყინვალესი ორატორული ფორმით გადმოგვცემს საგანგებოდ შერჩეულ სამეტყველო მოტივებს: „არ შეეფერება გონიერ ადამიანებს, რომ ჩვენ სრულის მოდრეკით ავიტანოთ უდიდესი ვნებანი და აუნაზღაურებელი ზარალი, რომელთაც ჩვენ გვაყენებენ, და არაფრით არ შევებრძოლოთ ამ უწმინდურ და შეუფერებელ საქმეებს: ეს უფრო შეეფერება მხდალ და ლაჩარ ადამიანებს, რომლებიც თავისი უქხარობით სახელგწიფო საქმეებისადმი დაუდევრობას ამტკიცებენ. რაც შეეხება ამ უკანასკნელ მკელელობას, არა მგონია სხვაგან სადმე მომხდარიყოს მაგაზე უფრო დიდი უბედურება, ან რომ მომხდარიყო, ასე იოლად ჩაეველო. ამიტომ არც,

[1] ქართული მწერლობის ისტორია, გვ. 107.

[2] იქვე.

ჩვენ უნდა დავტოვოთ უყურადღებოდ ეს საქმე: სასირცხო იქნება, თუ ჩვენ მეფეს დავივიწყებთ და მის მკვლელებს პირფერობას დაეუწყებთ"[1].

აქ მჭევრი სიტყვის ძლევამოსილება აღწევს უკიდურეს საზღვარს და ძალუმი მეტყველების ქსელში გახვეული მსმენელი ნებით თუ უნებლიეთ მიჰყვება საერთო კუთვნილებად ქცეულ აზრთა დინებას: „ის რომ ეხლა აქ იყოს, საყვედურით აგვავსებდა და დაგვძრახავდა ჩვენი დაუდევრობის გამო, რომ ეს ბოროტმოქმედნი, იმის მაგიერ რომ დიდი ხნის წინათ ყოფილიყვნენ გაძევებულნი, ჯერ კიდევ დაიარებიან ამ მიწა-წყალზე. მაგრამ ვინაიდან ამიერიდან ის ველარ გამოჩნდება ჩვენ შორის და ვერც სიტყვით მოგვმართავს, თქვენ თვითონ წარმოიდგინეთ ეს კაცი: დე ის წარმოუდგეს თქვენს გონებას, თითქოს ის ამ კრებაზე იყოს და მიგითითებდეს თქვენ თავის ჭრილობაზე, მკერდზე და კისერზე, და თვისტომთ თხოვდეს ეხლა მაინც გადაუხადონ მტერს სამაგიერო. მერმე, რომელი თქვენგანი დაუჯერს მხარს იმათ, რომელნიც ყოყმანობენ და კიდეც მსჯელობენ იმის შესახებ, სამართლიანია თუ არა კოლხების მხრით გუბაზის გლოვა? თუ ჩვენ შეუფერებლად მივიჩნევთ რომაელებისაგან გადადგომას და შევშინდებით, სიფრთხილე გვმართებს, რომ ამ ბოროტმოქმედების მონაწილეებად არ ჩაგვთვალონ, ვინაიდან დაუდევრობას ვიჩენთ და მიცვალებულის სისხლის აღებას ვაყოვნებთ"[2].

ამის შემდეგ ორატორს ისღა დარჩენია, რომ თავისი სურვილი უკარნახოს მიმხრობილ მსმენელს და შესაფერისი სახით დაამთავროს მეტყველება. ასეთ სახედ აიეტის შემდეგი დასკვნითი მოწოდება შეურჩევია: „მაშ, სხვა ფიქრი რაღა საჭიროა, სასწრაფოდ შეუდეგით საქმეს და გამოამეღავნეთ თქვენი გულის ნადები: რომ გავაკეთებთ იმას, რაც სწორი და სამართლიანია და რაც სარგებლობას მოგვიტანს, — ამით ჩვენ უდიდეს სახელს მოვიხვეჭთ"[3].

აიეტის ორატორული ქმნილება აგებულია ანტითეზის სტილისტიკური ხერხით. ასეთი ხერხის ნიადაგს აქ ქმნის ალტერნატივა — ან ბიზანტია, ან სპარსეთი — რომლის წინაშე დგას ხალხი. ამ ნიადაგზე აშენებს ორატორი ანტითეზური წყვილების შემცველ კონტექსტებს. ეს კონტექსტები უმეტესად არა პირდაპირ ასახელებენ, არამედ შეფარვით გულისხმობენ ანტითეზურ პარალელებს.

სიტყვაში შემდეგი ანტითეზური წყვილებია: „ჩვენ" (კოლხები) — „ისინი" (რომაელები), ლაზები — რომაელები, სპარსელები — რომაელები, მეფე (გუბაზი) — კეისარი (იუსტინიანე) და სხვა.

---

[1] ქართული მწერლობა, გვ. 108.

[2] იქვე.

[3] იქვე, გვ. 109.

აი, ანტითეზის წესით გამართული მსჯელობის ერთი ნიმუში: „ისიც უნდა ვიკმაროთ, თუ მივაღწევთ იმას, რომ ძალიან არ დავაგვიანოთ იმათ, ვინც წინათ ჩვენი ქვეშევრდომი იყო, ნუთუ უკიდურეს უგუნურებას არ წარმოადგენს ის, რომ იმათ შესახებ, ვინც ეს ჩაიდინა, ჩვენ ვზიარვართ და ვმსჯელობთ, მტრებად ჩაეთვალოთ ისინი თუ მეგობრებად?“[1].

აიეტის სიტყვის ძირითადი სააზროვნო გზა დედუქციური ხასიათისაა[2]. აქ ხშირად ჯერ დადგენილია ზოგადი დებულება და შემდეგ მიღებულია მისგან გამომდინარე კერძო დასკვნა. ასე, მაგალითად: „მე ვინატრიდი კოლხეთის სახელმწიფოს ჰქონოდეს მისი ძველი ძლიერება, რომ მას არ დასჭირებოდეს უცხო და გარეშე დახმარება და რომ ყოველგვარ საქმიანობაში, როგორც ომიანობის ისე მშვიდობიანობის დროს, მხოლოდ საკუთარ თავს ეყრდნობოდეს (ზოგადი დებულება) მაგრამ, როდესაც ჩვენ ჟამთა ტრიალის, ან ბედის უკუღმართობის, ან ორიენტის წყალობით ისეთს უძლურებაში ჩავვარდით, რომ სხვათა ხელქვეითნი გავხდით, მე ვფიქრობ, უმჯობესია იმათ ხელში ვიყოთ, ვინც უფრო კეთილის მსურველია“ (კერძო დასკვნა)[3].

აიეტის მეტყველება უხვად შეიცავს აფორისტულ გამონათქვამებს[4]. მაგალითად: „გამარჯვებას იარაღი კი არ განამტკიცებს ხოლმე, არამედ სათნოიანობა“; „არა მგონია ბოროტმოქმედი და სისხლში გასვრილი ადამიანები ოდესმე ეზიარონ... კეთილ საწყისს“; „სიმტკიცე გონიერების თვალსაზრისით უნდა გავსინჯოთ“; „არსებული მდგომარეობის მოთმენა ყოველთვის კი არ არის საქები, არამედ მხოლოდ მაშინ, როდესაც მას გონიერი მოსაზრებები ახლავს თან“; „როდესაც ისე ხდება, რომ უგულებელყოფენ იმას, რაც უნდა ახსოვდეთ, ხოლო აკეთებენ იმას, რაც შეუფერებელია, მაშინ უფრო გასაკიცხავია ის, ვინც ძველ ვითარებას მისდევს, ვიდრე ის, ვინც ახალს ემხრობა“.

ეს გამოთქმები აიეტის ღრმა აზროვნების, დახვეწილი სტილისა და ნათელი მსჯელობის მაჩვენებელია. ამ მხარეების ერთიანობა ქმნის დიდი ქართველი ორატორის მაღალ სამეტყველო კულტურას[5].

ასეა მისი მწყობრი, ლამაზი და გონივრული სიტყვა.

აიეტის ორატორული შემოქმედება ქართული მეტყველების უკვდავი მონაპოვარია.

---

[1] ქართული მეტყველება, გვ. 106.

[2] იხ. Гр. Кандаратвили, Очерки по истории логики в Грузии, გვ. 30.

[3] ქართული მეტყველება, გვ. 106—107.

[4] შ. ქ ა ხ ა ძ ე, ლაზიკა VI საუკუნეში, გვ. 213.

[5] შ. ნ უ ც უ ბ ი ძ ე, ქართული ფილოსოფიის ისტორია, I, გვ. 228.

5. ფარტაზი

ფ ა რ ტ ა ზ ი (ფარტაძე) სახელოვანი კოლხი ორატორია. ის გუბაზ მეფესთან დაახლოებული გავლენიანი სახელმწიფო მოღვაწეა. VI საუკუნის ლაზიკის წარჩინებულ პირთა შორის ფარტაზი გონიერებითა და უბრალოებით გამოირჩეოდა. ამასთან, ის უბრალო ხალხის დიდი სიყვარულითა და პატივისცემით სარგებლობდა.

თავისი პოლიტიკური რწმენით ფარტაზი რომაელთა მომხრე იყო და თავგამოდებით იბრძოდა ბიზანტიასთან კავშირისათვის. სპარსეთთან დაახლოების ცდა მას მძიმე პოლიტიკურ შეცდომად მიაჩნდა და ქვეყნის ორიენტაციის საკითხში პრობიზანტიულ მიმართულებას მეთაურობდა. ლაზთა სახალხო კრებაზე მან წარმატებით დაიცვა თავისი პოზიცია აიეტის წინააღმდეგ და დამსახურებულ გამარჯვებას მიაღწია.

ეს გამარჯვება იყო შედეგი ფარტაზის სწორი პოლიტიკური აღღოსი და ბრწყინვალე ორატორული ხელოვნებისა.

ყოველივე ამის საბუთი მოიპოვება საისტორიო პირველწყაროში[1]. როგორც ვიცით, იქვეა შენახული ფარტაზის სიტყვა. ამ სარწმუნო მასალის საფუძველზე საკმაო სისრულით წარმოიდგინება დიდი ქართველი ორატორის შემოქმედება.

ფარტაზის სიტყვა, თქმული სახალხო კრებაზე კოლხეთის პოლიტიკური მდგომარეობის გამო, ქართული მჭევრმეტყველების უკვდავი ძეგლია. ის ჩვენი ზეპირი სიტყვის ოქროს ფონდის კუთვნილებაა და მსოფლიო მჭევრმეტყველების ღირსეულ ქმნილებას წარმოადგენს. საკაცობრიო ზეპირი მეტყველების ისტორიაში ფარტაზის ორატორული ნაწარმოები შეიძლება გვერდით ამოუდგეს ისეთ შესანიშნავ ძეგლებს, როგორიცაა დ ე მ ო ს თ ე ნ ე ს ა და ც ი ც ე რ ო ნ ი ს ფილიპიკები.

ფარტაზის სიტყვის რკინისებური ლოგიკით შეკრული შინაარსი, რომლის წრეში ერთიანდება ბრძნული იდეა, ლამაზი ფორმა და მკაფიო სტილი, იმდენად ხიბლავს და აჯადოებს მსმენელს, რომ

[1] ჯორგიკა, III, გვ. 23—187.

მის წინაშე ჯერ მკრთალდება და შემდეგ სრულიად ქრება მახლობელი მძლავრი შთაბეჭდილება და იქმნება წინანდელი ძალის დამჩრდილავი ახალი ქმედითი განწყობილება. ამ ახალი განწყობილების მიმართ ამაოა მსმენელთა შებრძოლების ყოველგვარი ცდა — ერთი სულისკვეთებით შეპყრობილი მასა საქმით ემორჩილება სიტყვის ზეგავლენას.

ასეთ შედეგს აღწევს ორატორი.

ეს შედეგი შეპირობებულია ფარტაზის მეტყველების ყველა ძირითადი ნიშნით, რომელთა შორის განსაკუთრებით საყურადღებოა ღრმაიდეური აზრი და ლოგიკური ფორმა. მათი განუყოფელი შინაარსი, რომელსაც მეტყველი უმოკლესი გზით აწვდის მსმენელის ინტელექტს, მტკიცედ იმორჩილებს მასობრივ ნებისყოფას და სასურველი გზით წარმართავს საერთო მოქმედებას. ფარტაზის მქევრი სიტყვის უმთავრესი მანერა ინტელექტისადმი მიმართებაა. გონების გასაგონად წარმოთქმული სიტყვა მოქმედებს გრძნობასა და ნებისყოფაზეც. ასეთი ცნობიერი და წინასწარ გამიზნული გარემო განსაზღვრავს ფარტაზის წარმატებას. ორატორი ძლიერია როგორც მეტყველების დროს, ისე მისი დამთავრების შემდეგაც. მეტყველების პროცესში წარმოქმნილი ძალა დიდი ინერციით განაგრძობს მოქმედებას და შესაფერი შედეგით აგვირგვინებს საქმეს.

ამ დიდი ხელოვნების გზაზე მკვეთრად შეინიშნება შემოქმედის მძლავრი გონიერება, მტკიცე ნებისყოფა და მაღალი ნიჭი. აქვე ჩანს ფარტაზის დიდი თეორიული და პრაქტიკული განსწავლულობა, რაც ვლინდება მისი მწიგნობრული გამონათქვამებითა და ორატორული ტექნიკით[1]. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ ფარტაზის შემოქმედება ღრმად ხალხური და თვითმყოფადია. ის შემკულია ეროვნული ხასიათის სიტყვიერი ორნამენტით და შეფერილია მშობლიური ენამკვირობის კოლორიტით.

ფარტაზის სიტყვა იწყება იმ უჩვეულო წარმატების აღიარებით, რაც შედეგად მოჰყვა აიეტის მქევრმეტყველებას: „ჩვეულებრივი ამბავი დაგეწართათ, კოლხებო, რომ მეტად მოხერხებულად და წარმტაცად თქმულმა სიტყვებმა გონება შეგირყიეს. უძლეველი რაღაც არის მქევრმეტყველება და ის თითქმის ყველას ამარცხებს, განსაკუთრების კი იმათ, ვისაც წინათ მისი ძალა არ გამოუცდია“[2].

მშვიდი ტონით შეკავებული საყვედური ისმის აქ მსმენელის მიმართ და ნაწილობრივ მის სისუსტეს მიეწერება ეს წარმატება,

---

[1] შ. ნუცუბიძე. ქართული ფილოსოფიის ისტორია, I, გვ. 230.

[2] ქართული მქევრმეტყველება, გვ. 110.

მაგრამ მჭევრმეტყველების თავისთავადი უძლეველობაც ხაზგასმულია და ამით მისი დიდი ძალა და სოციალური ფუნქციაა ნაგულისხმევი. აძასთან ერთად აქვე ფარტაზი ერთმანეთისაგან არჩევს გრძნობებისაკენ მიმართულ კაზმულ მეტყველებასა და გონებისათვის ნათქვამ ბრიონულ სიტყვას. ეს გვაძლევს საფუძველს ვივარაუდოთ, რომ ფარტაზი დგას ელინისტური ეპოქის რიტორიკაში ატიციზმის საფელით ცნობილი მიმართულების საფუძველზე, ხოლო აიეტს მიიჩნევს მისი მოპირდაპირე მიძდინარეობის აზიანიზმის მიძდევრად. ერთიცა და მეორეც, როგორც ცნობილია, ელინისტური ხანის სოციალურ-პოლიტიკური ვითარებისა და ბერძნულ-აღმოსავლური კულტურის შექმნის შედეგია[1]. ამრიგად, არც ერთი და არც მეორე არ წარმოადგენს უმხიშვნელო მიმართულებას და მათი გამოვლენა ქართულ რიტორიკაში ჩვენი ეროვნული კულტურის სიმაღლით უნდა აიხსნას.

აიეტის აზიანურ სიტყვაკაზმულობას ფარტაზი უპირისპირებს ატიცისტურ სადასიტყვაობას, რომლის მეშვეობით წმინდა პრაქტიკულ და უტილიტარულ დანიშნულებას აძლევს მეტყველებას. ორატორი ახსენებს „გონიერ მოსაზრებას", „საქმის ნამდვილ ვითარებას" და ხაზს უსვამს იმის მნიშვნელობას, რაც „მიზანშეწონილია და სასარგებლო". იგი ამბობს: „ნათქვამი იმიტომ კი არ უნდა მოიწონოთ თქვენ, რომ ის თავისი მოულოდნელობითა და უჩვეულობით მიგაჩნიათ დამარწმუნებლად, არამედ ძხოლოდ მაშინ, თუ ის მიზანშეწონილია და სასარგებლო. კარგად უნდა შეიგნოთ, რომ, რაგინდ სასიამოვნო არ იყოს ნათქვამი, უნდა ამოირჩიოთ იქიდან ის, რაც უმჯობესია: იმის აშკარა საბუთად, რომ თქვენ მოსტყუვდით, ის გამოდგება, რომ თქვენ ასე ადვილად დაარწმუნებინეთ თავი აიეტს. ვინც ყალბ რჩევა-დარიგებას იძლევა, მას ესაჭიროება სიტყვების მეტი მოკაზმულობა და სიჩქარე: რაც უფრო მეტ წარმტაც სიტყვებს იხმარს ის, მით უფრო სწრაფად მიიზიდავს გულუბრყვილო მსმენელს. ასე დაგემართათ თქვენც: აიეტი რომ მაცდურსა და შემპარავ სიტყვებს მოგახსენებდათ, ვერც კი შეამჩნიეთ, როგორ მოსტყუვდით"[2].

თუმცა იწუხებს ფარტაზი აიეტის სიტყვის „მოკაზმულობასა და სიჩქარეს", მაგრამ თვითონ არა ერთხელ მიმართავს სტილის შელამაზებას მახვილი და მოხდენილი თქმებით.

---

[1] ს. ყაუხჩიშვილი, ბერძნული ლიტერატურის ისტორია, II, გვ. 211—212; A. Damaschke, Geschichte der Redekunst, გვ. 82.

[2] ქართული მჭევრმეტყველება, გვ. 111.

ამ დიდებული განკითხვის შემდეგ, ორატორი მიმართავს ბრწყინვალე ლოგიკურ მანევრს, რომლის მიზანს შეადგენს დაარწმუნოს მსმენელი, რომ აიეტმა „იმთავითვე წამოაყენა სულ სხვა საკითხი“ და, მაშასადამე, უახროა და უმნიშვნელო მთელი მისი მჭევრმეტყველება: „სხვა თუ არაფერი, ის კი მაინც ნათლად უნდა შეგეძჩნიათ, რომ მან იმთავითვე წამოაყენა სულ სხვა საკითხი, სრულიად განსხვავებული იმ საკითხთაგან, რომელთა გამო ჩვენ აქ მოვსულვართ. მისი სიტყვებით ისე გამოდის, თითქოს თქვენ ყველანი ამტკიცებდეთ, რომ მომხდარი ამბავი არ იყო საშინელება, რომ ამ საზიზღარ მკვლელობას არ ჰკიცხავდეთ და მხოლოდ იმის შესახებ მსჯელობდეთ, დამნაშავენი არიან თუ არა გუბაზის მკვლელები; თვითონ კი მკვლელების დანაშაულს არ ეხება და უამრავ სიტყვას ხარჯავს იმაზე, რაც ცნობილია“[1].

აქ ფარტაზი იმაღლებს გავლენიან ხმას: „მე კი ვამბობ, რომ წყეული და შეჩვენებული არიან ისინი და რომ მე უდიდესი სიამოვნებით ვუყურებდი მათ საშინელ სასჯელს, ვუყურებდი არა მარტო იმათ დაღუპვას, რომელთაც განგმირეს გუბაზი და საკუთარი ხელებით ჩაიდინეს ეს მკვლელობა, არამედ ყველა იმათსაც, რომელთაც შეეძლოთ შეეფერხებინათ ეს მკვლელობა და არ შეაფერხეს, და აგრეთვე იმათსაც, რომელთაც ეს მკვლელობა გაეხარდათ და არც თუ ისე აღშფოთდნენ“[2].

ამით ამთავრებს ორატორი ნიადაგის მზადებას უმთავრესი საქმელისათვის და უმალვე გამოთქვამს ძირითად მოსაზრებას: „თუმცა მე ამას ვფიქრობ, მაგრამ სპარსელების მხარეზე გადასვლა მაინც არ იქნება სასარგებლო: არავინ არ მიიჩნევს საჭიროდ მივიღოთ და გავიზიაროთ ის აზრი, თითქოს, თუ იმათ (რომაელებმა) ჩაიდინეს უკანონობა, აუცილებელი იყოს ჩვენც გამოვეთხოვოთ მშობლიურ წესებს და იმ ვერაგებს კი არ გამოვუცხადოთ ჩვენი გულისწყრომა, არამედ თვითონ მოვიპოვოთ ამგვარივე სახელი. ეხლა აღარ არის საჭირო იმაზე ფიქრი, რაც მოხდა და დასრულდა, და უკვე აღარ შეიძლება დაბრუნებულ იქნას (თითქოს არ მომხდარიყოს); ნუ ავყვებით, მსჯელობის დროს მოწოლილ ბოღმას და გულისტკივილს, რომ არ დავკარგოთ მოსაზრების უნარი და არ დავაბუნდოვანოთ ჩვენ მსჯავრი: შევინარჩუნოთ უნარი უკეთესის არჩევისა, გამოვიჩინოთ ჩვენი მწუხარება, რამდენადაც ეს საჭიროა იმის დასამტკიცებლად, რომ დაუდევრობას არ ვიჩენთ, და მოვისაზროთ

[1] ქართული მჭევრმეტყველება, გვ. 111.

[2] იქვე.

შომაელისათვის, თუ როგორ მოვაგვაროთ საქმეები უფრო უკეთ. უგუნური ადამიანები სულ მუდამ დასტირიან განვლილ უბედურებას, ხოლო გონიერნი შეიცნობენ ხოლმე ბედის უკუღმართ ტრიალს და მათ არ აშფოთებს ცვლილებები, და როდესაც წინაწდელ მდგომარეობას ჰკარგავენ, არ ისპობენ მომავლის იმედებს"[1].

აფორისტული გამონათქვამით აგვირგვინებს ფარტაზი იდეური არსის შემცველ ეპიზოდს და კვალდაკვალ მიყოლით, თანმიმდევრულად აცამტვერებს აიეტის ყველა დებულებას. სიტყვის დიდი ნაწილი ეთმობა ამ საქმეს. ამ ნაწილში ბევრი შესანიშნავი რიტორიკული შემაღლებაა. მაგალითად:

„მაგრამ ეს მრჩეველი (აიეტი), რომელიც დიდი ხანია მიდიელების მომხრეობას იჩენს და მოწადინებულია ჩვენც გადაგვიყვანოს მათ მხარეზე, ცდილობს შეგვაშინოს — თითქოს ბავშვები ვიყვეთ — და გვიმტკიცებს, რომაელები არ იკმარებენ იმას, რაც გაბედეს, კიდევ მეტი უბედურება მოგველისო. ამბობს იმასაც, რომ მათ დიდი გაიძვერა მეფე ჰყავთ, რომელიც თვითონ არის ამ მკვლელობის სულის ჩამდგმელი; დიდი ხანია ეს მკვლელობა მოშზადებული და მოფიქრებული იყოო. ამას ამბობს ის და აქებს და ადიდებს სპარსელებს; ის ფიქრობს, რომ ამ გზით დაგვარწმუნებს ჩვენ და ჩვენც ეხლავე საკუთარი ფეხით ვეახლებით აშკარა მტრებს და ხვეწნას დავუწყებთ. ამ მიზნისათვის ხმარობს ის ყოველგვარ საშუალებას: იმთავითვე იღწვის და ცდილობს იმისათვის, რომ განახორციელოს ის, რაც მას განზრახული აქვს; მოუფიქრებლად გვიდგენს გეგმებს, არღვევს და ანგრევს კრების წესრიგს და ამ კრებას მიზანს უკარგავს. კრება ხომ, ჩვეულებრივ, წინასწარ იხილავს მუდამ და მსჯელობს, რომ კარგად გასინჯოს ის, რაც არ არის ნათელი; ხოლო, როგორც კი მიაგნებს იმას, რისი გაკეთებაც არის საჭირო, მაშინ გვმართებს გამოვიჩინოთ სურვილი და შევასრულოთ დადგენილება. ამან კი ბოლო თავში გადაიტანა და, ვიდრე ჩვენ საბოლოოდ რასმე გადავწყვეტდეთ, ის უკვე შეუდგა შესრულებას. რაღა აზრი აქვს კრებას, თუ ჯერ დადგენილება იქნება და მერე კრება?"[2].

ან:

„უმართებულო იქნებოდა, ჩემი აზრით, და ამასთანავე ერთად მიზანშეუწონელიც ერთი ან ორი კაცის დანაშაულის გამო შევსწყრომოდით საზოგადოებრივ კანონებს, რომელთა დაცვა აგვიღია ჩვენს თავზე, და ასე იოლად შეგვეცვალა მთელი სახელმწიფო

[1] ქართული მწერლობის ძეგლები, გვ. 111—112.
[2] იქვე, გვ. 112.

წყობილება და ცხოვრება, რომელსაც მშვენივრად შეეგუეთ, იმათ მიმართ კი, რომლებიც ამ ქვეყანას სდარაჯობენ და მრავალნაირ ხიფათში ვარდებიან იმის გულისათვის, რომ ჩვენ უდარდელი ცხოვრება მოგვანიჭონ, გამცემლები გამოვსულიყავით; ყველაზე უფრო უწმინდური საქმე ის იქნება, რომ ასეთი საქციელით ჩვენ შევბღალავთ მართლმორწმუნეობას და წმინდა საიდუმლოთა უმწიკვლოობას. აბა, სხვა რას დაემსგავსება ჩვენი საქციელი, თუ მივემხრობით უზნეანესი არსების სასტიკ მტრებს? თუ ისინი აგვიკრძალავენ ჩვენი საღმრთო წესების შესრულებას და თავიანთ წესებზე გადაგვიყვანენ, ამაზე უფრო სამძიმო რა უნდა განვიცადოთ ჩვენ, რომლებიც ცოცხლები ვიქნებით და ამავე დროს მკვდრებიც?"[1].

ამნაირად, ფარტაზი ქვას ქვაზე არ ტოვებს აიეტის ნათქვამში. ამ გზით ორი უმთავრესი ამოცანა სრულდება: აიეტის სიტყვით შექმნილი შთაბეჭდილების გაქარწყლება და პრობიზანტიური იდეის პროპაგანდა. ორივე ამოცანის წარმატებით შესრულების შემდეგ, ინტელექტის მიმართ წარმოთქმულის გვერდით, ორატორი ცხოვლად ეხმაურება გრძნობის სამყაროსაც. აქ მჭევრი მეტყველების ზეგავლენის ძალა იმორჩილებს არა მარტო გრძნობასა და გონებას, არამედ ნებისყოფასაც, და ყოველი მათგანის სასურველი განწყობით იქმნება ერთიანი მძლავრი სულისკვეთება, რომელიც გამოხატავს მეტყველისა და მსმენელის საერთო აზროვნებას. ამ ერთიანი მსოფლმხედველობის საბოლოო შემუშავებას ფარტაზი აღწევს სიტყვის ემოციური მწვერვალით. აქ ნათქვამია: „ნურავინ ნუ ცდილობს წარმოგვიდგინოს აქ მიცვალებული გუბაზი, სრულიად არა ვატკაცურად მოტირალი, რომელიც თითქოს თავის ჭრილობას უჩვენებს თვისტომთ და ეუდრება მათ, შეიბრალონ იგი. იქნებ ეს შეეფერებოდეს საცოდავ და სუსტ არსებათ, მაგრამ ეს არ შეეფერება მეფეს, ისიც ლაზთა მეფეს, მით უმეტეს გუბაზს. ის რომ აქ იყოს, უეჭველია ის, როგორც ღვთისნიერი და გონიერი ადამიანი, გაგვკიცხავდა ჩვენ ამგვარი ზრახვებისათვის; მოგვიწოდებდა არ მიეცემოდით სასოწარკვეთილებასა და გულაჩუყებას, და მონების მსგავსად კი არ გავქცეულიყავით, არამედ აღეჭურვილიყავით კოლხის თავისუფალი შეგნებით, ვატკაცურად აგვეტანა უბედურება და არაფერი სასირცხო და მამაპაპური წესების შემბილწველი არ ჩაგვედინა, არსებულ მდგომარეობაში დავრჩენილიყავით და იმედი გვქონოდა, რომ უზნეანესის თვალი არ მოაკლდება ერს"[2].

---

[1] ქართული მწერლობა, გვ. 113.

[2] იქვე. გვ. 115.

სიტყვის დასასრულისათვის ორატორი ძირს ხრის შთაგონების მწვერვალს, თანდათანობით ანელებს პათეტიკურ განწყობილებას, ნათელ ფერებში ხატავს მოსალოდნელ კეთილდღეობას და გამარჯვების კმაყოფილებით ამთავრებს მეტყველებას: „მე იმ აზრისა ვარ, რომ საჭიროა რომაელთა მეფეს ვაცნობოთ მომხდარი ამბავი, რათა იგი სათანადოდ მოეპყრას იმათ, ვისაც ამ მკვლელობაში მთავარი დანაშაული მიუძღვის, და თუ ის ამას იზამს, აქიერიდან მოისპობა ჩვენი უთანხმოება რომაელებთან: კვლავ ერთად ვილაშქრებთ, ძველებურად ერთად გავწევთ ცხოვრების ჯაჭანს. თუ კი ის უარყოფს ჩვენს თხოვნას, მაშინ უნდა მოვითათბიროთ, მიზანშეწონილი იქნება თუ არა მეორე გზას დავადგეთ. თუ ასე მოვიქცევით, იმასაც დავამტკიცებთ, რომ ცხონებული გუბაზი არ დაგვიიწუნია, და იმასაც, რომ საქმეებს მოფიქრებით ვაგვარებთ და არა წინდაუხედავად“[1].

როგორც ზემოთ აღინიშნა, ერთგან ფარტაზი უწუნებს აიეტს სიტყვის კაზმულობისაკენ ლტოლვას, მაგრამ საკუთარ მეტყველებაში ხშირად მიმართავს ხატოვან აზროვნებას. საერთოდ, აიეტისა და ფარტაზის სახოვანი ენა იმდენად განსხვავდება აგათია სქოლასტიკოსის უფერული სტილისაგან, რომ მარტო ამით შეგვეძლო უდავოდ მიგვეჩნია მათი არსებითი სხვადასხვაობა. კერძოდ, ფარტაზის სიტყვის ფორმა წმინდა ანტიკური ენამჟევრობის კლასიკური ნიმუშია და, აიეტის სიტყვასთან ერთად, აგათიას ნაშრომში შედის გარეშე წყაროდან მომდინარე მასალის სახით.

ფარტაზის მეტყველების გამორჩეულ სახეს ქმნიან მიმართვები, შეკითხვები და შედარებანი. ისინი სიტყვის საერთო ფონზე მკვეთრად არ შეინიშნებიან და უფრო სასაუბრო ელფერს ატარებენ, ვიდრე რიტორიკულ ხასიათს. ეს ქმნის ფარტაზის ენის უწყვეტ რიტმულ მდინარებას, რომელშიც არ შეიმჩნევა განსხვავებული სახის სიტყვიერი ნაკადები. ასეთ მეტყველებას ნსმენელი აღიქვამს ოდნავ ერთფეროვანი, მაგრამ დამამშვიდებელი მასალის განცდით.

აიეტის სიტყვის მსგავსად ფარტაზის სიტყვაც აგებულია დედუქციური მსჯელობის წესით. აქ ბევრგან ჯერ ზოგადი დებულებაა წარმოთქმული და შემდეგ მისგან გამომდინარე კერძო დასკვნაა გამოტანილი. მაგალითად: „ადამიანები ვერ იწყნარებენ ხოლმე აზრთა სხვადასხვაობას და მაშინაც კი, როდესაც გაჭირვება ან რაიმე მოპირდაპირის მიერ ჩადენილი, კეთილი საქმე აიძულებს მათ კავშირში ყოფნას, მათ შორის ნდობა ძრასდროს არ არის მტკიცე

[1] ქართული მწერლობა, ტ. 115.

(ზოგადი დებულება); ჰო და, აბა, რის გულისათვის უნდა გადავიდეთ, კოლხებო, სპარსელების მხარეზე, თუ კი ისინი მაინც ჩვენ მტრებად დარჩებიან და ასეთ ვითარებაში მხოლოდ ის-ღა გვექნება, რომ ისინი უფრო ადვილად მოგვაყენებენ ვნებას, ვინაიდან ფარული მტრისაგან უფრო ძნელია თავის დაცვა, ვიდრე აშკარასაგან" (კერძო დასკვნა)[1].

ფარტაზის სიტყვა აფორისტული აზროვნების ბრწყინვალე ნიმუშია. აქ უხვადაა გაფანტული ბრძნული სენტენციები. მათი ლოგიკური ერთიანობით ქმნის ორატორი ღრმაიდეური მეტყველების ბუნებრივ სურათს. ამ სურათზე ბევრი დიდაზროვანი სიტყვიერი სამკაულია. აი, მაგალითად: „ვინც ყალბ რჩევა-დარიგებას იძლევა, მას ესაჭიროება სიტყვების მეტი მოკაზმულობა და სიჭრელე: რაც უფრო მეტ წარმტაც სიტყვებს იხმარს ის, მით უფრო სწრაფად მიიზიდავს გულუბრყვილო მსმენელს"; „უგუნური ადამიანები სულ მუდამ დასტირიან განვლილ უბედურებას, ხოლო გონიერნი შეიცნობენ ხოლმე ბედის უკუღმართ ტრიალს და მათ არ აშფოთებს ცვლილებები, და როდესაც წინანდელ მდგომარეობას ჰკარგავენ, არ ისპობენ მომავლის იმედებს"; „არასდროს არ უნდა დაუკავშიროთ თქვენი აზრები გარეშე მოსაზრებებს, უნდა უყუროთ ერთს რომელსამე წინდასახულ მიზანს და ისე წარმართოთ თქვენი მსჯელობა"; „განა შესაძლებელია ვითარების შეტრიალება ძალით და მისი ისე მოქცევა, როგორც გესიამოვნება?"; „ადამიანები ვერ იწუნარებენ ხოლმე აზრთა სხვადასხვაობას"; „ფარული მტრისაგან უფრო ძნელია თავის დაცვა, ვიდრე აშკარასაგან"; „ვინ არ იცის, რომ ბრძოლის შედეგები უთუოდ განსაზღვრულ პირობებს არ ექვემდებარება და რომ, ვინც ეხლა შემთხვევით დამარცხება განიცადა, მუდამ იმნაირივე უბედურების ლუკმა არ იქნება!".

ფარტაზის ბრძნული მეტყველების საერთო ელერაში ეს აფორიზმები მკვეთრად არ გამოირჩევიან — ისინი ან ნათქვამიდან გამომდინარეობენ, ან სათქმელის წინამძღვრებად გვევლინებიან, და ორივე შემთხვევაში დიდ ბუნებრიობას ინარჩუნებენ.

ასეთია ეს მშვენიერი, მკაფიო და ბრძნული მეტყველება.

ფარტაზის ორატორული ხელოვნება ქართული ზეპირი სიტყვის უკვდავი სიამაყეა.

---

[1] ქართული მშვენიერმეტყველება, გვ. 113.

6. იოანე საბანისძე

იოანე საბანისძე VIII საუკუნის ქართველი მწერალი და მქადაგებელია. ქართლის კათალიკოსის სამოელის (780—790) შეკვეთით მას აუწერია ერთი გაქრისტიანებული არაბის ჰაბოს წამება. აღწერილი მოვლენის თვითმხილველი და წამებული ჰაბოს პირადი მეგობარი იოანე თავის თხზულებაში ფართოდ გვიხატავს იმდროინდელი ჩვენი ქვეყნისა და მახლობელი კუთხეების საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ვითარებას.

იოანე საბანისძეს თავისი ნაწარმოები — „წამებაჲ წმიდისა და ნეტარისა მოწამისა ქრისტჱსისა ჰაბოჲსი“ — ოთხ თავად გაუყვია. მეოთხე თავი — „ქებაჲ წმიდისა მოწამისა ჰაბოჲსი“ — წარმოადგენს თხზულების მთავარი პერსონაჟის რიტორიკულ ხოტბას. მოთხრობის ეს ნაწილი ყურადღებას იქცევს ზეპირი სიტყვისათვის ნიშანდობლივი მხარეებითა და მჭევრმეტყველური ფორმით.

უნდა აღინიშნოს, რომ მთელი ნაწარმოები, და განსაკუთრებით მისი მეოთხე თავი, განკუთვნილია უმთავრესად მსმენელთა საყურადღებოდ. თხრობის დასაწყისში ავტორის ასეთი მიმართვა გვხვდება: „მომიპყრენით საჩინონი ეგე სასმენელნი თქუენნი და უფროჲსღა საცნობელნი ეგე ყურნი გულისა და გონებისა თქუენისანი განჰმარტენით სმენად და მასპინძელ ექმნენით სიტყუათა ამათ ჩემთა“[1] იქვე ავტორი პირდაპირ მიმართავს მსმენელთ: „საყუარელნო, ნუ გეწყინებინ სმენად სიტყუათა ამათ, რაჲთა არა ცუდად დავშურეთ: მე სიტყჳთა და თქუენ სმენითა“. ქვემოთ მოთხრობის თემა ნახსენებია, როგორც ყველასათვის „სმენად საწადელი“, ხოლო „ქების“ დასაწყისში ნათქვამია: „აწ მოვედით, ქრისტჱს მორწმუნენო, და ვედღესასწაულობდეთ ჴსენებასა ახლისა ამის წმიდისა მოწამისასა“[2].

ერთი სიტყვით, ი. საბანისძის ნაწარმოები წარმოადგენს ერთგვარ წერილობით მოხსენებას, რომელიც უფრო მსმენელთა აუდი-

[1] ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I, გვ. 56.

[2] იქვე, გვ. 69.

ტორიას გულისხმობს, ვიდრე მკითხველთა წრეს. ნაწარმოების ეს თავისებურება მეცნიერებაში შეუმჩნეველი არ დარჩენილა. ი. ჯავახიშვილი, ჩვენი საისტორიო მწერლობის მიმოხილვისას, გარკვევით მიუთითებს, რომ საბანისძე „ჩვეულებრივი მწერალი არ ყოფილა“ და „მკითხველისა და მსმენელისადმი“ მიმართული „თხზულებაც ჩვეულებრივი მოთხრობის სახით კი არა აქვს დაწერილი, არამედ გარკვეულს, წინდაწინვე აღნიშნულს გეგმაზე არის აგებული“[1]. კერძოდ, ნაწარმოების მეოთხე თავის შესახებ კ. კეკელიძე აღნიშნავს: „ეს ქება ან ხოტბა ნამდვილი ნიმუშია ქართული მჭევრმეტყველობითი სიტყვისა, ის მაჩვენებელია, თუ რა სიმაღლეზე ასულა ამ დროს ორატორული ხელოვნება ჩვენში“[2].

ამრიგად, როგორც ვხედავთ, იოანე საბანისძის სამწერლო დამსახურებას ორატორული ღვაწლიც ერთვის.

იოანე საბანისძე ქართული ორიგინალური ჰომილეტიკის ადრინდელი წარმომადგენელია. ის სახოტბო და საზეიმო მქადაგებლობის შესანიშნავი ხელოვანია.

არაბთა ბატონობის მძიმე პერიოდში,—როცა, ავტორის სიტყვით, „აღვერიენით ერსა, უცხოსა შჯულითა, განდგომილსა ქრისტჱსგან“ და ირყეოდნენ ქართველები, „ვითარცა ლერწამნი ქართაგან ძლიერთა“, — მწერალ-მქადაგებელს მიზნად დაუსახავს თავისი პატრიოტული ნაწარმოებით ეროვნული სიამაყის გრძნობა გამოეწვია და მორალური დაქვეითების პროცესი შეეჩერებინა. როგორც ჩანს, ქვეყნის მოწინავე შვილებს ესმოდათ, რომ სულიერი მონაპოვრის გადარჩენით ხალხი ინარჩუნებდა ფიზიკური არსებობის უფლებას, რომლის ძალით უნდა წარმოებულიყო ბრძოლა სამშობლოს დასაცავად. ერთი ასეთი მოწინავე ქართველია იოანე საბანისძე. მისთვის ცნობილია, რომ დასახული მიზნის მისაღწევად უფრო ზეპირი სიტყვა გამოდგება, ვიდრე წერილობითი, და ამიტომ თავის მოთხრობას ცოცხალი მეტყველების სახეს აძლევს და ორატორული ძეგლის დანიშნულებას აკისრებს. როგორც ირკვევა, ნაწარმოები თავიდანვე განკუთვნილი იყო მრევლის წინაშე წარმოსათქმელად. ყოველ შემთხვევაში მისი მეოთხე თავის ასეთი დანიშნულება ეჭვს გარეშეა.

---

[1] ი. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, გვ. 67.

[2] კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, ადრინდელი ფეოდალური ქართული ლიტერატურა, გვ. 51.

„ქებაჲ წმიდისა მოწამისა ჰაბოჲსი“[1], უწინარეს ყოვლისა, ორატორული ქმნილებაა. ის აგებულია ზეპირი სიტყვის ძირითადი წესების დაცვით: არსებითად მიემართება მსმენელს, ფართოდ იყენებს ენის ექსპრესიულ ძალას, შემკულია ენამკვირული კაზმულობითა და დამარწმუნებელია თავისი ღრმა გულწრფელობით.

ქვემოთ წარმოდგენილია „ქების“ ანალიზი.

იოანე საბანისძის „ქებაჲ“ მეორე პირის ფორმით წარმოებული ვრცელი ორატორული თხრობაა. ის აგებულია მეორე პირთან შესიტყვების წესით და განკუთვნილია მესამე პირისათვის — ორატორის მიერ მეორე პირისადმი ნათქვამი სიტყვა მიემართება მსმენელს. ამნაირად, ავტორის თხრობის გრამატიკული კონსტრუქცია მეორე პირში მეტყველებაა. „ქებაში“ ამ კონსტრუქციის გარეთაა მხოლოდ პირველი ფრაზა, რომელიც უშუალოდ მსმენელს მიემართება და შესავალს წარმოადგენს.

აი, ეს შესავალი:

„აწ მოვედით, ქრისტჱს-მორწმუნენო, და ვედრესასწაულობდეთ ჴსენებასა ახლისა ამის წმიდისა მოწამისასა, რომელი ყოველსა ამას სოფელსა ჩუენსა ქართლისასა მეოხად ჩუენდა ქრისტემან მოგუანიჭა, და სიხარულითა მრავლითა განვახუნეთ საუნჯენი გულთა და გონებათა ჩუენთანი და მხიარულითა პირითა და განმარტებულითა ენითა ვაქებდეთ კეთილად-მოღუაწებასა მისსა და ვიტყოდით“[2]...

შესავლის შემდეგ იწყება ძირითადი თემის თხრობა, რომლის ყოველი აზრობლივად დასრულებული ნაწილი იხსნება აბო ტფილელისადმი მიმართვით. ამ მიმართვების სტერეოტიპული ფორმებია: „სანატრელო მოწამეო“, „ყოვლად ქებულო ქრისტჱს მოწამეო“, „წმიდაო მოწამეო“. „ღუაწლის-მძლეო წმიდაო მოწამეო“ და სხვ. ყოველი მიმართვის ქვეშ ფართოდ გაშლილია მძაფრი ორატორული სტილით შესრულებული სურათი, რომელიც გვიხატავს ტფილელის დაუფასებელ ღვაწლს, ან მოწამებრივ სიკვდილს, ან წარმოადგენს მის ღირსეულ ხოტბას. სამიეე შემთხვევაში ორატორი მეტად მკვეთრ და კოლორიტულ სახეებს აყალიბებს და მათი ორგანული გაერთიანებით ქმნის წარუშლელ შთაბეჭდილებას. ეს სახეები შეფერილია ბიბლიური გადმოცემების მოტივებით და დამძიმებულია რელიგიური მითების დეტალებით, მაგრამ არსებითად ორიგინალური აზროვნებისა და თვითმყოფადი შემოქმედების შედეგს წარმოადგენენ.

---

[1] ქართული მწერლობის ძეგლები, გვ. 126—129.

[2] იქვე, გვ. 126.

აი, აბო ტფილელის მოწამებრივი სიკვდილის ამსახველი სურათი:

„შენ ქუეყანამან მსხვერპლად წმიდად და სათნოდ მიგიპყრა ღმერთსა, მას ზედა დაწუვითა პატიოსნისა გუამისა შენისაჲთა, რამეთუ გექმნა შენ, ვითარცა საკურთხეველი იგი აბელისი, ენუქისი, აბრაჰამისი და ელიაჲსი, რომელნი იგი მრგულიად დასაწუველთა მათ ტარიგთა შესწირვიდეს ღმრთისა, და კუალად ადგილი იგი სამსხვერპლოჲსა შენისაჲ ემსგავსა ბერვარსა აჰრონისსა და ზაქარიაჲსსა მღდელთასა, რამეთუ ნაკუერცხალსა მას ზედა ცეცხლისასა აღვიდოდა, ვითარცა სულნელებაჲ საკუმეველთაჲ, სულნელებაჲ ჴორცთა მაგათ შენთაჲ წინაშე უფლისა, წმიდასა მას წმიდათასა, ზეცისა საკურთხეველსა!“[1]

აი, აბო ტფილელის ხოტბა-დიდების გამომხატველი ადგილი:

„აწ ვინ-მე ღირსად გაქებდეს შენ, ჴეშმარიტად საქებელსა? მნებავს ქებად შენდა, ყოვლად-ქებულო ქრისტჱს მოწამეო, არამედ ვერ ვიკადრებ, რამეთუ უფროჲს გონებისა ჩემისა აღმაღლდა ქებაჲ სათნოებათა შენთაჲ. და კუალად მეშინის მე დადუმებად, რამეთუ სანატრელითა მით ქრისტჱს-მიერითა სიყუარულითა შემიყუარე მე, ვიდრე იყავ-ღა სოფელსა ამას შინა ჩუენსა. აწ ნუუკუე დაყენებითა ენისა ჩემისაჲთა ქებასა შენსა დაეყენოს ჩემ-თჳსცა მოღუაწებაჲ მეოხებისა შენისაჲ ქრისტჱს მიმართ! აწ შენ-მიერვე მოღებითა მადლისა მის ქრისტესისაჲთა, მსგავსად ძალისა ჩემისა, გაქებდე შენ, შუენიერებითა შემკულო უფლისა მიერ!“[2]

იოანე საბანისძის ორატორული ქმნილება შემკულია მოხდენილი ეპითეტებით. ზოგი მათგანი უერთდება საზღვრულ ცნებას და მასთან ერთად ქმნის კომპოზიტს. „ქებაში“ გამოყენებული ეპითეტი ხშირად დაშორებულია საზღვრულიდან ჩართული სიტყვით. მაგალითად, ასე: „სისხლი თჳსი ჴბიწოჲ“. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მსაზღვრელისა და საზღვრულის ადგილები აქ უცვლელი არაა — ხან პირველი უსწრებს მეორეს („სანატრელო მოწამეო“), ხან პირიქით („მტერმან ბოროტმან“).

იოანე საბანისძის მჟევრი სიტყვა დამშვენებულია მდიდრული შედარებებით. მაგალითად: „შენ უგუნურთა მათ შემწირველთა შენთა მახჳლითა და ცეცხლითა, უმეტჱს ალისა, განგაბრწყინვეს“; „შენ ნათესავთა შენთა უცხო და განგდებულ გყევეს, ხოლო ქრისტემან ისმაიტელთა შორის, ვითარცა ვარდი ეკალთა-გან, გამოგარჩია და მიგიპყრა თჳსსა მას ეკლესიასა“; „შენ, ველური ეგე ზეთის ხილი,

---

[1] ქართული მჟევრმეტყველება, გვ. 129.

[2] იქვე, გვ. 126—127.

მოგიღო ქრისტემან და მტილსა მას შინა თჳსსა სამკჳდრებელსა ნაყოფად კურთხევისად დაგნერგა“.

ეს უკანასკნელი კონტექსტი შედარებასთან ერთად მეტაფორასაც შეიცავს: „მტილსა მას შინა თჳსსა სამკჳდრებელსა ნაყოფად კურთხევისად დაგნერგა“ — და მომდევნო ფრაზა — „და ნაყოფითა მით სარწმუნოებისა შენისაჲთა ახარა ეკლესიასა“ მეტაფორული სახეის ნიმუშებია. ასეთივე სახეის საუკეთესო ნიმუშია აგრეთვე შემდეგი ადგილი: „მტერჲან ბოროტმან აღიტაცა და ცხოვარი იგი ქრისტჱსი ნამგლეე იქნა; რამეთუ ბწყემსსა მას კეთილსა განეშორა და არგანი იგი ქრისტჱს ძლიერებისაჲ განაგდო ჴელთაგან თჳსთა, ამისთჳსცა იძლია და განვარდა სამწყსოჲსაგან პირმეტყუელთა მათ ცხოვართაჲსა“[1].

სიტყვაში ერთგან გამოყენებულია გრადაციის რიტორიკული ხერხი: „ვითარმე გაქებდე შენ, ღუაწლის-მძლეო წმიდაო მოწაძეო? რამეთუ შენ, ახალი ეგე ქრისტჱს მორწმუნჱ, მოძღვარ ჩუენდა იქმენ, სწაელულნი უფროჲს გულისხმიერ ჰყვენ, შერყეულნი უფროჲს განამტკიცენ, განმტკიცებულნი განაძხიარულენ, წარძართნი წადიერ ჰყვენ ქრისტჱს მონებად“[2].

ხსენებულ მხატვრულ ხერხებთან ერთად „ქების“ ექსპრესიულ ძალას ქმნიან რიტორიკული შეკითხვები და ძახილის წინადადებანი. ერთხელ ამავე დანიშნულებით ერთადაა გამოყენებული შორისდებული და განმეორება: „ჲ უგუნურებაჲ და უმეტჱს უგუნურებაჲ იგი მათი, რამეთუ რომელ-იგი პირველ არავინ გიცოდა, ვითარძედ ვინ ხარ, ანუ რომლისა ნათესავისაგან, ანუ რომლისა ერისაგან, ანუ რომლითა შჯულითა სცხომდებოდე, აწ ესერა უნებლებით წარმოგაჩინეს საცნაურად ქრისტჱს აღმსარებელად, და მარტჱლად ყოველთა შეგისწაელეს“[3].

განსაკუთრებით ხშირად მიმართავს ორატორი ძახილის ფრაზებს. მათი სიმრავლე ქმნის სიტყვის რიტორიკულ სიმაღლეებს და ხელს უწყობს მეტყველების მაღალფარდოვნებას. ეს სიმაღლეები აქ თითქმის თანაბარია მთელი „ქების“ განმწვრივ და მათ შორის არ შეინიშნება ექსპრესიული მწვერვალი. ასეთ თანაზომიერ შეშაღლებულ დონეზე მიმდინარეობს მთელი მეტყველება, რომელიც აქა-იქ იერთებს განსხვავებულ ნაკადებს, მაგრამ ამით არ იცვლის თავის ძირითად ელფერს და შეუფერხებლად აღწევს მსმენელის გულისყურამდე.

ასეთია იოანე საბანისძის ორატორული მეტყველება.

---

[1] ქართული მწერლობა, ტ. 127—128.

[2] იქვე, ტ. 129.

[3] იქვე, ტ. 128—129.

7. იოანე ბოლნელი

იოანე ბოლნელი დიდი ქართველი მქადაგებელია. მის სახელთან არის დაკავშირებული ჩვენი ორიგინალური ჰომილეტიკის აყვავება X საუკუნის მეორე ნახევარში. ის მოღვაწეობდა ბოლნისის კათედრაზე. აქ საქართველოს გაერთიანების წინა პერიოდში, როცა იწრთობოდა მძლავრი ეროვნული სულისკვეთება, გაისმა ბოლნელის მგზნებარე სიტყვა, რასაც მცირე მნიშვნელობა როდი ექნებოდა ხალხის პატრიოტული აღზრდისათვის.

იოანე ბოლნელის სამქადაგებლო შემოქმედება სახარების ტექსტის ამა თუ იმ ადგილის განმარტებას წარმოადგენს. ეგზეგეტიკური ხასიათის მასალა აქ მოქცეულია ორატორულ ფორმაში. ორატორი მჭევრი სიტყვით გადმოგვცემს ბიბლიური ამბების აზრსა და მნიშვნელობას. მისი მეტყველება უმთავრესად აგებულია ახალი აღთქმის თემებზე, რომელთა რელიგიურ-მისტიკური არსი ზეპირ სიტყვაში შეფერილია მორალური იერით და გამოხატულია ალეგორიული ხერხით. ეს არის იოანე ბოლნელის ორატორული ხელოვნების ძირითადი გზა. ამით აღწევს ის მასალის მხატვრულ გარდათქმასა და იდეურ გაღრმავებას.

იოანე ბოლნელის ქადაგებანი განკუთვნილია სხვადასხვა კვირიაკისათვის. ყოველი ქადაგების დანიშნულება განსაზღვრულია; თითოეულ მოძღვრებას საკუთარი საგანი, ადგილი და მიზანი გააჩნია. ერთხელ აღბეჭდილი სიტყვა, უნდა ვიფიქროთ, შემდეგ ხშირად მეორდებოდა, მაგრამ ყოველთვის შესაფერის ვითარებაში. ასეთ ვითარებას კვირიაკეთა დღესასწაულები მიუთითებდა.

ასე გამხდარა იოანე ბოლნელის ჰომილეტიკური ძეგლები ღვთისმსახურების სიტყვიერ შემადგენლად და ცნობილი საეკლესიო მქადაგებლების — იოანე ოქროპირის, ბასილ კესარიელის, გრიგოლ ნაზიანზელისა და სხვათა სიტყვების მსგავსად მოსულა ჩვენამდე, როგორც ქრისტიანული მქადაგებლობის რჩეული ნიმუშები.

იოანე ბოლნელის გადარჩენილი ორატორული მემკვიდრეობა დიდი არ არის. ჩვენამდე მოღწეულია მისი 13 ქადაგება. ეს ქადაგებანი, და შესაძლოა ორატორის სხვა ძეგლებიც, თავიდანვე ცნობილი ყოფილა ჩვენში. ყოველ შემთხვევაში, XVIII საუკუნის მქადაგებლები

უხვად სარგებლობენ იოანე ბოლნელის მხატვრული სახეებით. ანტონ პირველი კი შთაგონებული იამბიკოთი ამკობს მას[1].

იოანე ბოლნელის ზეპირი მეტყველება მკაფიო, მხატვრული და კეთილხმოვანია. მისი ენა ნათელი, დახვეწილი და გამართულია. ის მეტყველებს გაუცვეთელი სიტყვებით, მარტივი ფრაზებითა და სადა სტილით. ორატორი თავის აზრებს გადმოგვცემს კაზმული ფორმით, საღი და ცოცხალი ელფერით, ლამაზად, მწყობრად და ჰარმონიულად. მისი სიტყვა უშუალოდ მსმენელს მიემართება: „აწ მოვედით, საყუარელნო, და ისმინეთ სიტყუათა ჩემთაჲ, რამეთუ აჰა ესერა მოვიდა და მოიწია ჟამი იგი შეწყნარებისა ჩუენისაჲ“[2]. ასე მიმართავს ორატორი მსმენელს. თითქმის ყოველი ქადაგების დასაწყისში ისმის მსმენელთა გულისმომგები შესიტყვება, მაგალითად: „სიწმიდისა თანა ზრდილნო, და სიმართლისა მოწაფენო, და ქრისტეს საიდუმლოთა ზიარნო! ყუენით გულნი თქუენნი ახალ და სულნი, და ისმინეთ სიტყუათა ამით, რომელთა მე მოგითხრობ თქუენ: ეკლოვანი ქუეყანაჲ კეთილად რაჲ მოიქმნის, ნაყოფიერად გარდაიქცის“[3].

ასეთი მიმართვებით მქადაგებელი თავიდანვე მტკიცედ იმორჩილებს მსმენელთა გულისყურს. ზეგავლენის წრეში მოქცეული მრევლის სულისკვეთება თანდათანობით ერთიანდება. რიტორული ფიგურებით გამოთქმული აზრები, მეტყველების რიტმული დინება და კეთილხმოვანი ბგერითი ჰარმონია საბოლოოდ იმორჩილებენ მსმენელის ცნობიერებასა და ორატორის ნება-სურვილით წარმართავენ მას. ასეთ სურათს გვაძლევს ბოლნელის ორატორული მემკვიდრეობის შემოქმედებითი პროცესის წვდომა. ქვემოთ იგივე პროცესი უფრო კონკრეტულადაა გათვალისწინებული.

მეტყველების ზეგავლენის ძალას აქ უმთავრესად ხატოვანი აზროვნება ქმნის. ამ უკანასკნელს უზრუნველყოფს უხვად გამოყენებული რიტორული ხერხები. მათ შორის ბოლნელი უფრო ხშირად მიმართავს ანაფორულ წყობას—ფრაზების დასაწყისის განმეორებას. ის რიტმული თანმიმდევრობით იმეორებს ფრაზის პირველ სიტყვას, ან სიტყვების წყებას, და ამა თუ იმ მიმართულებით აღრმავებს აზრის ემოციურ კვალს. ეს კვალი ან ფრაზის განმეორებული ნაწილიდან რჩება, ან მისი მომდევნო სიტყვების შედეგია. ორივე შემთხვევაში ყურადღება მიმართულია განსაზღვრული აზრისაკენ.

ჩვეულებრივად, როცა ორატორი ერთ სიტყვას იმეორებს—ყურადღება ამ სიტყვისაკენ იხრება, ხოლო როცა რამდენიმე სიტყვა მეორ-

[1] ანტონ პირველი, წყობილსიტყვაობა, სტრფ. 671, 672.

[2] იოანე ბოლნელი, ქადაგებანი, გვ. 6.

[3] იქვე, გვ. 17.

დება — ყურადღების ცენტრი მომდევნო სიტყვების აზრზე გადადის.

პირველი შემთხვევის მაგალითი: „მარხვაჲ გჳრგჳნი წმიდათა მოწამეთაჲ; მარხვამან ჩჳლნი განამტკიცნის; მარხვამან ჴაბუკნი განაბრძნვნის და მოხუცებულნი განაძლიერნის; მარხვამან განამართლნის შეცოდებულნი და აღმართნის დაცემულნი; მარხვაჲ წინამძღუარი ქალწულებისაჲ; მარხვაჲ სიწმიდე არს ქორწინებულთაჲ: მარხვაჲ გზაჲ არს სასუფეველისაჲ; მარხვაჲ კიბე არს ზეცად აღმყვანებელი“[1].

მეორე შემთხვევის მაგალითი: „ჩუენდა ჯერ არს განღჳძებად ძილისაგან მსწრაფლ; ჩუენდა ჯერ არს ზე აღგდგომად გულსმოდგინედ; ჩუენდა ჯერ არს წარმართებაჲ მჴურვალედ; ჩუენდა ჯერ არს მიგებებაჲ მისა სიხარულით; ჩუენდა ჯერ არს თაყუანის ცემაჲ მისა სიწმიდით; ჩუენდა ჯერ არს მისა მუჴლთ მოდრეკაჲ სინანულით; ჩუენდა ჯერ არს მისა შეევედრებაჲ ცრემლით; ჩუენდა ჯერ არს მისა აღსაარებაჲ...“[2].

იოანე ბოლნელის მეტყველებაში გვხვდება ანაფორული წყობის სხვა სახეობაც — ქვეწყობილ წინადადებათა შორის დასაკავშირებელი სიტყვების განმეორება, მაგალითად: „იყო შიმშილი ძლიერი მას სოფელსა, რამეთუ სადა მეცნიერებით იფქლი არა იშრომებიან — მუნ შიმშილი ძლიერი არნ; სადა სიწჳდისა ტეჳანი არა დაიწნიხებინ — მუნ შიმშილი ძლიერი არნ; სადა ურჩულოჲბაჲ ფრიად არს — მუნ სიკეთჱ არად სარგებელ არნ; სადა იეფობა ბოროტისაჲ — მუნ მოკლებაჲ კეთილისაჲ“[3].

იოანე ბოლნელის მეტყველების ერთი სამკაული შედარებაა. ორატორი მოხდენილად იყენებს მოვლენათა მსგავსებას შედარების საფუძვლად. ეს მსგავსება ხშირად მეტად შორეულია. ამ გზით ქმნის ორატორი უჩვეულო შედარების შემცველ კონტექსტებს და მათი კოლორიტული შინაარსით იწვევს მოულოდნელი აზრის ეფექტს. აქა-იქ რთული შესიტყვების ფარგლებში რამდენიმე შედარებაა ჩართული. ასეა უმთავრესად პერიოდულ წყობაში, მაგალითად: „რამეთუ მუცელი მაძღარი, ვითარცა ნაჲი დამძიმებული ადვილად დაინთქის ღელვათაგან, ხოლო ვითარცა ორბი უზმაჲ მეყსეულად აღფრიდნის ჰაერთა ზედა და განერის იგი მონადირეთაგან, — ეგრევე სახედ მუცელი უზმაჲ და ცარიელი ადვილად განერის საცთურისაგან ეშმაკისა“[4].

ასევე ოსტატურად ფლობს ორატორი მოკლე შედარების ხერხს — მეტაფორას. აი, მაგალითად, მეტაფორის დახმარებით შელამაზე-

[1] იოანე ბოლნელი, ქადაგებანი, გვ. 5.
[2] იქვე, გვ. 7,
[3] იქვე, გვ. 35.
[4] იქვე, გვ. 5.

ბული სტილი: „ტიროდა ტკივნეულად, ცრემლოოდა უწყინოდ, ნაკადულნი წყალთანი გარდამოდიოდეს თუალთაგან მისთა“[1]. ან: „ხოლო აწ ვიტყჳ თქუენდა მიმართ, საყუარელნო, რაჲთა შევიმოსოთ ესე ვითარი სარწმუნოებაჲ და გულსმოდგინებაჲ“[2]. ან კიდევ: „აწ მოვედით, საყუარელნო, შევიდეთ იწროჲსა მისგან ბჭისა, სადა იგი მცირედნი შეველენან, და ვჰბაძვიდეთ მათ, რაჲთა შევიდეთ ჩუენცა მათ თანავე, და ნუმცა ვინ იპოვების ჩუენგანი, საყუარელნო, ფართოსა მას ბჭესა, სადა-იგი მრავალნი შეველენან“[3].

იოანე ბოლნელის ენა მდიდარია ზმნებით. ორატორი მოვლენებს მოქმედებაში ხატავს. ეს ცოცხალი ელფერით მოსავს მეტყველებას. ამ სიცოცხლის წყარო ხშირად ზმნური სინონიმები და მათი რიტმული წყობაა. მაგალითად, უწმინდური სულის მოქმედება ერთგან ასეა გადმოცემული: „განკიცხა, განაქიქა, განბასრა და დააგდო იგი ქუეყანასა და წარვიდა“[4].

იოანე ბოლნელის ქადაგებანი უხვად შეიცავს ბიბლიურ გამოთქმებს, იგავებსა და სახეებს. ზოგან მკვეთრად იგრძნობა მათი სიჭარბე. აქა-იქ ისინი თავისთავადი მნიშვნელობით გვევლინებიან—უფრო ხშირად საილუსტრაციო მასალას წარმოადგენენ.

იოანე ბოლნელის ორატორული ხელოვნების ნიშადობლივ მხარეებს აერთიანებს ქადაგება „ღჳნის-მსუმელთა და მომთრევალეთათჳს“[5]. ეს ქმნილება მჭევრად გამართული საჯარო სიტყვის ნიმუშია. ყურადღებას იქცევს მისი მტკიცე ლოგიკური წყობა, ბუნებრივი, სადა კაზმულობა და მდიდარი ენობრივი ფორმა.

ქადაგების დასაწყისში გამოთქმულია ამოსავალი დებულება: „მომთრევალეთა სასუფეველი ღრმთისაჲ ვერ დაიმკჳდრონ“, ამ იდეური ხასიათის გამონათქვამის დასურათებას წარმოადგენს მთელი სიტყვა. ამისთვის აქ მოხმობილია ზეპირი სიტყვაკაზმულობის ბევრი ლოგიკური და მხატვრული ფაქტორი, უწინარეს ყოვლისა ორატორი გულისმომგები მიმართვით ისაკუთრებს მსმენელთა კეთილ განწყობილებას. „ნუ დაითრევები ღჳნითა, რომლისაგან არს სიბილწე, რამეთუ ტაძარნი ხართ ღმრთისანი და სული წმიდაჲ დამკჳდრებულ არს თქუენ შორის“[6]. აქ ადამიანი მიჩნეულია ღვთის ტაძრად, ხოლო ეს უკანასკნელი — სულიწმიდის სავანედ. ამ მოსაზრებას ეყრდნობა შემდეგი რიტორული შეკითხვა: „უკუეთუ აწ ტაძარი იგი და საყო-

[1] იოანე ბოლნელი, ქადაგებანი, გვ. 13.
[2] იქვე, გვ. 15.
[3] იქვე, გვ. 17.
[4] იქვე, გვ. 61.
[5] ქართული მწერლობა, გვ. 140—142.
[6] იქვე, გვ. 140.

ფელი სულისა წმიდისაჲ ჰყოთ საყოფელ ღუნისა და სიმთრვალისა, რაჲსათჳს ჴარსა და შემავალსა სულსა წმიდასა დაუღობავ ღუნითა და სიმთრვალითა?“ ამას მოსდევს მხატვრული დასურათება. ორატორი მეტყველებას მოსავს ხატოვანი ფორმით. ამ ფორმას ქმნის მეტაფორული სახეა. აქ კაზმული სახით ნაჩვენებია სულიწმიდის „საყოფელი... საესე ვითარცა თხიერი“, საიდანაც „იელტოდის სული წმიდაჲ და არა დაადგრეს, რამეთუ ვერ პოოს მუნ ფართოებაჲ,“ ვინაიდან „ფუტკარიცა საყოფელსა... მას წმიდასა და ფართოებასა ეძიებს... და რაჟამს არა პოვის სადგური იგი, ვითარცა მას ჰნებავნ, მოიძულვის ადგილი იგი და მოიძაგის ნაშრომიცა იგი“[1].

შემდეგ გახსნილია ამ მეტაფორული სურათის აზრი და წარმოდგენილია ვრცელი დარიგება, რომელიც იწყება ასე: „ხოლო აწ შენ, საყუარელო, ისმინე ჩემი და გასწაო შენ“... ეს სწავლება შეადგენს ქადაგების დიდ ნაწილს. აქ ნათლად ნაჩვენებია „ღუნის-მსუმელთა და მომთრვალეთა“ მიუღებელი ქცევა და ზნეობრივი მანკიერება. გზადაგზა ორატორი ოსტატურად იშველიებს მორალურ სენტენციებს, შემაგონებელ ფაქტებს, მხატვრულ შედარებებსა და ბიბლიურ ლეგენდებს. ამ უკანასკნელთა შინაარსი გამოყენებულია სიტყვის დასკვნით ნაწილში, მსმენელთა საბოლოო დარწმუნების მიზნით. აქ ორატორი ცოცხლად გადმოგვცემს ნოეს, სამსონის, იოანე ნათლისმცემლისა და სხვათა საბედისწერო თავგადასავალს, რაც ბიბლიური თხრობის თანახმად ღვინოს უკავშირდება, და დასასრულ, მოითხოვს „ღუნის მსუმელთაგან“ „მომთრვალეობის“ უკუგდებას.

თავისი თემატური ხასიათითა და იდეური შეფერილობით იოანე ბოლნელის ქადაგება „ღუნის მსუმელთა და მომთრვალეთათჳს“ საერო შინაარსის ორატორული ნაწარმოებია. ის შედარებით თავისუფალია წმინდა მისტიკურ-დოგმატიკური მოტივებისაგან. ეს ერთადერთი საერო შინაარსის ქმნილება შემოუნახავს ბოლნელის მემკვიდრეობას. უნდა ვიფიქროთ, რომ მქადაგებელს კიდევ ექნებოდა ამდაგვარი ძეგლები, მაგრამ მათ ჩვენამდე არ მოუღწევია, ვინაიდან დაცვისა და გამოყენების მიზნით საეკლესიო ქრესტომათია-გულანებში მხოლოდ სასულიერო ქადაგებანი შეჰქონდათ.

იოანე ბოლნელი ქართული სასულიერო მწერლობის დიდი წარმომადგენელია. ის ჩვენი ორიგინალური ჰომილეტიკის გამოჩენილი ოსტატი და მგზნებარე შემოქმედია. მისი ორატორული მოღვაწეობა თავის დროზე განსაზღვრულ პროგრესულ ხასიათს ატარებდა, ხოლო დღეს ისტორიული მნიშვნელობით იქცევს ჩვენს ყურადღებას.

---

[1] ქართული მწერლობა, გვ. 140.

8. გიორგი მთაწმიდელი

ათონის ივერიის სალიტერატურო სკოლის გამოჩენილი წარმომადგენელი, XI საუკუნის მწერალი და მეცნიერი გიორგი მთაწმიდელი, ზეპირი სიტყვის დახელოვნებული ოსტატიც იყო.

გიორგის ორატორული ძეგლები ჩვენამდე მოღწეული არ არის, მაგრამ მისი სიტყვების ფრაგმენტები და მათი შემხები ცნობები დაცულია გიორგი მცირის (ხუცესმონაზვნის) თხზულებაში „ცხორებაჲ და მოქალაქობაჲ წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა გიორგი მთაწმიდელისაჲ“.

ამავე ნაწარმოებში ბევრი ბიოგრაფიული ფაქტით აღბეჭდილია გიორგი მთაწმიდელის ორატორული პროფილი. ჩვენთვის ამჟამად საყურადღებოა დიდი ათონელის ზეპირი მეტყველების შემოქმედებითი პროცესი, რასაც საკმაო სისრულით გვისურათებს ხსენებულ წყაროში შემონახული მასალა. ამ მხრივ უფრო საინტერესოა გიორგი მთაწმიდელის საჯარო გამოსვლები და პაექრობის დროს წარმოთქმული სიტყვების ფრაგმენტები; განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მთაწმიდელის მონაწილეობა ანტიოქიის საეკლესიო კრებაზე გამართულ პაექრობაში.

ეს პაექრობა, პირველწყაროს კვალდაკვალ, ნაჩვენებია ქვემოთ.

ქართული და ბერძნული წყაროების ჩვენებით დასტურდება, რომ IX საუკუნის პირველი ნახევრიდან დასავლეთ საქართველოს ეკლესია გამოეყო კონსტანტინეპოლის პატრიარქატს და შეუერთდა აღმოსავლეთ საქართველოს (მცხეთის) საკათალიკოსოს. ეს დიდი მნიშვნელობის ეროვნული აქტი პირდაპირი შედეგი იყო დასავლეთ საქართველოს პოლიტიკური დამოუკიდებლობისა, რაც იმავე პერიოდში იქნა მოპოვებული[1]. ამიერიდან საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესია ძთლიანად ჩაშოშორდა საბერძნეთის სასულიერო ხელისუფლებას და გახდა მძლავრი ავტოკეფალიური კერა ქრისტიანულ ახლო აღმოსავლეთში.

[1] პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, გვ. 231.

ჩვენი ეკლესიის ასეთ წარმატებას ვერ ურიგდებოდა საბერძნეთის სასულიერო ცენტრი, რომელიც რამდენიმე საპატრიარქოს აერთიანებდა და მსოფლიო მართლმადიდებლობის წინამძოლობას იჩემებდა. ამით აიხსნება ის ხანგრძლივი ბრძოლა, რასაც საბერძნეთის სასულიერო ხელისუფლება აწარმოებდა ქართული ავტოკეფალიის წინააღმდეგ ჩვენი ეკლესიის დამოუკიდებლობის მოსასპობად და ბერძნულ საპატრიარქოში შესაყვანად.

ამ ბრძოლის ერთ გამოვლენას ადგილი ჰქონდა ანტიოქიის 1057 წლის საეკლესიო კრებაზე, რომელსაც მეთაურობდა პატრიარქი თევდოსი. ამ კრების დღის წესრიგში იდგა ქართული ავტოკეფალიის საკითხი. ანტიოქიის კრებას ესწრებოდა და საქართველოს ინტერესებს იცავდა გიორგი მთაწმიდელი.

ხსენებული საკითხის დასმა და მწვავე მსჯელობის საგნად ქცევა იმას გამოუწვევია, რომ „კაცთა ვიეთმე მრავალ-ღონეთა და მანჭანათა მოაჭსენეს და აუწყეს პატრეაქსა, ვითარმედ: „ვითარ ესე, მეუფეო, რომელ ეკლესიანი და მღდელთმოძღუარნი ქართლისანი არა რომლისა პატრიაქისა ჴელმწიფებასა ქუეშე არიან და ყოველნი საეკლესიონი წესნი მათ მიერ განეგებიან, და თჳთ დაისუმენ კათალიკოსთა და ებისკოპოსთა“[1]. ცბიერ და მავნე ადამიანებს ეს საჩივარი იმით „დაუსაბუთებიათ“, რომ „ათორმეტთა მოციქულთაგანი არავინ მისრულ არს ქუეყანასა მათსა, და ჯერ-არს, რათა ქალაქსა ამას ღმრთისასა და საყდარსა მოციქულთა თავისასა დაემორჩილნენ და ამისსა ჴელმწიფებასა ქუეშე იყვნენ, რამეთუ ნათესავი არს უმეცარი და სამწყსოჲ მცირე“[2],—და ამიტომ მოუთხოვიათ: „ჯერ-არს, რათა ჴელმწიფებასა ქუეშე ანტიოქელის პატრეაქისასა იმწყსებოდინ, და აქა იკურთხეოდის კათალიკოზი მათი, და ვიყვნეთ ჩუენ ერთ სამწყსო და ერთ მწყემს!“[3]

ასე მწვავედ მდგარა ქართული ავტოკეფალიის საკითხი ანტიოქიის საეკლესიო კრებაზე. ამით აიხსნება, რომ პატრიარქ თევდოსის. ყოველგვარი შემოვლილი გზის გარეშე უთქვამს გიორგი მთაწმიდელისათვის: „შენ, ჲ ნეტარო მამაო, დაღაცათუ ნათესავით ქართველი ხარ, ხოლო სწავლულებითა და მეცნიერებითა ჩუენივე სწორი ხარ, ჯერ-არს, რომელ ეკლესიანი და მღდელთ-მოძღუარნი თქუენნი ჴელსა ქუეშე სამოციქულოჲსა ამის საყდრისასა იმწყსებოდინ, და ჰმართებსცა ესრეთ მიზეზითა მახლობელობისაჲთა, და ესე შენგან

---

[1] ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I, გვ. 202.

[2] იქვე.

[3] იქვე.

შესაძლებელ არს, რამეთუ უწყი, ვითარმედ გისმენს მეფე თქუენი, უკუეთუ მიუწერო და აუწყო უმჯობესი, ხოლო უკუეთუ არა ისმინოს, მიუწერო ოთხთავე პატრიაქთა საყდრის-მოდგამთა ჩუენთა და ვაუწყო თჳთრჩულობაჲ და ქედფიცხლობაჲ ნათესავისა თქუენისაჲ, და ვითარმედ, თჳნიერ სამოციქულოჲსა კანონისა თჳთ იმწყსებიან და მოციქულთაგანი არავინ მისრულ არს ქუეყანასა მათსა და ესრეთ მრავალსა ღუაწლსა შეგთხინე, ვიდრე არა თჳთ მეფე თქუენი წინაშე ჩუენსა მოვიდეს და ჴელმწიფებასა ჩუენსა დაემორჩილოს![1]“

სახელოვანი მეცნიერი და ღირსეული მამულიშვილი გიორგი მთაწმიდელი დიდი ცოდნით, ურყევი რწმენითა და მტკიცე ნებისყოფით შეხვედრია პატრიარქის უღირს კადნიერებას და თავისი პასუხი მაღალი ორატორული ფორმით გამოუხატავს. მას მშვიდად და წყნარად უთქვამს პატრიარქისათვის: „ჭ წმიდაო მეუფეო, რაჲსათჳს-მე ესრეთ ადვილად ჴელჰყავ დიდისა ამის და მაღლისა საქმისა მოგონებად და აღსრულებად? და ვინ-მე არიან უგუნურნი იგი განმზრახნი შენნი, ანუ რად ესრეთ უგუნურად შეგირაცხიეს ნათესავი ქართველთაჲ, წრფელი და უმანკოჲ? აჰა ესერა, ვარ მე უნარჩევესი და უმდაბლესი ყოველთა ძმათა ჩემთაჲ, მე მოგცე მათ ყოველთა წილ პასუხი, მოღებად ეც წიგნი „მიმოსლვაჲ ანდრეა მოციქულისაჲ“ და მუნით გეუწყოს საძიებელი თქუენი“[2].

როგორც ვხედავთ, ფორმით ბრწყინვალე და ლოგიკურად შეუვალი გამონათქვამი გიორგი მთაწმიდელს საკმარისად არ ჩაუთველია და თავისი აზრის დასამტკიცებლად ფაქტობრივი მასალისათვის მიუმართავს. მას მღუთხოვია წერილობითი დოკუმენტი, წიგნი „მიმოსლვაჲ ანდრეა მოციქულისაჲ“, და როდესაც ის პატრიარქის ბრძანებით მისთვის მიუტანიათ, გიორგის წაუკითხავს საჭირო ადგილი და ასე უთქვამს თევდოსისათვის: „წმიდაო მეუფეო, შენ იტყჳ, ვითარმედ თავისა მის მოციქულთაჲსა პეტრეს საყდარსა ვზიო, ხოლო ჩუენ პირველწოდებულისა და ძმისა თჳსისა მწოდებელისა ნაწილნი ვართ და სამწყსონი, და მის მიერ მოქცეულნი და განათლებულნი, და ერთი წმიდათა ათორმეტთა მოციქულთაგანი — სიმონს ვიტყჳ კანანელსა — ქუეყანასა ჩუენსა დამარხულ არს აფხაზეთს, რომელსა ნიკოფსი ეწოდების. ამათ წმიდათა მოციქულთა განათლებულნი ვართ. და ვინაჲთგან ერთი ღმერთი გჳცნობიეს, არღარა უარ-გჳყოფიეს, და არცა ოდეს წვალებისა მიმართ მიდრეკილ არს ნათესავი ჩუენი, და ყოველთა უვარის-მყოფელთა და მწვალებელთა

[1] ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I, გვ. 202.

[2] იქვე.

შევაჩუენებთ და დავსწყევთ. ამას საფუძველსა ზედა მართლ-მადიდებლობისასა და მცნებათა და ქადაგებათა ზედა წმიდათა მათ მოციქულთასა მტკიცე ვართ. აწ, უკუეთუ ჯერ-არს, დაგემორჩილნეთ!"[1]

ანტიოქიის პატრიარქისა და მისი მომხრეების საპასუხოდ გიორგი მთაწმიდელმა საქართველო დაასახელა, როგორც ანდრია პირველწოდებულის წილხდომილი ქვეყანა, და დასძინა, რომ ქრისტეს ერთი მოციქული სიმონ კანანელი ჩვენშია დამარხულიო. ამით დიდმა პატრიოტმა ხმა გაუკმიდა საქართველოს მტრებს და თავისი ძალმოსილი მოსაზრება შემდეგი ორატორული კლაუზულით დაამთავრა: „წმიდაო მეუფეო, შუენის ესრეთ, რათა წოდებული იგი მწოდებელსა მას დაემორჩილოს, რამეთუ პეტრესი ჯერ-არს, რათა დაემორჩილოს მწოდებელსა თჳსსა და ძმასა ანდრეას, და რათა თქუენ ჩვენ დაგვემორჩილნეთ! წმიდაო მეუფეო, რომელნი-ეგე ჩუენ უმეცრად და სუბუქად გუხედავთ და თავნი თქუენნი ბრძენ და მძიმე გიყოფიან; იყო ჟამი, რომელ ყოველსა საბერძნეთსა შინა მართლ-მადიდებლობაჲ არა იპოებოდა. და იოანე, გუთელ ეპისკოპოსი, მცხეთას იკურთხა ეპისკოპოსად, ვითარცა სწერია დიდსა სჳნაქსარსა"[2].

გიორგი მთაწმიდელის საჯარო სიტყვამ, რომლის ფრაგმენტებს გაეცანით ზემოთ, განცვიფრებაში მოიყვანა კრების მონაწილენი, „რამეთუ, ვითარცა მდინარე დაუწყუედელად, ესრეთ დიოდეს სიტყუანი წმიდათა წერილთანი პირით მისით"[3], და დასასრულ, შემდეგი ათქმევინა ანტიოქიის პატრიარქს: „ხედავთ ბერსა ამას, ვითარ მარტოჲ ესოდენსა სიმრავლესა გუერევის? ვეკრძალნეთ, ნუუკუე წინააღმდგომი შეგუემთხჳოს და არა ხოლო თუ სიტყვით, არამედ საქმით გუამხილოს ძლეულებაჲ ჩუენი და დაგჳმრწემნეს და დაგჳმრემლნეს!"[4]

ასეთ ბრწყინვალე წარმატებას აღწევს გიორგი მთაწმიდელი თავისი ბრძნული, ლოგიკური და ლაშაზი მჭევრმეტყველებით.

ასე გვიხატავს ღირსეული მოწაფე გიორგი მცირე სახელოვანი მასწავლებლის გიორგი მთაწმიდელის ორატორულ პორტრეტს.

---

[1] ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I, გვ 202—203.
[2] იქვე, გვ. 203.
[3] იქვე.
[4] იქვე.

9. გიორგი მცირე

გიორგი მცირე (ხუცესმონაზონი) XI საუკუნის ქართველი მწერალი და ორატორია. ის მოღვაწეობდა ათოსის ივერიის მონასტერში, სადაც წარმატებით აგრძელებდა ექვთიმე და გიორგი მთაწმიდელების ძიერ დახერგილ ლიტერატურულ ტრადიციებს.

1066—1068 წლებში გიორგი მცირეს ვრცლად აუწერია თავისი მასწავლებლის გიორგი მთაწმიდელის ცხოვრება და მოღვაწეობა. მისი შესანიშნავი თხზულება „ცხორებაჲ და მოქალაქობაჲ წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა გიორგი მთაწმიდელისაჲ“ მხატვრულად მოგვითხრობს დიდი ათონელის შემოქმედებით ბიოგრაფიას და ფართოდ გვისურათებს იმდროინდელი საქართველოს ისტორიულ მოვლენებს.

ამ ლიტერატურული წყაროთი ჩვენთვის ცნობილია, რომ გიორგი მთაწმიდელის გარდაცვალების გამო გიორგი მცირეს წარმოუთქვამს სიტყვა, რომელიც შემდეგ შეუტანია თავისივე ნაწარმოებში და წერილობით დაუცავს მთაძმაელობისათვის. როგორც იქვე ნათქვამია, სიტყვა თავის დროზე წარმოთქმული ყოფილა გიორგი მთაწმიდელის მოწაფეთა წინაშე. ავტორი წერს: „მე ესრეთ ვიტყოდი ძმათა ძიმართ ჩემთა და ყრმათა მოძღურისა ჩემისათა“[1]. აძას მოსდევს სიტყვის ტექსტი, რომლის შემდეგ გრძელდება ბიოგრაფიის თხრობა.

გიორგი მცირე, როგორც თვითონ წერს, „თუალით მხილველ... ჴელით მსახურ... და ყურითა მომსმენელი“ ყოფილა გიორგი მთაწმიდელისა, რომლის სიტყვა და საქმე, „ვითარცა ჯაჭვი ოქროსა ერთობით შეთხზული“, სრულად აუსახავს, „რათა ჩუენ მოვსენებითა შრომათა და ღუაწლთა მათთათა დღითი დღე ფრთოვან ვიქნებოდეთ ბაძვად სათხოებათა“.

ამ კეთილი განზრახვით წამოწყებული საქმე გიორგის ბრწყინვალედ შეუსრულებია — მას შეუქმნია დიდებული დოკუმენტური მოთხრობა, რომელიც მრავალმხრივ საინტერესო ქმნილებაა ჩვენი

[1] ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I, გვ. 211.

კულტურის ისტორიაში. ამჟამად ის ჩვენთვის საყურადღებოა, როგორც ავტორის ორატორული სიტყვის შემცველი.

საერთოდ, გიორგი მცირის თხზულების კაზმული ფორმა და, კერძოდ, ხსენებული სიტყვის ორატორული სტილი შენიშნული და შეფასებულია ქართულ მეცნიერებაში. ნაწარმოების მხატვრულ ღირსებასთან დაკავშირებით ი. ჯავახიშვილი წერს: „მთელი თხზულება მშვენიერის, გულწრფელის კილოთი არის დაწერილი და ღრმა გრძნობითა და სიყვარულით არის გამსჭვალული. ავტორის პირადი გრძნობა, რასაკვირველია, განსაკუთრებით იქ ძლიერდება, სადაც იგი თავისი დიდებული მოძღვრის და საქართველოს დაუღალავი მოღვაწის გიორგი მთაწმიდელის უკანასკნელ წუთებსა და მიცვალებას გვიხატავს“[1]. საკუთრივ მწერლის ენის შესახებ კ. კეკელიძე შემდეგს აღნიშნავს: „ნაწარმოების ენა მეტად მარტივი და მასთან მომხიბლავია, განსაკუთრებით გიორგის გარდაცვალების აღწერისას ის პირდაპირ შედევრს წარმოადგენს“[2].

გიორგი მცირის სამგლოვიარო სიტყვა, თქმული გიორგი მთაწმიდელის გარდაცვალების გამო[3], ძველი ქართული ზეპირი მეტყველების წარმტაცი ქმნილებაა. მძაფრი მშვენიერება, მოქნილი სინატიფე და ნარნარი ხმიანობა კრთიან ამ დიდებული ენობრივი სიმფონიიდან. ელეგანტური და ნათელი სტილით გაღმოსცემს ორატორი მწუხარებით ამაღლებულ განწყობილებას და გადამდები მღელვარებით ენამზეობს „სიტყუათა სარბიელზე“. მოთქმით ტირილის ხმით ღაღადებს აქ დაუცხრომელი კაეშნით შეპყრობილი ჰირისუფალი, რომლის გოდება მძიმე სევდის ჩრდილს ავრცელებს ირგვლივ და კეთილშობილი სულისკვეთებით ამაღლებს მსმენელს. განუსაზღვრელი გულწრფელობით გამოხატული მწუხარება ორატორისა და მსმენელის არსებაში იწვევს არა სასოწარკვეთის გრძნობას, არამედ შთაგონების განცდას, რომლის შემოქმედებით ნაყოფს წარმოადგენს ეს ქართული „იერემიას გოდება“. ლაღი, უწყვეტი და შეუფერხებელი სიტყვის დინებით მოხიბლული მსმენელი ერთხანს კვალდაკვალ მისდევს, შემდეგ საესებით ეპორჩილება და ბოლოს მთლიანად უთავსდება აზრისა და გრძნობის ამ სიტყვიერ შეხმატკბილებას.

მწუხარების გამომხატველი შორისდებულებით იწყებს ორატორი თავის სევდიან მოთქმას. ლამაზი სიტყვით გამოთქმული მძიმე

---

[1] ი. ჯავახიშვილი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, გვ. 149.

[2] კ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, I,ჯგვ. 229.

[3] ქართული მჭევრმეტყველება, გვ. 145—149.

გოდება სათაეს იღებს რიტორიკულ შეძახილებში, რომელთა მომდევნო სხარტული გამონათქვამეიით შეცხადებულია გიორგი მთაწმიდელის გარდაცვალება: „ვაჲ ბე, ვაჲ ბე, ითახო ჩემთო პატიოსანნო, აწ დაგუეჴმა პირი იგი, რომელი გუწყურთიდა ბჯულსა უფლისასა დღე და ღამე, წარვიდა გოხებისა განზრახვაჲ კეშმარიტად ღმრთისა მიერ აღძრული, დაწუნა თუალი იგი ბართლიად ხედველი და განძარჩეველი კეთილისა ბოროტისაგან და უჭკობესისა უდარესისაგან, დადუნეს ბაგეხი იგი მცველნი ბჯულსა უფლისასა, შეიკრა ენაჲ იგი ოქროსიტყუაჲ და საღმრთოთა ბრძახეათა ჴმამაღლად მღაღადებელი და ბრწყინვალედ მთარგმნელი ღმრთივ სულიერთა წიგნთაჲ, დაყუდნა ჴელი იგი შუეხიერად ბწერალი, რომლითა განანათლნა ეკლესიახი ჩუენნი, დადგეს ფერჴიცა იგი შუენიერნი, განკაფულნი ღაბის თევათა შინა ზედგობითა, დაყუდხა გონებაჲ იგი ბხილველი და სიღრმეთა სულისათა გამომეძიებელი, დაიფარა ბიწასა ითხა გუაძი წმიდაჲ, მოღუაწებისა ბროთითა გახლეული!“[1]

ამ შესანიშნავ შესავალს მოსდევს ვრცელი ორატორული პერიოდი, რომელიც მოქცეულია კითხვითსა და ძახილის წინადადებებს შორის. კითხვითი ფრაზაა: „ხედავთ, თუ ვითარ არიან საქმენი ჩუენნი?“; ძახილის ფრაზაა: „ეჰა ბოროტი ესე სიბნელე, რაბეთუ მზე, მნათობი ჩუენი, დაჰჴდა!“ მათ შორის ხათქვამია: „ბეხება, უკუეთუმცა შესაძლებელ იყო, განძლიერებად უძლურებაჲ ჩემი და ამაღლებად სიმაღლესა ამას თანა გახსაცდელისასა და აღტეევებად ჴმისა რაჲსამე ენებისა ამის შემსგავსებულსა, ვითარცა ყოველ ობოლთა მათ და ჴრმითა მაღლითა განსაცდელსა მაბისასა იგლოვეს, არამედ რაჲ-მე ვყო, გინა ვითარ ვაიძულო ენასა მსახურებად სიტყჳსა, რომელი-იგი განსაცდელისა ამის მიერ, ვითარცა ძმიბითა რაჲთამე საკრველითა რკინისაჲთა შეკრულ არს, ანუ ვითარ აღვაღო პირი უტყუებითა შეპყრობილი, ვითარ აღუტეო ჴმაჲ ვნებითა და გოდებითა ძალისა თჳსისაგან დაჴსნილი, ვითარ აღვიხილნე თუალხი სულისანი, განსაცდელისა ამის ალბურითა დაბნელებულხი, ვიხმცა განმიბნია უკუხი ესე და წყუდიადი ბწუხარეებისა ბხელი და ბიჩუნამცა სიწმიდესა შინა ბრწყინვალე იგი ნათელი მზჳდობისაჲ, ანუ ვინაჲ მოგუეფინოს ჩუენ ბარავანდედი, ვინაჲთგან დაჰკრა ბნათობი ჩუენი!“[2]

ექსპრესიული შინაარსის გრადაციული აღმავლობა, ანაფორული და ფიქსირებული ფორმების გახმეორება და ლირიკული წიაღსვლები აშშვენებენ ამ ნაწყვეტს, რომლის ორატორული ძალის წყა-

[1] ქართული მწერლობა, გვ. 145—146
[2] იქვე, გვ. 146.

როდ რიტორიკული ფიგურებისა და ბგერითი კეთილხმოვანების ბევრი მხატვრული ხერხია გამოყენებული. მათ შორის განსაკუთრებით საყურადღებოა ანაფორული წყობისა და ფიქსირებული ფორმის შემდეგი შეთავსება: „ვითარ აღვაღო პირი უტყუებითა შეპყრობილი, ვითარ აღუტეო ჴმაჲ ვნებითა და გოდებითა ძალისა თჳსისაგან დაჴსნილი, ვითარ აღვიხილნე თუალნი სულისანი“.

ასეთი რთული კაზმული სახის ეპიზოდს ცელის კონტრასტის ხერხით აგებული გამონათქვამი, რომელიც მთავრდება მძლავრი რიტორიკული მოწოდებით: „ეჰა, ვითარ-ღა იქმნეს ჩუენდა ადგილსა ამას წინაუკუმო სიტყუანი ჩუენნი და საქმენი, აწ და პირველ ამისსა, რამეთუ პირველ, ვითარცა მექორწინენი განვსცხრებოდეთ, ხოლო აწ, ვითარცა საწყალობელნი გლოვისა ამისთჳს სულთ ვითქუამთ! ანუ თუ მცირე არსა ჩუენ ზედა მოწევნული ესე ბოროტი? ანუ ამაოდ ნუ ვიტყებთა და განვიწირვით! ანუ თუ უფროის-ღა ჴერ მივსწუთებით თავსა ამის ვნებისასა, დაღაცათუ უფროჲს აღვამაღლნეთ სიტყუანი და ჴმანი ჩუენნი!“[1]

აძ ადგილას ტონური პაუზა ივარაუდება, რომლის შემდეგ შეცვლილი ხმის მასალით მიმართავს ორატორი მსმენელს: „გუავასხენით უკუე, ძმანო, გუავასხენით ცრემლნი წყალობისანი, რამეთუ ოდეს-იგი იხარებდით თქუენ, სიხარულსა თქუენსა გეზიარენით ჩუენ! აწ უკუე მომაგეთ ჩუენ ბოროტი ესე ნაცვალი, სიხარული მოხარულთა თანა მოგუეცით ჩუენ. ტირილი მტირალთა თანა მოიზღეთ ჩუენ“[2].

შეძდეგ გიორგი მცირე ანალოგიის გზით ურთავს თხრობაში ბიბლიურ მოტივებს და ისევ შეცვლილი ტონალობის მასალას აყალიბებს. აქ ერთგვარი გარდამავალი საფეხურია ნათქვამსა და სათქმელს შორის, რომლებსაც საზღვრავს შემდეგი: „არამედ ეჰა, რაბამ კეთილ იყო ვიდრე აქამომდე გზაჲ სიტყჳსა ჩუენისაჲ, და ეჰა, რაბამ სანატრელ იყო, უკუეთუმცა ამას პირსა ზედა დასრულდებოდა მოთხრობაჲ ჩუენი“[3].

აქ მთავრდება სიტყვის ერთი ნაწილი.

სიტყვის შემდეგ ნაწილში სრულ გასაქანს პოულობს ორატორის დაუცხრომელი სევდა. შეუწყვეტელი ცრემლის დენით ლამობს მეტყველი საერთო მწუხარების შემსუბუქებას, „რამეთუ განსაცდელთა და მწუხარებათა მიერ შეპყრობილისა და აღვსებულისა გულისაჲ სხჳთა სახითა ნუგეშინისცემაჲ შეუძლებელ არს“[4].

---

[1] ქართული მჭევრმეტყველება, გვ. 146.

[2] იქვე.

[3] იქვე, გვ. 147.

[4] იქვე.

ამისათვის მოუწოდებს ის ყველას მწარე გლოვაში ეძებონ და პოვონ ნუგეში: „უტევეთ უკუე, ნუგეშინის-მცემელნო, უტევეთ და ნუ განამრავლებთ ნუგეშინის-ცემასა, რაჲთა წრტიალად და მწარედ იგლოონ ობოლთა აბათ“[1].

შემდეგ ორატორს ისევ ბიბლიურ სამყაროში შეჰყავს მსმენელი, რომლის თვალწინ ჯერ საღმრთო წერილის სახეთა მთელი წყება ჩაივლის და, დასასრულ, თვითონ ორატორის არსება გამოჩნდება. იგი აქ, სიტყვის უმაღლეს ემოციურ დონეზე. მომჯადოებელი ძალით გამოთქვამს საერთო გულისტკივილს, რასაც მძაფრი სასოწარკვეთის შინაარსით მოსავს, მაგრამ ლამაზი შემოქმედების ფორმით ამსუბუქებს.

აი, ეს მოძხიბლავი ორატორული გამონათქვამი:

„ხოლო არავინ არს, რომელმანცა ძოიღო ნაწუეთი ერთი წყლისაჲ და განაგრილა ენაჲ ჩემი სალმობიერი და შემწუარი ცეცხლითა მწუხარებისაჲთა! წარჴდა შუენიერებაჲ იგი საწადელი, დადუმნა ჴმაჲ იგი სავსე სიტკბოებითა, დაიყენეს ბაგენი იგი ღმრთივბრწყინვალენი, აღფრინდა მადლი იგი განმაბრძნობელი ჩემი; სადა არიან თუალნი ზეცისა საიდუმლოთა მხილველნი! სადა არიან ყურნი იგი საღმრთოჲსა მის ჴმისა მსმენელნი! სადა არს ენაჲ იგი წმიდაჲ ტკბილად მასწავლელი ცოდვილთაჲ სინანულისა! სადა არს ტკბილი იგი მყუდროებაჲ თუალთა მისთაჲ! სადა არს წესიერი იგი დუმილი ბაგეთა მისთაჲ! სადა არს საწადელი იგი მარჯუენე მისი, რომელი კურთხევასა მას პირისასა სასურველთა მათ თითთა თჳსთა ჯუარის წერითა დაჰბეჭდვიდა!“[2]

ამ მრავალმეტყველი გმინვით გამოფხიზლებული გიორგი მცირე უბრუნდება მწარე სინამდვილეს—ევედრება მსმენელებს, რომ შეაშრონ ცრემლი და დაუცხრონ გოდება: „არამედ აწ გეევედრები, შემაშურენით მე ცრემლნი ჩემნი, დააცხრეთ გოდებაჲ ჩემი, რამეთუ ვაგრძნობ, ვითარმედ უფროჲს ჯერისა განვალ საზღვართაგან გლოვისათა, და ენებისა ამის სიმძიმითა დედათა მივემსგავსები“[3].

იმ შეგნებით, რომ საჭიროა იმედის სხივის შეტანა ამ უსინათლო მწუხარებაში, ორატორი ცვლის მეტყველების მინორულ განწყობილებას და მისტიკური შვების იერით მოსავს სიტყვის შემდეგ ნაწილს.

ამრიგად, აქ მთავრდება სიტყვის მეორე ნაწილი, რომელსაც საზღვრავს შემდეგი ფრაზა: „ვინაჲცა ჯერ-არს, რათა ამიერითგან მოვაქციო აფრაჲ სიტყჳსა ჩემისაჲ და საეკლესიონი სიტყვანი აღმოვთქუნე“[4].

---

[1] ქართული მჭევრმეტყველება, გვ. 147.
[2] იქვე, გვ. 148.
[3] იქვე.
[4] იქვე, გვ. 149.

სიტყვის მესამე, დასკვნითი ნაწილი გაშუქებულია რწმენის სინათლით. აქ აღარ ისმის გოდება, აღარ ჩანს ცრემლი; ორატორი შერიგებია გარდაუვალ უბედურებას. ამ შერიგების საფუძველს ქმნის ამავე უბედურების ნათელი მხარე, რაც იმაში გამოიხატება, რომ, ორატორის აზრით, გიორგი მთაწმიდელი ამიერიდან „არღარა სახით და იგავით ჰმსახურებს ზეცისათა მათ, არამედ თჳთ მას ხატსა საქმეთასა განიცდის, არღარა სარკითა და სახითა, ჴრამედ პირსა ღმრთისასა პირის-პირ ხედავს და მეოხ არს ჩუენთჳს წინაშე მისსა შვილთა და მოწაფეთა თჳსთათჳს, და ითხოვს მიტევებასა ცოდვათასა“[1].

ასეთი მისტიკურ-რელიგიური რწმენით გამსჭვალული ორატორი არსებითად უმაღლესი ნეტარების სახით ხატავს მთაწმიდელის სიკვდილს, რასაც მიიჩნევს მარტოოდენ ხორციელ განშორებად. „რამეთუ არა მიგუეღო ჩუენ მოძღუარი ჩუენი, არცა წარვიდა ჩუენგან, არამედ შორის ჩუენსა მდგომარე არს, დაღაცათუ ჩუენ არა ვხედავთ მას, და წმიდასა მას შიდა წმიდათასა შევიდა მამაჲ ჩუენი და შინაგან კრეტსაბმელისა, სადა-იგი წინამორბედად ჩუენდა შევიდა ქრისტე“[2].

დიდი მჭევრმეტყველური სადასიტყვაობით გვიხატავს ორატორი იმ სულიერ სუფევას, რომელიც დაიმკვიდრა მოძღვარმა მას შემდეგ, რაც „დაუტევა კრეტსაბმელი იგი ჯორცთა თჳსთაჲ“, „განიძარცუნა უკუე ტყავისა იგი სამოსელნი... და წიაღელო არა თუ ზღუაჲ იგი მეწამული, არამედ შავი ესე და წყუდიადი ზღუაჲ ამის საწუთროჲსაჲ, შევიდა ქუეყანასა მას აღთქუმისასა, რომელ არს ზეცათა იერუსალჱმი, მთასა მას ზედა სიბრძნისმეტყუელებს ღმრთისა თანა, წარიჴადა ჯამლი სულისაჲ და, რათა საღმრთოჲთა მით სლვითა გონებისაჲთა წმიდასა მას ქუეყანასა შინა უნივთოდ იმოთხვიდეს, რომელსა-იგი შინა იხილვების ღმერთი, და თჳსთა საკუთართა ხედავს და განუსუენებს“[3].

როგორც ვხედავთ, სიტყვის უკანასკნელ ნაწილში რწმენით განმტკიცებული იდეური მრწამსია გამოხატული, რაც, ცხადია, უშუალო კავშირსა და ურთიერთობაშია სიტყვის წინა ნაწილებთან. ამ გზით შექმნილ ერთიანობას გიორგი მცირის ორატორულ შემოქმედებაში უზრუნველყოფს როგორც სათქმელის აზრი, ისე ნათქვამის ფორმა.

ეს უკანასკნელი—გიორგი მცირის სიტყვის ფორმა—ძველი ქართული ენის უბრწყინვალეს მჭევრმეტყველურ სახეს წარმოადგენს.

---

[1] ქართული მჭევრმეტყველება, გვ. 149.

[2] იქვე.

[3] იქვე.

10. არსენ ბერი

არსენ ბერი დავით აღმაშენებლის თანამედროვე მწერალი და ორატორია. ის მეფესთან დაახლოებული წარჩინებული პირი და გავლენიანი მოღვაწეა. მისი სახელი მრავალგზის დიდი მოკრძალებით იხსენიება თანადამხვდურთა წერილობით დოკუმენტებში.

ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში, ისტორიული ფაქტების შეხვედრის საფუძველზე, გამოთქმულია მოსაზრება, რომლის მიხედვით არსენ ბერის ნამდვილი გვარი საღირისძე უნდა ყოფილიყო[1].

რაც შეეხება არსენის ძირითად პროფესიულ საქმიანობას, ის სამეფო კარზე დაწინაურებული სასულიერო პირი და დავით აღმაშენებლის „მლოცველი“ მოძღვარია.

თავისი ფართო განათლებისა და სოციალური წარმატების წყალობით არსენ ბერმა დაუვიწყარი ამაგი დასდო ჩვენი მწერლობის განვითარებას, რაც თვალსაჩინოდ შეინიშნება XII საუკუნის პირველი ნახევრის კულტურის სარბიელზე: მან აღნუსხა და უკვდავყო ბევრი ისტორიული მოვლენა, საზოგადო მნიშვნელობის ფაქტი და საქვეყნო საქმე. ამ დამსახურებით არსენ ბერმა წარუშლელი კვალი გაავლო თავისი დროის ქართულ საისტორიო მწერლობას.

ხსენებული ღვაწლით არ ამოიწურება არსენ ბერის ამაგი ჩვენი კულტურის წინაშე: გვაქვს საფუძველი ვიფიქროთ, რომ ის ქართული ორატორული ხელოვნების თაყდადებული მესვეური და გამოჩენილი ოსტატიცაა.

ფეოდალურ საქართველოში, სამეფო კარის სიტყვის ოსტატთა შორის, პოეტის, მწერლისა და მემატიანის გვერდით, მჭევრმეტყველიც უნდა ვიგულოთ. მეფის სახელი, სიტყვა და საქმე საჭიროებდა არა მარტო წერილობით, არამედ ზეპირ უკვდავყოფასაც. ამასთან, წერილობითი უკვდავყოფა უფრო შთამომავლობისათვის იყო გამიზნული, ხოლო ზეპირი—თახავეღროეეთათვის. უზენაესი ხელისუფალი „აწ და მარადის“ მოითხოვდა ხოტბა-დიდებას, რაც ყოველ-

[1] კ. ქეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, I, გვ. 289.

გვარი შესაძლებელი საშუალებით სრულდებოდა და მათ შორის მჭევრმეტყველების მეშვეობითაც.

ამრიგად, კარის პოეტთა, მწერალთა და ისტორიკოსთა გვერდით კარის მჭევრმეტყველიც უნდა ვიგულისხმოთ.

ერთი ასეთი კარის მჭევრმეტყველი უნდა ყოფილიყო არსენ ბერი.

ჩვენამდე მოღწეულია არსენ ბერის ერთი სახოტბო ხასიათის ნაწარმოები „მეფესა დავითს—მონაზონი არსენი“[1], რომელიც თავისი შინაარსით, ფორმითა და გადმოცემის ხერხებით სადღესასწაულო საჯარო სიტყვაა. როგორც სათაური გვიჩვენებს ამ სიტყვას ორატორი უძღვნის დავით აღმაშენებელს. სიტყვის დასაწყისი, დასასრული და მიმართვის ფორმები გვარწმუნებენ, რომ არსენი მიმართავს ცოცხალ მეფეს. ამის უდავო საბუთს წარმოადგენს ძეგლის შემდეგი ადგილი: „...კეთილად მსახურისა და ღმრთივ დაცულისა მეფისა ჩუენისა მრავალმცა არიან წელიწადნი!“

ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება. რომ არსენ ბერის სახოტბო სიტყვა არ წარმოადგენს დამოუკიდებელ მხატვრულ ქმნილებას. კ. კეკელიძის დასაბუთებული აზრით ხოტბა გაგრძელებაა „რუის ურბნისის კრების ძეგლისწერისა“, რომელიც სამართლიანად მიეწერება არსენ ბერს[2].

ამრიგად, არსენის სიტყვა ორგანული ნაწილია ვრცელი საისტორიო ხასიათის თხზულებისა, რომლის რიტორიკულ დასასრულს წარმოადგენს ის. ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ ხოტბა თავისი გაჯერძოებული თემით, გადმოცემის ხერხებითა და დანიშნულებით სავსებით დასრულებული მხატვრული ქმნილებაა და ამდენადვე დამოუკიდებელი ორატორული ძეგლია, რომელსაც მისი შემცველი ნაწარმოებიდან მკვეთრად გამოჰყოფს და აცალკევებს ერთი პრინციპული მხარეც—მსმენელისადმი მიმართება. ეს უკანასკნელი განმსაზღვრელი ნიშანი აქცევს ამ ქმნილებას ორატორულ ძეგლად.

არსენ ბერის სიტყვა „მეფესა დავითს—მონაზონი არსენი“ ქართული სადღესასწაულო დარგის მჭევრმეტყველების კლასიკური ნიმუშია. ის სახოტბო ხასიათის ორატორული ძეგლია, რომლის შინაარსი დავით აღმაშენებლის რიტორიკულ შესხმას წარმოადგენს. ხოტბის მაღალფარდოვანი, პათეტიკური სტილი ჰიპერბოლური გადამეტების იერით ხატავს სახელოვანი ადამიანის ღირსეულ მხა-

---

[1] ქართული მჭევრმეტყველება, გვ. 156.

[2] კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, I, გვ. 291.

რეებს, რომელთა ოსტატური გამთლიანებით ორატორი ქმნის დიდი ხელმწიფის ღმერთ-კაცურ პორტრეტს. ეს პორტრეტი იმდენად მკვეთრ და რელიეფურ სახეს ატარებს, რომ სკულპტურულ ნაძერწს ჩამოჰგავს და ხელშესახებად განიცდება. ასეთი განცდა თუმცა უსაზღვროდ ამაღლებს დავით აღმაშენებლის ღვთიურ სახებას, მაგრამ ართმევს მას ზეციურ შარავახდედს და რეალური ადამიანის ელფერით მოსავს სათაყვანებელ პიროვნებას. ამავე შედეგს ორატორი იმითაც აღწევს, რომ დავით აღმაშენებლის დამახასიათებელ მხარეებს ხილული სამყაროს მოვლენებს ადარებს და რეალურ გარემოცვაში ასურათებს.

არსენ ბერის სიტყვა წარმოადგენს ერთ განუყოფელ კომპოზიციურ მთელს, რომელიც შედგება მხატვრული შედარებების შემცველი, აზრით დასრულებული, ფორმით გამოყოფილი პარალელური კონტექსტებისაგან. მათ შორის პირველი ფრაზა გამართულია მეორე პირში და უშუალოდ მიემართება დავით აღმაშენებელს: „სიბრძნის-მოყუარეო შენ, უფროჲსად ბრწყინვალეო, თუალო ყოვლისა სოფლისა მეფეთა ერთგუამობისაო, რომელი ეგე ჰაეროვან ხარ, ვითარცა სამყაროჲ ხილულსა სოფელსა შორის“[1].

მომდევნო ფრაზები გამოთქმულია მესამე პირის ფორმით და არაპირდაპირი მიმართვით გულისხმობენ დავით აღმაშენებელს. მაგალითად: „საჩინო, ვითარცა მზე ვარსკულავთა შორის“[2].

აზრით დასრულებული ყოველი კონტექსტი, როგორც ითქვა, შეიცავს მხატვრულ შედარებას. შ ე დ ა რ ე ბ ი ს ფ უ ძ ე ყველგან დავით აღმაშენებელია, მაგრამ ის არსად არ იხსენიება—მას ცვლიან მისი ეპითეტები. მაგალითად: ბრწყინვალე, ნათლის-ფერ, ცისკროვან და ა. შ. შ ე დ ა რ ე ბ ი ს ო ბ ი ე ქ ტ ე ბ ი ა: ბუნების ძალები, პატიოსანი თელები, ბიბლიური პერსონაჟები, ისტორიული პირები და სხვა. მაგალითად: ეთერი, ელვა, იაკინთი, ანდამატი, ნებროთ, დავით, მაკედონელი, კონსტანტინე და ა. შ. მათი ფიზიკური და სულიერი მხარეები შ ე დ ა რ ე ბ ი ს ს ა ფ უ ძ ვ ლ ე ბ ი ა. მაგალითად: სილამაზე, ძლიერება, სიმტკიცე, სათნოება, სიმშვიდე, უშიშროება და სხვა. შ ე დ ა რ ე ბ ი ს შ ი ნ ა ა რ ს ი ყველგან დავით აღმაშენებლის ადამიანური სიდიადეა.

აი, მაგალითად, ბუნების ძალებთან შედარების შემცველი კონტექსტები: „ბრწყინვალე, ვითარცა ეთერი ნივთთა შორის; ნათლის-ფერ, ვითარცა ელვაჲ ღრუბელთა შორის“[3].

---

[1] ქართული მწერლობა, ტ. 1, გვ. 156

[2] იქვე.

[3] იქვე.

აი, პატიოსან თვალთან შედარების შემცველი კონტექსტი: „ელვარე, ვითარცა იაკინთი ქვათა შორის“[1].

აი, მაგალითად, ბიბლიურ პერსონაჟებთან შედარების შემცველი კონტექსტები: „სახელგანთქმულ, ვითარცა ნებროთ გმირთა შორის; ახოვან, ვითარცა ისო წინამბრძოლთა შორის; მოშურნე, ვითარცა ფინეზ მღდელთა შორის; მჭნე, ვითარცა სამფსონ მსაჯულთა შორის“[2].

აი, ისტორიულ პირებთან შედარების შემცველი კონტექსტები: „უზარო, ვითარცა მაკედონელი მფლობელთა შორის; განმადიდებელ ფლობისა, ვითარცა ავღუსტოს კეისართა შორის“[3].

ამრიგად, არსენ ბერის სიტყვა პარალელური კონტექსტების ერთგვარი ჯაჭვია, რომლის ყოველი რგოლი წარმოადგენს მხატვრულ შედარებას, სადაც ეპითეტით სახელდებული მეფე, რაიმე მსგავსების საფუძველზე, შედარებულია რომელიმე მოვლენასთან, რითაც ნაჩვენებია დავით აღმაშენებლის ადამიანური სიდიადე.

ასეთი ერთფეროვანი კაზმულობა სიტყვას ერთგვარ მონოტონურ სახეს აძლევს და რამდენადმე რიტორიკული ელფერით ბოსავს. მიუხედავად ამისა, არსენ ბერის ორატორული ეგზალ „მეფესა დავითს — მონაზონი არსენი“ ქართული კლასიკური მშვერმეტყველების ორგანული კუთვნილება და ისტორიული მონაპოვარია.

---

[1] ქართული მშვერმეტყველება, გვ. 156.
[2] იქვე.
[3] იქვე.

11. სულხან-საბა ორბელიანი

1658 — 1725

სახელოვანი ქართველი მეცნიერი, მწერალი და სახელმწიფო მოღვაწე სულხან-საბა ორბელიანი ზეპირი სიტყვისა და დიპლომატიური სჯა-ბაასის დახელოვნებული ოსტატი იყო. მისი ღრმა მეცნიერული განსწავლულობა და მაღალი მხატვრული აზროვნება მკვეთრად გამოვლინდა სისადავით დამშვენებულ და სიდინჯით შემკულ ქართულ სიტყვაში. ის თანაბარი ძალ-ღონით ფლობდა მეტყველების ზეპირსა და წერილობით ფორმებს, რომელთაც დიდი წარმატებით იყენებდა სამწერლო და საზოგადო მოღვაწეობის ფართო ასპარეზზე.

XVII — XVIII საუკუნეთა მიჯნაზე, საქართველოს რთულ და აშლილ სოციალურ-პოლიტიკურ ვითარებაში, სულხან ორბელიანი ეწეოდა მეტად მრავალმხრივსა და ნაყოფიერ საქმიანობას. ის წვდებოდა საერო და სასულიერო შემოქმედების მრავალ სფეროს: მოგზაურობდა შორეულ ქვეყნებში, ასრულებდა დიპლომატიურ მისიებს, ქმნიდა სიტყვაკაზმული მწერლობის შედევრებს, წერდა უკვდავ მეცნიერულ ნაშრომებსა და აწარმოებდა ფართო სამქადაგებლო მუშაობას. ასეთი იყო სულხან ორბელიანის ვრცელი სამოღვაწეო სარბიელი.

მძიმე ისტორიულ პირობებში, როცა ჩვენი სამეფოები ფაქტიურად ირანელთა და ოსმალთა სამფლობელოებს წარმოადგენდა, ქართლის გამგებლის ვახტანგ მეექვსის (1675—1737) დავალებით სულხან ორბელიანმა იმოგზაურა იტალიასა და საფრანგეთში. მან ევროპაში დაყო სამი წელი (1713 — 1716). ის რამდენჯერმე წარდგა რომის პაპის კლემენტი მეთერთმეტისა და საფრანგეთის მეფის ლუი მეთოთხმეტის წინაშე და მათი დახმარებით სცადა სამშობლოს აწეწილი პოლიტიკური ვითარების გამოსწორება. ეს შეხვედრები, ცხადია, დიდი დიპლომატიური ტაქტითა და მოზომილი სიტყვიერი ურთიერთობით უნდა ჩატარებულიყო, რაც ვახტანგის მიერ წინასწარ იყო გათვალისწინებული. ამით აიხსნება მისი არჩევანი: უნდა

ვიფიქროთ, აქ სულხანის ორატორულმა გაწაფულობამ ითამაშა გადამწყვეტი როლი.

ჩვენთვის ამჟამად განსაკუთრებით საყურადღებოა სულხან-საბა ორბელიანის ორატორული ხელოვნების მთავარი სფერო — სამქადაგებლო მჟევრმეტყველება, რაც, საბედნიეროდ, უცვლელი და სრული სახითაა შემონახული რამდენიმე ნუსხის მეშვეობით[1]. 1698—1710 წლებში, როცა გიორგი მეთერთმეტის პოლიტიკური მარცხით გაწბილებული, ბერად აღკვეცილი სულხანი დავით-გარეჯის მონასტერში იმყოფებოდა, მას შეუქმნია ჰომილეტიკური ძეგლების კრებული — „სწავლანი და მოძღურებანი“[2], რომელიც შეიცავს 46 ქადაგებას. მათი შესწავლა გვაძლევს მასალას სულხანის ორატორული პორტრეტის დასადგენად.

ამის ცდა წარმოდგენილია ქვემოთ.

სულხან-საბა ორბელიანის „სწავლანი და მოძღურებანი“ სამოძღვრო, სააღმზრდელო და სადღესასწაულო ხასიათისაა. აქა-იქ ისინი წარმოადგენენ ბიბლიური ტექსტების მჟევრმეტყველურ ახსნასა და განმარტებას. მაგრამ ორატორი აქ მიზნად ისახავს არა ამ ტექსტების თავისთავად შეცნობას, არამედ მათი მეშვეობით ქრისტიანული მორალის განმტკიცებას. ამის გამო ის დგას რელიგიური დოგმატიკისა და მისტიკური რწმენის საფუძველზე და ხმამაღლა ღაღადებს ულტრაკლერიკალური ზნეობის ნორმებს. მქადაგებლის სიტყვიდან იგრძნობა, რომ ეს ნორმები დიდად შელახულია ფართო საზოგადოებრივ წრეებში; აქ აშკარად შერყეულია რელიგიური დოგმები — ისინი დაცვასა და გამოსარჩლებას საჭიროებენ[3]. შეიძლება ითქვას, რაც უფრო ენერგიულია ამ შემთხვევაში სულხან ორბელიანის მენტორული მცდელობა, მით უფრო საეჭვოდ გამოიყურება ქრისტიანული ეკლესიის ავტორიტეტი.

სულხან ორბელიანის მრავალმხრივი შემოქმედება, რაც ღრმა ენციკლოპედიურ ცოდნას ემყარებოდა, როგორც ჩანს, რამდენადმე ითავსებდა „სიბრძნე-სიცრუის“ იდეურ შინაარსთან შეუთავსებელ სქოლასტიკურ მსოფლმხედველობას, როგორც ეპოქის ნიშანდობლივ მხარესა და სოციალური გარემოს იდეოლოგიურ შემადგენელს. ეს იყო ერთგვარი ხარკი, რომელიც გამოჩენილმა მეცნიერმა ჟამთა

---

[1] იხ. ი. ლოლაშვილი, სულხან-საბა ორბელიანის ლიტერატურული მოღვაწეობიდან, გვ. 55—63.

[2] ხელნაწერები *A*—479, *B*—20068—*b* (ლიტ. მუზ.).

[3] იხ. Н. Г. Махатадзе, Гражданские мотивы в памятниках грузинского красноречия XVIII века, გვ. 11.

სიავის მოძალებით გადაუხადა თავის ეპოქას. ასეთი იძულებით შესრულებული საქმე არსებითად ნაკლოვანი უნდა ყოფილიყო, მაგრამ აქ სულხანს ხელი შეუწყო იმ უტილიტარულმა დანიშნულებამ, რითაც გამსჭვალულია ეს, ერთი შეხედვით, წმინდა მისტიკური მოძღვრება. სინამდვილეში „საბას ქადაგებანი... შეიცავენ ნაციონალურ პოლიტიკურ ტენდენციებს“, აქ „ცოცხლად მოჩანს ავტორის ინდივიდუალური ბუნება, მისი პოლიტიკური და რელიგიური ფიქრები. ამ ქადაგებებში საბა გვევლინება, როგორც დიდი მორალისტი და მხურვალე ტრიბუნი“[1].

საბას მოძღვრებაში ცენტრალური ადგილი უჭირავს ადამიანს. ადამიანის ინდივიდუალური არსება და მისი საზოგადოებრივი ურთიერთობანი წარმოადგენენ ორატორის ძიებისა და ზრუნვის საგნებს. აღორძინების ხანის მწერლობაში და კერძოდ სულხან ორბელიანის შემოქმედებაში ასახული ადამიანის სულიერი ცხოვრების კვლევა-ძიებამ შემდეგ დასკვნამდე მიიყვანა ა. ფრანგიშვილი: „...ამ ხანის ლიტერატურაში მნიშვნელოვანი ხვედრითი წონა აქვს ისეთ ლიტერატურულ ნაწარმოებებს, რომლებშიაც ხორცშესხმულია ახალი იდეოლოგიისათვის დამახასიათებელი ხალხურობის ტენდენცია, ადამიანის სულიერი ცხოვრების დაფასების ტენდენცია. ამ ხანის ლიტერატურაში წარმოდგენილია მისწრაფებები „ამა სოფლის“ გარდაქმნისა და გაუმჯობესებისათვის ადამიანის მთლიანი ბუნების ცოდნისა, „საკუთარი თავისა“ და „საკუთარი საქმის“ შემეცნებისა იმის საფუძველზე, თუ როგორ მეღავნდება და უშუალოდ არის მოცემული ადამიანის ბუნება და მისი სულიერი ცხოვრების სიმდიდრე ადამიანთა საზოგადოებრივ ცხოვრებასა და პრაქტიკულ საქმიანობაში“[2].

„სწავლანი და მოძღურებანი“ შეფარვითა და ალეგორიულად ასახავდა გიორგი მეთერთმეტესა და ერეკლე პირველს შორის წარმოებულ ბრძოლას ქართლის ტახტისათვის, ამხელდა ფეოდალების კიდეგანურ განწყობილებას და ხატავდა ქვეყნის მეთაურთა პატივმოყვარეობით, ანგარებითა და გულგრილობით გამოწვეულ საფრთხეს. ორატორის სიტყვიდან ისმის ხალხის დრტვინვა, ჩანს ქვეყნის აშლილობა და იგრძნობა საერთო შეშფოთება.

შუღლით, მტრობითა და გაუტანლობით დაშლილი ქვეყნის ბატონ-პატრონებს ბევრ საგულისხმო და დამაფიქრებელ სურათს უხატავდა მქადაგებელი, მაგალითად: „ნოემ ოდეს კიდობანი აღაშენა

---

[1] გ. ლეონიძე, ძიებანი, I, გვ. 78.

[2] ა. ფრანგიშვილი, ნარკვევები..., გვ. 98.

განსარინებელად რღვნათასა. მსგავსად ეკლესიათასა ქმნა იგი. და მას შინა შეკრებებოდა ყოველივე იძვრისი უგულისხმონი; არავინ ასწავლიდა, არავინ მოუწოდდა, არცა-ვინ ამცნებდა, არამედ თავით თვისით პირუტყვნი მორბიოდენ, ფრინველნი მოფრინევდენ და მძრომნი მოძვრებოდენ. და აღივსო კიდობანი იგი უცხოთა მით კრებულითა. არა ემტერებოდა ფასკუნჯი ვეშაპსა, არცა რქენდა მარტორქა პილოსა; არა ებრძოდა ლომი ჯარსა, არცა წარიტაცებდა მგელი ცხოვარსა; არა სჭამდა არწივი ფარშამანგსა. არცა სდევნიდა ქორი კაკაბსა"[1]..

ხალხის მოღალატე, ორგულ და ანგარებით სავსე მედროვეებს ასე მიუთითებდა ორატორი: „იხილეთ იუდა — მტერი ყოელისა ჰეშმარიტებისა: მოძღვარი ასწავლიდა სიმდაბლესა, იგი სწავლობდა ამპარტავნებასა; მოძღვარი ამცნებდა სიყვარულსა ყოველთასა, ხოლო იგი დაიმარხვიდა სიძულვილსა დიდსა... ქრისტე მისცემდა მადლსა განსხმად ეშმაკთა, ხოლო იუდა მოიწვევდა მოყვასად; ქრისტე მისცემდა ძილთა კურნებათა სნეულთასა, ხოლო იუდა სწყლვიდა მრთელთა; ქრისტე მისცემდა ჴელმწიფებასა აღდგინებად მკვდართასა, ხოლო იუდა მოჰკლვიდა აღმადგინებელსა მკდართასა"...[2]

ს. ორბელიანის ფართო სამოძღვრო დიაპაზონი მოიცავდა ადამიანთა ბევრი მანკიერი წეს-ჩვეულების, ენებისა და გატაცების შეუბრალებელ გაკიცხვას: მისი მკაცრი მხილების ფარგლებში ექცეოდა ცხოვრების დიდი სარბიელი დაწყებული ყოველდღიური ყოფიდან დამთავრებული ადამიანის ფსიქოლოგიური სამყაროთი; მისთვის თანაბრად მიუღებელია ზერელე ქცევის ნიშნები: „უწესური ჯამა, უნებური სმა, შეუგვანი წარსაგებელი, ამაო საუბარი, უშვერი სიცილი, ურცხვინო ალერსი, ბილწი სიმღერა, ბოროტი როკვა", და ღრმა მანკიერების მხარეები: „ურჩება, ამპარტავნება, სილაღე, ზვაობა, სიძულვილი, ძვირის-ზრახვა, გულბოროტება, თვითსჯულება, თავდაჯერებულობა, შური, ლალვა, ბრძოლა, ცუნდრუკება"...

ს.-ს. ორბელიანის სამქადაგებლო მემკვიდრეობა თავისი მდიდარი, დახვეწილი და სადა მეტყველებით ამშვენებს ქართულ ორატორულ ხელოვნებას. ბუნებრივად გამართული ენა, ნათელი და მიმზიდველი სტილი, მწყობრი აგებულება და ზომიერად შემკული

---

[1] სწავლა ეკლესიასა შინა დუმილისათვის (ციტატები ამოკრებილია ი. ლოლაშვილის მიერ დასაბეჭდად გამართული ტექსტიდან: სწავლანი, თქმულნი სულხან-საბა ორბელიანის მიერ, *A*—479 ხელნაწერის მიხედვით).

[2] სწავლა ფერკია საბანლად მიპყრობისათვის.

ფორმა დამახასიათებელი მხარეებია ს. ორბელიანის მკვერმეტყველებისა. ორატორი მკაფიოდ გამოხატავს აზრებს, თვალსაჩინო სახეებით აძლიერებს ნათქვამს და ქმნის დამარწმუნებელ სიტყვიერ გარემოცვას. მისთვის ნიშანდობლივია ცოცხალი მეტყველებიის ემოციური ძალისა და გავლენის სრული გამოყენება. მკვერი სიტყვის სიხათლით მოსავს ორატორი თავის სამოძღვრო დებულებებს და მკვეთრი ელფერით სახავს მისტიკური სამყაროს სურათებს.

ს. ორბელიანის უმთავრეს ორატორულ ხერხს კონტრასტული ნიშნების მონაცვლეობა წარმოადგენს. აქ ერთიმეორეს ენაცვლებიან მუქი და ნათელი ფერები, მაღალი და დაბალი ტონები, ძლიერი და სუსტი ხმები. ხშირად ორატორი ხატავს მძიმე ვითარებას, ბნელი საღებავით აფერებს წარუშლელ კვალს, იქვე მსუბუქ, უზრუნველ განწყობას გვისურათებს, ხან ზიზღით და სიძულვილით გვაღელვებს, ხან სიამით, სათნოებით გვამშვიდებს, ზოგჯერ მკაცრად მძიმენარებს, იმუქრება, მბრძანებლობს, ხან-კი თხოვნით, მუდარით მოგვმართავს, ბევრგან წყევლით, შეჩვენებით რისხავს უარსაყოფს, დროდადრო-კი ლოცვისა და ვედრების ხმით გამოთქვამს თავის სათქმელს.

ს. ორბელიანი მტკიცე რწმენით მეტყველებს, მისგან შორსაა ეჭვი და ორჭოფობა. უკიდურეს ფანტასტიკურ მონაგონს ის გვისახავს უაღრესად ცოცხალი და მეტყველი ფერებით, ხელშესახებ და კონკრეტულ სახეებს იყენებს განყენებული აზრების გადმოსაცემად და სინამდვილის ხილული ელემენტებით ქმნის წარმოსახული ხატების რეალური განცდის შთაბეჭდილებას.

შედარებით ერთფეროვანია ს.-ს. ორბელიანის სწავლათა კომპოზიცია. მათი ნაწილების რიგი ერთ შეუკვლელ ქარგას ემყარება. თითქმის ყოველი სწავლა ციტატით იწყება. ამ გზით ხდება ქადაგების ძირითადი საკითხის დაყენება. აქ, სიტყვის შესავალში ასახელებს ორატორი დამოძღვრების თემას: მას პირდაპირ შეიცავს ან. გადატანითი აზრით გამოხატავს დასაწყისის ციტატი. ორივე შემთხვევაში ციტატური შესავლით ნათელი ეფინება ქადაგებისათვის შერჩეულ უმთავრეს საკითხს და ამით მზადდება სიადვილი მისი შემდგომი გაშლა-გადაწყვეტისათვის.

საკითხის დასმას მოსდევს თხრობის გაღრმავება. ორატორი აფართოებს მეტყველების თემატიკურ არეს, იშველიებს მოსაზღვრე და მახლობელ საკითხებს, მიმართავს მაგალითებს, ასახელებს ნორმებს, აყალიბებს დებულებებს და ნეგატიური სახეის ფონზე წინ წამოსწევს მოვლენების პოზიტიურ მხარეებს. ამ რთული ურთიერთმიმართების პროცესში აღძრული და გაშუქებული მოტივები თან-

დათანობით შორდებიან ქადაგების ძირითად საკითხს, რაც სიტყვის დასასრულისაფვის ისევ ჰირვანდელი განმხოლოებით, მაგრამ უკვე გადაწყვეტილი სახით ჩნდება მსმენელის წინაშე, აქ შეუფარავად იჩენს თავს მქადაგებლის იდეური ტენდენცია, რაც გზადაგზა ნათელმყოფელი მაგალითებით, უხვი ციტაციითა და მოხდენილი სენტენციებით მეღავნდება და ბოლოს სწავლების დედააზრად იქცევა.

ქადაგების უკანასკნელ ნაწილში ორატორი უშუალოდ მიმართავს მსმენელს, უხმობს მის გულისყურს, იწვევს ინტერესს და, დასასრულ, ვრცელი მორალური დარიგებით ამთავრებს მეტყველებას. ეს ზნეობრივი დამრიგებლობა, რაც მთელი სიტყვის გასწვრივ მზადდებოდა, ქადაგების ლოგიკური დასკვნა და ბუნებრივი დასასრულია.

ასეთი კომპოზიციით არის აგებული ს. ორბელიანის თითქმის ყველა სამქადაგებლო ძეგლი.

ქართული მხატვრული პროზის ეს დიდი ოსტატი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა ზეპირ სიტყვას. ამას მოწმობს ჭისი მთელი ორატორული შემოქმედება და კერძოდ ერთი ქადაგება „სწავლა თავის პოვნისათვის ნათლისმცემლისა“, რომელშიც ცოცხალი სიტყვით ღაღადება მიჩნეულია ყოვლისშემძლე ძალად. აქ ნათქვამია: „ჴმა ღაღადებისა იგი არს, რომელმაც განჴსნა ბერწობა დედისა და სიბერე მამისა განაჭაბუკნა, უშვილობა დედისა შვილიერ ჰყო და უტყვება მამისა—მეტყველ“.

იქვე რიტორული განმეორების სახით ბევრჯერ ნახსენებია „ჴმა ღაღადებისა“ და ნაჩვენებია მისი იშვიათი ძალა საზოგადოებრივი ცხოვრების სარბიელზე. სახელოვანი ორატორის ამ თეორიულ წანამძღვრებს პრაქტიკულად შესრულებული სახით გვიჩვენებს მისივე სამქადაგებლო მემკვიდრეობა. სიტყვაკაზმული სახვის ხელოვნება, რასაც ბრწყინვალედ ფლობდა ს. ორბელიანი, მთელი სისრულით იჩენს თავს მჟევრმეტყველების სფეროში და ბევრი სამაგალითო ქადაგებით აღინიშნება. თავიანთი ღრმა შინაარსით, კაზმული ფორმითა და ექსპრესიული ძალით განსაკუთრებით საყურადღებოა ს.-ს. ორბელიანის შემდეგი ქადაგებანი: „სწავლა უდროოდ და ურგებად სინანულისათვის“, „სწავლა სიყვარულისათვის“, „სწავლა სტუმართ-მოყვარებისათვის“, „სწავლა ქრისტეს ვნებისათვის და გლოისათვის სულისა“, „სწავლა სიმთრვალისათვის“, „სწავლა ზვაო ბისაგან დაბნელებისა და სასწაულისაგან დაცემისა“.

შთაგონებული მქადაგებელი ბევრგან წარუშლელ სურათებს ქმნის და უაღრესად ხატოვანი ფორმით გადმოგვცემს თავის სათქმელს, მაგალითად: „ვითარცა ‘ხეთა მყუდროსა შინა კეთილმავალსა

ნავსა ეკვეთნეს ქარნი სასტიკნი და შეაჴეთქნეს კლდესა და დაინთქეს შემუსრვილი, ეგრეთვე სული მყუდრო რა იყოს გონებასა შინა თვისსა, ოდეს ეცეს ქარნი უთმინოებისა, იგი დაინთქმის სიღრმესა ქვესკნელისასა“[1].

ან:

„არცა დაადგრების ჰაერი მარადის ზამთრისა მყინვარებასა ზედა, მოიზიდვენ მზისა შარავანდედთა სიტფოსა და დაიწყებენ დნობად თოვლთა, რცხად მყიათა ნაზამთრთა. შენცა განაგდე სიზამთრე და ყინვისა მიერი უნაყოფოებისა მსგავსი ცოდვა შენი, რომელი არა უტევებს ნაყოფისა გამოღებად თავსა შენსა, და მოიზიდე მადლი მზისა მის სიმართლისა ქრისტესი, და ადინე ცრემლნი თვალთა შენთა, მსგავსად თოვლისა ლანქერისა, და განბანე გვამი შენი და იყოფოდე განბანილი, ვითარცა იტყვის ესაია: „განიბანებით, განიწმიდენით და მოისპეთ უკეთურება“[2].

ორატორი ოსტატურად იყენებს განმეორების რიტორულ ხერხს. ხშირად ვრცლად გაშლილი თხრობის მანძილზე მრავალჯერ ნახსენები სიტყვა რელიეფურად გამოჰყოფს უმთავრეს სათქმელს და ამით ძირითადი აზრის მკვეთრად გამოთქმას ემსახურება. აქ ფრაზების მოცულობის სხვადასხვაობით თავიდან აცილებულია მოჯარბებული განმეორებით მოსალოდნელი მონატონურობა და მიღწეულია მინიშნებული აზრის თვალსაჩინო ხაზგასმა. ამ გზით ორატორი ოსტატურად ახერხებს გამონათქვამთა წყებიდან ამა თუ იმ სათქმელის გამორჩევას და მისადმი მსმენელის ყურადღების მიპყრობას. ასე. მაგალითად: „სიკვდილი ვითარცა არარა არს და განმაქარვებელი ჩვენი არს; სიკვდილისა არსება უჩინო არს და ხილულისა ჩვენისა არსებისა უჩინო მყოფელი არს; სიკვდილი უკორცო არს და კორცთა ჩვენთა დამადნობელი არს; სიკვდილი უსულო არს და სულთა ჩვენთა წარმტაცებელი არს; სიკვდილსა ძარღვნი არა ასხენ და ნაწევართა ჩვენთა დამწყნელი არს; სიკვდილსა ძვალნი არა აქვს და ძვალთა ჩვენთა განმაშიშლებელი არს; სიკვდილი უჴმო და უსიტყო არს და სიტყვათა ჩვენთა დამადუმებელი არს; სიკვდილი უცნობო არს და ცნობათა და გონებათა ჩვენთა მიმღებელი არს“[3].

ხანდახან ორატორი იმავე განმეორების ხერხს რამდენიმე აზრობლივი ნიუანსის ხაზგასმას აკისრებს, მაგალითად, საერთოდ ლოცვისა და კერძოდ დუმილით ლოცვის მნიშვნელობას ასეთი

---

[1] სწავლა უთმინოებისათვის.

[2] სწავლა ცოდვასა ზედა დაუდგრომლობისათვის.

[3] სწავლა სიკვდილის დღისათვის.

სახით გადმოგვცემს: „დუმილით ლოცვითა მოსე უფლისაგან მღაღადებლად იწოდა. დუმილით ლოცვითა ანნა წინასწარმეტყველი შვილიერ იქმნა. ლოცვისა მდუმრადითა იპოება სოფელი ესე. დუმილისა ლოცვითა და ვედრებითა აღგემატების დღენი. დუმილისა ლოცვითა მოგვცემისთ სიმდიდრე. დუმილის ლოცვა მჯურვალე აღგიზრდის შვილთა. მდუმრადი ლოცვა მოგვცემსთ ცვართა წვიმათათა და ნაყოფთა ქვეყანისათა. დუმილით ლოცვა მჯურვალე მოგაშორებსთ მტერთა უხილავთა.

განკრძალული ლოცვა დაგამოყვრებსთ მტერსა ჴორციელსა. ლოცვა მოწყალე ჰყოფს მეპატრონესა შენ ზედა. ლოცვა წარგიმართებს ყოველთა გზათა შენთა. ლოცვა აღავსებს სავაჭროსა შენსა საუნჯითა. ლოცვანი გიჴსნიან ყოვლისა ფათერაკისაგან. ლოცვა განგარინებს უჟამოდ სიკვდილისაგან. ლოცვა დაგიფარავს ცოდვისაგან. ლოცვა შეგინდობს ნაქმნარსა ცოდვათა. ლოცვა განგიღებს კართა სამოთხისათა. ლოცვა შეგიყვანებს სასუფეველსა შინა. ლოცვა მოგაშორებს ეშმაკსა. ლოცვა დაგამეგობრებსთ ანგელოზთა. ლოცვა გაჩვენებსთ პირსა ღმრთისასა და დაგამკვიდრებს მუნ საუკუნოდ“[1].

ს.-ს. ორბელიანი მოვლენებს ხატავს მოქმედებაში. ამით დიდ თვალსაჩინოებას ანიჭებს საკუთარ აზრებს. მისი სიტყვის მთელი აქსესუარი აზრის გათვალსაჩინოებას ემსახურება. ამ მიზნით იყენებს ის, მაგალითად, მხატვრულ ჰიპერბოლას. ზოგჯერ ორატორი ჰიპერბოლური გამონათქვამების მთელ სისტემას ქმნის, რათა უფრო დამაჯერებლად წარმოადგინოს სათქმელის შინაარსი. ასეთი სახეის ნიმუშს წარმოადგენს „სწავლა საუკუნესა ზედა შიშისა“, რომელშიც ნათქვამია:

„უკეთუ ქვეყანა ვიდრე ცამდე ღრმითა აღსავსე იყოს და ათიათასთა წელიწადთა შინა სირი ერთგზის ერთსა მარცვალსა შესჭამდეს, აღირიცხე: რაოდენგზის ათიათასი წელი გამოჰქდეს მის ღრმისა შეჭმამდე? იგი ღრმიცა აღილევის, ხოლო ჯოჯოხეთისა სატანჯველი არაოდეს დაილევის.

გესმეს ესეცა: ყოველნი ზღვანი რომე განქმულ იყოს და არცა წვეთი წყალი დგეს, მოვიდეს კაცი ვინმე, დადგეს კიდურსა მას ნაზღვავთასა, ათიათასთა წელიწადთა შინა თვითოთა ცრემლთა შთამოაგდებდეს ზღვისა მის აღვსებადმდე, რაოდენი ბევრნი წელნი გამოჰქდენ? იგი ზღვისა ადგილი ცრემლითა აღივსების და, თუმცა ჯოჯოხეთსა შინა შეხველ, გამოსლვა აღარ იქმნების“.

---

[1] სწავლა ეკლესიასა შინა დუმილისათვის.

მეტად მოხერხებულად იყენებს ორატორი ეპითეტებს, შეკრთხვებს, მიმართვებსა და შორისდებულებს, რომლებსაც აზრის თვალსაჩინოდ, მკვეთრად და გამომეტყველად გამოხატვას აკისრებს. ასეთი გამოხატვის ბევრი შესანიშნავი მაგალითია ს. ორბელიანის ზეპირ მეტყველებაში. ეს მეტყველება ხშირად უჩვეულო სიმაღლემდე აღწევს და სრულქმნილი ხელოვნების სახით გვევლინება. ასეთ ხელოვნებად შეიძლება ჩაითვალოს, მაგალითად, ს. ორბელიანის „სწავლა ქრისტეს ვნებისათვის და გლოისათვის სულისა“, რომელშიც ჩართულია ზეპირი მეტყველების ნამდვილი შედევრი—დედის მიერ ქრისტეს დატირება. ორატორის ცოცხალი ენამზეობა აქ ასე ამაღელვებლად ღერს: „ჭ, ძეო ჩემო საყვარელო, ვითარ გხედავ შენ? შვილო, შვილო, მძიარულებაო ჩემო, რა-მე ვყო? ნათელო თვალთა დედისათაო, დამიბრმო თვალთა ნათელი გვირგვინმან ეკლისამან, რომელი გწერტს თავთა შენთა! შვილო ჩემო, შვილო ჩემო, ყოველთა შესაეედრებელო, ვისსა-მე მივილტოდე მეხვაიშნესა თანა? განმეცემიან ღვიძლთა სამსჭვალნი ჴელთა და ფერჴთა შენთანი, ვინა მიოხებს საზარელსა ამას საქმესა, სადა ვეძიო შემწე წყალობისა ჩემისა, რომელსა განმიპობს გულსა ლახვარნი გვერდისა შენისანი? ვაი, არს ჩემდა, ძეო ჩემო, სძენით და ხილვით! გხედავ შენ ჯვარსა დამოკიდებულსა და ვერარასა გარგებ: გელმის, შვილო, ჴელნი და ფერჴნი და არ ძალ-მიცს კურნება, სავსე ხარ ტკივილითა მწარითა და ვერა შეგეწევი, გხედავ ავაზაკთა შორის მოკიდებულსა და ვერა გარდამოგჴსნი, [გხედავ] გვერდგანღებულსა და წამალსა ვერა დაგდებ, გხედავ მწყურვალსა და არა მაქვს წყალი, რათამცა გასვა, ხოლო უსჯულონი გასმევენ ნაღველსა და ძმარსა აღრეულსა. ვაი, საწყალობელსა დედასა! წარვიდე წყალთა მოღებად, ვინა უწყის, ვერღარა მოგისწრო, ვიდრე სიკვდიდმდე? რა-მე ვყო შეიწრებულმან?“

ს.-ს. ორბელიანის სამქადაგებლო შემოქმედება ქართული კლასიკური ჰომილეტიკის ძვირფასი საუნჯეა. ის ქრისტიანული სამოძღვრო მწევრმეტყველების დიდი და საუცხოო შენაძენია. ეს მდიდარი და ოსტატური ორატორული ხელოვნება ორგანულ კავშირშია მოგვიანო ანტიკურ ბერძნულ მქადაგებლობასთან, უშუალოდ გამომდინარეობს შუა საუკუნეების ქართული სასულიერო მწევრმეტყველებიდან და ამ უკანასკნელის ახალი, უაღრესად მაღალი საფეხურია. ს. ორბელიანი დიდი ქართველი მქადაგებლის ი. ბოლნელის ღირსეული მემკვიდრეა; ის წარმატებით აგრძელებს სახელოვანი მასწავლებლის გზას და თავისი ორიგინალური შემოქმედებით ამდიდრებს ჩვენს ეროვნულ სასულიერო კულტურას. ამ კულ-

ტურის ერთი ნაკადი სამქადაგებლო ხელოვნებაა, რომლის დიდი აღორძინება XVII — XVIII საუკუნეებში დაკავშირებულია გამოჩენილი საეკლესიო ორატორების — ნიკოლოზ რუსთველის, იობ პიტარეთელის, გერმანე მონაზონის, ბესარიონ კათალიკოსის, სულხან ორბელიანის, ანტონ კათალიკოსის, საბა ნინოწმიდელის, აბიბროსი ნეკრესელის, ანტონ ცაგერელ-ჟყონდიდელისა და სხვათა სახელებთან. მათ შორის სულხან-საბა ორბელიანი გამოირჩევა თავისი ცხოვლად აქტუალური, მხატვრულად სრულყოფილი და ეპოქის სულით გაჟღენთილი ორატორული შემოქმედებით.

12. ზაქარია გაბაშვილი

1707 — 1783

ზაქარია გაბაშვილი XVIII საუკუნის ცნობილი სასულიერო მოღვაწე, მწიგნობარი და ორატორია. სარწმუნოა საისტორიო წყაროებში ის მოხსენებულია როგორც განსწავლული მწერალი, „მშვენიერი რიტორი და უცხო მოქადაგე". მისი ორატორული უნარი და დამსახურება ბევრგან საგანგებოდ აღნიშნულია; იხსენიება აგრეთვე ორატორის სამქადაგებლო შემოქმედებით მოგვარებული საქმე—ქიზიყელთა შორის ქრისტიანობის დაცვა, რაც მისთვის დაუვალებიათ იმ მაჰმადიანური ზეგავლენის წინააღმდეგ, რასაც ჩვენში მოძალადე ლეკები აწარმოებდნენ.

იოანე ბატონიშვილი თავის „ყალმასობაში" გარკვევით აღნიშნავს: „ზაქარია გაბაშვილი... იყო ძველთა ფილოსოფიისა სწავლათა შინა გამოცდილი და ღვთისმეტყველებასაცა მიწევნილი, მშვენიერი რიტორი და უცხო მოქადაგე. ამან იღვაწა ქიზიყსა შინა ქადაგებითა, რომელთა შორის შევიდა მცირედ ლეკიანობა და მალე მოაქციენა იგინი. ესე იყო მშვენიერი მწერალი და მთხზველი მაღალსა ფრასსა ზედა"[1].

აქ წარმოდგენილია ზაქარია გაბაშვილის ორატორული შემოქმედების საკმაოდ სრული სურათი.

ჩვენი კულტურის ისტორიაში ცნობილია ანტონ კათალიკოსისა და ზაქარია გაბაშვილის მტრული ურთიერთობა, აღმოცენებული რელიგიური უთანხმოების ნიადაგზე, რასაც ბევრი საზიანო შედეგი მოჰყვა როგორც ერთისა, ისე მეორისათვის და, რაც მთავარია, ქართული კულტურისათვის. საქმე ის არის, რომ თეიმურაზ მეორის კარის მოძღვრად ყოფნის დროს ზაქარია წინ აღუდგა ანტონის კათოლიკურ ტენდენციებს და გახდა თაოსანი მძლავრი ოპოზიციისა, რასაც მოჰყვა კათალიკოსის დამხობა.

თეიმურაზ მეორის გარდაცვალების შემდეგ, როგორც ცნობილია, მდგომარეობა შეიცვალა. მეფე ერეკლემ, რომელსაც უსამართლოდ

[1] იოანე ბატონიშვილი, ყალმასობა, II, გვ. 195.

მიაჩნდა კათალიკოსის დევნა, მკაცრი წყრომით შერისხა ზაქარია, სამშობლოში მოიწვია რუსეთს გადახვეწილი ანტონი და დაუბრუნა მას წართმეული უფლებები.

1764 წელს ზაქარია გაბაშვილი გასამართლებული და განდევნილი იქნა.

პატივაყრილი ზაქარია 1767 წელს გაემგზავრა რუსეთში, სადაც ერთხანს ეახტანგ მეექვსის შთამომავალთა წრეს შეეკედლა, შემდეგ ჩამოვიდა იმერეთში და სოლომონ პირველის კარს შეეფარა.

ამ პერიოდს ეკუთვნის მისი ორატორული ქმნილება, მიძღვნილი სოლომონ პირველისადმი[1].

ზაქარია გაბაძვილის სიტყვა წარმოადგენს იმერეთის მეფის სოლომონის რიტორიკულ შესხმას ჩხერის ომში (1774) გამარჯვების გამო.

შესხმის საერთო შინაარსი და ცალკეული თქმები გვარწმუნებენ, რომ სიტყვა ჩხერის ომიდან დაბრუნებული ძლევამოსილი მეფის შეხვედრითაა გამოწვეული. უდავოდ შემცდარია „დროების“ კორესპონდენტი ივანე გვარამაძე (ვინმე მესხი), რომელიც ამ სიტყვას უკავშირებს სოლომონ პირველისა და ერეკლე მეორის შეერთებულ ლაშქრობას ჯავახეთში, კერძოდ ახალქალაქში (1772). ი. გვარამაძე წერს: „ახალქალაქითგან მობრუნებული მეფე სოლომონი თუ რა ავლადიდებით მიუღიათ იმერლებს — ამას აცხადებს მაშინდელი წარმოთქმული შემდეგი სიტყვა“[2].

აღნიშნული ლაშქრობის შესახებ საისტორიო პირველწყაროში ვკითხულობთ: „წელსა 1772 ქორონიკონს 460, კვალად უთხრა ლეონმან ივან ლაერენტიჩმან მეფეს ირაკლის: „ერთხელ კვალად დაჰკარ ხონთქრისა მამულსაო, რომელ შენს ერთგულებაზედ გული დააჯეროსო“ (ეკატერინე მეორემ.—ნ. კ.). ეზრახა ამ საქმეზედ იმერთა მეფესა სოლომონს, შეჰკრბენ ორნივე მეფენი სურამის ბოლოს, გარდავლეს მთა საციციანოსი, მივიდნენ და ჯავახეთის ახალ-ქალაქს შემოადგნენ და ძლიერად შეამჭირვეს, კნინღა აღებადმე“[3].

იგივე პირველწყარო ქვემოთ გვაუწყებს, რომ ომი არ მომხდარა, ლაშქრობა შეწყვეტილი იქნა სოლომონ პირველის მძიმედ დაავადების გამო.

არაფერი ამის მსგავსი არ არის ზაქარია გაბაშვილის სიტყვაში. პირიქით, აქ ნაგულისხმევია დიდი ომი, ნახსენებია „თათართა სისხლით შელება მიწისა“, „ხუთი ათასი თათრის ბილწი სულები“,

[1] ქართული მწერლობა, ტ. 190—192.

[2] გ ი ნ ა მ ე მ ე ს ხ ი, ისტორიული მასალები („დროება“, 1879, №198).

[3] საქართველოს ცხოვრება, ტ. 267.

რომელთა გაქრობით „ცამან იხარა და ქვეყანამან“ და ა. შ. ეს შინაარსი სავსებით გამოხატავს იმ სისხლისმღვრელ ომს, რომელსაც ადგილი ჰქონდა 1774 წელს ჩხერისა და ვახანის მიდამოებში[1].

ამრიგად, ზაქარია გაბაშვილის ხსენებული სიტყვა ეხება არა ჯავახეთში ლაშქრობას, არამედ ჩხერის ომს[2].

ივ. გვარამაძისათვის დანამდვილებით ცნობილი არ იყო სიტყვის ავტორიც. სიტყვა წარმოთქმულია „ვგონებ ანტონ კათალიკოზის მოწაფე გაბაშვილისაგან“[3],—წერს ის. ეს ვარაუდი სწორი აღმოჩნდა: საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ყოფილი მუზეუმის ხელნაწერში—H-926 — „ბარამ-გულანდამიანის“ გვერდით მოთავსებულია ეს სიტყვა, რომლის ტექსტში ავტორის სახით მოხსენებულია „მოძღვარი ზაქარია“ ანუ იგივე ზაქარია გაბაშვილი[4].

ზაქარია გაბაშვილის სიტყვა, თქმული სოლომონ პირველის მიმართ, ქართული სადღესასწაულო მჭევრმეტყველების მეტად თავისებური და გამორჩეული ნიმუშია. ის სახოტბო ხასიათის ორიგინალური ორატორული ქმნილებაა, რომელიც ყურადღებას იქცევს თავისი მაღალფარდოვანი რიტორიკული სტილითა და რთული მხატვრული კაზმულობით. ძეგლის მდიდარ, მაგრამ ძნიმედ შეფერილ და ხელოვნურად ნაკეთებ გარეგნობას დაჰკრავს ფსევდოკლასიკური გამოსახვის იერი, რაც საგრძნობლად აფერხებს თავისუფალი აღქმის პროცესსა და ესთეტიკური სიამის განცდას. მიუხედავად ამისა, ზაქარია გაბაშვილის ზეპირი მეტყველება თავისი მძლავრი, ომახიანი დინებითა და ჭარბი კოლორიტული შეფერილობით იზიდავს და იპყრობს მსმენელის გულისყურს. ფორმის თვითმიზნური დანიშნულების ტენდენცია ასუსტებს სიტყვის ღრმა და ხანგრძლივი გავლენის უნარს, მაგრამ მეტყველების პროცესში უნარჩუნებს მას საკმაო ძალასა და მოქნილობას.

ზაქარია გაბაშვილის სიტყვის სახით ჩვენ საქმე გვაქვს ქართული ზეპირმეტყველების ბუნებრივი გზიდან ერთგვარ გადაცდენასთან, რაც ანტონ კათალიკოსის ენობრივი სისტემის თავისებურ გამოკრთომას უნდა წარმოადგენდეს. ეს მოვლენა შესაძლოა იყოს შემთხვევითი, მაგრამ იმის მაჩვენებელია, რომ წერილობით მეტყველებაში შექმნილ შეფერხებას სავსებით ვერ ასცდა ზეპირი მეტყველება და არსებული ვითარება აისახა ორატორულ ხელოვნებაშიც.

[1] ნ. ბერძენიშვილი და სხვ., საქართველოს ისტორია, I, გვ. 359—360.

[2] ლ. ქუთათელაძე, ზაქარია გაბაშვილის რიტორული თხზულება, გვ. 41—44.

[3] ვინმე მესხი, დასახელებული წერილი.

[4] ლ. ქუთათელაძე, დასახელებული წერილი.

ზაქარია გაბაშვილის ხსენებული სიტყვა მძლავრი შემოქმედებითი ალმაფრენით წარმოთქმული ორატორული დიფირამბია, რომლის ხოტბა-დიდების ობიექტს იმერეთის მეფე სოლომონ პირველი წარმოადგენს. ორატორი მიმართავს გამარჯვებულ მეფეს ტრიუმფალური ზეიმის პირობებში და წრფელი აღტაცებით გამოხატავს საყოველთაო სიხარულს. ზვიადი და ლაღი განწყობილების უჩვეულო გარემო თავისთავად ქმნის მაღალფარდოვანი სიტყვის საჭიროებას, რასაც უზრუნველყოფს დიდი განცდით შთაგონებული მეტყველი, რომლის ხელოვნურ ღაღადს არსებულ პირობებში, უნდა ვიფიქროთ, ბუნებრივი სახე ექნებოდა.

მეფისადმი პირდაპირი მიმართვისა და მომცრო ლირიკული შესავლის შემდეგ ორატორი წარმოთქვამს ვრცელ და განუყოფელ ეპიზოდს, რომლის რთული და მრავალფეროვანი კაზმულობა გაერთიანებულია ერთი მხატვრული სისტემის საფუძველზე. ეს სისტემა მრავალ საყურადღებო ორატორულ ხერხს შეიცავს:

„ნამდვილ არსი ვიყო, ყოველს უსხეულოს სახეებს ჯარად შეგიყრი და მუდამ შენის ძლევა-გამარჯვების გალობას ტკბილ შეწყობილ კილოთი ვაგალობებ; საუკუნოება ვიყო, სამარადისოდ მეფობაშიდ დაგიცავ და სიკუდილის შავს დროშას შენს დიდებულს კარზედ არაოდეს მოუშვებ; თვით-ცხოველება ვიყო, ცოცხლების მდივნებს ერთად შევყრი და უკვდავების დარბაზში დავასხამ, რომ შენის სიცოცხლისა წერისაგან არაოდეს დასცხრენ; სულობისა ფერო ვიყო, ყოველს სულიერს ხმა-ტკბილობის ნიავს მივბერავ და შენის ახოვნების და ქების საკრაველს ხელშიდ მივსცემ, რათა გალობდენ იამბიკოსა ძლევისასა ტკბილ-ნაზავითა კილოთა... ეთერის ცეცხლი ვიყო, ყოველს ღამეს ლამპრების ჩირახოვანს შენ და შენს მხედრობას დას-დასად აუნთებ; ზღვა ვიყო, ღელვა-ჩქეფისაგან ჭელს ავიღებ და სადაც სადაფში მარგალიტი მეგულების სამეფო, დღეშიდ ცხრასა და ცხრას მოგართმევ ლანკარს და ძლევას მოგილოცავ; ქვეყანაჲ ვიყო, მაღლა მთათა და გორა-კლდეთა სულ ვაკე მეიდნად მოგირთავ, ყოველს უცხო ფეროვანს ყვავილს კონად და კონად აღმოვაცენებ, დილა-დილასა იერიქო ვარდის წვიმას ვაწვიმებ, ირემ-ჭურციკ-თხათა, დურაჯ-კაკაბ მტრედთა, ღალღა-ხოხობმწყერთა ყოველ ადგილს ჯარად და ჯარად წინ დაგახვედრებ, რომ ნადირობით და ფართოებით შეექცეოდეთ ქრისტეს მოსახელეთა მჯედრობათა თანა![1]

სიტყვის ამ ძირითად კომპოზიციურ ეპიზოდში, როგორც ითქვა, ბევრი მხატვრული ხერხია გამოყენებული. მათ შორის განსაკუთ-

[1] ქართული მწერლობა, გვ. 190—191.

რებით საყურადღებოა: მსგავსი ფორმების განმეორება, მეტაფორული და ჰიპერბოლური გამოთქმები, ეპითეტები და სიმეტრიული ფორმები.

მსგავსი ფორმების განმეორება ზაქარია გაბაშვილის ზეპირი მეტყველების უმთავრესი პრინციპული მხარეა, რომელიც განსაზღვრავს ორატორის ენობრივ თავისებურებას. აქ საქმე გვაქვს განმეორების რთულ სახეობასთან—ფრაზების ერთნაირი წყობისა და მსგავსი სათავეების ხშირ წარმოთქმასთან. ფრაზების ერთნაირი წყობა ანალოგიურ კონსტრუქციებში გამოიხატება, ხოლო მსგავსი სათავეები—სტერეოტიპულ საწყისებში.

ანალოგიური კონსტრუქციებია:

ნამდვილ არსი ვიყო, ყოველს უსხეულოს სახეებს ჯარად შეგიყრი და მუდამ შენის ძლევა-გამარჯვების გალობას ტკბილ შეწყობილ კილოთი ვაგალობებ; საუკუნოება ვიყო, სამარადისოდ მეფობაშიდ დაგიცავ და სიკუდილის შავს დროშას შენს დიდებულს კარზედ არაოდეს მოუშვებ...“, — და სხვა.

სტერეოტიპული საწყისებია:

„ნამდვილ არსი ვიყო...“; „საუკუნოება ვიყო...“; „თვით-ცხოველება ვიყო...“, — და სხვა.

მეტაფორული გამოთქმები ზაქარია გაბაშვილის ზეპირი მეტყველების ნიშანდობლივი სამკაულებია, რომლებსაც ხშირად მიმართავს ორატორი. მაგალითად: „სიკუდილის შავს დროშას შენს დიდებულს კარზედ არაოდეს მოუშვებ“. „ცოცხლების მდივნებს ერთად შევყრი და უკვდავების დარბაზში დავასხამ, რომ შენის სიცოცხლისა წერისაგან არაოდეს დასცხრენ“; „სამეფო კარად ხედ გარდაგერთხმი“; „ჩოქით დაგპატიჯებ მხედრებითურთ ჩემის ეტლის პალატში“; „ვარდის წვიმას ვაწვიმებ“, — და სხვ.

ჰიპერბოლური გამოთქმები ზაქარია გაბაშვილის ზეპირი მეტყველების ხატოვანი ელემენტებია, რომელთა ოსტატური გამოყენებით ორატორი აცოცხლებს და აძლიერებს თავის სიტყვას. მაგალითად: „ელვარების ფარდაგს ქვეშ გაგიშლი, ერმის და მთოვარეს მერიქიფეთ თავს დაგაყენებ და განთიადის მთიებს წინ დავაჩოქებ, რომ ომის ამბავს მღიმარის პირით და სასიხარულოს ხმით უამბობდეს თავის ქვეშეთა ვარსკვლავთა, ყოველს ჩემს სხივსა და შარავანდედის კიდურზედ სოლომონს დავსწერ და იმგრგულივ გარდავხურავ ყოველსა ქვეყანასა, რათა სცნან ყოველთა თემთა სიმხნე შენი“; „ზაფხულის პირსა ყარამფილთა და ვარდის ფურცელთა კინამო-ზმირთა თანა ფეინთაზად გაგიშლი და უბრძანებ ნიავ-წურილ სურნელთა ფშვათა ერთად შეკრბენ და ჭრელად იგალობონ გამარჯვებისა შენისა შესხმანი“, — და სხვ.

ეპითეტები ზაქარია გაბაშვილის ზეპირი მეტყველების ცოცხალი ჩუქურთმებია, რომლებითაც ამკობს ორატორი განსაკუთრებით საგულისხმო სახეებს. მაგალითად: „ტკბილ-ნაზავი კილო“; „სისხლის მჩქეფელი ხმალი“; „მღიმარი პირი“; „ფეროვანი ყვავილი“,—და სხვ.

სიმეტრიული ფორმები ზაქარია გაბაშვილის ზეპირი მეტყველების თანაზომიერი კონტექსტებია, რომლებსაც დიდი ჰარმონია შეაქვთ სიტყვაში თავიანთი სტილისტიკური პროპორციულობით. მაგალითად: „ირემ-ქურციკ-თხათა, დურაჯ-კაკაბ-მტრედთა, ღალღა-ხოხობ-მწყერთა ყოველ ადგილს ჯარად და ჯარად წინ დაგახვედრებ“.

ზემოთმოყვანილი ვრცელი შესიტყვების შემდეგ ორატორი კვლავ მცირე ლირიკულ წიაღსვლას აკეთებს და ბიბლიური სახეებისა და სოლომონ პირველის მხატვრული პარალელებით აგებს მეტყველებას: „ეჰა, ეჰა, დავით! აჰა, ძე შენი, ახალი ძე შენი, ახალი სოლომონ, მორჩი შენი უცხო თესლთა დაცემითა და ყოველითურთ მზგავსი შენი! უცნობოდ ტკბილად ქნარითა მამადიანთა ძლევასა კრთებოდე შენცა, დავით აღმაშენებელო მეფეო! აჰა, სოლომონ შვილის-შვილმან შენმან შენგან ისწავა თათართა სისხლით შეღება მიწისა და ხუთი ათასი სული ერთად აღმოხეთქა თათარ-ლეკთა! გავს, რომ შენი კურთხეული ხრმალი და სპეტაკი დროშა მისთვის დაგიტევებიეს! მოვედ, მოვედ ზეცით, აკურთხე და მიულოცე ძლევანი!“[1]

ამის შემდეგ ზაქარია გაბაშვილი ისევ პირდაპირ მიმართავს სოლომონ პირველს, ლამაზი და სხარტი გამოთქმებით ასურათებს მეფის ღვაწლმოსილებას, მსუბუქი ირონიით იხსენიებს დამარცხებულ მტერს და ნათელი სასოებით ქმნის მტკიცე რწმენის განწყობილებას: „ჭი, უდიდებულესო მეფეო! აწ საიდუმლოდ მოიხსენე სიტყვანი ჩემნი, ვიცი შენს ტკბილს გონებას არ ეწყინება, ზეცას ანგელოზნი განამხიარულენ ამისთვის, რომ მრავალნი ქურივნი და ობოლნი გამოიხსენ ოხრობისა და მტყვეობისაგან; ერთა შენთა და მეგობართა გული გაუცისკროვნენ; ცამან იხარა და ქვეყანამან; მგონია, ჯოჯოხეთმანც გაიხარა: ხუთი ათასი თათრის ბილწი სულები ერთად ჩაყლაპა! მამადის საფლავი დაიქცა, მურთუზალის ოჯახი დაეცა, ომარ გლოვის ძაძით შეისუდრა; ხუთი ათასი სული ერთად მოკუდა! ეს ძალი ღმერთმან მოგცა, ეს ძლევა-გამარჯვება ზეციდან მოგეცა“[2].

---

[1] ქართული მწერლობა, გვ. 191.

[2] იქვე. გვ. 191—192.

ამას მოსდევს სიტყვის უკანასკნელი ეპიზოდი, სადაც ორატორი ისევ პირად შესიტყვებას აწარმოებს მეფესთან და მხურვალე მუდარით შესთხოვს მას: „ჩემო ხელმწიფევ! ვიცი მდაბალი ხარ და სიმდაბლე გიყვარს და იმაზედ გლოცავ და გეეჭვრები, რაც ახლა სიმდაბლე გაქვს, შვიდი იმოდენი სიმდაბლე მოუმატე და ისრე მადლობა მიეც ღმერთსა შენსა; ერსა და სამეფოში მძვიდობა ჩამოაგდე; მეზობელთა და გარემოთაცა შენთა მშვიდობა მიფინე; ქეშმარიტის გულით ინებე და ქმენ მშვიდობა!“[1]

დასასრულ, ამ მუდარის შესრულების სამაგიეროდ უზენაეს ამაღლებას უქადის ორატორი ხელმწიფეს და არწმუნებს მას ზეციური სიკეთის გარდაუვალ მომადლებაში: „ქრისტეს ბზგავსი შეიქნები, მტყვენი განთავისუფლდებიან, ეკლესიანი აღყვავდებიან, შენთვის იღოცვენ, შენს სახელს ღმერთი განადიდებს. თუ ასე იქ—ამ სოფელს განითქმი და იდიდები და იმ სოფლის მეფობასაც იშოვნი, და თუ ვინმე მტერი გამოგიჩნდება და ან ზაკვით შემოგადგება — ირწმუნე ჩემის ქეშმარიტებით, ირწმუნე, რომ უეჭველად იმათ ღმერთი დასცემს შენის ჴელით და შენს მაგიერად ძე მღვთისა ებრძოლება და განითქმი ყოველსა ქვეყანასა. იყავნ მეფობა შენი უკუნისამდე!“[2]

ამრიგად, ზაქარია გაბაშვილის ზეპირი მეტყველების სიტყვაკაზმული ფორმა, შეფერილი ხელოვნური იერითა და გამოხატული მაღალფარდოვანი სტილით, უხვად შეიცავს შინაარსის ცოცხლად გამოთქმის ხერხებს და თავისი ექსპრესიული ბუნებით ქეშმარიტი მჭევრმეტყველებაა.

---

[1] ქართული მჭევრმეტყველება, გვ. 192.

[2] იქვე.

13. ანტონ კათალიკოსი

1720—1788

კათალიკოსი ანტონ პირველი (ბაგრატიონი) ქართული კულტურის ისტორიაში კარგად ცნობილი პიროვნებაა. ის გამოჩენილი ღვთისმეტყველი, მწერალი, ფილოსოფოსი და მეცნიერია. მან შესამჩნევი კვალი გაავლო თავისი დროის აზროვნების თითქმის ყველა დარგს და დიდი ცოდნა, ინტერესი და სიყვარული გამოიჩინა მრავალმხრივი შემოქმედების ყოველ სფეროში. განსაკუთრებული წარმატებით ანტონი სასულიერო მწერლობის ასპარეზზე მოღვაწეობდა. აქ საკუთარი სააზროვნო სისტემითა და ფართო დიაპაზონით გამოირჩეოდა ის ეგზეგეტიკის, დოგმატიკის, პოლემიკის, ასკეტიკის, კანონიკისა და აკიოგრაფიის დარგებში. ნაყოფიერად მუშაობდა ის ისტორიის, ლინგვისტიკისა და ფილოსოფიის სფეროებშიც.

ანტონ პირველი ბევრი სარწმუნო დოკუმენტით დამოწმებული ორატორია. ის თავისი დროის ზეპირი სიტყვის ოსტატი და შემოქმედია. მას უმუშავნია სამქადაგებლო და სამგლოვიარო მშვერმეტყველების დარგებში, მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენამდე მოღწეულია მისი მხოლოდ ორიოდე ორატორული ძეგლი: ერთი — ქადაგება, თქმული „დღესასწაულსა მიგებისასა უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესა“[1], ხელნაწერის სახით, და მეორე — სამძიმრის წერილი, მიმართული ანა-ხანუმ დედოფლისადმი[2], ბეჭდური სახით. ეს უკანასკნელი ეპისტოლარული მშვერმეტყველების ძეგლია.

აქ უნდა აღინიშნოს, რომ ანტონის ორატორულ ინტერესს მიუთითებს მეცნიერის ბევრი ნამოქმედარი. მაგალითად: მისი ღვაწლი მხითარ სევასტიელის „რიტორიკის“ გადმოღებაში, საკუთარი საენათმეცნიერო ნაშრომები, განუწყვეტელი ზრუნვა ზეპირი მეტყველების განვითარებისათვის და, დასასრულ, მის მიერ ჩვენში შემოღებული ე. წ. სამი სტილის თეორია. მიუხედავად ყოველივე ამისა,

---

[1] ხელნაწერი H—2353, ფ. 11—14.

[2] „იკვრია, 1879, № 7—8, გვ. 112—115.

ანტონი არ ყოფილა ჩვენში ფართოდ აღიარებული ორატორი როგორც ამას მისი ღარიბად შემონახული მემკვიდრეობაც გვიჩვენებს.

ხსენებული საჰი სტილის მიხედვით, როგორც ცნობილია, მაღალ, მოვლენებზე, ვთქვათ, ღვთისმეტყველების საკითხებზე, წერა და ლაპარაკი მხოლოდ მაღალი, აღზევებული ენით შეიძლებოდა. საფიქრებელია, რომ სწორედ ამ თეორიის პრაქტიკული შედეგი გადაეღობა წინ ანტონის ორატორულ პოპულარობას და გახდა მიზეზი მისი მჭადაგებლობის მივიწყებისა. ამასვე ადასტურებს ანტონ კათალიკოსის ჩვენამდე მოღწეული ზემონახსენები ქადაგება, რომლის „მაღალი სტილი“, რა თქმა უნდა, ხელს ვერ შეუწყობდა მისი შინაარსის გაგებასა და გავრცელებას. ამის საჩვენებლად საკმარისია ამოვიწეროთ ქადაგების შესავალი:

„საღელმან საიდუმლოსა ქნარისამან, სამნეტარისამან, მეხუთემან მახარებელმან დღესასწაულისა ამის შემოსწინა მეტყჳთა სულითა; თქუა — ჩემდამო ნუგეშინისცემდითო ერსა ჩემსა. იტყჳს უფალი: ამან წჳეჳთმან მომიყუანა მე ადგილსა საღმრთისმეტყუელოთა სიტყუათა აღხსნისასა და ხარებად თქუენ ქრისტეს მოსახელისა ერისა დიდისა ამის დღესასწაულისა“[1].

ასეთივე მძიმე და მოუქნელი სტილით გადმოსცემს ორატორი იქვე ბიბლიურ იგავებს. მაგალითად: „ბრწყინვალენო მართლმადიდებელნო ერნო ქრისტესნო! მინდა ქნინი რაჲმე სიტყუა მოგახსენო იგავითი სიტყუისა ღმრთისაჲსა ჯორცთად შეზავებისა, გარნა არა თუ შერევნისა, ვითარ იგი უსჯულონი ევნუქიანნი იტყჳან. ვხედავ ფლურსა სამსა ბუნებით ბრწყინვალესსა ოქროსსა, რომ სამივე ერთი ნაკუეთი არის და ერთის ტჳფრით არის ქანდაკებული ვითამ სიქა ნაკრავი. აღიღების ერთი სამთა მათ დრაჰკანთაგან და შთაიგდების ბრძმედსა ცეცხლისასა ამისათჳს, რომ უნდა სრულიად ცეცხლი შეიქნას, და ასე განჳურდების, ვითარცა ნაკუერცხალი ცეცხლისა. ასე ვხედავთ ბუნებით ბრწყინვალესა მას ოქროსა“[2].

ან:

„ერთიცა სხუა მაგალითი მინდა დაგიდვა ქრისტიანენო, სიტყჳსა ღმრთისა განჴორციელებისა და ჩუენ შორის საჴსრად მიცემისათჳს: ვთქუათ ზღუა აღდუღებული ქართაგან ძჳნვარეთა და, ესე ხომ უწყით ყოველთა, ყოველნი მცურავალნი ცხოველნი ზღუისაგან არიან, რომელთაგანცა ერთი სადაფი არის. ელვამან რამე სამღთომან

[1] ხელნაწერი H—2853, ფ. 11.

[2] იქვე, ფ. 12.

უხრწნელად და განუღებლად პოვა პირი სადაფისა, რომელსა შინა გედეონი[ს] საწმისებრ ცუარი სამლთოჲ შთავიდა და ზესთა გამოთქმისა მარგალიტ იქმნა, და მარგალიტი იგი, რომ ჩუენ ტყუენი ვიყავით, ჩუენის ტყუეობის სახსრად მიცემულ შეიქნა"[1].

ქადაგება მთავრდება შემდეგი მორალისტური დარიგებით:

„ახლა, მართლმადიდებელნო, ვალი გაქვსთ თქუენ: როგორათაც გემსგავსათ ძე ღმრთისაჲ, ეგრეთ თქუენ უნდა ემსგავსნეთ. მოვიხსენებია: მანამდინ არ ემსგავსებით, სასუფეველის შუელებას ვერ მოიგებთ. და თუ მკითხავთ, როგორ უნდა ემსგავსნეთ მას—მორჩილებითა, მოწყალებითა და სიწმიდითა: — მორჩილებითა, როგორათაც თავის საუკუნოს მამასა დაემორჩილა და თქუენისა ცხოვრებისათჳს ჴორცითა სიკუდილი (და რა საყუედრელი სიკუდილი!) დაითმინა,—მოწყალებითა, როგორათაც მოწყალებით გემსგავსათ, თქუენც ეგრეთ უნდა სწყალობდეთ ძმათა თქუენთა ნაკლულევანებასა,— და სიწმიდითა, რომ სიწმიდით უნდა მისცნეთ გვამნი თქუენნი, რომ იგი წმიდათა უწმიდესი არის და არაწმიდათა არა აქუს ნაწილი მის თანა. და ესერა ესრეთ ქმნათ, იქმნებით მსგავს მისსა და ღირს იქმნებით აღსლვად მის თანა ცხოველთა მათ საშუებელთა შინა მისსა. დიდება უკუნითი უკუნისადმდე, ამინ!"[2]

როგორც ზემოთ აღინიშნა, სამქადაგებლო ორატორული ხელოვნების გვერდით ანტონს შეუქმნია სამგლოვიარო მჭევრმეტყველების ეპისტოლარული ძეგლებიც. ჩვენამდე მოღწეული მისი სამძიმრის წერილი, მიმართული ანა-ხანუმ დედოფლისადმი, თეიმურაზ მეორის გარდაცვალების გამო, სამგლოვიარო წერილობითი მეტყველების საინტერესო ნიმუშია. ის შენახულია ოდნავ შეცვლილი ორთოგრაფიული სახით, მაგრამ ინარჩუნებს ავტორის მაღალფარდოვან სტილს და სწორად გადმოგვცემს მის ეპისტოლარულ სამგლოვიარო მჭევრმეტყველებას.

წერილი იხსნება რამდენიმე რიტორიკული კითხვით, რომლებსაც მოსდევს ვრცელი მიმართვა ანა-ხანუმისადმი: „შენ ამაღლებულსა ვისმე მაღალთა მეფეთა მოსაყდრესა პორტჩირისაგან, გულის განსალახვრელად განშიშვლებულსა, მეფა თამარის საყდრით ქვე დაკვეთებულსა, შენისა მის წილ დიდისა ოლიმპიურისა ბრწყინვალებისა საზაროთაგან, ბნელთა ღრუბელთა დაფარულსა, პორტჩირგარდაგებულთა ცხედართაგან, ვაი, ვაი!"[3]

---

[1] ხელნაწერი *H*—2853, ფ. 13.

[2] იქვე, ფ. 14.

[3] „ივერია", 1879, № 7—8, გვ. 112.

ამ შესავლით ავტორი ქმნის დედოფალთან უშუალო მიმართვისა და პირისპირი შესიტყვების განცდას, რასაც შემდეგ ინტიმური შინაარსის მოგონებით აღრმავებს და მეფის სიტყვიერ-მოზაიკური სურათით აძლიერებს. ხელოვნური, მაღალი და რთული რიტორიკული სტილით ხატავს მწერალი თეიმურაზის პორტრეტს და სხვადასხვა პირობებში გვიჩვენებს მის შინაგან სათნოებასა და გარეგნულ მშვენიერებას: „მაგონდება მისი იერიქოს ვარდის უმეწამულესი ტუჩები! ზედ მიჯრით ამბრის მარცვალნი რომ გარდაშლოდა, ლალის უელვარეს ბაგეებს რომ გახსნიდა და სპარსეთის ზღვიდამ ამოღებულის მარგალიტის უბრწყინვალესს კბილებს რომ გამოაკრთოლვებდა, შვენიერად მოხდომილს სახეს რომ ქვე ეკტრის ჯავშნის უმიყრილესი ჯუბა შემოხვეოდა და ზე ახილლესის მოზიდული მშვილდი მოწვდილ იყო. ესებონის ტბათა რომ ეთიოპიის ლაშქარი შემოხვეოდა, ტანი სიმხნისა და სინარნარისა კერძოებად მექონი ლომებრის მოძრაობით მიმოვრდებოდა, იძრვოდა და მისებრ დაყუდნებოდა“[1]...

ლამაზი და მოხდენილი ლირიკული წიაღსვლებით გვაცნობს ანტონი ამ დიდებულ პირთან სიახლოვეს და იქვე გვიზიარებს მისი განშორებით გამოწვეულ პირად მწუხარებას. შემდეგ ავტორი საერთო სევდად აღიარებს საკუთარ მძიმე განწყობილებას და საყოველთაო ნუგეშის ძალით ამსუბუქებს უახლოესი ჰირისუფლის გლოვა-გოდებას. „ვაი, რაღა ვსთქვა, მრაეალნო ხელმწიფენო! აჰა სატრფიალო თქვენი დიდება მეფობისა თქვენისა, გვირგვინ მპყრობელობისა, შვენიერება სიხარულისა, სიმდიდრე ბედნიერობისა, წარჰხდა, მოიმანგლა, განიწვალა, მძვინვარედ იხრწნა უცხოთა თემთა შინა, მოიღო დაცხრომა მისმან მართლმადიდებლობითმან მდიდარმან ცხოვრებამან“[2].

დასასრულ, ანტონი ერთხელ კიდევ მიმართავს იმავე ჰირისუფალს და გულწრფელი სითბოთი გამოთქმული თანაგრძნობით ანუგეშებს მას.

ამრიგად, ანტონ კათალიკოსი სამოძღვრო და სააღმზრდელო მჭადაგებლობისა და ეპისტოლარული სამგლოვიარო მჭევრმეტყველების თვალსაჩინო წარმომადგენელია, რომლის ორატორული მემკვიდრეობა ღარიბადაა ჩვენამდე მოღწეული,—რადგან თავის დროზე ნაკლები პოპულარობით სარგებლობდა, რაც მისი მძიმე და ხელოვნური სტილით უნდა აიხსნას,—მაგრამ საყურადღებოა როგორც მეტად თავისებური და ბუნებრივი განვითარების გზას აცდენილი ეტაპი ჩვენი ზეპირი მეტყველების ისტორიაში.

---

[1] „ივერია“, 1879, № 7—8, გვ. 112—113.

[2] იქვე, გვ. 114.

14. საბა ნინოწმიდელი

საბა ნინოწმიდელის ბიოგრაფიულ ცნობებს ჩვენამდე არ მოუღწევია. ვიცით მხოლოდ, რომ ის იყო მაღალი სასულიერო პირი, ცხოვრობდა XVIII საუკუნეში და მოღვაწეობდა იმ წრეში, რომელიც წინაღუდგა ანტონ პირველის კათოლიკურ ტენდენციებს.

საბა თავისი დროის გამოჩენილი მქევრმეტყველია. ამას ამტკიცებს ჩვენთვის ცნობილი მისი ერთი ორატორული ძეგლი „დაუჯდომელი წმიდისა მოციქულისა ნინასი"[1], რომელიც 1882 წელს გამოაქვეყნა მ. საბინინმა, რომელსაც მიუკვლევია ის „ერთსა ძუელსა წიგნსა შინა"[2].

ამ ძეგლის ბოლოში ვკითხულობთ: „ესე ყოველი ვითარცა გვრგვნი საღთო შეუთხზენ ქართუელთა განმანათლებელსა წმიდასა ღირსსა დედასა ნინას, მეოხსა და მეორესა ემბაზსა სულთა ჩუენთასა. ადიდე ჯუარო! ნინოწმიდელი მიტროპოლიტი საბა"[3]. ამ მინაწერს მ. საბინინი ურთავს ასეთ შენიშვნას: „ვინ არს ეს საბა მიტროპოლიტი ნინოწმიდელი ჰსწორედ არა უწყით, გადამწერი იყო ამ დაუჯდომელისა თუ შემთხზველი? როგორც ჰსჩანს შემთხზველი უნდა იყოს, რამეთუ შემდეგ ლოცუა თქმული მისივე ჩაერთჳს"[4]. საბინინის ვარაუდი სწორად უნდა მიეიჩნიოთ. საბა არა მარტო ასახელებს თავისთავს, არამედ ლაპარაკობს შეთხზვაზე, რაც მას წმიდა ნინოს სადიდებლად უწარმოებია.

საბა ნინოწმიდელის „დაუჯდომელი" სახოტბო მქადაგებლობის შესანიშნავი ქმნილებაა. ის ორიგინალური კომპოზიციით აგებული და მქევრი სტილით გამართული ორატორული ნაწარმოებია, რომელიც გამოირჩევა თავისი კაზმული გარეგნობითა და პათეტიკური თხრობით.

ძეგლი განკუთვნილია მრევლის წინაშე წარმოსათქმელად. ის საეედრებელი შესხმაა ანუ ე. წ. აკათისტო, დაუჯდომელი, რომელიც ორატორული მანერით უნდა შესრულებულიყო.

---

[1] საქართველოს სამოთხე, გვ. 156—166.

[2] იქვე. გვ. 156.

[3] იქვე, გვ. 166.

[4] იქვე.

სიტყვაში რამდენიმე ადგილას ჩართულია შემდეგი რიტორიკული რეფრენი: „ზენაით ბრძოლისა მარად შეშწისა ჩუენისა, შენ მიერ კსნილნი მონებისაგან ბნელისა ფარაოჲსა, ყუავილსა შესხმათასა შევთხზავთ შენდამი, ქალწულებისა ყუავილო ნინა! ქრისტეს მხედრობად აღწერილნი მონანი ზენასა მეუფისანი, არამედ ვითარცა მარად თანამბრძოლად გაქუს მაღალი მისა ძალი, მარად მძლე ექმენ მტერთა ჩუენთა მებრძოლთა, და გვიხსენ ენებისაგან საცთურსა, რათა ანგელოზებრსა გალობასა დავთხზვიდეთ შენდა. გიხაროდენ, სულისა მიერ საღმრთოსა განწმედილო, საღთოო სძალო!“[1]

ყოველ რეფრენს მოსდევს ერთნაირად დამთავრებული ვრცელი ტექსტი, აგებული ანაფორულ წესზე სიტყვა გიხაროდენ-ის განმეორების გზით. ამ გიხაროდენ-თა ტექსტები შეადგენენ ნაწარმოების არსებით შინაარსს: მათი სახით ვლინდება ავტორის მძლავრი მჭევრმეტყველება და მათივე მეშვეობით იქმნება მსმენელთა შთაგონებული განწყობილება.

ქვემოთ ამოკრებილია რამდენიმე მათგანი:

„გიხაროდენ, რომლისა ძლით სიხარული მოგვეფინა, ჩუენ; გიხაროდენ, რომლისა მიერ წყევისაგან პირუსლთა საცთურთასა განვთავისუფლდით; გიხაროდენ, ბნელისაგან ცთომათასა დაცემულისა ქართუსლთა აღმადგინებელო; გიხაროდენ, მუნათა დედათა ცწუხარებისა ცრემლთა დამშრეტელო; გიხაროდენ, მეკერპეთა გულის სიტყუათა ზესთა სიტყჳსა მეცნიერებად აღმყუანებელო; გიხაროდენ, ანგელოზთაცა მიუხედვისა დაფარულისა საიდუმლოსა ჩუენდამი გამომაცხადებელო; გიხაროდენ, რომელმან ცეცხლის ფერთა საყდართა ზედა მჯდომარე განგვიცხადე ჩუენ... გიხაროდენ, რომლისა მიერ შევემეცნენით ყოველთა დამბადებელად ყოველთა არსთა მტჳრთუსლსა სიტყუასა; გიხაროდენ შენ ფრიად შუენიერო შორის დედათა, საღთოო სძალო!“[2]

ან:

„გიხაროდენ, საცნაურისა მზისა მეშვისა საღთოსა მთოვარისაგან მოფენილო ჩუენდა, საღთოო ეარსკულავო; გიხაროდენ, ცისკარო ბრწყინუალეო წინა მსრბოლობით მაუწყებელო ჩუენდა, დედისა მის დაუალისა მზისაო; გიხაროდენ, საცთურთა დასაბამისა მის პირად-პირადად აღგზნებულისა ენებისა მისისა დამშრეტელო; გიხაროდენ, მძლავრისა მის კაცთმოძულისა ეეშაპისა მთავრობი-

[1] საქართველოს სამოთხე, გვ. 156.

[2] იქვე, გვ. 156—157.

საგან დამამხობელო; გიხაროდენ, სამებისა ღუთისა მართლ-მორწმუნეობით მმონეთა მარად მეხვაიშნეობითა შენითა მ(ა)ცხლო; გიხაროდენ, უფლისა უფლებათასა კაცთ-მოყუარებით ჩუენთჳს განკაცებულისა ღუთისა მოციქულებრითა შრომითა შენითა მომცემელო ჩუენდა... გიხაროდენ, ყოველთა ნათესაეთა ქართლოსიანთა საუკუნოდ მხიარულებად წინამძღომელო; გიხაროდენ, ფრიად შუენიერო შორის დედათა, საღთოო სძალო!"[1]

ან კიდევ:

„გიხაროდენ, თჳთ არსისა ღუთისა სიბრძნისა უზესთაესითა სიბრძნითა შენითა განმაცხადებელო ჩუენდა; გიხაროდენ, საღმრთოთა მათ წინაგანგებათა მისთა ჯუარითა მრავალთა სასწაულთა განსაკჳრუებელთა სრულ მყოფელო; გიხაროდენ, ფილოსოფოსებრივთა ქუეყნიერთა ამათა და თხზუათა სისრულედ მამხილებელო; გიხაროდენ, რომლისა შესხმად მოსწრაფენი სიტყუა-ხელოვანნი ბრძენნი უხმოდ გამოჩნდებიან შენდამი; გიხაროდენ, რომელმან სულელ და ცოფ ჰყავ მრავალღონე იგი სატანასი... გიხაროდენ, საღთოო ზეციერო ნავო, რომელ წიაღ-იყვან ქუეყანასა ღელვათაგან შენდამი შეევედრებელთა; გიხაროდენ, ნავთსაყუდელო ლიმენავ, შემწყნარებელო სულით ვნებულთა შენდამი მილტოლვილთაო; გიხაროდენ, ფრიად შუენიერო შორის დედათა, საღთოო სძალო!"[2]

ეს მაღალფარდოვანი სტილით გამართული ზეპირი მეტყველება ნათლად გვიჩვენებს საბა ნინოწმიდელის ორატორულ ნიჭსა და ოსტატურ დახელოვნებას; აქვე ჩანს მისი რიტორიკული შემოქმედების ზვიადი სახე და მანერული ხასიათი.

საბა ნინოწმიდელი ანტონ კათალიკოსის ლიტერატურული სკოლის წარმომადგენელია. მათ შორის არსებული უთანხმოების მიუხედავად რელიგიური აზროვნების სფეროში, ისინი, როგორც ირკვევა, ერთი შეხედულებისა იყვნენ ენობრივი ფორმის საკითხში. ერთიცა და მეორეც მაღალი სტილის უპირატესობას იზიარებდა საშუალო და დაბალ სტილისტიკურ ფორმებთან შედარებით და ერთნაირად მაღალფარდოვანი ენით გამოხატავდა საჯაროდ სათქმელს როგორც ზეპირად, ისე წერილობით.

მიუხედავად ამ მსგავსებისა, ნინოწმიდელის შემოქმედების ორატორული ფორმა ლაღად გამოთქმული საზეიმო ტონით გამოირჩევა და მკვეთრად გამოვლენილი ინდივიდუალური ელფერით ხასიათდება. ამ თავისებურებით ისაზღვრება საბა ნინოწმიდელის ღირსეული ადგილი ჩვენი ზეპირი მეტყველების ისტორიაში.

---

[1] საქართველოს სამოთხე, გვ. 159—160.

[2] იქვე, გვ. 163.

15. გაიოზ რექტორი

1746—1821

გაიოზ რექტორი ქართული კულტურის ისტორიაში ცნობილია როგორც მწერალი, დიპლომატი და პედაგოგი. ის აგრეთვე თავისი დროის თვალსაჩინო ორატორია, რომლის საერო და სასულიერო მჭევრმეტყველება შედარებით უკეთ შესწავლილია.

გაიოზის ნამდვილი გვარი ჩვენთვის უცნობია. საგულისხმოა, რომ ის არ სცოდნიათ ორატორის თანამედროვეებსაც. შემდეგი დროის მკვლევართა მიერ ნავარაუდევი გვარები (ბარათაშვილი, თაყაიშვილი, ნაცვლიშვილი) მცდარია და უმართებულო. ამიტომ გაიოზი თანამდებობის აღმნიშვნელი ზედწოდებით იხსენიება.

გაიოზ რექტორი გარდამავალი პერიოდის გამოჩენილი საზოგადო მოღვაწეა — ის ღრმად განსწავლული და ფართოდ განათლებული მწიგნობარია.

გაიოზს მიუღია უმაღლესი საღმრთისმეტყველო განათლება[1]—მას უსწავლია ჯერ თბილისისა და პეტერბურგის სემინარიებში, ხოლო შემდეგ მოსკოვის სასულიერო აკადემიაში. დროდადრო ის მონაწილეობას ღებულობდა რუსეთ-საქართველოს დიპლომატიურ მისიებში და თანდათანობით მაღლდებოდა საეკლესიო იერარქიის კიბეზე.

გაიოზი იყო პირველი რექტორი თელავის სემინარიისა, რომელიც დაარსდა 1782 წელს. ამ თანამდებობაზე ის მხოლოდ ერთ წელიწადს მუშაობდა. ეს მცირე დრო გაიოზ რექტორის პედაგოგიური მოღვაწეობის მეტად ნაყოფიერი პერიოდია. ამავე პერიოდში გამოვლინდა მისი საერო ორატორული ხელოვნება.

გაიოზ რექტორმა თავისი ცხოვრების დიდი ნაწილი რუსეთში გაატარა. რექტორობის შემდეგ ის ბევრგან მაღალ სასულიერო თანამდებობას ასრულებდა, ეწეოდა ნაყოფიერ მწერლობასა და მქადაგებლობას, ამასთან, აქტიურად მონაწილეობდა პოლიტიკურ ცხოვრებაში.

---

[1] იოანე ბატონიშვილი, კალმასობა, II, გვ. 191.

1808 წელს გაიოზ რექტორი დამკვიდრდა ქალაქ ასტრახანში, სადაც კარგა ხანს კვლავინდებურ შემოქმედებითს მუშაობას აწარმოებდა; 1821 წლის დასაწყისში ის გარდაიცვალა იქვე ასტრახანისა და სტავროპოლის მთავარეპისკოპოსის სარბიელზე.

ჩვენამდე მოღწეულია გაიოზ რექტორის ექვსი საჯარო სიტყვა. მათ შორის ხუთი ორატორს წარმოუთქვამს თელავის სემინარიაში, 1782—1783 წლებში[1], ხოლო ერთი — თბილისში, სიონის ტაძარში. 1783 წელს. ეს სიტყვები სადღესასწაულო შინაარსის ორატორული ძეგლებია, რომლებიც ითავსებენ სადარბაზო ზეპირი მეტყველების მოტივებს, და საკმაოდ რთულ ჟანრობლივ მონაცემებს წარმოადგენენ. განსაკუთრებით ეს ითქმის სიონის ტაძარში წარმოთქმულ სიტყვაზე, რომლის ტექსტი ახლახან იქნა მიკვლეული და გამოქვეყნებული შ. ხანთაძის მიერ[2]. მისი ცნობით ეს „სიტყვა შემონახულია იოანე ბატონიშვილის ხელნაწერთა კოლექციაში (ხელნაწერი № 219), რომელიც ლენინგრადში, სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკის ხელნაწერთა განყოფილებაშია დაცული და ქვეყნდება პირველად"[3].

ამ ძეგლის ვრცელი სათაურია: „სიტყვა, შეერთებისათვის და მფარველობისა სამეფოსა საქართველოისა რუსეთის იმპერიისა თანა წელსა 1783 აგვისტოს 20 და თანამდებობითისა მადლობისა ესოდენისათვის მოწყალებისა ღვთის, თქმული სამეუფოსა ქალაქსა ტფილისს, ეკლესიასა შინა კათოლიკესა ყოვლად წმიდისა ღვთისმშობლის მიცვალებისასა, არხიმანდრიტისა და თელავის სემინარიის რექტორის გაიოსის მიერ". როგორც ამ სათაურიდან ჩანს გაიოზის სიტყვა თქმულა საზეიმო შეკრებაზე, გეორგიევსკის ხელშეკრულების გაფორმებასთან დაკავშირებით.

ორატორი სიტყვას იწყებს არსებული დროის, მომხდარი შემთხვევისა და უზენაესი პირების—ეკატერინესა და ერეკლეს დიდებით. შემდეგ ის იშველიებს ბიბლიურ მოტივებს და ოსტატური პარალელებით, ფიგურალური თქმებითა და მოხდენილი ეპითეტებით ხატავს „ბედნიერობითს ქველისმოქმედებას".

ის ამბობს:

„კაცი ოდეს აღიძრვის ხელყოფად საქმისა რაისამე ცხისვე გამოხატავს თვის შორის ვითართამე სასარგებლოთა დასასრულთა,

---

[1] ქართული მწერლობის ისტორია, ტ. IV, გვ. 194—205.
[2] „დროშა", 1959, № 5, გვ. 10.
[3] იქვე.

რომლისათვისცა გულსმოდგინე არს სრულყოფად მისა, სიტყვისამებრ საღმრთოსა წერილისა: „ვითარმედ კაცი საქმისა მიმართ კეთილისა განმტკიცებულ". და შემდგომად სრულყოფისა საქმისა მის ჰგრძნობს თვის შორის გამოუთქმელსა სიხარულსა, შემეცნებისამებრ ბრძნისა სოლომონისა: „და ვიხილე რამეთუ არს კეთილი, რომელ იხაროს კაცმან ქმნულთა თვისთა ზედა, რომელნიცა იქმნებიან შემდგომად მისა". რომელისა მართლისამებრ ჰაზრისა, რათა პატივ-სცეთ ბედნიერობითსა ამას საქმესა კეთილმსახურისა მეფისა ჩვენისასა და პატივ-ვჰსცეთ, ვითარცა ქველისმოქმედებასა ღვთისა ყოელისა მპყრობელისასა, რომელმანცა უპყრა ხელი მარჯვენე ცხებულსა თვისსა იმპერატრიცა ეკატირინა ალექსიევნასა მპყრობელსა სრულიად რუსეთისასა და წინაძღომითა თვისითა დაუვაკნა მთანი იგი შეუვალნი კავკასიისანი, და პორფირისა მისისა სიგრილითა დაჰფარა მამული ჩვენი და სკიპტრისა მისისა შარავანდედითა განამტკიცა სკიპტრა კეთილმსახურისა მეფისა ჩვენისა. ჰოი, ნიჭსა ყოველად მდიდარსა და ქველისმოქმედებასა მაღლისასა დაულევნელსა!"[1].

მადლიერებით აღსავსე ორატორი მხურვალე ლოცვა-კურთხევით გამოხატავს თავის უსაზღვრო აღფრთოვანებას და მეტაფორული ფორმებით ამკობს ისტორიული სინამდვილის ამსახველ მეტყველებას: „ესევითარისა ამის მადლობისა დასაბამად ვჰყოთ ვედრებაჲ საყდრისადმი ღვთისა ყოელისა მპყრობელისა განგრძელებისათვის დღეთასა კეთილმსახურისა მეფისა ჩვენისა, ვითარცა მამისა მოღვაწისა, რომელმანცა ძლიერებისა თვისისა სისხლნი წარმოაცალიერნა ოფლითა სიმხნისა შრომისათა უვნებლად დაცვისათვის სამფლობელოსა თვისისა და მარადდღე მიურულებელად სცვიდა ერსა თვისსა გარემოს მყოფთა მძვინვარეთა მტერთაგან, რომელნიცა ნიადაგ ჰლამოდენ განბძარვასა მისსა"[2].

დასასრულ, ორატორი პირისპირ მიმართავს ერეკლეს და კვლავ არსებული სინამდვილის ფაქტებით გვისურათებს „საუკუნო მშვიდობისა და მყუდროების" ამ დიდი შემოქმედის ისტორიულ ნაბიჯს: „და შენ სამღვდელოო პირო და მიზეზო ამის ყოველისა კეთილობისაო, რომელმანცა სამეფო შენი შემოზღუდე უძლეველითა და სოფელსა შინა საკვირველითა რუსეთის ძალითა და პორფირითა რუსეთის საიმპერატოროს ტახტისათა წარგარგნე სკიპტრა მეფობისა შენისა, რომლითაცა დაამტკიცე საუკუნო მშვიდობა და მყუდროება ერისა შენისა და მით სრულ ჰყავთ თანამდებობითი იგი

---

[1] „დროშა", 1959, № 5, გვ. 10.

[2] იქვე.

შეკრულება, რომლისთვისცა დაგადგინა შენ ღმერთმან თავად ერისა თვისისა. ამისთვის მადლობადცა მისა უმეტეს ყოველთასა თავი შენი ათანამდებე და ერისა ამის შენისა მსხვერპლად ქებისად შეწირული მადლობაჲ მიართვი ყოვლად მაღალსა, რათა შენმიერისა ამის განზრახულისა სიმტკიცე უკუნისამდე ეგოს როსიისა იმპერიისა ერთობასა შინა და აღსარებასა უმაღლესისა ხელმწიფებისა როსიისა იმპერატორთასა. ამინ!"[1]

გაიოზ რექტორის სამი სიტყვა—„განრჩევისათვის მეცნიერებისა და უმეცრებისა", დოსითეოზ ჩერქეზიშვილის მიმართ და, სტუმართა და სემინარიელთა მიმართ—წარმოთქმულია ერთ დღეს, 1782 წლის 28 მაისს, თელავის სემინარიის გახსნის საზეიმო სხდომაზე. ამ სხდომის ოქმი და სხვა წერილობითი პირველწყაროები თავის დროზე ხელთ ჰქონია ნ. მთვარელიშვილს, რომელსაც ისინი სამეცნიერო მასალად გამოუყენებია და დაუწერია საისტორიო ნარკვევი „თელავის სემინარია და პირველი მისი რექტორი გაიოზ ნაცვლიშვილი"[2], რომელშიც ჩაურთავს გაიოზ რექტორის სიტყვების ტექსტები.

ამ სიტყვების ეს პუბლიკაცია, როგორც ითქვა, ეყრდნობა პირველწყაროებს. ნ. მთვარელიშვილი წერს: „ყური დაეუგდოთ ეხლა თვით გაიოზს, თუ როგორ მოხდა... სემინარიის გახსნა თელავში..."[3]. ქვემოთ ავტორი ალაპარაკებს გაიოზ რექტორს: „მოქმედება დღესასწაულობითი დაწყებასა ზედა ახლისა სემინარიისა ქალაქსა შინა თელავსა თვესა მაისსა 28, დღესა შაბათსა, წელსა 1782..."[4]. იმავე წყაროდან მოტანილი ამონაწერებით ნ. მთვარელიშვილი ქვემოთ გვიხატავს აღნიშნული სემინარიის გახსნის საყურადღებო დეტალებს: მრავალრიცხოვან დამსწრეთა წინაშე, საგანგებო ცერემონიის ჩატარების შემდეგ, როცა წაიკითხეს უზენაეს პირთა მიმართველები სემინარიის დირექციისა და მსმენელებისადმი, ... „ითქვა სიტყვა კათედრით რექტორის მიერ: განდიდებისათვის იმისის მეფობის დიდებულობის მზრუნველობისა და მომჭირნეობისა ყმათა თვისთა, და განრჩევისათვის მეცნიერებისა და უმეცრებისა, და მადლობისათვის იმისის უწმიდესობისა, ვითარცა მიზეზისა, დამფუძნებელისა და სრულმყოფელისა მეცნიერებითისა სიმრგვალისა"[5]. ქვემოთ

---

[1] „დროება", 1959, № 5, გვ. 10.

[2] „ივერია", 1881, № VIII.

[3] ნ. მთვარელიშვილი, თელავის სემინარია, გვ. 98.

[4] იქვე.

[5] იქვე, გვ. 100.

ნ. მთავარელიშვილი შენიშნავს: „ურიგო არ იქნება მოვისმინოთ თვით სიტყვაც, რომელიც არის შემდგომი“[1]... ამის შემდეგ მოთავსებულია გაიოზ რექტორის პირველი სიტყვის ტექსტი.

მეორე სიტყვის ტექსტს წინ უსწრებს ისევ პირველწყაროს ცნობა, რაც გვაუწყებს, რომ გაიოზის პირველი სიტყვის შემდეგ გამართულა სემინარიელთა ურთიერთ გასაუბრება „და შემდგომად ამისა ითქვა სიტყვა თხოვით რექტორის მიერ იმისის მაღლის ყოვლად სამღვდელოების ნეკრესის ეპისკოპოზის დოსითეოზ ჩერქესისადმი, რათა, ვითარცა უწარჩინებულესმან პირმან ამას შეკრებულებასა შინა, ინებოს დაწყება ახლისა ამის უწმიდესის საქმისა მიცემითა ღრამმატიკაის საზღვრისა აღსხნისათა მოწაფეთადმი ღრამმატიკაისათა“[2]. ქვემოთ ნ. მთავარელიშვილი შენიშნავს: „აი თვით სიტყვა ანუ თხოვნა გაიოზისა ნეკრესის ეპისკოპის დოსითეოზისადმი“[3]... ამის შემდეგ მოთავსებულია გაიოზ რექტორის მეორე სიტყვის ტექსტი.

მესამე სიტყვის ტექსტსაც წინ უძღვის ამონაწერი პირველწყაროდან. აქ ჩამოთვლილია საზეიმო სხდომის დღის წესრიგის რამდენიმე აქტი და, დასასრულ, ნათქვამია: „ამისა შემდგომად ითქვა სიტყვა რექტორის მიერვე მუნ შემოკრებულთა ერთადმი და სემინარისტთადმი „განდიდებისათვის ამის უსამღვდელოესისა საქმისა და მას შინა გულ-მოდგინებისათვის“[4]. ქვემოთ ნ. მთავარელიშვილი შენიშნავს: „აი თვით ნამდვილი გაიოზის სიტყვაც“... ამის შემდეგ მოთავსებულია გაიოზ რექტორის მესამე სიტყვის ტექსტი.

როგორც ზემოთ აღინიშნა, სამივე სიტყვა წარმოთქმულია თელავის სემინარიის გახსნის საზეიმო სხდომაზე. ამას გვიჩვენებს ნ. მთავარელიშვილის მიერ დამოწმებული პირველწყაროს საერთო შინაარსი, მისი ცალკეული ადგილები და, რაც მთავარია, თვით სიტყვები, რომლებშიც, მაგალითად, ნათქვამია: „ხოლო უფროს ყოველთასა ვითხოვთ ღვთისაგან, ვითარცა მეუფისა მეუფეთასა, რათა წარმართებულ ჰყოს სათნოდ თვისად დაწყება უსამღვდელოესისა ამის საქმისა“[5]... (პირველი სიტყვა); „...გარდამოვლინებად სულსა მას სიბრძნისასა ახალ-ნერგთა ამათ ზედა ყრმათა, რომელთაცა ინება ახლად დასხმად სემინარიასა ამას შინა ადგილსა ამას ადრიდგან ბედნიერობითა სწავლულებისათა მდიდარ

---

[1] ნ. მთავარელიშვილი, თელავის სემინარია, გვ. 100.
[2] იქვე, გვ. 110—111.
[3] იქვე, გვ. 111.
[4] იქვე, გვ. 113.
[5] ქართული მწერლობა, გვ. 200.

ქმნისა"[1]... (მეორე სიტყვა); „ოჰ, თუ ვითარისა სიხარულითა გმართებთ ხედვად... ამის ადგილისა, რომელსაცა შინა... სათნოდ კაცთა აღიზრდებიან შვილნი და შვილისშვილნი თქვენნი და მომავალნი ნათესავნი"[2] (მესამე სიტყვა).

ამრიგად, გაიოზ რექტორის ეს სიტყვები წარმოთქმულია თელავის სემინარიის გახსნასთან დაკავშირებით.

ერთი წლის შემდეგ, თელაველ სემინარიელთა საჯარო პაექრობაზე, გაიოზ რექტორს კვლავ წარმოუთქვამს სიტყვა, რომელიც სემინარიის გახსნისას ნათქვამი სიტყვების მსგავსად აუგია. ამ სიტყვას, უკეთ მოხსენებას, ოთხი ნაწილი გააჩნია: 1. შესავალი, 2. გრამატიკის შესახებ, 3. მიმართვა მაღალი სასულიერო პირისადმი, და 4. მიმართვა სტუმრებისა და სემინარიელებისადმი. ეს ნაწილები ერთმანეთთან უშუალო კავშირშია, მაგრამ თემატური სხვაობის მიხედვით ხერხდება მათი განცალკევება.

მათ შორის პირველი, რომელიც ერთგვარ შესავალს წარმოადგენს და მეფე ერეკლეს, ანტონ კათალიკოსისა და გიორგი ბატონიშვილის ხოტბას შეიცავს, ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში აღიარებულია ორატორული ხელოვნების ნიმუშად[3].

გაიოზ რექტორის მოხსენება მოთავსებულია ხელნაწერში, რომელიც 1792 წელს გადაუწერია დავით რექტორს. ნუსხის ბოლო-მინაწერში ნათქვამია: „ალექსის-ძე, თელავის ქალაქის სემინარიის რექტორი, დავით, იელისს თვესა, რიცხვსა 18, წელსა ქრისტეს აქეთ 1792"[4].

ამ ხელნაწერის წინათქმაში, რომელიც ეკუთვნის დავით რექტორს, ვკითხულობთ: „წელსა 1783, მაისს 28 დღესა, ჟამსა 3, იქმნა შემოკრება აქაურთა ჩინებულთა სამღვდელოთა და საეროთა უფალთა სემინარიად და შემდგომად... ითქვა სიტყვა კათედრით რეკტორისა მიერ განდიდებისათვის და ვითარებისა იმისის მეფობის დიდებულების საქმეთა და მოკლედ ცხად ყოფისათვის საღრამატიკოთა ჰაზრთა სარგებლობისა... შემდგომად ითქვა სიტყვა მადლობისა რეკტორის მიერ იმისის მაღლის ყოვლად სამღვდელოების ნეკრესის ეპისკოპოსის დოსითეოსის ჩერქეზისადმი და კვალად მუნ შემოკრებულთა უფალთადმი და სემინარისტთადმი"[5].

---

[1] ქართული მწერლობა, გვ. 201.

[2] იქვე, გვ. 202.

ა. ბარამიძე, საჯარო პაექრობა თელავის სემინარიაში, გვ. 52.

[4] ხელნაწერი *H*—2291.

[5] იქვე.

აქ ცალკეული სიტყვების სახით ჩამოთვლილია გაიოზ რექტორის მოხსენების ნაწილები. მათი წარმოთქმა მომხდარა თელავის სემინარიის გახსნის წლისთავზე, სემინარიელთა საჯარო პაექრობის დროს. ასეთი სახის პაექრობა-დისპუტი, როგორც მსმენელთა გამოცდის თავისებური მეთოდი, დროგამოშვებით ეწყობოდა რუსულ-სლაეურ სასულიერო სასწავლებლებში, რომელთა გეგმის მიხედვით იყო აგებული თბილისისა და თელავის ფილოსოფიური სემინარიები. ერთი ასეთი საჯარო გამოცდა, რომლის დოკუმენტები მოღწეულია ჩვენამდე, ჩაუტარებიათ ქ. თელავში 1783 წლის 28 მაისს. ამ სადღესასწაულო აქტის აღწერილობა თელავის სემინარიის ისტორიის მეტად საყურადღებო ფურცელია, ამ ფურცელზე საისტორიო პირველწყაროს სახით აღბეჭდილია გაიოზ რექტორის მოხსენება.

ქვემოთ წარმოდგენილია გაიოზის ორატორული შემოქმედების ანალიზი.

გაიოზ რექტორი ფლობს საკმაოდ მდიდარ და გამართულ მეტყველებას, რომლის მრავალფეროვანი ლექსიკური საუნჯე მწყობრი სახით გადმოსცემს ორატორის სათქმელს. ლაღი სიდინჯითა და მედიდური რხევით მოედინება აქ მტკიცედ შეკრული და მოხდენილად აგებული ზეპირი სიტყვა. მისი სადა, მაგრამ საკმარისად მოკაზმული სახე თავისუფლად და ხალვათად გამოხატავს მთქმელის აზრებს და მთლიანად იუფლებს მსმენელის ცნობიერებას. ი'შვიათად, აქა-იქ ურთავს ორატორი სიტყვაში რიტორიკულ ფიგურებს და მათი მეშვეობით შთამაგონებელი ხალისი და ინტერესი შეაქვს მსმენელთა აღქმის პროცესში.

ორატორი არ ცდილობს სტილის შელამაზებას, მისი სიტყვა ხშირად მოუქნელია, ზოგჯერ გაურანდავიც, მაგრამ ამ გზით გამოთქმული აზრი ყოველთვის ნათელი და გასაგებია. გაიოზ რექტორის მეტყველების ფორმა წარმატებით ასრულებს თავის ძირითად ფუნქციას — აზრის გაგებინებას, იგი შორსაა თავისთავადი დანიშნულებისაგან და მხოლოდ მისაწვდომი შინაარსის მეშვეობით ამყარებს მტკიცე კონტაქტს მეტყველსა და მსმენელს შორის. ორატორის ენობრივ საგანძურში შენიშნული ნატურალიზმი — შეუფერავი სტილით მეტყველების ტენდენცია — ერთგვარ სიმძიმეს სძენს გამოთქმის ხელოვნებას და ასუსტებს ესთეტიკურ მხარეს, მაგრამ ვერ ამცირებს აზრის სიმკვეთრესა და მისი ზეგავლენის ძალას.

გაიოზ რექტორის სამოქალაქო შინაარსის ორატორულ ძეგლებს აერთიანებს სასკოლო განათლების დამკვიდრებისა და გავრცელები-

სათვის ბრძოლის იდეა. ამ სანუკვარი იდეალით შთაგონებული ორატორი სიტყვითა და საქმით გამოხატავს თავის უსაზღვრო ერთგულებას, სიყვარულსა და თავდადებას ქვეყნის წინაშე. მისი ყოველი სიტყვა გაჟღენთილია საერთო საქმისათვის ფიქრითა და ზრუნვით, ყველგან საქვეყნო საკითხი დგას, საყოველთაო აზრი გაისმის და ეროვნული საქმე კეთდება. აქ ლაპარაკია მეცნიერებასა და უმეცრებაზე, შრომასა და მცონარეობაზე, სრულყოფილებასა და მანკიერებაზე, კეთილდღეობასა და ძნელბედობაზე. ეს ყველაფერი არსებითად დანახულია რელიგიური მორალის შუქით, მაგრამ ნაჩვენებია განსაზღვრული პოზიტიური მხრითაც, რეალური ვითარების მიხედვით და კონკრეტულ ისტორიულ საფუძველზე.

გაიოზ რექტორის საერო შინაარსის საჯარო სიტყვებიდან უფრო საყურადღებოა „განრჩევისათვის მეცნიერებისა და უმეცრებისა“, მაგრამ სხვა სიტყვებიც თავიანთი ძირითადი თემებითა და ხერხებით მას უკავშირდებიან და მისივე იდეურ მოტივებს გამოხატავენ. ამრიგად, ისინი ქმნიან ერთ თემატიკურ ციკლს და ამით იძლევიან ერთად განხილვის საფუძველს.

ამ საფუძველზე განიხილება აქ გაიოზ რექტორის ორატორული შემოქმედება.

გაიოზის მხატვრული აზროვნების ერთ ოსტატურ ხერხს წარმოადგენს სიტყვიერი თვალსაჩინოება. ამ გზით ორატორი ქმნის კონკრეტულ სურათებს, რომელთა შინაარსი ხილულ სახეს აძლევს განყენებულ მოვლენებს. ასე, მაგალითად, „მეცნიერებისა და უმეცრების განრჩევისათვის“ ის გვიხატავს მცოდნისა და უმეცარის სიტყვიერ სურათებს და მათ შორის არსებული სხვაობის მიხედვით თვალსაჩინოდ გვიჩვენებს მცოდნის შეუდარებელ უპირატესობას.

აი, უმეცარის სურათი: .

„უმეცარი ე. ი. არმეცნიერი თავისა თვისისა დასაბამისა და დასასრულისა, ჰგონებს თავსა თვისსა ეგრეთ, ვითარცა პირუტყეთა, და ესრეთ მისა ოდენ მოსწრაფე არს ქმნად, რაიცა ნოეწონების საგრძნობელთა მისთა; შერაცხს მას სასარგებლოდ, რაიცა დაატკბობს უაღვიროსა გულის-თქმასა მისსა, გამოეძიებს მას და შეუდგების, რაიცა აღუთქვამს მას განუძღომელსა წყურვილსა სიმდიდრისა და ვეცხლის-მოყვარეობისასა, რომლითაც მწყურვალი სვამს სისხლსა ძმისასა უტკბილეს ზეციერისა ნექტარისა; სიცრუე შეურაცხიეს უფროს ჭეშმარიტებისა, მოტყუება — უფროს პატიოსნებისა და უპატიოება — უფროს სასუფეველის დიდებისა, ოლონდ მიიღოს სიმდიდრე არამგამელი, რომლითაცა იყოს“[1].

[1] ქართული მწერლობა, ტ. 196.

აი, მცოდნის სურათი:

„მეცნიერისა თანა არა არს მტაცებლობა და შორს არს მისგან უბრალო განმაბნევლობა, ვინათგან მეცნიერება აჩვენებს მას, თუ რაი არს კეთილი და ანუ ბოროტი, პატიოსნება და უპატიოება. ვერ დასთმობს, რათა უპატიოება უკეთეს შერაცხოს პატიოსნებისაგან და ბოროტი კეთილისაგან, და ამისათვის ყოველსა ნივთსა ხმარებულ ჰყოფს კეთილად და ყოველსა საქმესა სარგებლად თვისსა და ქვეყანასა წინდსა მეუღლეობისასა დაიცავს წმიდად. შვილთა აღზრდის კეთილად, მონათა დაიმორჩილებს კმაითა წყალობითა და შერისხვითა და ამის მიერ ჰყოფს სახლსა თვისსა, ვითარცა ქვეყნიერსა რომელსამე სამოთხესა“[1].

გაიოზ რექტორის ხელოვნებისათვის დამახასიათებელია არა ერთსახოვანი და განურჩეველი სტილი, არამედ მრავალფეროვანი და განსხვავებული სტილისტიკური ფორმები, რომელთა კონტრასტული ნაკადები გაერთიანებულია ერთ დინებაში. ეს კონტრასტები ქმნიან სიტყვის უსწორმასწორო გარეგნობას, რომლის ფონზე სხვადასხვა სახის ეპიზოდები გამოიყოფა. მათ შორის არსებული სხვაობა მეტ-ნაკლებად გამართულ სახეს აძლევს სიტყვის ამა თუ იმ ნაწილს. ზოგიერთი მათგანი ამ გზით იძენს საკუთარი ფორმით გამორჩეულ იერს.

აი, მაგალითად, ლამაზი ფორმით გამორჩეული ნაწილი:

„ვხედავთ და გვესმის, თუ ვითარსა შინა განვრცელებისა და თუ ვითარსა შინა სიმრავლესა განთესილ არის სიბრძნე, რომელსა ვერცა სიშორე ადგილთა, ვერცა სხვაობა ქვეყანისა და ჰაერთა შემძლებელ არს შეცვალებად მის მიერისა გარდამოსხმულისა ბედნიერობისა მიმღებელთა ზედა მისთა, არამედ ნიადაგ ღორძილობს, ნიადაგ ყვავილოვნებს და ნიადაგ ერთებრსა სუნნელებასა განჰფენს ყოველთაგან, ვითარცა დასავლეთსა შინა, ეგრეთვე აღმოსავლეთსა, ვითარცა ჩრდილოეთსა, ეგრეთვე სამხრეთისა კერძოთა შინა და ამისათვის ყოველნი სიხარულით ისმენენ სახელსა სიბრძნისასა და ამისათვის ყოველნი ბედნიერობად ჰრაცხვენ თვის ზედა შესმენასა ამის ყოველად ძვირფასის გვაროვნებისასა“[2].

აი, მაგალითად, ექსპრესიული ფორმით გამორჩეული ნაწილი:

„იქადის ჰრომი აგვისტოს კეისრითა, იქადის გალლია ლუდოვიკ მეათოთხმეტითა, იქადის როსსია პეტრე დიდითა, რომელთაცა დააფუძნეს სამფლობელოსა თვისსა სწავლანი სასიბრძნონი; კვალად

[1] ქართული ბჭევრმეტყველება, გვ. 197.

[2] იქვე, გვ. 194—195.

იქადის მაკედონია და ყოველი ელლადა ალექსანდრე დიდითა, რომელმანცა უძლეველითა მით სიმხნითა თვისითა მოიფრინა პირი ყოვლისა ქვეყნისა და ვითარცა არწივმან შემოუკრიბა სკიპტრასა თვისსა ყოველი ერი მორჩილებად; და უფროსიღა ეჰსთქვა: კვალად იქადის ყოველი ქრისტე-შემოსილი ერი კოსტანტინე დიდითა, მოციქულთ შესწორებულითა მეფითა, რომლისაცა კეთილ-მსახურებითა ყვავილოვნებს ყოველი ქრისტეს მოსახელე ერი"[1].

გაიოზ რექტორის ზეპირი მეტყველების მხატვრულ ქსოვილს ხელს უწყობენ რიტორიკული შეკითხვები, სინონიმები და განმეორებანი. მათი დროული და ოსტატური გამოყენებით ორატორი აძლიერებს სიტყვის გამომეტყველებას და ლამაზი განცდის წყაროდ აქცევს ზეპირ შემოქმედებას.

აი, რიტორიკული შეკითხვების ნიმუში:

„და ესრეთ სიბრძნითა და მეცნიერებითა კრება-ქმნილსა გონებასა ვითარი ექმნების პატივის-ცემა ღვთისადმი? ვითარი სარწმუნოება? ვითარი მსახურება? ვითარი სჯულისა მისისა მორჩილება?"[2]

აი, რიტორიკული სინონიმების ნიმუში:

„...ქვეყანასა შინა არს მშვიდობა, მყუდროება, განსვენება, უხვება და ყოველი ბედნიერობა"[3].

აი, რიტორიკულ განმეორებათა ნიმუში:

„იქადის ჰრომი აგვისტოს კეისარითა, იქადის გალლია ლუდოუიკ მეათოთხმეტითა, იქადის როსსია პეტრე დიდითა..."[4].

გაიოზ რექტორის მჭევრმეტყველებისათვის ნიშანდობლივია ფიგურალური გამოთქმები, რომლებიც უმთავრესად მეტაფორული შედარების პრინციპს ეყრდნობიან. მათ დროდადრო საღი მხატვრული ფერები და მიძზიდველი გარეგნული სიახლე შეაქვთ სიტყვაში. ისინი ამშვენებენ მეტყველების სტილს და ხატოვანი კაზმულობით იპყრობენ მსმენელის ყურადღებას.

ასეთი ფიგურალური გამოთქმებია:

„...დაასხა ვენახი ესე სიბრძნისა და მისწვადნა რქანი მისნი ვიდრე კიდედმდე მამულისა ჩვენისა, რომლისაცა საგრილსა რტოთასა ჰზრდის შვილთა თქვენთა ესრეთ ვითარცა ჰხედავთ, რათა დამსხმელსა და მომსთელებსა ერთბამად უხაროდის"[5].

---

[1] ქართული მჭევრმეტყველება, გვ. 203.
[2] იქვე, გვ. 196.
[3] იქვე, გვ. 199.
[4] იქვე, გვ. 203.
[5] იქვე, გვ. 205.

ან:

„განმხდით კეთილობასა ამას შინა თქვენსა, რომელსაცა ჰგრძნობთ თვით თავთა შორის თქვენთა, განჰსჭიმეთ მკლავი გონებისა თქვენისა მოუმედგრებელად აღთქმისათვის სიბრძნისა, ავლინეთ ნავი პელეგოსა შინა მეცნიერებისასა საჭითა სულისა წმიდისათა და მიიწიენით ლიმენისადმი სიბრძნისა ღმრთისა...“[1].

ამრიგად, გაიოზ რექტორის მჭევრმეტყველება თავისი ღრმად საქმიანი შინაარსითა და მაღალი იდეური დანიშნულებით ჩვენი ეროვნული ზეპირი მეტყველების სასიქადულო განძს წარმოადგენს.

---

[1] ქართული მჭევრმეტყველება, გვ. 205.

16. სოლომონ ლიონიძე

1754 — 1811

გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწე სოლომონ ლიონიძე XVIII საუკუნის ქართველთა შორის ცნობილია თავისი დიდი და მრავალმხრივი დამსახურებით. ის ერეკლე მეორის სამეფო კარის ფხიზელი დიპლომატი, გავლენიანი მრჩეველი და ერთგული მოამაგეა. საქართველოს მართვისა და გამგეობის სათავეში მას ეჭირა მსაჯულისა და მდივნის მაღალი თანამდებობანი. თანამედროვეთა შორის ის გამოირჩეოდა გამჭრიახი გონებით, ფართო განათლებითა და პატრიოტული სულისკვეთებით. მან სახელი გაითქვა ჭკუით, ცოდნით, გმირობითა და მშვერმეტყველებით.

საკუთარი სიტყვითა და საქმით უკვდავყოფილი ს. ლიონიძე დიდებისა და მადლიერების სხივით შემოსა ახალი დროის დიდმა გენიოსმა ნ. ბარათაშვილმა. მისი პოემა „ბედი ქართლისა“ გვიხატავს ბრძენი კარისკაცის წარუშლელ სურათს:

თან ახლდა მეფეს თავის მსაჯული,
ნიჭთა კეთილთა უხვად მორჩმული.
ვის არა გახსოვთ სოლომონ ქველი,
მეფის შიხაყმა, ყმათ საყვარელი!

სოლომონ ლიონიძე დიდი ქართველი მშვერმეტყველია. მისი ორატორული ხელოვნება ჩვენი კლასიკური მშვერმეტყველების უმაღლესი საფეხურია, ადრინდელი და ახალი ცოცხალი სიტყვის გარდამავალი ზღვარის ისტორიული მოვლენაა. ს. ლიონიძე ძველი ქართული მშვერმეტყველების უკანასკნელი და, ამასთანავე, უდიდესი წარმომადგენელია, რომელმაც სათავე დაუდო და სარბიელი გადაუშალა ახალ ეროვნულ ორატორულ შემოქმედებას.

ს. ლიონიძის მშვერმეტყველება გამოირჩევა თავისი ღრმა იდეურობით, ზეგავლენის დიდი ძალითა და შესრულების მაღალი ოსტატობით. მისი ზეპირი მეტყველების კეთილხმოვანი ჟღერა უბადლოა ქართული მხატვრული სიტყვის სარბიელზე და იშვიათია თვით მსოფლიო მშვერმეტყველების ისტორიაში. სახელოვანი ოქროპირის

შემოქმედება ისტორიულად შეპირობებულია ძველი ქართული ხალხური და კლასიკური ზეპირმეტყველებით, ანტიკური ბერძნულ-რომაული ორატორული ხელოვნებით, ადრინდელი ბიზანტიური ქრისტიანული მჭადაგებლობითა და შუა საუკუნეების მსოფლიო მჭევრმეტყველებით.

სოლომონ ლიონიძე დაიბადა 1754 წელს. მისი სიყრმის მშობლიური კუთხე კახეთია. ის შიდა კახეთის ლიონიძეთა შთამომავალია სოფელ კონდოლიდან[1].

სოლომონი იყო შვილი თელავის კარის დეკანოზის ანდრია ლიონიძისა. მაღალი სასულიერო მოვალეობის გამო ანდრია მეფის მაბლობელი და სასახლის წარჩინებული პირი უნდა ყოფილიყო[2].

ს. ლიონიძეს განათლება მიუღია თელავის სამეფო კარის სკოლაში. აქ მას შეეძლო მოესმინა ცნობილ ქართველ სასულიერო პირთა და მეცნიერთა ლექცია-ქადაგებანი და წაეკითხა მეფის ბიბლიოთეკაში დაცული იშვიათი წიგნები და ხელნაწერები. აქვე შეეძლო მას შეესწავლა რუსული, სომხური, სპარსული და თურქული ენები, რომელთა ცოდნას იჩენდა და იყენებდა ის თავისი პოლიტიკური მოღვაწეობის ფართო სარბიელზე[3].

ერეკლეს მახლობელ ადამიანთა და სახელმწიფოს უზენაეს მმართველთა შორის ს. ლიონიძეს დიდხანს ეჭირა მეტად საპატიო ადგილი. იგი XVIII საუკუნის უკანასკნელი მეოთხედისა და XIX საუკუნის დამდეგის საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების აქტიური მონაწილეა.

ს. ლიონიძე იბრძოდა საქართველოს გაერთიანებისათვის, მონაწილეობდა ჩვენი სამეფოების საშინაო და საგარეო საქმეებში, ზრუნავდა ქართველი ხალხის ეკონომიური და სამხედრო ძლიერებისათვის და ხელს უწყობდა ჩვენი ეროვნული კულტურის აყვავებას.

ს. ლიონიძის უშუალო მონაწილეობით შემზადდა, გაფორმდა და ძალაში შევიდა 1783 წლის ცნობილი ხელშეკრულება საქართველოსა და რუსეთს შორის — „მეგობრობითი პირობა“, რომლის ძალით ქართლ-კახეთი შევიდა რუსეთის მფარველობაში და საფუძველი ჩაეყარა რუს და ქართველ ხალხთა ისტორიულ გაერთიანებას[4].

1790 წელს ს. ლიონიძის აქტიური ჩარევით დაისვა და დამუშავდა საკითხი საქართველოს დაქსაქსული სამეფო-სამთავროების

---

[1] ზ. ჭიჭინაძე, სოლომონ ლეონიძე, გვ. 6.

[2] ხელნაწერი H—610.

[3] Н. Дубровин. Закавказье..., გვ. 177—178

[4] Акты, I, გვ. 323—324.

შეკავშირება-შეერთებისა და დაიდო უზენაეს ხელისუფალთა საკავშირო ხელშეკრულება[1].

ს. ლიონიძის პირადი ხელმძღვანელობით შესრულდა ჩვენში ბევრი ისტორიული მნიშვნელობის სახელმწიფო ღონისძიებათა — დიპლომატიური მოლაპარაკება, სადარბაზო თათბირი, ბჭობა-კამათი და გამორჩევა.

ამ საქმეებით სახელგანთქმული ქართველი სახელმწიფო მოღვაწე, მწიგნობარი და ტრიბუნი ს. ლიონიძე თანამედროვეთა შორის დიდი სახელითა და პატივით სარგებლობდა. ამას გვაუწყებს ჩვენამდე მოღწეული ბევრი საისტორიო წყარო. მათ შორის განსაკუთრებით საყურადღებოა იოანე ბატონიშვილის „ქალმასობა“, სადაც ნათქვამია: „ესე იყო გონებამახვილი, წერილთა შინა გაწოცდილი, სიტყვა-მარჯვე და საქმისა წერათა შინაცა კარგი“[2]. ინტერესსმოკლებული არ არის აგრეთვე პლატონ იოსელიანის გვიანდელი ცნობა, რომლის მიხედვით ს. ლიონიძე იყო „მაღალის გონების კაცი, ერუდიული ქვეყანისა, დიდი მრჩეველი და უცდომელად შემმეცნებელი საქმისა“[3].

წარჩინებული კარისკაცის დიდი წარმატება მეფის ირგვლივ შემოკრებილ ფეოდალთა წრეში ჯერ ფარული შურით აღინიშნა და შემდეგ გამეღავნებული შუღლითა და მტრობით. ამ მტრობის შედეგად, როგორც ცნობილია, ერეკლესა და სოლომონს შორის 1796 წელს ჩამოვარდა უთანხმოება, რასაც მოჰყვა მათი გათიშვა. ეს გათიშვა არ აღმოჩნდა ხანგრძლივი — მეფემ შეიცნო კარისკაცის სიმართლე, მისი უანგარო ერთგულება და შეირიგა ის. ამ ფაქტს გულისხმობს ს. ლიონიძე თავის სამგლოვიარო სიტყვაში ერეკლეს მიმართ, როცა ლაპარაკობს: „იმისი ტკბილი ბატონყმობა ვიტირო, თუ თავისს უნებურად ჩემის შეწუხების შენანება, რომელიც თავისის ჭაღლესის ჯელით მომწერა და სოფელმა აღარ დააცალა“.

ერეკლე მეორის გარდაცვალების (1798) შემდეგ ს. ლიონიძე ერთხანს ისევ ქართლ-კახეთის სახელმწიფო საქმეებისა და პოლიტიკური ცხოვრების უახლოესი მონაწილეა. ის საქართველოს სამეფო კარზე ისევ თვალსაჩინო და გავლენიან მოღვაწედ მოჩანს. პოლიტიკურ ძალთა ჰიდილის არენაზე, როცა ბაგრატიონთა დინასტიის შიგნით გაჩნდა შეურიგებელი დაჯგუფებანი, ს. ლიონიძე ქვრივი დედოფლის მომხრეთა შორის აღმოჩნდა. დარეჯან დედოფლის

---

[1] პ. იოსელიანი, ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, გვ. 18—23.

[2] იოანე ბატონიშვილი, ქალმასობა, II, გვ. 203.

[3] პ. იოსელიანი, დასაბეჭდი წიგნი, გვ. 255.

ჯგუფის საპირისპიროდ დაირაზმა საქართველოს უკანასკნელი მეფის გიორგი მეთორმეტის ძის დავით ბატონიშვილის დაჯგუფება. მოწინააღმდეგეთა შორის ჯერ ფარული და შემდეგ აშკარა ბრძოლა გაიმართა. მეფის რუსეთის მაღალი მოხელეები ამ ბრძოლაში დავით ბატონიშვილს თანაუგრძნობდნენ. ასეთ პოლიტიკურ ვითარებაში 1801 წელს ს. ლიონიძე დააპატიმრეს.

საპატიმროდან ს. ლიონიძე წერილით მოაგონებს მთავარმართებელ კნორინგს იმ დამსახურებას, რაც მას უმაღლესი კარის წინაშე მიუძღოდა საქართველოს რუსეთთან შეერთების საქმეში, კვლავინდებურად ერთგულ სამსახურს პირდება და მოითხოვს განთავისუფლებას[1]. ს. ლიონიძის ენერგიულ ცდასა და გავლენიან პირთა ჩარევას, როგორც ეტყობა, გაუჭრია და ის პატიმრობიდან გაუთავისუფლებიათ.

1802 წლიდან ს. ლიონიძეს იმერეთში ვხედავთ. აქ სოლომონ მეორის სამეფო კარზე ის დიდი პატივით იქნა მიღებული. იმერეთის მეფემ ს. ლიონიძეს შეუნარჩუნა მაღალი თანამდებობანი და უბოძა ადგილ-მამულები იმერეთსა და რაჭაში—კაცხის, მინდასა და ბარაკონის მიდამოებში.

1803 წელს იმერეთის მეფე აძლევს ს. ლიონიძეს ელჩის რწმუნებას და დიპლომატიური მისიით მიავლენს რუსეთში, ალექსანდრე პირველის კარზე. მეფის სურვილს შეადგენდა იმერეთის რუსეთთან, შეერთება, მაგრამ ისე, რომ ტახტი შეენარჩუნებინა. ამ სურვილს იზიარებდა ს. ლიონიძეც. მეფის ელჩი იმპერატორმა თუმცა პატივისცემით მიიღო, მაგრამ უპასუხოდ გაუშვა. ამის მიზეზს წარმოადგენდა მეფისა და მისი ელჩის პირადი მტრების ფარული მონაწილეობა სახელმწიფო საქმეებში.

1804 წელს ს. ლიონიძე პეტერბურგიდან ბრუნდება იმერეთში და ერთხანს კვლავ სამეფო საქმეებს ასრულებს. 1810 წელს, იმერეთის რუსეთთან შეერთებისა და სოლომონ მეორის თურქეთში გაქცევის შემდეგ, ლიონიძე მეფის კვალს გაჰყვა და ქ. ახალციხეს გადაიხვეწა.

აქ უცხოობასა და სიმარტოვეში გაატარა დიდმა ორატორმა თავისი უკანასკნელი დღეები.

ის გარდაიცვალა 1811 წელს.

ს. ლიონიძე ქართული სადღესასწაულო და სამგლოვიარო მჭევრმეტყველების უდიდესი წარმომადგენელია. ამასთან, მისი ორატორული

[1] Акты, I, გვ. 323.

ძეგლების შინაარსი საგრძნობლად შორდება სხენებული დარგების ფარგლებს და სხვა ხასიათის მოტივებსაც შეიცავს. მათ შორის უმთავრესი მოტივი სადარბაზო ხასიათისაა. ამასთანავე, სოლომონი სამოსამართლო ზეპირი სიტყვის ოსტატიც უნდა ყოფილიყო, რაზედაც მისი მაღალი თანამდებობანი მიუთითებენ. ამრიგად, ს. ლიონიძე სადღესასწაულო, სამგლოვიარო, სადარბაზო და სამოსამართლო მჭევრმეტყველების წარმომადგენლად უნდა მივიჩნიოთ, მაგრამ აქედან გამომდინარე მოსალოდნელი სისრულითა და მრავალფეროვნებით არ შენახულა, სამწუხაროდ, მისი შემოქმედებითი მემკვიდრეობა.

ჩვენამდე მოღწეულია ს. ლიონიძის სამი ორატორული ძეგლი — ორი სადღესასწაულო და ერთი სამგლოვიარო ქმნილება: საძილოცვო წერილი პავლე პირველისადმი[1] (1796), მოთქმით ტირილი საქართველოს მეფის ღერკულეს ნეტარების ღირსისა[2] (1798) და შესხმა ალექსანდრე პირველისა[3] (1804). მათ შორის პირველი და მესამე სადღესასწაულო მჭევრმეტყველების ძეგლებია, მეორე — სამგლოვიარო ორატორული ხელოვნების ნაწარმოებია.

მათი იდეურ-მხატვრული ანალიზი წარმოდგენილია ქვემოთ.

ს. ლიონიძის ეპისტოლარული მჭევრმეტყველების საუცხოო ნიმუშია „მიმართვა პავლე პირველისადმი“, რომელშიც ერთმანეთის საპირისპირო — სამგლოვიარო და სადღესასწაულო — სიუჟეტური მოტივები იდეურ მთლიანობაშია დაცული და გამოხატული. ხსენებული მიმართვა აერთიანებს სამძიმარს, ეკატერინე მეორის გარდაცვალების გამო, და მილოცვას, პავლე პირველის გამეფებასთან დაკავშირებით. ჯერ გამოთქმულია სამძიმარი, შემდეგ — მილოცვა. მათ შორის ერთგვარი გარდამავალი წიაღსვლაა, რომელიც ოსტატურად აკავშირებს დედოფლის სიკვდილით შექმნილ მწუხარებასა და უფლისწულის გამეფებით გამოწვეულ სიხარულს.

სამძიმარი ასეა გამოთქმული:

„საუკუნემან ამან სახსოვრად საგლოველმან, სიტყვიერთ ბუნებათა დიდებისა მის ჴელმწიფისა დიდისა ქვეყანისაგან წიაღთა ზეცისათა მესაუნჯემან, დიდისა იმპერატრიცა ეკატირინისაგან უბედნიერესითა ყვავილოვნებითა დატკბობილმან როსიისა ვრცელმან იმპერიამან მოჰფინა ცისქვეშეთა ნისლი მწუხარებისა: ვინათგან ღმითი-მთავრობითითა განჩინებითა დიდმან ეკატირინა განაერცელა სტუმრობა სამღთო, და ჴელითა ანღელთათა წარიგრაგნა სამღ-

---

[1] ხელნაწერი H—2528.

[2] ქართული მჭევრმეტყველება, გვ. 242—246.

[3] ხელნაწერი H—3011.

თო იგი ცა სიტყვიერი, რომელიცა ოთხ-კერძო ქვეყანასა ზედა ქუხდა ძლიერებით.

სამღთოსა დადუმებისათვის უდიდებულესობისა მისისა სახსოვრად საუკუნოდ იგლოვს ქვეყანა, ვინათგან სადღესასწაულო იგი თავდგმულება ქრისტეანეთა, ჩრდილოით კერძო თხემსა ზედა სიონისასა მადღეებელი ბუნებათა მზე იგი ღამიანთა, მოაკლდა თვალთაგან მედღესასწაულეთა ძეთა თვისთა ჴელმწიფე თვითმპყრობელი და დედა საზოგადო"[1].

გარდამავალი წიაღსვლა ასეა გამოხატული:

„იხარებს ეკლესიაცა, ვინათგან აღვისტებრთა ჴელმწიფეთაგან პატივსაცემელისა დიდისა როსიისა უმაღლესისა ტახტისაგან კათოლიკე ეკლესიამან განუმზადა ამბონი თვისი ალაბასტრსა სავსესა მირონითა მით ცხებულისა დიდისა უსამღვდელოესისა გვამისათა, რომლითა ძეთა თანა როსიისათა, ნათესავნი ივერიელნი, მედღესასწაულენი უდიდებულესობისა მისისანი, მიგვცა ერთბამად საგლოველსა მწუხარებსა, მღაღადებელნი ერთჴმად: დავაკლდით ერნი ქრისტიანენი უმოწყალესსა ჴელმწიფესა და საზოგადოსა დედასა!"[2]

მილოცვა ასეა გამოთქმული:

„გარნა დასასრულსა მწუხარებისასა, დასაბამად საზოგადოსა მხიარულებისა, დღესასწაულობს ყოველი ივერია, ვინათგან განგებამან საბაოთურმან, სიმტკიცედ სჯულთა, დაცვად ეკლესიათა, განვრცელებად იმპერიისა, საუკუნოდ ნეტარებისა ღირსისა დიდისა იმპერატრიცა ეკატირინას საჴელმწიფოთა შრომათა, დაადგა გვირგვინად იმპერატორება უდიდებულესობისა თქვენისა, და საზოგადოსაგან დედისა დაობლებულსა იმპერიასა აღუდგინა მამა მოწყალებისა საზოგადო: რომლისათვისცა უმდაბლესად თაყვანისცემით მომლოცველნი და მედღესასწაულენი, უმაღლესსა ტახტსა ზედა აღსლვისა უდიდებულესობისა თქვენისანი, შევევედრებთ თავსა ჩვენსა მფარველობასა ქვეშე იმპერატორებისა თქვენისასა, და მე, უერთგულესისა მონებისა ჩემისა მსხვერპლად სისხლადმდე შემწირველი, დავშთები ნიადაგ უდიდებულესობისა თქვენისა უმოწყალესის ჴელმწიფისა ჩემისა უმდაბლესად მონად"[3].

ს. ლიონიძის ეს სამილოცვო ეპისტოლე, მსგავსად ორატორის სხვა ქმნილებისა, დიდად შორდება ერთი რომელიმე, ამ შემთხვევაში სადღესასწაულო, დარგის ფარგლებს და მოსაზღვრე სფეროს

---

[1] ხელნაწერი *H*—2528.

[2] იქვე.

[3] იქვე.

ორატორულ ძეგლადაც გვეველინება. ის სამგლოვიარო დარგის ორატორულ ნაწარმოებად შეგვეძლო ჩაგვეთვალა, რადგან ვრცლად გამოთქმულ სამძიმარსაც შეიცავს, მაგრამ მთელი მიმართვის ლეიტმოტივს მოწოდება წარმოადგენს და ამიტომ უფრო სადღესასწაულო მჭევრმეტყველებას უახლოვდება.

ს. ლიონიძის „მიმართვა პაველ პირველისადმი“ ქართული ეპისტოლარული ხელოვნების კლასიკური ქმნილებაა, რომლის ძირითადი მოტივები — საზეიმო და სამგლოვიარო — გამოხატულია მათი შესაბამისი მაჟორული და მინორული ტონებით, რომლებიც გაერთიანებულია ოდნავ ამაღლებული, ლამაზი და კეთილხმოვანი რიტორიკული სტილით.

ს. ლიონიძის სიტყვა „მოთქმით ტირილი საქართველოს მეფის ღერკულეს ნეტარების ღირსისა“ შექმნილია ერეკლე მეორის გარდაცვალების გამო და წარმოთქმულია ეროვნული გლოვის დღეებში, მეფის დაკრძალვის დროს, მცხეთაში.

ს. ლიონიძის ენამზეობა, რომლითაც გამოთქმულია ორატორული ხელოვნების ეს იშვიათი ძეგლი, თავიდანვე ღირსეულად დაუფასებიათ და მისგან მიღებული წარუშლელი შთაბეჭდილება საგანგებოდ აღუნიშნავთ. „მოთქმით ტირილი“ ჯერ კიდევ ორატორის თანამედროვეთა შორის გაცხადარა ფართოდ ცნობილი და აღიარებული. ამას გვიჩვენებს თეიმურაზ ბატონიშვილის ცნობა, რომელსაც შეიცავს მისი „საქართველოს ისტორია“. აქ ნათქვამია: „თუმცაღა მრავალთა იტირეს გვაჲი მეფისა შესაბამად, გარნა ორნი მათ შორის აღემატნეს სხვათა: ერთი მდივანი მეფისა სოლომონ მსაჯული, რომელიცა იყო კაცი განსწავლული და პატიოსანი, და მეორე ქვრივი იგი ქიზიყელი, რომელიცა წინარე მოვიხსენეთ“[1].

უფრო მოგვიანებით „გლოვისა ესე სიტყვა“, როგორც ორატორული შემოქმედების სანუკვარი განძი, ისტორიკოსმა პლატონ იოსელიანმა მთლიანად მოათავსა თავის ნაშრომში — „ცხოვრება გიორგი მეცამეტისა“ — და გაგვიზიარა შემდეგი: „მეფემან გიორგი... თვით ინება ქონვა მისი და აექსონსა მისსა სოლომონ ლიონიძეს უბოძა საკაბე მაუდისა და საახალუხე ფარჩისა“[2].

ყოველივე ეს მაუწყებელია იმ უჩვეულო პოპულარობისა, რომლითაც სარგებლობდა ს. ლიონიძის სიტყვა. ის დაცულია მრავალ ხელნაწერში, შენახულია დედნის სახით, ბეჭდურად გამოცემულია თოთხმეტჯერ, ორგზის თარგმნილია რუსულად და გაცოყენებულია

---

[1] თ ე ი მ ურ ა ზ ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ისტორია, II, გვ 107.

[2] პ. ი ო ს ე ლ ი ა ნ ი, დასახელებული წიგნი, გვ. 51.

ბევრ მხატვრულ და მეცნიერულ ნაწარმოებში[1]. ს. ლიონიძის ორატორული შემოქმედება დღემდე ინარჩუნებს ცხოველ ინტერესს და ამჟამადაც ქართველ მკითხველთა ფართო წრეების ყურადღების საგანს წარმოადგენს[2].

ს. ლიონიძის სიტყვა „მოთქმით ტირილი“ ქართული სამგლოვიარო მჭევრმეტყველების უკვდავი ქმნილებაა. ის ღრმა შინაარსისა და ფართო ხასიათის ორატორული ძეგლია, რომელიც თავი'ი ფორმით ზეპირი სიტყვის კლასიკურ ნიმუშს წარმოადგენს. ეს წინასწარ წერილობით მომზადებული, მსმენელთათვის განკუთვნილი და თავის დროზე ზეპირად წარმოთქმული სიტყვა დიდი სისრულით მოიცავს ქართული ენის ექსპრესიულ ძალას, ლექსიკურ სიმდიდრესა და მხატვრულ ელეგანტურობას. ამით აიხსნება ის ძლიერი ემოციური ზემოქმედება, რაც ამ სიტყვის პირველ მსმენელებს განუცდიათ და ის მომხიბვლელობაც, რასაც იგი დღემდე ინარჩუნებს. თემის სიცხოველე, შინაარსის სიღრმე, წყობის ჰარმონია და ენის სილამაზე ს. ლიონიძის სიტყვას ანიჭებენ დიდი ზეგავლენის ძალასა და მხატვრულ სრულყოფილებას.

ოდნავ ამაღლებული რიტორიკული ტონი, ბიბლიურ სახეთა საგრძნობი სიჭარბე და რამდენადმე პათეტიკური იერი ვერ არღვევენ სიტყვის ბუნებრივ მთლიანობასა და კეთილხმოვანებას. ხსენებული ნიშნები ერთგვარი ხარკია შუა საუკუნეების მჭევრმეტყველების წინაშე და მისივე შორეული გამოძახილია.

„მოთქმით ტირილის“ ძირითად ნიშნებს კლასიკური უბრალოება, განცდით აღსავსე სიმშვიდე და მწყობრი დინება წარმოადგენს. სიტყვა აგებულია ორგანულად დაკავშირებული ნაწილების გეგმაშეზომილი თანმიმდევრობით. ყოველ ნაწილს თავისი თემატური მოტივი გააჩნია; ისინი სიტყვაში იდეური მოტივების სახით ვითარდებიან. ამ უკანასკნელთა ერთიანობით ვლინდება სიტყვის იდეური შინაარსი.

„მოთქმით ტირილის“ უმთავრეს თემას ერეკლე მეფის ღვაწლმოსილება წარმოადგენს. თემის ღერძი, რომლის ირგვლივ გაშლილია მთელი სიტყვა, ტრაგიკული ფაქტი — მეფის სიკვდილის მოვლენაა. სიტყვით იგრძნობა ამ მოვლენის დიდი დრამატიზმი და შექმნილი ვითარების დაძაბული სირთულე. ასეთ გრძნობას ქმნიან ძირითადი აზრის დინება და აქა-იქ ჩართული თემატური შენაკადები.

---

[1] იხ. ს. ლიონიძე, სიტყვა, თქმული ერეკლე მეორის დაკრძალვაზე, გვ. 49—54.

[2] ნ. კანდელაკი, სოლომონ. ლიონიძე და მისი მჭევრმეტყველება.

სიტყვის თემატური მოტივებია: მეფის სიკვდილის შეცხადება, მისი ამაგი, ხასიათი, მასთან და სხვებთან შესიტყვება, საკუთარი და საერთო გოდება, წარსულის მოგონება და სამძიძრის მიმართვები. ამ თემატიკის მხატვრული ასახვით მკვეთრად ნაჩვენებია სიტყვის იდეური მოტივები, რომელთა შორის უმთავრესი პატრიოტიზმია. სამშობლოს სიყვარული და მისადმი ერთგულება, მისთვის ბრძოლა და თავდადება წარმოადგენს „მოთქმით ტირილის“ იდეას.

ს. ლიონიძის სიტყვის ეს იდეური შინაარსი და დედააზრი ავტორის მიერ გამოხატულია მკაფიო მშვენიერმეტყველური სტილით, კაზმული ფორმით, მდიდარი ენითა და მწყობრი აგებულებით.

დიდი ქართველი ორატორის მშვენიერმეტყველების ნიშანდობლივი მხარეებია: მტკიცედ შეკრული კომპოზიციური წყობა, ტექსტუალური შინაარსის, იდეური გააზრებისა და სიტყვიერი ფორმის განუკვეთელი ერთიანობა, ფრაზის რიტმული გამართულობა და აზრების ემოციური განცდით გამოხატვა.

სიტყვა იწყება მშვიდი თხრობით, თანდათანობით ღრმავდება ჯერ გაკვრით და მერმე ფართოდ გამოთქმული სევდის გრძნობა, მატულობს მღელვარება, იზრდება გოდება, სიტყვა აღწევს ზეგავლენის მწვერვალს, ერთხანს ინარჩუნებს უკიდურეს ემოციურ ძალას, შემდეგ თანდათან ზომიერად ეშვება ძირს, ისევ მშვიდად იწყებს დიდებას და მთავრდება ოდნავ შემაღლებული ტონალობით.

აქ მეტყველების სამი სტილისტიკური სახეობა შეინიშნება: მშვიდი, მღელვარე და შემაღლებული თხრობა.

მშვიდი თხრობა, მაგალითად, ასე მიმდინარეობს:

„დღეს ციურთა საკვირველება მოშურნე ექმნა ქვეყნისა საკვირველსა: ცამან მისტაცა ქვეყანასა სიმდიდრე, ძლიერთა — ძალი, ბრძენთა — გონიერება, ერთა — გვირგვინი, მჭედართმთავართ — სარდლობა და თვითმპყრობელთა — საჭელმწიფო ზრდილობა“[1].

მღელვარე თხრობა, მაგალითად, ასე მიმდინარეობს:

„დავაკლდით ერნი ქრისტეანენი მემკვიდრესა პატრონსა და საზოგადოსა მამასა. ძლიერსა და მხნესა მამაკაცსა ჩვენ ვსტირით, და მეფე ერეკლე: თავი — განმგებელი ერისა, ჭელი — მზრდელი ობოლთა, მკლავი — მომგერებელი მტერთა და გვამი — შრომისმოყვარე მისი საფლავში ირღვევა“[2].

შემაღლებული თხრობა, მაგალითად, ასე მიმდინარეობს:

„ჭელმწიფეე მფლობელო, საზოგადოვ მამავ, მეფევ ირაკლი! ვის მივსცე შენის უმაღლესის თავისა და უძლეველის ტანის უზომო

[1] ქართული მშვენიერმეტყველება, გვ. 242.

[2] იქვე, გვ. 245.

ტრფიალება?! ვისს დროშას ვემსახურო?! ვინ შევიყვარო?! ვისთვის მოკვდე?! ვისთვის ვიცოცხლო შენს უკან სიცოცხლე საზრახავად განმწარებულმან?!"[1]

სიტყვის კომპოზიცია ამ სტილისტიკურ სახეთა ბუნებრივი ერთიანობით ხასიათდება.

„მოთქმით ტირილის" ემოციური მწვერვალი რამდენიმე მძლავრ პათეტიკურ შეპაღლებას მოიცავს. ერთი მათგანია: „მაგრამ, ჭელმწიფევ. რად გვიხაროდა შენი ჭელმწიფედ ცხებულება — თუკი სამკდროს ზეთს იცხებდი?! რად გინდოდა საჭელმწიფო პორფირი — თუკი დასამიწებელს სუდარს გარს მოიხვევდი?! რად გინდოდა განსაგებელი სკიპტრა — თუკი სკიპტრის მპყრობელს ჭელებს გულზე დაიკრეფდი?! რად გინდოდა ქვეყნის მაჩრდილებელი დროშა — თუკი მტერზე გარდახურვილს შენის შიშის ფარდას ახდიდი?! რად გინდოდა საჭელმწიფო ტახტი — თუკი დასამიწებელს საფლავს იშენებდი?!"[2]

ან კიდევ:

„რად ადიდე სახლი უმაღლესი — თუკი საუკუნოდ დასცლიდი?! რად მიეც სიამაყე დედოფლობისა შენს უმაღლესს ფერცხალს — თუ ასე დასჩაგრევდი?! რა გაწყინა დედოფლის დარეჯანის დიდებულმა სამშობლომ?! რად მოსტაცე დიდება დადიანის ოჯახს?! რად ადიდე შენს უმაღლეს ტახტზე?! თუ ადიდე — რადღა დაამიწე?!"[3]

პათეტიკურ შემაღლებათა შორის ემოციურად დაშვებული გარდამავალი მომენტებია. მაგალითად, ასე: „იგლოვდი, ქვეყანავ, რომელიც უძვირფასესითა სპეკალითა ამდიდრებ სიტყვიერთა, გარნა სიმდიდრე გრძნობადთა და საცნაურთა — მეფე ერეკლე — შენს სიღრმეში დაჰფარე!"[4]

ს. ლიონიძის სიტყვაში ტექსტის შინაარსისა და მისი იდეური გააზრების გამოთქმა ყოველთვის უკიდურესად შესაბამისი ფორმის მეშვეობით ხდება. ყოველი სათქმელის გადმოსაცემად მოძებნილია თქმის უმჯობესი საშუალება — თქმის ყოველი ფორმა გამოყენებულია უსრულესი აზრობლივი ძალით. აზრისა და ფორმის განუყოფელი ერთიანობით მიღწეულია დიდი სისრულის ჰარმონია და ამით შექმნილია ლამაზი განცდის საფუძველი.

მშვენიერების განცდას იწვევს მთელი სიტყვა და აგრეთვე მისი ცალკეული ადგილები. მაგალითად: „ვაი თუ ის მაღალი და ზეცას

---

[1] ქართული მჭევრმეტყველება, გვ. 246.
[2] იქვე, გვ. 244.
[3] იქვე, გვ. 245.
[4] იქვე, გვ. 244.

ანგელოზთაგან სამწიგნობრო სახელი—მეფე ერეკლე, რომელიც ცის კალთებზე იწერებოდა და ქვეყნის მპყრობელთა ჯელმწიფეთა ფხიზელად აძინებდა და მძინარეთ საშიშრად ესიზმრებოდა,—ამ სადღესასწაულოს სახელის მოხსენებას საქართველოს ეკლესიები მოჰკლებოდეს!"[1]

ან:

„ჯელმწიფევ! სად დაგიკარგავს ჯელმწიფეთაგან საშურველი ზრდილობა?! ამ დუმილით პატივსაცემელს სასახლეში რა ამბავია უჩვეველი ჭმის შემაღლება?! რას ნიშნავს ამისთანა უბედური სალამი?! გადმოხედე ჯელმწიფურად შენს მეჯლიშში მეინახეთ: დარბაისელთ, სახელოვანს სარდლებს!"[2]

ს. ლიონიძის სიტყვა თავისუფალი რიტმით გამართული პროზაული ძეგლია. რიტმულად ჟღერს აქ ყოველი ფრაზა. მოცულობით განსხვავებული სათქმელი ერთეულები მეტყველების დინებაში ქმნიან რიტმულ პოლიფონიას, რაც უზრუნველყოფს სიტყვის მიმზიდველ ბგერითს მრავალფეროვნებას. სიტყვაში არ არის არც ერთი უფერული ფრაზა, მოდუნებული შესიტყვება, ან უადგილო შენელება.

დიდი მჭევრმეტყველური სტილით გამართულია, მაგალითად, შემდეგი ფრაზები: „და თქვენ მტირალნო, ნათესავნო ქართლოსიანნო, სარკინოზთაგან უძლეველნო მჭედარნო!"; ან: „ესე უკუდავი მეფე, პატრონი თქვენი, ციურთა ძალთა უკუდავითა ძალითა სძლევდა და განვლო სამყარონი ცათანი."; ან კიდევ: „განკრთი, განჰკვირდი, სტიროდე, ცაო, რომ შენის სითალხისა და ვარსკულავთაცა აბრაჰამისებრ განკვირვებით მხედველი მეფის ერეკლეს უმაღლესი თვალები საუკუნოდ დაბნელდა!"

ს. ლიონიძის სიტყვა შემკულია აზრის მხატვრულ-ემოციურად გამოთქმის ხერხებით. მათ შორის განსაკუთრებით საყურადღებოა სიტყვიერი ფიგურები და სახეები. ისინი საერთოდ კაზმული სიტყვის ნაცნობი სამკაულებია, რომელთა ექსპრესიულ ძალას დიდი ოსტატობით იყენებს ორატორი.

ერთი ამგვარი ხერხია რიტორული განმეორება. სიტყვაში ხუთჯერ მეორდება ფრაზა: „რად სტირი, სადავითოვ სახლო?!" ყოველ განმეორებას მოსდევს ვრცელი ტექსტი. ასევე ხშირად გვხვდება ცალკეული სიტყვის განმეორება ფრაზებში. მაგალითად: „რად გეიხაროდა შენი ჯელმწიფედ ცხებულება — თუკი სამკდროს

---

[1] ქართული მჭევრმეტყველება, გვ. 244.

[2] იქვე, გვ. 246.

ზეთს იცხებდი?! რად გინდოდა საქელმწიფო პორფირი — თუკი დასამიწებელს სუდარს გარს მოიხვევდი?! რად გინდოდა განსაგებელი სკიპტრა — თუკი სკიპტრის მპყრობელს ჯელებს გულზე დაიკრეფდი?!"[1]

ეს გამოთქმები იმავე დროს მიმართვის ფორმით გამოხატული რიტორული შეკითხვებია. ამრიგად, განმეორება-შეკითხვა-მიმართვები აქ ერთიმეორეშია შეთავსებული.

სიტყვაში საერთოდ ხშირად გვხვდება რიტორული მიმართვა. ორატორი მიმართავს მსმენელებს, „სადაჲითო სახლს", განსვენებულ მეფეს, დარეჯან დედოფალს, ბატონიშვილებს, ბუნების მოვლენებსა და სხვებს. ასე, მაგალითად: „რად სტირით, ძენო, ობოლნო მამისაგან, და შენ, შესაკრებელო სახლო ივერიელთ ნათესავთაო, ტაძარო ათორმეტისა სკიპტრისაო?!"[2]; ან: „დაბნელდი, მზევ, რომელსაც გაქვს მოსასწავებელი დაბნელებით ჴირისუფლობა, რომ მზე მიწიერი ღამიანის ქართლისა — მეფე ერეკლე — შენს ბრწყინვალებას ვეღარ ჰხედავს!"[3].

ამ მიმართვებით ორატორი იპყრობს მსმენელთა ყურადღებას და მისი ძალით იქმნის მაღალ შემოქმედებითს შთაგონებას.

„მოთქმით ტირილს" ამშვენებს ბევრი სიტყვიერი სახე; ყოველი მათგანი აზრის ორიგინალურ ჩუქურთმას მოგვაგონებს. სიტყვაში ასეთი სახეებია: „ქვეყანა აღსრული გულის წყრომისა ტახტსა ზედა..."; „ასპინძას მტრის სისხლში გამოწრთობილი ჴმლით..."; „ხვანთქარი ჩემთან საჩივლელად დაამუხლაო!"; „სფერა ქვეყნისა გეძრწოდა ფერხთა ქვეშე!"; „საქართველოს საფარველად გარდახურვილი მეფის ერეკლეს ბედნიერი დროშის კალთები"; „ცასა და ქვეყანას ორს ფურცლად კითხულობდა"; „რად შემოსწყერ სახელოვანს დროშას, რომლისაც ჰაერში მომცურავი კალთები ქვეყანას აჩრდილებდა და სამესისხლოდ განჭიმულის ზორტებით ცის კალთებს ეჩხუბებოდა", და სხვ.

სიტყვის ტემპი რამდენიმე ადგილას შენელებულია ლირიკული წიაღსვლით. მაგალითად: „ქვეყანას უკვირდა: „სოლომონის გული მწუხარებამ ვერ შესცვალაო, არ დაიჩაგრაო". ჩემი სიამაყე პირველად სიმართლე და მეორედ მეფის ერეკლეს სიმრთელე იყო. მეფეს ერეკლეს ცოცხალს უყურებდი — მტერი და განსაცდელი სათამაშოდ მიმაჩნდა"[4]. ლირიკული წიაღსვლების მანძილზე ხდება ერთ-

[1] ქართული მწერლობის ძეგლები, გვ. 244.
[2] იქვე, გვ. 242.
[3] იქვე, გვ. 245.
[4] იქვე, გვ. 246.

გვარი შემოქმედებითი შესვენება და ახალი ძალის მოკრება მომდევნო აზრის გამოსათქმელად.

დასასრულ, სიტყვის სახვით მხარეს აძლიერებს აქა-იქ ძუნწად ჩართული შორისდებულები: ისინი აღრმავებენ სევდის განწყობილებას და გოდების ელფერით მოსავენ შინაარსს. მაგალითად, ასე: „მაგრამ, ვაი თუ დიდება ესე შენი ღერკულეს მეფეს საფლავად მიეცვალოს! ვაი თუ საქართველოს საფარველად გარდახურვილი მეფის ერეკლეს ბედნიერი დროშის კალთები აგვეხადა!“; ან: „ვაი თუ უძლეველი ჭელები, რომლისაც ჭმლის ვადაზე დადება სიკუდილს მახარობლობდა, ტრფიალთ სატკივრად გულზე დაკრეფილ იყოს!“.

ასეთია „მოთქმით ტირილის“ შინაარსისა და ფორმის სიდიადე.

ს. ლიონიძის შესხმა, მიმართული ალექსანდრე პირველისადმი, სადღესასწაულო ზეპირი მეტყველების საინტერესო ძეგლია. ამასთან, ის საელჩო შესიტყვების მოკრძალებით გამსჭვალული და გულუხვი დიპლომატიური ხოტბით მოკაზმული სადარბაზო მიმართვაა, რომელიც საზეიმო განწყობილებითა და პათეტიკური იერით წარმოუთქვამს ორატორს იმპერატორის წინაშე.

მოჭარბებული ქება-დიდების რიტორიკული სამკაულებით ტვირთავს მეტყველი მთელ ნაწარმოებს და მკვეთრად შელამაზებული გამოთქმებით აგებს თავის ნაკლებად შთაგონებულ, მაგრამ მეტად მონდომებულ შესხმას.

ბიბლიურ მოტივზე გამართული მცირე შესავლის შემდეგ ორატორი ადიდებს ალექსანდრე პირველის „სანეტარო“ მეფობას: „ნეტარ არს საუკუნო ეს[ე] იმპერატორებისა შენისაგან აღყვავებული, და ნეტარ არიან ძენი როსსიისანი, რათა პოეს მოხუცებულთა მამა, ჭაბუკთა—მაგალითი, ბრძენთა—სასყიდლის-გება და გლახაკთა—სიმდიდრე და მე, მხედველი უღრმესისა მოხუცებულობისა ახალსა სიჭაბუკესა შინა შენსა, დიდო იმპერატორო, წინამაუწყებელ ვარ, რამეთუ კეთილსა საფუძველსა ზედა დაწყებამან პეტრე პირველისამან იმპერატორებითა შენითა მიიღოს უკეთილესი დასასრული“[1].

შემდეგ ორატორი წარმართობით „შეცოდებულ“ ალექსანდრე მაკედონელზე მაღლა აყენებს ქრისტიანობის მოსავ ალექსანდრე პირველს და პირისპირ მიმართავს მას: „გარნა შენ შორის ეხედამ უსაკვირველესა დიდებასა, რამეთუ რომელი იგი დასაბამიდან მრავალგზის შეცოდებულ იყო სკიპტრა ჯვარისა მი[ა]რთ და მრავალსა საუკუნესა დასჯილ იყო სკიპტრა ჯვარისაგან. შენ დახსენ სიძულილი

[1] ხელნაწერი H—3011.

შორის სკიპტრისა და ჯვარისა! შენ მიერ საყვარელ ჯვარისა იქმნა სკიპტრა შენი! ორნი ესე თაყვანის საცემელნი და დიდებულნი მეგობარნი ხელთა შინა შენთა განისვენებენ: ერთითა გიპყრიეს ჯვარი, რომლითა იდღესასწაულები სიძე ზეციერისა ანმონისა, და მეორითა გიპყრიეს სკიპტრა, რომლითა თვით შენ ადიდებ საიმპერატოროსა ტახტსა რუსეთისასა...“[1]

ამ სახოტბო მიმართვას მოსდევს ორატორის რწმენისა და სურვილის საზეიმო გამოთქმა: „დიდო იმპერატორო, დღესასწაულობით მოგილოცავ, რომელსა ვსასოებ უღრმესითა განსჯითა საქმეთა მომავალთა; ვსასოებ, რომ სიჭაბუკე შენი განავრცელებს იმპერიასა და იწყებს ელვასა საშურველი შენი ჩრდილოეთით სამხრეთად; მამაცობა შენი განახშირებს ქუხილსა დასავალით აღმოსავლეთად და დაიპყრობს ერთა უცხოთა, და ესრეთ განგრძელდების ქუხილი და ელვა საშურველთა შენთა უშორესთა კერძოთა. ხოლო მოხუცებულობა სავსე ძალითა, და სიბრძნითა, და სიმდიდრითა დაუტოვებს მრავალთა ერთ მთავრობით ერთად შეერთებულთა სკიპტრათა საუკუნესა ნეტარებასა შინა!“[2]

დასასრულ, სამყაროს საოცრებათა ფონზე გამოხატული მეფის უკვდავების სურათით აგვირგვინებს შესხმას ორატორი: „ხოლო დიდებული სახელი შენი ალექსანდრე პავლეს ძე, და დიდებულნი საქმენი შენნი, უაღესუსტესო კეისარო, აღიწერების ორთა ფურცელთა ზედა: პირველსა ფურცელსა—ცასა ზედა და მეორესა ფურცელსა — ქვეყანასა ზედა. ორი ესე ფურცელნი საუკუნოდ სახელსა შენსა მოუთხრობენ, მოკვდავებასა შენსა უკვდავ ყოფენ...“[3]

ასეთია ს. ლიონიძის ორატორული შემოქმედების იდეური და მხატვრული საგანძური.

სოლომონ ლიონიძის ორატორული სიტყვაკაზმულობის ენობრივი ფორმა არსებითად ახალი ქართული მეტყველებაა. მდიდარი, მრავალფეროვანი და თანმიმდევრულია ორატორის ენა. ის წარმოადგენს XII—XVIII საუკუნეების მანძილზე დანერგილი საერთო-სახალხო მეტყველების ლიტერატურულ ფორმას, რომელსაც გვერდი აუქცევია ბუნებრივი განვითარების შემაფერხებელი მოვლენებისათვის, არ განუცდია მათი გავლენა, და ჩვენი კლასიკური მწერლობის ენობრივი ტრადიციები დაუცავს და შეუნარჩუნებია.

ქართული ორატორული ხელოვნების ეს უკვდავი მონაპოვარი ამშვენებს მსოფლიო მჭევრმეტყველებას.

---

[1] ხელნაწერი *H*—3011.

[2] იქვე.

[3] იქვე

17. ამბროსი ნეკრესელი

ამბროსი ნეკრესელი (მიქაძე) XVIII საუკუნის მეორე ნახევრისა და XIX საუკუნის დამდეგის საეკლესიო მოღვაწე და მქადაგებელია. ის აღიზარდა ბესარიონ ორბელიანისა და ანტონ ბაგრატიონის სალიტერატურო სკოლის იდეურ ატმოსფეროში და თავისი სასულიერო მოღვაწეობის სარბიელზე წარმატებით აგრძელებდა დიდი მოძღვრების სამქადაგებლო ტრადიციებს. მან ახალი ფორმითა და ხერხებით გაამდიდრა ჩვენი ჰომილეტიკური ხელოვნება და ფართო საზოგადოებრივი ასპარეზი მოუპოვა საალმზრდელო მუეერმეტყველებას.

ამბროსი ნეკრესელი ჯერ წილკნისა და მანგლისის სამწყსოებს წინამძღვრობდა, ხოლო შემდეგ, 1794—1812 წლებში, ნეკრესის კათედრას განაგებდა. ამიტომ იწოდება ის ზოგიერთი ქადაგების სათაურში, როგორც „წილკნელ-მანგლელ ყოფილი ამბროსი ნეკრესელი".

ნეკრესის ძველ და სახელგანთქმულ ეპარქიას ერთხანს დიდი მზრუნველობით წინ უძღოდა ცნობილი სასულიერო მოღვაწე დოსითეოზ ჩერქეზიშვილი. ეს უკანასკნელი შეუცვლია იქ ამბროსი ნეკრესელს[1]. აქ, კახეთის გაღმა მხარეში, XVIII—XIX საუკუნეთა მიჯნაზე, ამბროსის წინაშე სამქადაგებლო შემოქმედების ვრცელი სარბიელი გადაიშალა, რომელზედაც თითქმის ოცი წლის განმავლობაში დაუღალავ და ნაყოფიერ მუშაობას აწარმოებდა ეს გამოჩენილი მქადაგებელი. ამ საქმეში მას სახელმძღვანელო დევიზად გაუხდია ბიბლიური წინასწარმეტყველის ისაიას სიტყვა: „ხმა ჰყავ ძლიერად, და ნუ რიდებ, ვითარცა საყვირმან აღიმაღლე ხმა შენი, და მიუთხრენ ერსა ჩემსა ცოდვანი მათნი"[2].

ამ მოწოდებას საგანგებოდ იმორწმებს ორატორი ერთ თავის პუბლიცისტურ ქადაგებაში: და მართლაც, ამბროსი ნეკრესელი ხმას იმაღლებდა ბევრი მავნე და მიუღებელი ჩვეულების წინააღმდეგ,

---

[1] ს. ყუბანეიშვილი, ამბროსი ნეკრესელი, გვ. 225—253.

[2] ამბროსი ნეკრესელი, ქადაგებანი და მოძღვრებანი, გვ. 278.

ებრძოდა წინსვლის შემაფერხებელ ტრადიციებს და მოურიდებლად ამხელდა მრავალ საზოგადოებრივ ნაკლსა და უკუღმართობას. ამ მაღალი დანიშნულებით შთაგონებული მქადაგებელი „სამწყსოთა შვილთა თვისთა სწავლად და წვრთნად“ წერილობით ქმნიდა ბევრ შესანიშნავ მოძღვრებას ქადაგებას, რომელთაც არა მარტო თვითონ წარმოთქვამდა მრევლის წინაშე, არამედ სხვებსაც უგზავნიდა სხვა სამწყსოებში სათქმელად თუ წასაკითხავად. ამბროსის ზოგიერთი ქადაგების ტექსტში დაცულია ამგვარი პრაქტიკის მაჩვენებელი ცნობა. მაგალითად, ერთგან ორატორი ასე მიმართავს მსმენელებს: „ახლა მე, რადგან უმაღლესისა მეფისაგან და უწმიდესის პატრიარქისაგან თქვენი მწყემსობა მებრძანა, თანამდებობა მაქვს, რომ რაოდენ ძალვიდეა თქვენის სულისა და ქრისტეანობის სადიდებელს სიტყვას მოგახსენებდე, გამცნებდე და გამხილებდე... ამისთვის, მოწყალებითა ღვთისათა, თვითოს სოფელში, თვითო იმ ეკკლესიის დღესასწაულის სწავლა და ქადაგება შემიმზადებია, დამიწერია, და იმ ეკკლესიაში დამიდვია“[1].

სხვაგან, მქადაგებელი ასეთი სახით აყალიბებს მსმენელთა წინაშე თავის მიზანსა და მოვალეობას: „...თანამდებ ვარ სწავლად და მოხსენებად თქვენდა უღირსი ესე მწყემსი და მამა თქვენი ნეკრესელი ამვროსი, რომელსა წერილით გამცნებ და დაგიწერ გლახაკსა ამას რამდენსამე სწავლა-ქადაგებასა. დაგიწერ და მოგახსენებ, რომ ისწაოთ, წარიკითხოთ და შეისმინოთ ვედრება ესე ჩემი“[2].

ამრიგად, ამბროსი ნეკრესელი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს და მაღალ მიზანს უსახავს სამქადაგებლო შემოქმედებას, როგორც საზოგადოების მორალური აღზრდის უაღრესად ცოცხალ და ეფექტურ ფორმას.

ამბროსი ნეკრესელის სამქადაგებლო მემკვიდრეობა ჩვენამდე სრული სახით არ მოღწეულა. მისი ნაწილი, უნდა ვიფიქროთ, უფრო საერო ხასიათის სიტყვები, დაკარგულია. სასულიერო ქადაგებათა უმრავლესობა, ხელნაწერი დედნებისა და პირების სახით, თავიდანვე საგულდაგულოდ დაცული და ფართოდ გავრცელებული ყოფილა[3]. მათი ერთი ნაწილი 1881 წელს ბეჭდურად გამოქვეყნდა[4]. გამოცემას წინ უძღვის ალექსანდრე ეპისკოპოსის წინასიტყვაობა და

---

[1] ამბროსი ნეკრესელი, ქადაგებანი და მოძღვრებანი, გვ. 261.

[2] იქვე, გვ. 132—133.

[3] კ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, I, გვ. 363.

[4] ამბროსი ნეკრესელი, ქადაგებანი და მოძღვრებანი.

დიმიტრი ჯანაშვილის ნარკვევი „ნეკრესის ეპარქია და ამბროსი". აქ მოთავსებულია 38 სიტყვა.

ეს სიტყვები სავსებით ნათელ წარმოდგენას იძლევიან ნეკრესელის ორატორული ხელოვნების ხასიათისა და მნიშვნელობის შესახებ.

ამ საკითხებს ვეხებით ქვემოთ.

ამბროსი ნეკრესელის ქადაგებანი შინაარსის მიხედვით ორ უთანაბრო ჯგუფად იყოფა. ერთი — დიდი ჯგუფი რელიგიურ-დოგმატიკურ ხასიათს ატარებს, ხოლო მეორე—მცირე ჯგუფი პოლიტიკურ-პუბლიცისტური ხასიათისაა. ერთიცა და მეორეც საღმრთო წერილის — უმთავრესად ახალი აღთქმის—შინაარსს ემყარებიან და მისი მასალობრივი წყაროთი საზრდოობენ. ორივე ჯგუფის მოძღვრებათა იდეურ დანიშნულებას ადამიანის ზნეობრივი აღზრდა წარმოადგენს, მაგრამ რელიგიურ-დოგმატიკური ქადაგებანი უფრო მორალისტური ტენდენციებითაა გაჯსჭვალული, ხოლო პოლიტიკურ-პუბლიცისტური სიტყვები უმთავრესად პატრიოტულ სულისკვეთებას გამოხატავენ. აქედან გამომდინარე, ამ უკანასკნელთ მეტი პრაქტიკული აზრი და საყოველთაო მნიშვნელობა გააჩნიათ.

მარტივი და ნათელია მქადაგებლის მორალური კოდექსი. მასში გაკიცხულია ყოველგვარი ზნეობრივი მანკი; იქვე ნაჩვენებია „ცოდვილთა" მძიმე ხვედრი, „კაცად-კაცადის ღირსი სამართალი" და „მარადიული სასუფევლის" გზა.

ორატორი მტკიცედ დგას მრევლის სულიერ სადარაჯოზე. მისთვის აუტანელია: „მტერობა, შური, უმძრახობა, პარვა, ტაცება, ვალის მიუცემლობა, მუშის ფასის დაკლება, თავსაცილი, ცილისწამება, ბილწი ლაპარაკი და უმოწყალეობა"[1]; მისთვის სანუკვარია: „სიმდაბლე, სიმშვიდე, მოწყალება, სიწმიდე, და სიმართლე გულისა, პირისა და ქელისა"[2].

მქადაგებელს რისხვის წრეში მოუქცევია: „...ღვთის აღნათქვამის გამტეხი, სხვის სიცრუვით მომაცთუნებელი და სიცრუვით მოლაპარაკე, და მრუდი მოსამართლე, ქრთამის ამღები, პირს მიმფერებელი და ქვეშ დაფარვით მომტერე და განმაჭიქებელი, ძვირის მოკვსენე და მზაკვრობითა, ეშმაკობითა და ოსტატობით მქცევი, და სილაღითა და ამპარტავნებითა მედიდური, და უმოწყალეო, და ქვრივისა და ობლისა შემაწუხებელი..."[3].

---

[1] ამბროსი ნეკრესელი, ქადაგებანი და მოძღვრებანი, გვ. 23.

[2] იქვე, გვ. 9.

[3] იქვე, გვ. 117.

ორატორი მოუწოდებს მსმენელებს: „ნუ მისდევთ მკითხაობასა და ნუ აჰყოლიხართ ეშმაკის სიტყვასა. ქრისტეს ჯვარს დაეკითხენით, წმიდას ეკკლესიასა და მას შინა მდებარეს წმიდას სახარებასა და წმიდათა ხატთა... ნუცა თილისა, ნუცა ჯადეგი, ნუცა მჭარი, ნუცა ბეჭი და სიზმარი, და სხვა ყოველივე ამისებრი საქმე საეშმაკო, ესე ყოველივე არა არს, შვილნო, ღუთისანი, არამედ ეშმაკისა და ბოროტისა მის მაცთურებისა მისისანი...“[1]

„კაცად-კაცად“ ადამიანს საიქიო ნეტარებას პირდება ორატორი, ხოლო „ცოდვილს“ ჯოჯოხეთის მძიმე სურათს უხატავს, მეორედ მოსვლის ჟამს აგონებს და „ღვთის სამართლით“ აშინებს. უკანასკნელი განკითხვისა და მეორედ მოსვლის წარმოსახვას ის ახერხებს მეტად მკვეთრი, ცოცხალი და შემზარავი სახით: „...როდესაც ქრისტეს საშინელი მეორედ მოსვლის დღე იქნება, ღუთისმოყვარენო, მაშინ ერთი ბზისაგან უბრწყინვალესი საშინელი შუქი და ელვარება აღმოსავლეთის მხრიდამ გამობრწყინდება; და ოთხსავ კერძოს ოთხნი ბრწყინვალენი და საშინელნი დიდროანნი ანგელოსნი გარდმოდგებიან აღმოსავლეთით, დასავლეთით, სამხრეთით და ჩრდილოეთით. მაგრამ რა მოგახსენო და ან რას მიეასმგავსო იმათი საშინელება, ჭმა და ძახილი!“[2]

როგორც ზემოთ აღინიშნა, უფრო საყურადღებოა ამბროსი ნეკრესელის პუბლიცისტური მჭევრმეტყველება. აქ საკმაო სისრულით გამოვლინდა ორატორის პოლიტიკური ალღო და ბუნდოვან ისტორიულ მოვლენებში გარკვევის უნარი. ნეკრესელი ასახავს საქართველოს რთულ და მძიმე სახელმწიფოებრივ ვითარებას XVIII—XIX საუკუნეთა ზღვარზე, როცა ბუსლიმანური სიბნელისადმი ზურგშექცეული ქვეყანა სამუდამოდ დაუკავშირდა რუსეთს და საბოლოოდ შემობრუნდა განათლებული სამყაროსაკენ. ამ გარდამავალ პოლიტიკურ ვითარებასა და მასთან დაკავშირებულ ტკივილებსა თუ სიძნელეებს ორატორი გვისურათებს დიდი პატრიოტული სულისკვეთებითა და მაღალი ეროვნული შეგნებით. ასეთი სინათლის შუქზეა აქ დანახული და წარმოდგენილი ცნობილი ისტორიული მოვლენები: ლეკიანობა და არბაბობა, აღა-მაჰმად-ხანის შემოსევა და კრწანისის ომი, ომარ-ხანის შემოკრა და ნიახურას ბრძოლა, ქვეყნის აშლილობა, ბატონიშვილთა უთანხმოება და სხვ.

ამბროსი ნეკრესელის პუბლიცისტურ მქადაგებლობას განსაკუთრებული სისრულით გვიხასიათებს ორი ორატორული ძეგლი: „ქადა-

---

[1] ამბროსი ნეკრესელი, ქადაგებანი და მოძღვრებანი, გვ. 47.

[2] იქვე, გვ. 210—211.

გება ერისა მიმართ მდაბიურთა“[1], წარმოთქმული 1795 წელს და ე. წ. „მეორე ქადაგება თელავის კარის საყდარს“[2], წარმოთქმული 1800 წელს.

„ქადაგება ერისა მიმართ მდაბიურთა“ ეხება აღა-მაჰმად-ხანის შემოსევასა და კრწანისის ომს. ორატორი გვისურათებს „ხილული და უხილავი“ მტრების მიერ დაქცეულ საქართველოს და მხურვალე ღაღადით გამოხატავს მძიმე განსაცდელში ჩავარდნილი ერის მწუხარებას.

მქადაგებელი ამბობს: „ერთი კაცი, რომ ერთს საშინელს აღელვებულსა და აღდუღებულს ზღვაში, ერთს მცირეს ნავში იჯდეს, მენავეც გასცლოდეს, ნიჩაფიც ჴელიდამ გავარდნოდეს და თვითონ მარტო შეშინებული აჰქონდეს და დაჰქონდეს იმ საშინელის ზღვის ღელვასა, და მიაქლიდეს და მოაქლიდეს, მწარედ თავგანწირული და დასანთქმელად განმზადებული არ იქნება ის საწყალობელი? საშინელი ზღვის ღელვა ხომ ღუთის საშინელი გულისწყრომა არის; მცირე ნავი ხომ, მწარედ მუდამ მტრისაგან შეწუხებული, ჩვენი ქვეყანა არის; კაცნი მუდამ მწუხარებით აღვსილნი და საწყალობელნი ხომ ჩვენა ვართ; მენავე ხომ ჩვენი სასოება ღუთის-მშობელი არის; ნიჩაფი და საჭე ხომ ლოცვა და ღუთის ვედრება არის?“[3]

სასომიხდილი მოძღვარი შეკავებულ გულისწყრომას გამოთქვამს „განრისხებული ღვთაების“ მიმართ და ჩერდება ქვეყნის უმოწყალოდ დაცემისა და გაჩანაგების მიზეზებზე: „სასოება ეს არის წარკვეთილი გვაქვს, რომ ყველანი ამას ვკვნესით: ნეტარ რა ვქნათ და რა გვეშველება? და რომელსაც ვიქადით და ვსასოებთ, რომ საქართველოს ერნიო, ღუთის-მშობლის კერძნი და წილ-ხდომილნი ვართო, თვით ღუთის-მშობელისაგან დაქადებულნი ვართ: „იმათ მე მოვაქცეო, ყოველს ქვეყანაზედ საქართველოსა და იმის ერს უმეტესად აღვამაღლებო;“ მაგრამ ვაი ჩემდა, ვაი, ახლა ყველასაგან უფრო დამდაბლდა, ყველასაგან უფრო დაეცა, ყოველს ქვეყანაზედ სახელგანთქმული ქართლი და კახეთი და იმისი ერი ახლა ყველასაგან უმეტესად და უფრო და უფრო დაეცა, დაიჩაგრა და დამცირდა! რამდენჯერაც მუჴლი მოგვითრევია და შევხვეწნივართ, და კვნესით და ცრემლით შეგვიტირნია ღუთის-მშობლისათვისა, ამასაც თავისის დედობრივის მოწყალებით მოუხედავს და შეუბრალებივართ, ჩვენი კვნესა და ტირილი გაუგონია, თავისი მოწყალე გული დიაღ მალე გამოუბრუნებია ჩვენზედა, მაგრამ ახლა ეველარც

[1] ქართული მწევრმეტყველება, გვ. 219—227.

[2] ა მ ბ რ ო ს ი ნ ე კ რ ე ს ე ლ ი, ქადაგებანი და მოძღვრებანი, გვ. 276—283.

[3] ქართული მწევრმეტყველება, გვ. 220—221.

ამისი მოწყალე გული მოვიგეთ, რომ ჩვენში ერთი თავისი მოსაწონებელი კეთილი რამ დაენახა, თუ არ ცოდვა, თუ არ სიბილწე, თუ არ ურჩება და ამპარტავანება, თუ არ შური და მტერობა...“[1].

ორატორი სასოებით ახსენებს. „კურთხეულ და სანატრელ“ მეფეს, რომელსაც „დიაღ სიმდაბლით და განკვირვებით მრავალჯერ უბრძანებია: „ჰეშმარიტად განკვირვებულ ვარო, თუ არ ჩემი ცოდვაო, თორემ რისაგან არის, ვისიც მოყვრობა მოვინდომეო, მტრად გარდამექცაო“[2], და თავის მხრივ, მძიმე გოდებით მოთქვამს: „ვაიმე, ვაიმე, ჴოიმე! ჩვენთვის ჯვარზედ განშიშვლებულს იესოს ესოდენს წყლულებას, ესოდენს ვნებულებას, მოწყალების კარი ჩვენთვის რად დაუჴშავს? რად დაუჴშავს ჩვენ ცოდვილთა მონათათჳს? ეგოდენს იესოს სატანჯველებს, ეგოდენს ყვრიმლის ცემას, ეგოდენს წმიდას პირზედ ცემას, ეგოდენს მიწაზედ უწყალოდ თრევას, ეკლის გვირგვინის დადგმას, წმიდასა და სუფთას გვამზედ და დაწყლულებულსა და ნაგვემს მხარზედ ჯვარის ტვირთვას, მერმე ჯვარზედ დამსჭვალვასა და ჭელისა და ფერხის დაწყლულებასა და გვერდის განღებასა და ჯვარიდამ ჯვარცმულის, მშჳიდის იესოს სამს საათს სისხლის გარდმოდინებას, ამაებს, ამ ვნებაებს ჩვენთვის მოწყალების კარი რად დაუჴშავს, რად დაუჴშავს?!“[3]

შემდეგ ორატორი ხატავს ალა-მაჰმად-ხანის, ამ „ახალი იულიანეს“, მძიმევარე და აუტანელ სახეს, რომლის მიმართ ზიზღითა და სიძულვილით ამბედრებს მსმენელებს და, დასასრულ, ვრცელი, მხურვალე ლოცვით შესთხოვს წმიდანებსა და ღვთისმშობელს: „გეიღონეთ რამე, წმიდანო, გეიშველნეთ რამ დიდებულნო! განიღვიძე, ღუთის-მშობელო მარიამ, მოვალთ შენთან, შენს წმიდას ხატს მუხლს მოუთრევთ, თავს ესე მიწაზედ დავახლით, პირს ესრეთ მიწაზედ მოვათრევთ, ამდენს შემოგტირებთ, აამდენს დავიკვნესებთ, ააამდენს დავიბღავლებთ, რომ გეიშველო რამ, და ჩვენს სანატრელს მეფესა და ჩვენს ჯარს შეეწიო და შეგვიწყალო!... არა გელმისა, რამეთუ შვილნი ჩვენნი ყვედრებასა მოითმენენ, და მამანი ჩვენნი ვითარცა სანთელნი მბდვინვარენი დავშრეტილ ვართ? არა გეწყალვითა, რამეთუ ერნი შენნი, ჰაბუკნი და ქალწულნი ყრმათა თანა ტყვეობასა მიეცნენ და დედათა ჩვენთათვის, ვითარცა რახელისა საგოდებელნი ჴმანი, ვიდრე ცათამდე აღწევნულ არიან?“[4]

---

[1] ქართული მწერლობის ტყვეობა, გვ. 221.
[2] იქვე, გვ. 222.
[3] იქვე, გვ. 222—223.
[4] იქვე, გვ. 225.

ამბროსი ნეკრესელის. „მეორე ქადაგება თელავის კარის საყდარს“ ეხება ომარ-ხანის შემოპრას კახეთში, ალექსანდრე ბატონიშვილის თანხლებით, და ნიახურას ომის სამზადისს. როგორც ცნობილია, 1800 წელს ავარიის ხანს მიემხრო ქართული ფეოდალური რეაქციის მეთაური ალექსანდრე ერეკლეს ძე, რომელიც უცხო ძალის დახმარებით ცდილობდა გამეფებას, და შეჰზადდა ე. წ. ნიახურას ომი, გადახდილი მდ. იორის ნაპირზე, სადაც რუს-ქართველთა მხედრობამ დაამარცხა მარბიელთა ჯარი და განდევნა მისი წინამძღოლები[1]. ქვეყნის ასეთ პოლიტიკურ სიტუაციას მარჯვედ იყენებს ორატორი თავისი მამხილებელი სიტყვის თემად და მრისხანე მჭუხარებით ესხმის თავს ხალხის მტრებსა და სამშობლოს მოღალატეებს. ის ამხელს ბატონიშვილთა სამარცხვინო უთანხმოებას, ეხება ქვეყნის დაშლილობის მიზეზებს, სახავს შექმნილი მდგომარეობის გამოსწორების გზებსა და სიფხიზლისაკენ მოუწოდებს ხალხს.

ორატორის სიტყვით „ოთხის რითმე იქნება ქვეყანის შენება, განძლიერება და მტრის დამდაბლება: ძალის მჭონებლობითა და სიმხნითა, ჯარის სიმრავლითა, ერთის პირის მჭონებლობითა და განმტკიცებითა, და დიდძალის ხაზინისა და სიმდიდრის შემძლებლობითა და ჭონებითა“[2].

ყოველივე ამის მოგვარებისა და უზრუნველყოფის მაგიერ, ორატორის თქმით, „ვეფის ირაკლის შვილები, თავათ ხელმწიფე მამაპაპათ მრავლის ღვაწლით თავ-დადებულს ქვეყანაზედ, ერთმანერთის ცილებით და წინააღმდეგობით ბრძოლას აპირებენ და ერთმანერთს სამესისხლოდ დაეძებენ, ომი და ბრძოლა განუმზადებიათ, უსჯულოთა და თავიანთ მტრებს ახარებენ“[3].

ამით შეძრწუნებული ორატორი მხურვალე მოწოდებით მიმართავს ხალხს:

„განიღვიძეთ საქართველოს ერნო!

სამღვდელონო, საერონო, დიდნო და მცირენო, ღმერთი აღარაფისა გვწამს? დავყრუვდით, დავბრმავდით, არ გვესმის, ვეღარა დაგვინახაეს რა?“[4].

ასე მგზნებარედ ეხმაურებოდა ეს უანგარო პატრიოტი თავისი დროის საპირბოროტო მოვლენებს და მათი სწორი გაშუქებით დაუფასებელ ამაგს სდებდა მძიმე პირობებში მოქცეულ სამშობლოს

---

[1] ნ. ბერძენიშვილი, და სხვ., საქართველოს ისტორია, I, გვ. 386.

[2] ამბროსი ნეკრესელი, ქადაგებანი და მოძღვრებანი, გვ. 277.

[3] იქვე, გვ. 279.

[4] იქვე.

ის მტკიცედ იდგა ხალხის ზნეობრივი დაცვის სადარაჯოზე და თავდადებულ შრომას ეწეოდა უთანასწორო ბრძოლებში დაცემული ქვეყნის აღსადგენად.

ამ მაღალი ამოცანებით გამოზნული ზეპირი სიტყვა ღრმად ხალხური და უაღრესად ბუნებრივი უნდა ყოფილიყო თავისი შინაგანი არსითაც და გარეგნული სახით. სწორედ ასეთი იყო ნეკრესელის მჭევრმეტყველება. მისი სახით ჩვენ წინაშეა ქართული ორატორული სადასიტყვაობა, რომლის ძირითად ნიშნებს ცხოველი აზრი, ნათელი ფორმა და მარტივი წყობა წარმოადგენენ.

ამბროსი ნეკრესელის ცოცხალი სიტყვა ჩვენი სამქადაგებლო ხელოვნების ერთი მძლავრი ხმა და საგულისხმო წარმატებაა.

18. ანტონ ჯყონდიდელი

ანტონ ჯყონდიდელი (დადიანი)—XVIII საუკუნის მწერალი და საეკლესიო მოღვაწე — უწინარეს ყოვლისა შესანიშნავი მჭევრმეტყველია. ის უმთავრესად თავისი სამქადაგებლო მემკვიდრეობით იმსახურებს ჩვენს ყურადღებას. ფართოდ ცნობილი და ღირსეულად დაფასებული მოძღვარი არ იფარგლებოდა სამწყსოს საერთო ხელმძღვანელობით და მრევლის ზნეობრივ აღზრდასაც აწარმოებდა. ამ სარბიელზე ის შეგნებულად ემიჯნებოდა უსიცოცხლო და განყენებულ სქოლასტიკურ მსოფლმხედველობას და საკმარისად ღრმა ფილოსოფიური ერუდიციით სრულყოფდა თავის სასულიერო მქადაგებლობას.

ასეთი ღვაწლით ვალმოხდილი მქადაგებელი ქართული ზეპირი სიტყვის თვალსაჩინო ხელოვანია.

ანტონ ჯყონდიდელმა უმაღლესი საღვთისმეტყველო და ფილოსოფიური განათლება მიიღო თბილისის სემინარიაში. აქ ის უსმენდა ცნობილ პედაგოგებს: ფილიპე ყაითმაზაშვილსა და ზაქარია გაბაშვილს. მათი დახმარებითა და ხელმძღვანელობით, საკუთარი მონდომებითა და თვითგანვითარებით ანტონს მიუღია „წურთილებაჲ ხედვათა შინა ფილოსოფობათა“, როგორც თვით ამბობს ერთი თავისი ხელნაწერის წინასიტყვაობაში[1].

იმ დროისათვის შესაფერი ცოდნით აღჭურვილი და საღვთისმსახუროდ მომზადებული ანტონი XVIII საუკუნის 60-იანი წლების დამდეგს იწყებს ფართო საგანმანათლებლო მუშაობას. 1761 წლიდან ის მეთაურობს ცაგერის სამწყსოს; 1777 წელს ანტონი ინიშნება ჯყონდიდის კათედრის წინამძღოლად და 1788 წლამდე დიდი წარმატებით ასრულებს ამ მაღალ სასულიერო მოვალეობას. ხსენებულ თანამდებობათა მიხედვით ანტონი ხშირად ცაგერელ-ჯყონდიდლად იხსენიება ჩვენი კულტურის ისტორიაში.

1788 წელს ანტონ ჯყონდიდელი ჩამოშორდა საეკლესიო მართვა-გამგეობის საქმეებს, განერიდა უმაღლეს იერარქიულ დიდებას, დამ-

[1] იხ. თ. ჟორდანია, წინასიტყვაობა, გვ. VII.

კვიდრდა ნახარეობუს მონასტერში და მუუდრო პირობებში განაგრძო სამწერლო შემოქმედება. ამიერიდან ის მონაზნურ ცხოვრებას ეწეოდა, მაგრამ თავისი განდიდებული სახელით კვლავინდებურ გავლენას ახდენდა დასავლეთ საქართველოს საეკლესიო ცხოვრებაზე.

ანტონ ჭყონდიდელი გარდაიცვალა 1815 წელს.

ცაგერისა და ჭყონდიდის კათედრებზე გაიშალა და აყვავდა ანტონის სამქადაგებლო შემოქმედება. თითქმის ყოველი წირვის დროს, ქრისტიანულ დღესასწაულებსა და უქმეებზე გაისმოდა მისი მშვერი ქადაგება, რომელიც განუზომელ შთაბეჭდილებას ახდენდა მსმენელთა ცნობიერებაზე.

1765 წელს ანტონის დიდი ორატორული უნარი ცნობილი გახდა თბილისშიც, სადაც თავისი ძმის კაცია დადიანის ქორწილზე, მრავალრიცხოვან მსმენელთა წინაშე, მან მოუმზადებლად წარმოთქვა შესანიშნავი ქადაგება, რითაც საერთო აღტაცება გამოიწვია და განცვიფრებაში მოიყვანა მაშინდელი გამოჩენილი პირები. მათ შორის უნდა დავასახელოთ ანტონ კათალიკოსი, რომელიც ამიერიდან მეგობრული გრძნობით დაუახლოვდა ანტონ ჭყონდიდელს და სიკვდილამდე არ შეუწყვეტია მასთან კეთილი ურთიერთობა.

ანტონ ცაგერელ-ჭყონდიდელის უმთავრეს დამსახურებას ჩვენი კულტურის წინაშე საეკლესიო მქადაგებლობა წარმოადგენს. ეს მდიდარი ორატორული მემკვიდრეობა ჰომილეტიკის სფეროდან შედის ქართული მშვერმეტყველების საგანძურში და მისი ისტორიული განვითარების ერთი საგულისხმო მაჩვენებელია.

ჭყონდიდელი მხარს უმშვენებს იმ სახელოვან ოსტატებს, რომლებიც XVIII საუკუნის მეორე ნახევარში ქმნიდნენ ქართული ზეპირი სიტყვის შედევრებს და თავიანთი შემოქმედებით ამდიდრებდნენ ეროვნულ მშვერმეტყველებას. ისინი შეადგენენ მშობლიური კულტურისათვის თავდადებულთა დიდ პლეადას, რომელმაც განაახლა და ააღორძინა ჩვენი ცოცხალი მეტყველება და მიანიჭა მას მსოფლიო რეზონანსი.

ამ პლეადის ერთი ღირსეული წევრია ანტონ ჭყონდიდელი.

გამოჩენილი მქადაგებელი ცოცხალი სიტყვის ძალით ებრძოდა იმდროინდელი ცხოვრების უკუღმართობას, მანკიერებასა და სიდუხჭირეს. ის ილაშქრებდა ტყვეების ყიდვა-გაყიდვის, კუთხური კარჩაკეტილობისა და მავნე ადათ-წესების წინააღმდეგ; გმობდა უმეცრებას, გაუტანლობას, ძალადობასა და უსამართლობას.

ცაგერისა და ჰყონდიდის კათედრებიდან ხანგრძლივად გაისმოდა ორატორის გავლენიანი სიტყვა, რომელსაც გარკვეული სარგებლობა მოჰქონდა, განსაკუთრებით მაშინ, როცა მისი შინაარსი საერო ელფერით იმოსებოდა და საზოგადო ინტერესებით იმსჭვალებოდა.

ეს სიტყვა საკმარისად მახვილი, კაზმული და მკვერია თავისი გარეგნული ფორმით. მარტივი და გასაგები სახით აყალიბებს ორატორი სათქმელს, საუბრის კილოთი იმორჩილებს მსმენელს, შეჰყავს გავლენის წრეში და აწარმოებს მის ზნეობრივ აღზრდას.

ჰყონდიდელის ორატორულ პორტრეტს კარგად ხატავს მისი პირველი ბიოგრაფი და მკვლევარი თ. ჟორდანია. ის წერს: „ორატორს მუდამ სახეში ჰყავს წინ მდგომი მსმენელი, წამდაუწუმ მიმართავს მას კითხვებით; ამ კითხვებზე პასუხს აძლევინებს მას და იქვე თვალწინ ურღვევს ყოველგვარ ცრუსა და საეჭვო აზრებს. ამასთან ორატორი მსმენელსაც კითხვებს აძლევინებს მჭადაგებლისადმი ყოველს შემთხვევაში, სადაც კი შეიძლება რაიმე საეჭვო ანუ საჭოჭმანო და გამოურკვეველი დარჩეს; მსმენელი ეკამათება მქადაგებელს, ებრძვის მას უკანასკნელს შეძლებამდე და დასასრულ სრულიად ერღვევა ყველა ეჭვები და მთლად ემონება მქადაგებლის აზრთა სიღრმეს და სიცხადეს. ერთი სიტყვით ანტონის ქადაგება ცხოველი და ხელოვნური ბაასია შორის მსმენელისა და მქადაგებლისა“[1].

თ. ჟორდანიას მიერ წარმოდგენილი სურათი სრული და მართებულია. კერძოდ, სწორადაა შენიშნული, რომ ანტონის უმთავრეს ორატორულ ხერხს რიტორიკული შეკითხვა წარმოადგენს. ამის ნათელსაყოფად საკმარისია ორიოდე მაგალითის მოხმობა:

„საყვარელო! ცოდვისაგან მოუქცეველობამ ესოდენი უჯეროება შეგამთხვია; რასთვის არ მოიქცევი და სულთქმას და ტირილს არა ჰყოფ? ეგების ამას ჰფიქრობდე: რა მწუხარება მადგს, რომ ვიტირო? მე გკითხავ: მკუდარზედ რასთვის სტირიან? ვიცი ამას მომიგებ, რომ მოკუდა, მისთვის სტირიან. მე გეტყვი შენ: უფრო საწყალობელად მკუდარი ხარ, შენზედ უფრო შესამსგავსი არის ტირილი, ამისთვის რომ შენ უფრო ძნელისა და მწარის სიკუდილით ხარ მკუდარი“[2].

ან:

„ახლა თუ ეს არა გრწამს, რომ პირველ ღმერთმან შეაერთა სული და ხორცი, შენ მიჩუსნე, ვინ არის სხუა ამათი შემაერთებელი?

---

[1] იხ. თ. ჟორდანია, წინასიტყვაობა, გვ. I.

[2] ანტონ ჰყონდიდელი, ქადაგებანი, გვ. 55—56.

ცხადად ჰსჩანს, რომ ვერვის მიჩუᲔნებ, თვინიერ ღვთისა, ამათ შემაერთებელს. მაშ უეჭველად უნდა ირწჰუნო ღვთისაგან სიკუდილის შემდგომად სულთა და ხორცთა შეერთება და მკუდართა განცხოველება. თუ ამას იქვნეულებ, შიშველნი ძვალნი ვითარ შეიმოსებიან? მე გკითხავ: შიშველნი ხენი ფოთოლთაგან ვითარ შეიმოსებიან? შენ მეტყვი: ზაფხულის მოწევნისაგან შეიმოსებიან. ეგრეთვე მე გეტყვი: ქრისტეს მიერის მოსულის ზაფხულისაგან და მისის მოწევნისაგან ძვალნი შიშველნი შეიმოსებიან და აღსდგებიან"[1].

ხსენებულმა მკვლევარმა ჰუონდიდელის ცხოვრებისა და მოღვაწეობის აღწერასთან ერთად შეკრიბა და გამოსცა მისი ქადაგებანი და ამით საფუძველი ჩაუყარა ამ ორატორული საუნჯის მეცნიერულ შესწავლას.

ანტონის ქადაგებანი გამოქვეყნდა 1898 წელს. კრებულში მოთავსებულია 34 სიტყვა. ეს მცირე ნაწილია ჰუონდიდელის სამქადაგებლო მემკვიდრეობისა, მაგრამ სავსებით საკმარისია ორატორის მთელი შემოქმედების ხასიათისა და დანიშნულების გასარკვევად.

ანტონ ჰუონდიდელის მქადაგებლობის იდეურ შინაარსს ადამიანის ზნეობრივი აღზრდის მასალა შეადგენს. ეს მასალა მოიცავს ტექსტუალურ მოტივებს, გამოხატვის გზებსა და მიზნობრივ დანიშნულებას. აქ ტექსტუალური მოტივების წყარო საღმრთო წერილია, გამოხატვის გზები სასაუბრო მეტყველების ფორმებია, ხოლო მიზნობრივი დანიშნულება მსმენელის მორალური ამაღლებაა.

ორატორის შემოქმედება ეყრდნობა საღმრთო წერილს, უმთავრესად ბიბლიას. მისგან იღებს ანტონი უამრავ საილუსტრაციო მასალას. ყოველი მათგანი მისთვის უფრო საარგუმენტაციო ფაქტია, ვიდრე განმარტების ობიექტი. ორატორი განმარტავს არა ბიბლიურ ტექსტს, არამედ ამ უკანასკნელით საკუთარ დებულებას ასაბუთებს. ალაგ-ალაგ, ცხადია, ის განმარტავს ციტირებულ ტექსტებსაც, განსაკუთრებით მაშინ, როცა ამას მათი შინაარსი მოითხოვს, ან თუ ბიბლიური თხრობის ფართო გაზიარებაა მიზნად დასახული.

ანტონ ჰუონდიდელი უხვად იყენებს აგრეთვე წმიდა მამათა გამონათქვამებს, რომელთა შინაარსით ასაბუთებს თავის მოსაზრებებს და გზადაგზა აწარმოებს სათანადო ახსნასა და ინტერპრეტაციას. აქ ადგილი ეთმობა ბასილ დიდის, გრიგოლ ღვთისმეტყველის,

---

[1] ანტონ ჰუონდიდელი, ქადაგებანი, გვ. 70.

იოანე ოქროპირის, იოანე სინელისა და სხვების აზრებს, რომელთაც ხშირად იშველიებს ანტონი.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ ჭყონდიდელის ქადაგებაში ზოგჯერ ციტირებულია ცნობილი ფილოსოფოსები — იოანე დამასკელი, მხითარ სევასტიელი, სვიმონ ჯულფელი და სხვები — რაც ორატორის ფართო ცოდნისა და განსწავლულობის მაჩვენებელია.

ხსენებული წყაროებიდან მომდინარე მსოფლმხედველობა, რითაც გაჟღენთილია ჭყონდიდელის მთელი შემოქმედება, რა თქმა უნდა, უშუალოდ ეყრდნობა ქრისტიანული დოგმატიზმის საფუძველს და რელიგიურ-მისტიკური აზროვნების ნაყოფს წარმოადგენს. მიუხედავად ამისა, კონკრეტული სოციალური ვითარების გათვალისწინების გზით, ორატორი ახერხებდა ხშირად ისეთი სათქმელი შეერჩია და იმნაირი ფორმა გამოენახა, რომ ნათქვამისათვის სასარგებლო მნიშვნელობა ძიეცა და პრაქტიკული მიზანი დაესახა. ეს ქმნიდა თავის დროზე ანტონის მქადაგებლობის გამოყენებითს ღირებულებას. დღეს, ცხადია, მისი მნიშვნელობა მხოლოდ ისტორიული ხასიათისაა.

ანტონის ქადაგებათა მარტო სათაურების მიხედვით შეიძლება აქ ჩამოვთვალოთ, ერთი მხრით, მკაცრი გმობისა და, მეორე მხრით, თავგამოდებული დაცვის ობიექტები, რომლებიც ცხარე მსჯელობის საგნებად უქცევია ორატორს. ის გმობს და ებრძვის სიძვას, მზაკვრობას, შურს, ამპარტავნობას, მექრთამეობას, ჯაშუშობას, ანგარებასა და მცონარეობას; ის იცავს და ადიდებს გულწრფელობას, პატიოსნებას, გამტანობას, მოწყალებას, გამკითხველობას, სიბრალულს, სათნოებასა და კეთილშობილებას.

აი, მაგალითად, როგორ გმობს ორატორი ამპარტავნობას:

„თუ იტყვი: „შუსნიერება მაქუს და ამისთვის ვამპარტავნებ", შთახედე საფლავში, თუ შუსნიერება რა უშუსრად ქცეული არის, მტვერად, ავლად და წუთხად! რომლისაც შუენიერებისათვის შენ ამპარტავნებ, იმისი მსგავსი შუსნიერება მატლსა და ჰიას საქმელად და დასათრგუნველად აქუს. თუ ცთომილი არა ხარ, რაც მატლსა და ჰიას შეურაცხად აქუს, შენ მისთვის რად ამპარტავნებ? თუ სიმდიდრე გაქუს და მისთვის ამპარტავნებ, აქ შენის უგუნურების გამოთქმა მე არ ძალმიძს! შენ ცხოველი მკუდრის მსგავსი ხარ, ასე გლახაკად ხარ და ამპარტავნებ! ეს უგუნურება რით გამოვიკულიო? თუ ოქითხავ, მკუდრის მსგავსი რითა ხარ, მე გეტყვი: ერთი ტილო მკუდარსაცა აქუს ტილოდ, სუდრად და შენც შენის სიმდიდრისაგან ერთი სუდრის მეტი არა მიგყუსბა რა, და ამისთვის

ამპარტავნებ! გონიერებით მიხედე, თუ რა დიდს უგუნურებაშ ხარ![1]

მეტად საყურადღებოა ის გარემოება, რომ ანტონ ჭყონდიდელის მქადაგებლობა საკმაო სიცხადით შეიცავს სოციალურ მოტივს. მართალია, აქ გამოხატული სამოქალაქო მოტივები, მათ შორის სოციალურიც, რელიგიურ იერს ატარებს და სქოლასტიკური აზროვნებით განსაზღვრულია, მაგრამ მათი ასახვა იმას მოასწავებს, რომ ქართული მჭევრმეტყველება დროულად ეხმაურებოდა ცხოვრების მიერ წამოყენებულ საჭირბოროტო საკითხებს. შეიძლება აღინიშნოს, რომ ჩვენში ბატონყმური ფეოდალიზმის უკუღმართობას მქადაგებლობა უფრო ადრე შეეხო, ვიდრე მწერლობა. ყოველ შემთხვევაში ამ მხრივ მჭევრმეტყველება ლიტერატურას არ ჩამორჩენია.

ამ მოსაზრების საფუძველს გვაძლევს ანტონ ჭყონდიდელის მქადაგებლობაში აქა-იქ შეფარვით გამოთქმული აზრები „უფლისა და მონის“ შესახებ. უფრო ცხადად ეს აზრები გამოთქმულია ქადაგებაში „ანგარებისათვის“, სადაც ნათქვამია: „ყოველი უსამართლოდ შეკრებული — ჰანგარება არის“, და ამიტომ ცოდვად ცხადდება ყველაფერი, რაც იძულებითაა შეძენილი.

მქადაგებელი ამბობს:

„აქ უფალნი და მთავარნი განრისხდებიან და რისხვით წინაალმდეგობას დაიწყებენ და იტყვიან: „რადგან ჩუენი მონა არის, ვალი აქუს ჩუენის მსახურებისა და უნდა გვემსახუროს; თუ მონათაგან არას მივიღებთ, როგორ უნდა ვიცხოვროთ“. აქ ნაცვალი პასუხი ეს უნდა მიუგოთ: შენც მონა ხარ ღვთისა და ვალი გაქუს მისის მსახურებისა, მაგრამ შენგან შეუძლებელს არას ითხოვს“[2].

ორატორი განაგრძობს „უფალთა და მთავართა“ საყურადღებოდ:

„მოიხსენე უფლისა იესოსი — მდიდართა და გლახაკის ქვრივისაგან არც იძულებით მიუღია რამე და არცა შეუძლებელი; რომელიც შეეძლოთ მდიდართაცა და გლახაკთაც ნებსით შესწირეს და არა იძულებით“[3].

დასასრულ, მოძღვარი ასე მოუწოდებს „ამა ქვეყნის ძლიერს“:

„ეგრეთუცა შენ შენთა მონათაგან, მდიდართა და გლახაკთაგან, შეძლებისაებრ ნებსით უნდა მიიღო და არა იძულებით. უღონომან და გლახაკმან ნებსით რომ რამე გიძღუნას, შენ, თუ ჰეშმარიტი

---

[1] ანტონ ჭყონდიდელი, ქადაგებანი, გვ. 133.

[2] იქვე, გვ. 343.

[3] იქვე.

ქრისტეს მოწაფე ხარ, უმეტესი უნდა მისცე, ამისთვის, რომ შენც შენი ქრისტე მცირედისათვის უმეტესს გაძლევს...“[1].

როგორც ვხედავთ, ანტონ ჭყონდიდელი გაბატონებული კლასის ინტერესების შეულახავად ცდილობს სოციალური უსამართლობის გამოსწორებას, იცავს ქრისტიანულ ლოზუნგს— „მიეცით კეისრისა კეისარსა“—და ურიგდება „ნებსით მიღებას“, რაც არსებითად, ცხადია, ძალით წართმევას წარმოადგენდა, მაგრამ ამასთანავე, კლასობრივი სხვაობის ჩვენებითა და უფლისაგან მონის გამორჩევით ის პროგრესული აზროვნების ნიშნებს ამჟღავნებს და ნაწილობრივ დაჩაგრულის მფარველად გვევლინება.

ამაში გამოიხატება აქ ასაღული სოციალური მოტივის დადებითი მნიშვნელობა.

ასეთია ჩვენი მჭევრმეტყველების ისტორიის ერთი საყურადღებო ფურცელი, რომელზედაც აღბეჭდილია ანტონ ჭყონდიდელის მაღალი და ოსტატური სიტყვა.

---

[1] ანტონ ჭყონდიდელი, ქადაგებანი, გვ. 342.

19. იოანე ბატონიშვილი

1768 — 1830

XIX საუკუნის ქართულ მწერლობასა და მჭევრმეტყველებაში ადვილად შეინიშნება ორი ენობრივი ნაკადი, რომლებიც ერთმანეთისაგან საგრძნობლად განირჩევიან თავიანთი ისტორიული განვითარების მაჩვენებლებით. მათ შორის ერთი ნაკადი გარდამავალი ხანისა და მისი მომდევნო წლების მჭევრმეტყველების ენობრივი ფორმაა, ხოლო მეორე — ორმოციან წლებში მომძლავრებული და შემდეგ გავრცელებული ზეპირი მეტყველების ენობრივი სახეა. პირველი არქაული ხასიათისაა და ძველი ქართულის შორეული გამოძახილია, მეორე კი ახლებური ხასიათისაა და ახალი ქართულის გვიანდელი საფეხურია.

როგორც ცნობილია, „მეთვრამეტე საუკუნისათვის ახალი ქართული სალიტერატურო ენის ჩამოყალიბება უკვე დამთავრებულია“[1], მაგრამ იმავე საუკუნეში შექმნილ სოციალურ-პოლიტიკურ და კულტურულ ვითარებასთან დაკავშირებით „ქართული სალიტერატურო ენის ბუნებრივი განვითარების ხაზი მეთვრამეტე საუკუნის მესამოცე წლებში გაწყდა... ახალ ქართულ სალიტერატურო ბუნებრივ ენას წაართვეს ლიტერატურა და მეცნიერება, მაგრამ მას დარჩა „დაბალ მატერიათა სამყარო“[2], სადაც საყოფაცხოვრებო ხასიათის სააზროვნო დარგებს შორის აღმოჩნდა მჭევრმეტყველება. ამ უკანასკნელს არ განუცდია ანტონ კათალიკოსის სალიტერატურო სკოლის დიდი გავლენა და ამიტომ ზეპირი სიტყვის ფორმად ჩვენში არ ქცეულა „მაღალი სტილი“, თუმცა მისგან არც სავსებით გამიჯნულა ორატორული ხელოვნების გზა, რომლის ერთი საფეხური ძველისაკენ დაბრუნების ტენდეციით ხასიათდება. ეს გარკვევით შეინიშნება XIX საუკუნის დამდეგისათვის.

XIX საუკუნის პირველ ნახევარში არქაული და ახლებური ხასიათის ენობრივი ფორმები უკანასკნელი ურთიერთშეხების პროცესს

[1] არნ. ჩიქობავა, ქართული ენის ზოგადი დახასიათება, გვ. 019.

[2] იქვე, გვ. 020—021.

განიცდიან, რის შემდეგ საბოლოოდ მკვიდრდება ახალი ქართული მეტყველება — სიტყვაკაზმული მწერლობისა და ორატორული ხელოვნების სალიტერატურო ფორმა.

ხსენებული პროცესი ერთგვარი გარდამავლობის ხასიათს ატარებს, რაც მომეტებული ძალით ორმოციან წლებში შეინიშნება. სწორედ ამ დროს იგრძნობა ძველში სიახლისა და ახალში სიძველის მაჩვენებლები, რომელთა მეტნაკლებობა უნდა მივიჩნიოთ იმის საზომად, თუ რომელი ენობრივი ფორმის წარმომადგენლად ჩავთვალოთ ესა თუ ის შემოქმედი.

ამ საზომის თვალსაზრისით XIX საუკუნის ორატორთა ერთ ჯგუფს შეიძლება არქაისტული ვუწოდოთ. არქაისტული ჯგუფის წარმომადგენლებია: იოანე ბატონიშვილი, იონა ხელაშვილი, სოლომონ დოდაშვილი, მიხეილ თუმანიშვილი და სხვ.

მათ შორის უფრო საყურადღებოა ი. ბატონიშვილისა და ს. დოდაშვილის ორატორული შემოქმედება.

ი ო ა ნ ე ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს უკანასკნელი მეფის გიორგი მეთორმეტის ძე, ქართული კულტურის ისტორიაში ცნობილია მეტად ნაყოფიერი საბჭერლო და საზოგადო მოღვაწეობით. ის ყურადღებას იქცევს თავისი ღრმა და ფართო განათლებით, რაც უჩვეულო სისრულეს ანიჭებს მის სამეცნიერო და სალიტერატურო თხზულებებს. მათ შორის განსაკუთრებული სიმდიდრით გამოირჩევა ენციკლოპედიური ხასიათის ნაშრომი „კალმასობა“.

ეს ღიდი მოცულობის, რთული კონსტრუქციისა და ორიგინალური ჟანრის სამეცნიერო ნაწარმოები ავტორს დაუწერია XIX საუკუნის პირველ მესამედში. „კალმასობის“ იდეური სიღრმე და მრავალრული სრულყოფილება ნათლად გვიჩვენებს მისი ავტორის ფართო ერუდიციასა და მაღალ ნიჭიერებას. ამ მხარეებით დაჩშვენებული მწერალი დგას თავისი დროის მოწინავე ადამიანთა შორის და იშვიათი ძალით გვიჩვენებს თანადროული ეპოქის კულტურულ მიღწევებს მეცნიერებისა და ხელოვნების მრავალ სფეროში.

ამ სფეროებში ჩვენს ყურადღებას იპყრობს მჭევრმეტყველება.

ნაშრომში ბევრი ბრწყინვალე თხრობა-დიალოგია, რომელთა შორის ზოგიერთი სხვადასხვა სახით ეხება მჭევრმეტყველებას, ხოლო ნაწილი თვით წარმოადგენს ორატორული ხელოვნების იშვიათ ნიმუშს. ასეთია, მაგალითად, „კალმასობის“ ტექსტში ჩართული და გარემომცველ მასალასთან ორგანულად დაკავშირებული სიტყვა გიორგი მეთორმეტისადმი ომარ-ხანის დამარცხების გამო. აღნიშნული ტექსტობრივი ურთიერთობის მიუხედავად ხსენებული სიტყვა დამოუკიდებელი ორატორული ძეგლია.

ი. ბატონიშვილის ეს პატრიოტული სიტყვა ქართული სადღესასწაულო მჭევრმეტყველების უაღრესად სრულფასოვანი ნაწარმოებია. ის აგებულია კლასიკური ორატორული ხელოვნების კვალობაზე, მოკაზმულია ბიბლიურ-ისტორიული პერსონაჟების სახელებით და შემოსილია შუა საუკუნეების საძქადაგებლო მეტყველების იერით. ძეგლის სიტყვიერი ფორმა გამართულია მაღალფარდოვანი საზეიმო სტილით, რომლის ძირითადი შემადგენელი არქაული ენობრივი საუნჯის მასალაა. ეს უკანასკნელი მსაზღვრელი ნაკადია ი. ბატონიშვილის ორატორული მეტყველებისა, რომელიც მხოლოდ აქა იქ ჩაირთავს ახალი სიტყვამჭევრობის ნიშანდობლივ ელემენტებს.

ორატორი მტკიცედ ფლობს და მარჯვედ მართავს სიტყვის ემოციურ ძალას, რომლის ფართო გასაქანით იმორჩილებს მსმენელს და საკუთარი ნების კარნახით ამოძრავებს მის ცნობიერებას. ეფექტური ზეგავლენის ტენდენცია შესამჩნევი სახით გასდევს მეტყველებას თავიდან ბოლომდე და წინასწარ განზრახული შედეგით აგვირგვინებს ორატორის შემოქმედებას. სიტყვის წარმატებული მსვლელობა და შედეგი ნათლად შეინიშნება ძეგლის ტექსტის მიხედვით.

ეს ტექსტი აქ ზეპირი მეტყველების სანიმუშო ნორმას წარმოადგენს. ის საცდელი ან საჩვენებელი მაგალითია სადღესასწაულო დარგის ორატორული ხელოვნებისა. ამ მხრივ ი. ბატონიშვილის მჭევრმეტყველური ქმნილება საგანგებო ყურადღების ღირსია.

ორატორის მზრუნველობით დაცული და ჩვენამდე მოღწეული სიტყვა, მსგავსად კლასიკური სახოტბო ძეგლებისა, იწყება უშუალო, პირისპირ მიმართვით, რომლის ფორმას ერთგვარი სიტყვიერი ფორმულა წარმოადგენს. მისი შინაარსი — მეფის ტიტულების თავისებური ჩამოთვლა — შესავლის როლს ასრულებს. მას ცვლის ძირითადი თემის თხრობა, რასაც თავის მხრივ საკუთარი შესავალი გააჩნია. აქ ხსენებულია „უმაღლესი ძალა“ და მისადმი დაკმეული სურნელების სანაცვლოდ გადმოვლენილი „მადლი მძლეველობისანი“, რომლითაც დაგვირგვინებულია სახელოვანი მხედარი და მისი უძლეველი საჭურველი. ამის შემდეგ აწარმოებს ორატორი უმთავრესი სათქმელის თხრობას, რაც მეფის ამაგმოსილების ბრწყინვალე დასურათებაა.

აქ ნათქვამია: „ამაყმან ავარიის ხანმან მოიდრიკა წინაშე შენსა ძლეული თავი თვისი და სირცხვილეული ივლტვის პირისაგან შენისა. ბრძოლისა ღრუბლითა დაფარულთა ადგილთა ზედა აღმობრწყინდა ნათელი კურთხეულისა მშვიდობისა; სატახტომან ქალაქმან

[1] ქართული მჭევრმეტყველება, გვ. 250—252.

ამან განიძარცვა ხატი თვისი, დაფარული მხცოვანებითა, და შეიმოსა სახეჲ სიჰაბუკისა"[1].

აქვე წარმოსახულია ბიბლიური დავით წინასწარმეტყველი და მის მიერ განგმირული გოლიათი, რომელთანაც შედარების გზით ნაჩვენებია მეფის მიერ ძლეული „უსჯულო" მოპირდაპირე. ისრაელთა დახსნის მსგავსად სახავს ორატორი ქართველების გადარჩენას ომარ-ხანის ბატონობისაგან და მოხდენილი ფორმით ენამზეობს წარუშლელი ღვაწლის თაობაზე: „ეგრეთვე თქვენცა სარწმუნოებითა და კეთილმსახურებითა შეთხზე შურდული და დაიშურდულენ საოება შენი ღვთისა მიერ, სტყორცენ ზვავსა მას სისხლმწყურიელსა გოლიათს და შემუსრე უსჯულო თავი მისი და განმარინენ ჩვენ უცხო თესლთაგან"[2].

ორატორი განაგრძობს: „ამისთვის ჩვენ ნეტარად ვრაცხთ საუკუნესა ამას და გჳვრეტთ შენ ტკბილსა მამასა და ვსტკბებით ამით; გარნა ჩვენ უღონო ვართ ღირსად ქებისა შენისა"[3]... და ასახელებს ანტიკური ეპოქის ცნობილ ოქროპირებს, რომელთა სიტყვას შეეძლო მეფის ღირსეულად შემკობა. აქ მორჩილებით თავს ხრის მეტყველი უზენაესი ხელისუფლის წინაშე და მოკრძალებული ტონით აღნიშნავს: „არამედ ჩვენცა ერთბამად შეძლებისამებრ ჩვენისა ვმოხარულობთ და ნათლითა დღესასწაულობისათა ვდღესასწაულობთ ტაძარსა და პალატსა ამას შინა და ვიტყვით: მოვედით თაყვანისცემად უფლისა ზეციურისა სამღედელოჲსა მთავრისად და ღვთივ დაგვირგვინებულისა მეფისად, უკეთილმსახურესისა უფროს წარმართთა მეფეთა ქვეყნისათა"[4].

ეს ძირს დაშვება სჭირდება ორატორს იმისათვის, რომ მასთან კონტრასტის გზით გადმოგვცეს სიტყვის კულმინაციური მწვერვალი. აქ ორატორი შთაგონებულია არსენ ბერისა და სოლომონ ლიონიძის შემოქმედებით; მათი ხელოვნების გამოძახილს წარმოადგენს შემდეგი ენამჟევრობა: „უფალმან დაიცვას მეფობაჲ შენი ჯჳარითა პეშმარიტებისათა და სკიპტრითა კეთილმოქმედებისათა, და მით უძღოდე ერსა შენსა, ვითარცა მოსე ისრაილთა, და ვითარცა ისო ნავეს-ძე, იქმენ ამაღლებულ სკიპტრითა, ვითარცა ალექსანდრე ბერძენთა შორის, და ჯჳარითა, ვითარცა დიდი კოსტანტინე მორწმუნეთა მეფეთა შორის, მშვიდ, ვითარცა დავით ცხებულთა შორის,

---

[1] ქართული მწერლობა, გე. 250

[2] იქვე, გვ. 251.

[3] იქვე.

[4] იქვე.

და ბრძენ, ვითარცა სოლომონ მეფეთა შორის; თავდადებულ, ვითარცა დიმიტრი ქართველთა შორის; მართალ, ვითარცა ღმერთი ღმერთთა შორის, და საყვარელ, ვითარცა ქრისტე მართლმადიდებელთა შორის, გაკურთხოს შენ უფალმან და დაგიცვას შენ საყდარსა ზედა მეფობისა შენისასა ნათესავითგან ნათესავადმდე"[1].

ამას მოსდევს მეფის დალოცვა ვრცელი კაზმული გამონათქვაბით, რითაც ამზადებს ორატორი სიტყვის დასასრულს, და ერთგვარი ლირიკული დაშვების შემდეგ ლაღად, ლამაზად და ბუნებრივად ამთავრებს მეტყველებას: „განაგრძოს ნებამან მაღლისამან დიდებასა შინა შეუძვრელსა მეფობაჲ შენი და შთამომაელობათა შენთა განუწყვეტლად და საუკუნოდ, და იდიდებოდეს სახელი შენი ქვეყანასა ზედა და დაგიმორჩილნეს ქვეშე ფერხთა შენთა ყოველნი მტერნი შენნი და სახლისა შენისანი, ამინ!"[2]

იოანე ბატონიშვილის მჭევრმეტყველება ჩვენი ორატორული შემოქმედების იმ სასახელო სიმაღლეზე დგას, რომელსაც მიაღწია ქართულმა სიტყვამ ძველი და ახალი მჭევრმეტყველების გარდამავალ უღელტეხილზე.

---

[1] ქართული მჭევრმეტყველება, გვ. 251.

[2] იქვე, გვ. 252.

20. იონა ხელაშვილი

1775 — 1838

იონა ხელაშვილი XIX საუკუნის პირველი მესამედის ცნობილი საზოგადო მოღვაწე, მწერალი და მქადაგებელია. ის სამწერლო ასპარეზზე გამოვიდა გარდამავალ პერიოდში და აღმოჩნდა მოწმე ისტორიული გარდატეხით გამოწვეული მოვლენებისა. თავიდანვე მძიმე და რთული ვითარების გავლენით აღინიშნა და ბოლომდე ამ გზით წარიმართა იონას მთელი ცხოვრება და შემოქმედება. ბუნდოვან და გაურკვეველ ეპოქაში, პოლიტიკურ ინტერესთა ჰიდილის დროს ჩაისახა და ჩამოყალიბდა მწერლის მსოფლმხედველობა, რაც თავის დროზე შესაფერისად გამოვლინდა მრავალ ლიტერატურულ ნაშრომში.

მათ შორის ჩვენთვის ამჟამად საყურადღებოა სამქადაგებლო შემკვიდრეობა.

იონა ხელაშვილს თავდაპირველი განათლება მიუღია მეტეხის სკოლაში. დეკანოზ იესესთან, შემდეგ სწავლა გაუგრძელებია თელავის სემინარიაში, დავით რექტორთან, ხოლო დასასრულ, საღვთისმეტყველო და ფილოსოფიური ცოდნა შეუძენია პეტერბურგში, ალექსანდე ნეველის აკადემიაში.

იმ სამსახურისათვის, რაც სასახლის წინაშე მიუძღოდათ იონას წინაპრებს, მას მშობლიურ მფარველობას უწევდნენ ერეკლე მეორე და გიორგი მეთორმეტე. მათი გარდაცვალების შემდეგ, 1800 წელს იონა ჩამოშორდა სამეფო კარს, აღიკვეცა ბერად და შეეკედლა ქვაბთახევის მონასტერს. იმავე ხანებში იონამ მოგზაურობას მიჰყო ხელი და საქართველოს ბევრი კუთხე შემოიარა პრაქტიკული განსწავლისა და გათვითცნობიერების მიზნით.

გასული საუკუნის დასაწყისში იონა ფარნაოზ ბატონიშვილს გაჰყვა რუსეთში, სადაც ჯერ მოსკოვისა და შემდეგ პეტერბურგის ქართულ კოლონიებში მოღვაწეობდა დავით, იოანე და მიხეილ ბატონიშვილთა კარზე.

1809 წელს იონა შეიდა ხსენებულ აკადემიაში, რომელშიც დაჰყო სამი წელი, კურსის დამთავრების შემდეგ ეკურთხა მღვდლად

და დამკვიდრდა პეტერბურგში. აქ ის დიდხანს მოძღვრად ემსახურებოდა დავით ბატონიშვილს და იმერეთის დედოფლებს ანასა და მარიამს.

აქვე XIX საუკუნის მეორე და მესამე ათეულ წლებში იონამ ირგვლივ შემოიკრიბა პეტერბურგის ქართველობა, გააჩაღა ნაყოფიერი კულტურული მუშაობა და თაოსნობა გაუწია სამშობლოდან გადახვეწილ თანამემამულეებს.

ამ პერიოდს ეკუთვნის მისი სამქადაგებლო შემოქმედება.

იოანე ბატონიშვილისა და სხვა მახლობელთა მოწმობით იონა ხელაშვილი გამოირჩეოდა დიდი ცოდნით, ფართო განათლებითა და დაუშრეტელი ენერგიით. ცნობილია აგრეთვე მისი ადამიანური სითბო და გულისხმიერება. ის ხელს უწყობდა და მფარველობდა კეთილი საქმის გულშემატკივარ ადამიანებს, ამხნევებდა და ახალისებდა მათ წინსვლისა და წარმატებისათვის[1].

ყოველივე ამის გამო უწოდებს მას იოანე ბატონიშვილი ერთ თავის იამბიკოში

„ახალ რიტორსა, ღვთისმეტყველების ჰურსა,
წიგნთა ხელმძღვანელსა, ჭადაგების აგჩაონსა
და ყოფაქცევით ძველ მამათა შენადარსა,
მონაზონების კანონთა სრულ დამცველსა“[2].

იონა ხელაშვილი თავისი დროის მაღალ წრეებში ცნობილი და დაფასებული მქადაგებელია. ის რუსეთში ყოფნის დროს, „მეფეთ ძეებისა და ეგრეთუჱ იმერთა დედოფლისა სახლისა საყდარსა შინა, ეგსახეთუჱ, უმეტეს დადიანის შეუღლის, საქართუჱლოს მეფის ასულის ნინას ეკკლესიასა შინა მათითავე თხოვილითა“[3], ხშირად წარმოთქვამდა მაღალფარდოვან, ვრცელ სიტყვას და ამით ხელს უწყობდა უცხოეთში მშობლიური ენის დაცვასა და შენარჩუნებას.

იონა ხელაშვილი ქართველ მჭევრმეტყველთა არქაისტული ჯგუფის უკანასკნელი თვალსაჩინო წარმომადგენელია XIX საუკუნეში. მისი მქადაგებლობა მოკლებულია ორიგინალურ სიახლესა და თვისობრივ განვითარებას. განსაკუთრებით ეს ითქმის ორატორის ენობრივი ფორმის შესახებ. ამ მხრივ იონა ხელაშვილი საგრძნობლად ჩამორჩება უფროს თანამედროვეებს. ის ვერ იყენებს მათ

[1] კ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, I, გვ. 376—380; ნ. ბარნაბიშვილი, იონა ხელაშვილი.

[2] ხელნაწერი S—288, გვ. 170.

[3] ხელნაწერი A—7, გვ. 8.

შონაპოვარს ენის სფეროში და არქაული პრინციპების საფუძველზე დგას.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ძველი მეტყველების ფორმა არა პრინციპული დაცვის საგანს წარმოადგენს იონა ხელაშვილისათვის, არამედ ერთგვარ იძულებით ნორმას, რომელსაც თავს ვერ აღწევს ის შექმნილი პირობების გამო. სამშობლოდან შორს ყოფნა, ხალხისაგან მოწყვეტა და მსმენელთა ვიწრო წრე, რა თქმა უნდა, უარყოფით გავლენას ახდენდნენ მქადაგებლის შემოქმედებაზე. ხსენებული მოვლენების შედეგი უწინარეს ყოვლისა, როგორც ჩანს, ორატორის ენას დასტყობია, რაც სავსებით ბუნებრივად უნდა გვეჩვენოს ხელოვნურ პირობებში მოქცეული მეტყველებისათვის.

რაც შეეხება იონა ხელაშვილის მქადაგებლობის შინაარსს, ის გამსჭვალულია სქოლასტიკური მსოფლგაგებით და შეზღუდულია რელიგიური დოგმატიკით, მაგრამ თავისი იდეური არსით გამოხატავს ბევრ საყურადღებო მოტივს, რომელთა შორის უმთავრესი სამშობლოს სიყვარულია.

სამშობლოდან გადახვეწილი პატრიოტი ამაღელვებელ ფერებში ხატავს საქართველოს საამაყო წარსულს, ქვეყნისათვის თავდადებულ ადამიანებს, წარმტაც ბუნებასა და ლამაზ ტრადიციებს. ის სინანულით იგონებს განელილ სიჭაბუკეს და დაკარგულ ბედნიერებას; გასტირის წარსულს და სამდურავით მიმართავს წუთისოფელს. გზადაგზა ორატორი წმინდა პრაქტიკულ და ყოველდღიურ საკითხებზეც ჩერდება: ადიდებს შრომას, ებრძვის უმეცრებას, იცავს დაჩაგრულს და ამხნევებს ღონემიხდილს.

. ყოველივე ამაში ხედავს იონა ხელაშვილი მქადაგებლობის დანიშნულებას. ის ამბობს: „თჳნიერ ქადაგებისა ერნი უმეცარ იქნებიან, და ურჩ მოძღურებისა, და უპატიო ურთიერთისა მიმართ, და ლბილ, და სუსტ, და ადვილ მიდრეკადნი, და შჳლთა სწავებისათჳს უხრუნუჱლ, და შვილნიცა შეურაცხის-მყოფელ მშობელთადმი და ვერცაღა განმრჩენ მცირისა და დიდისა კეთილისა, და ჟამსა მოთმინებისასა სულმოკლე და არარად შემრაცხ მოყუასთა და მახლობელთა“[1].

იონა ხელაშვილის ქადაგებანი ჩვენამდე მოღწეულია ხელნაწერი კრებულების სახით. მათ შორის სრულად დაცული და კარგად შენახულია *A* — 7, *A* — 1145 და *H* — 2226 ხელნაწერები. პირველი, *A* — 7 კრებული ავტოგრაფს წარმოადგენს. ის გადაუწერია ავტორს

[1] ხელნაწერი *A*—7, გვ. 7.

და 1837 წელს მიუძღვნია ბოდბის მონასტრისათვის. კრებული შეიცავს 54 სიტყვას. მათი უმრავლესობა წარმოთქმულია კვირა დღეებზე, დანარჩენი—სხვადასხვა შემთხვევასთან დაკავშირებით. ეს უკანასკნელი ნაწილი უფრო საყურადღებოა თავისი სამოქალაქო ძოტივების სიმრავლითა და პოზიტიური შინაარსით.

აქ ძეღავნდება უმთავრესად ორატორის სოციალური და პოლიტიკური მრწამსი; აქვე ვლინდება მისი მძლავრი და უანგარო პატრიოტული სულისკვეთება. ორატორის თანამედროვე მოღვაწეებისათვის დამახასიათებელი რყევისა და ორჭოფობის დროს იონა სწორად მიიჩნევს საქართველოს რუსეთთან შეერთებას და თავის მოსაზრებას ისტორიული ფაქტებით ასაბუთებს. ის აღფრთოვანებულია ხსენებული გაერთიანებით გამოწვეული „მრავალ ბევრეულისა მხიარულებითა“, განსაკუთრებით, „განმრავლებითა, ეკკლესიების აღუუავებითა, განათლებითა, სულიერისა მშვდობითა... გაბმდიდრებითა... უშიშროებითა...“ და სხვა წარმატებით, რაც ძოჰყვა „ქართლოსიან-იბერიელთა“ დაკავშირებას რუს ხალხთან, რომელიც დაიძრა „ჩრდილოჲთ დაცემად სპარსთა მძჯნვარე ბავრაყისა და თურქთა ფიცხელისა დროშისა, და აღლაგმად კავკასიელთა ნათესავებისა“.

ასეთ ნათელ ფერებში შესრულებულ სურათებს აქ ხშირად ფარავს სოციალური უსამართლობის ჩრდილი. ორატორი მტკივნეულად განიცდის, რომ შვილია ქვეყნისა, სადაც „გლეხთათჳს წელიწადსა შინა ერთგზის მოვალს მოსავალი, ხოლო დიდთათჳს ათორმეტგზის“. იგი კიცხავს სწავლაზე ხელაღებულ, უგუნურ და უზრუნველ თავადიშვილებს, დასცინის მათ უქნარობას, უსაქმურობასა და უმეცრებას, გძობს ჩაგვრას, მონობასა და უსამართლობას და თავს ესხმის ყოველივე ამის მიზეზს—ბატონყმურ სოციალურ ურთიერთობას.

იონა ხელაშვილის მჭევრმეტყველების სამოქალაქო მოტივები გაშუქებულია ღრმა და წმინდა ეროვნული გრძნობით, რომლის ძალით შთაგონებული მამულიშვილი დიდხანს უწევდა ჰირისუფლობას სამშობლოდან გადახვეწილ თანამოძმეებს.

ამ მხრივ და, შეიძლება ითქვას, საერთოდ იონა ხელაშვილის ორატორული ხელოვნებისათვის დამახასიათებელია ერთი სამგლოვიარო სიტყვა, თქმული „დაფლჳსათჳს საქართველოს მეფის ძის ვახტანგისა“[1], რომლის ანალიზი წარმოდგენილია ქვემოთ.

მთელი სიტყვა გაბმული მოთქმით ტირილია, რომლის გამომწვევ მიზეზს ვახტანგ ბატონიშვილის სიკვდილი წარმოადგენს,

[1] ხელნაწერი *A*—7, გვ. 123—140.

უკეთ, ეს ერთგვარი საბაბია სამშობლოს დატირებისა. პირად მწუსარებასთან გამოხატული საერთო საგოდებელი — საქართველოს დაცემა — ორატორს ფართო განზოგადების მასალად უქცევია და წუთისოფლის გაუტანლობის სურათი დაუხატავს. ხელაშვილის მეტყველება მაღლდება მძიმე სევდის გამოთქმის იშვიათ ხელოვნებამდე. კონკრეტული ფაქტები — ძვირფასი ადამიანის სიკვდილი და საყვარელი სამშობლოს დაქვეითება — აქ განყენებული აზროვნების მასალად ქცეულა და ფილოსოფიური მსჯელობის დონემდე ამაღლებულა. ამ მსჯელობის ორატორულ ფორმაში იხატება ითხა ხელაშვილის მშვენრი მეტყველება. მისი ცოცხალი სიტყვა გაერთიანებული მიმართვების კომპოზიციური სახითაა წარმოდგენილი. ორატორი მიმართავს სამყაროს, წუთისოფელს, სიკვდილს, მეფის სახლობას. კარისკაცებს, იერიის უზენაეს სახლსა და ტახტის მემკვიდრეებს.

სიტყვა იწყება სამყაროსადმი მიმართვით:

„ჰი, ქუჱყანაო, ქუჱშე სულიერისა ცისა წყალსა ზედა დაშენებულო, ისმინე სიტყუანი ესე ჩუჱნნი დიდი ფრიად კილოვნებითა საგოდებელნი მიერითგან ნათესაითი ნათესავადმდე, რომელ სოფელი ესე მცირე შენ შორის შემოსელისათჳს სწყევს შობისა ჟამსა ცხელთა ცრემლითა განბრწნადისა ორძილობისათჳს ვაებისა ჴმითა განმტეეებელი დედისა მიმართ თჳსისა ურჩებისა საზრდელთა მექონისა!“

სამყაროსადმი მიმართვის შემდეგ ორატორი სამდურავს ამბობს „ადვილ სასიტყუელნი“, მაგრამ „ძნიად სატვირთველნი“ საქმეებით სავსე წუთისოფლის მიმართ, რომელიც „ცოდჳლთა და მართალთა ერთის გზით შთაიყუანს განსახრწნელსა, შემშუსვრელი გულისა და თირკმელთა თხემითურთ, და ჰყოფს გაუქმებულ ჴელთა მაშენებელთა ჴმელეთისასა და ფერჴთა მავალთა სახლთა შინაღრთისასა და ზღუათა ზედა, და დახშავს თუალებთა მხედუჱლთა დიდებასა შემოქმედისასა, და ენასა მეტყუჱლსა ღმრთისა ქებისასა, და ყურთა დაყენებულ ჰყოფს მსმენელსა ზეგარდამო მცნებისასა, და ყნოსათა შეკრავს და გემებასა ცხოვრებისასა, ყიათა უხმარებელ ჰყოფს, და ესრეთითა მოქმედებითა პირუჱლად სწყლავს და მერმე დააჭნობს, და ესრეთ საიდუმლო მპარაობითა აღმოამშენებს მკულელი მოკუდავსა სოფელსა და მიაქცევს მიწათა შინა“.

ასეთი ვრცელი შესავლის შემდეგ ორატორი უახლოვდება თხრობის ძირითად მოტივებს, მათ შორის ვახტანგ ბატონიშვილის სიკვდილს.

აქ ნათქვამია:

„აწ ვხედავთ მჴვრეტელნი წინაშე ჩუჱნსა უძრავად მდებარესა, რომელი არღარაჲსა საუბრობს ტკბილისა ალერსობითა პატივის-

ცემელი ჩუსნ ყოველთა მომართ, და არცაღა ჩუსნნი მეტყუსლებანი ესმის, ვითარცა აქუნდა ჩუსულება ყოველთა დღეთა შინა".

ხსენებული მოვლენით მძიმედ დაძწუხრებული ორატორი ისევ სამდურავს ამბობს „შემაძრწუნებელი ქვეყნის" მიმართ, ხატავს სიკვდილისაგან გავერანებულ „გოდოლ-ზღუდეებს", „უსარგებლო და ოხერ ტყეებს", „ცარიელ მთებსა და ბორცვებს", სადაც მიმოფანტულან „ძუალნი შიშველნი სიცოცხლისა დიდებისაგან, და ასე რისხავს ულმობელ სიკვდილს: „ჭი, შენ სამგზის წყეულო სამთა ჴეშმარიტებათგან, სიკუდილო, უსახურო ცათა შინა და ჭუსყანასა ზედა!"

შემდეგ ორატორი მეფის სახლობასთან და კარისკაცებთან შესიტყვების გზით აღწევს თხრობის თემის გაშლას. აქ ლაპარაკია ვახტანგ ბატონიშვილის ღვაწლსა და დამსახურებაზე, ღირსებასა და ხასიათზე, გახსენებულია „ნეტარსახსოვარი ირაკლი" და მოთქმით დატირებულია სახელოვანი მეფის ძე—„სიქადულ მამისა და სიხარულ დედისა".

ორატორი მიუთითებს მსმენელებს:

„ხედავთა ძენო ქართლისანო, სახლო იერრიისავ და ყოველნო ტახტისა ყრმანო, რომელ ესეოითარი წევრი ჴეფის სახლისაგან განვიდა ყოველთა ჭამიერითა ღირსებათა, და ტიტულთა, და პატივთა, და საქმეთა დიდ-დიდებათა დამტევებელი და თჳთ სიცოცხლისაცა, რამეთუ წარმტაცებელმან სიკუდილმან, ანაზდათ, თჳნიერ რაჲსამე განწესებისა, ამიერ გარდასცუალა, ყოველთა ვალისა სათანამდობოჲსა მიმჴდელმან!"

ორატორი მოხდენილი წიაღსვლებით ასურათებს წარსულსა და აწმყოს, მადლიერების გრძნობით ახსენებს „უცხოსა ქუსყანასა და ქალაქსა დიდისა პეტრესსა", სადაც „ღამისა ნისლმან დაფარა სიხარული თქუსნი, — მიმართავს ვახტანგის ჰირისუფლებს, და განაგრძობს. — და სიკუდილისა ჭუხილმან განკუსთა მხიარულება თქუსნი, და ღრუბელმან ცივთა ყინულისა მეჭონმან დასეტყუა ცხოვრებისა სიცოცხლე ძმისა თქუსნისა ვახტანგისა სასტიკისა სიკუდილიანისა ჭარისა მობერვითა, და თქუსნ ძაძანი ფიცხელისა უნაყოფოსა ზამთრისანი შეგმოსათ სიკუდილმან ყოველთა ცხოვრებისა უჩინოსმყოფელმან!"

ორატორი ღაღადებს რუსი ხალხის გასაგონად: „ეჰა, ერნო უცხოთა ჴმათანო, ისმინეთ ზარის სახდელნი", — და მოელის ნუგეშს ქართველ მეფეთა — არჩილის, ვახტანგის, თეიმურაზისა და სხვათა — „დიდისა რუსეთისა საძილესა სახლსა შინა" განსვენების გამო.

ამის შემდეგ, სიტყვის დასასრულის წინ, ამბობს იონა თავის უმთავრეს სათქმელს, რაც მთელი ძეგლის იდეურ შინაარსს გამოხატავს.

ორატორი მიმართავს ბაგრატიონთა სახლს:

„ჰი, იესიან ბაგრატოვანო სახლო დაეთისაო!

ვინ აღრიცხნეს ღუაწლნი შენნი რაოდენიცა უჩუსნე ქუსკანასა ივერისასა უმეტეს ათორმეტთა საუკუნოებთა შინა! არა გახსოვსაა კეთილდღეობა შენნი ოქროვანთა საუკუნოებთა შინა, ოდეს ქედსა ზედა ჯუარი ცხოველი გეტვირთა და თავსა ზედა გვრგვნი ცხებულებისა, ქვსა მისაგან პატიოსნისა, რომელ არს სარწმუნოება, და ჴელთა შინა შენთა გაქუნდა სფერა ზეგარდამო განჩინებითა, და სკიპტრა ერთმონარხობისა, და პორფირი სისხლით მსახურებისა შჯართა ზედა, და წელსა ზედა ჭრმალი მტერთა მათთჳს, რომელნი ბუნებითი სჯულსა და მადლითა სარწმუნოებასა შეურაცხჰყოფენ?!

იხილე, სახლო სოლომონისაო, ათორთა საუკუნოებათა შინა შენი არა-რაჲ წარწყმიდე, არამედ თჳთ სხუანიცა ფრთეთა შენისა ქუსშე შეივედრე, თითოეულნი გუარტომობისა ტიტულითა კეთილად დაცულ-ჰყუსნ ვიდრე!აქამომდე. დიდისა სომეხთ-სამეფოჲსა ერნი, ოდეს სპარსთა აჴოცეს მეფობა მათი, გზა უყავ ლტოლვილთა და განუსვენე წელსა უმეტეს ხუთასისასა; ეგ-სახედუს ელლენთა ერნი მიიღე. ოდეს კოსტანტინეპოლი დარღუსეულ ჰყუსს სარაცინთა და თჳთ მახმადიანთა ერისა აზნაურობითი ტიტულიცა დაცულ ჰყავ მფარუსლობასა ქუსშე შენსა; და აღმართე მონასტერნი ოთხნი იერუსალიმისა ქალაქსა შინა, და მონასტერი ივერიისა მთასა ზედა ათონისასა, და საღმრთო ჯვარნი და ხატნი და წმიდათა ნაწილნი მოხუსნ ქუსკანით ელლენთასა!“

სიტყვა მთავრდება ღმერთისადმი ავლენილი ლოცვით:

„გარდამოიხილე ზეცით მრაელითა მოწყალებითა შენითა მეფეთა ჩუსნთა ძეებთა და ასულებთა ზედა, და დაიცევ ნაშთი ცხოვრება ამათი სიყუარულსა და მშვიდობასა შინა სიმრთელით, მმადლობელნი შენ ყოველისაჲე შემძლებელისა მაცხოვარისა, და სათნო იჩინე მეოხება მოციქულთა სწორისა ნინასი ქართლოსიანთა მცუსლისა, და მისთანა ათასმეტთა მამათა, და მეფისა დავით, და არჩილ და ლუარსაბისათა. და დედოფლისა ქეთევანისა და შუშანიკისათა. და ყოველთა საუკუნითგან სათნო ყოფილთა წმიდათათა, ამინ!“

ასეთია ეს მეტად საყურადღებო ორატორული ძეგლი.

საერთოდ იონა ხელაშვილის მჭადაგებლობა თავისი შინაარსითა და ფორმით არ წარმოადგენს ქართული კლასიკური მჭევრმეტყველების ახალ მონაცემს და არსებითად ადრინდელი წარმატების სიმაღლეზე დგას, მაგრამ საყურადღებოა, როგორც ძველი ჰომილეტიკის გვიანდელი სახეობა და დამამთავრებელი საფეხური, რასაც მოჰყვა ჩვენი ახალი სამქადაგებლო ხელოვნება.

21. სოლომონ დოდაშვილი

1805 — 1836

ახალი ქართული მწერმეტყველების სარბიელზე სოლომონ დოდაშვილი არქაისტული ორატორული ხელოვნების წარმომადგენელია. მისი ზეპირი მეტყველების სიტყვიერი ქსოვილი ძველი ლექსიკური მასალითა და ასეთივე გრამატიკული წყობით ხასიათდება. ორატორის ენობრივი საუნჯე თავისი შენებითა და შედგენილობით მკვეთრად ემიჯნება ახალ ქართულ ენას და არქაული სიტყვაკაზმულობის რელიეფურ იერს ატარებს. ს. დოდაშვილი უკანასკნელი დიდი მიმდევარია უკვე მოძველებული და თითქმის უკუგდებული სალიტერატურო სიტყვიერებისა, რომელიც ორატორის თვალწინ თმრბდა თავის უკანასკნელ პოზიციებს ახალი ქართული ენის სასარგებლოდ.

აღნიშნული ვითარება მნიშვნელობას არ უკარგავს ს. დოდაშვილის ზეპირ მეტყველებას, პირიქით, სწორედ ეს ქმნის იმ ინტერესს, რასაც ჩვეულებრივად გარდამავალი ხანის შემოქმედება იმსახურებს, როგორც ისტორიული განვითარების გადამწყვეტი პროცესის მაჩვენებელი.

ამ პროცესის ერთი აქტიური მონაწილე იყო ს. დოდაშვილი. მან წარუშლელი კვალი გაავლო ჩვენი ქვეყნის კულტურულ ვითარებას თავისი ხანმოკლე, მაგრამ უაღრესად ნაყოფიერი და მრავალმხრივი შემოქმედებით. ს. დოდაშვილი ერთი პირველი ქართველთაგანია, რომელმაც უმაღლესი განათლება მიიღო რუსეთში და თავისი ცოდნა ხალხის სულიერ გამოფხიზლებას მოახმარა. ამიტომ XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართველ მოღვაწეთა შორის ს. დოდაშვილს მეტად საპატიო ადგილი უჭირავს[1].

ს. დოდაშვილი მუშაობდა თბილისის კეთილშობილთა სასწავლებლის მასწავლებლად, რედაქტორობდა გაზეთს — „ტფილისის

---

[1] მ. გოცაძე, სოლომონ დოდაშვილი; თ. კუკავა. სოლომონ დოდაშვილი და მისი მსოფლმხედველობა.

უწყებანი" — და ჟურნალს — „სალიტერატურონი ნაწილნი ტფილისის უწყებათანი"—, წერდა სხვადასხვა წიგნებსა და ეწეოდა ფართო საზოგადოებრივ მოღვაწეობას. ის ერთ-ერთი მეთაური და მგზნებარე მონაწილეა 1832 წლის ცნობილი შეთქმულებისა.

როგორც ირკვევა, ს. დოდაშვილის ცხოველი ინტერესის საგანს წარმოადგენდა ქართული მშვერმეტყველება, მისი თეორიული საფუძვლები და პრაქტიკული წარმატებანი. ამას მოწმობენ დოდაშვილის სამეცნიერო ნაშრომი „რიტორიკა"[1], საჯარო სიტყვა კეთილშობილთა სასწავლებლის მოსწავლეთა გამოცდისას[2] და კერძო წერილები იონა ხელაშვილის მიმართ[3].

ჩვენთვის ამჟამად საყურადღებოა ხსენებული სიტყვა. ის ჩვენამდე მოღწეულია ხელნაწერის სახით და ბევდურად გამოქვეყნებულია ორჯერ[4].

ხელნაწერში სიტყვის სათაურია: „შესხმა, წარმოთქმული ტფილისის კეთილშობილთა სასწავლებლის მოძღვრისა მიერ სოლომონ დოდაევისა მაღაროელისა დროსა მოწაფეთა გამოცდისასა საზოგადოსა შეკრებილებასა შინა, წელსა1828 იენისის ვ-სა დღესა"[5].

ამრიგად, ს. დოდაშვილს სიტყვა წარმოუთქვამს 1828 წლის 6 ივნისს თბილისის კეთილშობილთა სასწავლებლის მოსწავლეთა საჯარო გამოცდაზე. ეს სიტყვა ყურადღებას იქცევს თავისი ნათელი იდეური შინაარსითა და საკმაოდ ძლიერი მშვერმეტყველური ფორმით. აქ ორატორი გამოთქვამს ეროვნული განათლების დიდ რწმენას, რასაც ემყარებოდა მისი პოლიტიკური იდეალი—საქართველოს შემდგომი გაძლიერება-აყვავება. ს. დოდაშვილმა, როგორც ორატორმა, შეძლო ამ იდეალის გამოხატვა მოკლე, ნათელი და მკვრივი სიტყვით.

ს. დოდაშვილს „შესხმა, წარმოთქმული ტფილისის კეთილშობილთა სასწავლებლის მოწაფეთა გამოცდისას", უწინარეს ყოვლისა, მოაგონებს მსმენელთ საქართველოს პოლიტიკური და კულტურული დაქვეითების სავალალო ფაქტს, რაც, ორატორის თქმით, „რაოდენიმე ჟამუ საუკუნო არს", გარკვევით შეინიშნება. აქ ხაზგასმულია ოდინდელი დიდება ჩვენი სამშობლოსი, „რომელიცა ჰბრწყინვიდა ოდესმე მაგალითთა შინა განსხვაებულთა კაცთასა სიბრძნითა,

---

[1] ხელნაწერი *S* — 5205.

[2] ქართული მშვერმეტყველება, გვ. 254—255.

[3] ხელნაწერი *H* — 2226.

[4] „ივერია", 1887, № 227; ქართული მშვერმეტყველება, გვ. 254—255.

[5] ხელნაწერი *S* — 388.

კეთილმოქმედებითა, შაირათ-მთხზულობითა და მხნეობითა"[1]. აქვე ნაჩვენებია ქვეყნის დაცემის მიზეზები და მათი მძიმე შედეგი: „უკანასკნელ ერთ-კერძო განუკვრეტელობამან რომელთამე განმგებელთამან, და ერთ-კერძო შეიწრებამან ძლიერთა ერთამან მიიყვანეს საყუარელი მამული ჩვენი ესეოითარ ხარისხადმდე დამდაბლებისა, რომელ დამვიწყებელი მოქალაქებრისა თავის უფლებისა და თანად წარმწყმედელი მაღლისა მის წინადანიშნულებისა კაცთა და მეფობისა, კნინღა უკუ არა განემზადებოდა მსხვერპლად მომყმართა ბარბაროსთა შემძლებელობისა და კვალად უმეტეს უმეცრებისა, რომელიცა არს სარწმუნო თანამოგზაური მონებისა და მსხვერპლად ყოვლისა მის რაჲსაცაღა ეპოვებოდა მას უძვირფასესი თჳს შორის და ესრეთ ქუედაცემად დანარღუეთა შინა თჳსთა"[2].

ორატორი იშველიებს მაგალითს ხალხთა წარსულიდან და საჩინო პარალელით ქმნის გარკვეულ სურათს: „სპარსნი, თათარნი, ოსმალნი და მთიურნი მარადის ეგეოითარნივე იყუნეს საქართველოჲსათჳს, ვითარცა ღოთჲნი და გუნნი ევროპისათჳს, ე. ი. წყვდიადად განათლებისა, გინა სწავლულებისა"[3].

ამის შემდეგ ორატორი გამოთქვამს იმის რწმენას, რომ „...ძალგჳძს ჩვენ დაიმედება თავთა თჳსთა სასოებითა აღდგომად სწავლათა შინა და დადგომად არათუ ოდენ ხარისხსა ზედა პირველსა ღირსებისა ჩუნისასა, არამედ ყოფადცა ოდესმე ხარისხსა ზედა ეეროპელთა ერთასა"[4].

ამის მაჩვენებლად ორატორს მიაჩნია საქართველოს რუსეთთან შეერთების საკეთილდღეო შედეგი — სწავლა-განათლების ფართო გავრცელება—კერძოდ, „ახალ ნერგნი ესე სწავლათანი განთენილნი ყოველით კერძო", რომელთაგან „...მამული ესე ჩუნი მოისთვლებს ოდესმე ...ნაყოფსა კეთილდღეობისა და დიდებისა თჳსისა"[5].

საქართველოს იმჟამინდელი წინსვლის ცხადყოფას ორატორი ისევ პარალელის მეშვეობით ახდენს და ქართველთა მომავალი წარმატების პირობას აფორისტული აზრით გვაუწყებს: „განაღამცა განჰკვირდებიან დაუჯერებელსა მკვირცხლ მოსწრაფებასა ზედა როსიელთასა სწავლათა შინა, გარნა საცჳფრო იქმნებისა, ვიტყვი მე, რომელ განჰკვირდებოდენ ოდესმე ქართველთა ზედაცა, ვინადგან

---

[1] ქართული მჭევრმეტყველება, გვ. 254.
[2] იქვე.
[3] იქვე.
[4] იქვე.
[5] იქვე.

გონება კაცისა არა დასცხრების ზეაღწევნად, ოდესცა ჰპოვებს იგი ყოველსავე კეთილ საამოდ თავისა თჳსისათჳს'[1].

შემდეგ ორატორი სახელდებით მიმართავს მსმენელთ, რათა პირდაპირ და უშუალოდ უჩვენოს ყველას „ცვარი მადლისა", რომლის შედეგად დანერგილი „სწავლის ვენახი" ამიერიდან „ჰყუავილოვნებდეს და მოაქუნდეს უხუად ნაყოფნი სადიდებელად და სარგებელად მამულისა'[2].

დასასრულ, ორატორი მიმართავს მოსწავლეებს და მოუწოდებს მათ გულმოდგინებისა და წარმატებისაკენ, რათა გაამართლონ მათზე დამყარებული კეთილი იმედები.

ს. დოდაშვილის სიტყვა სადღესასწაულო მშვერმეტყველების საყურადღებო ძეგლია, რომელსაც ჭარბად შემოუნახავს გადასულ დროთა მეტყველების თავისებური სურნელება.

---

[1] ქართული მშვერმეტყველება. გვ. 255.

[2] იქვე.

22. გაბრიელ ქიქოძე

1825—1896

ცნობილი სასულიერო მოღვაწე, პედაგოგი და მეცნიერი გაბრიელ ქიქოძე ფართოდ სახელგანთქმული საეკლესიო მქადაგებელია. ის მსოფლიო ჰომილეტიკის ერთი ბრწყინვალე ხელოვანი და ნაყოფიერი შემოქმედია. მისი მაღალი ორატორული ოსტატობა საკაცობრიო მნიშვნელობის ხელოვნებაა.

გასული საუკუნის მეორე ნახევარში, იმერეთის დიდი ეპარქიის წინამძღოლობის დროს, დასავლეთ საქართველოს სასულიერო და სამოქალაქო ცხოვრების სარბიელზე, გაბრიელმა წარმოთქვა ბევრი შესანიშნავი მოძღვრება-ქადაგება. ეს მდიდარი და მრავალფეროვანი სამქადაგებლო მემკვიდრეობა შესულია ჩვენი სასულიერო მჭევრმეტყველების საგანძურში და წარმოადგენს მისი ისტორიული განვითარების უკანასკნელ მაღალ საფეხურს.

გაბრიელ ქიქოძე წარმატებით აგრძელებს ჩვენში გავრცელებულ დამოძღვრება-დარიგების ტრადიციულ წეს-ჩვეულებას, რაც უმთავრესად სრულდებოდა ქრისტიანულ სამლოცველოში, რომლის ამბიონი ხშირად ადამიანის ზნეობრივი აღზრდის კერას წარმოადგენდა. გაბრიელის ცოცხალი მეტყველებაც საეკლესიო მრევლისა და ფართო საზოგადოების ზნეობრივ აღზრდას ემსახურებოდა და თავის დროზე გარკვეულ დადებით ნაყოფსაც იძლეოდა. ეს ნაყოფი, აღმოცენებული რელიგიური რწმენის ნიადაგზე, ცხადია, არ შეიძლებოდა სავსებით საღი ყოფილიყო, მაგრამ მისი განსაზღვრული მორალური ღირსება სრულიად უდავოა. ამასთან, ეჭვს გარეშეა გაბრიელის ორატორული დამსახურება და მისი სამეტყველო ფორმის რამდენადმე სასარგებლო პრაქტიკული ღირებულება.

ყოველივე ამის გამო იმსახურებს ყურადღებას ეს ქრისტოლოგიური სამქადაგებლო შემოქმედება.

გაბრიელ (ერისკაცობაში გერასიმე) ქიქოძე თავისი დროის ღრმად და ფართოდ განსწავლული მოაზროვნეა. მას მიღებული

ჰქონდა უმაღლესი სასულიერო განათლება. ის სწავლობდა თბილისის სასულიერო სასწავლებელსა და სემინარიაში, შემდეგ ქალაქ პსკოვში და, დასასრულ, პეტერბურგის სასულიერო აკადემიაში. აკადემიის დამთავრების შემდეგ გაბრიელი ბრუნდება თბილისში მაგისტრის სამეცნიერო ხარისხით და იწყებს პედაგოგიურ მუშაობას ხსენებულ სემინარიაში. 1854 წლიდან ის მტკიცედ დგება საეკლესიო მოღვაწეობის ასპარეზზე და ამავე პერიოდიდან ეწევა ფართო საგანმანათლებლო მუშაობას. გაბრიელ ქიქოძე მოკლე დროში ზედიზედ იღებს რამდენიმე მაღალ წოდებას და განუწყვეტლად წინ მიიწევს სასულიერო იერარქიის გზაზე. 1859 წელს ის ინიშნება გორის ეპისკოპოსად, ცოტა ხნის შემდეგ საქართველოს საექსარხოსოს მეთაურობს, ხოლო 1860 წლიდან იმერეთის ეპისკოპოსია. ამ ხანებში იმერეთის ეპარქიას შეუერთდა აფხაზეთისა და სამეგრელოს ეპარქიები და დასავლეთ საქართველოში შეიქმნა დიდი საეკლესიო გაერთიანება, რომელსაც დიდხანს წარმატებით წინ უძღოდა გაბრიელი. ამ თანამდებობაზე მან დაყო 35 წელი[1].

აქ, დასავლეთ საქართველოს საეკლესიო სარბიელზე, მრავალრიცხოვანი მრევლის წინაშე, გაიშალა გაბრიელ ქიქოძის სამქადაგებლო მოღვაწეობა. თითქმის ყოველ რელიგიურ დღესასწაულთან დაკავშირებით ის წარმოთქვამდა მგზნებარე სიტყვას, რომლის შინაარსი იშვიათად იფარგლებოდა მარტოოდენ ბიბლიურ-მისტიკური მოტივებით და ხშირად საზოგადოებრივი ყოფა-ცხოვრების მტკივნეულ საკითხებსაც მოიცავდა. დროგამოშვებით ის ქადაგებდა წმინდა საერო შინაარსის მოვლენებზე, რომელთა არსი მრევლის წინაშე სათანადო ახსნასა და ნათელყოფას საჭიროებდა.

მეტად ვრცელია გაბრიელის სამქადაგებლო ასპარეზი: მას ეხედავთ იმერეთსა და გურიაში, რაჭასა და სვანეთში, აფხაზეთსა და ოსეთში. ის მოგზაურობს ქალაქებში, დაბებსა და სოფლებში — ხშირად შორეულ, მიყრუებულ ხევებსა და უდაბურ ადგილებში გაისმის მისი ქადაგება.

მეტად ფართოა და მრავალფეროვანი გაბრიელის მსმენელთა წრე: აქ არიან მორწმუნენი, მოქალაქენი. მოსწავლეები, ჯარისკაცები და პატიმრები. მქადაგებელს უსმენენ ტაძრებსა და სკოლაში, ქორწილსა და გლოვის ჟამს, ბანაკებსა და საპატიმროებში, დარბაზებსა და ღია ცის ქვეშ. „ქადაგების წარმოთქმის დროს შედგებოდა მომაღლო ადგილზე, ან სასაფლაოს ქვაზე და ან ხის ნამორზე, რომ

[1] იხ. მ. ქიქოძე, გაბრიელის საუნჯე; მ. კელენჯერიძე. გაბრიელი.

ყველა მსმენელისათვის მიეწვდინა თავისი სიტყვა",—მოგვითხრობს გაბრიელის საქმის თაობაზე მისი თანამედროვე დ. ღამბაშიძე[1].

განუსაზღვრელია გაბრიელის სამქადაგებლო თემატიკა. უამრავ საკითხს ეხება ორატორი. აქ არიან ძველი და ახალი, კერძო და ზოგადი, კონკრეტული და განყენებული მოვლენები. მქადაგებლის ყურადღების წრეშია საერო და სასულიერო თემები, ეროვნული და საკაცობრიო ტკივილები, ისტორიული და თანადროული საკითხები, ოჯახისა და სახელმწიფოს საქმეები, პიროვნებისა და საზოგადოების პრობლემები. ორატორი აშუქებს ადამიანის მოვალეობისა და დანიშნულების, ბავშვის აღზრდისა და განათლების, ქალის უფლებისა და მდგომარეობის საკითხებს. ის გმობს შურსა და მტრობას, პირმოთნეობასა და ფარისევლობას, მცონარეობასა და უსაქმურობას. ცილისწამებასა და ჰორიკანობას, დასმენასა და ჯაშუშობას, ლოთობასა და მეძაობას, მკითხაობასა და ცრუმორწმუნეობას, პატიოსანყოფაქცევასა და ქედმაღლობას, გამოძალვასა და მექრთამეობას. მქადაგებელი ადიდებს სიყვარულს, სათნოებას, პირუთვნელობას, კეთილშობილებას, პატიოსნებას, სამართლიანობასა და შრომისმოყვარეობას.

გაბრიელ ჭიქოძის სამქადაგებლო შემოქმედების ცენტრში დგას ადამიანი. მისი სულიერი ამაღლება და სრულყოფა წარმოადგენს ორატორის მიზანს. ამით ისაზღვრება გაბრიელის მოძღვრების დედააზრი და უმთავრესი დანიშნულება. ეს განსაზღვრავს მისი ხელოვნების ფორმასა და გამომსახველობას.

ხსენებული მხარეებით შეპირობებული მქევრმეტყველების ტექსტუალური და იდეური შინაარსის ძირითად წყაროს წარმოადგენს საღმრთო წერილი: ძველი და ახალი აღთქმა — ბიბლია და სახარება. აქ არის გაბრიელ ჭიქოძის მქადაგებლობის სუსტი მხარე, ვიწრო ადგილი. ორატორის მსოფლმხედველობა გამსჭვალულია რელიგიური ცრურწმენისა და ქრისტიანული მისტიციზმის ყალბი შინაარსით. მისი აზროვნების პრინციპული მხარე ანტიმეცნიერულია. ის ეყრდნობა მოთმინების, მოდუნებისა და გულგრილობის ქრისტიანულ მორალს. ორატორი იღწვის ბოროტებასთან შერიგებისა და კლასთა შორის მშვიდობისათვის, ქადაგებს საიქიო განცხრომასა და იმქვეყნიურ ნეტარებას.

ერთი სიტყვით, გაბრიელის სამქადაგებლო შემოქმედება გაჟღენთილია რელიგიური მსოფლმხედველობით, რაც უკარგავს მას სოციალურ ფუნქციას საკუთარი კონკრეტული დროის მიღმა და-

---

[1] დ. ღამბაშიძე, ყოვლად სამღვდელო გაბრიელი, გვ. 4

თავისი განსაზღვრული სივრცის გარეშე, მაგრამ საკუთარი დროის მონაკვეთსა და თავისი სივრცის ფარგლებში ინარჩუნებს ის გარკვეულ დადებით მნიშვნელობასა და ღირსეულ მხარეებს. ამ უკანასკნელ მოვლენას უზრუნველყოფს ისიც, რომ გაბრიელ ჭიქოძის რელიგიური აზროვნების სისტემაში ჩართულია დიდი გამოცდილებისა და გონიერი დაკვირვების ნიადაგზე შეძენილი ცოდნა, რომლის შუქით დანახულია ბევრი საზოგადოებრივი ჭირ-ვარამი და მიგნებულია მათი შემცირების გზები. აქედან მომდინარეობს მქადაგებლის ბევრი სწორი მოსაზრება.

ერთი ასეთი მოსაზრება — ადამიანის შინაგანი უკმაყოფილება, როგორც წარმატების ფაქტორი — გამოთქმულია სიტყვაში „ფარისეველისა და მეზვერის“ შესახებ. აქ ნათქვამია: „კაცი ცხოველი და გონიერი ვერაოდეს ვერ დააკმაყოფილებს ვერცა ჭკუასა, ვერცა გულსა თვისსა; რაოდენიც გინდა სწავლა და მეცნიერება მიიღოს კაცის გონებამ, მაინც არის გაუმაძღარი და ხარბი უმაღლესისა მეცნიერებისა. ეგრედვე გულიცა მისი, თუ მას შინა არის აღნთებული საღმრთო ცეცხლი ღვთაებრივისა მადლისა, ვერაოდეს ვერ დაკმაყოფილდება მოყვასებითა თვისითა და სათნოებითა, არამედ მარადის არის მისწრაფებული უმაღლესისა ხარისხისადმი სათნოებისა... ეს უკმაყოფილება არის წყარო ყოველისა წარმატებისა, ვითარცა სულიერისა, ეგრედვე ხორციელისა...“[1].

XIX საუკუნის 60-იან წლებში, სწორედ იმ პერიოდში, როცა დიდი მგოსნები ილია და აკაკი წარმატებით აგვირგვინებდნენ ახალი ქართული სალიტერატურო ენის განვითარების ისტორიულ პროცესს, გაბრიელ ჭიქოძე ზეპირი მეტყველების გზით ნერგავდა იმავე ახალი ქართულის მარტივ, სადა და მისაწვდომ ფორმას, რითაც ხელს უწყობდა საერთო-სახალხო ენის ფართოდ გავრცელებასა და მტკიცედ დამკვიდრებას.

საგანგებოდ შერჩეული ენობრივი ფორმით მონაწილეობს ამ ეროვნულ საქმეში დიდი მქადაგებელი, რომელიც, მისივე თქმით, ბევრს ფიქრობს აზრისა და სიტყვის ერთობასა და მსმენელთა საჭიროებაზე. ის ამბობს: „მქადაგებელმან სიტყვისა ღვთისამან კარგი დაფიქრებით უნდა გამოარჩიოს, რომელი სიტყვა, საგანი უსაჭიროესია მსმენელთათვის. მან უფრო ხშირად და მტკიცედ უნდა ილაპარაკოს და მისცეს დარიგება იმ ცოდვის და ნაკლულოვანებისათვის,

---

[1] გაბრიელი, ქადაგებანი, I, გვ. 46—47.

ამ სულიერი სენისათვის, რომელიც მისს სამწყსოს უფრო ეჩვევა და ავნებს"[1].

ამიტომ ნატრულობს ორატორი:

„ნეტავი ვინმემ მომცეს მე ისრედი სიტყვა, რომელი შევიდოდეს შინაგანს მსმენელისა და გამოსცვლიდეს მის გულსა; ანუ ვითარცა ზარი დაეცემოდეს მძინარესა სინიდისსა ცოდვილისასა და განაღვიძებდეს მას ღრმისა მისისა ძილისაგან; ანუ ცეცხლად მოეკიდებოდეს და დასწვიდეს ყოველსა ღვარძნილსა და კუროს-თავსა ცოდვილის გულისასა; შემუსვრიდეს გულსა ამაყისასა, ხოლო გულსა შინა მწუხარებისაგან დამძიმებულისა იქმნებოდეს ვითარცა ნელსაცხებელი, დამალბობელი წყლულებისა მისისა, მოიყვანდეს ცრემლსა თვალთა ზედა მსმენელთასა, მოაძულებდეს მათ ცოდვასა, შეაყვარებდეს ღმერთსა და მოყვასსა"[2].

სწორედ ასეთია გაბრიელის სიტყვა.

უაღრესად ხალხური და ბუნებრივი სახით, ზედმიწევნით ნათელი და გასაგები ფორმით, მშვიდად, წყნარად და აუჩქარებლად აყალიბებს ორატორი თავის ნაფიქრ-ნააზრევს და ამყარებს მსმენელთან საზიარო ურთიერთობას. მარტივად აგებული, ძუნწად მოკაზმული და სადად გამართული ფრაზებით გადმოგვცემს მეტყველი თავისი განსჯისა და განცდის ნაყოფს და ღრმა შთაგონების წყაროდ ქცეულ შინაარსს უზიარებს მსმენელს. ორატორის სტილის კაზმულობას უმთავრესად ზოგიერთი არქაული ელემენტი ქმნის, რაც ოდნავ მოძველებული ელფერით მოსავს მეტყველებას, მაგრამ ვერ უკარგავს მას სიცხადესა და მკაფიობას. კონტექსტების შუქით განათებული არქაული ელემენტები ინარჩუნებენ სიძველის იერს, მაგრამ იძენენ ახალ დანიშნულებას და საესებით გასაგები სახით მონაწილეობენ აზრის გამოხატვაში.

გაბრიელის ორატორულ მეტყველებას ორი ძირითადი წყარო ასაზრდოებს: კლასიკური სამქადაგებლო ხელოვნება და ახალი სასაუბრო ენა. მათი კანონზომიერი შეთავსების შედეგს წარმოადგენს ორატორის აზროვნების მთავარი საშუალება — ზეპირი სიტყვა. ამ გზით აღწევს დიდი მქადაგებელი მტკიცედ დასახულ მიზანს — მრავალრიცხოვანი მრევლის მორალურ აღზრდას. მისთვის ენა ამ შემთხვევაში გადამწყვეტი მნიშვნელობის იარაღია. მხოლოდ მისი მეშვეობით შეუძლია მას გამარჯვება — საწადლის მიღწევა და მიღწეულის შენარჩუნება.

---

[1] გაბრიელი, ქადაგებანი, II, გვ. 287.

[2] მისივე, ქადაგებანი, I, გვ. 211—212.

ეს ყველაფერი კარგად ესმის გაბრიელ ეპისკოპოსს. ამით აიხსნება მისი განუწყვეტელი ზრუნვა სამქადაგებლო ხელოვნების საბვითი ფორმის დახვეწისათვის. ამ ზრუნვისა და მცდელობის ნაყოფს წარმოადგენს ორატორის ფაქიზად ჩამოსხმული და წმინდად ნაძერწი სამეტყველო სტილი, რომლის გასწვრივ ბევრი ბრწყინვალე ორატორული შემაღლება შეინიშნება.

აი, ერთი ასეთი, ვირტუოზულ ხელოვნებამდე ასული, ორატორული შემაღლება:

„უფალო იესო ქრისტე, ძეო ღვთისა ცხოველისაო, შემოქმედო ცისა და ქვეყნისა, მაცხოვარო სოფლისაო!

აჰა ესერა მე, უღირსი, ყოველთა კაცთა უცოდვილესი, სიმდაბლით მოვიდრეკ მუხლთა გულისა ჩემისათა წინაშე დიდებისა შენისა, უგალობ და ვადიდებ განუზომელსა ვნებასა შენსა და მადლობასა შენ, მეუფესა და ღმერთსა, შეგწირავ, რამეთუ კეთილ-ინებე გარდამოსვლა ზეციერის შენისა ტაძრითგან, და ხორცისა შესხმა ყოელად წმიდისა ქალწულისა მარიამისაგან. უხორცომან ხორციელი ბუნება ღვთაებასა შეაერთე; მდიდარი ნეფსით დაგლახაკდი, რათა კაცი სასუფეველსა შინა შენსა გაამდიდრო; შრომა და ყოველი კაცობრივი იწროება, ვითარცა კაცმან თაეს იდევ, რათა ყოველთა კაცთა, მწუხარებათა და იწროებათა შინა მყოფთა, შეეწიო; ორმეოცი დღე იმარხე, რათა ყოველთა აჩვენო გზა მარხვისა; მრავალ-გზის ბოროტთა მიერ გამოცდილ იქმენ, რათა გამოიყვანო ყოველნი განსაცდელთაგან ყოველთა; უწყი, ყოვლად-ძლიერო მეუფეო, რამეთუ ესე ყოველი არა შენთვის იყო სახმარ, არამედ ყოველი მოითმინე კაცობრივისა ცხოვნებისათვის; ოც-და-ათ ვერცხლად იქმენ განსყიდულ, რათა კაცი გამოისყიდო მონობისაგან სასტიკისა მტერისა: უწყალოთა ურიათაგან, ვითარცა უმანკო კრავი, მიტაცებულ იქმენ, კაცთა ნათესავისა სულიერისა მგელისა შთანთქმისაგან აღმომყვანებელი; სამსჯავროსა წინაშე ანნა და კაიფასა წარსდეგ, სასჯელისაგან საუკუნოისა ცეცხლისა ყოველთა განმათავისუფლებელი; შეკრული, გინებული, განკიცხული, უმართლოთა მოწმეთაგან ცილისწამებული, შენ, რომელმან გამოიხსენ კაცი უბედურებისა, ტანჯვისა, და საუკუნოისა სიკვდილისაგან“[1].

გაბრიელი დიდ მნიშვნელობას აძლევს სიტყვის აზრისა და ფორმის განუყოფელ ერთიანობას. მისთვის მხოლოდ „უსაჭიროესი საგნის ცხოველი და ძლიერი“ გამოხატვა წარმოადგენს ჭეშმარიტ ხელოვნებას. ორატორი ბევრგან საგანგებოდ აღნიშნავს „გამორჩეული“ სიტყვის უჩვეულო ძალასა და საოცარ უძლეველობას.

[1] გაბრიელი, ქადაგებანი, I, გვ. 173.

ზოგიერთი მოძღვრების შინაარსი აქ ხაზგასმით გვიჩვენებს მართალი სიტყვისა და კეთილი საქმის იგივეობას. ერთი ასეთი მოძღვრების ეპიგრაფი: „თესლი იგი არს სიტყვა ღვთისა“[1] — ამოღებული ლუკას სახარებიდან — შეფარვით მიუთითებს ძლიერი სიტყვის საქმიან შედეგზე.

ასეთ მაღალ სოციალურ დანიშნულებას ანიჭებდა გაბრიელი ცოცხალ სიტყვას და ამავე დანიშნულებით იყენებდა მას ფართო სამქადაგებლო სარბიელზე.

აი, როგორ აგვიწერს თვითმხილველი მსმენელი გაბრიელის საჯარო მეტყველებას: „გასაოცარი და მომხიბლავი ზედ-მოქმედება გაბრიელ ეპისკოპოსის ქადაგებათა საგრძნობელია განსაკუთრებით მაშინ, როდესაც გესმის თვით მქადაგებლისაგან, როდესაც თვითონ ის ქადაგებს. ცხოველი რწმუნება სულთან შეზრდილი და შეკავშირებული აცხოვლებს მქადაგებლის სახესა, ფენს მადლსა და სინათლეს რწმენისას; მსმენელნი ნათლად ხედავენ, ღრმად გრძნობენ, რომ მქადაგებლის სიტყვა და მოძღვრება, არა თუ ერთმანეთს განუსაზღვრელად დაკავშირებულია, არამედ გრძნობენ რომ ამოჩქეფს, მომდინარეობს სიყვარულისა და რწმუნების წყაროსაგან და აფრთოვანებს სულსა მქადაგებლისასა. ამ საიდუმლო ძალას შეუმჩნევლად ითვისებს მსმენელიცა და მისი სული ექვემდებარება ამ ძალის ზედ-მოქმედებას. არა ერთხელ და ორჯერ გამოუწვევია ცრემლი მსმენელთა შორის იმერეთის ეპისკოპოსის სიტყვას, როდესაც შეუბრალებლად გამოუაშკარავებია სულიერნი ნაკლულოვანებანი ადამიანისა; როდესაც თამამად აუხდია პირ-ბადე ფარისეველთა, მოშურნეთა და მოქიშპეთათვის; როდესაც სრულის ხელოვნებით გადაუშლია მსმენელის წინაშე სულის წყლულებანი“[2].

გაბრიელ ქიქოძის სამქადაგებლო შემოქმედების თემატურ წყაროსა და იდეურ საყრდენს ბიბლია წარმოადგენს. ორატორი მთავარ ადგილს უთმობს ახალი აღთქმის ტექსტის განმარტებას. ამისათვის ის მიმართავს განმარტების ორ სახეს: ტექსტის მარტივად თხრობასა და შინაარსის ახსნითს გადმოცემას. ორატორი აწარმოებს ან მოყოლას, ან კომენტირებას. ორივე შემთხვევაში მიზნად დასახულია ბიბლიური ტექსტის განმარტება.

ტექსტის მარტივად თხრობის სანიმუშოდ შეიძლება დავასახელოთ გაბრიელის „სიტყვა იშ-სა კვირიაკესა ზედა“, რომლის

---

[1] გ ა ბ რ ი ე ლ ი, ქადაგებანი, I, გვ. 354.

[2] ი. ქ ი ქ ო ძ ე, გაბრიელის სამუშაო, გვ. 27.

დამახასიათებელი ადგილია: „უფალი იესო ქრისტე ოდესმე სდგა კიდესა ზედა გენესარეთის ტბისასა, გარემოცული უმრავლესითა ერითა, რომელი მოსრულ-იყო სმენად სიტყვისა ღვთისასა, და იხილა ორი ნავი, მდგომარე კიდესა ზედა ტბისასა: ხოლო მეთევზენი, რომელთა ეკუთვნოდათ ნაეები, ამზადებდნენ ბადეთა თევზთა. უფალი შევიდა ნავსა სვიმონ მეთევზისასა და უბრძანა მას შერედგინება მცირედ კიდითგან ნავისა, დასჯდა და ასწავებდა ნავითგან ერსა. დაასრულა რა სწავლა, უბრძანა სვიმონს შეყენება ღრმად ნავისა და დადება ბადისა ნადირობად. თუმცა სვიმონ და სხვანი მეთევზენი მრთელს ღამეს ნადირობდენ და ვერა-რა მიიღეს; გარნა სიტყვისამებრ მოძღვრისა, დასდეეს ბადე და შეაყენეს ესოდენი სიმრავლე თევზთა, რომელ ბადენი თითქმის განსქებოდნენ და ნავი აღოესო თევზითა“[1].

შინაარსის ახსნითი გადმოცემის სანიმუშოდ შეიძლება დავასახელოთ გაბრიელის „მოძღვრება იდ-სა კვირიაკესა ზედა, რომლის დამახასიათებელი ადგილია: „ემსგავსა სასუფეველი ღვთისა კაცსა მეუფესა, რომელმან ჰყო ქორწილი ძისა თვისისა.

მეფე აქა ნიშნავს თვით ღმერთსა, ხოლო ქორწილი მოასწავებს ყოველსა მას განგებულებასა და მოქმედებასა და მადლსა, რომელი ზეციერმან მამამან ჩვენმან იხმარა დასაბამითგან ჩვენისა განათლებისა და ცხოვრებისათვის. გარნა ვინაითგან ღმერთი-მამა კაცობრივსა ნათესავსა გამოიხსნის, განახათლებს და აცხოვნებს საშუალობითა ძისა თვისისათა, ამისათვის იგი ქორწილსა ამას უწოდებს ქორწილად ძისა თვისისა“[2].

როგორც ვხედავთ, გაბრიელის მქადაგებლობა ეგზეგეტიკური ხასიათისაა, მაგრამ საღმრთო წერილის ახსნა-განმარტებით არ იფარგლება დიდი მქადაგებელი. ეს მისთვის ერთგვარი პრინციპული საყრდენია, რომელზედაც ის აშენებს ადამიანის ქცევა-მოქმედების, ყოფა-ცხოვრებისა და მოვალეობა-დანიშნულების მთელ მოძღვრებას.

გაბრიელის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ეს მოძღვრება არ არის ასკეტიკური, მისტიკური და განყენებული ხასიათისა[3]. ის საკმაოდ შორსაა წმინდა იდეალისტური აზროვნებისაგან, პირიქით,

---

[1] გაბრიელი, ქადაგებანი, I, გვ, 326.

[2] იქვე, გვ. 256.

[3] იხ. Н. А. Добролюбов, Основания опытной психологии Гавриила: ალ. ჯუთელია. ნ. ა. დობროლუბოვი გაბრიელის „ცდისეული ფსიქოლოგიის საფუძვლების“ შესახებ.

გამსჭვალულია ამქვეყნიური მცდელობის აზრით, მიწიერი სიკეთისათვის ზრუნვითა და კონკრეტული განსჯის სულისკვეთებით; იგი უახლოვდება მატერიალისტურ აზროვნებას[1] და მისი მეშვეობით ებრძვის ბევრ საჭირბოროტო სოციალურ მოვლენას.

თავიანთი ღრმა საალმზრდელო შინაარსითა და მკვეთრად ჩამოყალიბებული სახოვანი ფორმით განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევენ გაბრიელის შემდეგი ორატორული ძეგლები: „სიტყვა ხარების დღესა"[2], „სიტყვა კვირიკესა განრღვეულისასა"[3], „მოძღვრება გ-სა კვირიაკესა ზედა"[4], „სიტყვა კდ-სა კვირიაკესა"[5], „სიტყვა ბზობის კვირიაკესა ზედა"[6], „მოძღვრება მეთექვსმეტესა კვირიაკესა ზედა"[7], „სიტყვა ოცდამეექვსესა კვირიაკესა ზედა"[8] და „სიტყვა ოცდამეშვიდესა კვირიაკესა ზედა"[9].

ბევრი რამ არის აქ ნათქვამი თავის დროზე მეტად საჭირო და საგულისხმო.

აი, რას ამბობს გაბრიელი ქალის გონებრივი აღზრდის შესახებ:

„...ქალი აგებულობითა, ანუ სხეულითა არის უფრო სუსტი, ვიდრე მამაკაცი; მას არა აქვს ეგოდენი ხორციელი ძალი და ღონე, რაოდენიც აქვს მამაკაცსა; და რადგანაც ამაში იგი ჰშორავს მამაკაცისაგან, საჭირო არის, რომ გონიერებათა და ჭკუითა მაინც შეავსოს ეს თვისი ნაკლულევანება, რათა ყოვლის მხრით არ დარჩეს შორს მამაკაცისაგან. ამავე მიზეზისა-გამო, ესე იგი, რადგანაც ქალი არის აგებულობით სუსტი, საჭირო არის, რომ მას ჰქონდეს სულიერი სიმტკიცე, ხასიათის სიმაგრე. წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ ქალი ჭკუითაც შორს დარჩა მამაკაცისაგან, ხასიათიც სუსტი და უღონო აქვს, მაშინ იგი პირდაპირ შეიქმნება მამაკაცის სათამაშო"[10].

აი, როგორ გმობს გაბრიელი შურსა და მცონარეობას:

„ჩვენ ავიღოთ მაგალითად ისრედი ცოდვა, რომელი პირველითა

---

[1] ა. ბოპორიშვილი, გაბრიელ ჩიქოძის „ცდისეული ფსიქოლოგიის საფუძვლები", გვ. 77.

[2] გაბრიელი, ქადაგებანი, I, გვ. 131—135.

[3] იქვე, გვ. 184—187.

[4] იქვე, გვ. 234—239.

[5] იქვე, გვ. 391—396.

[6] გაბრიელი, ქადაგებანი, II, გვ. 112—116.

[7] იქვე, გვ. 195—198.

[8] იქვე, გვ. 231—234.

[9] იქვე, გვ. 239—242.

[10] გაბრიელი, ქადაგებანი, I, გვ. 133.

შეხედვითა არ შეამთხვევს კაცსა არცა ერთსა სენსა და უბედურებასა; ვსთქვათ — შური. რა სენი ანუ რა ვნება უნდა მოსდევდეს ამ ცოდვას? იგი აქვს კაცსა გულში და ვერც კი ვინმე შეატყობს მას. გარნა, ძმანო ჩემნო, შურისაგან კაცს შეემთხვევა მრავალი ცხადი უბედურება. თუ კაცის გულში განძლიერდა შური, თუ შურმა შეიპყრო გონება კაცისა, მაშინ იგი იქმნება მოუსვენებელი, პირმკრთალი, გამხდარი ტანითა, აღელვებული, ერთი სიტყვით, იგი არის საწყალი შესაბრალებელი. ავიღოთ კიდევ სხვა ერთი მაგალითი; ვსთქვათ — მცონარება ანუ უსაქმობა. თავდაპირველად კაცი ესრედ იფიქრებს, რომელ ამ ცოდვას არ შეუდგება არცა ერთი სენი და ვნება; გარნა ეს არ არის ესრედ: კაცის სხეული და აგებულება ყოველთვის მოითხოვს შრომასა და მოძრაობასა; თუ კაცი დიდხანს დაშთა უძრავად და უსაქმოდ, უთუოდ ავად გახდება. ამაზედ კიდევ ის დაუმატე, რომელ მცონარე კაცი მალე შთავარდება სიღარიბეში. არღარას ვიტყვი სხვათა რომელთამე საშინელთა ცოდვათათვის, რომელთა შეუდგებიან უსაშინელესნი ვნებანი და უბედურებანი, რომელთა ზედა საუბარი არ არის შესაფერი წმიდისა ადგილისა"[1].

აი, როგორ არიგებს გაბრიელი განსაცდელში მყოფ ადამიანს:

„დიდის ყურადღებით და გონიერებით უნდა მოვიხმარდეთ და ვისარგებლებდეთ ყოველთა განსაცდელთა. თუ მრავალგზის გეწვია განსაცდელი და არ მოიხმარე იგი, სრულიად დაიღუპები. დიდი დაფიქრება და მოთმინება გმართებს განსაცდელსა შინა; იგინი მოიელინებიან ჩვენდა გასაუმჯობესებლად. პირველი საქმე ის არის, რომ არ დაჰლონდე დღესა ბოროტსა, მხნეობა არ დაჰკარგო; მეორედ, ეცადო, რომ განსაცდელი გარდაიქცეს შენდა სასარგებლოდ. დიდი ჰკუა და მხნეობა იქმნება, რომ მწუხარებიდგან სიხარული გამოიყვანო, უბედურებიდგან გამოიყვანო შენი სულისათვის სიკეთე და წარმატება"[2].

ყოველივე ამისათვის ი. ჭავჭავაძემ მოხდენილად უწოდა გაბრიელის ცხოვრებას განუწყვეტელი მოძღვრება: „თვითოეული წამი მისის ცხოვრებისა — მოძღვრებაა, მაგალითია, ანდერძია ჩვენთვის და ჩვენის ქვეყნისათვის. ერთად-კი მთელი მისი ცხოვრება ერთი დიდი სკოლაა მაღალ-სათნოებისა და სიყვარულისა, მართლისა და პეშმარიტებისა, მადლისა და მოწყალებისა· მე ამაზე ბევრს არას ვიტყვი, რადგანაც ბევრი უკვე ითქვა და ბევრსაც კიდევ იტყვის შთამომავ-

---

[1] გაბრიელი, ქადაგებანი, I, გვ. 185—186.

[2] გაბრიელი, ქადაგებანი, II, გვ. 241—242.

ლობა, რომელიც ამ საისტორიე კაცს განიკითხავს თავისის სამართლიანის განკითხვითა"[1].

ასე უთქვამს ილიას გაბრიელის დაკრძალვის დღეს.

დიდი ქართველი მქადაგებელი გაბრიელ ქიქოძე ახალი დროის მსოფლიო ჰომილეტიკის თვალსაჩინო წარმომადგენელია. მისი ორატორული ხელოვნება ჩვენი ეროვნული მკევრმეტყველების საგრძნობი შემაღლება და წინმავალი საფეხურია. ის თავისი ცოცხალი სიტყვის უხვი საუნჯით ამდიდრებს მსოფლიო სამქადაგებლო ხელოვნებას და ღირსეულ ადგილს იმკვიდრებს საკაცობრიო ზეპირი მეტყველების ისტორიაში.

---

[1] ი. გაეკავაძე, სიტყვა თქმული გაბრიელ ეპისკოპოსის დასაფლავების დღეს, გვ. 120.

23. ნიკო დადიანი

1844 — 1896

ნიკოლოზ დადიანი, ქართულ მწერლობაში უფრო ნიკო დადიანის სახელით ცნობილი, ჩვენი ახალი კულტურისა და საზოგადოებრივი ცხოვრებას თვალსაჩინო წარმომადგენელია. ის გასული საუკუნის მეორე ნახევრის საზოგადო მოღვაწე, მწიგნობარი, მწერალი და ორატორია. ნ. დადიანი თანამედროვეთა შორის გამოირჩეოდა თავისი ფართო განათლებით, მაღალი კულტურით, მდიდარი ბუნებითა და მტკიცე ხასიათით. ქართული ენის დიდი მცოდნე და მრავალმხრივ განსწავლული მოაზროვნე არ იფარგლებოდა შემოქმედების რომელიმე ვიწრო სფეროთი და ხშირად საჭიროების კარნახით ასრულებდა ნაკლებად მნიშვნელოვან, მაგრამ აუცილებელ საქმეებს. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ ნ. დადიანმა ვერ დაგვიტოვა ისეთი ღირსების ლიტერატურული მემკვიდრეობა, როგორიც მისგან მოსალოდნელი იყო. მიუხედავად ამისა, მან შესამჩნევი კვალი გააჩნია ჩვენი კულტურის ზოგიერთ უბანს, რომელთა შორის მომეტებული ამაგი დასდო მჭევრმეტყველებას[1].

ნ. დადიანმა თავდაპირველი განათლება მიიღო სახლში, დედის ოჯახში, სადაც იზრდებოდა ის ბებიის გავლენითა და მზრუნველობით, მამის ნაადრევად სიკვდილის შემდეგ. მშობლების მხრიდან მიღებული მემკვიდრეობა, დადიან-აბაშიძეთა ოჯახების ქონებრივ და უფლებრივ შეძლებას გარდა, მწიგნობრულ ტრადიციებსაც შეიცავდა. ნიკოს მამა ტარიელ დადიანი იმ დროისათვის საკმაოდ ნასწავლი, განათლებული და გავლენიანი თანამდებობის პირი იყო, რომელმაც თავის ერთადერთ შვილს მდიდარი საგვარეულო წიგნთსაცავი დაუტოვა. აქ, მამისეული ბიბლიოთეკის კედლებში მიუღია პატარა ნიკოს პირველი განათლება, რაც შემდეგ ქუთაისის გიმნაზიაში შეუვსია და თვითგანვითარებით გაუღრმავებია. ამ გზით გამხდარა ბუნებით ნიჭიერი და ცნობისმოყვარე ბავშვი თავისი

[1] იხ. ს. ცაიშვილი, ნიკო დადიანი.

დროის სამაგალითო ადამიანად, რომელსაც ამ'შვენებდა ბევრი ღირსეული მიარე, და მათ შორის, დედაენის დიდი ცოდნა და სამშობლოს წმინდა სიყვარული[1].

ნ. დადიანი ჩვენი სახელოვანი ინტელიგენციის ღირსეული წევრია XIX საუკუნის მეორე ნახევარში, როცა მშობლიური ენის მესვეურთა საგანგებო ღვაწლმა შესაფერი ნაყოფი გამოიღო სწავლა-განათლებისაკენ მასობრივი მისწრაფების სახით. ამ სახალხო მოძრაობის ერთი სულისჩამდგმელი და მოამაგე იყო ნ. დადიანი, რომლის თავდადებული შრომისა და ბრძოლის იარაღს წარმოადგენდა მშვერმეტყველება.

ნ. დადიანი, უწინარეს ყოვლისა, შესანიშნავი მშვერმეტყველია. ინტიმური სჯა-ბაასისა და საჯარო სიტყვების ეს ბრწყინვალე ოსტატი ერთნაირი ძალით ფლობდა ცხარე პაექრობისა და დინჯი მუსაიფის მაღალ ხელოვნებას. ქართული მეტყველების დარბაისელ რაინდს არა ერთხელ მოუხიბლავს მსმენელთა ფართო წრეები თავისი ლაღი და მდიდარი მშვერსიტყვაობით. მისი სიტყვის შეუფერხებელი დენა, მრავალფერი ტონალობა და საამო მელოდიურობა ცხადად შეინიშნება წერილობით მოღწეულ ორატორულ ძეგლებში, რომელთა უსიცოცხლო ფორმებს შეეძლო ეს მხარეები უკვალოდ დაეკარგა. ნ. დადიანის სიტყვის ხსენებული ნიშნები, თავიანთი რელიეფური ბუნების წყალობით, სტატიკური სახითაც მკვეთრად ინარჩუნებს ცხოველსა და მოძრავ პლასტიკურობას.

იმ ლიტერატურული მემკვიდრეობიდან, რომელიც ნ. დადიანმა დაგვიტოვა, ჩვენთვის ამჟამად საინტერესოა მისი ორატორული შემოქმედება. ქართული ზეპირი სიტყვის სარბიელზე ის გამოირჩეოდა საღი სულისკვეთებით გამსჭვალული, ნათელი და მწყობრი მეტყველებით. მისი მდიდრად გამართული ენა, სუფთად ჩამოქნილი სტილი და უწყვეტლად აგებული თხრობა მსმენელს ხიბლავდა არა ცალკეული მიმზიდველი თქმებით, არამედ აზრის ერთიანი და განუყოფელი მთლიანობით. ორატორის მეტყველება პირდაპირ და მკვეთრად გამოხატავს უმთავრეს იდეურ ნააზრევს, რითაც გაშუქებულია მისი ყოველი საჯარო გამოსვლა. გულწრფელად, კონკრეტულად და შეფარვის გარეშე გვიზიარებს ნ. დადიანი თავის მოსაზრებებს, რომლებსაც გადმოგვცემს უაღრესად დიდი სისადავითა და ჩამწვდომი ენობრივი ფორმით. ამ გზით იპყრობს ის მსმენელის

---

[1] დ უ ტ უ მ ე ჯ რ ე ლ ი, ნიკოლოზ ტარიელის-ძე დადიანი („მოამბე", 1897, № 1, გვ. 77—84).

გულისყურს, აწესრიგებს, იმორჩილებს გარემოს, ყოველივეს წარმართავს საკუთარი ნებით და, დასასრულ, აღწევს სასურველ შედეგს. მისი მდიდარი, კოლორიტული და ძარღვიანი სტილი ზომიერად შეფერილია მისაწვდომი არქაიზმებითა და ახლებურად ნაწარმოები მოხდენილი სიტყვებით. ყოველი მათგანის კონკრეტული შინაარსი კონტექსტის საერთო აზრით ირკვევა და სრული გაგების ნათელით იმოსება. ხშირად ორატორი ფრაზის ორიგინალური წყობით აღწევს აზრის ექსპრესიულად გამოთქმის ოსტატობას.

ყოველივე ამის გვერდით ნ. დადიანის ზეპირ მეტყველებას ზოგჯერ ახლავს ხელოვნური სიზვიადის იერი, მაგრამ სტილისტური ნაკეთობის კვალი, რაც აქ დროდადრო შეინიშნება, ვერ არღვევს ორატორის სიტყვის თავისუფალ დინებას და მეტყველების საერთო ფონზე შემთხვევით მოვლენად გამოიყურება. ნ. დადიანის სიტყვის საერთო სახე დინჯი, სულდათქმული და დარბაისლური ბუნებით ხასიათდება. მისი ყოველმხრივ ზომიერი და მწყობრი გარეგნობა სისრულისა და კმაყოფილების გრძნობის გამომწვევია.

ასეთი შეფასების საფუძველს გვაძლევენ ნ. დადიანის შემონახული სამგლოვიარო სიტყვები, საჯარო ლექციის თეზისები და ორატორის თანამედროვეთა ზოგიერთი ცნობა.

1884 წელს ნ. დადიანს რამდენიმე საჯარო ლექცია წაუკითხავს ქუთაისში და საერთო მოწონება დაუმსახურებია, როგორც ქართველი ხალხის ეროვნული თვითმყოფობის დამცველს, სწავლულსა და მჭევრმეტყველს. ჩვენამდე მოღწეულია ერთი ასეთი ლექციის გეგმა და ერცელი თეზისები, რომელთა შინაარსი ნათლად გვიჩვენებს ავტორის ფართო ერუდიციასა და პატრიოტულ განწყობილებას. ამასთან დაკავშირებით შალვა დადიანი წერს: „დიდად შესანიშნავია მის მიერ წაკითხული ლექციები, რომელთა ტექსტიც სამწუხაროდ არ დარჩენილა, რადგან თვით არ უყვარდა წინასწარ წერა და შემდეგ თქმა. წინასწარი შემზადება შუშხს უკარგავს ნათქვამსო—იტყოდა ხოლმე“[1].

განსაკუთრებული ყურადღების ღირსია ნ. დადიანის ორი სამგლოვიარო სიტყვა, რომელთა შინაარსი შორდება დარგობლივი დანიშნულებით განსაზღვრულ ფარგლებს და საპროგრამო იდეურობის მჭევრ გამოხატვას წარმოადგენს. ისინი ზეპირი მეტყველების საუკეთესო ნიმუშებია, რომლებიც გვიჩვენებენ ახალი ქართული

[1] შ. დადიანი, სილუეტი ნიკო დადიანისა, გვ. 330.

ორატორული ხელოვნების განვითარების მაღალ დონესა და სოციალურ დანიშნულებას.

ეს სიტყვებია: 1. თქმული დიმიტრი ბაქრაძის დაკრძალვაზე, და 2. თქმული გაბრიელ ეპისკოპოსის დაკრძალვაზე[1].

პირველი სიტყვა წარმოითქვა 1890 წლის 13 თებერვალს, ქართველ მოღვაწეთა დიდების პანთეონში, მეორე — 1896 წლის 10 მარტს, გელათის ტაძარში.

ქვემოთ წარმოდგენილია ამ ორატორული ძეგლების ანალიზი.

ნ. დადიანის სიტყვა, თქმული დიმიტრი ბაქრაძის დაკრძალვაზე, თავიდანვე, პირდაპირ, ყოველგვარი შემოვლილი გზის გარეშე გვაცნობს საქმის ვითარებას. დასაწყისშივე რამდენიმე მოხდენილი ფრაზით აღბეჭდილია ისტორიკოსის ღვაწლმოსილი სახე. აქ ნათქვამია საერთოდ ჰეშმარიტების სამსახურისა და კერძოდ ისტორიული „სიმართლის კვლევის“ განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე. აქვე რამდენიმე შტრიხით ნაჩვენებია განსვენებული მეცნიერის დამსახურება: „საზოგადოდ ჰეშმარიტების სამსახური დიდი ღვაწლი არის და ნამეტურ ჩვენში, სადაც ჰეშმარიტება, და უფრო ისტორიული ჰეშმარიტება, მეტად მივარდნილი და დავიწყებულია. საუკუნეთა წყვდიადი, რომლითაც გარემოცული იყო ისტორიული სიმართლე ჩვენის წარსულის ცხოვრებისა, ამან გაარღვია. ის ძალი, რომელიც ამან შეიტანა სიმართლის კვლევაში, გამოითქმოდა იმ სულის სიმხნით და ახოვნებით, რომელიც ემოსა მის სიყვარულს და ტრფიალებას თავის ერისადმი. პირველად შებედა შესვლა ამ ჭამთა უკუნში, აღუურვილმა მეცნიერებით და მარულისშვილობით“[2].

შემდეგ ორატორი აღნიშნავს საქართველოს დიდი წარსულისადმი უსამართლო უყურადღებობას როგორც ჩვენში, ისე ჩვენი ქვეყნის გარეთ და მწუხარებას გამოთქვამს ხალხის „საისტორიო დიდების“ ყალბად გაშუქების, ხან-კი სრული მივიწყების გამო. ასეთ ვითარებაში მეტი სიცხადით მოჩანს დიდი მამულიშვილის წარუშლელი ღვაწლი, რასაც კაზმული სახით გვაცნობს ორატორი: „ამან აალაპარაკა ქვები; აალაპარაკა საფლაები, აალაპარაკა ნანგრევები და ამათ ათქმევინა უტყუარი პასუხი ჩვენის წარსულის სიმართლისა, რომელსაც ვერავითარი შაშარი საისტორიო კრიტიკისა ვერ შეარყევს. ეს იყო გმირი, მაგრამ როგორი?.. ღვთის მადლით, ახლა ჩვენში სამხედრო გმირობა ისე საჭირო აღარ არის, როგორც ძველად. ახლა არის საჭირო გმირობა სამოქალაქო; არის

---

[1] ქართული მჭევრმეტყველება, გვ. 262—266.

[2] იქვე, გვ. 262.

საჭირო და საძნელოც, რადგან სამოქალაქო გმირობა არის განუწყვეტელი, დაუძინებელი ომი უმეცრებასთან, სიავესთან, სიცრუესთან. ამ ბრძოლას უნდა მთელი სიცოცხლე, და ამ მოღვაწემ, ვინც ეს არის ახლა ჩაგვისვენდა საფლავს, მოანდომა თავის პატიოსანი გრძნობა, მრავლის მცნობელი გონება, მტკიცე ხასიათი, სრული თვისი არსება და სიცოცხლე"[1].

აქ ლამაზი სიტყვის ძალით აცოცხლებს ნ. დადიანი საუკუნეთა ქარცეცხლში „გამოკვერული" ერის თავდადებულ ჭირისუფალს, რომელმაც ყველასათვის ცხადი გახადა მოწამებრივი წარსულის შეუჩერებელი წინსვლა უკეთესი მომავლისაკენ და გვიჩვენა დროთა განუწყვეტელი კავშირი, რომელიც, ორატორის თქმით, „ვერ შეწყვიტა... ვერც ხმალმა და თოფმა, ვერც შემოსევამ და განატამალებამ, ვერც მედგარმა მუსვრამ, ვერც სისხლის ზღვამ... ვერაფერმა"[2].

ორატორი დაჯერებით განაგრძობს: „წარსულის სიმართლეზედ დგას აწმყო და მომავალი სიმართლე: თუ რომ საძირკველი გარდასრულთ ჟამთა ისტორიისა უტყუელს სიმტკიცეზედ არის დამყარებული, მაშინ დღეინდელი დღეც ნათელში იქნება და ხვალინდელიც—საიმედო. ძირდაკარგული ერი უნიადაგოა და მომავლის შენობას ვერაფერზედ დაამყარებს"[3].

შემდეგ მჭევრმეტყველი გვაცნობს დ. ბაქრაძის პირად ღირსებებს და მიუთითებს მათი შეძენის ნიადაგსა და პირობებზე: „თვით იგი იყო თავდაბალი, წყნარი, წრფელი, ერთგული მუშაკი, თავდადებული მოღვაწე. ეს დიდებული მაგალითი, ეს საჩინო სახე ნამდვილ მეცნიერისა და ღვიძლის ქართველისა, საიდგან მიითვისა, სად ისწავლა იმან?! აქა და ახლა? არა! ეს თვისებანი ჩვენში ახლა არ ისწავლება... ეს ისწავლა ჩვენი სასიქადულო წინაპრებთან საუბარში, დიდებულ ნაშთთა მუსაიფში და სახელოვანთა გმირთა შესწავებაში. აი, ამ საისტორიო მოღვაწეთა მოძღვრებამ შექმნა ის სკოლა, რომელმაც აღზარდა მაღალი სული, წმინდა ზნეობა და დაუშრომელი ღვაწლი ამ მშვიდობიანის მოსაქმისა"[4].

დასასრულ, ნ. დადიანი ეხება გრძნობის სფეროებს, აღმავალი ემოციით განაგრძობს მეტყველებას, აღწევს ზეგავლენის მწვერვალს და სიტყვას ამთავრებს შემაღლებული განწყობილებით:

„აი, წამი უმწვერვალესის მწუხარებისა, წამი საუკუნოდ გაყრისა. მშვიდობით, სიმხნისა და გამტანობის მოძღვარო! მშვიდობით, დი-

[1] ქართული მჭევრმეტყველება, გვ. 262.
[2] იქვე, გვ. 263.
[3] იქვე.
[4] იქვე.

დებისა და სიქველის მომთხრობელო და წმინდა გრძნობითა გამაცოცხლებელო! მშვიდობით, მამულის დიდებაო და სიქადულო! მშვიდობით ამ დროის მეცნიერების მწყობრში საქართველოს წილის შემტანო! მშვიდობით, ერთობის ღვაწლის მოანდერძეო და მაგალითო! მშვიდობით, მშვიდო, ტკბილო მეცნიერო, ჯერ უმემკვიდროვ! იყოს შენი ღვაწლი წინამძღვრად და ლამპრად შენთა მომავალთ მემკვიდრეთა, რომელთაც მოათავონ და დააგვირგვინონ შენი დაწყებული შენობა ჩვენის დიდებისა!.. საუკუნოდ იყავენ ხსენება შენი და შენთა ნაყოფიერთა ღვაწლთა ერისა და მამულისათვის!"[1]

სიტყვა, თქმული გაბრიელ ეპისკოპოსის დაკრძალვაზე, იწყება ერთგვარი ექსპოზიციით, რომლის თემატურ მოტივს წარმოადგენს არსებული სინამდვილის ჩვენება, ფაქტობრივი მდგომარეობის კონსტატაცია: „ჩვენი ისტორია მდიდარია დიდსული, დიდბუნება კაცებით; ჩვენი წასული დრო აღსავსეა გონებისა და გულის მოღვაწეთა წარჩინებული, ახოვანი რაზმით, — აწმყო კი ერთობ ღარიბი და ნაკლულევანი ჟამთა ვითარებითა... ამ დროს, როდესაც მძიმე საისტორიო გვემათაგან გამოვლილნი, დაღლილნი, დამაშვრალნი სულს ვიბრუნებთ, ძილის დახსნილებას მივცემივართ, გავლილი ჟამი ჯერ ვერ გამოგვიწველილავს და მდგომარეს ვერ მივმხვდარვართ, გვეჭირვებოდა გამომაფხიზლებელი ძლიერი სხივი ცხოველის სიმართლისა..."[2]

ამ შესავლით მიმართავს ორატორი მსმენელის ყურადღებას თემის თხრობისაკენ. სათქმელის ძირითადი საკითხის ხსენებამდე ისევ შესავლის მაგვარი თხრობა მიმდინარეობს. ასე გულდასმით და აუჩქარებლად მზადდება ნიადაგი ამაგმოსილი პიროვნების გამოსაჩენად. აქ ნათქვამია: „როდესაც ამისთანა ისტორიულ უბედურებათა გადამხდელი ქვეყანა, მათგან დარბეული სულით ხორცამდე, დუნდება, მისი ძალღონე გონებითი და ზნეობითი წვრილმანდება, იშლება, ხურდავდება, მაშინ თვით მისი უწინდელი დიადი ღვაწლიც შეიქმნება საცილობელი, საეჭვო: სული ჰოქმანებს სხვადასხვა რჩევათა და გზას შუა, ცხოვრება იწროვდება, კერძოვდება, ავსა და კარგს უთავბოლოთ ეხლება, ცდება; — მაშინ განგებულება მოავლენს ხოლმე ხორცშესხმულ სულს სიმართლისას, დიდბუნება კაცს, საყოველთაო მოძღვარს, რომელსაც თავისი ქედით უტვირთავს და მოაქვს „ყოველი ჭეშმარიტება" ისტორიისა..."[3]

---

[1] ქართული მგევრმეტყველება, გვ. 264.

[2] იქვე.

[3] იქვე. გვ. 264—265.

ამით მთავრდება სიტყვიერი ფონის შექმნა მოთქმით გლოვისათვის, და ორატორი ასახელებს დიდი მწუხარების მიზეზს. გლოვაზეიმის ხმით გრძელდება სახალხო სევდის გამომხატველი ღაღადება: „ეს არის ზეგარდმო მოვლენილი მოწამე და მოღვაწე, რომელმაც თავისი გონების ძალით, ხასიათის სიმტკიცით და გრძნობის სიწმინდით ახოვნათ გადაიბა სინამდვილე წარსულის ჟამის მოთხრობისა ამ დროს ცხოვრებას და თვით მხნეთ ჩადგა დიდებულთა მოძღვართა კრებულში, მოწინავე მოღვაწეთა რაზმში თვით ჩვენის თვალის წინ... ეს არის ჩვენი ზნეობის მწყემსი, წინამძღვარი, ჩვენი ჰირისა და ლხინის ზიარი, ჩვენი სახელი, სიქადული. სიხარული ჩვენი დროჲსა; მაგრამ... ვაჲ!... აწ ამ სიხარულის „წარხდომას“ ევაებთ და ვიგლოვთ, რომ ეს მადლი ჩვენის ქვეყნისა ამიერითგან მარტო ისტორიას დაეკუთვნა და ჩვენ აქ ობლათ დაგვტოვა“[1].

მეტყველების ფორმით გამოთქმული ტირილი შენზარავი ძალით ეუფლება მსმენელს:

„შეძრწუნებული გულით ვუმზერთ საფლავად ჩამავალს მუშაკს „მადლისა და ჭეშმარიტებისას“. გულის ტკივილით ვეთხოვებით „მშვიდობისა და სიყვარულის“ მოძღვარს, სიობლის მწუხარებით ვაბარებთ სამარეს საყვარელსა და სანატრელს მამას“[2]...

აქ უეცრად წყდება სასოწარკვეთილი გლოვა და ნუგეშის სხივით იფანტება უიმედობის განწყობილება. რწმენის ზეიმს ქმნის განსვენებულის საქმეთა აზრი, რასაც დიდი ენამზეობით გამოხატავს ორატორი: „მან განაღვიძა და გამოიწვია გულში მთელემარე წმინდა გრძნობა კაცობისა და ქრისტიანობისა ჩვენ შორის; გაგვიცოცხლა და წინ დაგვიყენა დიდი სახე დიდთა მოძღვართა ჩვენის ეკლესიისა, ჩვენის ერისა, ჩვენის სულიერის ღონისა; ამოიგო მსოფლიო ისტორიაში სამშობლო ქვეყნის წილი გონების მოღვაწეობისა; პირი დაუყო უმეცარ მოჩემართა; ასწია თავისი მხრებით მძიმე ლოდი სამარისაგან მივიწყებულის საერო ღვაწლისა და გამოაბრწყინვა მისი სახელით მთელი ქვეყნის წიხაზე სახელი მშობლის ქვეყნისა; ღრმათ გააკლო ნათელი კვალი წასულსა და მომავალს შუა; გვიანდერძა სიყვარული, შრომა და სწავლა; გვიჩვენა გზა ნიჭთა და ღონეთა ხმარებისა; ურწმუნოსა სარწმუნოება ჩაუნერგა, იქვნეულს ეკვი ჩამოაცილა და მორწმუნე უმეტესად განამტკიცა... თავს შემოაკლო სამწყსოს და სამშობლოს ყოველი თავისი საძრაობა,

---

[1] ქართული მეცნიერმეტყველება, გვ. 265.

[2] იქვე.

სიმრთელე, სიცოცხლე და ღვაწლ-შემოსილი შეერთო დიდებულ მწყობრს ქუჯულისა და ქვეყნისათვის თავდადებულთა მამა-პაპათა!"[1]

ამით თქმულია ყველაფერი. საჭირო სიტყვის დასრულება. ორატორი მკვეთრად ცვლის მღელვარების ტონის ფერს, ძირს ეშვება, დაბლა ხრის შემაღლებულ განწყობილებას, და მშვიდი, სულდათქმული იერით ამთავრებს მეტყველებას: „ამ დიდს ადგილს — გელათს — აღმაშენებლის შრომისა და განსვენებისას, აწ შეეწყნარება და განისვენებს კვლავ აღმაშენებელი და განმაახლებელი ჩვენის ზნეობისა, მადლი ზეცისა, განგებულებისაგან მოვლინებული წინამორბედათ ჩვენის სულიერის განახლებისა და აღშენებისა. თაყვანს ვცემ სიწმინდესა ამას, წასულისა და აწმყოს შემყრელსა და შემუსვრილი გულით ვილოცავ, რათა მადლითა და ვედრებითა განსვენებულის მეუფისათა სიტყვათა და სწავლათა მისთა მორჩილებითა დავადგეთ მის კვალს და მივეგებოთ შრომითა და სწავლითა აღშენებულს მომავალს, — უკვდავსა და კურთხეულს ძეგლსა და ნაყოფს მისის მოღვაწეობისა"[2].

ასეთი ღირსეული სახით ამშვენებს ნ. დადიანის მჭევრმეტყველება ჩვენი ზეპირი სიტყვის ისტორიულ საგანძურს.

ნიკო დადიანის ორატორული ხელოვნება ქართული კლასიკური მჭევრმეტყველების მეტად სრული, ცოცხალი და ორიგინალური ნაკადია, რომელიც თავისი ბუნებრივი დინებით უერთდება და ამდიდრებს ჩვენი ახალი ზეპირი სიტყვის სალაროს.

---

[1] ქართული მჭევრმეტყველება, გვ. 255—266.

[2] იქვე, გვ. 266.

24. ილია ჭავჭავაძე

1837 — 1907

დიდი ქართველი მწერალი, მოაზროვნე და საზოგადო მოღვაწე ილია ჭავჭავაძე სამწერლო ასპარეზზე გამოსვლის დღიდან უკანასკნელ ამოსუნთქვამდე თავგამოდებით იბრძოდა საერთო-სახალხო ქართული ენის დაცვისა და სრულყოფისათვის. მან განუზომელი ამაგი დასდო და წარუშლელი კვალი გააღლო ჩვენი ახალი მეტყველების განვითარების ისტორიულ პროცესს, რომლის საბოლოო დაგვირგვინება XIX საუკუნის დიდ ქართველთა საპატიო ხვედრი აღმოჩნდა. თანამედროვე ქართული ენის დანერგვისა და დამკვიდრების ეროვნულ საქმეში ილია წინ უძღოდა და მეთაურობდა ა. წერეთლის, ი. გოგებაშვილის, ი. მაჩაბლის, ა. ყაზბეგის, ვაჟა-ფშაველასა და სხვათა სახელოვან პლეადას. მათ შექმნეს და ააყვავეს ახალი ქართული კულტურა, რომლის უმთავრეს სფეროს სიტყვაკაზმული მწერლობა წარმოადგენს. აქვე წარმოიქმნა და აღორძინდა ჩვენი ახალი მჭევრმეტყველება. მისი უდიდესი წარმომადგენელი ი. ჭავჭავაძეა. ილიას მხატვრულ შემოქმედებას ამშვენებს და თავისებურ იერს ანიჭებს მდიდარი ორატორული ხელოვნება. ცოცხალი სიტყვის დიდი ოსტატის მემკვიდრეობა საგანგებო შესწავლას საჭიროებს.

ი. ჭავჭავაძეს ხალხი მიაჩნდა ენის ერთადერთ კანონმდებლად. „ხალხია ენის კანონის დამდები"[1], — ამბობს ის. ხალხი ქმნის ენის ზეპირ სახეობას. ამით აიხსნება ილიას დიდი ყურადღება ზეპირი მეტყველების მიმართ. ვინც ხალხს აღიარებს ენის კანონმდებლად, მისთვის ზეპირი მეტყველება უნდა წარმოადგენდეს განსაკუთრებული ყურადღების საგანს. „ჯერ ხალხს მოაშლევინეთ ეგრეთი ულოღიკო ლაპარაკი და მერე მე"[2], — ირონიულად შენიშნავს ილია მოკამათის საპასუხოდ. ამრიგად, ბუნებრივია დიდი მწერლის განუწყვეტელი ზრუნვა, რასაც იჩენდა ის მეტყველების ზეპირი ფორმის მიმართ. ასე, მაგალითად, მუდმივი ქართული დრამატული დასის შექმნასთან

[1] ი. ჭავჭავაძე, პასუხი, გვ. 47.

[2] იქვე.

დაკავშირებით 1879 წელს ილია წერდა: „ცოცხალი ლაპარაკი, ის დარბაისლური ქართული საუბარი, ის საამური ქართულის სიტყვის მიხვრა-მოხვრა, ის სიმდიდრე ქართულის სიტყვიერებისა აღარ ისმის, აღარ არის. გადაგვავიწყდა ყოველივე, რაც ენის შვენებას შეადგენს, რადგანაც ჩვენი აზრი ჩვენის ენით აღარ მოძრაობს, ჩვენი გული ჩვენის ენით აღარ თბება“[1].

სამაგიეროდ ილია სიხარულით ეგებებოდა ქართული სიტყვის გამოცოცხლების ყოველგვარ ნიშანს. საადგილ-მამულო ბანკის თაობაზე გამართულ ცხარე კამათთან დაკავშირებით, 1882 წელს ის აღნიშნავდა: „... ჩვენს მეტყველებას ამ ბოლოს დროს, და ნამეტნავად წელს, სწორედ ადამიანური ფერი და ღირსება დაედვა. ამიტომაც ჩვენს სიტყვას ღონე და ძლიერება მიეცა და ფარ-ხმალად შეექმნა ყოველს საქვეყნოდ მიმართულს მოქმედებას. რაკი საქვეყნო სიკეთისათვის აზრი დაიძრა ჩვენში, რაკი საქვეყნოდ მომართული აზრი გულში გამოგვეკვანძა... სიტყვა ხმალზედ უფრო უკეთ სჭრის და ზარბაზანზედ უფრო ძლიერ მოქმედობს“[2].

ამიტომ მეურვეობდა დიდი ილია ასე თავგამოდებით ცოცხალ მეტყველებას და იცავდა მას ყოველგვარი მტრული ხელყოფისაგან.

ილია მნიშვნელობით ერთმანეთისაგან არ ანსხვავებდა ორატორულ მეტყველებას და სიტყვაკაზმულ მწერლობას. აქ მისთვის მხოლოდ გარეგნული სხვაობა იყო: „როცა ადამიანს სურს შეიტყოს ღირსება და დიდება ერისა, ყოველთ უწინარეს ამას იკითხავს,— რამდენი მ თ ქ მ ე ლ ი და მწერალი ჰყავსო“,—ამბობს ილია ნ. ბარათაშვილის ნეშტის გამოსვენებაზე წარმოთქმულ სიტყვაში. აქ თანაბარ სიმაღლეზეა დაყენებული მთქმელი და მწერალი—ზეპირად მეტყველი და წერით შემოქმედი.

ასეთი რწმენით მოაზროვნე და მოქმედ მწერალს ზეპირი მეტყველების დიდი უნარი და ბუნებრივი ნიჭი გააჩნდა, რაც ღრმა ცოდნასა და დაუცხრომელ ენერგიასთან ერთად აპირობებდა ი. ჭავჭავაძის ორატორულ შემოქმედებას.

ი. ჭავჭავაძე როგორც მჭევრმეტყველი მხატვრული კითხვის ოსტატობით, პაექრობა-კამათის ძალითა და სადღესასწაულო სიტყვის ხელოვნებით გამოირჩეოდა. განსაკუთრებული უნარი მან პაექრობა-კამათისა და სადღესასწაულო სიტყვების ასპარეზზე გამოიჩინა. მათ შორის ეს უკანასკნელი წარმოადგენს აქ ჩვენი კვლევა-ძიების ძირითად საგანს.

---

[1] ი. ჭავჭავაძე, შინაური მიმოხილვა, 1879, თებერვალი, გვ. 45—46.

[2] ი. ჭავჭავაძე, შინაური მიმოხილვა, 1882, სექტემბერი, გვ 203—204.

ვიდრე მას შევეხებით, უნდა აღვნიშნოთ ილიას თვალსაჩინო დამსახურება მხატვრული კითხვის სარბიელზე. ეს დამსახურება იმითაც არის საყურადღებო, რომ შეეხება იმჟამად ჩვენში სრულიად ახალ საქმეს—სიტყვაკაზმული მწერლობის ზეპირ პოპულარიზაციას, რასაც უაღრესად დიდი კულტურული მნიშვნელობა ჰქონდა ხალხის სულიერი ცხოვრებისათვის.

ილიას კერძო წერილებში, მწერლის თანამედროვეთა მემუარებსა და სხვა დოკუმენტებში დაცულია ბევრი ცნობა, რომელთა მეშვეობით ნათელი ეფინება ქართული მხატვრული კითხვის ამ საყურადღებო პერიოდს. ეს ცნობები ეხება ჩვენი ზეპირი სიტყვის ძეს-ვეურებს, მათი ხელოვნების ხერხებს, საჯარო გამოსვლის ოსტატობასა და სამეტყველო მასალის შინაარსს. ამ გზით საკმაო სისრულით წარმოიდგინება ქართული გამომეტყველებითი კითხვის ხელოვნება, რომლის უმთავრესი წარმომადგენელი ი. ჭავჭავაძეა.

ილია, როგორც ჩანს, კარგად გრძნობდა საკუთარ ძალას ამ სფეროში, საქმეს გულისხმიერად ეკიდებოდა და მისთვის ჩვეული მზრუნველობით ეპყრობოდა ყველაფერს, რაც საჯარო სიტყვას ეხებოდა.

„ჩვეულებად მიღებული მაქვს მოუმზადებლად არსად წავეჩხირო“[1],—სწერდა ილია ვლადიმერ მიქელაძეს ერთი საჯარო გამოსვლის წინ.

„მეფე ლირის“ თარგმანთან დაკავშირებით 1874 წელს ილია ასე სწერს თავის მეუღლეს: „მაგას კაი წაკითხვა უნდა, რომ კაცმა მოიწონოს... აი, როცა მოვალ, მე თვითონ წაგიკითხამთ და მაშინ ნახავთ, როგორი თარგმანია“[2].

გამომეტყველებითი კითხვის საქმეში ილიას დიდი მომთხოვნელობა საკუთარი თავისადმი, მიღწეულით უკმაყოფილება და უკეთესისაკენ ლტოლვა კარგად ჩანს ერთ მის კერძო წერილში, რომელიც მწერალს გაუგზავნია ვასილ მაჩაბლისათვის. აქ ვკითხულობთ: „დღეს საღამოზედ დიდი ყრილობაა და იქა ვკითხულობ ლირსა. თუ ჩვენებურად გაკირი ვქენ, ვერაფერი კითხვა მომივა. ქუთაისში გამოსვლაზედ წავიკითხე, ძალიან ცუდად და საძაგლად მომივიდა კითხვა... ვნახოთ ამაღამდელი ღამე რას იტყვის“[3].

ილია დიდად აფასებდა, ახალისებდა და შთააგონებდა ზეპირი სიტყვის ყოველ მოყვარულს, ვინც ამ სფეროში შეშაობით თავს

---

[1] ციტირებულია ი. გრიშაშვილის წიგნიდან: ლიტერატურული ნარკვევები, თბილისი, 1957, გვ. 275.

[2] იქვე, გვ. 271.

[3] ი. ჭავჭავაძე, წერილები, გვ. 51.

გამოიჩენდა. ასე, მაგალითად, ცნობილ დეკლამატორს კოლა ერისთავს ილიამ უძღვნა თავისი წიგნი საგულისხმო წარწერით:

სხვისა სიტყვა, შენგან თქმული,
კეთდება და უფრო შენის.

განსაკუთრებული ოსტატობით ილია საკუთარ ნაწარმოებებს კითხულობდა. ბევრგან აღნიშნულია „მგზავრის წერილების“, „კაცია-ადამიანის“, „გლახის ნაამბობისა“ და „ოთარაანთ ქვრივის“ ადგილების შესანიშნავი დეკლამაცია ავტორის მიერ, როგორც ფართო აუდიტორიის წინაშე, ისე მსმენელთა ვიწრო წრეში. სხვისი ნაწარმოებებიდან ილია უფრო ლექსებს მიმართავდა: განსაკუთრებით უყვარდა მას ნ. ბარათაშვილისა და გრ. ორბელიანის ლექსების კითხვა.

ცნობილია, რომ ილიამ თავისი პროზაული შედევრი „ოთარაანთ ქვრივი“ გამოქვეყნებამდე მახლობელთა შორის წაიკითხა, და ისეთი ხელოვნებით, რომ მოჯადოებული მსმენელები აღფრთოვანებული დარჩნენ მისი კითხვის საოცარი მომხიბვლელობით.

1889 წლის 25 მარტს თბილისში გამართულ ლიტერატურულ საღამოზე ილიას მხატვრულ კითხვას ასე აგვიწერს ი. სიმონიძე (იაკობ გოგებაშვილი): „საქმე ჰაქჰავაძეზე მიდგა. იგი გამოვიდა დინჯად, გაშალა კათედრაზე რვეული და დაიწყო კითხვა. ისეთი სიჩუმე ჩამოვარდა, რომ დარბაზში ბუზის ფრენას გაიგონებდა კაცი. ეს ყურადღება კითხვის გათავებამდე არ შენელებულა... მართალია, ილია დეკლამატორი არ არის, ნაფიც მკითხველების დასს არ ეკუთვნის, მაგრამ სამაგიეროდ შემკულია ბუნებრივი მკითხველის ღირსებითა: ხმა აქვს მუსიკალური, კილო შესაფერი, ლოგიური ხმის აწევ-დაწევა რიგზე მიჰყავს, გამომეტყველება და მოძრაობა პირისახისა შეესაბამება წაკითხვის შინაარსსა და საზოგადოდ მისი ხმა მკაფიოდ ჰხატავს ყოველს აზრსა და გრძნობას, რომელსაც კი იპყრობს სიტყვები და ფრაზები“[1].

ასეთი იყო ილია როგორც მკითხველი.

ჩვენში ფართოდ ცნობილია ი. ჰაქჰავაძის პაექრული ტემპერამენტი და მსჯელობის უზადო ლოგიკური დინება, რომელთა დაუჯაბნელ ძალას არა ერთხელ მოუხიბლავს ორატორის მოსაზრებათა მომხრეცა და მოწინააღმდეგეც.

გასული საუკუნის ოთხმოციან წლებში ჩვენი ეროვნული ბანკის საკითხებზე ატეხილ და ფართო საზოგადოებაში გადატანილ ცხარე პაექრობაში, რომელშიც არა ერთი და ორი ენამჭევრი ორატორი

[1] „ივერია“, 1889, № 76.

მონაწილეობდა, საქმიანი კამათის მაღალი ხელოვნებით გამოირჩეოდნენ ი. ჭავჭავაძე და ი. მაჩაბელი.

მათ შორის ილიას ასე ახასიათებს ხსენებული პაექრობის დამსწრე და მეოვალყურე ი. მანსვეტაშვილი: „დინჯი, აუჩქარებელი, გულის არ ამყოლი. მინამ ენიდგან სიტყვა მოსწყდებოდა, მრავალჯერ მოფიქრებული, აწონ-დაწონილი უნდა ჰქონოდა. მრავალგვარ ფერადებით იცოდა სიტყვის მორთვა. თვალი მარჯვე ჰქონდა და რაწამს შეატყობდა მსმენელთა მოწყენას ანუ უსიამოვნებას, მაშინვე ფანდს იცვლიდა: მკვახე სიტყვას ისროდა და გასაცინებელს რასმე იტყოდა. ხან თუ მედგარი იყო, ულმობელი, შეუპოვარი, უკან დახევაც, — საცა არა სჯობს, გაცლა სჯობს კარგისა ვაჟკაცისაგან, — კარგად ჰქონდა შეთვისებული. დროზე მარჯვე პასუხი, დროზე მოსწრებული სიტყვა მოხერხებულად იცოდა ილიამ“[1].

ასეთი იყო ილია როგორც მოკამათე.

ჩვენი ყურადღების უმთავრესი საგანი, როგორც ითქვა, ი. ჭავჭავაძის სადღესასწაულო ხასიათის მჭევრმეტყველებაა. ამ სფეროდან ჩვენ წინაშეა დიდი ქართველი ორატორის საკმაოდ ერცელი შემკვიდრეობა. ეს ძვირფასი მასალა მოვლილი, დაცული და შენახულია თვით ავტორის მზრუნველი ხელით და წარმოდგენილია მისივე ნაწერების გვერდით, როგორც უკვდავი შემოქმედების შემადგენელი ნაწილი. აღნიშნული გარემოება ილიას ყოველ ორატორულ სიტყვას ანიჭებს დედნის ღირსებას და თავდაპირველი ორიგინალის სახით გადმოგვცემს იმ ნიშან-ზნარეებს, ნიუანსებსა და შეფერილობას, რომელთა წვდომა ხშირად ძნელდება სხვა გზით შენახული, ვთქვათ, სხვის მიერ ჩაწერილი სიტყვის შესწავლის პირობებში. ამ მხრივ ილიას ორატორული ხელოვნების დაუფლებისას მეტად ხელსაყრელ ვითარებაში ვიმყოფებით: მისი ყოველი მჭევრმეტყველური ქმნილება ავტორისეული რედაქციით შემონახულა.

ი. ჭავჭავაძის ორატორული შემოქმედების საგანძურს ამშვენებს შემდეგი ქმნილებანი: 1. სიტყვა, თქმული გრიგოლ ორბელიანის დაკრძალვაზე (1883); 2. სიტყვა, თქმული წინამძღვარიანთ-კარის სამეურნეო სკოლის გახსნაზე (1883); 3. სიტყვა, თქმული იოსებ დავითაშვილის პანაშვიდზე (1887); 4. სიტყვა, თქმული ნიკოლოზ ბარათაშვილის ნეშტის გადმოსვენებაზე (1893); 5. სიტყვა, თქმული გაბრიელ ეპისკოპოსის დაკრძალვაზე (1896) და 6. სიტყვა, თქმული ევგენი მარკოვის მიმართ (1899). ეს უკანასკნელი სიტყვა ნათქვამია რუსულ ენაზე.

---

[1] ი. მანსვეტაშვილი, მოგონებანი, გვ. 183.

ამ სიტყვებიდან განსაკუთრებით საყურადღებოა პირველი, მეორე და მეოთხე. ქვემოთ, მათი გარჩევის გზით წარმოდგენილია ილიას ორატორული ხელოვნების სურათი.

ილიას ერთი მოცულობით მოკლე, მაგრამ შინაარსით ღრმა და ფორმით ლამაზი ორატორული ქმნილებაა სიტყვა, წარმოთქმული გრიგოლ ორბელიანის დაკრძალვაზე[1]. ის შეფერილია მკვეთრი ემოციური იერით და შემკულია გრძნობით აღსავსე გამოთქმებით. მას ამშვენებს ცოცხლად გამართული ნათელი სტილი და მხატვრული სახეებით გაწყობილი მკვრივი სადასიტყვაობა. პატარა სიტყვის ფარგლებში ილია უხვად იყენებს რიტორიკული სახის ხერხებს, მაგრამ მათი სიმრავლით ოდნავადაც არ ტვირთავს აზრის გაბმულ დინებას, პირიქით, ამით უზრუნველყოფს დიდი მხატვრული ზომიერებით აგებულ კაზმულ მეტყველებას.

სიტყვის შინაარსი თვალსაჩინოდ გადმოგვცემს გრიგოლ ორბელიანის პატრიოტულ დამსახურებას. რამდენიმე ღრმააზროვანი გამოთქმით ახერხებს ორატორი გამოჩენილი პოეტისა და მოჟალაქის წარუშლელი ღვაწლის ასახვას; ოსტატურად შერჩეული ძუნწი შტრიხებით ხატავს ის დიდი ადამიანის კოლორიტულ პუნებას.

სიტყვის მწვერვალს სადა ფორმით გამოთქმული მიმზიდველი აზრით ქმნის მჭევრმეტყველი: „იქნებ ზოგმა სთქვას, ყოველი ეგე სიტყვაა და არა საქმეო. მაგრამ არიან ქვეყანაზედ იმისთანა რჩეულნი, იმისთანა „ზეგარდამო მადლით ცხებულნი“, რომელთაც მინიჭებული აქვთ ერთი სასწაულთ-მომქმედი ძლიერება. იგი სასწაულთმომქმედი ძლიერება თითონ სიტყვასაც საქმედა ჰქმნის. ერთი იმათგანი, ერთი იმ რჩეულთაგანი, ერთი იმ ზეგარდამო მადლით ცხებულთაგანი იყო იგი, ვისაც დღესა ვსტირით და ამიტომაც მისი სიტყვაც თითონ საქმეა“[2].

ილიას ამ სიტყვის უმთავრეს მხატვრულ ხერხს რიტორიკული განმეორება წარმოადგენს. ორატორი მიმართავს რამდენიმე სახის განმეორებას. მათ შორის მეტი სისრულით გამოირჩევა ანაფორული წყობა. ფრაზების დასაწყისის თანმხვედრი ადგილების ხშირი განმეორებით აქ მიღწეულია აზრის რელიეფური სიმკვეთრე. სიტყვის შუა ნაწილში ორატორი ცხრა წინადადებას იწყებს ერთნაირად: „იგი იყო თვითმპყრობელი ჩვენის ქართულის ენისა, იგი იყო „მეუფე“ ჩვენის სიტყვიერების ძალ-ღონისა და სიმდიდრისა, იგი იყო მწერალი და მთქმელი, მაღალის ნიჭით ცხებული, იგი იყო

[1] ქართული მჭევრმეტყველება, გვ. 279—281.

[2] იქვე, გვ. 280.

მოძღვარი ჩვენი და ჩვენ—სასოებით მისი მსმენელნი. იგი იყო—ვის არ შეეხო ზაკვის გესლი ძმისა.განკიცხვად... იგი იყო კაცი, რომელმაც ქვეყანას უანდერძა:

მიეცით ნიჭსა გზა ფართო, თაყვანისცემა ღირსებას!

იგი იყო კაცი, რომელიც—

დაჰნატრდა დროთა, როს აქვნდათ ტრფობა
მამულისადმი გულს აღბეჭდილად.

იგი იყო კაცი, რომელმაც ღაღადებით წარმოსთქვა:

იცოდეთო, რომ არიან ღარიბნიც,
არის სადმე სიმწარითა ცხოვრება.

იგი იყო კაცი, რომელსაც სწყუროდა:

რომ ჩვენ განვახლდეთ,
სულით ავმაღლდეთ —
და განვკრეს ბნელი უმეცრებისა"[1].

აქ ჩვენ საქმე გვაქვს ფიქსირებული ფორმის განმეორებასთან, რასაც შეგნებულად მიმართავს ორატორი სათქმელისადმი ყურადღების გამახვილების მიზნით[2]. იმავე მიზანს მეტყველი აქვე სათქმელის თანდათანობითი ემოციური შემაღლებით აღწევს.

აღსანიშნავია, რომ ხსენებული განმეორების ობიექტი — ფრაზის დასაწყისის მონაკვეთი, ერთფეროვნების თავიდან ასაცილებლად, სიტყვაში ორი ვარიანტით ისმის: ხან ასე — „იგი იყო", ხან კი — „იგი იყო კაცი".

ამ სიტყვაში ყურადღებას იქცევს აგრეთვე მოპირდაპირე ცნებების რიგი, რაც იწვევს სიდიადით ამაღლებულ გლოვა-ზეიმის განწყობილებას. ილია ამბობს: „აქ არიან ქალი და კაცი, უცნობი და ნაცნობი, ნათესავი და უცხო, მოხუცი და ჭაბუკი, ღარიბი და მდიდარი, სოფლელი და მოქალაქე, მცირე და დიდი, გლეხი და მუშაკი..."[3].

სამეტყველო სტილის სისრულისა და ხატოვანი ელფერისათვის ორატორი ხშირად იყენებს მოხდენილ ეპითეტებს. ის გრიგოლ ორბელიანს უწოდებს „სასიქადულო კაცს, სახელოვანს შვილს, სიტყვა-მაღალს მოძღვარს", და ა. შ.

---

[1] ქართული მეტყველება, გვ. 280.

[2] გრ. კიკნაძე, მეტყველების სტილის საკითხები, გვ. 66 – 68.

[3] ქართული მეტყველება, გვ. 279.

ილიას თქმა ზოგჯერ უშუალოდ გრძნობას მიემართება და იწვევს ფაქიზ სულიერ მღელვარებას. ასეთია, მაგალითად, ამ სიტყვის შემდეგი ადგილები: „ჩვენის მშვენიერის ქვეყნით თავმოწონებულმა (გრ. ორბელიანმა.—ნ. კ) აღტაცებით წარმოსთქვა: „სხვა საქართველო სად არისო!“ და, ეჰა, ეხლა თითონ საქართველო დაჰყურებს შენს საფლავს, და სასოწარკვეთილებით, გლოვით იძახის: „სხვა გრიგოლ ორბელიანი სად არისო“; „შენი ქვეყნის შვილი ქართველი რომ დააკვირდება მაგ შენს ბრწყინვალე ნავალს, მაღალის ნიჭით და მაღალის სიტყვიერებით შუქმოფენილსა, ქვეყნის წინაშე თამამად თავს მოიწონებს, რომ საქართველოს შენისთანა კაცი ჰყვანდა და იმავე დროს იგლოვებს კიდეც, რომ ჰყვანდი და აღარ ეყოლები“[1].

ამრიგად, ილიას სიტყვა, თქმული გრიგოლ ორბელიანის დაკრძალვაზე, ორატორული მეტყველების საყურადღებო ნიმუშს წარმოადგენს.

ი. ჭავჭავაძის სიტყვა, თქმული წინამძღვარიანთ-კარის სამეურნეო სკოლის გახსნაზე, იწყება მსმენელისადმი მიმართვით—უბრალოდ, ბუნებრივად, საუბრის კილოთი: „ერთი ორიოდე სიტყვა მეც მინდა გითხრათ, და ყური რომ მათხოვოთ, მადლობელი ვიქნები“. ამ მშვიდ დასაწყისს და სისადავით გულის მომგებ მიმართვას მოსდევს არსებითი ხასიათის შესავალი, სადაც ერთმანეთთან დაპირისპირებულია მდიდარი ქვეყანა და ღარიბი ხალხი, ყოვლის შემძლე ბუნება და უმწეო ადამიანი, გამრჯელი მშრომელი და უშედეგო გარჯა. ამით ფართოდ გახსნილია ყურადღების გზა და უკვე გადმობირებული მსმენელის წინაშე მისივე პირით დასმულია კითხვა: „მაშ რაღადა ვართ ღარიბნიო? მკითხავთ თქვენ“. ამ კითხვას ორატორი პასუხობს პირდაპირ და დაუყოვნებლივ: „იმიტომ, რომ არ ვიცით. სად რა სიმდიდრე სძევს, სად რა განძია. არ ვიცით—საიდამ რა ამოვიღოთ, რა ხერხით და ოსტატობით ამოვიღოთ, რომ ჯაფაც ადვილი იყოს და ნაჯაფევიც ბლომად“[2],—და შემდეგ ოდნავ დაშვებული ტონით ვრცლად განმარტავს ნათქვამს და ახალი სათქმელისთვის ამზადებს ნიადაგს. აქ ნათქვამსა და სათქმელს საზღვრავს ფრაზა: „მაგისთანა ღვთისნიერს წინამძღოლს ცოდნა ჰქვიან“. ამ გზით აღძრულია მძაფრი ცნობისმოყვარეობა და გამოწვეულია მახვილი ყურადღება. ეს სჭირდება ორატორს უმთავრესის სათქმელად. უმთავრესი სათქმელი კი ცოდნის ბუნება, აზრი და მნიშვნელობაა. ცოდნას განსაზღვრავს ორატორი სიტყვის არსებით ნაწილში. აქ მეტყველი აღწევს მსმენელზე ზეგავლენის უჩვეულო

[1] ქართული მჭევრმეტყველება, გვ. 280—281.

[2] იქვე. გვ. 281.

ძალას, მაღალი დონის სრულყოფილებას და ხანგრძლივად ინარჩუნებს ღრმა აზრითა და ძლიერი გრძნობით შთაგონებული შემოქმედების მწვერვალს. ამ მწვერვალზე სიტყვა ჟღერს მეტად მკვეთრად, მხატვრულად და დამაჯერებლად: „ამიტომ ვამბობ, რომ ცოდნა თითონ, თავის-თავადაც სიმდიდრეა მეთქი, მერე იმისთანა მადლიანი სიმდიდრეა, რომ რაც უნდა ბევრს დაურიგო, ბევრს გაუწილადო, შენ არა დაგაკლდება-რა, თუ არ მოგემატება. ამ შემთხვევაში ცოდნა ანთებულს სანთელსა ჰგავს: ერთს სანთელზედ რომ ათასს სხვა სანთელს მოუკიდო, სანთელს იმით არც ალი დააკლდება, არც სინათლე, არც სიცხოველე. პირიქით, იმატებს კიდეც, რადგანაც ერთის მაგიერ ათასი სხვა სანთელი იმასთან ერთად დაიწყებს ლაპლაპსა.

სანთელს კიდევ იმაში ჰგავს ცოდნა, რომ თუნდაც ცოტად ბეჭუტავდეს შორს სადმე ბნელაში, ქურდს, მპარავს, მტერს აფრთხობს, იქ სინათლეა, — სჩანს ჰღვიძავთო, და დაგვიანებულს მოუვარეს კი ახარებს კიდევ იმით, რომ იქ ღვიძილია, მღვიძარები დამხვდებიანო“[1].

ამის შემდეგ კლებულობს ორატორის მგზნებარე შთაგონება, მეტყველება ხდება უფრო დინჯი, აუჩქარებელი, თანდათანობით ძირს ეშვება მღელვარების განწყობილება და წინა პლანზე წამოიწევს ლოგიკური მსჯელობის შედარებით გულგრილი მდინარება. ამით მზადდება ნიადაგი სიტყვის დასამთავრებლად.

სიტყვა მთავრდება სწორედ ისევე, როგორც დაიწყო, მსმენელისადმი მიმართვით — უბრალოდ, ბუნებრივად, საუბრის კილოთი: „თქვენ იცით ხოლმე, როცა სიმღერას გაათავებთ, იტყვით: „თქვენი გამარჯვებისა იყოსო“. მეც გავათავე, რაც სათქმელი მქონდა და თქვენებურად, ჩვენებურად, გეუბნებით: „თქვენი გამარჯვებისა იყოს!“[2]

ამრიგად, ილიას სიტყვა, თქმული წინამძღვრიანთ-კარის სამეურნეო სკოლის გახსნაზე, ქართული მჭევრმეტყველების ბრწყინვალე ძეგლია.

ი. ჭავჭავაძის სიტყვა, თქმული ნიკოლოზ ბარათაშვილის ნეშტის გადმოსვენებაზე, იწყება ციტატით[3], მიმართვის გარეშე, შემაღლე-

[1] ქართული მჭევრმეტყველება, გვ. 282—283.

[2] იქვე. გვ. 284.

[3] ციტატი აძოღებულია გერმანელი მწერლის ლუდვიგ ბერნეს (1786—1837) სიტყვიდან: „ჟან-პოლის სახსოვრად“, რომელიც წარმოითქვა 1825 წელს. ამავე ციტატის შემცველი ტექსტი ეპიგრაფის სახით წინ უძღვის ჰაინრიხ ჰაინეს პროზაულ ნაწარმოებს „მოგზაურობა ჰარცზე“, რომელიც გამოქვეყნდა 1826 წელს. საფიქრებელია, რომ ილიამ ისარგებლა სწორედ ამ წყაროთი (იხ. Г. Гейне, Избранные произведения, ред. и коммент. Й. М. Метальникова, 1950, გვ. 982).

ბული ტონის მასალით: „თვითეული ცემა გულის ძარღვისა გვჭრის და გვაწყლულებს ჩვენ, და ჩვენი სიცოცხლე ჭრილობიდამ სისხლის შეუწყვეტელი დენა იქნებოდა, რომ ქვეყანაზე პოეზია არ ყოფილიყო“, — სთქვა ერთმა ბრძენმა“[1].

ასეთი დასაწყისი წარმოადგენს ერთგვარ შესავალს, რომელსაც აქ მოსდევს მეორე, უფრო ვრცელი, შესავალი: „ღმერთი რომ ერს, ქვეყანას, მოწყალების თვალით გადმოხედავს, მოუვლენს ხოლმე კაცს, პოეზიის მადლით ცხებულსა. როცა ადამიანს სურს შეიტყოს ღირსება და დიდება ერისა, ყოველთ უწინარეს ამას იკითხავს, — რამდენი მთქმელი და მწერალი ჰყავსო. ღირსებას და სიდიადეს ერისას მარტო ამ საწყაოთი სწყავს ადამიანი“. ამის შემდეგ ორატორი პირდაპირ გადადის ძირითად სათქმელზე: „რაკი ესეა, ახლა ცხადი უნდა იყოს, რა ძვირფასი განძია ჩვენთვის იგი მტვერი, რომლის წინაშე ვდგევართ ჩვენ დღეს“[2].

უმთავრესი სათქმელის ხსენებას მოსდევს სიტყვის განმარტებითი ნაწილი, რომელიც მოიცავს ნელი ტემპისა და დაბალი ტონის მასალას, რაც თანდათანობით გადადის მღელვარე ემოციურ მოტივებში და მთავრდება ბარათაშვილის ვრცელი პასაჟით „მერანიდან“.

აქ სიტყვა იძენს ზეგავლენის უმაღლეს ძალას, რაც მკვეთრად იგრძნობა შემდეგი ნათქვამიდან: „...და დღეს ჩვენ, ჩვენდა სასახელოდ, მოვასვენეთ აქ მისი მტვერი, მისი ნეშტი, რომ დღეის ამას იქით მისმა სამშობლო ცამ თავისი ნამი ცრემლად ზედ ადინოს. მისმა სამშობლო დედამიწამ გული გადიხსნას და მისი მტვერი მიიბაროს, მისდა განსასვენებლად და ჩვენდა სალოცავად“[3].

ამის შემდეგ ორატორი გამოთქვამს შესანიშნავ აფორისტულ აზრს: „მართალია, ეს მოგვიხდა ორმოც-და-შვიდს წელიწადს შემდეგ, და იქნება სთქვან, გვიან არისო, მაგრამ რა არის ორმოც-და-შვიდი წელიწადი უკვდავებისათვის? მხოლოდ ერთი წამია. ნიკოლოზ ბარათაშვილი უკვდავია და უკვდავისათვის არც რაიმე ქვეყნიერობაზე გვიანია, არც რაიმე ადრე“[4].

აქ კვლავ მაღლდება ორატორის ემოციური განწყობილება, მატულობს მგზნებარება, იზრდება ღელვა: „ეს დიდებული წამი, რომელმაც დღეს აქ შეჰკრიბა წარმომადგენლობა მთელის საქართველოსი, მაგალითია იმისი, რომ ჩვენი ერი აღმაღლებულა სულითა და გულითა, რადგანაც მარტო ჰკუაგახსნილმა და გულგაწმენ-

[1] ქართული მგევრმეტყველება, გვ. 284.
[2] იქვე.
[3] იქვე, გვ. 285.
[4] იქვე.

დილმა კაცმა იცის ესე ღირსეულად დაფასება და ესეთის პატივით ხსენება დიდებუნებოვან კაცისა“[1].

დასასრულ, ორატორი კვლავ წარმოთქვამს ბარათაშვილის შემოქმედების იდეური შინაარსის გამომხატველ ადგილს „მერანიდან“, რამდენიმე სიტყვით პირდაპირ მიმართავს მსმენელს, პერიფრაზის სახით იყენებს პოეტის ნათქვამს და მაღალი, ზეიადი განწყობილებით ამთავრებს სიტყვას: „...დღეს-კი მის მტევრს, მის ნეშტს, მის კუბოს, მის საფლავს, დასტირიან მისნი ტრფიალნიცა, მისნი ნათესავნიცა, და ამათს ცრემლს ზედ დასდის დიდებული ცრემლი მთელის საქართველოსი“[2].

ამრიგად, ილიას სიტყვა, თქმული ნიკოლოზ ბარათაშვილის ნეშტის გადმოსვენებაზე, ჩვენი ორატორული ხელოვნების შესანიშნავი ნაწარმოებია.

ქვემოთ შეჯამებულია ახალი ქართული მჭევრმეტყველების ამ უდიდესი წარმომადგენლის ორატორული ნიშან-მხარეები.

ი. ჭავჭავაძის მჭევრმეტყველება იდეური სიღრმითა და სიტყვიერი სისადავით ხასიათდება; მისთვის ნიშანდობლივია შინაგანი სიბრძნე და გარეგნული უბრალოება. ილიას ზეპირი მეტყველება მოკლებულია სიტყვიერ მოკაზმულობას, ჩუქურთმებს, ბგერითი ჰარმონიის ხერხებს, რიტორიკულ ამოძახილებსა და შორისდებულებს. სადა, მარტივი და ნათელი ფორმით გადმოგვცემს ორატორი თავის ღრმაიდეურ და ჭეშმარიტებით აღსავსე სათქმელს. დიდი მწერლის უმთავრეს ორატორულ ფაქტორს იშვიათი სისადავით გამოთქმული ბრძნული აზრი წარმოადგენს. აქ სათქმელის შინაარსი განსაზღვრავს მთლიანად თქმის ყოველგვარ საშუალებას, ყველაფერი სათქმელს ემსახურება, არაფერი არ არის თქმისათვის ნათქვამი. ფორმა არსად არ იქცევს ყურადღებას და აზრისაგან არ თიშავს მსმენელის გულისყურს.

ორატორი ხშირად მიმართავს აფორიზმებს. ზოგიერთი მისი სიტყვა მთლიანად, და ბევრი სიტყვის ცალკეული ნაწილები, აფორისტული აზროვნების ბრწყინვალე ნიმუშებია. ილიას მეტყველება დამშვენებულია ანდაზებით, მოსწრებული გამოთქმებითა და სიტყვიერი თვალსაჩინოებით; აქ ხშირია გონების თვალით მოხილული შესიტყვება და ბევრია ოსტატურად გამოყენებული ხალხური სიტყვის მასალა.

ორატორი შეგნებულად გაურბის ფორმის შელამაზებას, ხელოვნურ გამოთქმებსა და სტილისტიკურ ორნამენტებს; მისთვის უცხოა

[1] ქართული მჭევრმეტყველება, გვ. 285—286.

[2] იქვე, გვ. 286.

სიტყვის მაღალფარდოვნება, ზერელე მხატვრულობის ხერხები და ნაძალადევი კეთილხმოვნება. ორატორი არასოდეს არ ცდილობს გარეგნული ეფექტის გამოწვევას, მისი სიტყვა ყოველთვის შინაგანი მღელვარების წყაროა; იგი მსმენელის ინტელექტს მიემართება და უფრო ადამიანის გონებასა და ნებისყოფაზე ახდენს გავლენას, ვიდრე გრძნობაზე. ილიას სიტყვა აზრით გვხიბლავს და გვაჯადოებს, შინაარსისკენ მიმართავს ჩვენს ყურადღებას და სიბრძნით გვიმორჩილებს. ღრმა ხალხურობა, თვითმყოფადი ენობრივი საუნჯის უხვად გამოყენება და სასაუბრო მასალით სარგებლობა დამახასიათებელია ილიას მჭევრმეტყველებისათვის.

ასეთია ილიას ორატორული შემოქმედების საერთო სურათი.

ილია თავის საჯარო სიტყვას ყოველთვის წერილობით ამზადებდა და შემდეგ მსმენელთა წინაშე, მსგავსად ანტიკური ხანის ორატორებისა, ზეპირად წარმოთქვამდა. ილიას ზეპირად სათქმელი სიტყვა წინასწარ კალმით მზადდებოდა და წარმოთქმამდე მეხსიერების კუთვნილებად ხდებოდა. ჯერ ქაღალდზე და შემდეგ ცნობიერებაში ფიქსირებული სიტყვა თავის დროზე ზეპირად წარმოითქმოდა, მაგრამ, უნდა ვიფიქროთ, არა ზუსტი და შეუცვლელი ფორმით, არამედ შევსებული და სრულქმნილი სახით. ამ საბოლოო სრულქმნაში იხატებოდა ილიას ორატორული გზნება, ტემპერამენტი, ხასიათი და მთელი შემოქმედებითი პროცესი. აქ, ტრიბუნაზე, მსმენელთა წინაშე ვლინდებოდა ეს შემოქმედებითი პროცესი — მაჩვენებელი ილიას ორატორული ოსტატობისა და ოქროპირული მჭევრმეტყველებისა.

ილია ბრწყინვალედ ფლობდა ქართული სიტყვის ექსპრესიულ ძალას, ფართოდ იყენებდა მშობლიური ენის ლექსიკურ სიმდიდრეს, მოხერხებულად სარგებლობდა ხალხური ენამჭევრობით და იშვიათი დამაჯერებლობით მოსავდა ზეპირ მეტყველებას. ეს ყველაფერი. — განუყოფელი ერთიანობით შეთავსებული, ცხოველმყოფელი ხელოვნებით გაცოცხლებული და მგზნებარე შემოქმედებით გამოხატული, — ანიჭებს ი. ჭავჭავაძეს შეუცილებელ ადგილს ახალი ქართული მჭევრმეტყველების სარბიელზე.

25. აკაკი წერეთელი

1840 — 1915

აკაკი წერეთელი ტკბილი ქართული მუსაიფისა და გრძნობით სავსე ბრძნული სიტყვის ხელოვანია. დიდი პოეტის მახვილგონიერი და ნათელი აზროვნება თანაბარი ძალით ბრწყინავდა წერილობითი და ზეპირი შემოქმედების სფეროებში—ლიტერატურასა და მჭევრმეტყველებაში. მისი მოსწრებული სიტყვები, ელვარე ნაკვესები და ფრთიანი გამონათქვამები ღირსეულად ამშვენებენ გასული საუკუნის მხატვრულ მემკვიდრეობას.

ქართული პოეტური ენამზეობის დიდი ოსტატი თავისი ლიტერატურული შემოქმედების სარბიელზე არ ივიწყებდა მშობლიურ მჭევრმეტყველებას და ათეული წლების მანძილზე ქმნიდა ზეპირი სიტყვის შესანიშნავ ძეგლებს. ეს ქმნილებანი არ ბრწყინავენ პათეტიკური ოქროპირობით, მგზნებარე მხურვალებითა და ესთეტიკური სინატიფით, მაგრამ გვხიბლავენ მაღალი უბრალოებით, მშვიდი დინებითა და წარმტაცი ჰარმონიით.

აკაკის მჭევრი სიტყვა უკიდურესი სისადავით ხასიათდება. აქ წაშლილია ზღვარი ორთა შუა საუბარსა და საჯარო მეტყველებას შორის; ორატორული მეტყველება დაყვანილია ჩვეულებრივი მუსაიფის დონემდე და შემოსილია სრულიად სადა, მარტივი და უპრეტენზიო ელფერით. ორატორი საგანგებოდ ცდილობს მოსპოს მანძილი მეტყველსა და მსმენელს შორის და თავისი მოალერსე, თბილი და მიმზიდველი ტონით იერთებს ან, უკეთ, უერთდება სმენადქცეულ დარბაზს. ასეთ მეტყველებას ხარბად ეწაფება და მთელი გულისყურით ითვისებს მსმენელი. ის იქცევა შემოქმედის საქმის მონაწილედ და მასთან ერთად განიცდის საერთო აღმაფრენას. აქ მყარდება სრული განუყოფლობა მეტყველსა და მსმენელს შორის და მათი ერთიანი აღმაფრენის ნაყოფი პირადი საკუთრების სახით ეჩვენება ყოველ მონაწილეს.

ასეთია აკაკის საჯარო მეტყველების თავისებური პროცესით შექმნილი შთაბეჭდილება. არსებითად ეს ერთგვარი განცდაა, რასაც

იწვევს ორატორის ღრმად ჩამწვდომი და უაღრესად გულწრფელი უ'შუალობა. ამგვარი განცდის წრეში მოქცეული მსმენელი აკაკის მეტყველებას შეიცნობს როგორც სავსებით ჩვეულებრივ საუბარს, რომელიც არაფრით განირჩევა ყოველდღიური საყოფაცხოვრებო ორთა შუა ლაპარაკისაგან. ასეთი შეცნობის წყაროა აკაკის ორატორული ხელოვნება, საიდანაც მომდინარეობს ჯერ მსმენელისაკენ მიმართული, შემდეგ მსმენელისაგან უკუქცეული და, დასასრულ, გაერთიანებული შემოქმედებითი აღმაფრენა—დიდი შედეგი მაღალი ოსტატობისა. ამგვარი სულიერი ურთიერთობის წყაროს წარმოადგენს აკაკი წერეთლის ორატორული შემოქმედება — ქართული მუსაიფის ეს უმაღლესი მწვერვალი.

ჩვენში ფართოდ ცნობილია აკაკის საჯარო ლექციები, რომლებსაც პოეტი კითხულობდა ხშირად, ბევრგან და ყოველთვის დიდი წარმატებით. განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია აკაკის ლექციებმა ვეფხისტყაოსანზე. საზოგადოების ყურადღება მიიქცია აგრეთვე პოეტის საჯარო გამოსვლებმა ხალხური სიტყვიერების, ქართველი ქალისა და სხვა საკითხების შესახებ.

შოთა რუსთველისა და მისი პოემის თემებზე აკაკი კითხულობდა ლექციების ციკლს. პირველი ლექცია მას წაუკითხავს 1881 წლის 29 მარტს, თბილისში, მეორე და მესამე—აქვე, მომდევნო დღეებში; იმავე წლის აპრილში აკაკიმ იგივე ლექციები წაიკითხა ქუთაისში[1].

ამ ლექციებში მგოსანი ეხებოდა პოემის ორიგინალობის, სიუჟეტის სადაურობის, ავტორის ვინაობის, პერსონაჟების ხასიათისა და სხვა საკითხებს. ლექტორი მართებულად იცავდა ვეფხისტყაოსნის ეროვნულ თვითმყოფობას, მისი სიუჟეტის ორიგინალობასა და იდეური შინაარსის ნაციონალურ ხასიათს; მაგრამ პოეტმა შეცდომა დაუშვა ნაწარმოების მოქმედ პირთა იდეური დანიშნულების განსაზღვრაში, ისინი საქართველოს სხვადასხვა კუთხის ეთნიკურ წარმომადგენლებად მიიჩნია და ამით უნებურად ხელყო მათი ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობა.

როგორც ცნობილია, ამ შეცდომას სამართლიანი კრიტიკით შეხვდა ი. ჭავჭავაძე, რომელმაც თავის წერილებში „ივერიის“ ფურცლებზე, ერთმანეთისაგან გაარჩია აკაკის მართებული და უმართებულო მოსაზრებანი და თავ-თავისი ადგილი მიუჩინა ყოველ მათგანს[2].

[1] „დროება“, 1881, № 65, 67, 72—74, 88.

[2] „ივერია“, 1887, № 75—77.

აკაკის საჯარო ლექციები, როგორც ირკვევა, ხშირად ყოფილა ცხოველი სჯა-ბაასისა და კამათის თემა, როგორც ზეპირად—მსმენელთა შორის, ისე წერილობით—პრესის ფურცლებზე. ამის მაჩვენებელია გაზეთ „დროებაში“ მოთავსებული მოკლე რეცენზიები, რომლებიც საკმაო სისრულით გვისურათებენ აკაკის ორატორულ შემოქმედებას. 1881 წელს, ლექციების უშუალო შთაბეჭდილების ქვეშ, გაზეთი წერდა: „აკაკი წერეთელს ორატორული ნიჭი, მართალია, არა აქვს; ის გემუსაიფება, გელაპარაკება, თითქო ამბავს რასმე გიამბობსო; მაგრამ ეს ლაპარაკი და მუსაიფი ისეთი ტკბილია, ისეთი საამოა, რომ არ შეგიძლიათ ყური მოაშოროთო“[1].

დაახლოებით ამასვე იმეორებს „დროება“ ერთი წლის შემდეგ: „ყველამ იცის, ვისაც კი შარშანდელი ლექციები „ვეფხის-ტყაოსნის გმირებზე“ გაუგონია თ. აკაკი წერეთლისა, თუ რა ტკბილ-მოუბარი ლექტორია ის, რა ჩინებულის ქართულით, რა გარკვევით და ყველასთვის გასაგონად ლაპარაკობს და რა მშვენიერი, მოხდენილის, მახვილის მაგალითებითა და ეპიზოდების მოყვანით აცხოველებს ხოლმე ის თავის ლექციებს“[2].

ამ სიტყვებში აკაკის ორატორული პორტრეტია წარმოდგენილი.

საჯარო ლექციებით, ცხადია, არ ამოიწურება ა. წერეთლის დამსახურება მჭევრმეტყველების სარბიელზე. ამასთან ერთად ის სადღესასწაულო სიტყვის დიდი ოსტატი იყო.

ბუნებრივი მახვილგონიერება და მოსწრებული სიტყვის უნარი ხელს უწყობდა პოეტს ხშირად სრულიად მოუმზადებლად—სუფრასთან, მოულოდნელი შეხვედრისას ან ვინმეს საპასუხოდ წარმოეთქვა მშვენიერი სიტყვა. ამის საუკეთესო მაგალითებია შესანიშნავი სამადლობელი სიტყვები, ნათქვამი სუფრასთან თელავში 1882 და 1911 წლებში[3]. ასეთი საჯარო გამოსვლებით მდიდარია აკაკის ორატორული შემოქმედება.

დიდად საყურადღებოა აგრეთვე აკაკის სადღესასწაულო სიტყვა ქართველ მუსულმანთა შემოერთების გამო, თქმული ნადიმზე 1878 წელს და სამგლოვიარო დარგის ქმნილება, თქმული ილია ჭავჭავაძის დაკრძალვაზე 1907 წელს[4].

აქ უნდა აღინიშნოს, რომ აკაკის ბევრი მშვენიერი სიტყვა სრულიად დაკარგულია და ერთხელ წარმოთქმის შემდეგ აღარავის მოუსმენია.

---

[1] „დროება“, 1881, № 68.

[2] „დროება“, 1882, № 61.

[3] ქართული მჭევრმეტყველება, გვ. 292—294; 295—296.

[4] იქვე. გვ. 290—292; 294—295.

ქვემოთ წარმოდგენილია აკაკის ორატორული ძეგლების გარჩევა.

სიტყვა, თქმული ნადიმზე ქართველ მუსულმანთა შემოერთების გამო. საყურადღებოა თავისი ღრმა შინაარსით, სადა ფორმითა და საზეიმო განწყობილებით. ის წარმოითქვა 1878 წლის 20 ნოემბერს, თბილისში, ქართველ მუსულმანთა შესახვედრად გამართულ სუფრასთან. ამ შეხვედრით აღინიშნა ბათუმისა და ყარსის ოლქების გათავისუფლება თურქთა ბატონობისაგან, რაც მოჰყვა რუსეთის ძლევამოსილ ომს თურქეთის წინააღმდეგ (1877—1878).

აკაკის სიტყვა გამოქვეყნდა 1878 წლის 23 ნოემბერს, გაზეთ „დროებაში". სიტყვა მოთავსებულია ხსენებული ნადიმის ერცელ აღწერილობაში, რომელიც ეკუთვნის ს. მესხს. ის აღნიშნავს: „...ყველაზე მომეტებული აღტაცება გამოიხმო თ. აკაკი წერეთლის ...სიტყვამ", და იქვე ათავსებს სიტყვის ტექსტს[1].

ამ ტექსტიდან ცხადად ჩანს ორატორის სახე. ის მეტყველებს მშვიდად, აუღელვებლად, მაგრამ არა გულგრილად. სიტყვის სულდათქმულ დინებაში იგრძნობა აკაკის შინაგანი მღელვარება, რასაც ნელი და წყნარი შესიტყვებით გვიმხელს ის, და საგანგებო თავდაჭერით უფრო გონებას იმორჩილებს, ვიდრე გულის სფეროებს. თანმიმდევრული და ლოგიკური სიტყვის ძალით აკაკი უმთავრესად მსმენელთა ინტელექტს ამოძრავებს და არა ემოციებს. მჭევრმეტყველის ეხობრივი საუნჯე აქ მთლიანად აზრის სრულად გამოხატვას ემსახურება. ორატორულ სამკაულებს მოკლებული სიტყვა მხოლოდ არსებითი მნიშვნელობით იყენებს ცნებებს და მათი ძირითადი აზრებით აყალიბებს შინაარსს. ყოველგვარი შემოვლილი გზის გარეშე, პირდაპირ და შეუფარავად გვიზიარებს აკაკი თავის იდეურ მოსაზრებებს. მაგალითად, ასე: „დიახ, ბატონებო, დღეს ჩვენ შეგვიძლიან მივიდეთ ჩვენის წინაპრების საფლავებთან და ჩავსძახოთ, რომ მათი ანდერძი ჯერ კიდევ არ გაგვიფუჭებია!

და რა იყო, ბატონებო, ის ანდერძი?

...აქ მე ნამეტანს არას ვიტყვი...ეს ანდერძი იყო: დედა-ენა და ერობა! ამაების სადიდებლად ბევრი შრომა გაუწევიათ და დიდი მსხვერპლი შეუწირავთ ჩვენ ნეტარ-სახსენებელ მამა-პაპებს"[2].

აკაკის ერთი შესანიშნავი სამადლობელი სიტყვა, თქმული თელავში სუფრასთან, ყურადღებას იქცევს თავისი ფართო თემატური დიაპაზონითა და გულწრფელი უშუალობით. ეს სიტყვა შედეგია იმ ტრიუმფალური მოგზაურობისა, რომელიც პოეტმა ჩაატარა აღმო-

[1] „დროება", 1878, № 239.

[2] ქართული მჭევრმეტყველება, გვ. 291.

საველეთ საქართველოში 1882 წელს. ამ წლის ზაფხულში აკაკიმ პირველად მოინახულა ქართლ-კახეთის მნიშვნელოვანი ადგილები და მიიღო წარუშლელი შთაბეჭდილებანი. პოეტს ყველგან ზეიმითა და აღტაცებით ხვდებოდნენ. ამ შეხვედრებით განცდილი სიხარული მგოსანმა ბევრგან ლამაზი და მგრძნობიარე სიტყვით გამოხატა.

ერთი ასეთი სიტყვაა, თქმული თელავში სუფრასთან, 1882 წლის 17 აგვისტოს.

ეს სიტყვა თავიდანვე იმორჩილებს მსმენელს მოხდენილად გამოთქმული და გამოცდილების სიბრძნით დამშვენებული აზრებით, და ბოლომდე საკუთარი გაელენის ქვეშ ამყოფებს მას შეუნელებელი ზემოქმედების მეშვეობით. მთელი ნაწარმოები აზრთა ისეთ ჰარმონიულ ერთობას წარმოადგენს, რომ ძნელდება რომელიმე ადგილის გამოყოფა რაიმე საკუთარი მაჩვენებლის მიხედვით. სიტყვის აზრისა და ფორმის ასეთი შეთავსება კარგად შენიშნა და აღტაცებით გამოხატა თავის დროზე ი. ჭავჭავაძემ. 1882 წლის სექტემბრის „შინაურ მიმოხილვაში“ მან საგანგებოდ აღწერა აკაკის მოგზაურობა კახეთში, სადაც პოეტს „წინ დახვედა მისგან ფრთა-ასხმული და გალონიერებული სიყვარული საქართველოსი“[1], და ასეთი ღირსეული შეფასება მისცა ორატორის სამადლობელ სიტყვას: „ამაზედ მშვენიერი სიტყვა ჩვენ არ გვახსოვს ქართულს ენაზედ. კითხულობთ და გიკვირთ, გიკვირთ და კითხულობთ. არ იცით რა რას დაამჯობინოთ, სიტყვა აზრს, თუ აზრი სიტყვას, — ისე შეზავებულია, ისე შეხამებულია, ისე შეხორცებულია სიტურფე სიტყვისა აზრის მშვენიერებასთან. ყოველი წესი ორატორის ხელოვნებისა დაცულია და ხელარებული, რომ სიტყვამ ისე გასჭრას, როგორც მთქმელს განუზრახავს და აზრმა და გრძნობამ იმ გზით მიაღწიოს დანიშნულ ადგილამდე, როგორც მთქმელს სურვებია“[2].

აქ აკაკის ხსენებული სიტყვის ღრმა და ნათელი ანალიზია მოცემული.

აი, რამდენიმე ადგილი ამ სიტყვიდან:

„ბევრისაგან მესმის აქ კახეთის მიწების ქება: — ისე მდიდარია, რომ რამოდენიც უნდა გადააბრუნო არ იღალებაო.—ძე ეს არ მიკვირს. ეს ყველგან ასეა ჩვენში. ჩვენს სამშობლოში მისთანა ადგილზედ ფეხს ვერ დაადგამთ, რომ ჩვენის წინაპრების ძვლებით არ იყოს დაპოხიერებული და მათის სისხლით დამბალი, — ისე ლუკმა პურს ვერ ჩაიდებთ პირში, რომ ჩვენი მამა-პაპების ნაწილი არ.

[1] „ივერია“, 1882, № 9, გვ. 143.

[2] იქვე, გვ. 143—144.

ჩაგყვეს და წვეთ ღვინოს ვერ ჩავყლაპავთ ისე, რომ შიგ ჩვენი თავ-
ანწირული გმირების სისხლიც არ ერიოს!"[1]

ან:

„როდესაც დროზედ მამალი ჰყივის, მუშაკი იღვიძებს მის ხმა-
ზედ და მიდის სამუშაოდ; ხშირად პატარა ფინია, ერთის დროზედ
შეყეფით, ძლიერ მპარავსა და ავაზაკს, შეშინებულს, უკუ აბრუნებს
ხოლმე. ჩვენი ღვაწლიც სწორედ ამ გვარიეე იყო და. დღეს სიხა-
რულით ვხედავთ, რომ სურეილი არ დაგვღუპვია: ხალხი გამოღვი-
ძებულია და მტერი შეშინებული! ერთი ბიჯი გადადგმულია! რაც
ჩვენ წვა და დაგვით მიგვიღია, რაც სისხლის ოფლით და მწარე
ცრემლებით მოგვიპოვებია, დღეს იმას ჩვენ სიხარულით და ადვი-
ლად გადავსცემთ შემდეგ დგმას და იმიტომაც შემდეგის დგმისგან
მეტს მოვითხოვთ და მამულისშვილობაც მით მეტი უნდა გამოიჩი-
ნონ! ჩვენისთანაობა მათ აღარ შეჰფერისთ და ჩვენი ხელობა აღარ
არგებსთ. მომავალმა დროთ უნდა მოგვცეს ნამდვილი მამულისშვი-
ლები ყოვლის უნაკლულოდ"[2].

ან კიდევ:

„ვისურვოთ, რომ მალე გამრავლებულიყოს ჩვენში ნამდვილი
მამულისშვილები; და ეს ადვილად ასრულდება, თუ კი ჩვენი დედები
მოინდომებენ და თავის პაწაწა შვილებს, ერთად ძუძუსთან შეა-
წოვებენ მამულის სიყვარულს და ერთგულობას. და თუ მამებიც
უფრო სწორ განათლების გზაზედ დააყენებენ, რომ იმათ სწავლას,
უცხოობიდან გამოსულს, საძირკვლად ექმნეს ჩვენის ცხოერების
წარსული, აწმყოზედ გადაკავშირებული, და დიდებული ტაძარი
ჩვენის ცხოერებისა გაახლდეს"[3].

აკაკის მშეერი მეტყველების სამაგალითო ნიმუშია სიტყვა, თქმუ-
ლი ილია ჭაეჭავაძის დაკრძალვაზე. ის წარმოითქვა 1907 წლის 9
სექტემბერს, თბილისში, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგა-
დოების შენობის აიენიდან.

ამ დიდებული სიტყვის ერთი ადგილი პოეტის ლექსების მსგავ-
სად შეიჭრა ხალხის მეხსიერებაში და თავიდანვე ზეპირად ცოცხლობს,
როგორც ლამაზად გამოთქმული დიდი ნასიბრძნი: „თუ საქართ-
ველოს სიკვდილი არ უწერია, მაშინ იმასთან ერთად შენც უკვდავი
იქნები და თუ სასიკვდილოა, როგორც ზოგიერთებს სურთ და გონი-
ათ, მაშინ ნეტავი შენ, რომ მაგ შენი სიკვდილით წინაუსწარ მის
სიკვდილს და თვალით ეეღარა ნახავ!"[4]

---

[1] ქართული მშეერმეტყველება, გვ. 292.
[2] იქვე, გვ. 293.
[3] იქვე, გვ. 294.
[4] იქვე, გვ. 295.

ასე მიმართა ილიას აკაკიმ და ამით მშვერმეტყველურად გამოხატა მთელი ერის ნაფიქრ-ნააზრევი.

ყურადღებას იქცევს აკაკის დამსახურება სამოსამართლო მშვერმეტყველების დარგში. პოეტი ხშირად მონაწილეობდა ისტორიული პირებისა და ლიტერატურული პერსონაჟების გასამართლებაში. ერთხელ ის ოფიციალურ სასამართლო პროცესშიც ჩაერია და დახელოვნებული დამცველის როლში მოგვევლინა. ეს მოხდა ქუთაისში, 1876 წელს, როცა აკაკიმ მონაწილეობა მიიღო ე. წ. „სვანთა პროცესში“ და ოსტატურად დაიცვა თვითმპყრობელობისა და ფეოდალიზმის წინააღმდეგ მებრძოლი გლეხები. ამ საჯარო გამოსვლით აკაკიმ გამოავლინა ფართო იურიდიული მომზადება და მაღალი სამეტყველო კულტურა. ეს სიტყვა წარმოითქვა რუსულ ენაზე, მაგრამ თავისი ღრმა აზრითა და მწყობრი აგებულებით მან ხელი შეუწყო არა მარტო რუსული, არამედ ქართული სამოსამართლო მშვერმეტყველების წარმატებასაც და ამ უკანასკნელის განსაზღრულ ისტორიულ ფაქტად მოგვევლინა[1].

აღნიშნული დამსახურების მაჩვენებელია აგრეთვე აკაკის საჯარო გამოსვლები ხსენებულ ლიტერატურულ სამსჯავროებში. მათ შორის განსაკუთრებით საყურადღებოა მისი მონაწილეობა ცნობილი მხატრული პერსონაჟის ზეინაბისა (ალ. სუმბათაშვილის „ღალატიდან“) და გამოჩენილი ისტორიული პირის გიორგი სააკაძის გასამართლებაში. ორივე შემთხვევაში აკაკის წარმოუთქვამს ღრმააზროვანი ვრცელი დაცვითი სიტყვა. ეს სიტყვები დაიბეჭდა აკაკის გარდაცვალების შემდეგ[2], მაგრამ ავტორისეული ხელნაწერებიდან[3] და ორიგინალის სახით გვიჩვენებენ ორატორის იშვიათ ხელოვნებას სამოსამართლო მშვერმეტყველების დარგში.

ერთი დაუფასებელი ფაქტიც უნდა აღინიშნოს: აკაკი ერთადერთი ქართველი ორატორია, რომლის სიტყვა ჩვენამდე მოღწეულია ავტორისეული წარმოთქმის ფონოგრაფული ჩანაწერით. ამ ბედნიერი შემთხვევით სამუდამოდ დაცულია პოეტის ხავერდოვანი და მოალერსე ხმის ლამაზი ფერა, რომლითაც აღბეჭდილია რამდენიმე ლექსი და შემდეგი ორატორული ორიგინალი: „გამარჯვება

---

[1] იხ. **Судебная хроника** (ხელნაწერი ნ. ნიკოლაძის პირადი არქივიდან,—თბილისის საჯარო ბიბლიოთეკა, № 3—53); ა. კ-ლი, გლეხთა შეიარაღებული აჯანყება სვანეთში 1875—1876 წ. წ. (საისტორიო მოამბე, I, 1945).

[2] აკაკი წერეთელი, თხზულებათა სრული კრებული, ტომი X, თბილისი, 1959, გვ. 447—451 (ი. გრიშაშვილის პუბლიკაცია); „თემი“, 1915 № 206).

[3] ხელნაწერი № 106 (III—1493); რედაქციის შენიშვნა („თემი“, 1915, № 206).

თქვენი, ახალ-მომავალნო! მე, უკვე მიმავალი, გეთხოვებით და ვწუხვარ, რომ საგულისხმო ანდერძად ვერას გიტოვებთ, გარდა მარტო ხვეწნა ვედრებისა: გიყვარდეთ თქვენი სამშობლო, თქვენი ერი, როგორც პირველი საფეხური კაცობრიობის თვითარსებისა, რადგანაც სიყვარულშია ადამიანის ბედნიერება, მაგრამ იმისთანა სიყვარულში კი, რომელსაც სარჩულად სიმართლე და გულწრფელობა უდევს, უამისოდ ყოველგვარი შრომა ამაოა!"[1]

სახელოვანი პოეტის ეს ანდერძი, მიმართული ახალგაზრდობისადმი, გამთბარია ჰუმანური სიყვარულის გრძნობით და გამსჭვალულია მომავალი კეთილდღეობის რწმენით. ფონოგრაფული ანაბეჭდიდან ისმის აკაკის მომხიბლავი ხმა. რიტმული რხევით მიმდინარე საამური ტემბრის ტალღები სიმშვიდისა და სილაღის განცდით იმორჩილებს მსმენელის ყურადღებას; გულში ჩამწვდომი გრძნობის სინათლე ეფინება ცნობიერებას. ამ გზით იქმნება ჰარმონიული სისრულისა და მთლიანობის კმაყოფილება, რაც შთაგონების ხალისით ავსებს ადამიანს და იწვევს მის შემოქმედებითს ამოძრავებას.

აკაკი წერეთელი ქართული კლასიკური მჭევრმეტყველების უკანასკნელი დიდი წარმომადგენელია. მისი შემოქმედება ესაზღვრება უახლეს ქართულ ორატორულ ხელოვნებას, რომლის სარბიელს ჩვენი ეპოქა წარმოადგენს. ამ სარბიელზე ვითარდება დემოკრატიულ ძალთა მოძრაობაში წარმოქმნილი, რევოლუციურ ბრძოლებში გამოწრთობილი და სოციალისტური მშენებლობის ვითარებაში აყვავებული თანამედროვე ქართული მჭევრმეტყველება.

[1] „თემი", 1913, № 113.

საძიებელი

1. საკუთარ სახელთა საძიებელი

ა. პირთა სახელები

აბაღა [ყაენი] 161.
აბელ (ბიბ.) 249.
აბიათარ („ქარ. ცხ.") 33, 111—113.
აბიბოს ნეკრესელი 69.
აბო ტფილელი, ჰაბო 27, 48, 50, 51, 63, 110, 191, 192, 246, 248—250.
აბრაჰამ („ქარ. ცხ.") 76.
აბრაჰამ (ბიბ.) 125, 249, 315.
აბულაძე ილ. 49, 54, 172.
აგათია სქოლასტიკოსი 25, 26, 66, 85, 175, 230, 232, 244.
აგვისტოს კეისარი ნ. ოქტავიანე ავგუსტე.
ავალიშვილი ზ. 35, 157, 158.
ავთანდილი („ვეფხისტ".) 137, 138, 165.
ავრელიუს ავგუსტინე 104.
ავღუსტოს ნ. ოქტავიანე ავგუსტე.
ათანასე ამილახვარი 147.
აიეტი 26, 66, 85, 134, 228, 230—234, 236—244.
ალასტნელი გიორგი 163.
ალექსანდრე I 163.
ალექსანდრე I, პავლეს ძე [რუს. იმპ.] 308, 309, 317, 318.
ალექსანდრე ბატონიშვილი, ერეკლეს ძე 325.
ალექსანდრე დიდი ნ. ალექსანდრე მაკედონელი.
ალექსანდრე ეპისკოპოსი 320.
ალექსანდრე ერეკლეს ძე ნ. ალექსანდრე ბატონიშვილი.
ალექსანდრე მაკედონელი, დიდი 153, 268, 269, 303, 317, 337.
ალექსანდრე ნეველი 339.
ალექსანდრე პავლეს ძე ნ. ალექსანდრე I [რუს. იმპ.].
ალექსანდრე სუვოროვი 154.
ალექსანდროვი პ. 171.
ალექსი კომნენი 154.
ამბროსი ნეკრესელი, მიქაძე, წილკნელ-მანგლელი 50, 70, 88, 108, 116, 194, 279, 319—323, 325, 326.
ამიანე მარცელინე 222.
ამონა („მამ. სწავ".) 50.
ანა [იმერ. დედოფ.] 340.
ანასტასი სინელი 106.
ანა-ხანუმი [თეიმ. II-ის მეუღ.] 214, 287, 289.
ანდრია ლიონიძე 306.
ანდრია მოციქული 103, 258, 259.
ანდრონიკაშვილი ლ. 185.
ანდრონიკე (მცხ. სიგ.) 163.
ანთიმ ივერიელი ნ. ანთიმოზ ივერიელი.
ანთიმოზ (ანთიმ) ივერიელი 121.
ანნა წინასწარმეტყველი 277, 355.
ანტონ I, კათალიკოსი, ბაგრატიონი 39—42, 44, 46, 52, 55, 77, 88, 116, 117, 123, 194, 214, 252, 279, 280, 282, 287—291, 293, 299, 319, 328, 334.
ანტონ II [კათალიკოსი] 44, 148.
ანტონ ბაგრატიონი ნ. ანტონ I.
ანტონ მნათი 41, 43.
ანტონ ტბელი 80.
ანტონ ჭყონდიდელ-გარეხელი 43.
ანტონ ჭყონდიდელი (თამარის თანამედ.) 159.

ანტონ ჭყონდიდელ-ცაგერელი, დადიანი 44, 88, 108, 194, 279, 327—333.
არდაზიანი ლ. 214.
არისტენეტე [ეპისტოლოგრაფი] 24, 222, 223.
არისტოტელე 10, 17, 18, 46.
არსენ ბერი 86, 114, 189, 198, 266—269, 337.
არსენ ბულამისძე ნ. არსენ ბულმაისიმისძე.
არსენ ბულმაისიმისძე, ბულამისძე 41, 43.
არსენ იყალთოელი 35, 41, 51, 73, 114, 122, 123, 125.
არსენ კათალიკოსი 43, 69.
არტაგი, არტოკე 24, 143.
არტარქსერქსი 158, 159.
არტემონ ანდრონიკაშვილი 147.
არტოკე ნ. არტაგი.
არჩილ II 164, 213, 344, 345.
ასმათი („ვეფხისტ“.) 138.
ასფაქიძე ა. 143.
აღა-მაჰმად-ხანი 322—324.
აღბუღა ათაბაგ-ამირსპასალარი 184, 187.
აშოტ კურაპალატი 206.
აჩილლესი [აქილევსი] 290.
აჭრონ (ბიბ.) 249.
Аристотель 17—19.
Augustus 143.

ბაგრატ (გრ. ხანძთელის თხზ.) 192.
ბაგრატ IV 124, 130, 132, 134, 173, 174.
ბარგად ბატონიშვილი 123.
ბაგრატ კუროპალატი 179.
ბაგრატიონები 307, 345.
ბაკურ („მოქც. ქარ“.) 68.
ბაკური 24, 85, 222—224.
ბალიაური მ. 208.
ბარათაშვილი (სავარაუდო გვარი გაიოზ რექტორისა) 294.
ბარათაშვილი ი. 185.
ბარათაშვილი ნ. 305, 370, 372, 373, 377—379.
ბარამიძე ალ. 77, 299.
ბარნაბიშვილი ნ. 340.
ბახა (ხალხ.) 209.
ბასილ ბაგრატიონი 43.
ბასილ დიდი, კესარიელი 35, 39, 94, 104, 105, 117, 203, 224, 251, 330.
ბასილი ეზოსმოძღვარი 36, 37, 76, 139, 159.
ბაქრაძე დ. 364, 365.
ბერი ეგნატაშვილი 38.
ბერიე პ.-ა. 170.
ბერნე ლუდ. 377.
ბერძენიშვილი ნ. 31, 282, 325.
ბესა [ბიზ. სარდ.] 225.
ბესარიონ ბაგრატიონი 43.
ბესარიონ გაბაშვილი 213.
ბესარიონ კათალიკოსი, ორბელიანი 41, 70, 116, 123, 279, 319.
ბესარიონ ორბელიანი ნ. ბესარიონ კათალიკოსი.
ბექა მანდატურთუხუცესი ნ. ბექა ჯაყელი.
ბექა ჯაყელი, მანდატურთუხუცესი 37, 59. 86, 161, 162, 184, 187.
ბოროზდინი კ. 149—151.
ბოსუე ჟ.-ბ. 104.
ბოჭორიშვილი ა. 358.
Барамидзе А. С. 230.
Бицов И. Л. 20.

გაბაშვილი ვ. 146.
გაბრიელი ნ. გაბრიელ ქიქოძე.
გაბრიელ ეპისკოპოსი ნ. გაბრიელ ქიქოძე.
გაბრიელ ქიქოძე, ეპისკოპოსი, გაბრიელი 72, 73, 89, 104, 108, 118, 350—360, 364, 366, 373.
გაბრიელ უკისძე 124.
გაზა (ხალხ.) 209.
გაიოზ ნაცვლიშვილი ნ. გაიოზ რექტორი.
გაიოზ რექტორი 78, 88, 199, 294—304.
გაიუს იულიუს ცეზარი 128, 153.
გაიუს სემპრონიუს გრაკხუსი 128.
გამყრელიძე ალ. 219.
გარსევან ჭავჭავაძე 147.
გასპარ ჭართველი 146.

გედეონ (ბიბ.) 160, 289.
გელასი კეხარიელი 24, 222.
გელასი კვიზიკელი 222.
გერმანე ხუცესმონაზონი 42, 43, 116, 117, 279.
გვარამაძე ი., ვინმე მესხი 281, 282.
გიორგი III 86, 158, 159.
გიორგი XI 214, 271, 272.
გიორგი XII, ბატონიშვილი, XVIII [ზოგ. წყარ.] 42, 148, 184, 213, 299, 307, 308, 311, 335, 339.
გიორგი XIII ნ. გიორგი XII.
გიორგი [მდივანბეგი] 214.
გიორგი („კალმას“.) 43.
გიორგი [წმიდა] 102, 196.
გიორგი ათონელი ნ. გიორგი მთაწმიდელი.
გიორგი ამარტოლი 24, 222.
გიორგი ბატონიშვილი ნ. გიორგი XII.
გიორგი ბრწყინვალე 37, 184.
გიორგი მერჩულე 8, 27—29, 50, 53, 173, 182, 191, 193, 194, 197, 198, 211, 212, 256.
გიორგი მთაწმიდელი, ათონელი 29—31, 43, 56, 58, 59, 79, 86, 106, 114, 120, 182, 183, 189, 212, 256—262, 265.
გიორგი მცირე, ხუცესმონაზონი 29—31, 79, 86, 114, 120, 189, 212, 256, 259—261, 263—265.
გიორგი ხაკაძე 213, 387.
გლახა ნათისშვილი 44.
გნეიუს პომპეუს მაგნუსი 24, 143, 153.
გოგებაშვილი ი., სიმონიძე ი. 369, 372.
გოზალიშვილი გ. 24, 222.
გორგია 18.
გორზამაული (ხალხ.) 206.
გოტიე კანცლერი 35, 155, 157.
გოცაძე მ. 346.
გრიგოლ აბვისერიძე 124.
გრიგოლ ბაკურიანისძე 80.
გრიგოლ ნაზიანზელი, ღვთისმეტყველი 39, 50, 94, 95, 104—106, 203, 224, 251, 330.
გრიგოლ ნოსელი 104—106.
გრიგოლ ღვთისმეტყველი ნ. გრიგოლ ნაზიანზელი.
გრიგოლ ხანძთელი 8, 27—29, 50, 53, 191—193, 206, 207, 211, 212.
გრიშაშვილი ი. 371, 387.
გუბაზ მეფე 26, 66, 85, 155, 175, 177, 178, 225—227, 229, 230, 232, 233, 236, 238, 241, 243, 244.
გურგენ მეფე 229.
Гаврилк 357.
Гейне Г. 377.
Гофман В. 19.

დაგისთე [ბიზ. სარდ] 225.
დადიანი (ხელნ. A-7) 340.
დადიანი [კაცია, ერეკ. II-ის სიმამრი] 314.
დადიანი ან. ნ. ანტონ ჰყონდიდელ-ცაგერელი.
დადიანი ნ. ნ. ნიკო (ნიკოლოზ ტარიელის ძე) დადიანი.
დადიანი ტ. 361.
დადიანი შ. 363.
დავით ალექსიძე-მესხიშვილი, რექტორი 78, 299 339.
დავით აღმაშენებელი 34, 35, 41, 50, 55, 56, 71, 72, 74, 86, 124, 125, 135, 155, 157, 158, 162, 193, 198, 266—269, 285, 345, 368.
დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი 32, 34, 55, 56, 72, 74, 75.
დავით არჩილის ძე [ბაგრატიონი] 147.
დავით ბაგრატიონი, ბატონიშვილი 55, 173, 185, 308, 340.
დავით ბატონიშვილი ნ. დავით ბაგრატიონი.
დავით გიორგის ძე [ბაგრატიონი] 147.
დავით გურამიშვილი 88, 213.
დავით ორბელიანი 148.
დავით რექტორი ნ. დავით ალექსიძე-მესხიშვილი.
დავით სოსლანი 109.
დავით ტბელი 90.
დავით წინასწარმეტყველი (ბიბ.) 97, 147, 268, 285, 337.
დავითაშვილი ი. 373.
დამაშკე ა. 32.
დანტონი ჟ.-ჟ. 129.

დარეჯან დედოფალი [ერეკ. II-ის მეუღ.] 307, 314, 316.
დემეტრე თავდადებული 37, 76, 86. 141, 142, 161, 338.
დემოსთენე 15, 20, 39, 46, 112, 168, 202, 238.
დიმიტრი I 43.
დიონ კასიოსი 23, 85, 143.
დიუპენი ფ. 170.
დობროლუბოვი ნ. ა. 357.
დოლიძე ი. 59, 161, 179, 182, 187.
დოსითეოს ნეკრესელი ნ. დოსითეოზ ჩერქეზიშვილი.
დოსითეოს ფიცხელაური 44.
დოსითეოს ჭუთათელი 147.
დოსითეოს ჩერქეზი ნ. დოსითეოზ ჩერქეზიშვილი.
დოსითეოზ ჩერქეზიშვილი, ნეკრესელი 44, 46, 70, 78, 297—299, 319.
დუტუ მეგრელი 362.
Демосфен 16,19,20, 202.
Дион Кассий Коккеиан 24, 143.
Добролюбов Н. А. 357.
Дубровин Н. 306.
Damaschke A. 32, 240.

ეგარსლან ბაკურციხელი 38.
ეგნატე მარტყოფელი 44.
ევაგრე პონტოელი 79, 119.
ევგენიოსი 25, 64.
ევთიმი გენათელი 147.
ევსტათი მცხეთელი 27, 48, 108, 109. 180, 181.
ეზეკიელი (ბიბ.) 160.
ეკატერინე ჭავჭავაძე 150.
ეკატერინე II 199, 281, 295, 296, 309, 310.
ეკატერინა ალექსივნა [ეკატერინე ალექსის ასული] ნ. ეკატერინე II.
ელენე დედოფალი 53.
ელია [ეპისკოპოსი] 68.
ელია (ბიბ.) 249.
ენგელსი ფრ. 14, 20, 99, 129, 130.
ენუქ (ბიბ.) 249.
ეპიფანე კათალიკოსი 114, 115.
ეპიფანე კვიპრელი 106.
ეპიფანე კონსტანტინეპოლელი 103.
ერასტი ორბელიანი 214.
ერეკლე (ხალხ.) 208.
ერეკლე I 272.
ერეკლე II, ირაკლი, ღერკულეს 38, 62, 78, 87, 116, 147—149, 184, 199—201, 213, 214, 280, 281, 295, 296, 299, 305—307, 309, 311—317, 325, 339, 344.
ერისთავი გ. 214.
ერისთავი რაფ. 149, 200.
ესაია (ბიბ.) 276.
ესქინე 128, 169.
ეფთვიმე წინამძღვარი 44.
ეფრემ („მამ. სწავ".) ნ. ეფრემ ასური.
ეფრემ ასური 49, 105.
ეფრემ მცირე 41, 43, 50, 55, 57, 80, 95, 106, 114, 172, 203.
ექვთიმე გრძელი 124.
ექვთიმე მთაწმიდელი, ათონელი 29, 106, 114, 120, 182, 260.
Епифаний 114.
Энгельс Фр. 20.

ვაჟა-ფშაველა 102, 196, 197, 369.
ვარლამ ეპისკოპოსი 44, 116, 117.
ვარსქენ („შუშ. მარტ.") 179.
ვახტანგ VI 87, 116, 146, 184, 270, 281, 344.
ვახტანგ ბატონიშვილი 342—344.
ვახტანგ გორგასალი 34, 68, 69, 75, 131, 132, 135, 156.
ვახუშტი [სულხან ორბელიანის ძმა] 214.
ვახუშტი ბაგრატიონი ნ. ვახუშტი ბატონიშვილი.
ვახუშტი ბატონიშვილი, ბაგრატიონი 38, 102, 164, 207.
ველერი მ. 101.
ვიუან ბუშმირი („ევს. მც. მარტ".) 180.
ვერნიო პ. 129.
ვიშმე მესხი ნ. გვარამაძე ი.
ვორონცოვი მ. 200, 201.
Ворожейкин Е. М. 170, 171.
Выдра М. 171.
Weller M. 20, 101.

ზაქარია (ბიბ.) 249.
ზაქარია გაბაშვილი 44, 88, 199, 280—286, 327.
ზაქარია ლალხანაშვილი 44.
ზაქარია მირდატისძე 43.
ზევახ (არმაზის ერთენოვ. წარ.) 155.
ზევსი (მით.) 103.
ზეინაბი („ღალატი") 387.
ზურაბ წერეთელი 147.

თადეოზ (ბიბ.) 103.
თამარაშვილი მ. 146, 147.
თამარ მეფე 35, 36, 56, 59, 74, 76, 86, 124, 125, 135, 136, 138—140, 158—160, 182, 196, 289.
თამარ მეფის ისტორიკოსები [პირველი, მეორე] 32, 35—37, 56, 59, 74, 76, 126, 138, 158.
თანგულა (ხალხ.) 206.
თანდილა (ხალხ.) 206.
თარგამოს („ქარ. ცხ.") 125.
თაყაიშვილი (სავარაუდო გვარი გაიოზ რექტორისა) 294.
თევდოსი [პატრიარქი] 257, 258.
თეიმურაზ I 42, 164, 213.
თეიმურაზ II 214, 280, 289, 290, 344.
თეიმურაზ ბატონიშვილი 62, 207, 311.
თეკლე ბატონიშვილი 214.
თემისტიოსი 24, 25, 64—66, 85.
თემისტოკლე 158.
თეოდორე განგრელი 103.
თეოდორე კათალიკოსი 163.
თეოდორე სტოდიელი 106.
თეოფანე პროკოპოვიჩი 104.
თეოფილე ხუცესმონაზონი 106, 114.
თინათინი („ვეფხისტ".) 137.
თლოშიაური (ხალხ.) 206.
თორნიკე ერისთავი 120.
თრდატ [ქართლის მეფე] 68.
თუკიდიდე 153.
თუმანიშვილი მ. 89, 200, 214, 335.

იაკობ სამებელი 43.
იაკობ ცურტაველი 179.
იამამე („დოგმატ".) 122.
იასე ძაგნაკორელი ხიმშიასძე 44.
იეზეკიელი [პიმნოგრაფი] 43.
იერემია იბერიელი 123.
იერემია წინასწარმეტყველი (ბიბ.) 203, 261.
იერონიმ სავონაროლა 104, 129.
იესე [დეკანოზი] 339.
იესო ნ. ქრისტე.
ივბიმიანოსი [ბერძენთა მეფე] 156.
იელიანე [განდგომილი] 156, 324.
ილარიონ ქართველი 80, 119.
იმნაიშვილი ი. 64.
ინგოროყვა პ. 29, 38, 54, 173, 174, 182, 191, 192, 194, 197, 198, 256.
იოანე [ეპისკოპოსი] 259.
იოანე აბაშიძე 147.
იოანე ათონელი ნ. იოანე მთაწმიდელი.
იოანე ბატონიშვილი 39, 42—44, 52, 55, 56, 89, 116, 117, 123, 195, 200 280, 294, 295, 307, 334—336, 338—340.
იოანე ბოლნელი 41, 43, 67, 68, 85, 251—255, 278.
იოანე დამასკელი 51, 104—106, 203, 331.
იოანე-ზოსიმე 9, 80, 120, 190.
იოანე კათალიკოსი (დაეით აღმაშენ. თანამედ.) 35, 41, 43, 125.
იოანე კათალიკოსი (თამარის თანამედ.) 125.
იოანე კომნენი 154.
იოანე ლაზი 79, 119.
იოანე მთაწმიდელი, ათონელი 29, 120, 182.
იოანე მტბევარი 194.
იოანე მუხრანბატონი 147, 148.
იოანე ნათლისმცემელი (ბიბ.) 70, 109, 255, 275.
იოანე ორბელიანი 44.
იოანე ოქროპირი 49, 104—106, 224, 251, 331.
იოანე პეტრიწი 9, 10, 39, 50, 51, 54—56, 72, 80, 94, 95, 138, 171, 189, 203.
იოანე რუფინუსი 119, 222.

ჟოანე საბანისძე 27, 48, 51, 110, 114, 191, 246—250.
იოანე სინელი 331.
ჟოანე ტაიჭისძე [ტარიჭისძე] 41, 43.
იოანე ციბე 144.
ჟოანე ჭიმჭიმელი 98.
ჟოანე ხახულელი [ოქროპირი] 41, 43, 120.
ჟობ პიტარეთელი, ფიტარელი 43, 116, 117, 279.
ჟობ ფიტარელი ნ. იობ პიტარეთელი.
იოდმანგან (არმ. ბიღ.) 155.
ჟოვანე [მახარებელი] 64.
იონა ხელაშვილი 42, 43, 89, 108, 214, 335, 339—345, 347.
ჟოსებ ტფილელი 213.
იოსებ ქართველი 146.
ჟოსელიანი პლ. 41, 148, 149, 307, 311.
ჟრაკლი ნ. ერეკლე II.
ისაია წინასწარმეტყველი (ბიბ.) 319.
ისო [ზირაქი] (ბიბ.) 269.
ისო ნავეს ძე (ბიბ.) 337.
ისოკრატე 39, 128.
იულიოს კეისარი ნ. გაიუს იულიუს ცეზარი.
ჟუსტინიანე I 26, 153, 169, 175, 225, 226, 229, 230, 236.
ჟუდა [ისკარიოტელი] (ბიბ.) 212, 273.

კაიკაციშვილი გ. 210.
კაიფა [კაიაფა] (ბიბ.) 355.
კაკაბაძე ს. 163.
კანდელაკი ნ., ნ. კ. 59, 101, 203 281, 312, 376.
კარაბჩევსკი ნ. 171.
კატკოვი მ. 165.
კატონი ნ. მარკუს პორციუს კატონი.
კაცია დადიანი [ან. ჭყონდიდელის ძმა] 328.
კახაძე მ. 237.
კეკელიძე კორნ. 41, 54, 66, 78, 82, 104, 107, 111, 122—124, 183, 191, 204, 247, 261, 266, 267, 320, 340.
კელენჭერიძე მ. 351.
კერნბახი ვ. 121.
კვინტილიანე [მარკუს ფაბიუს] 18, 32, 46.
კვინტუს ჰორტენზიუს ჰორტალუსი 128, 169.
კვირა [წარმარ. ღვთაება] 196.
კიკნაძე გრ. 18, 375.
კირიონი [ეპისკოპოსი] 26.
კირიონ კათალიკოსი 123.
კ-ლი [კოპლაეაშვილი] ა. 186, 387.
კლიმენტი XI 270.
კნორინგი კ. 308.
კოლა ერისთავი 372.
კოლუბიაკინი ნ. 150.
კოლხთა წარმომადგენელი [გუბაზ მეფის მკვლელთა გასამართლებაზე] 26, 66, 175.
კოლხიდელი მ. 149.
კონი ა. 171.
კონსტანტინე I 156, 268, 303, 337.
კორნელი ტაციტუსი 23, 85, 153, 154, 219, 220.
კოტეტიშვილი ვ. 208.
კუკავა თ. 45, 346.
კუტუზოვი მ. 154.
Кандаратвили Гр. 237.
Катаев Н. 107.
Крупская Н. К. 16.
Cornelius Tacitus 23.
Quintilian 32.

ლაზარე (ბიბ.) 190.
ლაშა-გიორგი 37.
ლევან ბატონიშვილი [ერეკლე II-ის ძე] 213.
ლევან ბატონიშვილი [ვახტანგ V-ის ძე] 164.
ლენინი ვ. ი. 14, 16, 17, 19, 21, 130.
ლენცმანი ი. 100.
ლეონიძე გ. 121, 272.
ლეონტი [ლოგოგრაფი] 24, 222, 223.
ლეონტი მროველი 8, 32—34, 53, 61, 67—69, 111, 114, 197, 206, 211.
ლე-შაპელიე ი.-რ.-გ. 170.
ლვოვი ი. ლ. 281.
ლიბანიოსი 24, 85, 222—224.
ლივიუსი 153.
ლიკურგე 169.

ლილი (ხალხ.) 209.
ლირი („მეფე ლირი") 371.
ლისია 169.
ლოლაშვილი ივ. 70, 271, 273.
ლოლუა ლ. 185.
ლომონოსოვი მ. 18, 46.
ლორთქიფანიძე დ. 185.
ლუარსაბ II 345.
ლუდოვიკო XIV ნ. ლუი XIV.
ლუი (ლუდოვიკო) XIV 146, 270; 302, 303.
ლუკა [მახარებელი] 63, 356.
Ленцман Л. 100.
Ломоносов М. В. 19, 46.

მათე [მახარებელი] 63, 103.
მაია ჭავჭავაძე 214.
მაკალათია ნ. 208.
მამია გურიელი 200.
მანსვეტაშვილი ი. 373.
მანუელ კომნენი 154.
მარი ნ. 114.
მარიამ [ღვთისმშობელი] (ბიბ.) 141, 193, 323, 324, 355.
მარიამი [იმერ. დედოფ.] 340.
მარკოვი ევგ. 373.
მარკოზ [მახარებელი] 63.
მარკუს პორციუს კატონი 128, 169.
მარკუს ტულიუს ციცერონი 16, 20, 46, 128, 169, 238.
მარტინ ლუთერი 104, 129.
მარტინე [ბიზ. სარდ.] 225.
მარქსი კ. 14, 16, 129, 130.
მარშაინეკე ფ. 20.
მაჩაბელი ივ. 185, 369, 373.
მაჩაბელი ვას. 371.
მაჯმადი 285.
მელქაძე წურწუაბელი 124.
მერკვილაძე ა. 207.
მერმეროე [ბიზ. სარდ.] 225.
მესხი ს. 384.
მესხიშვილი შ. 185.
მზეჭაბუკ (ჭაბუა) ორბელიანი 44, 88, 147, 148.
მთვარელიშვილი ნ. 297, 298.
მირაბო ბონ. 129.
მირვან [I, ქართლის მეფე] 197, 198.
მირიან მეფე 39, 112.
მიქაძე ა. ნ. ამბროსი ნეკრესელი.
მიქელაძე [როსტომი] 149.
მიქელაძე ვლ. 371.
მიქელ მოდრეკილი 194.
მიშინ („ვისრამ".) 54.
მიხეილ ბატონიშვილი 339.
მიპრდატ (არმ. ერთენოვ. წარ.) 155.
მოსე (ბიბ.) 54, 109, 119, 277, 337.
მოსე ხონელი 54.
მხარგრძელები 140, 141, 159.
მხითარ სევასტიელი 46, 287, 331.
Макс Святой [მაკს შტირნერი] 14.
Маркс К. 14, 16.
Марр Н. Я. 114, 115.
Махатадзе Н. Г. 271.
Меликишвили Г. А. 63, 68, 75 143, 220.
Меликова-Толстая С. 18.
Металлов Я. М. 337.
М[арк] Туллий Цицерон 16, 19, 20.

ნადირაძე გ. 136.
ნანა დედოფალი 112.
ნაპოლეონ ბონაპარტე 154.
ნაცვლიშვილი (სავარაუდო გვარი გაიოზ რექტორისა) 294.
ნებროთ (ბიბ.) 133, 157, 268, 269.
ნესტანი („ვეფხისტ".) 137.
ნესტორი 32.
ნიკო (ნიკოლოზ ტარიელას ძე) დადიანი 89, 361—365, 368.
ნიკოლაძე ნ. 185. 186, 387.
ნიკოლაოზ ბიჭიაშვილი 44.
ნიკოლაოზ გაბაშვილი 44.
ნიკოლოზ ტარიელის ძე დადიანი ნ. ნიკო დადიანი.
ნიკოლოზ ორბელიანი 41.
ნიკოლოზ რუსთველი ნ. ნიკოლოზ ჩერქეზიშვილი.
ნიკოლოზ ჩერქეზიშვილი, რუსთველი 41, 43, 70, 116, 117, 279.
ნიკოლოზ ჩოლოყაისძე 43.
ნინა ნ. ნინო.
ნინა (ხელნ. A-7) 340.
ნინო. ნინა [წმიდა] 32—34, 39, 53, 54, 111—113, 291, 292, 345.

ნინო ორბელიანი 166.
ნ. კ. ნ. კანდელაკი ნ.
ნოე (ბიბ.) 157, 255, 272,
ნონნე 95, 203.
ნუცუბიძე შ. 25, 65, 69, 222, 224, 237, 239.
Nestor 32.

ოდისევსი 32.
ომან ხერხეულიძე 38, 164.
ომარ-ხანი 42, 322, 325, 335, 337.
ომიროს ნ. ჰომეროსი.
ონოფრე მაჭუტაძე 70.
ორბელიანი გრ. 372—376.
ოქტავიანე ავგუსტი 143, 269, 302, 303.
ოჩიაური თ. 102, 206.
Охар А. 129.
Odysseus 32.

პაველი [მოციქული] (ბიბ.) 112, 117, 119, 191.
პაველ I 199, 309, 311.
პაპუნა ორბელიანი 38, 164.
პერიკლე 128.
პეტრე ნ. პეტრე ჩხატარისშვილი.
პეტრე [მოციქული] (ბიბ.) 258, 259.
პეტრე I 154, 302, 303, 317, 344.
პეტრე იბერი 79, 119.
პეტრე ჩხატარისშვილი [ჩხატარაიშვილი] 42, 43.
პლატონი 13.
პლეშკო თ. 171.
პლუტარქე 153.
პომპეუსი ნ. გნეიეს პომპეუს მაგნუსი.
პროკლე დიადოხოსი 39, 50, 94.
პროკოპი კესარიელი 25, 85, 144, 155, 225, 226.
Петровский Ф. А. 46.
ჟამთააღმწერელი 32, 37, 55, 74, 76, 141, 161.
ჟან-პოლი 377.
ჟვანია ჯ. 185.
ჭორდანია თ. 114, 163, 327, 329.

რაჟდენი გ. 121.
რამინი („ვისრამ“.) 54.
რაჟდენ („რაჟდ. მარტ“.) 58.
რახელ [რაქელ] (ბიბ.) 324.
რობესპიერი მაქ. 129.
როგავა აპ. 174.
რუსტიკე [ბიზ. სარდ.] 225.
Рэдцпг С. И. 21, 202.

საბა ნ. სულხან-საბა ორბელიანი.
საბა ნინოწმიდელი 88, 116, 194, 279, 291, 293.
საბინინი მ. 124, 291.
სალტიკოვ-შჩედრინი მ. 295.
სამოელ („ევს. მცხ. მარტ“.) 109, 110, 180, 181.
სამოელ („აბო ტფ. მარტ“.) 246.
სამსონ, სამფსონ (ბიბ.) 255, 269.
სამფსონ ნ. სამსონ.
სანანო უველელი 124.
სარგის თმოგველი 43, 53.
საღირისძე (საყარაულო გვარი არსენ ბერისა) 266.
სეხნია ჩხეიძე 38, 164.
სვიმონ (ბიბ.) 357.
სვიმონ ჯულფელი 331.
სიდონია („ქარ. ცხ.“) 33, 109, 113.
სიმონ კანანელი (ბიბ.) 103, 258, 259.
სიმონიძე ი. ნ. გოგებაშვილი ი.
სიხარულიძე ქს. 209.
სოლომონ (ბიბ.) 109, 147, 285, 296, 338, 345,
სოლომონ I 87, 116, 147, 281—285.
სოლომონ II 308.
სოლომონ დიდაევი მაღაროელი ნ. სოლომონ დიდაშვილი.
სოლომონ დიდაშვილი 18, 44—47, 51, 52, 56, 57, 89, 200, 214, 335, 346, 347, 349.
სოლომონ ლეონიძე ნ. სოლომონ ლიონიძე.
სოლომონ ლივანიძე ნ. სოლომონ ლიონიძე.
სოლომონ ლიონიძე, ლეონიძე, ლივანიძე, მსაჯული 44, 62, 79, 88, 147, 148, 184, 199, 212, 305—318, 337.
სოლომონ მსაჯული ნ. სოლომონ ლიონიძე.

ხოსთენ 108.
ხპასოვიჩი ვ. 171.
ხტალინი ი. ბ. 14, 21.
ხტეფანე (თეოდორე განგრელის თხზ.) 103.
ხტრაბონი 23, 75, 85, 103, 131, 143, 179.
ხულხან თუმანიშვილი 147.
ხულხან-საბა ორბელიანი, საბა 19. 51, 54, 56, 57, 70, 71, 87, 108, 116, 146, 172, 194, 205, 214, 270—275, 277—279.
ხუმბათაშვილი ალ. 387.
ხციპიონ აფრიკელი 153.

ტარიელი („ეეფხისტ.") 52, 130, 137. 138, 165, 207.
ტარუე გ.-ე.-ბ. 170.
ტაციტუსი ნ. კორნელი ტაციტუსი.
ტრედიაკოვსკი ვ. 46.
ტრონშე ფ.-დ. 170.
ტურე გ.-ფ.-ა. 170.
Тихонравов А. Г. 170.
Тодмачев Ик. 154.
ურბან II 154.
უტუ მიქავა 149, 150.

ფადიაური (ხალხ.) 209.
ფარნავაზ მეფე 8, 33, 198.
ფარნაოზ ბატონიშვილი 339.
ფარსადან გორგიჯანიძე 164.
ფარსმან მეფე (არმ. ერთენ. წარ.) 155.
ფარსმან არმაზელი ნ. ფარსმან I.
ფარსმან I, არმაზელი 23 85, 154. 155, 219—221.
ფარსმან ქველი [II] 33, 61, 206, 211, 219.
ფარსმან IV 68.
ფარტაზი, ფარტაძე 6, 26, 66, 85, 134. 228, 230—232, 238—245.
ფარტაძე ნ. ფარტაზი.
ფატმანი („ეეფხისტ.") 137.
ფილიპე უაითმაზაშვილი 46, 77. 78, 327.
ფინეზ (ბიბ.) 269.
ფრანგიშვილი ა. 272.
ფრიდონი („ვეფხისტ.") 137, 207.

ქაიხოსრო წერეთელი 147, 148.
ქეთევან დედოფალი [წამებული] 345.
ქიზიყელი (ერეკ. II-ის დამტირებელი ქალი) 62, 311.
ქიქოძე მ. 185, 351, 356.
ქრისტე, იესო 48, 109—113, 141. 158, 160, 163, 166, 179, 181, 192—194, 247—250, 252, 259, 265, 273, 276, 278, 283, 286—288, 292, 299, 303, 322, 324. 330, 332, 333, 338, 355, 357.
ქრისტედღლე 43.
ქსენოფონტე 153.
ქუთათელაძე ლ. 282.
ქუთელია ალ. 357.

ღამბაშიძე დ. 352.
ღერკულეს ნ. ერეკლე II.

უაზბეგი ალ. 208, 369.
უაზბეგი მ. 209.
უარაჯისშვილი ხურხანი (ხალხ.) 209.
უაუხიშვილი სიმ. 24, 25, 54, 65, 71, 72, 94, 95, 198, 222—224, 240.
უიფშიძე გრ. 26.
უუბანეიშვილი ხოლ. 319.
უუთლუ-არსლანი 36, 76.

შავთელი 52, 56.
შანიძე აკ. 63, 205, 206.
შარავან პიტიახში (არმ. ეთენ. წარ.) 155.
შარვანიული (ხალხ.) 206.
შოთა ღუდუშაური (ხალხ.) 209.
შოთა რუსთველი 10, 47, 86, 136—138, 164, 165, 187, 194, 195, 211, 215, 382.
შუშანიკი („შუშ. მარტ.") 179, 345.

ჩახრუხაძე 44, 56.
ჩერი (ხალხ) 209.
ჩიტაია გ. 205.
ჩიქობავა არნ. 9, 14, 84. 88. 334.
ჩოფიკაშვილი ხ. („ელგუჯა") 203.
ჩუბინაშვილი გ. 72, 73.

ცაგერელ-ჭყონდიდელი ნ. ანტონ ჭყონდიდელ-ცაგარელი.

ცაიშვილი სოლ. 361.
ციცერონი ნ. მარკუს ტულიუს ციცერონი.
Цицерон Б.М[арк] Туллий Цицерон.

წათე [ლაზთა მეფე] 229.
წერეთელი აკ. 89, 185, 186, 200, 207, 210, 211, 353, 369, 381—388.
წერეთელი გ. 24, 155.
წილკნელ-მანგლელი ნ. ამბროსი ნეკრესელი.

ჭავჭავაძე ილ. 73, 89, 165, 185, 186, 200, 218, 353, 359, 360, 369—377, 379, 380, 382, 383, 385—387.
ჭიალაშვილი კურდღელი (ხალხ.) 209.
ჭიჭინაძე ზ. 306.
ჭონქაძე დან. 214.
ჭუონია აკ. 196.
ჭუონია ალ. 26.

ხანთაძე შ. 295.
ხახანაშვილი სოლ. 214.
ხოსრო I 26, 144, 178, 225, 229.
ხუარა [მოგვი] („ქარ. ცხ.“) 113.
Хидашели Ш. В. 230.

ჯავახიშვილი ივ. 24, 55, 76, 130, 138, 171, 172, 174, 183, 219, 225, 247, 261.
ჯანაშვილი დიმ. 321.
ჯანაშია სიმ. 75, 143.
ჯონ-როსელი 16.
ჯუანშერი [ისტორიკოსი] 32, 34, 55, 67—69, 74, 75, 131, 132, 156.
ჯუანშერი [სპასპეტი] („ქარ. ცხ.“) 75, 132—134.

ჰაბო ნ. აბო ტფილელი.
ჰაინრიხ ჰაინე 377.
ჰანიბალი 153.
ჰაოს („ქარ. ცხ.“) 198.
ჰეროდოტე 153.
ჰიპერიდე 128, 169.
ჰომეროსი, ომიროს 32, 94, 95, 153.
ჰორტენზიუსი ნ. კვინტუს ჰორტენზიუს ჰორტალუსი.
Homer 32.

ბ. ეთნიკური სახელები

ათინელი 159.
ალბანელი 23, 103, 219.
ამაზონი 64.
ანელი ნ. ანისელი.
ანისელი 114, 115.
ანტიოქელი 257.
არაბი 85, 110, 246, 247.
არმენიელი 65.
ასურასტანელი 160.
ასურელი 69.
აჭარელი 210.

ბაბილონელი 113.
ბელუჯი 164.
ბერძენი 15, 17, 23—25, 35, 64, 66, 75, 103, 104, 119, 133, 143, 156, 222, 337.
ბიზანტიელი 23, 25, 26, 66, 103, 104, 144, 155, 188, 203, 222, 225, 226, 229, 230.

გერმანელი 20, 104, 377.
გუთელი 259.
გუნი [ჰუნი] 348.
Gothi 226.

დურძუკი 197, 198.

ებრაელი 109, 158.
ევროპელი 348.
ელენი ნ. ელინელი.
ელინელი 32, 56, 158, 345.
ელლენი ნ. ელინელი.

თათარი 141, 162, 164, 281, 285, 348.
თურჩი 161, 162, 342, 384.

იბერი ნ. იბერიელი.
იბერიელი 23, 121, 143, 222, 310, 316, 342.
ივერიელი ნ. იბერიელი.
იმერელი 148, 281, 340.
იმერი ნ. იმერელი.
ინგლისელი 16
ირანელი 87, 270.
ისრაელი 109, 337.
იტალიელი 104.

კავკასიელი 342.
კოლხი 64—66, 144, 175, 176, 178, 225, 226, 230—232, 236, 238, 239, 243, 245.

ლაზი 26, 144, 145, 226, 230 235, 236, 243.
ლეკი 87, 209, 280, 885.
მადიამელი (ბიბ.) 160.
მესხი 172.
მიდი ნ. მიდიელი.
მიდიელი 157, 178, 219, 227, 235, 242.
მიჯნაძორელი 132.
მონღოლი 86, 161.

ოვსი 133.
ოპიზარი 132.
ოხმალი 86, 150, 210, 270, 348.

პართელი 23, 154, 219, 221.

რომაელი 16, 23, 32, 143, 144, 145, 176, 177, 219, 225, 228, 231—233, 236, 238, 241, 242, 244.
როსიელი ნ. რუსი.
რუშინელი 121.
რუსი 149, 150, 154, 211, 306, 325, 342, 344.

სარმატი 219.
სვანი 23, 75, 131, 186, 387.
სირიელი 69.
სომეხი 35, 124, 125, 345.
სპარსელი 109, 113, 133, 140, 144. 145, 177, 178, 210, 225—229, 231, 234—236, 241, 242, 245, 345, 348.
სპარსი ნ. სპარსელი.

ურია 180, 181, 355.

ფრანგი 104 154.
ფშაველი 102, 196, 197.

ქალდეველი 109.
ქართველი 7, 9. 23, 25, 29, 33, 35. 40, 47, 66, 67, 76, 84, 86, 88: 94; 96; 103, 104, 111, 115, 118—120, 124, 125, 140, 142, 146, 147, 156, 164—166, 201, 203. 206, 210, 211. 219, 221, 224. 225, 230, 238, 246, 247, 251. 260, 270, 306, 325, 337, 340, 344, 346, 348, 360, 363—365. 373, 376, 382—384, 387.

ღოთფი [გოთი, გუთი] 348.

შავშ-კლარჯი 161.

ხახულელი 120.

ჰურია ნ. ურია.

3. გეოგრაფიული სახელები

აბაზგია 103.
ადიში 63.
აჯარია 325, 336.
აზია 126, 154.
ათენი, ათინა 35, 128.
ათინა ნ. ათენი.
ათონი 29, 79, 120, 256, 260, 345.
ალანია 103.
ალბანეთი 103.
ალექსანდრია 26.
ანისი 114, 140, 158.
ანტიოქია 30, 35, 155, 157, 183, 256,

257; 259.
ანჩისხატი 77.
არაგვი (მდ.) 113.
არაგვი (საერისთავო) 148.
არდაველი 140.
არმაზი 24, 113, 155, 219.
არქეოპოლისი 66, 175.
არშაკეთი 180.
არხოტი 208.
ასპინძა 316.
ასტრახანი 295.
აფხაზეთი 258, 351.
აჩხოტი 209.
ახალქალაქი 281.
ახალციხე 209, 309.
ახტალა 101.

ბაბილონი 203.
ბათუმი 384.
ბალთის [ბალტიის] ზღვა 213.
ბანდარი 164.
ბარაკონი 308.
ბერთა 120.
ბიზანტია 26, 65, 67, 101, 135, 144, 153, 175, 183, 222, 224, 225, 229, 236, 238.
ბიზანტიონი 145.
ბოდბე 342.
ბოლნისი 67, 68, 251.
ბუქარესტი 121.

გალლია [საფრანგეთი] 302, 303.
განძაკი 180.
გარესჯა ნ. დავით-გარეჯა.
გელათი 71—73, 106, 364, 368.
გენესარეთის ტბა (ბიბ.) 357.
გეორგიევსკი (ქალ.) 295.
გორი 351.
გორისციხე 209.
გურია 351.
Грузия 63, 68, 75, 114, 143, 220, 230.

დავით-გარეჯა, გარესჯა 70, 76, 271.
დარუბანდი 140.
დიდგორი 155, 157.
დიღუბე 364.
დიოსკურია 75.
დოდორქა 70.
დუშეთი 185.

ეგვიპტე 99.
ევროპა 126, 129, 154, 270, 348.
ევფრატი (მდ.) 109.
ეთიოპია 290.
ელლადა [საბერძნეთი] 303.
ერან-ოსმალეთი 145.
ერაყი 140.
ერწუხი 34.
ესებონის ტბა (ბიბ.) 290.

ვანი 125.
ვარდციხე 66.
ვახანი 282.

ზადენი (მთა) 113.
Закавказье 306.

თბილისი, ტფილისი 46, 51, 64, 77, 78, 87, 102; 122; 186, 196, 208—210, 213, 294, 295, 327, 328, 346, 347, 351, 371, 372 382, 386, 387.
თელავი 77—79, 87, 200, 294, 295, 297, 298, 300, 306, 323, 325, 339, 383—385.
თემისკვირი 64.
თერმოდონტი 64.
თურქეთი 166, 308, 384.

იბერია, ივერია 24, 29, 103, 120, 143, 144, 155, 179, 219, 222, 256, 260, 310, 343—345.
იერიქო (ბიბ.) 283, 290.
იერუსალიმი 54, 79, 119, 265, 345.
ივერია ნ. იბერია.
იმერეთი 87, 147, 291, 283, 308, 340, 350, 351.
იორდანე (ბიბ.) 109.
იორი 325.
ირანი 87.
ისანი 76.
იტალია 129, 270.
იყალთო 73.
იშხანი 120.

კავკასია 64, 66, 145, 231, 232, 296.
კავკასიონი 75, 178.
კალოუბანი 77.
კაცხი 308.
კახეთი 68, 87, 148, 185, 306, 319, 323, 325, 385.
კლარჯეთი 161, 192.
კოლხეთი 25, 26, 64—66, 134, 155, 175, 225, 226, 228—230, 232, 234.
კონდოლი 306.
კონსტანტინეპოლი 26, 79, 119, 256, 345.
კრწანისი 322, 323.

ლაზიკა 103, 228—230, 232, 237, 238.
ლენინგრადი 295.
ლონდონი 130.
ლორე 163.

მაკედონია 303.
მანგლისი 319.
მესხეთი 161.
მეტეხი 77, 339.
მთიულეთი 141.
მინდა 308.
მოსკოვი 294, 339.
მოხირისი 26, 66, 155, 225—227.
მტკვარი 97.
მცირე აზია 64, 99.
მცხეთა 24, 112, 143, 155, 163, 256, 259, 311.

ნახარეობუ 328.
ნეკრესი, ნელქარისი 68—70, 77, 298, 319, 321.
ნელქარისი ნ. ნეკრესი.
ნიახურა 322, 325.
ნიკოფსია 140, 258.
ნოქალაქევი 66.
ოვსეთი ნ. ოსეთი.
ონოგურისი 66.
ოპიზა 120, 131.
ოსეთი, ოვსეთი 132, 351.
ოსმალეთი 87, 150, 211.
ოშკი 120.

პალესტინა 80, 119, 120.
პარიზი 146, 157.
პარხალი 63, 120.
პეტერბურგი 185, 294, 308, 339, 340, 351.
პეტრა 66.
პეტრიწონი 80, 120.
პონტო 64, 65.
პსკოვი 351.

რაჭა 308, 351.
რიონი (მდ.) 65.
რომ-გური 140.
რომი 23, 64, 85, 99, 100, 119, 127; 128, 129, 143, 153, 176, 219, 220, 270, 302, 303.
როსსია ნ. რუსეთი.
რუის-ურბნისი 75, 135, 183, 184, 267.
რუმი 161.
რუმინეთი 121.
რუსეთი 87, 88, 130, 142, 147, 154, 165, 166, 168, 170, 171, 185, 199, 200, 211, 281, 294—297, 302, 303, 306, 308—310, 317, 318, 322, 339, 340, 342, 344. 346, 348, 384.
Рим 24, 143.

საბერძნეთი 29, 64, 99, 127, 220; 256, 257, 259.
სამეგრელო 149—151, 351.
სამცხე 161.
სამცხე-საათაბაგო 211.
საფრანგეთი 129, 146, 154, 168, 170, 270.
საქართველო 7, 9, 23, 26, 29, 30. 32—34, 36—38, 47, 55, 61, 63. 65, 66—69, 71—75, 79, 84—88, 102, 111, 117, 120, 124, 225, 128; 130, 131, 134, 138, 140, 142. 145—148, 161—165, 172—174, 183, 198, 200, 207, 210. 211, 214, 215, 220, 225, 228, 229, 251. 256, 257, 259—261, 266, 270, 281, 282, 291—295, 305—309, 311, 315, 316, 323, 325, 328, 335,

339—343, 347. 348. 350. 351, 364, 366, 376, 378, 379, 382, 385, 386.
საციციანო (მთა) 281.
სვანეთი 75, 186, 351. 387.
სივანი 209.
სინას მთა 80, 119.
სიონი (თბილისისა) 77, 295, 310.
სირია 99.
სკანდე 66.
სნო 209.
სომხეთი 125.
სომხითი 160.
სპარსეთი 26, 85, 140, 144. 180, 225. 229, 232, 234. 236, 238.
სტავროპოლი 295.
სტეფანწმინდა 209.
სურამი 281.
სუსანია 103.

ტაო 161. 162.
ტაო-კლარჯეთი 120.
ტაშისკარი 161.
ტბათანა 206.
ტბეთი 120.
ტელეფისი 225. 229.
ტფილისი ნ. თბილისი.

ულუმბო (მთა) 79, 119.

ფაზისი, ფასიდი 64, 65, 103.
ფასიდი ნ. ფაზისი.
ფოთი 25, 174.
ფუსტა 103.
ფშავი 33.
ფშავ-ხევსურეთი 197.
ფხიტუ (მთა) 206.
Франция 170.

ქალქედონი 123.
ქანანი (ბიბ.) 109.
ქარანი (ბიბ.) 109.
ქართლი 8, 24, 27, 29, 31—33, 35. 48, 50, 52, 53, 55. 61, 65. 68. 69, 71, 75—77, 87, 111 — 113. 125, 131, 133—135, 139, 140. 142—145, 148, 154, 156—160, 162, 180, 195, 198, 206. 211. 219, 229, 246, 248. 257, 270. 272, 323, 344.
ქართლ-კახეთი 42, 87. 147. 148, 305—307, 385.
ქაშვეთი (თბილისისა) 77.
ქებრონი (ბიბ.) 109.
ქერონეა 202.
ქვაბთახევი 339.
ქიზიყი 62, 280.
ქსანი (საერისთაო) 148.
ქუთაისი 132, 208, 361, 363, 371, 382, 387.

ღრტილა 124.

უანობი 209.
უარსი 384.

შავი ზღვა 65.
შავი მთა 80, 120.
შამქორი 76, 159.
შატბერდი 27, 28, 120.
შორაპანი 66.
შუამდინარე 109.

ჩხერი 281, 282.

ცაგერი 327—329.

წილკანი 319.
წინამძღვარიანთ-კარი 373, 376.
წუაროსთავი 120.

ჭყონდიდი 327—329.

ხანძთა 27, 28, 120. 191.
ხატაეთი 165.
ხახული 120.
ხევი 209.
ხევსურეთი 33.
ხუარახანი 140.

ჯავახეთი 281.
ჯრუჭი 63.

ჰარცი 377.
ჰრომი ნ. რომი.

2. ძირითადი ლიტერატურის ინდექსი

შემოკლებული დასახელება	სრული დასახელება	დასახელების ადგილი
1. ავალიშვილი ზ., ჯვაროსანთა დროიდან	ზ. ავალიშვილი, ჯვაროსანთა დროიდან, პარიზი, 1929.	35, 157, 158.
2. ამბროხი ნეკრესელი, ქადაგებანი და მოძღვრებანი	ქადაგებანი და მოძღვრებანი, თქმულნი ამბროხი ნეკრესელ ეპისკოპოზის მიერ, გამოცემული ალექსანდრე ეპისკოპოზის მიერ, თბილისი, 1881.	319—323, 325.
3. ანტონ პირველი, წყობილსიტყვაობა	წყობილ-სიტყუაობა, ქმნილი ანტონისაგან პიროუპლისა კათოლიკოს-პატოიარხისა ყოვლისა საქართუ-ლოჲსა, გამოცემა პლატონ იოსელიანისა, თფილისი, 1853.	39, 40, 41, 52, 55, 116, 117, 123, 252.
4. ანტონ ჴუნდიდელი, ქადაგებანი	ანტონ ჴუნდიდელი, ქადაგებანი, ქუთაისი, 1898.	329, 330, 332, 333.
5 არჩილი, არჩილიანი, II	არჩილი, არჩილიანი, ტომი მეორე, ალ. ბარამიძისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბილისი, 1937.	164, 213.
6. ახურელ მოღვაწეთა ცხოვრების წიგნთა ძველი რედაქციები	ახურელ მოღვაწეთა ცხოვრების წიგნთა ძველი რედაქციები, გამოცემა ილია აბულაძისა, თბილისი, 1955.	69.
7. აფაქიძე ა. მცხეთა	ა. აფაქიძე, მცხეთა — ქართლის სამეფოს ძველი დედაქალაქი, თბილისი, 1959.	143.
8. Акты, I	Акты собранные кавказской археографической комиссией, под редакцией Ад. Берже, I, Тифлис, 1866.	306, 308.
9. Аристотель, Риторика	Аристотель, Риторика, книга третья, пер Н. Платоновой (Античные мыслители об искусстве, общая редакция, вводная статья и комментарии В. Ф. Асмуса, Москва, 1938).	17—19.

1	2	3
10. ბაგრატიონი დ., საქართველოს სამართლისა და კანონთმცოდნეობის მიმოხილვა	დავით ბაგრატიონი, საქართველოს სამართლისა და კანონთმცოდნეობის მიმოხილვა, აპოლონ როგავას რედაქციითა და გამოკვლევით, თბილისი, 1959.	55, 173, 185.
11. ბალავარიანი	ბალავარიანის ქართული რედაქციები, გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ილია აბულაძემ, ა. შანიძის რედაქციით, თბილისი, 1957.	53, 54.
12. ბალთაური მ. და მაკალათია ნ., მიცვალებულის კულტი არხოტის თემში	მ. ბალთაური და ნ. მაკალათია, მიცვალებულის კულტი არხოტის თემში (მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, III, თბილისი, 1940).	208.
13. ბარამიძე ა., საჯარო პაექრობა თელავის სემინარიაში	ა. ბარამიძე, საჯარო პაექრობა თელავის სემინარიაში (სწავლა-აღზრდის ისტორია საქართველოში, ტფილისი, 1937).	77, 299.
14. ბარნაბიშვილი ნ., იონა ხელაშვილი	ნ. ბარნაბიშვილი, ბერი იონა ხელაშვილი („სახალხო გაზეთი", 1911, № 347, 348).	340.
15. ბერძენიშვილი ნ. და სხვ., საქართველოს ისტორია, I	ნ. ბერძენიშვილი, ვ. დონდუა, მ. დუმბაძე, გ. მელიქიშვილი, შ. მეხია, პ. რატიანი, საქართველოს ისტორია, I, უძველესი დროიდან XIX საუკუნის დასასრულამდე, თბილისი, 1958.	282, 325.
16. ბერძენიშვილი ნ., მასალები მეთერთმეტე საუკუნეში სწავლა-აღზრდის შესახებ	ნ. ბერძენიშვილი, მასალები მეთერთმეტე საუკუნეში სწავლა-აღზრდის შესახებ (სწავლა-აღზრდის ისტორია საქართველოში, ტფილისი, 1937).	31.
17. ბოროზდინი კ., სამეგრელო	კ. ბოროზდინი, სამეგრელო და სვანეთი, 1854—1861, მოგონებანი, თარგმნილი თ. ხახოკიახ მიერ, თბილისი, 1934.	150, 151.
18. ბოჟორიშვილი ა., გაბრიელ ჭიქოძის „ცდისეული ფსიქოლოგიის საფუძვლები"	ა. ბოჟორიშვილი, გაბრიელ ჭიქოძის „ცდისეული ფსიქოლოგიის საფუძვლები" (ფსიქოლოგია, VII, თბილისი, 1950).	358.

1	2	3
19. Блинов И. Я., Выразительное чтение и культура устной речи	И. Я. Блинов, Выразительное чтение и культура устной речи, Москва, 1946.	20.
20. გაბაშვილი ბ., თხზულებათა სრული კრებული	ბესარიონ გაბაშვილი, თხზულებათა სრული კრებული, ალ. ბარამიძისა და ვ. თოფურიას რედაქციით, ტფილისი, 1932.	213
21. გაბაშვილი ვ., სულხან-საბა ორბელიანი როგორც დიპლომატი	ვ. გაბაშვილი, სულხან-საბა ორბელიანი როგორც დიპლომატი (სულხან-საბა ორბელიანი, საიუბილეო კრებული, თბილისი, 1959).	146.
22. გაბაშვილი ვ., იოსებ ქართველი	ვ. გაბაშვილი, იოსებ ქართველი—XVIII ს-ის დიპლომატი და ისტორიკოსი (მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 32, თბილისი, 1955).	146.
23. გაბრიელი, ქადაგებანი 24. ბანი, I, II	ქადაგებანი იმერეთის ეპისკოპოზის გაბრიელისა, თქმულნი 1860-1870 წლებში, ტომი პირველი, გამოცემა მესამე, ტფილისი, 1884; იგივე, თქმულნი 1870-1884 წლებში, ტომი მეორე, გამოცემა მეორე, ქუთაისი, 1913.	I—353—359. II—354, 358, 359.
25. განრიგება პელმწიფის კარისა	განრიგება პელმწიფის კარისა (ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი მეხუთე, თბილისი, 1953).	131.
26. გეორგიკა, II, 27. III, IV-I 28.	გეორგიკა, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტომი მეორე, ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო ხიმონ უაუხიშვილმა, ტფილისი, 1934; იგივე, ტომი მესამე, 1936; იგივე, ტომი მეოთხე, ნაკვეთი I, 1941.	II—25, 26, 145, 226. III—25, 26. 66, 175, 225. 231, 232, 238. IV-I—103.
29. გიორგი მერჩულე, ცხორება გრიგოლ ხანძთელისა	გიორგი მერჩულე, ცხორება გრიგოლ ხანძთელისა და მოყუასთა და მოწაფეთა მისთა, დედანი აღადგინა და გამოკვლევა დაურთო პაველ ინგოროყვამ, I, აღდგენილი დედანი, თბილისი, 1949.	8, 27—29, 50, 53, 191, 193, 212.

1	2	3
30. გიორგი მთაწმიდელი, ცხორება იოვანესი და ეფთვიმესი	გიორგი მთაწმიდელი, ცხორებაჲ იოვანესი და ეფთვმესი, გამოსაცემად დაამზადა ივ. ჯავახიშვილმა, თბილისი, 1946.	29, 182.
31. გოზალიშვილი გ., არის თუ არა ბერძნულ-ლათინური წყაროების ბაკური იბერიის მეფე?	გ. გოზალიშვილი, არის თუ არა ბერძნულ-ლათინური წყაროების ბაკური იბერიის მეფე? (მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, თბილისი, 1947).	24, 222.
32. გოცაძე მ., სოლომონ დოდაშვილი	მ. გოცაძე, სოლომონ დოდაშვილი (ცხოვრება და მოღვაწეობა), თბილისი, 1955.	346.
33. გურამიშვილი დ., დავითიანი	დავით გურამიშვილი, დავითიანი, ალ. ბარამიძისა და ს. ორდანიშვილის რედაქციით, თბილისი, 1931.	213.
34. Гофман В., Слово оратора	В. Гофман, Слово оратора, Ленинград, 1932.	19.
35. დადიანი შ., სილუეტი ნიკო დადიანისა	შალვა დადიანი, სილუეტი ნიკო დადიანისა („ქართული მწერლობა", 6—7, თბილისი, 1927).	363.
36. დოდაშვილი ს., რიტორიკა	ს. დოდაშვილი, რიტორიკა (დ. ჭუმბიშვილი, თ. კუკავა, სოლომონ დოდაშვილის „რიტორიკა",—„მნათობი", 1955, № 1).	44, 52, 56—58.
37. დოლიძე ე., ძველი ქართული სამართალი	ე. დოლიძე, ძველი ქართული სამართალი, თბილისი, 1953.	59, 161, 179, 182, 187.
38. Демосфен, Речи	Демосфен, Речи, перевод с греческого, статья и примечания профессора С. И. Радцига, Москва, 1954.	16, 19, 20.
39. Дион Кассий, Римская история, XXXVII, 1—2	Дион Кассий Кокцеан, Римская история, XXXVI, 50 – XXXVII, 5 (В. В. Латышев, Известия древних писателей о Скифии и Кавказе, часть первая, Греческие писатели,—Вестник древней истории, 2, М.-Л., 1948).	24, 143.
40. Добролюбов Н. А., Основания опытной психологии Гавриила	Н. А. Добролюбов, Основания опытной психологии, сочинение архимандрита Гавриила (Н. А. Добролюбов, собрание сочинений, том 2, Москва, 1952).	357.

1	2	3
41. Дубровин Н., Закавказье...	Н. Дубровин, Закавказье от 1803-1806 года, Петербург, 1866.	306.
42. Damaschke A., Geschichte der Redekunst	Adolf Damaschke, Geschichte der Redekunst, Jena, 1921.	32, 240.
43. ენგელსი ფ., შრომის როლი მაიმუნის ადამიანად გარდაქმნის პროცესში	ენგელსი ფ., შრომის როლი მაიმუნის ადამიანად გარდაქმნის პროცესში (კ. მარქსი, ფ. ენგელსი, რჩეული ნაწერები, ტომი II, თბილისი, 1950).	14
44. ენგელსი ფ., ადრინდელი ქრისტიანობის ისტორიისათვის	ფრიდრიხ ენგელსი, ადრინდელი ქრისტიანობის ისტორიისათვის, თბილისი, 1939.	99
45. Энгельс Ф., Дневник вольнослушателя	Ф. Энгельс, Дневник вольнослушателя (Об ораторском искусстве, составил А. Гольмачев, Москва, 1958).	20.
46. ვაჟა-ფშაველა, ფშაველები	ვაჟა-ფშაველა, ფშაველები, მათი სხვადასხვა ჩვეულება, ცრუმორწმუნეობა და ხატები (ვაჟა-ფშაველა, ტომი მეშვიდე, ალ. აბაშელიძის რედაქციით, თბილისი, 1956).	102, 196, 197.
47. ვახუშტი, საქართველოს გეოგრაფია	ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა (საქართველოს გეოგრაფია) თ. ლომოურის და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბილისი, 1941.	102. 207.
48. ვეხვამიანი	ვეხვამიანი, ალ. ბარამიძის, ბ. ონგროუვის და კ. კეკელიძის რედაქციით და შესავალი წერილით, ტფილისი, 1938.	53, 54, 58.
49. Ворожейкин Е. М., Суд присяжных и судебное красноречие Франции XIX века	Е. М. Ворожейкин, Суд присяжных и судебное красноречие Франции XIX века (Судебные ораторы Франции XIX века, речи в политических и уголовных процессах, составитель Е. М. Ворожейкин, Москва, 1959).	170.
50. Ворожейкин Е., Выдря М., Предисловие	Е. Ворожейкин, М. Выдря, Предисловие (Судебные речи известных русских юристов, сборник, составитель Е. М. Ворожейкин, Москва, 1958.)	171.

1	2	3
51. Weller M., Das Buch der Redekunst	Maximilian Weller, Das Buch der Redekunst, Düsseldorf, 1956.	20, 101.
52. თამარაშვილი მ., ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის	მიქელ თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, ტფილისი, 1902.	146, 147.
53. თეიმურაზ ბატონიშვილი, საქართველოს ისტორია, II	თეიმურაზ ბატონიშვილი, შემოკლებული მოთხრობა საქართუელოისა, ნაწილი მეორე, მ. ბროსეს გამოცემა, პარიზი, 1833.	62, 207, 311.
54. თემისტიოსი, XXVII სიტყვა	თემისტიოსი, XXVII სიტყვა (ხ. ყაუხჩიშვილი, რიტორიკული განათლების ცენტრი ძველს კოლხეთში,— მუზეუმის მოამბე, X, თბილისი, 1940).	24, 65.
55. იაკობ ცურტაველი, მარტკლობაჲ შუშანიკისი	იაკობ ცურტაველი, მარტკლობაჲ შუშანიკისი, გამოცემა ილია აბულაძისა, ტფილისი, 1938.	179.
56. ინგოროყვა პ., გიორგი მერჩული	პავლე ინგოროყვა, გიორგი მერჩული, ქართველი მწერალი მეათე საუკუნისა, ხარკევი ძველი საქართველოს ლიტერატურის, კულტურის და სახელმწიფოებრივი ცხოვრების ისტორიიდან, თბილისი, 1954.	29, 173, 174, 182, 192, 194, 197, 198, 256.
57. ინგოროყვა პ., ძველქართული სასულიერო პოეზია	პ. ინგოროყვა, ძველ-ქართული სასულიერო პოეზია, წიგნი I, ტექსტები, ტფილისი, 1913.	191, 192.
58. ინგოროყვა პ., ქართული მწერლობის ისტორიის მოკლე მიმოხილვა	პავლე ინგოროყვა, ქართული მწერლობის ისტორიის მოკლე მიმოხილვა („მნათობი", 1939, № 4).	38.
59. იოანე ბატონიშვილი, 60. კალმასობა, I, II	იოანე ბატონიშვილი, კალმასობა, ტომი პირველი, კ. კეკელიძისა და ალ. ბარამიძის რედაქციით, ტფილისი, 1936; იგივე, ტომი მეორე, 1948.	I—39, 42. II—39, 43, 52, 55, 56, 58, 117, 123, 280, 294, 307.
61. იოანე ბოლნელი, ქადაგებანი	იოანე ბოლნელ ეპისკოპოსის ქადაგებანი, მოსე ჯანაშვილის წინასიტყვაობით, ტფილისი, 1911.	252, 254.

1	2	3
62. იოანე პეტრიწი, შრომები, II	იოანე პეტრიწის შრომები, ტომი II, განმაპირობებელ პროკლესთვის დიადოხოსისა და პლატონურისა ფილოსოფიისათვის, ტექსტი გამოსცეს და გამოკვლევა დაუთოეს შ. ნუცუბიძემ და ს. ყაუხჩიშვილმა, ტფილისი, 1937.	10, 39, 50, 51, 54, 55, 72, 95, 138, 171, 189, 203.
63. იოხებ ტფილელი, დიდმოურავიანი	იოხებ ტფილელი, დიდმოურავიანი, გიორგი ლეონიძის რედაქციით, თბილისი, 1939.	213.
64. იოხელიანი პ., ცხოვრება გიორგი მეცამეტისა	პლატონ იოხელიანი, ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, აკაკი გაწერელიას შესავალი წერილებით, რედაქციითა და შენიშვნებით, ტფილისი, 1936.	148, 307, 311.
65. ისტორიანი და აზმანი ...	ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, (ცდა ტექსტის აღდგენისა), აკად. კორნ. კეკელიძის რედაქციითა და გამოკვლევით, თბილისი, 1941.	35, 36, 125, 126.
66. კაკაბაძე ს., წვრილი შტუდიები ...	ს. კაკაბაძე, წვრილი შტუდიები საქართველოს ისტორიის საკითხების შესახებ, ტფილისი, 1914.	163.
67. კანდელაკი ნ., სოლომონ ლიონიძე და მისი მშვერმეტყველება	ნიკოლოზ კანდელაკი, სოლომონ ლიონიძე და მისი მშვერმეტყველება (სოლომონ ლიონიძე. სიტყვა თქმული ერეკლე მეორის დაკრძალვაზე, ტექსტი დაადგინა, ნარკვევი წაუმძღვარა და საძიებლები დაუთო ნიკოლოზ კანდელაკმა, თბილისი, 1957).	312.
68. კახაძე მ., ლახიკა VI საუკუნეში	მ. კახაძე, ლახიკა VI საუკუნეში და სტრატეგოსი ჯიბუ (მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 31, თბილისი, 1954).	237.
69. კეკელიძე კ., ძველი ქართული მწერლობის ისტორია I	კორნელი კეკელიძე. ძველი ქართული მწერლობის ისტორია, ტომი პირველი, მესამე, გადამუშავებული და შევსებული გამოცემა, თბილისი, 1951.	41, 66, 78, 82, 104, 105, 107, 111, 122, 123, 183, 191, 261, 266, 267, 320, 340.

1	2	3
70. კეკელიძე კ., ადრინდელი ფეოდალური ქართული ლიტერატურა	კორნ. კეკელიძე, ადრინდელი ფეოდალური ქართული ლიტერატურა, ტფილისი, 1935.	247.
71. კეკელიძე კ., „ჯოდების“ ჟანრი და „გლოვის წესი“ ძველს ქართულს ლიტერატურაში	კ. კეკელიძე. „გოდების“ ჟანრი და „გლოვის წესი“ ძველს ქართულს ლიტერატურაში (თბილისის სახ. უნივერსიტეტის შრომები, XXXIII, 1948).	204.
72. კეკელიძე კ., იერემია იბერიელი	კ. კეკელიძე, იერემია იბერიელი, ანტიხესტორიანი მოღვაწე V საუკუნისა (ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე, IX, ტფილისი, 1929).	123.
73. კეკელიძე კ., ორი ეპითიმე ძველ ქართულ მწერლობაში	კ. კეკელიძე, ორი ეპითიმე ძველ ქართულ მწერლობაში (ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, IV, თბილისი, 1957).	124.
74. კელენჯერიძე მ., გაბრიელი	მელიტონ კელენჯერიძე, გაბრიელი, ეპისკოპოსი იმერეთისა (მისი დრო, ცხოვრება და მოღვაწეობა), ქუთაისი, 1913.	351.
75. კერნბახი გ., რუმინელ და ქართველ ხალხთა კავშირი ძველთაგან	ვიქტორ კერნბახი, რუმინელ და ქართველ ხალხთა კავშირი ძველთაგან („ცისკარი“, 1959, № 3).	121.
76. კიკნაძე გრ., მეტყველების სტილის საკითხები	გრიგოლ კიკნაძე, მეტყველების სტილის საკითხები, თბილისი, 1957.	18, 375.
77. კირიონი და ყიფშიძე გრ., სიტყვიერების თეორია	კირიონი და გრ. ყიფშიძე, სიტყვიერების თეორია, ტფილისი, 1898.	26.
78. კოლხიდელი მ., გლეხების აჯანყება სამეგრელოში და სახალხო ტრიბუნი უტუ მიქავა	მ. კოლხიდელი, გლეხების აჯანყება სამეგრელოში 1857 წ. და სახალხო ტრიბუნი უტუ მიქავა, ტფილისი, 1926.	149.
79. კუკავა თ., სოლომონ დოდაშვილი და მისი მსოფლმხედველობა	თ. კუკავა, სოლომონ დოდაშვილი და მისი მსოფლმხედველობა, თბილისი, 1955.	45, 346.
80. Калдаришвили Гр., Очерки по истории логики в Грузии	Гр. М. Калдаришвили, Очерки по истории логики в Грузии, материалы и опыт исследования, Тбилиси, 1955.	237.

1	2	3
81. Катаев Н., Очерк истории русской церковной проповеди	Очерк истории русской церковной проповеди, преподавателя Одесской духовной семинарии Н. Катаева, издание второе, Одесса, 1883.	107.
82. Крупская Н., Ленин как пропагандист и агитатор	Н. Крупская, Ленин как пропагандист и агитатор (Ленин о пропаганде и агитации, Москва, 1956).	16.
83. Cornelius Tacitus, Annales	Cornelius Tacitus, Annales, Lipsiae, 1913.	23.
84. ლენინი ვ. ი., რა ვაკეთოთ?	ვ. ი. ლენინი, რა ვაკეთოთ? (ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, გამოცემა მეოთხე, ტომი 5, თბილისი, 1949).	17.
85. ლენინი ვ. ი., ლოზუნგების შესახებ	ვ. ი. ლენინი, ლოზუნგების შესახებ და სათათბიროში და სათათბიროს გარეთ სოციალ-დემოკრატიული მუშაობის დაყენების შესახებ (გამოცემა იგივე, იქვე).	19.
86. ლენინი ვ. ი., სამი შეკითხვა	ვ. ი. ლენინი, სამი შეკითხვა (გამოცემა იგივე, ტომი 17, 1951).	16, 17.
87. ლენინი ვ. ი., ერთა თვითგამორკვევის უფლების შესახებ	ვ. ი. ლენინი, ერთა თვითგამორკვევის უფლების შესახებ (გამოცემა იგივე, ტომი 20, 1951).	14.
88. ლენინი ვ. ი., რევოლუციური ფრაზის შესახებ	ვ. ი. ლენინი, რევოლუციური ფრაზის შესახებ (გამოცემა იგივე, ტომი 27, 1952).	16.
89. ლენინი ვ. ი., სიტყვა სახალხო განათლების პოლიტგანების თათბირზე	ვ. ი. ლენინი, სიტყვა სახალხო განათლების პოლიტგანების სრულიად რუსეთის თათბირზე (გამოცემა იგივე, ტომი 31, 1952).	17.
90. ლეონიძე გ., ძიებანი, I	გ. ლეონიძე, ძიებანი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, XVII-XVIII ს., ტომი I, თბილისი, 1949.	272.
91. ლეონიძე გ., ანთიმ ივერიელი	გიორგი ლეონიძე, ანთიმ ივერიელი, ქართული ეროვნული სტაბის ისტორიისათვის („დროშა", 1951, № 2).	121.
92. ლიბანიოხი, წერილები	ლიბანიოხი, წერილები (ხ. ყაუხჩიშვილი, ლიბანიოსი და ბაკური.— ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, I, 1940).	24.

1	2	3
93. ლეონიძე ს., სიტყვა თქმული ერეკლე მეორის დაკრძალვაზე	ხოლომონ ლეონიძე, სიტყვა თქმული ერეკლე მეორის დაკრძალვაზე, ტექსტი დაადგინა, ნარკვევი წაუძღვარა და საძიებლები დაურთო ნიკოლოზ კანდელაკმა, თბილისი, 1957.	312.
94. ლოლაშვილი ი., სულხან-საბა ორბელიანის ლიტერატურული მოღვაწეობიდან	ივანე ლოლაშვილი, სულხან-საბა ორბელიანის ლიტერატურული მოღვაწეობიდან (1698—1713 წწ.), თბილისი, 1959.	70, 271.
95. Ленцман Я., Происхождение христианства	Я. А. Ленцман, Происхождение христианства, Москва, 1958.	100.
96. Ломоносов М. В., Краткое руководство к красноречию	М. В. Ломоносов, Краткое руководство к красноречию (М. В. Ломоносов, полное собрание сочинений, том седьмой, М.-Л., 1952).	19, 46.
97. მამათა ხწავლანი	მამათა ხწავლანი, X-XI ს.-თა ხელნაწერების მიხედვით, გამოსცა ილია აბულაძემ, ა. შანიძის რედაქციით, თბილისი, 1955.	49, 50, 107
98. მანსვეტაშვილი ი., მოგონებანი	იაკობ მანსვეტაშვილი, მოგონებანი, ლევან ხახიანის რედაქციით, ტფილისი, 1936.	373.
99. მთვარელიშვილი ნ., თელავის სემინარია	ნ. მთვარელიშვილი, თელავის სემინარია და პირველი მისი რექტორი გაიოზ ნაცვლიშვილი („ივერია", 1881, № VIII).	297, 298.
100. მოხე ხონელი, ამირან-დარეჯანიანი	მოხე ხონელი, ამირან-დარეჯანიანი, ხარგის კაკაბაძის რედაქციით, თბილისი, 1939.	54.
101. მოქცევაჲ ქართლისაჲ	მოქცევაჲ ქართლისაჲ (სამი ისტორიული ხროხიკა, გამოცემული ექვთიმე თაყაიშვილის მიერ, ტფილისი, 1890).	48, 50, 67—69.
102. Маркс К., Святой Макс	К. Маркс, Святой Макс (К. Маркс и Ф. Энгельс, Сочинения, том IV, Москва, 1933).	14.
103. Маркс К., Кризис кабинета	К. Маркс, Кризис кабинета (Об ораторском искусстве, составил А. Толмачев, Москва, 1958).	16.

1	2	3
104. Марр Н. Я., Надпись Епифания, католикоса Грузии	Н. Я. Марр, Надпись Епифания католикоса Грузии (Известия императорской Академии Наук, VI серия, Петербург, 1910).	114, 115.
105. Махатадзе Н. Г., Гражданские мотивы в памятниках грузинского красноречия XVIII века	Н. Г. Махатадзе, Гражданские мотивы в памятниках грузинского красноречия XVIII века, автореферат, Тбилиси, 1955.	271.
106. Меликишвили Г. А., К истории древней Грузии	Г. А. Меликишвили, К истории древней Грузии, Тбилиси, 1959.	63, 68, 75, 143, 220.
107. Меликова-Толстая С., Античные теории художественной речи	С. Меликова-Толстая, Античные теории художественной речи (Античные теории языка и стиля, под общей редакцией О. М. Фрейденберг, М.-Л., 1936).	18.
108. ნადირაძე გ., რუსთაველის ესთეტიკა	გეორგი ნადირაძე, რუსთაველის ესთეტიკა, თბილისი, 1958.	136.
109. ნუცუბიძე შ., ქართული ფილოსოფიის ისტორია, I	შალვა ნუცუბიძე, ქართული ფილოსოფიის ისტორია, ტომი პირველი, თბილისი, 1956.	25, 65, 69, 222, 224, 237, 239.
110. ონიაური თ., ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან	თ. ონიაური, ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან, თბილისი, 1954.	102.
111. ონიაური თ., ხევსურული მთიბლური სიმღერა—გვრინი	თ. ონიაური, ხევსურული მთიბლური სიმღერა—გვრინი („მიმომხილველი", II, თბილისი, 1951).	206.
112. Олар А., Ораторы революции, I, 113. II	А. Олар, Ораторы революции, том первый, перевод с французского Л. Борисовича, Москва, 1907; оригинал, том второй, 1908.	I-129. II-129.
114. Петровский Ф. А., Комментарии	Аристотель, Поэтика, перевод с древнегреческого В. Г. Аппельрота, редакция перевода и комментарии Ф. А. Петровского, Москва, 1957.	46.
115. ყვანია გ., ქართველი იურისტები	გახტანგ ყვანია, ქართველი იურისტები („მნათობი", 1959, № 2).	185.
116. ჯორდანია თ., ქრონიკები, I, 117. II	თ. ჯორდანია, ქრონიკები, I, ტფილისი, 1893; იგივე, II, 1897.	I-114. II-163.

1	2	3
118. ჟორდანია ნ., წინასიტყვაობა	ნ. ჟორდანია, წინასიტყვაობა (ანტონ ჰყონდიდელი, კადაგებანი, ქუთაისი, 1878).	327, 329.
119. როგავა აპ., ადვოკატთა ინსტიტუტის შესახებ ძველ საქართველოში	აპ. როგავა, ადვოკატთა ინსტიტუტის შესახებ ძველ საქართველოში („საბჭოთა სამართალი", 1958, № 4).	174.
120. Радциг С. И. Демосфен—оратор и политический деятель	С. И. Радциг, Демосфен—оратор и политический деятель (Демосфен, Речи, перевод с греческого, статьи и примечания профессора С. И. Радцига, Москва, 1954).	20, 202.
121. ხაბა, ლექსიკონი	ხულხან-ხაბა თრხელიანი, ქართული ლექსიკონი, ი. ყიფშიძისა და ა. შანიძის რედაქციით, ტფილისი, 1928.	49, 50, 54—58, 172, 205.
122. საქართველოს ხამოთხე	საქართუელოს ხამოთხე, სრული აღწერა ღუაწლთა და ვნებათა საქართუელოს წმიდათა, შეკრებილი და გამოცემული ეპისკოპოს (მიხაილ) ხაბინინის მიერ, პეტერბურღი, 1882.	124, 183, 291—293.
123. საქართველოს ცხოვრება, II	საქართველოს ცხოვრება, ტომი II, ე. თაყაიშვილის რედაქტორობით, ტფილისი, 1909.	131, 174, 214, 215.
124. საქართველოს ცხოვრება	საქართველოს ცხოვრება, მეორე გამოცემა ზ. ჭიჭინაძის მიერ, თბილისი, 1913.	164, 281.
125. საქმე მოციქულთა	საქმე მოციქულთა, ძველი ხელნაწერების მიხედვით. გამოსცა ილია აბულაძემ, ა. შანიძის რედაქციით, თბილისი, 1950.	55, 172.
126. ხტალინი ი. ბ., ლენინის შესახებ	ი. ბ. ხტალინი, ლენინის შესახებ (ი. ბ. ხტალინი. თხზულებანი, ტომი 6, თბილისი, 1949).	21.
127. ხტალინი ი., მარქსიზმი და ენათმეცნიერების საკითხები	ი. ხტალინი, მარქსიზმი და ენათმეცნიერების საკითხები, თბილისი, 1950.	14.
128. ხტრაბონი, გეოგრაფია	ხ. ყაუხჩიშვილი, სტრაბონის გეოგრაფია, ცნობები საქართველოს შესახებ, თბილისი, 1957.	23, 75, 103, 131, 143, 179

1	2	3
129. Тимофеев А., Очерки по истории красноречия	А. Г. Тимофеев, Очерки по истории красноречия, Петербург, 1898.	170.
130. Толмачев Я., Военное красноречие, II, 131. III	Военное краснорече, часть вторая, сочинение Якова Толмачева, Петербург, 1825; оригинал, часть третья.	II-154. III-154.
132. ფრანგიშვილი ა., ნარკვევები ...	ა. ფრანგიშვილი, ნარკვევები ადამიანის ფსიქოლოგიური ცოდნის ისტორიიდან საქართველოში (XVII-XVIII სს. და XIX ს. დასაწყისი), თბილისი, 1959.	272.
133. ქართლის ცხოვრება, 134. I, II	ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტომი I. თბილისი, 1955; იგივე, ტომი II, 1959.	I-8, 31-35, 50, 53, 55, 56, 58, 61, 68, 69, 71, 75, 111-114, 125, 133-135, 144, 145, 156, 157, 198, 206, 211, 219. II-31, 35-38, 52, 53, 55, 58, 76, 77, 139, 140, 142, 145, 158-160, 162.
135. ქართული მწერლობა	ქართული მწერლობა, ძეგლები და მასალები, წერილები. ნარკვევი წაუძღვარია და საძიებლები დაურთო ნიკოლოზ კანდელაკმა, თბილისი, 1958.	9, 24, 26, 27, 30, 51, 148, 158-160, 162, 163, 175, 176-178, 190, 219, 226, 227, 233-237, 239, 240-245, 248-250, 254, 255, 261-265, 267-269, 281, 283, 285, 286, 295, 298, 299, 301, 204, 309, 313-316, 323, 324, 336-338, 347 349, 364-368, 374-379, 383, 384, 386.
136. ჭიკოძე ზ., გაბრიელის საუნჯე	Зосе ჭიკოძე, სულმნათი გაბრიელის საუნჯე, ქუთაისი, 1897.	351, 356.

1	2	3
137. ქუთათელაძე ლ., ზაქარია გაბაშვილის რიტორული თხზულება	ლ. ქუთათელაძე, ზაქარია გაბაშვილის რიტორული თხზულება და მისი დაწერის თარიღი (საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, ტ. XIX-B, 1956).	282.
138. ქუთელია ალ., ნ. ა. დაბროლიუბოვი გაბრიელის „ცდისეული ფსიქოლოგიის საფუძვლების“ შესახებ	ალ. ქუთელია, ნ. ა. დობროლიუბოვი არქიმანდრიტ გაბრიელის „ცდისეული ფსიქოლოგიის საფუძვლების“ შესახებ („მნათობი“, 1943, № 7).	357.
139. ლამბაშიძე დ., ყოვლად სამღვდელო გაბრიელი	დ. ლამბაშიძე, ყოვლად სამღვდელო გაბრიელი ეპისკოპოსი იმერეთისა („მწყემსი“, 1896, № 2).	352.
140. ყაუხჩიშვილი ს., ბერძნული ლიტერატურის ისტორია, II	სიმ. ყაუხჩიშვილი, ბერძნული ლიტერატურის ისტორია, ტომი მეორე, თბილისი, 1949.	24, 65, 224, 240.
141. ყაუხჩიშვილი ს., ლიბანიოსი და ბაკური	ს. ყაუხჩიშვილი, ლიბანიოსი და ბაკური (ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, I, 1940).	222, 223.
142. ყაუხჩიშვილი ს., იოანე პეტრიწის ცხოვრება და მოღვაწეობა	სიმ. ყაუხჩიშვილი, იოანე პეტრიწის ცხოვრება და მოღვაწეობა (იოანე პეტრიწის შრომები, ტომი, I, გამოცემა სიმ. ყაუხჩიშვილისა, თბილისი, 1940).	94, 95.
143. ყაუხჩიშვილი ს., რიტორიკული განათლების ცენტრი ძველს კოლხეთში	ს. ყაუხჩიშვილი, რიტორიკული განათლების ცენტრი ძველს კოლხეთში (მუზეუმის მოამბე, X, თბილისი, 1940).	25.
144. ყაუხჩიშვილი ს., გელასი კესარიელი ქართლის მოქცევის შესახებ	ს. ყაუხჩიშვილი, გელასი კესარიელი ქართლის მოქცევის შესახებ (მიძომხილველი, I, ტფილისი, 1926).	24.
145. ყაუხჩიშვილი ს., გელათის აკადემია	სიმ. ყაუხჩიშვილი, გელათის აკადემია, თბილისი, 1948.	71, 72,
146. ყუბანეიშვილი ს., ამბროსი ნეკრესელი	ხოლ. ყუბანეიშვილი, ამბროსი ნეკრესელი, ცხოვრება და სალიტერატურო მოღვაწეობა (ლიტერატურული ძიებანი, III, თბილისი, 1947).	319.
147. შავთელი, აბდულ-მესიანი	შავთელი, აბდულ-მესიანი, გამოცემა ს. კაკაბაძისა, ტფილისი, 1937.	52, 56.
148. შანიძე ა., ქართული ხალხური პოეზია	ა. შანიძე, ქართული ხალხური პოეზია, I, ბევსურული, ტფილისი, 1931,	205, 206.

1	2	3
149. შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი	შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, სარედაქციო კოლეგია: ალ. ბარამიძე, კ. კეკელიძე, ა. შანიძე, თბილისი, 1951.	10, 52, 58, 86, 87, 130, 136-138, 164, 165, 194, 207.
150. ჩიტაია გ., წინასიტყვაობა	გ. ჩიტაია, წინასიტყვაობა, (მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, III, თბილისი, 1940).	205.
151. ჩიქობავა არნ., ენათმეცნიერების შესავალი	არნ. ჩიქობავა, ენათმეცნიერების შესავალი, თბილისი, 1952.	14.
152. ჩიქობავა არნ., ქართული ენის ზოგადი დახასიათება	არნ. ჩიქობავა, ქართული ენის ზოგადი დახასიათება (ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, პროფ. არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით, ტომი I, რედაქტორი არნ. ჩიქობავა, თბილისი, 1950).	84, 88, 334.
153. ჩუბინაშვილი გ., საქართველოს საერო ხუროთმოძღვრების რამდენიმე ნიმუში	გ. ჩუბინაშვილი, საქართველოს საერო ხუროთმოძღვრების რამდენიმე ნიმუში (ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე, III, 1923).	72, 73.
154. ცაიშვილი ხ., ნიკო დადიანი	ხოლომონ ცაიშვილი, ნიკო დადიანი, თბილისი, 1948.	361.
155. Цицерон, Речи	M. Туллий Цицерон, Полное собрание речей, редакция, введения и примечания Ф. Зелинского, т. I, Петербург, 1901.	19.
156. Цицерон, Оратор	Цицерон, Оратор (Античные теории языка и стиля, под общей редакцией О. М. Фрейденберг, М.-Л., 1936).	16.
157. Цицерон, О наилучшем роде ораторов	Цицерон, О наилучшем роде ораторов (Об ораторском искусстве, составил А. Толмачев, Москва, 1958).	20.
158. ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I	ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I, შედგენილი ხოლ. ყუბანეიშვილის მიერ, თბილისი, 1946.	27, 29-31, 48, 50, 51, 54, 56, 59, 109, 110, 119, 180, 181, 246, 257-260.

1	2	3
159. წერეთელი გ., არმაზის ბილინგვა	გიორგი წერეთელი, არმაზის ბილინგვა (აკად. ნ. მაროს სახელობის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის მოამბე, XIII, თბილისი, 1942).	24, 155.
160. ჭავჭავაძე ი., პასუხი	ი. ჭავჭავაძე, პასუხი (ილია ჭავჭავაძე, ხაწერების სრული კრებული, ტომი IV, პავლე ინგოროყვას და ალ. აბაშელის რედაქციით, ტფილისი, 1927).	369.
161. ჭავჭავაძე ი., შინაური მიმოხილვა, 1879, თებერვალი	ი. ჭავჭავაძე, შინაური მიმოხილვა, 1879 წელი, თებერვალი (გამოცემა იგივე, ტომი VI, 1927).	370.
162. ჭავჭავაძე ი., შინაური მიმოხილვა, 1882, სექტემბეიი	ი. ჭავჭავაძე, შინაური მიმოხილვა, 1882 წელი, სექტემბეიი (გამოცემა იგივე, იქვე).	370.
163. ჭავჭავაძე ი., სიტყვა, თქმული გაბრიელ ეპისკოპოსის დასაფლავების დღეს	ი. ჭავჭავაძე, სიტყვა, თქმული გაბრიელ ეპისკოპოსის დასაფლავების დღეს (გამოცემა იგივე, ტომი VII, 1928).	360.
164. ჭავჭავაძე ი., კატკოვის პასუხად	ი. ჭავჭავაძე, კატკოვის პასუხად (გამოცემა იგივე, ტომი IX, 1928).	165.
165. ჭავჭავაძე ი., წერილები	ი. ჭავჭავაძე, წერილები, I, იოხებ ბოცვაძეს რედაქციით, სოხუმი, 1949.	371.
166. ჭიჭინაძე ზ., სოლომონ ლეონიძე	ზ. ჭიჭინაძე, სოლომონ ლეონიძე, თფილისი, 1910.	306.
167. ჭყონია ალ., ისტორიული ნარკვევი	ალექსანდრე ჭყონია, ისტორიული ნარკვევი ახუ ქრისტომატია ს. ქართველოს ისტორიისათვის უძველეს დროიდამ ბაგრატიონთ გამეფებამდე, ტფილისი, 1890.	26.
168. ხელნაწერი A	A კოლექცია საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტისა (ყოფილი საეკლესიო მუზეუმის ფონდი).	47, 51, 57, 106, 271, 273, 340-342.
169. ხელნაწერი H	H კოლექცია იმავე ინსტიტუტისა (ყოფილი საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ფონდი).	47, 106, 166, 186, 195, 199, 213, 282, 287-289, 295, 306, 309, 310, 317, 318, 341, 347, 387.

1	2	3
170. ხელნაწერი S	S კოლექცია იმავე ინსტიტუტისა (ყოფილი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წიგნთსაცავის ფონდი).	45, 46, 47, 51, 62, 78, 106, 122, 340, 347.
171. Хидашели Ш. В., Барамидзе А. С., Общественно-политическая и философская мысль в Грузии	Ш. В. Хидашели, А. С. Барамидзе. Общественно-политическая и философская мысль в Грузии (Очерки по истории философской и общественно-политической мысли народов СССР, I, Москва, 1955).	230.
172. ჯავახიშვილი ი., ქართველი ერის ისტორია, I-II	ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი პირველი და მეორე, ტფილისი, 1913.	76.
173. ჯავახიშვილი ი., ქართველი ერის ისტორია, I	ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი პირველი, მესამე შევსებული და გადამუშავებული გამოცემა, ტფილისი, 1928.	24, 219, 225.
174. ჯავახიშვილი ი., ქართული სამართლის ისტორია, II, 1, II, 2 175.	ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წიგნი მეორე, ნაკვეთი პირველი, ტფილისი, 1928; იგივე, ნაკვეთი მეორე, 1929.	II-1-55, 138, 172. II-2-130, 174, 183.
176. ჯავახიშვილი ი., ძველი ქართული საისტორიო მწერლობა	ივ. ჯავახიშვილი, ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ახლა, წიგნი I, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, თბილისი, 1945.	247, 261.
177. ჯანაშვილი დ., ნეკრესის ეპარქია და ამბროსი	დიმიტრი ჯანაშვილი, ნეკრესის ეპარქია და ამბროსი (ქადაგებანი და ძოძღვრებანი, თქმული ამბროსი ნეკრესელ ეპისკოპოზის მიერ, თბილის, 1881).	321.
178. ჯანაშია ს., შრომები, II	სიმონ ჯანაშია, შრომები, II, თბილისი, 1952.	75, 143.

შ ი ნ ა ა რ ს ი

ნაწილი პირველი

ზოგადი საკითხები

1. შესავალი . 7
2. მკვლევრმეტყველების განსაზღვრა . 11
3. ქართული მკვლევრმეტყველების საისტორიო წყაროები 22
4. ქართული მკვლევრმეტყველების ტერმინოლოგია 48
5. ქართული მკვლევრმეტყველების კერები . 60
6. ქართული მკვლევრმეტყველების ისტორიის პერიოდები 81
7. ქართულ მკვლევრმეტყველების დარგებისათვის 91

ნაწილი მეორე

ქართული მკვლევრმეტყველების დარგები

1. სამქადაგებლო მკვლევრმეტყველება 99
2. სადარბაზო მკვლევრმეტყველება 127
3. სამხედრო მკვლევრმეტყველება 152
4. სამოსამართლო მკვლევრმეტყველება 168
5. სადღესასწაულო მკვლევრმეტყველება 188
6. სამგლოვიარო მკვლევრმეტყველება 202

ნაწილი მესამე

ქართველი ორატორები

1. ფარსმან პირველი 219
2. ბაკური 222
3. გუბაზ მეფე 225
4. იოეტი 228
5. ფარტაზი . 238
6. იოანე საბანისძე 246
7. იოანე ბოლნელი 251
8. გიორგი მთაწმიდელი 256
9. გიორგი მცირე 260
10. არსენ ბერი 266

11. სულხან-საბა ორბელიანი 270
12. ზაქარია გაბაშვილი 280
13. ანტონ კათალიკოსი 287
14. საბა ნინოწმიდელი 291
15. გაიოზ რექტორი 294
16. სოლომონ ლიონიძე 305
17. ამბროსი ნეკრესელი 319
18. ანტონ ჭყონდიდელი 327
19. იოანე ბატონიშვილი 334
20. იონა ხელაშვილი 339
21. სოლომონ დოდაშვილი 346
22. გაბრიელ ჭიქოძე 350
23. ნიკო დადიანი 361
24. ილია ჭავჭავაძე 369
25. აკაკი წერეთელი 381

საძიებლები

1. საკუთარ სახელთა საძიებელი:
ა. პირთა სახელები 391
ბ. ეთნიკური სახელები 400
გ. გეოგრაფიული სახელები 401
2. ძირითადი ლიტერატურის ინდექსი 405

რედაქტორი ი ლ ი ა ა ბ უ ლ ა ძ ე

მხატვარი ლ. გ რ ი გ ო ლ ი ა

ტექრედაქტორი თ. მ ა მ ფ ო რ ი ა

კორექტორი ლ. ა რ ა ბ ი ძ ე

გადაეცა წარმოებას 25/X-60 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 7/III-61 წ., ანაწყობის ზომა 6×10, ქაღალდის ზომა 60×92, ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 26,5, პირობით ფორმათა რაოდენობა 21,64.

უე 03052. ტირაჟი 8000. შეკვ. № 2721.

ფასი 2 მ. 15 კ.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს გამომცემლობებისა და პოლიგრაფიული მრეწველობის მთავარი სამმართველოს სტამბა № 2. თბილისი, ფურცელაძის ქ. № 5.

Типография № 2 Главного управления издательств и полиграфической промышленности Министерства культуры Грузинской ССР. Тбилиси, ул. Пурцеладзе № 5.